



## შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი



United Nations  
Educational, Scientific and  
Cultural Organization

გაერთიანებული  
ერების განათლების,  
მეცნიერებისა და  
კულტურის ორგანიზაცია



საქართველოს კულტურისა  
და ძეგლთა დაცვის სამინისტროს  
მხარდაჭერით

# აკაკი ნერეთელი

# აკაკი ნერეთელი

ტომი X

თხზულებათა სრული კრებული  
ოც ტომად

თარგმნილი დრამატული  
თხზულებები

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“  
თბილისი 2015

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“  
თბილისი 2015

აკაკი წერეთლის თხზულებათა აკადემიური გამოცემის  
სარედაქტო კოლეგია

ირმა რატიანი	მთავარი რედაქტორი
ზაზა აბზიანიძე	
მაკა ელბაქიძე	
ნანა ფრუიძე	
როსტომ ჩხეიძე	
ზურაბ ჭუმბურიძე	
თამაზ ჯოლოგუა	
ჯულიეტა გაბოძე	პასუხისმგებელი მდივანი

ტომის რედაქტორი: ზურაბ ჭუმბურიძე

ტომი გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები,  
შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო  
მანანა კვატაიამ

ტომი გამოსაცემად მომზადდა  
რუსთაველის ფონდის ხელშეწყობით

ISBN 978-9941-0-2789-5 (ყველა ტომის)  
ISBN 978-9941-16-442-2 (მეათე ტომის)

უაკ(UDC:) 821.161.1.03=353.1  
ნ-395

© შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

## თარგმნილი დრამატული თხზულებები

მოლიერი

სკაზენის  
ცურალუჭობათ

კომედია სამ მოქმედებათ

მოძრავი პირები:

არგანტი – ოქტავის და ზერბინეთის მამა.

ჟერონტი – ლეანდრისა და გიაცინტას მამა.

ოქტავი – არგანტის შვილი და გიაცინტას არშიყი.

ლეანდრი – ჟერონტის შვილი და ზერბინეთის არშიყი.

ზერბინეთა – არგანტის ქალი, რომელიც ეგვიპტელი ქალი ჰქონიათ.

გიაცინტა – ჟერონტის ქალი.

სკაპენი – ლეანდრის მსახური.

სილიბისტრო – ოქტავის მსახური.

ნერინა – გიაცინტას გადია.

კარლი – სკაპენის მეგობარი.

ორი მეკურტნე.

მოძრავი პირები

გამოსვლა პირველი

ო ქ ტ ა ვ ი – ეგ სამწუხარო ამბავი ისრათა ხვდება ამ ჩემს

ტრფიალ გულს. ახა, ღმერთო ჩემი, სილიბისტრო, შენ ეს-ეს არის  
ახლა შეიტყვე ნავთსაყუდელში, რომ მამაჩემი მოდის?

ს ი ლ ი ბ ი ს ტ რ ო – დიახ, ბატონო!

ო ქ ტ ა ვ ი – ამ დილასვე მოვაო?

ს ი ლ ი ბ ი ს ტ რ ო – დიახ, ამ დილასვე.

ო ქ ტ ა ვ ი – ჰმ... ისიც გაიგონე, რომ მე ცოლი უნდა შემრთოს?

ს ი ლ ი ბ ი ს ტ რ ო – დიახ.

ო ქ ტ ა ვ ი – უფალი ჟერონტის ქალი?

ს ი ლ ი ბ ი ს ტ რ ო – დიახ, სწორეთ მისი ქალი.

ო ქ ტ ა ვ ი – და, ის ქალიც, მხოლოდ მაგის გულისათვის, პირდა-  
პირ გამოუხმიათ ტარენტიდან?

ს ი ლ ი ბ ი ს ტ რ ო – დიახ.

ო ქ ტ ა ვ ი – ესენი ყველა ბიძაჩემისაგან შეიტყვე?

ს ი ლ ი ბ ი ს ტ რ ო – დიახ, მისგან!

ო ქ ტ ა ვ ი – რომელსაც მამაჩემმა ყველაფერი წერილით აცნობა?

ს ი ლ ი ბ ი ს ტ რ ო – დიახ, წერილით.

ო ქ ტ ა ვ ი – შენ იმასაც ამბობ, რომ ბიძამ ჩვენი ამბები  
სულყველა იცისო?

ს ი ლ ი ბ ი ს ტ რ ო – დიახ.

ო ქ ტ ა ვ ი – ოხ... ამოიღე ხმა, ღვთის გულისათვის! სულ დიახ და  
დიახ... გაზით უნდა ამოგაცალოს კაცმა პირიდან ყოველი სიტყვა?  
მოყევი ადამიანურათ!

ს ი ლ ი ბ ი ს ტ რ ო – რა უნდა მოგახსენო? თქვენც ხომ კარ-  
გათ იცით დაწვრილებით და ძალიან ბეჯითადაც ბძანებთ, მე რაღა  
საჭირო ვარ?

ო ქ ტ ა ვ ი – მაშ, მირჩიე მაინც, რა უნდა ვქნა ამ გაჭირვების  
დროს?

## სკაპენის ცულლუტობა

ს ი ღ ი ბ ი ს ტ რ ო – არ ვიცი, ღმერთმანი. თქვენი არ იყოს, მეც ძალიან თავბრუ მესხმის, ნეტავი კი ვინმე მირჩევდეს რასმე, თორემ მიწამდის მეტანის ვუზამ..

ო ქ ტ ა ვ ი – მაგ დაწყევლილმა ამბავმა... ასე მოულოდნელათ მისმა დაბრუნებამ, წელი არ მომწყვიტა!

ს ი ღ ი ბ ი ს ტ რ ო – უნდა მოგახსენოთ, რომ მეც სწორეთ მუხლები მომკვეთა!

ო ქ ტ ა ვ ი – ეხლავე ვხედავ, აქედანვე ვგრძნობ, რომ, შეიტყობს თუ არა მამაჩემი, უმისოთ თუ რა ამბები მოხდა აქ, სულ მტვერს აადენს აქაურობას, თავს მთხლეს გადამადენს... სულ ტიკჭორასავით გამტერავს ლანძღვით.

ს ი ღ ი ბ ი ს ტ რ ო – ეგ კიდევ არაფერია! ლანძღვა-გინებამ თქვენი ჭირი წაილოს!.. მე რომ მაგას დამაჯერებდეს, ვინ ოხერი ჩივა; მაგრამ ვიცი, რომ სულ სხვა იქნება ჩემი საქმე: ერთს კარგათ შემზურგავს, თქვენ მონონებულათ შემახურებს და მერე, წადი და უყარე ღომის კაკალი!

ო ქ ტ ა ვ ი – ახა, ღმერთო! ახა, ღმერთო! როგორ უნდა ვუშველოთ თავს? რანაირათ უნდა გადვურჩეთ ამ ხათაბალას!

ს ი ღ ი ბ ი ს ტ რ ო – შე დალოცვილო, ეგ ადრე უნდა გეფიქრათ!

ო ქ ტ ა ვ ი – კარგი ერთი, შენ მაინც ნულა მიხეთქავ გულს დაგვიანებული დარიგებებით: მე ჩემიც მეყოფა!..

ს ი ღ ი ბ ი ს ტ რ ო – შე დალოცვილო, თქვენ უარესათ არ მისივებთ ნალველს მაგვარის გაშმაგებით?!..

ო ქ ტ ა ვ ი – ღმერთო ჩემო, რა უნდა ვქნა? ვის მივმართო! ვინ გამომიხსნის ამ ცეცხლიდან?

## გამოსვლა მეორე

ო ქ ტ ა ვ ი, ს კ ა კ ე ნ ი და ს ი ღ ი ბ ი ს ტ რ ო

ს კ ა პ ე ნ ი – რა დაგმართნიათ, ბატონო ოქტავო? რა მოხდა? ნეტა რას აუშვოთებიხართ მაგრე?

ო ქ ტ ა ვ ი – ოხ, ჩემო სკაპენ, რომ იცოდე, რა დამემართა.. სასონარკვეთილებაში ვარ! დავილუპე! ერთი სიტყვით, ჩემისთანა უბედური კაცი ქვეყანაზე აღარ იპოვება.

ს კ ა პ ე ნ ი – როგორ! რაო?

## სკაპენის ცულლუტობა

ო ქ ტ ა ვ ი – როგორ თუ რაო? შენ განა არაფერი შეგიტყვია ჯერ?

ს კ ა პ ე ნ ი – სრულიადაც არაფერი!..

ო ქ ტ ა ვ ი – აბა, იცოდე, რომ მამაჩემი და უერონტი დაბრუნებულან და ცოლის შერთვას მიპირობენ.

ს კ ა პ ე ნ ი – ისემც კარგი დაგემართოსთ! მერე, რა არის მანდ სამწუხარო?

ო ქ ტ ა ვ ი – საქმე სულ სხვებ არის და შენ კი არ იცი ჩემი ცეცხლი.

ს კ ა პ ე ნ ი – სწორეთ არ ვიცი, მაგრამ თქმის მეტი რა დაგჭირდებათ?! ბრძანეთ და მეცოდინება! მე ძალიან ადვილათ გადასაყოლი კაცი ვარ და მიყვარს კიდევაც ყმაწვილკაცების საქმეში გარევა.

ო ქ ტ ა ვ ი – ეჲ, სკაპენ! რომ შეგეძლოს მოხერხება და გამომიხსნა ამ განსაცდელისაგან, სწორეთ საუკუნოთ დამავალებდი.

ს კ ა პ ე ნ ი – მე, ჩემო ბატონო, სწორეთ უნდა გამოგიტყდეთ, რომ მისთანა საქმე ცოტა მეგულება, რომელშიდაც, თუკი გავერიე, ჯარასავით არ დავტრიალდე და არ გამოვაჭახრაკო. ყოვლის შემძლებელმა ღმერთმა მომანიჭა მეტათ გამჭრიახი ჭკუა იმ ცულლუტობისა და იმ მელაკუდაბის, რომელსაც დღეს უზრდელები და გაუგებრები გაიძვერობას უწოდებენ. დაჩემებით არ მოგახსენებთ და მგონია, სხვას ვერავის შეხვდეთ, რომ ჩემსავით გამძვრალ-გამომძვრალიყოს დახლართულ საქმეებში და ან ჩემოდენი სახელი ენახოს ამ მეტათ კეთილშობილ და დიახ საქებ ხელობაში. მაგრამ ესეც კი უნდა ვსთქვათ, რომ ჩევნ დროში ეს ხელობა აღარ ფასდება და მეც გული ამიცურდა მას შემდეგ, რაკი ერთჯერ-ორჯერ ამ ხელობამ, რომ უნდოდა, ისე ვეღარ მასიამოვნა.

ო ქ ტ ა ვ ი – როგორ თუ ვერ გასიამოვნა?

ს კ ა პ ე ნ ი – დიახ!.. ცოტა კიდეც მანყენია, როდესაც ჩემდა უკითხავით სამართლის კარებამდი მიმიყვანა და ძალაუნებურათ ზედ წამახახუნა!..

ო ქ ტ ა ვ ი – რაო? სამართლის კარებამდი მიგაჩანჩალა!

ს კ ა პ ე ნ ი – დიახ, და მაშინ ის იყო, რომ კიდევაც შუღლი მოგვივიდა ერთმანეთთან – მე და იმ დალოცვილ მართლმსაჯულებას.

ო ქ ტ ა ვ ი – შენ და მართლმსაჯულებას?

ს კ ა პ ე ნ ი – სწორეთ... და ესეც უნდა მოგახსენოთ, რომ მართლმსაჯულება, რომ უნდოდა, ისე ვერ მომექცა, და მეც, ცოტა არ არის, გული დამწყდა და აღთქმა დავდევი გულმოსულმა, რომ ამიერ-

## სკაპენის ცულლუტობა

იდან ხელიც აღარ გავანდრიო იმგვარ კეთილშობილურ საქმეში... თავს ლაფი დავასხი ამ დროს! შერცხვეს! შურისგებაც ამისთანა უნდა!.. აღარაფერში აღარ გავერევი... კმარა!.. მაგრამ ეს ერთი კიდევ თქვენი ხათრი და პატივისცემა იყოს, თქვენთვის მოვიბრუნებ გულსა, რა გაეწყობა? აბა, მიბრძანეთ, რა არის თქვენი გაჭირვება?

ო ქ ტ ა ვ ი – ეს ხომ იცი, სკაპენ, რომ მამაჩემი და უერონტი ამ ორი თვის წინად, რამოდენიმე ხნით რაღაც სავაჭროთ გაემგზავრენ?

ს კ ა პ ე ნ ი – როგორ არა, ვიცი! ვიცი!!

ო ქ ტ ა ვ ი – მე და ლეანდრი კი აქ დაგვტოვეს ჩვენმა მამებმა. ჩემი თავი სილიბისტოს ჩაბარეს, ლეანდრი – შენ.

ს კ ა პ ე ნ ი – მართალი ბრძანება! მაგრამ ეს კი უნდა მოგახ-სენოთ, – მე ის ტვირთი ვერაფრათ მეჭაშნიკა.

ო ქ ტ ა ვ ი – ბევრ ხანს არ გაუვლია, რომ ლეანდრი შეეყარა ერთს ახალგაზდა ეგვიპტელ ქალს და კიდევაც შეუყვარდა.

ს კ ა პ ე ნ ი – ეგეც ვიცი.

ო ქ ტ ა ვ ი – და რადგანაც მე და ის დიდი მეგობრები ვართ, მაშ-ინვე გამომიტყდა, გამანდო თავის გულის პასუხი და კიდეც მაჩვენა ის ქალი; უნდა გითხრა, რომ ურიგოთ არ მჩვენებია, მაგრამ არც ისე მომწონებია, როგორც ლეანდრი ფიქრობდა: იმან, ერთი სიტყ-ვით, წამდაუნუმ იმ ქალის ქებით ყურები გამიბუჟა; ხან მის სილა-მაზეს ამინერდა ხოლმე, ხან ტანადობას, ხან ზდილობას და ხან რას! ერთის სიტყვით, გამაყრუა მისის ქებით, გამაყრუა და, როდესაც მე არ ვყურობდი ხოლმე, გულგრილობას მწამებდა და საყვედურით მხეთქავდა.

ს კ ა პ ე ნ ი – მერე? სხვა კიდევ?

ო ქ ტ ა ვ ი – ერთხელ, როდესაც ლეანდრს ვაცილებდი მისი მიჯნურის კარებამდი, მიყრუებულ ქუჩაში ერთი ქოხიდან რაღაც მოთქმა და ოხვრა შემოვესმა!.. ჩვენ მივუბრუნდით იქ მყოფ დედა-ბერს და ვჰკითხეთ: „რა ამბავია-თქო!“ „როგორ თუ რა ამბავია? – გვიპასუხა, – მობრძანდით და შეიტყობთო: იქ ვიღაც უცხო ქვეყ-ნელები დგანან და, რომ მობრძანდეთ იმათთან, ძალიან რამე საცო-დაობას ნახავთო“.

ს კ ა პ ე ნ ი – ეჳ, შე დალოცვილო, თქვენ საქმე მიბრძანეთ; ეგ წილადობილა რათ მინდა, რომ მომიყევით?

ო ქ ტ ა ვ ი – გულმა აღარ მოგვითმინა მე და ლეანდრს; შევედით და ერთი მომაკვდავი დედაბერი დაგვიხვდა, რომელსაც უვლიდა მტირალი გოგო და იქვე თავით უჯდა თვალცრემლიანი ერთი ახალ-

## სკაპენის ცულლუტობა

გაზრდა ქალი, მაგრამ რა ქალი, რომ იცოდე! ჩემს სიცოცხლეში ჯერ ჩემ თვალის კაკლებს მისი მსგავსი არა უნახავთ-რა!

ს კ ა პ ე ნ ი – ჰერი-ჰა!.. გიშველა ღმერთმა!..

ო ქ ტ ა ვ ი – სხვა რომ ვინმე ყოფილიყო იმისთანა მდგომარეო-ბაში, როგორც ის ქალი იყო, საზიტლრათ მოეჩვენებოდა კაცს: მის ტანისამოსს მხოლოდ ერთი ძველი იუბკა, დაფხრენილი კაბის ზედა ტანი შეადგენდა, სხვა არაფერი! და თმაზედაც ყვითელი ლენტი ჰქონდა შემოკრული, აი, სულ ეს იყო მისი მორთულობა, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ოცნება იყო.

ს კ ა პ ე ნ ი – ჰო! ჰო! ჰო! ეხლა კი მივხვდი!.. ვხედავ, რაც ამბავია!..

ო ქ ტ ა ვ ი – არა, სკაპენო, შენც რომ გენახა, მაშინ იტყოდი, თუ, მშვენიერიაო!

ს კ ა პ ე ნ ი – იმე! რა ბრძანება! უეჭველია! ჯერ რომ ვერა ვხე-დავ და ისეც მშვენიერებათ მიმაჩნია! რაღა თქმა უნდა, რომ...

ო ქ ტ ა ვ ი – არც მისი ცრემლები ჰგვანდენ იმ ცრემლებს, სახეს რომ მანჭვენ. აბა, ასე გასინჯე, რომ მოთქმაც უფრო უმშვენებდა პირის სახეს!.. უმარილიანებდა!..

ს კ ა პ ე ნ ი – ვხედავ! ვხედავ!

ო ქ ტ ა ვ ი – ვინც უნდა ყოფილიყო, გინდა ქვის გულიც ჰქონდა, ტირილს ვერ მოიკავებდა, რომ ენახა, თუ რარიგათ ეხუტებოდა, ეკვ-როდა გულში მომაკვდავს, რომელსაც დედას ეძახოდა. არა, სწორეთ გასაკვირველი იყო მისთანა მხურვალე ნათესავური გრძნობა!..

ს კ ა პ ე ნ ი – რა თქმა უნდა, რომ გასაკვირველი ყოფილა. მერე იმ ნათესაურმა, მხურვალე გრძნობამ თქვენც ისე გაგასურვათ, რომ შეგაცოდვათ ის საბრალო ქალი და შეგატოპვინათ სიყვარულის მორევში, განა?

ო ქ ტ ა ვ ი – ეჳ, სკაპენო! ბარბაროსი რომ ყოფილიყო ჩემს ადგ-ილზედ, იმასაც კი შეუყვარდებოდა.

ს კ ა პ ე ნ ი – რასაკვირველია! რაღა თქმა უნდა! რა ბრძანება! მაგის ეჭვი ვის ექნება!

ო ქ ტ ა ვ ი – რამოდენიმე სიტყვის შემდეგ, რომლითაც ის საბრალო ვანუგეშეთ, ჩვენ გამოვედით და მაშინ ვჰკითხე ლეანდრს: „ის ქალი როგორ მოგწონს-თქო?“ „რა უჭირსო! ჰო, რა უშავსო!“ – ეს მიპასუხა და მეტი არაფერი. სწორეთ ძალიან გამიკვირდა მისი გულგრილობა და აღარც მე გამოვუტყდი ჩემი გულის პასუხს.

ს ი ლ ი ბ ი ს ტ რ ო – (ოქტავს) თუ ეგ თქვენი მოთხოვნა არ შეამოკლეთ და მაგრე გააჭიანურეთ, ვერც ხვალამდი მიაწევთ იქა-

## სკაპენის ცულლუტობა

მდე, რისიც თქმა გინდათ. დამაცადეთ, ისევ მე ვიტყვი, სულ ორი სიტყვით გავათავებ... (სკაპენს) ეს დალოცვილი იმ წამსვე გააბრუა სიყვარულმა და წამდაუწუმ დაცუნცულებდა ხოლმე თავის სასურველ მგლოვიარე ჭირისუფალთან, ნუეშის საცემლათ, მაგრამ მოახლემ, რომელმაც, დედის სიკვდილის შემდეგ ობოლს დაუწყო ყურისგდება, ბოლო მოულო ამ ხშირ სტუმრობას. ეს საბრალო აგარდა, დაგარდა, აქეთ ეცა, იქით ეცა, ბევრი ხევნა-ვედრებაც შემოეხარჯა, მაგრამ მაინც ვეღარას გახდა-რა!.. ასე მოახსენეს, რომ ის ქალი ლარიბ-ლატაკი და უპატრონობა, მაგრამ გამოჩენილი გვარისა კი არის და, მაშასადამე, თქვენი ხშირი სტუმრობა სახელს გაუტეხსო. ამ ხელის შეშლამ სულ ცეცხლი მოუკიდა ამ ჩემ ბატონის შვილსა და, ბევრი ფიქრისა და თავის ტეხის შემდეგ მოინდომა მისი ცოლათ შერთვა. აი ამგვარათ, დღეს ეს სამი დღეა, რაც ოქტავი იმ მზეთუნახავის ქმარი ბრძანდება!

ს კ ა პ ე ნ ი – თურმე საქმე მაგრეა! ჰმ... გვესმის... შეგვიტყვია!

ს ი ლ ი ბ ი ს ტ რ ო – ახლა კიდევ ამაებს ყველას შენ დაამატე ის მოულოდნელი დაბრუნება მამამისის, რომელიც, ჩვენის ანგარიშით, კიდევ არ უნდა მომხდარიყო ორ თვეზე ადრე. ამას გარდა, ნუ დაივინყებ იმასაც, რომ ბიძა ამისმა ეს ცოლის შერთვაც იცის და ისიც, რომ უნდა უერონტის ქალი შერთონ, ის ქალი, რომელიც მეორე ცოლის ხელშიდა ჰყავს!.. ესეც ხომ იცი, როგორც ამბობენ, რომ უერონტის მეორე ცოლი ჰყავდა შერთული ტარენტოში?

ო ქ ტ ა ვ ი – ამაებთან ყველასთან ესეც იქონიე სახეში, ჩემო სკაპენო, რომ ჩემი საყვარელი მეუღლე ძალიან გაჭირვებულ მდგომარეობაშია და მე არა მაქვს საშუალება, რომ ხელი როგორმე გავუ-მართო.

ს კ ა პ ე ნ ი – ეგ ეგ არი! სხვა არაფერი! მერე, მაგისთანა უბრალო საქმემ ჩამოგაყრევინათ ორივეს ყურები? როგორ არ გრცხვენიათ? ხომ არ შეიშალეთ? თავრეტი დაგეხსხათ, გაცოფით?! ახა, ღმერთო, რომ ვინმემ გნახოთ, იფიქრებს, თუ ცეცხლი გაჩენიათო... (სილიბისტროს) აი, შე თავგამოტვინებულო და შე ჩურჩუტო, სირცე-ვილით თავი როგორლა უნდა გამოყო? ერთი დახედეთ, რასა ჰგავს ეს დამპალი ჯირკი, ეს ფუტურო, ესა!.. შე ახმახო, შენა! დედაშენსა და მამაშენს, ორივე ერთმანერთზედაც რომ გადააკრა, მაინც კიდე სამი ადლი გადააჭარბე აყლაყუდობითა და მაგ გახრეკილ გოგრაში, მაგ ოქტავი საბუდარში, მაგ ცარიელ ბოყვში კი ვერაფერი საშუალება მოგინახავს, რომ მაგისთანა რამ უბრალო საქმე როგორმე

## სკაპენის ცულლუტობა

გაგემართლების?.. ფუი, შეგარცხვინოს ღმერთმა!.. შე გლახაკი, შე უხეირო, შენა!.. აი, შენ გაყვლეფილო მუნიანო გოჭო, შენა! აპ... სიბრძნის კოლოფი არც მე გახლავართ, მაგრამ ოდესმე მაგისთანა საქმე რომ შემმთხვეოდა, ბუზათაც არ ჩავაგდებდი! სულ ყინვაზე გავაცურებდი თქვენს ბერიკაცებს. აი, თქვე ბაიყუშებო, თქვენა!

ს ი ლ ი ბ ი ს ტ რ ო – რა ვენა, უნდა გამოგიტყდე, რომ ღმერთს არ მოუცია ჩემთვის შენისთანა ნიჭი. მე თუ ერთხელ საქმეში გავეხლ-ართე, იქედან თავის დაძვრენა აღარ შემიძლია!

ო ქ ტ ა ვ ი – აი, ჩემი მშვენიერი და ძვირფასი გიაცინტაც!..

## გამოსვლა მასამა

ი გ ი ნ ი ვ ე დ ა გ ი ა ც ი ნ ტ ა

გ ი ა ც ი ნ ტ ა – ახ, ოქტავო! განა სილიბისტრომ მართალი უთხრა ჩემს ნერინას, რომ მამაშენი ბრუნდება და ცოლის შერთვას გიპირებს?

ო ქ ტ ა ვ ი – მართალია, ჩემო საყვარელო გიაცინტა, და კიდევაც წელი მომწყვიტა მაგ ამბავმა. მაგრამ შენ რას ტირი? რა გემართება? ორგულობას ხომ არ მენამები? ყური დამიგდე, გიაცინტა: ნუთუ ჩემს სიყვარულზე კიდევ არა ხარ დარწმუნებული?

გ ი ა ც ი ნ ტ ა – არა, ოქტავო! სწორეთ ვიცი, რომ გიყვარვარ, მაგრამ ის კი აღარ ვიცი, კვლავაც გეყვარები, თუ არა?

ო ქ ტ ა ვ ი – გიაცინტა, განა შეიძლება, რომ შენ კაცმა შეგიყვაროს და, საუკუნოთ კი არა?..

გ ი ა ც ი ნ ტ ა – მე ასე გამიგონია, რომ კაცებს ჩვენსავით ხან-გრძლივი სიყვარული არ შეუძლიათო! როგორც მალე აენთება მათ გულში სიყვარული, ისე მალეც ჰქონდათ.

ო ქ ტ ა ვ ი – ძვირფასო გიაცინტა! თუ ეგ მართალია, მე მხოლოდ ეს შემიძლია ვსთქვა, რომ ჩემი გული სხვების გულს არა ჰგვანებია!.. მე ვერძნობ და კიდევაც მრნამს, რომ შენი სიყვარული საფლავში-დაც კი ჩამყვება!

გ ი ა ც ი ნ ტ ა – ძალიან მსურს, რომ ეგ სიტყვები დავიკვერო; ეჭვი არა მაქვს, რომ, რასაც ამბობ, სულ გულწრფელია, მაგრამ მეშინიან კი, ვაითუ მამიშენის უფლებამ ამოგიფხროს გულიდან ეგ სიყვარული!.. შენ თუ სხვა ცოლი შეირთე, იცოდე, რომ გულზე გავ-სქდები! ველარ გავუძლებ ჯავრსა და თანაც გადავყვები!

## სკაპენის ცულლუტობა

ო ქ ტ ა ვ ი – ფიქრი ნუ გაქვს, ჩემო გიაცინტავ! მე ქვეყანაზედაც არ მეგულება იმისთანა მამა, რომ შენი თავი დამავინწყოს. აბა, მე უფრო ადრე დავაგდებ ჩემს სამშობლოს, ჩემს სიცოცხლეს გავეყრები და შენ კი ვერ მოგმორდები! ვერ შეგელევი! გეფიცები, რომ ჯერ არ მინახავს ის, ვიღაც ჩემი საცოლოა და ახლავე, აქედანვე მეზიზლება. შენ კარგათ იცი, მე ავგული არა ვარ, მაგრამ, ღმერთო შეგცოდე, რომ ის ჩემი საცოლო ნეაპოლში მისვლამდე სადმე ზღვაში ჩაიღრჩობოდეს, საწყენათ არ დამირჩება. ნუ!.. ნუ!.. ნუ ტირი, ჩემო გიაცინტავ! ეგ ცრემლები მე გულს მითუთქვენ!..

გ ი ა ც ი ნ ტ ა – მაშ, კარგი, აღარ ვიტირებ... რა გაეწყობა! რაც ზეცას ჩემთვის დაუნიშნავს, მოთმინებით მივიღებ და გულგრილად მივეგებები.

ო ქ ტ ა ვ ი – არა გვიშავს-რა, ღმერთი მოწყალეა!

გ ი ა ც ი ნ ტ ა – რასაკვირველია, თუ კი შენ არ მიღალატებ.

ო ქ ტ ა ვ ი – არაოდეს! არაოდეს!

გ ი ა ც ი ნ ტ ა – ეგ კმარა ჩემთვის! მაშინ მე სრული ბედნიერი ვიქნები.

ს კ ა პ ე ნ ი – (თავისთვის) არ ყოფილა ეს ქალი უჭყუო და, მასთან, არც სახით არა უჭირს-რა. გვარიანი მარილიანი გოგოა!.. რა უშავს... აქეთ-იქით, ერთი. მეორე... და სხვა...

ო ქ ტ ა ვ ი – (უჩენებს გიაცინტას სკაპენზედ) აი, ამ კაცს შეუძლიან, შემწეობა მოგვცეს, რომ მოინდომებდეს.

ს კ ა პ ე ნ ი – მე დიდი ხანია, ალთექმა მაქვს მიცემული, რომ მაგ-გვარ საქმეებში აღარ გავერიო, მაგრამ, თუ ორივე ძალიან გულით შემეხვეწებით, მაშინ კი შეიძლება გავბედო... არ ვიცი კი... ვნახოთ.

ო ქ ტ ა ვ ი – თუკი თხოვნა საჭიროა, სწორეთ რომ გულსმოდგონეთ გევედრები...

ს კ ა პ ე ნ ი – (გიაცინტას) თქვენ რაღას გაჩუმებულხართ! რატომ არას მეტყვით? ჰო! რაღას უცდით?

გ ი ა ც ი ნ ტ ა – მეც გეხვეწები და გაფიცებ, რაც კი გეფიცება, რომ ჩვენს მდგომარეობაში მონაწილეობა მიიღო.

ს კ ა პ ე ნ ი – ეჺ, რა გაეწყობა! მეცოდებით! კარგი, კარგი! მოგეხმარებით. (გიაცინტას) ახლა კი წაბრძანდით.

ო ქ ტ ა ვ ი – დარწმუნდი, რომ...

ს კ ა პ ე ნ ი – სსუ! კმარა... კმარა... (გიაცინტას) გასწით, დაიკარგეთ იქით, არ გეყურებათ... გული დაიმშვიდეთ და სხვა ჩემს კისერზე იყოს.

## სკაპენის ცულლუტობა

### გამოსვლა ხორთე

ო ქ ტ ა ვ ი, ს კ ა პ ე ნ ი და ს ი ლ ი ბ ი ს ტ რ ი

ს კ ა პ ე ნ ი – (ოქტავს) აბა, მოემზადეთ, რომ გულმაგრათ მიხვიდეთ იერიშით მამათქვენზე! ვაჟაცურათ და მამაცათ უნდა შევხვდეთ; მეტი გზა აღარ არის!

ო ქ ტ ა ვ ი – ღმერთოთან სწორი სჯობს: ეგ იერიში როგორლაც სულს მიფრთხობს. ბუნებითად დაბადებიდგანვე ისეთი დამკრთალი ხასიათისა ვარ, რომ გულს ვერ შევიმაგრებ ხოლმე.

ს კ ა პ ე ნ ი – კი, მაგრამ, თუ ჩახმახათ არ დაუხვდი პირველ შეყრის დროს და სიმხთაღე შეგნიშნა, ისე მოგექცევათ, როგორც პატარა ბავშვს. გაბედვით, შეუპოვრად უპასუხე ყოველს სიტყვაზე.

ო ქ ტ ა ვ ი – თუკი შევიძელი და მოვახერხე, თავს აღარ დავიზოგავ.

ს კ ა პ ე ნ ი – მაშ, გამოვცადოთ; ახლა ცოტა უნდა გაგწვრთნათ და ვნახოთ, როგორ ასარულებთ ჩემს დარიგებას. აბა, გამოქაჩეთ თვალები. ფეხმძიმეთ, ლომივით გაიარ-გამოიარეთ! თავი მაღლა აიწიეთ! მაგრე! უფრო შეუპოვრათ შემომხედეთ!

ო ქ ტ ა ვ ი – ასე?

ს კ ა პ ე ნ ი – კიდევ უფრო იერიანათ!..

ო ქ ტ ა ვ ი – ასე? ახლა ხომ კარგია?..

ს კ ა პ ე ნ ი – ძალიან კარგია! ახლა წარმოიდგინეთ, რომ მე ვარ მამათქვენი, და ისე თამამად მიპასუხეთ, როგორც იმას უნდა უპასუხოთ. გამიგონე, შე საძაგელო, ავაზაკო, შემცოდე შვილო, შენ მამის შეუფერო, შენა! როგორ გაბედე და როგორ ეჩვენე ამ ჩემი თვალის კაკლებს, იმ საკიცხი და უშვენის საქმეების შემდეგ, რომელიც შენ ჩემს სხვაგან ყოფნაში ჩაგიდენა!.. შეჩენებულო, განა ეგ არის შენზედ ჩემი ზრუნვის ნაყოფი? მაგ მაღლობას მემართლებოდი? აი, შეასპიტო! შე საშმიანო გველო! როგორ გაბედე, ბარბაროსო, მამიშენის ნებადაურთველად ცოლის შერთვა? აბა, მიპასუხე ჩქარა, შესაძაგელო, შენა! ვნახოთ, როგორ გაიმართლებ თავს! ხმა გამოიღე! პასუხს ველი!.. (თავის ხმით) ენა ჩაგვარდა? მიპასუხე, რას იფულები ძერასავით?..

ო ქ ტ ა ვ ი – სწორეთ ისე მიჯავრდები, როგორც მამაჩემი და მოდი და ნუ შეგემინდება შენ!..

ს კ ა პ ე ნ ი – მერე, მიტომ უნდა ზაბოსავით გამოშტერდე? გუგულივით გამოშტერებულხარ და არ იცი, რა უნდა ქნა.

## სკაპენის ცულლუტობა

ოქტომბერი – დამაცადე, აბა, ახლა, როგორც რიგია, ისე გიპასუხებ.

სკაპენი – ჰომი-და, რასაკვირველია, მაგრე უნდა ინებო!..

ოქტომბერი – აბა, ახლა მიყურე!

სილიბის ტრო – (ოქტავს) აი, მამათქვენიც.

ოქტომბერი – ახა, ღმერთო ჩემო!.. დავიღუპე!

## გამოსვლა მახუთა

სკაპენი და სილიბის ტრო

სკაპენი – ჰეი! ოქტავო! სად გარბიხარ? აქ მოიცადე! ოქტავო!  
არ კი გაჭეუსლა! რა უხეიროა, დედავ, დედავ, რა მხდალია! (სილიბისტროს) წავიდეთ ბერიკაცთან.

სილიბის ტრო – მერე რა უნდა ვუთხრა, რომ მივიდე?

სკაპენი – ეგ შენი საქმე არ არის. მე დამაცადე; მე ველაპარაკები, შენ მხოლოდ ტყუილა მომყევი.

## გამოსვლა მაევსე

არგანტი, სკაპენი და სილიბის ტრო  
(ცოტა მოშორებით)

არგანტი – (მარტოა, ჰონია) ნეტა თუ სხვასაც გაუგონია  
ვისმეს ამისთანა თავებედობა!..

სკაპენი – (სილიბისტროს) ჰე, ჰერი-ჰა!.. ამას კიდევაც  
ყოლიფერი შეუტყვია... მაგრამ ამ საქმეს ისე კი გაუბრუებია, რომ  
თავის თავს ხმამალლა ესაუბრება!

არგანტი – ეს თავხედობა მისატევებელი, შესანდობელი არ არის!

სკაპენი – (სილიბისტროს) აბა, შევიტყოთ, რაიო?

არგანტი – ნეტავი ვიცოდე, რას მეტყვიან ამ თავხედურ  
ცოლის შერთვაზე...

სკაპენი – (თავისთვის) ეგ ჩვენ ვიცით, რასაც მოგახსენებთ.

არგანტი – ვინ იცის, ეგება უარზედაც დაადგენ და გადათქვან.

სკაპენი – (თავისთვის) უკაცრავათ, ეგ ტყუილი ანგარიშებია.

## სკაპენის ცულლუტობა

არგანტი – ანდა, ეგება თავიც იმართლონ.

სკაპენი – ეგ კი სულ სხვა ანგარიშია! რატო არაო! დიახაც.

არგანტი – დამიწყებენ ერთს აჭია-ბაჭიას.

სკაპენი – (თავისთვის) ეგ დიახ, ადვილი შესაძლებელია.

არგანტი – არა, მაგრამ მათი მჭევრმეტყველება უქმათ ჩაივლის.

სკაპენი – (თავისთვის) მაგასაც ვნახავთ, თუ მაგრე იქნება.

არგანტი – იმ თავსლაფდასხმულ სილიბისტროს სულ კისერს  
მოვატეხინებ.

სილიბის ტრო – (სკაპენის) ჰე, მამწვდა ეხლა მეც. ასე მეგონა,  
თუ დავავინყდი, აქამდი რომ არ მახსენა და ძალიანაც მიკვირდა.

არგანტი – (დაინახავს სილიბისტროს) აა! აქ მობრძანდით,  
ბატონის შვილო, ერთი დამენახვეთ, წინ წამოდექით, ჩემო ერთ-  
გულო შინაყმავ!

სკაპენი – ბატონს გაუმარჯოს! დიდათ მოხარული ვარ თქვე-  
ნის ხილვისა, ჩემო ბატონო.

არგანტი – აა! სკაპენის გაუმარჯოს! რასა იქ? (სილიბისტროს)  
მაშ, საქებურათ აგისრულებია ჩემი ბრძანება: მეტი აღარ შეიძლება,  
ისე გიგდია ყური ჩემს შეიძლისათვის.

სკაპენი – ხომ მშვიდობითა ბრძანდებით, ჩემო ხელმწიფე-  
ბატონო?

არგანტი – ერთ რიგათ, ასე, გვარიანათა ვარ. (სილიბისტროს)  
რატომ არაფერს მიბასუხებ, შე საძაგელო?

სკაპენი – ხომ მშვიდობითა და კარგათ იმგზავრეთ, ჩემო  
ბატონო?..

არგანტი – ახა, ღმერთო! დიახ, მშვიდობითა და კარგათ. თუ  
ღმერთი გწამს, თავი დამანებე ერთი. რას ჩამცივებიხარ! დამაცადე,  
რომ კარგათ რჯულზედ გავლანძლო ეს საძაგელი.

სკაპენი – თქვენ გნებავთ, ბატონო, გალანძლოთ?

არგანტი – ჰო!..

სკაპენი – ვინა, ბატონო?..

არგანტი – ვინა და ეს ბილნი, ეს საძაგელი!

სკაპენი – რათა, ბატონო?

არგანტი – როგორ თუ რათა? განა არ შეგიტყვია, თუ რა  
მოხდა აქ, ჩემს სხვაგან ყოფნაში?

სკაპენი – დიახ, როგორც მოვკარი ყური აქა-იქა, რაღაც  
სისულელეზედ, უბრალო რამეზედა ჭორავდენ.

არგანტი – როგორ თუ უბრალოზედ? მამის მაგგვარად  
წინააღმდეგობა უბრალო რამეა?

## სკაპენის ცულლუტობა

ს კ ა პ ე ნ ი – დიახ, მართალი ბრძანებაა.

ა რ გ ა ნ ტ ი – დიდი თავხედობაა!..

ს კ ა პ ე ნ ი – რასაკვირველია!

ა რ გ ა ნ ტ ი – შვილი, რომელიც მამის უნებურად ცოლს შეირთავს...

ს კ ა პ ე ნ ი – დიახ, რასაკვირველია, მაგაზედ კი ღირს ხმის ამოღება, მაგრამ ესეც კი უნდა მოგახსენოთ, რომ მაგ საქმეზედ ხმასაც ნუ ამოიღებთ.

ა რ გ ა ნ ტ ი – არა, მე მაგის თანახმა არა ვარ! მაგ საქმეს მე მთელ ქალაქს შევატყობინებ, სულ ვიყვირებ! რაო? შენ ეგება გეგონოს, რომ მე გაჯავრების უფლებაც აღარა მქონდეს?!

ს კ ა პ ე ნ ი – ეგ სწორეთ მაგრეა. სახუმაროთ აღარც მე გავწიწმარიტებულვარ, ეგ ამბავი რომ პირველათ გავიგონე. თქვენ, ეგება, არც მე დამიჯეროთ, ბატონო, რომ მე თქვენი შვილი ძალიან კარგალაზათიანათ შემომელანძლა. აბა, ჰკითხეთ ერთი იმას, თუ რა დარიგება მივეცი და რა საყვედლურებით გავშერე, მისთვის, რომ ის ვერ მოიქცა კეთილშობილათ მისთანა მამასთან, რომელსაც ყოველდღე სიმდაბლით ხელებს უნდა უკოცნიდეს და მის ფეხთა მტვერს ემთხვევოდეს. ლმერთსა ვფიცავ, მგონი, თქვენც ვერ დაარიგებდით და ვერ ჩააგდებდით სინიდისში ჩემზედ უკეთ. მერე დავფიქრდი და მივხვდი, რომ საქმე გროშათაც არ ღირდა. ის ისე დანაშაულიც არ არის, როგორც თქვენ ჰკითხოთ!

ა რ გ ა ნ ტ ი – ნეტავ რას მელაპარაკები? როგორ თუ დანაშაული არ არის, როდესაც იმან, ჩემდა უნებურათ, ეშმაკმა იცის, ვინ შეირთო! ვიღაც მანანწალა!..

ს კ ა პ ე ნ ი – რა გაეწყობა, ბატონო, ეტყობა, მისი ბედისა ყოფილა!..

ა რ გ ა ნ ტ ი – აი, კარგი საშუალება ყოველგვარი დანაშაულობის გამართლებისა! თუ მაგრეა, ქურდი, ავაზაკი, კაცის მკვლელი, ყველა მართალია შენის შეხედვით?

ს კ ა პ ე ნ ი – ახა, ლმერთო! თქვენ, ბატონო, როგორდაც ფილოსოფურად გეყურებათ ჩემი მოხსენება. მე მოგახსენებთ, რომ ის ყმანვილი იძულებული იყო, რომ სრულიად მოულოდნელად შეერთო ის ქალი.

ა რ გ ა ნ ტ ი – როგორ?

ს კ ა პ ე ნ ი – აი, როგორ: თქვენ გნებავსთ, რომ ისიც თქვენსავით წინდახედული იყოს! ყმანვილკაცები ყოველთვის ყმანვილები არიან.

## სკაპენის ცულლუტობა

იმათ არ შეუძლიათ ყოველს საქმეში რომ კეთილგონიერად გაისარჯონ. მაგალითად, ავიღოთ, თუ გნებავსთ, ჩვენი ლეანდრი. ჩემს ზრუნვასა და დარიგებას ყურიც არ უგდო და აგერ განზედ მისთანა საქმეები ჩაიდინა, რომ იმასთან შედარებით თქვენის შვილის მოქმედება ჩალათაც არ ჩავარდება, თქვენი შვილი იმასთან შედარებით თოვლივით სპეტაკად დარჩება. და ესეც რომ არ იყოს, ყმანვილობის დროს განა თვითონ კი არ ეშმაკობდით? მე როგორც გამიგონია, ჩემი ხელმწიფე-ბატონო, თქვენც თურმე ძალიან ტრიალობდით, სულ ბზიალ-ბზიალი გაგქონდათ ხოლმე ქალების საზოგადოებაში. გამოჩენილი და პირველი მზეთუნახავები ბედნიერებათ ითვლიდენ ერთს თქვენს ყურადლების მიქცევას და თქვენის სურვილის ასრულებასაც ვერაფერი ეწინააღმდეგბოდა ხოლმეო. არა, მართალია თუ არა?!

ა რ გ ა ნ ტ ი – ჴო, ეგ კი მართალია, რომ ქალების საზოგადოება მიყვარდა. მაგას ვერ დავიფიცავ, სწორეთ გეთანხმები, მაგრამ იმას კი ნუ დაივინწყებ, რომ ყოველს შემთხვევაში ზომა ვიცოდი და მაგგვარი უგნურება ჩემს დღეშიდაც არ ჩამიდენია!...

ს კ ა პ ე ნ ი – მერე რა გნებავსთ, რომ ქნას იმ საბრალო თქვენმა შვილმა, მიბრძანეთ ერთი! შეხვდა ლამაზ ქალს, რომელსაც ძალიან მოენონა და შეუყვარდა თქვენი შვილი. ნუ დაივინწყებთ, რომ იმას, მემკვიდრეობით, თქვენგან გამოჰყვა ბედი ქალების სიყვარულში: თქვენი არ იყოს, ყოველ ქალს მოსწონს. თქვენ შვილსაც მოენონა ის ქალი, დაიწყო მასთან ხმირი სტუმრობა, ალერსი, ოხვრა, თვალის ქნევა, ერთი, მეორე – აქეთ, იქით და ბოლოს დაიჭირეს ნათესავებმა და ძალაუნებურად გადაწერეს ჯვარი.

ს ი ლ ი ბ ი ს ტ რ ო – (თავისთვის) გამართლებაც ამისთანა უნდა! ჰა გიდი, სკაპენო!

ს კ ა პ ე ნ ი – აბა, კარგათ დაფიქრდი, ჩემო ხელმწიფე. ნუთუ ის უფრო სასიამოვნო იქნება თქვენთვის, რომ მოეკლათ თქვენი შვილი და თქვენც გასისხლიანებული, თხასავით ყელგამოჭრილი გენახათ?!

ა რ გ ა ნ ტ ი – ჩემთვის არავის უთქვაშს, საქმე თუ მაგრე იყო და...

ს კ ა პ ე ნ ი – (უჩვენებს სილიბისტროზედ) აბა, ჰკითხეთ ამას, თუ ამანაც ისე არ მოგახსენოსთ...

ა რ გ ა ნ ტ ი – (სილიბისტროს) მართლა ძალათი შერთეს?

ს ი ლ ი ბ ი ს ტ რ ო – დიახ, შენი ჭირიმე!

ს კ ა პ ე ნ ი – განა მე კი ტყუილს გაგიბედავთ?

ა რ გ ა ნ ტ ი – თუ მაგრე იყო, რატომ მაშინ არ წავიდა და არ გამოუცხადა ნოტარიუსს?

## ს კაპენის ცულლუტობა

ს კ ა პ ე ნ ი – კიდეც ეგ არის, რომ ეგ არ მოინდომა!

ა რ გ ა ნ ტ ი – ჰოდა! მაშინ მეც გამიადვილდებოდა მაგ ქორნინების გაუქმება.

ს კ ა პ ე ნ ი – ქორნინების გაუქმება?

ა რ გ ა ნ ტ ი – ჰო!..

ს კ ა პ ე ნ ი – ვერ გააუქმება! მაგას ვერ მოახერხებთ!

ა რ გ ა ნ ტ ი – ვერ შევიძლებ?

ს კ ა პ ე ნ ი – ვერა!

ა რ გ ა ნ ტ ი – განა მშობლის უფლება და ის ძალდატანება, რომელიც ჩემის შვილისათვის მიუყენებიათ, საკმაო მიზეზებათ არ მიიღებიან?!

ს კ ა პ ე ნ ი – კი, მაგრამ თქვენი შვილი არ იქნება თანახმა.

ა რ გ ა ნ ტ ი – არ დამეთანხმება?

ს კ ა პ ე ნ ი – არა!

ა რ გ ა ნ ტ ი – ჩემი შვილი?

ს კ ა პ ე ნ ი – დიახ, თქვენი შვილი. ნუთუ ფიქრობთ, ის გამოტყდეს საქვეყნოდ, რომ მართალია, შეაშინეს და ძალათი გადაწერეს ჯვარი? კარგი ერთი, რასა ბრძანებთ!.. თავის დღეშიდაც მაგის თანახმა არ გახდება. ეგ ის იქნება, რომ იმან იმისთანა მამის, როგორიც თქვენ ბრძანდებით, ულირს შვილად ჩაიგდოს თავი.

ა რ გ ა ნ ტ ი – ეგები ყველა ფეხებზედ მეიდიან.

ს კ ა პ ე ნ ი – რასა ბრძანებთ? მე მგონია, როგორც მისი, ისე თქვენის პატივისათვისაც, საჭირო იქნება, იმანა სთქვას, რომ ჩემი სურვილით შევირთე ცოლიო!..

ა რ გ ა ნ ტ ი – და მე მსურს, რომ ჩემი და მისი პატივისათვისაც სულ წინააღმდეგი აღიაროს.

ს კ ა პ ე ნ ი – არა, მე დარწმუნებული ვარ, რომ მაგას არ იზამს.

ა რ გ ა ნ ტ ი – ვაქნევინებ! ძალას დავატან...

ს კ ა პ ე ნ ი – მე მოგახსენებთ, რომ თანახმა არ გაგიხდება.

ა რ გ ა ნ ტ ი – მაშინ მემკვიდრეობას ჩამოვართმევ.

ს კ ა პ ე ნ ი – მემკვიდრეობას წართმევთ?..

ა რ გ ა ნ ტ ი – ჰო!..

ს კ ა პ ე ნ ი – ნუ ხუმრობთ!..

ა რ გ ა ნ ტ ი – როგორ თუ ვხუმრობ?..

ს კ ა პ ე ნ ი – ეჱ, ვერ ჩამოვართმევ!

ა რ გ ა ნ ტ ი – მე ვერ ჩამოვართმევ?

ს კ ა პ ე ნ ი – გეუბნებით, რომ ვერ ჩამოვართმევ-თქო.

## ს კაპენის ცულლუტობა

ა რ გ ა ნ ტ ი – ეგ ძალიან მომწონს – მე ვერ წავართმევ მემკვიდრეობას ჩემს საკუთარს შვილს. იმე! არა, ვინ დამიწყებს წინააღმდეგობას?!

ს კ ა პ ე ნ ი – ვინა და ისევე თქვენი თავი.

ა რ გ ა ნ ტ ი – ისევე მე?

ს კ ა პ ე ნ ი – გული არ გიზამსათ.

ა რ გ ა ნ ტ ი – მიზამს!..

ს კ ა პ ე ნ ი – კარგია, ღმერთი გადლეგრძელებსთ! თუ ხუმრობთ?

ა რ გ ა ნ ტ ი – სულაც არა ვხუმრობ!

ს კ ა პ ე ნ ი – მამობრივი სიყვარული თავისას გაიტანს.

ა რ გ ა ნ ტ ი – ვერაფერს ვერ გაიტანს.

ს კ ა პ ე ნ ი – მე მოგახსენებ, რომ კი გაიტანს.

ა რ გ ა ნ ტ ი – ღმერთს გეფიცები, რომ ვერა.

ს კ ა პ ე ნ ი – ეგ სულ ტყუილია.

ა რ გ ა ნ ტ ი – რა არი ტყუილი?

ს კ ა პ ე ნ ი – ღმერთო ჩემო! ნეტავი ვის ატყუებთ! რათ გინდათ, რომ გულშავათ გამოიჩინოთ თავი? ყველამ იცის, რომ თქვენ კეთილი, პატიოსანი და კეთილშობილი კაცი ბრძანდებით...

ა რ გ ა ნ ტ ი – კი, მაგრამ მასთანაც, როცა მინდა, ავიც კი ვარ. ეჱ, დავანებოთ თავი მაგ ობროდობას, მადედამ არა გამოდის-რა. (სილიბისტროს) შენ იმ ჩემ შერცხვენილ და თავსლაფდასხმულთან წაბრძანდი, ის მონახე და მე კი უხრონტისთან წავალ, იმას უნდა შევჩივლო ჩემი ნაღველი!

ს კ ა პ ე ნ ი – თუკი რამე შემეძლება, მე ყოველთვის თქვენი ყურმოჭრილი ყმა ვიქნები.

ა რ გ ა ნ ტ ი – გმადლობ! (თავისთვის) ოჱ, ღმერთო! ღმერთო! რათ დამიტევე მარტო ეს ერთი ვაჟი. ოჱ, რომ შემეძლოს და ვიპოვიდე იმ ჩემ დაკარგულ ქალს, მაშინ მთელს ჩემს მემკვიდრეობას სულ მარტო იმას გადავსცემდი!

## გამოსვლა მეშვიდე

ს კ ა პ ე ნ ი და ს ი ლ ი ბ ი ს ტ რ ო

ს ი ლ ი ბ ი ს ტ რ ო – არა, ძმაო, შენ მაგგვარ საქმეებში ძალიან ისტატი ყოფილხარ. იცი, კიდევ რა უნდა გითხრა: ჩვენ ფულები

## სკაპენის ცულლუტობა

აღარა გვაქვს და გვეჭირვება კი ძალიან. შეჩვენებული მოვალეები ილაჯს გვიწყვეტინ, ჯაჭვით დაბმული ძალებით გვილრენენ.

ს კ ა პ ე ნ ი – ჩუმად იყავი, მაგას მოვახერხებთ. მე აქ ყოლიფერი მზათ მაქვა! (თავზედ უჩვენებს) ახლა მე ერთს სანდო კაცს ვეძებ, რომ მოახერხოს და... მოიცა... მოიცა... აბა, ერთი სწორა გაჩერდი! ქუდი ჩამოიჩარჩე თავზედ, ისე, როგორც მასხარა ბიჭები ჩამოიჩარჩვენ ხოლმე!.. მარჯვეთ გადაადგი ბიჯი!.. დოინჯები შამოიდგი!.. თვალები გადმოაყვიაცე!.. ისე იარე, როგორც თიატრში სცენაზედ მეფეები დადიან ხოლმე!.. ჰო, ძალიან კარგი! ბარაქალა! სწორეთ ეგრე. მაშ, მომყევი! ახლა კიდევ ხმისა და სახის გამოცვლას დაგასწავლი!

ს ი ლ ი ბ ი ს ტ რ ო – ღვთის გულისათვის, მაგ საქმეში მე ნუ გამრევ!..

ს კ ა პ ე ნ ი – არა უშაგს-რა, წავიდეთ! მე და შენ ძმურათ უნდა გავიყოთ მარცხი!.. სამი წელი საპატიმროში ტყვეობამ ვერ უნდა შეა-შინოს კაცის პატიოსანი და კეთილშობილი გული.

## მოქმედება მეორე

### გამოსვლა პირველი

შ ე რ ო ნ ტ ი და ა რ გ ა ნ ტ ი

შ ე რ ო ნ ტ ი – სწორეთ, სწორეთ, სჩანს, რომ არსად შეაჩერ-ებენ, ეს-ეს არის, ტარენტიდან ახლათ მოსულმა მატროსმა დამარწ-მუნა, რომ თქვენები კვალში მომყებიანო. დღეს მე ჩემ ქალიშვილს მოველი, მაგრამ თქვენი შვილის საქმემ კი ძალიან გამაკვირვა და კიდევაც აურდაურია, სულ დამალა ჩვენი ნარჩევი საქმე.

ა რ გ ა ნ ტ ი – გეთაყვა, შენი ჭირიმე, მაგას ნუ ინაღვლებ! დამერწმუნეთ, რომ მაგ საქმეს ახლავე შევუდგები და, როგორც იქნება, გამოვაჭახრაკებ...

შ ე რ ო ნ ტ ი – ბატონო არგანტო, თუ თქვენი ნებაც იქნება, უნდა მოგახსენოთ, რომ შვილების გამოზრდაში დიდი სიფრთხილე მართებს კაცს, სახუმრო საქმე როდი გახლავს!

ა რ გ ა ნ ტ ი – რასაკვირველია. მაგრამ მერე რაო?

შ ე რ ო ნ ტ ი – რაო და ისა, რომ ცუდსა ზესა და გაფუჭებულ ხასიათებს შვილები მხოლოდ მაშინ გამოიჩენენ ხოლმე, როდესაც მშობლები კარგათ ვერ ზრდიან და, რომ უნდა, ისე ვერ ექცევიან.

## სკაპენის ცულლუტობა

ა რ გ ა ნ ტ ი – დია! სწორეთ! ეგ მართალი ბრძანებაა! მაგრამ ეგ რაზე ჩამოიარაკეთ?

შ ე რ ო ნ ტ ი – რაზე ჩამოვიარაკე?

ა რ გ ა ნ ტ ი – ჰო!..

შ ე რ ო ნ ტ ი – იმაზედ, თქვენ რომ მისთანა სასტიკი მხედვ-ელობა გქონდათ მიქცეული თქვენ შვილზე, როგორც შეპფერის ყოველ რიგიანსა და კეთილ მამას, მაშინ თქვენი შვილი მაგისთანა უგვანი საქმის ჩადენას ველარ გაბედავდა.

ა რ გ ა ნ ტ ი – ისემც კარგი დაგემართოს! მაშ, თქვენც რომ ყური გეგდოთ თქვენი შვილისათვის, მაშინ ველარც ის...

შ ე რ ო ნ ტ ი – ეჲ, რა ბრძანება! ჩემი საქმე სულ სხვა გახლავს! მაგგვარ რამეს ჩემი შვილი დიახაც ვერ გამიბედავს.

ა რ გ ა ნ ტ ი – კი, მაგრამ, მაგ შვილს, რომელზეც თქვენ მაგრე სასტიკათა გჭერია თვალყური, რომ ჩემს შვილზედაც უარესი რამ ჩაედინოს, მაშინ რაღას ბრძანებთ?

შ ე რ ო ნ ტ ი – როგორ თუ...

ა რ გ ა ნ ტ ი – ასე... ვინ იცის!..

შ ე რ ო ნ ტ ი – გამოარკვიეთ! მაგით რა გინდათ, რომ ბრძანოთ?

ა რ გ ა ნ ტ ი – აი, რა მინდა მოგახსენო, ჩემო უერონტო: თავის დღეში არ უნდა მივარდე კაცს აჩქარებით გასაკიცხათ; სანამ სხვას დარიგებას მისცემდე, უმჯობესია, ჯერ შენ თავზე დაიხედო და შეიტყო, ეგებ შენ უფრო მეტი გასაკიცხავიც რამ გქონდეს და კი ვერ ატყობდე თავს.

შ ე რ ო ნ ტ ი – მე ეგ თქვენი სიტყვები როგორდაც არ მესმის.

ა რ გ ა ნ ტ ი – ცოტა კიდევ მოითმინეთ და შეიტყობთ.

შ ე რ ო ნ ტ ი – ეგებ ჩემ შვილზე გაიგონეთ რამე?

ა რ გ ა ნ ტ ი – დიახ, არც უმისობა გახლავსთ.

შ ე რ ო ნ ტ ი – ნეტავი რა უნდა იყოს?

ა რ გ ა ნ ტ ი – რა მოგახსენოთ! მე ისე, გაკვრით მითხრა თქვენმა სკაპენმა და, თუ გნებავთ, თქვენ უფრო დაწვრილებით მოგიყვებათ. თორემა და, სხვას ვისმეს ჰკითხეთ, სხვებსაც ეცოდინებათ და მე კი ჩემ საქმეზე რჩევის საკითხავათ ადვოკატთან გავსწევ. მშვიდობით ბრძანდებოდეთ! (მიდის).

## გამოსვლა მეორე

შ ე რ ო ნ ტ ი – (მარტო) ნეტავი ეს რა უნდა იყოს? ჩემ შვილს უარესი საქმე ჩაუდენია! ჩემი აზრით, მე თუ მკითხავს, იმის შვილმა

## სკაპენის ცულლუტობა

რომ საქმე გაბედა, იმაზედ უარესი აღარ მოხერხდება-რა. მამის უნებურათ ცოლის შერთვა ისეთი დანაშაულობაა, რომ უარესის მოფიქრებაც აღარ შეიძლება.

### გამოსვლა მესამე

შ ე რ ო ნ ტ ი და ლ ე ა ნ დ რ ი

შ ე რ ო ნ ტ ი - აა, აქ ბრძანდები, კარგო კაცო!..

ლ ე ა ნ დ რ ი - (მივარდება და მოხვევას უპირებს) ახ, მამა-ბატონო, რარიგათ მიამა თქვენი დანახვა.

შ ე რ ო ნ ტ ი - (ხელს უწინავს) გასწი იქით, გაჩერდი, წყნარათ! ჯერ, ჩემო კარგო შვილო, ცოტაოდენი უნდა მოვილაპარაკოთ.

ლ ე ა ნ დ რ ი - ჯერ ნება მიბოძეთ, მოგეხვიოთ და მერე.. (მიინევს).

შ ე რ ო ნ ტ ი - გაჩერდი-თქო, გეუბნები, არ გესმის?

ლ ე ა ნ დ რ ი - როგორ, ბატონო, ნებას არ მაძლევთ, რომ შვილური ალერსით მოგეხვიოთ?

შ ე რ ო ნ ტ ი - დიახ, ნებას არ გაძლევ, ჯერ უნდა მოვილაპარაკოთ.

ლ ე ა ნ დ რ ი - რაზე, ბატონო?

შ ე რ ო ნ ტ ი - გამოიჭიმე ჩემ წინ!

ლ ე ა ნ დ რ ი - როგორ?

შ ე რ ო ნ ტ ი - შემომაჩერდი თვალებში!

ლ ე ა ნ დ რ ი - მერე?

შ ე რ ო ნ ტ ი - უჩემოთ აქ რა მომხდარა?

ლ ე ა ნ დ რ ი - რა უნდა მომხდარიყოს?

შ ე რ ო ნ ტ ი - განა არ იცი! შენ უჩემოთ აქ რა ამბები ჩაგიდენია?

ლ ე ა ნ დ რ ი - რა გნებავდათ, ბატონო, რომ ჩამედინა?

შ ე რ ო ნ ტ ი - მე კი არა მნებავდა, შენა გკითხავ, რას აკეთებდი აქ უჩემოთ?

ლ ე ა ნ დ რ ი - მე? სრულიადაც არაფერს, თქვენ საწყენს.

შ ე რ ო ნ ტ ი - არაფერი დაგიშავებია?

ლ ე ა ნ დ რ ი - დიახაც არაფერი.

შ ე რ ო ნ ტ ი - შენ ძალიან თამამათ ადგები უარს.

ლ ე ა ნ დ რ ი - რატომ არა, როდესაც ვიცი, რომ არა დამიშავებია-რა.

შ ე რ ო ნ ტ ი - კი, მაგრამ სკაპენმა შენზე ცოტა რაღაც-რაღაცეები მიამბო!

## სკაპენის ცულლუტობა

ლ ე ა ნ დ რ ი - სკაპენმა?

შ ე რ ო ნ ტ ი - დიახ, სკაპენმა. რათ გაწითლდი მაგრე უცბათ, ა? ლ ე ა ნ დ რ ი - იმან ჩემზე რამე გიამბოთ?

შ ე რ ო ნ ტ ი - აქ ადგილი არ არის, რომ რამე გითხრა. გასწი სახლში, მეც ახლავე მოვალ. შე საძაგელო, შენ! თუ სირცხვილის ჭმევა გინდა ჩემი, იცოდე, რომ ხელს ავიღებ შენ მამობაზე და შეგაჩვენებ და აღარც მინდა, რომ სადმე დამენახვო! დაიკარგე, აღარ მომელანდო, შე ავაზაკო, შენა! (მიდის).

### გამოსვლა მოოთხე

ლ ე ა ნ დ რ ი - (მარტო) გაგონილა ამისთანა ღალატი! ის გაიძვერა, ისა, რომელსაც ათასი მიზეზი ჰქონდა, რომ ჩემი საიდუმლო შეენახა, ნასულა და პირდაპირ მამაჩემისათვის მიუხარებია. ოპ, თუ კაცი ვყოფილვარ, მე იმას ამ ღალატს არ შევარჩენ!..

### გამოსვლა მეხუთე

ო ქ ტ ა ვ ი, ლ ე ა ნ დ რ ი და ს კ ა პ ე ნ ი

ო ქ ტ ა ვ ი - ჩემო კარგო და კეთილო სკაპენო, რომ იცოდე, რა მადლიერი ვარ შენი! არა, სწორეთ საკვირველი კაცი ყოფილხარ; მადლობა ჩემს გამჩენს, რომ შენი თავი გამიჩინა ამ გაჭირვების დროს.

ლ ე ა ნ დ რ ი - (მივარდება სკაპენს) ა, როგორც იქნა, მიგაგენ, შე საძაგელო, შე ღვთის რისხვავ, შენა...

ს კ ა პ ე ნ ი - გახლავარ თქვენი მონა-მოსამსახურე. მე მაგის ლირსი არ გახლავარ, თქვენ ერთობ მეტს პატივს მაძლევთ, ჩემო ხელმწიფე-ბატონო!

ლ ე ა ნ დ რ ი - მოიცადე და შენ გაყურებინებ შენს სეირს! (ხმალს იღებს) ჭკუას გასწავლი!

ს კ ა პ ე ნ ი - (დაიჩიქებს) ბატონო!.. შენი ჭირიმე!..

ო ქ ტ ა ვ ი - (ხელს უჭირს ლეანდრს) ლეანდრო!

ლ ე ა ნ დ რ ი - დამაცა, ხელს ნუ მიშლი, მე შენა გთხოვ!..

ს კ ა პ ე ნ ი - (ლეანდრს) ვაიმე... ჩემო ხელმწიფე-ბატონო!..

ო ქ ტ ა ვ ი - ლეანდრო! ღვთის გულისათვის.

ლ ე ა ნ დ რ ი - (სცდილობს, რომ შემოჰკრას სკაპენს) ხელს ნუ მიშლი-თქო, გეუბნები.

## სკაპენის ცულლუტობა

ო ქ ტ ა ვ ი – (აჩერებს) თუ ჩემი მეგობრობა გწამს, თავი დაანებე  
მაგას.

ს კ ა პ ე ნ ი – ბატონო, რა დანაშაული მაქვს?

ლ ე ა ნ დ რ ი – (სცდილობს, დაპერას) რა გიქნია ჩემთვის, შე  
გაუტანელო, შენ!..

ო ქ ტ ა ვ ი – (ხელს უჭრს) კარგია, კმარა! ერთი, თავი დაანებე.

ლ ე ა ნ დ რ ი – არა, არ შეიძლება, ოქტავო! მე მინდა, რომ თვი-  
თონვე გამომიტყდეს იმ ღალატში, რომელიც მე მომინდომა, რას  
ვამბობ? მომინდომა კი არა, კიდევაც მიღალატა და გაათავა... დასხ,  
შე საძაგლო, ყველაფერი მიამბეს, შევიტყვე, რა საქმეც გიქნია ჩემ-  
თვის. მაგრამ ჯერ მინდა, რომ თვითონ შენ შენი პირით გათქმევინო  
და მერე კი შუა გაგხვრეტ მაგ ხმლით...

ს კ ა პ ე ნ ი – ვაი... ბატონი! მაგას რას ბრძანებთ?! ეგება, მარ-  
თლა მკლავდეთ, ალარც კი ხუმრობდეთ!

ლ ე ა ნ დ რ ი – სთქვი!

ს კ ა პ ე ნ ი – ღმერთო ჩემო, ამისთანა იქნება! რა დამიშავებია  
თქვენთვის, რომ ალარა მზოგავთ?!

ლ ე ა ნ დ რ ი – მოჰყევი, შე ღვთის პირისაგან შეჩვენებულო. შენ  
უკეთ გეცოდინება ჩემზე.

ს კ ა პ ე ნ ი – დამიჯერეთ, რომ არაფერი არ ვიცი!..

ლ ე ა ნ დ რ ი – არ იცი? (მოუნდომებს შემოკვრას).

ო ქ ტ ა ვ ი – (აკავებს) ლეანდრო!..

ს კ ა პ ე ნ ი – რადგანაც ალარ მეშვებით, უნდა გამოგიტყდეთ,  
მეტი გზა ალარ არის: ამ დღეებში რომ ერთი ბოჩკა პისპანიური ღვინო  
მოგართვეს ძღვნათ, ის ღვინო მე და ჩემმა მეგობრებმა გამოვცალეთ.  
მერე მე ბოჩკა გავხვრიტე განგებ, და ორგვლივ წყალი დავაქციე, რომ  
თქვენ მომეტყუებიეთ და ღვინო გვინებოდათ დაქცეული.

ლ ე ა ნ დ რ ი – მაშ, შენ დაგილევია ჩემი ღვინო და მე კი მოახლე  
ტყვილა-უბრალოთ შემომელანდა!... საწყალს ყურის უგდებლობა  
დავწამე...

ს კ ა პ ე ნ ი – დიახ, მე გახლდით, შენი ჭირიმე, და კიდევაც  
გევედრებით, მაპატივოთ.

ლ ე ა ნ დ რ ი – კარგი, რომ შევიტყვე, მაგრამ საქმე ეგ არ არის.  
სთქვი კიდევ..

ს კ ა პ ე ნ ი – აბა, ეს არ იყო?

ლ ე ა ნ დ რ ი – დიახაც არა, შენ მე კიდევ უარესი საქმე მიყავი.  
სთქვი!

## სკაპენის ცულლუტობა

ს კ ა პ ე ნ ი – მაშ, მე მეტი ალარა მახსოვს-რა, შენი ჭირიმე.

ლ ე ა ნ დ რ ი – (სცდილობს ხმლის შემოკვრას) არ გინდა, გამომი-  
ტყდე?

ს კ ა პ ე ნ ი – ვაიმე! ვაიმე!..

ო ქ ტ ა ვ ი – (ხელს უჭრს) კარგია ერთი, კმარა!..

ს კ ა პ ე ნ ი – მახსოვება! მახსოვება! ახლა გამახსენდა: ამ სამი კვირის  
ნინეთ თქვენ გამგზავნეთ თქვენ საყვარელ ახალგაზრდა ეგვიპტელ  
ქალთან და საჩუქრათ ოქროს საათი გამატანეთ, მაგრამ მე ტალახში  
ამოთითხნილი, ცხვირპირდასისხლიანებული დავბრუნდი და მოგახ-  
სენეთ, რომ ავაზაკები დამიხვდენ გზაში, ბევრი მირტყეს და საათიც  
წამართვეს-თქო. ის, ბატონო, თვითონ მე გახლდი, მევე მოვიპარე  
საათი, თქვენ კი მოგატყუეთ.

ლ ე ა ნ დ რ ი – მაშ, ის საათიც შენ მოიპარე?

ს კ ა პ ე ნ ი – დიახ, ჩემო ხელმწიფევ! რომ შემეტყო, თუ რამდენი  
საათია-თქო.

ლ ე ა ნ დ რ ი – ბარაქალა! ძალიან აგისრულებია ჩემი მონდო-  
ბილება!.. მაგრამ ეგ ის კიდევ არ არის, რასაც მე გკითხავ.

ს კ ა პ ე ნ ი – არც ეს არი?

ლ ე ა ნ დ რ ი – არა, შე ცულლუტო! მე მსურს, რომ სხვაში გამო-  
მიტყდე.

ს კ ა პ ე ნ ი – (თავისთვის) დალახვროს ღმერთმა!

ლ ე ა ნ დ რ ი – სთქვი მალე!

ს კ ა პ ე ნ ი – მაშ, მე თქვენთვის მეტი არა დამიშავებია-რა!

ლ ე ა ნ დ რ ი – (უპირებს დაკვრას) მეტი არაფერი?

ო ქ ტ ა ვ ი – (ხელს უჭრს) გაიგონე...

ს კ ა პ ე ნ ი – ვიცი! ვიცი, შენი ჭირიმე! ამ ექვსი თვის წინეთ,  
კარგათ თქვენ გზაზე შეგახურვეს! კარგა ლაზათიანათ გაგჯონეთ და  
თქვენც, გაქცეული, სარდაფში ჩავარდით და იქაც კინალამ კისერი  
მოიტეხეთ.

ლ ე ა ნ დ რ ი – მერე?

ს კ ა პ ე ნ ი – ის მე გახლდით, შენი ჭირიმე, მე გაგზურგეთ!

ლ ე ა ნ დ რ ი – თორები ის შენ იყავი?

ს კ ა პ ე ნ ი – დიახ, მინდოდა შემეშინებია და მომეშლევინებია  
თქვენთვის გვიან ღამლამბით ჩვენი აქეთ-იქით გაგზავნა.

ლ ე ა ნ დ რ ი – ჰმ! მაგაზე ლაპარაკს კიდევ მოვესწრებით, ჯერ  
ეს მითხარი, მაბაჩემს შენ რა ენა მიუტანე?

ს კ ა პ ე ნ ი – მამათქვენს?

## სკაპენის ცულლუტობა

ლ ე ა ნ დ რ ი – ჰო, შე საძაგლო, მამაჩემს!..

ს კ ა პ ე ნ ი – ჯერ არც კი მინახავს, თქვენი რისხვა არა მქონდეს.  
ლ ე ა ნ დ რ ი – არ გინახავს?

ს კ ა პ ე ნ ი – შენი ხატის მადლი არ გამიწყრეს. თორემ, თუ გნე-  
ბავთ, თვითონ ბატონი მამათქვენიც გეტყვით მაგას.

ლ ე ა ნ დ რ ი – რას ამბობ, რომ თვითონ მისგან გავიგონე?

ს კ ა პ ე ნ ი – მაშ, თუ არ გამიწყრებით, ძალიან მიუქარავს იმ  
დალოცვილს.

## გამოსვლა მეექვსე

ლ ე ა ნ დ რ ი, ო ქ ტ ა ვ ი, კ ა რ ლ ი და ს კ ა პ ე ნ ი

კ ა რ ლ ი – (ლეანდრს) ძალიან უსიამოვნო ამბავი მოგიტანეთ,  
ჩემო ბატონო.

ლ ე ა ნ დ რ ი – რაო? რა ამბავია?

კ ა რ ლ ი – თქვენი ეგვიპტელები ემგზავრებიან და ზერბინეტაც  
თან მიჰყავთ. საბრალომ ტირილით შემევედრა თქვენთან მოსვლა და  
შეტყობინება, რომ, თუ ეხლავე არ უშოვეთ ის ფულიც, რომელსაც  
თქვენ დაპირებიხართ, საქმე დაიღუპება, – ერთ წამსაც ნუ დაპ-  
კარგავთ, მალე შემოიტანე ჩემი სასყიდელიო, თორემ საუკუნოთ  
დაგეკარგებიო. ორი საათის დაგვიანებაც ძნელია, თორემ მეტი აღარ  
შეიძლებაო.

ლ ე ა ნ დ რ ი – ორი საათი?

კ ა რ ლ ი – დიახ, ორი საათი. მეტი არა!..

## გამოსვლა მევეიდე

ლ ე ა ნ დ რ ი, ო ქ ტ ა ვ ი და ს კ ა პ ე ნ ი

ლ ე ა ნ დ რ ი – ახ, ჩემო კარგო სკაპენო, გევედრები, თუ  
გიყვარდე, მიშველე რამე!

ს კ ა პ ე ნ ი – (წამოდგება და ძალიან გულდიდათ გაივლ-გამოივლის  
ლეანდრის წინ) დიახ, „კარგო სკაპენო“, „თუ გიყვარდე“!.. ჰმ, დიახ, მე  
ყოველთვის კარგი ვარ და კეთილი, როცა კი საჭირო ვარ ხოლმე...

## სკაპენის ცულლუტობა

ლ ე ა ნ დ რ ი – რამიდაც კი გამომიტყდი, სულ ყველაფერი  
მიპატივებია. ასე გასინჯე, რომ, თუკი რამ მართლა გითქომს მამიჩე-  
მისათვის, ისიც შემინდვის.

ს კ ა პ ე ნ ი – არა, რა პირობაში? ჩემთვის საჭირო არ გახლავს  
პატივი და შენდობა. გამკუჭეთ მაგ თქვენი ხმლით, თუ მომკლავთ,  
მე კიდეც მიამება.

ლ ე ა ნ დ რ ი – რის გულისათვის უნდა მოგელავ კი  
არა, მე პირიქით გეხვეწები, რომ მომეხმარო როგორმე და შენი სამ-  
სახურით სიცოცხლე დამიბრუნო.

ს კ ა პ ე ნ ი – არა! არა! მომკალით! ის უკეთესი იქნება.

ლ ე ა ნ დ რ ი – შენ ჩემთვის ძვირფასი ხარ და დაუფასებელი.  
გევედრები, თუ ღმერთი გრწამს, მომეხმარე როგორმე შენი უცნ-  
აური ხერხიანობით.

ს კ ა პ ე ნ ი – არა, არა! მომკალით! აი, ჩემი გულ-მკერდი!..

ლ ე ა ნ დ რ ი – კარგია, ახლა! ღვთის გულისათვის, დაივიწყე. შენ  
მხოლოდ იმაზე იფიქრე, რასაც მე გთხოვ.

ო ქ ტ ა ვ ი – სკაპენო, უნდა როგორმე უშველო. უმისობა არ  
იქნება.

ს კ ა პ ე ნ ი – დიახ! სწორეთ! მისთანა შეურაცხყოფის შემდეგ?

ლ ე ა ნ დ რ ი – რჯულს გაფიცებ, ნულა იგონებ იმ ჩემ გულმო-  
სულობას. შენ ისა ჰქენი, რასაც ახლა გთხოვ.

ო ქ ტ ა ვ ი – მეც იმასა გთხოვ, ჩემი სკაპენ!

ს კ ა პ ე ნ ი – წელანდელი გაუბატიურება ლოდივით მაწევს გულზე.

ლ ე ა ნ დ რ ი – ჩემი სკაპენო! ნუთუ ახლა გინდა უკუმელო,  
ამგვარ გაჭირვების დროს ხელი ამაღო?

ს კ ა პ ე ნ ი – ძნელი გასაბედი იყო იმგვარათ ჩემი სირცხვილის  
ჭმევა.

ლ ე ა ნ დ რ ი – დანაშაული ვარ, ველარ დავფიცავ.

ს კ ა პ ე ნ ი – არა, ჩემი გალანძღვა, ჩემი ბიაბროთ გახდა ადვილი  
იყო?!

ლ ე ა ნ დ რ ი – სკაპენო, წმინდის გულით ვითხოვ მოტევებას...

ს კ ა პ ე ნ ი – ჩემ ხელში დამუქრება... ჰმ...

ლ ე ა ნ დ რ ი – მაგაზედაც ბოდიშს ვიხდი, მომიტევე (იჩო-  
ქებს) სკაპენო, სკაპენო! აპა, ხედავ, მუხლებს ვიყრი და ისე გაფიცებ  
ღმერთს, ამ გაჭირვებაში ნუ მიმატოვებ, მომეხმარე.....

ო ქ ტ ა ვ ი – სკაპენო, უნდა როგორმე მოეხმარო, მეტი გზა არ არის.

ს კ ა პ ე ნ ი – ზეზე ადექი, მაგრამ კულავ კი ფრთხილათ იყავი,  
აღარა წაგცდეს-რა.

## სკაპენის ცულლუტობა

ლ ე ა ნ დ რი – მაშ, დამეხმარები?

ს კ ა პ ე ნი – შეიძლება! ვიფიქრებთ...

ლ ე ა ნ დ რ ი – კი, მაგრამ ხომ იცი, რომ დრო ძვირათ მიღირს?

ს კ ა პ ე ნ ი – ეჰ, კარგია ერთი, თავს ნუ იწუხებ, შენ გაზრდას, რამდენი გეჭირვება?

ლ ე ა ნ დ რ ი – ხუთასი ოქრო.

ს კ ა პ ე ნ ი – თქვენ?

ო ქ ტ ა ვ ი – მეც ორასი ოქრო.

ს კ ა პ ე ნ ი – მაგ ფულებს მე მამათქვენებსვე გამოვტყუებ. (ოქტავს) თქვენ შესახებ ყველაფერი მოფიქრებული მაქვს და ვიცი, როგორც უნდა გავისარჯო. (ლეანდრს) თქვენი კი ცოტა ძუნი ბრძანდება, მაგრამ მე მაინც იმედი მაქვს, რადგანაც აქ (შუბლზე მიიდებს ხელს) ცოტა ვერ უჭყავა და, რაც უნდა უთხრა, მაშინვე დამიჯერებს... იმედი მაქვს, ეს ჩემი გახსენება საწყენათ არ დაგირჩებათ, რადგან, როგორც ამბობენ, თქვენსა და მამათქვენს შუა, საზოგადოთ, ბევრი მსგავსება არა არის-რა. ყველას ასე ჰგონია, თუ ის მხოლოდ სხვის შესახედათ არის თქვენი მამა, თორემ ისე კი...

ლ ე ა ნ დ რ ი – კარგი! კარგი! გაათავე! კმარა!..

ს კ ა პ ე ნ ი – რა კმარა! კმარა, მარა კი არ კმარა!.. თქვენ, მგონია, ისევ ხუმრობას აპირებთ. (შენიშვნავს არგანტს) სსსუ! აი, აგერ ოქტავის მამა მობრძანდება. ჯერ იმისაგან დავიწყებ, რადგან პირველათ ეგ შემეფეთა წინ. (ოქტავს) წადით და სილიბისტროს შეატყობინეთ, რომ მალე მოვიდეს ჩემი დარიგების ასასრულებლათ.

## გამოსვლა მერვე

ს კ ა პ ე ნ ი დ ა ა რ გ ა ნ ტ ი

ს კ ა პ ე ნ ი – (თავისთვის) ჰე, მიაყოლა ცხვირის ცემას.

ა რ გ ა ნ ტ ი – არა, ასე საძაგელი და უგუნური როგორ უნდა იყოს კაცი, რომ ამისთანა საქმე გაბედოს. ოჳ, ოჳ, სიჭაბუკევ, სიჭაბუკევ, შენ წინდაუხედავო, შენა!

ს კ ა პ ე ნ ი – ღვთის წყალობა, ჩემო ხელმწიფე-ბატონო!

ა რ გ ა ნ ტ ი – გაგიმარჯოს, ჩემო სკაპენო!

ს კ ა პ ე ნ ი – თქვენ ისევ თქვენს ვაჟზედა ჰიტორობთ, შენი ჭირიმე?

## სკაპენის ცულლუტობა

ა რ გ ა ნ ტ ი – სწორეთ უნდა გამოვტყდე, რომ ამ საძაგელმა ბევრი უსიამოვნება მომაყენა.

ს კ ა პ ე ნ ი – ეგრეა, ბატონო. ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი ცხოვრება სულ ცარიელი სხვადასხვა შემთხვევებია. კაცი ყველაფერს უნდა მოელოდეს, მზათ უნდა იყოს. მე ყოველთვის ერთი ძველი ბრძენის ნათქვამით ვხელმძღვანელობ ხოლმე.

ა რ გ ა ნ ტ ი – აბა, რა არი?

ს კ ა პ ე ნ ი – ცოლ-შვილის პატრონი კაცი რომ საითმე გაემგზავრება, დაბრუნების დროს ყოველთვის ის უნდა ჰქონდეს სახეში, რომ ოჯახი არეულ-დარეული დაუხვდება: ქონება სულ დამწვარი, ფულები მოპარული, ცოლი მკვდარი, ვაჟიშვილი ყელგამოჭრილი და ქალიშვილი გაუპატიურებული, და, თუ ესენი ყველა ერთად არ აუსარულდა, ღმერთს მადლობა უნდა შესწიროს და თავი ბედნიერათ ჩაითვალოს. ჩემთვის მაინც ესენი ყველა ცხოვრების კანონია: როდესაც შინ ვბრუნდები, ყოველთვის ერთათ მოველი ხოლმე ბატონების რისხვას, ლანდღვას, გინებას, გათორევას, გაუპატიურებას და სხვ... და, თუ ესენი ყველა ერთათ არ გადამხდა, მადლობელი ვარ ხოლმე ჩემი ბედის და ღმერთს მადლობასა ვსწირავ, ჩემო ბატონ!

ა რ გ ა ნ ტ ი – ეგ ყველა მაგრეა, მაგრამ, ჩემო სკაპენო, იცოდე, რომ მაგ უკანონო ქორწილმა ჩემი აზრები სულ აურდაურია. იცოდე, რომ მე ამას ვერ მოვითმენ და კიდევაც გავსწევ ეხლა ადვოკატთან ჩემვის საკითხათ... ეგება, როგორმე მოვშალო ეს საქმე.

ს კ ა პ ე ნ ი – აჳ, მაგას კი ნუ მიბრძანებთ! ღმერთი გადლეგრძელებსთ!.. ეგ რა ბრძანება! უკეთესი არ იქნება, რომ სხვაგარათ შევუდგეთ როგორმე საქმეს, თორემ ხომ იცით, საჩივარს რა წვალება და ვაი-ვაგლახი უნდა... ადვოკატები პირაქეთვე ასე დაგხლართვენ, თუ ჩაგიგდეს ხელში, რომ თქვენზედ უცოდვესი ქვაც აღარ იქნეს.

ა რ გ ა ნ ტ ი – მართლა... მაგას მეც ვიქიპედია, მაგრამ, აბა, რა ვქნა, რომ მეტი ღონე აღარა მრჩება-რა?!

ს კ ა პ ე ნ ი – იცით, რას მოგახსენებთ? შევიტყვე თუ არა ეგ თქვენი უსიამოვნება, ცეცხლი მომეკიდა, დავიწყე ერთი ფიქრი და თავისტება, ეგება ვუშველო რამე-თქო. უნდა გამოგიტყდეთ, რომ აგრე უპატიოსნოთ ქცევა შვილის მამასთან, ვისიც უნდა იყოს, ძალიან მაღელვებს და, რასაკვირველია, რომ თქვენ უფრო შეგანუხებდა, თორემ თქვენც კარგათ მოგეხსენებათ ჩემი ერთგულება...

ა რ გ ა ნ ტ ი – ღმერთმა გიშველოს, ჩემო სკაპენო!..

ს კ ა პ ე ნ ი – რაღა ბევრი განუხოთ ბევრი ლაყბობით... მე მაშინ-ათვე გავსწიე იმ ქალის ძმასთან, რომელიც თქვენმა შვილმა შეირთო

## სკაპენის ცულლუტობა

და ვნახე... იმე, ვნახე, მარა რა ვნახე! რა ყოფილა, ღმერთო! ერთი ვიღაც ხეპრე კაცი, მის თავში ხმლის მეტი არა ტრიალებს-რა... სულ დუელებზე ლაპარაკობს და კაცის კვლაზე. ასე არაფრათ მიაჩნია ადამიანის სისხლის დაქცევა, როგორც ერთი ყანწი ღვინის. აბა, არა გეტკინოს-რა, კაცის მოკვლისათვის ის სინიდისმა არ შეანუხოს... მე ჩამოვუარაკე ქორნინებაზე, და ისიც ვუთხარი გადაკვრით, თუ თქვენ ვინა ხართ და რა დამოკიდებულება გაქვთ, ან რა შეძლების კაცი ბრძანდებით; ამასაც მშობლის უფლებაც დავამატე და ავუხსენი, რომ კარგი იქნებოდა ფულზე მორიგებით საქმის გათავება-თქო.

ა რ გ ა ნ ტ ი - მერე?

ს კ ა პ ე ნ ი - ჯერ მისთანა სასყიდელი ითხოვა, რომ კაცის ყურს არ გაეგონებოდა.

ა რ გ ა ნ ტ ი - მაინც?

ს კ ა პ ე ნ ი - არც კი ლირს, რომ მოგახსენოთ.

ა რ გ ა ნ ტ ი - არა, მაინც ვიცოდეთ, რა გენალვლება?!

ს კ ა პ ე ნ ი - ჯერ, ბატონო, ხუთასს, ან ექვსას ოქროს ფეხიც არ მოუცვალა.

ა რ გ ა ნ ტ ი - ხუთას ან ექვსას ოქროს? ხომ არ გადარეულა? ხუთასი ლახვარი იმას გვერდებში.

ს კ ა პ ე ნ ი - მეც მაგრე ვუთხარი! რას ამბობ, სულელი კი ნუ გგონია ის კაცი, რომ ხუთას-ექვსასი ოქრო რომ ასე ალალათ მოგითვალოს-თქო. ბევრი ვეჩიჩინე და ბოლოს, როგორც იქნა, დავითანხმე. რაღაცა ბედათ, სამსახურში წასვლა ეჩქარება, ფულები კი შემოკლებია და, მაშ, რაღა გზა აქვს, არ დამეთანხმოს. ცხენის ყიდვა უნდა და მისთვის სამოცი ოქრო ეჭირვება.

ა რ გ ა ნ ტ ი - სამოცი ოქრო? რა გაეწყობა! ჯანი გავარდეს, მივსცემ.

ს კ ა პ ე ნ ი - მაგას გარდა, ჩემო ბატონო, დამბაჩებიც არ ჰქონია და ოცი ოქროც მის საყიდლათ უნდა.

ა რ გ ა ნ ტ ი - სამოცი და ოცი: ეს შეადგენს ოთხმოცს. ბევრი კია, მაგრამ რაღა გაეწყობა, მივცემ, როგორც იქნება!

ს კ ა პ ე ნ ი - ამას გარდაც, კიდევ ერთი ცხენი ბიჭისათვის; ისიც უნდა ელიროს; ერთი ოცდაათი ოქროს ნაკლებ არ იშოვება, როგორც თვითონ ამბობს.

ა რ გ ა ნ ტ ი - მეტისმეტი მოუნდომებია. სულ ვერაფერსაც ვერ მიიღებს, თუ მაგრეა.

ს კ ა პ ე ნ ი - კარგი ერთი, თქვე დალოცვილო!

## სკაპენის ცულლუტობა

ა რ გ ა ნ ტ ი - არაფერს არ მივცემ!

ს კ ა პ ე ნ ი - შე დალოცვილო, ქვეითად ხომ ვერ გაჰყვება მისი მოსამსახურე?

ა რ გ ა ნ ტ ი - როგორც უნდათ, ისე წაეთრენ. ორივეს ჯანი გავარდეთ, მე რას დავეძებ?!

ს კ ა პ ე ნ ი - ეეჭ, დალოცვილო, ცოტა რამეზე დაიხუეთ თქვენცა. ჭეშმარიტათ, სულ რომ მისცეთ, ისა სჯობს ადვოკატებთან საქმის დაჭრას.

ა რ გ ა ნ ტ ი - ეჭ, ჯანი გავარდეს! მიმიცია ოცდაათი ოქროც, ოხრათ მოახმაროს ჩემმა გამჩენმა.

ს კ ა პ ე ნ ი - რასაკვირველია, მაგრე სჯობია, ერთი კიდევ ახლა გამახსენდა, ის ასე მოგახსენებს, რომ ერთი საბრალო ჯორიც მეჭირვებაო.

ა რ გ ა ნ ტ ი - კიდევო? კისერიც მოუტეხიათ იმასაცა და მის ჯორსაც... ეხლავე მივალ, ისევ საჩივარს დავინწყებ.

ს კ ა პ ე ნ ი - კარგია, ღვთის გულისათვის.

ა რ გ ა ნ ტ ი - ჩუმათ იყავი, ტყუილათ ნუღა მირჩევ.

ს კ ა პ ე ნ ი - რა უნდა იყოს ერთი გლახა, უხეირო, მუნიანი ჯორი!

ა რ გ ა ნ ტ ი - ერთ გროშსაც არ მივცემ, ერთი ფარა რომ უნდა, იმასაც.

ს კ ა პ ე ნ ი - არა, თვითონვე გასინჯეთ და...

ა რ გ ა ნ ტ ი - არა, უნდა ვიჩივლო! უნდა! გესმის?

ს კ ა პ ე ნ ი - ნეტავი ერთი, რას აპირობთ, რომ იცოდეთ, თქვე დალოცვილო. განა არ იცი, რამდენი ჭახრაკები და ხერხებია ჩვენს სასამართლოებში? თვითონველი იქ მოსამსახურე იმას ეცდება, რომ აგაფეტებიას რამე. თქვენ უნდა დაიჭიროთ საქმე პრისტავებთან, მსაჯულთან, სეკრეტართან, პროკურორთან, ადვოკატებთან და მწერლებთან, - ერთის სიტყვით, ვინც კი იქ მსახურებს, ყველასთან. და, ხომ იცით, რა შვილებიც არიან? ვინც გინდათ მათგანი, თვითონველი ერთის გროშის გულისათვის მართლმსაჯულებას კისერს მოატებინებს, სულ ცხვირ-პირს ჩაალენს. პრისტავი ყალბ უწყებას მისცემს და თქვენ გაგხვევენ საქმეში. პროკურორი ორი აბაზისათვის თქვენვე გაგყიდისთ კარგა ლამაზათ. თქვენი ადვოკატი, მოპასუხისაგან მოყიდული, თქვენვე ყინვაზედ გაგაცურვებსთ და დამნაშავეთ თქვენვე გამოგიყანსთ; სეკრეტარი რამეს გიხიმანებსთ... მოწმები გიმტყუნებენ და იტყვიან, ჩვენ არაფერი არ გვინახავსო და სხვ... ერთის სიტყვით, რომ კიდეც გადაურჩეთ ამაებს ყველას სასწაულით, მაინც

## სკაპენის ცულლუტობა

არც მაშინ დარჩებით მოგებას: აგიტყვდებათ მთელი საზოგადოება, ჰაი, ასე, ჰაი, ისეო და დაგინებენ სიცილს. არა, ბატონი! თავს უშველულ როგორმე. მოშორდით სასამართლოებს! სიახლოვესაც ნუ გაივლით, სასამართლოში საქმის დაწყებას, თავის სიცოცხლეში რომ გაჭირვებული იაროს კაცმა, ჩემის აზრით, ისა სჯობს. მე რომ ესები მომაგონდება ხოლმე, მინდა, რომ ცხრა მთას იქით გადავიკარგო, ან ინდოეთში სადმე ამოცყო თავი.

ა რ გ ა ნ ტ ი – რამდენს თხოულობს, მაინც, ჯორის ფასათ?

ს კ ა პ ე ნ ი – ჯორისა, მოსამსახურის ცხენისა, უნაგირისა, დამბაჩებისა და ცოტაოდენიც კიდევ ვალებისათვის, რომელიც მის მასპინძელს უნდა გადაუხადოს, ერთი სიტყვით, სულ ყოველიფრი-სათვის ორას ოქროს თხოულობს, არც მეტსა და არც ნაკლებს.

ა რ გ ა ნ ტ ი – ორას ოქროს?

ს კ ა პ ე ნ ი – დიახ, მეტს არა!..

ა რ გ ა ნ ტ ი – არა, არაფრის გულისათვის არ მივსცემ. ისევ ვიჩივლებ.

ს კ ა პ ე ნ ი – კარგათ იფიქრეთ.

ა რ გ ა ნ ტ ი – სწორეთ ვიჩივლებ.

ს კ ა პ ე ნ ი – შე დალოცვილო, გინდათ, ერთი ვაი-ვაგლახი აიტეხოთ...

ა რ გ ა ნ ტ ი – უნდა ვიჩივლო!

ს კ ა პ ე ნ ი – კი, მაგრამ საჩივრისათვის ფული დაგჭირდებათ; უწყებისათვის ფულიც უნდა გადიხადოთ, ვექილობისათვის – ფული, გადასაწერი – ფული, საქმის დასაჩქარებლათ – ფული, ღერბის ქაღალდში – ფული და ყოლიფრში ფული, ერთის სიტყვით, სულ ფული და ფული! ახლა, რასაც ადვოკატი წაგაგლეჯს, იმას აღარ ანგარიშობთ? თქვენ როგორც გნებავდეთ, ბატონი, მაგრამ ჩემი აზრით კი სჯობია, რომ იმ შეჩვენებულს მისცეთ, რასაც თხოულობს და გაათავოთ.

ა რ გ ა ნ ტ ი – როგორ! ორასი ოქრო? არასოდეს!

ს კ ა პ ე ნ ი – რასა ბრძანებთ, უფრო მოგებას არ იქნებით? მე ეგები სულ ნაანგარიშები მაქვს: ღმერთს გეფიცებით, ორასი ოქრო რომ გადიხადოთ, ორასს კიდევ მოგებას დარჩებით, თორემ, თუ სუდის წესით დაიწყეთ საქმე, ერთი-ორათ უარესი დაგემართებათ. სხვა უსიამოვნობას გარდა, ფულათ ორი იმდენი ხარჯი მოგივათ. დამერწმუნეთ, რომ მორიგება აჯობებს. სამასი ოქროს გადახდა სჯობია იმ ადვოკატებთან, იმ ურიებთან საქმის დაჭერას.

## სკაპენის ცულლუტობა

ა რ გ ა ნ ტ ი – ფეხებზედ მკიდია სულ ყოლიფრი... ახლავ ადვო-კატს მოვძებნი და, ჯინზედა, სირცხვილს კი არა ვსჭამ...

ს კ ა პ ე ნ ი – თქვენი წება გახლდესთ. მე თქვენს ადგილზედ სხვებ გავათავებდი მაგ საქმეს...

ა რ გ ა ნ ტ ი – და მე კი არასოდეს არ მივსცემ ორას ოქროს...

ს კ ა პ ე ნ ი – აი, ის ავაზაკი, ის გიუ, რომელზედაც წელან მოგახსენებდი.

## გამოსვლა მეცხრე

ა რ გ ა ნ ტ ი, ს კ ა პ ე ნ ი და ს ი ლ ი ბ ი ს ტ რ ო (სხვანაირათ მორთული)

ს ი ლ ი ბ ი ს ტ რ ო – სკაპენო! შენს გაზდას, ერთი მიჩვენე სადმე არგანტი, ოქტავის მამა!..

ს კ ა პ ე ნ ი – რათ გნებავსთ, შენი ჭირიმე?

ს ი ლ ი ბ ი ს ტ რ ო – მე მითხრეს, ჩივილს აპირებსო, რომ მით, ეგება, ჩემი დის ჯვარდაწერილობა მოშალოს, გააუქმოსო.

ს კ ა პ ე ნ ი – მაგისი რა მოგახსენოთ, შენი ჭირიმე, აპირობს მოშლას თუ არა, მაგრამ ეს კი ვიცი, რომ ორასი ოქროს მოცემას არ გიპირობს. ამბობს, რომ ბევრიათ.

ს ი ლ ი ბ ი ს ტ რ ო – ვაი დედამისს! ცოცხალს არ გადავარჩენ! სულ ლუქმა-ლუქმა ავეუწავ, გულის ჯავრს ამოვიყრი და მერე, გინდა, ასო-ასო დამხერხონ, არ მენალვლება. (არგანტი ცახცახით, რომ არ შენიშნონ, სკაპენს ეფარება).

ს კ ა პ ე ნ ი – შე დალოცვილო, განა მართალი კი ნუ გგონიათ: ოქტავის მამა მაგრე ძალიანაც არ შეგიშინდებათ.

ს ი ლ ი ბ ი ს ტ რ ო – სასუ! ხმა ჩაიწყვიტე! მოვჰელავ! სულს ამოვახდენ! გოჭივით გამოვჭრი ყელს! ნეტავი ახლა ის აქ იყოს. მალე მტერი მოგიკვდეს, მალე მე იმას ამ ხმლის წვერზედ ავაგებდი!.. (დაინახავს არგანტს) ეს ვინ იხრუკება აგერ?..

ს კ ა პ ე ნ ი – ეგ ის არ გახლავსთ, შენი ჭირიმე! ის არ არის.

ს ი ლ ი ბ ი ს ტ რ ო – ეგება მის მეგობართაგანი იყოს?!..

ს კ ა პ ე ნ ი – რა ბრძანებაა. მეგობარი კი არა და, მისი დაუძინებელი მტერია.

ს ი ლ ი ბ ი ს ტ რ ო – მტერი? ეგ სასიხარულოა ჩემთვის. მაშ, თქვენ მტერი ბრძანდებით იმ ძალის, იმ არგანტის? განა?

## სკაპენის ცულლუტობა

ს კ ა პ ე ნ ი – სწორეთ! სწორეთ! აკი მოგახსენებთ.

ს ი ღ ი ბ ი ი ს ტ რ ო – (ხელს აწოდებს არგანტსა) ხელი მიბოძეთ! პატიოსანს სიტყვას გაძლევთ და გეფიცებით ამ ხმალზედ, რომელიც მუდამ ზედ მკიდია, რომ მე თქვენ დღესვე გადაგარჩენთ იმ თქვენს მტერს. ფიქრი ნულა გექნებათ.

ს კ ა პ ე ნ ი – კი, ბატონი, მაგრამ ჩვენში კანონი ნებას არ მოგვცემს მაგგვარი მოქმედებისას.

ს ი ღ ი ბ ი ი ს ტ რ ო – მე მაგას არ დავსდევ, არაფრის არ მეშინია.

ს კ ა პ ე ნ ი – კი, მაგრამ, ობოლი ხომ არ არის; იმასაც ჰყავს ნათესავები, მეგობრები და ერთგული მოსამსახურეები!.. ვინ მიგიშვებს იქამდა!..

ს ი ღ ი ბ ი ი ს ტ რ ო – რაო? აქ მომგვარეთ ყველა! მობრძანდენ! (ამოილებს ხმალს) დაპკა! სადა ხართ, თქვე თავს ლაფდასხმულებო? მობრძანდით ჯარათ, ერთათ სულ ყველა! ავაზაკებო, თქვენა! ნახავთ თქვენ თვალის სეირს! როგორ ბედავთ ჩემ შეპმას? მაშ, დაპკა! ნუ ზოგავ! (ხან მარჯვნივ იქნევს ხმალსა და ხან მარცხნივ) გაჩერდით! სთხლიშე მაგრა!.. კიდევ, კიდევ! კიდევ! მაგრე! ჩეხე სულ ლუკმა-ლუკმა. შეპრალების დრო აღარ არის! უჭირე, მარჯვნივ! მარცხნივ! მე თქვენ გასწავლით ომს, როგორც უნდა. მარჯვეთ, ბიჭებო! აბა! პო, შეშინდით? ნახდით, თქვე მხთლებო, თქვენა? აგრე დაგემართებოდათ, აგრე გიზამდით, არ იცოდით? მაშ, რავა გეგონათ? ვინ გეგონეთ მე? დაპკა კიდევ! სთხლიშე, ნუ ზოგავ! აქ! იქით! ბარაქალა! გამაგრდი! ასე ვიცი მე! მე გახლავარ ეს! გიფრინეთ ნინ თუ არა! პა?..

ს კ ა პ ე ნ ი – რას ჩადიხართ, თქვე დალოცვილო, ვერა ჰედავთ, რომ აქ ჩვენ მეტი არავინ არის!?

ს ი ღ ი ბ ი ი ს ტ რ ო – მე თქვენ გასწავლით ჭკუას, თქვე ყურუმ-სალებო, თქვენა! (მიდის).

## გამოსვლა მეათე

ს კ ა პ ე ნ ი და არ გ ა ნ ტ ი

ს კ ა პ ე ნ ი – ახლა? ვერ ნახეთ ორასი ოქროს გულისათვის რამდენი კაცი დაჩეხა? რაც გენებოსთ, ის ქენით!.. ღმერთმა ქნას, რომ მაგ ორას იქროს გაემდიდრებიოთ...

## სკაპენის ცულლუტობა

ა რ გ ა ნ ტ ი – (თრთის) სკაპენი! არ გესმის, სკაპენი!

ს კ ა პ ე ნ ი – რა გნებავსთ?

ა რ გ ა ნ ტ ი – თანახმა ვარ, რომ მივცე ორასი ოქრო.

ს კ ა პ ე ნ ი – ან ამდენს ხანს რას უყურებდით!

ა რ გ ა ნ ტ ი – წადი, მონახე ის შეჩვენებული, ახლავე მივსცემ იმ ფულებს. კარგი, რომ ფულებიც თანა მაქვს.

ს კ ა პ ე ნ ი – მაშ, მე მგონია, უკეთესი იქნება, რომ ფულებიც მე გამატანოთ, თორემ თქვენ რომ თითოონ ნახოთ, არ ივარგებს. ერთი რომ წელან გადაუფიცეთ თქვენი ვინაობა და მეორეც ისა, რომ თქვენ თუ დაგინახათ, შესაძლებელია, აღარ დაგჯერდესთ ორასს ოქროს და მეტი მოინდომოს.

ა რ გ ა ნ ტ ი – ეგ კი მართალია, მაგრამ ჩემის ხელით რომ მიმეცა, უფრო მიამებოდა.

ს კ ა პ ე ნ ი – როგორ, მე არ მენდობით, თუ?

ა რ გ ა ნ ტ ი – ნდობით კი გენდობით, მაგრამ...

ს კ ა პ ე ნ ი – მაგრამ რაო? ამ ორში ერთი უნდა იყოს, ან პატიოსანი და სანდო კაცი ვარ და ან არა. ეგება ის გეგონოსთ, რომ მე თქვენი მოტყუება მინდოდეს? ეგება ჰერიკობდეთ, რომ თქვენი და უერონტის დამოყენების წინააღმდეგ ვიყო როგორმე? თქვენც ეჭვი აიღეთ ჩემზედ? ამას კი არ მოველოდი! ღმერთმა მშვიდობა მოგცესთ, რაც გენებოსთ, ისა ქენით, მე აღარ გავერევი.

ა რ გ ა ნ ტ ი – აპა, ფულები! წაიღე!

ს კ ა პ ე ნ ი – რათა, ბატონო? რა ჩემი საქმეა? არ გირჩევთ, რომ მენდოთ. სხვა ვინმე მონახეთ.

ა რ გ ა ნ ტ ი – კარგია ერთი, წაიღე და!

ს კ ა პ ე ნ ი – არა, არ წავიღებ. თქვენ არ უნდა მენდოთ! ვინ იცის, ეგება, მე თქვენი მოტყუება მინდა, რომ ფული ჩემთვის წავიღო.

ა რ გ ა ნ ტ ი – წაიღე, თუ ღმერთი გწამს, ოღონდ ის დავიდარაბა კაცი კი მომაშორე თავიდან.

ს კ ა პ ე ნ ი – ჯავრი ნუ გაქვს, ყველაფერს გავაკეთებ, სულელი არც მე გახლავარ!

ა რ გ ა ნ ტ ი – მე კი ჩემს გზას დავადგები, შინ წავალ ჩემთვის.

ს კ ა პ ე ნ ი – მეც ეხლავე იქ გიახლებით. (მარტო) ერთი კი გავდმარე, ახლა მეორეს უნდა მივჰყო ხელი. აი, ისიც აგერ მოდის. რაღაც ეშმაკათ ერთიმეორეზე თვითონვე პირაქეთ ჩემთან მოდიან.

## სკაპენის ცულლუტობა

### გამოსვლა მთართმათი

ს კ ა პ ე ნ ი ღა ჟ ე რ რ ნ ტ ი

ს კ ა პ ე ნ ი – (თითქო ვერ ჰხედავდეს ჟერონტს, გარბის და გამორბის გამზარებული) ღმერთო! საბრალო ჟერონტი! რა უნდა ჰქნას კაცმა?

უ ე რ ო ნ ტ ი – მგონი, ჩემს სახელს ახსენებს! ნეტავი რას აუშფოთებია ასე?

ს კ ა პ ე ნ ი – არავინ არის ქრისტიანი, რომ მასწავლოს, სად არის ჟერონტი?

უ ე რ ო ნ ტ ი – რა ამბავია, სკაპენ, რა დაგმართნია?

ს კ ა პ ე ნ ი – (ვითომ ვერ ჰხედავს და არც ესმის, გარბის და გამორბის) სად უნდა ვნახო, რომ ეს მოულოდნელი უბედური შემთხვევა ვაცნობი!

უ ე რ ო ნ ტ ი – (დასდევს სკაპენს) რა ამბავია! არ იტყვი?

ს კ ა პ ე ნ ი – (დარბის) ტყუილა ვეძებ აქეთ-იქით, არსად არა სჩანა.

უ ე რ ო ნ ტ ი – კაცო, ვერა მხედავ, აგერ არა ვარ!

ს კ ა პ ე ნ ი – სად დაკარგულა, ღმერთო ჩემო, რა ქნას კაცმა?

უ ე რ ო ნ ტ ი – (აჩერებს) შე თვალდამდგარო, ვერა მხედავ, თუ რავაა შენი საქმე!

ს კ ა პ ე ნ ი – ახ, ჩემო ხელმწიფე-პატონო! რამდენი ხანია, გამნარებული დაგეძებთ.

უ ე რ ო ნ ტ ი – ერთი საათია, რაც დაგდევ და არა მეშველა-რა! რა მოხდა?

ს კ ა პ ე ნ ი – რა, ჩემო ბატონო, და...

უ ე რ ო ნ ტ ი – რა?

ს კ ა პ ე ნ ი – თქვენი ვაჟი...

უ ე რ ო ნ ტ ი – რა დეემართა?

ს კ ა პ ე ნ ი – საშინელს ცუდსა და მოულოდნელს მდგომარეობაში ჩავარდა.

უ ე რ ო ნ ტ ი – როგორ?

ს კ ა პ ე ნ ი – დიდი ხანი არ არის, რაც თქვენს ვაჟს შევხვდი, რომელიც რაღაც თავის გუნებაზედ ვერ იყო, რადგანაც თქვენ მიგიყენებიათ რაღაც უსიამოვნება და მეც შიგ გაგირევივართ, არ ვიცი კი რათ! და რომ სევდა გულს გადაჰყირდა, ნავთსაყუდლი-საკენ გავისეირნეთ. იქ ერთი ლამაზი და საუცხოვო გემი შევნიშ-

## სკაპენის ცულლუტობა

ნეთ. ამ გემის პატრონი ერთი ვიღაც ახალგაზდა და დარბაისლური შეხედულობის თათარი იყო: მიგვიწვია გემზე და ათასის ალერსისა და ზრდილობიანის მოქცევის შემდეგ გაგვიმასპინძლდა სხვადასხვა საიასალო ხილებითა და ღვინობით.

უ ე რ ო ნ ტ ი – მერე რა ვუყოთ, მად უსიამო არა არის-რა.

ს კ ა პ ე ნ ი – მოითმინეთ, ბატონო! გაიგონეთ, მერე რა მოხდა. ჩვენ გახურვებულს ლხინსა და შექცევაში ვერ შევნიშნეთ, რომ გემი მოხსნეს და შიგ შეგვაცურვეს შუაგულ ზღვაში. მაშინ კი მე ნავზედ გადმომსვა იმ შეჩვენებულმა თათარმა და ასე დამაბარა თქვენთან, რომ თუ ახლათ-ახლავე ხუთასი ოქრო არ გამოგიგზავნიათ ჩემთვის, ამ თქვენს შვილს ალუირში ამოვაყოფინებ თავსათ.

უ ე რ ო ნ ტ ი – რაო? დალახვროს ღმერთმა! ხუთასი ოქროვო?..

ს კ ა პ ე ნ ი – დიახ, შენი ჭირიმე! და ორი საათის მეტი პორჯათაც არ მომცა.

უ ე რ ო ნ ტ ი – დაუკლავარ! დაუკლავარ იმ შეჩვენებულ თათარს!

ს კ ა პ ე ნ ი – ახლა, შენი ჭირიმე, თქვენ იცით, როგორ მალე უშველით და გამოიხსნით იმ თქვენ სატრფო შვილს.

უ ე რ ო ნ ტ ი – არა, რა ეშმაკათ მირბოდა გემზედ, რა უნდოდა?

ს კ ა პ ე ნ ი – ჩვენ რა მოგვაფიქრებიებდა, რომ იმასთან ხათაბალას გადავეკიდებოდით?!

უ ე რ ო ნ ტ ი – გასწი, სკაპენო, მიდი და უთხარი იმ თათარს, რომ ახლათ-ახლავე გიჩივლებ-თქო.

ს კ ა პ ე ნ ი – რასა ბრძანებთ, ზღვაში საჩივარი ვის გაუგონია? აბა, იფიქრეთ, რასა ბრძანებთ მაგას!

უ ე რ ო ნ ტ ი – არა, რა ეშმაკათ მიდიოდა იმ გემზედ, რა უნდოდა?

ს კ ა პ ე ნ ი – ეტყობა, რომ იმ ბედისა ყოფილა, შენი ჭირიმე.

უ ე რ ო ნ ტ ი – გესმის, სკაპენო, ერთი საქმე უნდა მიყო და დამავალო!

ს კ ა პ ე ნ ი – რა, შენი ჭირიმე?

უ ე რ ო ნ ტ ი – მიდი იმ თათართან, უთხარი, რომ ჩემი შვილი გამოუშვას და შენ კი იქ დარჩი, სანამ მე ფულებს მოვაგროვებდე.

ს კ ა პ ე ნ ი – ეჲ, შე დალოცვილო! ნეტავი მაგას რასა ბრძანებთ! განა ისე სულელი გგონიათ ის თათარი, რომ ჩემისთანა უბრალო კაცში გასცვლის თქვენს შვილს? ფასი არ იცის თუ?! როგორ არა! აგრე უთხარით და დაგიშაბავსთ!

უ ე რ ო ნ ტ ი – არა, რა ეშმაკათ მიდიოდა იმ გემზედ, რა უნდოდა?

## სკაპენის ცულლუტობა

ს კ ა პ ე ნ ი – რა იცოდა, ბატონო, თუ ეს საქმე მოუვიდოდა. კარგია, დაეჩქარეთ, ბატონო, თორემ იმ თათარმა მხოლოდ ორი საათი მოგვცა ბორჯათ.

ჟ ე რ ო ნ ტ ი – როგორ ამბობ, რამდენს ითხოვს?

ს კ ა პ ე ნ ი – ხუთას ოქროს.

ჟ ე რ ო ნ ტ ი – ხუთას ოქროს! არც ხატი სწამს, არც ჯვარი, იმ შეჩვენებულსა?

ს კ ა პ ე ნ ი – თქვენ გინდათ, რომ თათარს ჯვარი სწამდეს?

ჟ ე რ ო ნ ტ ი – არა, ერთი მითხარით, იცის კი, ხუთასი ოქროს შეადგენს?

ს კ ა პ ე ნ ი – კი, ბატონო, ას ორმოცდაათი თუმანი, ასე მოგახსენებსთ, შენი ჭირიმე.

ჟ ე რ ო ნ ტ ი – მერე, ალა-ალათ საშოვნი ჰეგონია იმ ყურუმსალს ეგ ფულები? კერაში ხომ არ ითხრება?

ს კ ა პ ე ნ ი – განა არ მოგეხსენებათ, ისინი იმისთანა კაცები არიან, რომ შებრალება არ იციან ადამიანის!

ჟ ე რ ო ნ ტ ი – არა, რა ეშმაკათ მიდიოდა იმ გემზედ, რა უნდოდა?

ს კ ა პ ე ნ ი – კარგი! კარგი! ნუ დაივიწყებთ, რომ მხოლოდ ორი საათი გვაქვს ბორჯი, დაეჩქარეთ.

ჟ ე რ ო ნ ტ ი – დაიჭი, ჰა, ჩემი ყუთის გასაღები.

ს კ ა პ ე ნ ი – მერე, შენი ჭირიმე!

ჟ ე რ ო ნ ტ ი – როცა იმას გააღებ...

ს კ ა პ ე ნ ი – კარგი.

ჟ ე რ ო ნ ტ ი – მარცხნივ ნახავ დიდ კლიტეს, ჩემი დიდი ზანდუკის გასაღებს და ის ამოიღე.

ს კ ა პ ე ნ ი – მერე?

ჟ ე რ ო ნ ტ ი – რაც იქ ჩემი ძველი ტანისამოსი იყოს, გაყიდე და მითი გამოიყიდე ჩემი შვილი.

ს კ ა პ ე ნ ი – ხომ არ ჰქოდავთ, ბატონო! იმ ტანისამოსში ოც მანეთსაც არავინ მოგცემსთ და მასთანაც, რაღას დროში მოესწრობა, რომ კიდეც ლირდეს! განა ალარ გახსოვთ, რომ დრო ცოტალა გვრჩება?

ჟ ე რ ო ნ ტ ი – არა, რა ეშმაკათ მიდიოდა იმ გემზედ, რა უნდოდა?

ს კ ა პ ე ნ ი – ნეტავი ტყვილა-უბრალოთ დროს არ ჰყარგვდეთ! დაანებეთ თავი იმ შეჩვენებულ გემს და იმას ეცადეთ, რომ დრო

## სკაპენის ცულლუტობა

არ დაჰკარგოთ და საუკუნოთ არ გამოეთხოვოთ თქვენ სასურველ შვილს. ახ, ჩემი საბრალო ბატონის შვილო! ვაითუ ეს არის, ამ ნამში ალჟირისაკენ გაკვრევიეს თავი, ზღვაში მიგაცურვებენ და მე კი ალარაოდეს ალარ მელირსება თქვენი ნახვა! ღმერთია გულთამხილავი, რომ ჩემ მხრით არაფერი ღონე დამიკულია და, თუ ვერ გამოგიხსნით, ეს მამიშენის ბრალია, რომელსაც სულ არა ჰყარებიხარ, თორემ ჩემი არა.

ჟ ე რ ო ნ ტ ი – მოიცადე, სკაპენი! მე წავალ და ვიშოვნი სადმე იმ ფულებს.

ს კ ა პ ე ნ ი – აბა, დაეჩქარეთ ბატონო, თორემ ვაითუ დაგვიგვიანდეს.

ჟ ე რ ო ნ ტ ი – რამდენს ამბობ შენ, ოთხას ოქროს?

ს კ ა პ ე ნ ი – არა, ხუთასს მოგახსენებთ.

ჟ ე რ ო ნ ტ ი – ხუთასს?

ს კ ა პ ე ნ ი – დიახ, შენი ჭირიმე!

ჟ ე რ ო ნ ტ ი – არა, რა ეშმაკი მიარბენინებდა იმ გემზედ, რა უნდოდა?

ს კ ა პ ე ნ ი – მართალი ბრძანებაა, მართალი, მაგრამ დროს რაღათ ჰყარგავთ?

ჟ ე რ ო ნ ტ ი – არა, რა ეშმაკათ მიდიოდა იმ გემზედ, სხვა ადგილი ველარსად ამოირჩია სასეირონოთ?

ს კ ა პ ე ნ ი – მართალს ბრძანებთ მაგას, აბა, მალე, რაღას უცდით?

ჟ ე რ ო ნ ტ ი – ახ, ის შეჩვენებული გემი!

ს კ ა პ ე ნ ი – იმე! არ ჩააკვდა ამ გემს!

ჟ ე რ ო ნ ტ ი – ყური მიგდე, სკაპენო, ახლა გამახსენდა, ეს-ეს არი, ახლა მივიღე სწორეთ მაგდენი ოქრო, მაგრამ იმას კი არ მოველოდი, თუ ასე მალე გამიქრებოდენ ხელიდან (ამოიღებს ქისას და გაუშვერს სკაპენს) ჰაა, წაიღე და გამოიყიდე ჩემი შვილი.

ს კ ა პ ე ნ ი – (უნდა ჩამოართვას) ბატონი ბრძანდებით!

ჟ ე რ ო ნ ტ ი – (კიდეც აძლევს ქისას, არც აძლევს) უთხარი იმ თათარს, რომ ის ღვთის რისხვა რამ ყოფილა.

ს კ ა პ ე ნ ი – (ხელს აწვდენს) ბატონი ბრძანდებით!

ჟ ე რ ო ნ ტ ი – (აძლევს ქისას) ავაზაკი რამ ყოფილა.

ს კ ა პ ე ნ ი – დიახ.

ჟ ე რ ო ნ ტ ი – (ცითომც უნდა მისცეს) უსინდისო, მცარცველი!

ს კ ა პ ე ნ ი – მაგრე ვეტყვი! ალარაფერს ალარ დაუფარავ!

## სკაპენის ცულლუტობა

ჟერონტი – ყოვლის უსაფუძღლოთ მართმევს ამ ხუთასს ოქროს.  
სკაპენი – ცხადია, ცხადი.

ჟერონტი – ასეთიც დამართოდეს, რომ გულზედ დადგო-  
მოდეს ეს ფულები! შიგ ყელში გახირებოდეს!

სკაპენი – ძალიან კარგი იქნება.

ჟერონტი – და თუ ლმერთი შემენია და ჩავიგდე როდისმე  
ხელში, ვაყურებიებ მის სეირს, იმას კი გაურიგებ საქმეს!

სკაპენი – თქვენ კარგათ ბრძანდებოდეთ, მაგას ყოლიფერს  
თვითონ კაკლათ გადავსცემ...

ჟერონტი – (ქისას ჯიბეში იდებს) გასწი, გასწი და მალე გამოიყ-  
იდე ჩემი შვილი!

სკაპენი – (მისდევს უერონტს) ჰერიჰა, ბატონო!

ჟერონტი – რალა გინდა კიდევ?

სკაპენი – ფულები რა უყავით?

ჟერონტი – განა არ მომიცია?

სკაპენი – არც კი გიფიქრიათ. ისევ ჯიბეში ჩაიდევით.

ჟერონტი – გულის ყური დამეკარგა.....

სკაპენი – ასე ჰეგავს.

ჟერონტი – არა, რა ეშმაკი უნდოდა იმ გემზედ, რა მიარ-  
ბენიებდა? ის დასაწვავი და დასალუპავი გემი! ის შეჩვენებული  
თათარი!.. ჯანაბას მისი თავი და ტანი!..

სკაპენი – (მარტო) ძალიან არ გაამწარა, შეაფუცხუნა ამ  
ხუთასმა ოქრომ?! ძლიერ არ გამოვტყუე? ასე მოგიხდება, შე ბერო  
კაცო, შენა! ეს რა არის! კიდევ უარესა გიზამ; დამასმინე შენ შვილს,  
მაგრამ, თუ კაცი ვყოფილვარ, მე შენ გადაგიხდი!

## გამოსვლა მეთორმეტე

ორთავი, ლეანდრი და სკაპენი

ორთავი – რა ქენი, სკაპენო? გაარიგე რამე?

ლეანდრი – მეც ხომ გამირიგე საქმე?

სკაპენი – (ოქტავს) აი, ორასი ოქრო; მამათქვენს დავსტყუვე.

ორთავი – ოხ, ღმერთმა გიშველოს, ჩემო სკაპენო!

სკაპენი – (ლეანდროს) თქვენთვის კი ვერა გავარიგე-რა!

ლეანდრი – (აპირებს წასვლას) მაშ, მოშკვდარვარ და ის  
ყოფილა, მე ზერბინეთას ჯავრს ველარ გადაურჩები.

## სკაპენის ცულლუტობა

სკაპენი – სად მიდიხარ? სად? მოითმინეთ! დახეთ, რა გულც-  
მუტია!

ლეანდრი – რალა გინდა?

სკაპენი – გული დაიმშვიდეთ, თქვენი საქმეც გავაჩირალდნე.

ლეანდრი – ახ, ხელახლად ვიცოცხლებ, ჩემო კარგო სკაპენო!

სკაპენი – მხოლოდ იმ პირობით გიყეთებთ ამ საქმეს, რომ  
ცოტათი მამითქვენის ჯავრი ამომაყრევინოთ ცილის მოგონებისათვის.

ლეანდრი – რაც გინდა, ჰქენი! თანახმა ვარ.

სკაპენი – მოწმებთან.

ლეანდრი – დიახ.

სკაპენი – მაშ, კარგი, მიირთვი ეს თქვენი ხუთასი ოქრო.

ლეანდრი – მე მივაშურებ და ახლავე გამოვიხსნი იმ ჩემს  
ძვირფას ტყვეს.

## მოქმედება მესამე

### გამოსვლა პირველი

ზერბინეთა, გია აცი ინტა, სკაპენი და  
სილი იპი სტრი

სილი ის ტრო – თქვენს საყვარლებს ჰსურსთ, რომ თქვენ  
ერთად დაუხვდეთ და მე მისთვის გიახელით, რომ შეგატყობინოთ...

გიაცინტა – (ზერბინეთას) იმედი მაქვს, რომ ორივე სია-  
მოვნებით აგასრულებთ მაგ სურვილს. მე ძალიან მოხარული ვარ,  
რომ ამისთანა მეგობარი შევიძინე და იმედია, რომ ჩვენი საყვარლების  
ერთმანეთთან მეგობრობა ჩვენ ერთმანეთთან მეგობრულად დაგვა-  
კავშირებს.

ზერბინეთა – ჩემის მხრით, მე ყოველთვის მზათა ვარ, ვიკი-  
სრო მეგობრობა, თუ პირაქეთაც მთხოვენ.

სკაპენი – სიყვარულს?

ზერბინეთა – მაგისი კი რა მოგახსენო?! მაგაში კი ცოტა  
ვერ გახლავარ გამბედავი.

სკაპენი – მე მგონია, რომ ჩემი ბატონიშვილის შესახებ კი  
სხვა ანგარიში უნდა იყოს. რაც იმან თქვენთვის საქმეები ჩაიდინა,  
მე მგონია, საკმაო იყოს, რომ თავი შეგაყვაროსთ.

## სკაპენის ცულლუტობა

ზერთ გამოგვიყენეთ ასეთი სტრუქტურა! მაგაში ვერა ვხედავ სიყვარულს და მსახურების სურვილს. მე ისეთი ხალისიანი ხასიათისა ვარ, რომ ხანდახან დაცინება მიყვარს ზოგიერთს რამეებზედ, და შენი ბატონი დიდი შემცდარია, თუ იმას ჰქოიქობს, რომ ერთი მხოლოდ ჩემი გამოყიდვა საკმაო იყოს მის შესაყვარებლათ. არა, სინამ არ შემირთავს, იცოდეს, ვერ დამისაკუთრებს, რომ უნდა ისე.

სკაპენი – მაგას რაღა თქმა უნდა... განა მაგაში ეჭვი გაქვსთ? რა ბრძანებაა. თქვენს ბედნიერებასა და პატივზედ თქვენზედ უფრო ის ჰქოიქობს. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მაგ საქმეებში მეც არ გავერევოდი, თუ ჩემს ბატონის შვილს სულ სხვა ანგარიშები არა ჰქონდეს.

ზერთ გამოგვიყენეთ ასეთი სტრუქტურა, მაგრამ მეშინია, ვაითუ მამამ შეგვიშალოს ხელი.

სკაპენი – ფიქრი ნუ გაქვსთ! ისე მოვახერხებთ, რომ უკეთესი აღარ უნდოდეს.

გიაცინტა – (ზერპინეთას) ჩვენის ბედის ერთნაირობამ კიდევ უფრო უნდა გაამტკიცოს ჩვენის მეგობრობის კავშირი: ჩვენ ორივეს ერთი და იმავე საქმის გვეშინიან.

ზერთ გამოგვიყენეთ ასეთი სტრუქტურა: თქვენ ის უპირატესობა გაქვსთ ჩემზედა, რომ იცით თქვენი გვარიშვილობა, შეგიძლიანთ მშობლები მონახოთ, და რაღა ისინიც ხელს შეგინყობენ, ადვილათ თავი გაიმართოთ და საქმე გაირიგოთ. მე კი შემწეობას არსაიდან ველი. დარწმუნდით, რომ იმ კაცის სურვილი, რომელიც მხოლოდ ფულებში ჰქონდავს კეთილდღეობას, საუკუნოთ ბოლოს მოულებს ჩემს ბედისწერას.

გიაცინტა – მაგიერათ, თქვენ შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ თქვენის საყვარლის თანაგრძნობაზედ, და მე იმედი არა მაქს ჩემი ოქტავის: არა მგონია, რომ მისმა სიყვარულმა დიდი ხანი გასტანოს.

ზერთ გამოგვიყენეთ ასეთი სტრუქტურა: თქვენ შეგიძლიათ, რომ თავი შეაყვაროთ და საუკუნოთაც დაჯაჭვოთ. ამ შემთხვევაში ყველას უარესი ის არის, რომ მშობლები ხელს უშლიან.

გიაცინტა – ოხ, რატომ ყოველთვის გამარჯვებული არ არის ტრფიალი გული! სასიამოვნო მაშინ არის სიყვარული, თუ ხელს არავინ გიშლის.

ზერთ გამოგვიყენეთ ასეთი სტრუქტურა: შემცდარი ბრძანდებით მაგაში. უშფოთველი სიყვარული არც კი ვარგა. გაუსხლეტელი ბედნიერება კაცს თავს

## სკაპენის ცულლუტობა

აბეზრებს. ორივე უნდა გამოსცადოს კაცმა: ტკბილიცა და მწარეც. ცოტაოდენი ნალველი გულს ხანდახან არას სწყენს, რომ ბოლოს უფრო იამოს სიტყბო.

გიაცინტა – აბა, ჩემო სკაპენო, ერთი მომიყევი, როგორ გამოალალე ფულები იმ შენ ძუნნ ბებრუხანას? მაგითი ძალიან მასიამოვნებ.

სკაპენი – მაგას, შენი ჭირიმე, სილიბისტრო მოგახსენებსთ, მე კი არა მცალიან! ცოტა ჯინი უნდა ამოვიყარო ერთი ვისმესი, ჩემდა სასიამოვნოდ, გული ვიჯერო.

სილიბისტრო – ეჱ, თავი დაანებე, მაგაზედ ნულარას ფიქრობთ. არა, თვითონ შენ იფიქრე, რა საჭიროა?

სკაპენი – ისე, ტყვილა. მე ძალიან მიყვარს მაგნაირი გაბედული ონები.

სილიბისტრო – დამიჯერე, თავი დაანებე.

სკაპენი – გეუბნები, არ დავანებებ-თქო.

სილიბისტრო – აბა, იფიქრე, რა ეშმაკი უნდა...

სკაპენი – თვითონ შენ რა ეშმაკათ ჩამცივებისარ? რა შენი საქმეა, რომ ერევი?

სილიბისტრო – იცოდე, მოგხვდება.

სკაპენი – ჩემმა ზურგმა ინალვლოს, შენ რა გენალვლება.

სილიბისტრო – კისერიც მოგიტეხია... რა მენალვლება! რაც გინდა, ისა ჰქენი!

სკაპენი – მაგისთანა ცოტა რამე ვერ შემაჩერებს. მე ძალიან მეჯავრებიან ის ლობიო კაცები, შიშით რომ ვერაფერ საქმეში ვერ ერევიან ხოლმე.

ზერთ გამოგვიყენეთ ასეთი სტრუქტურა: თქვენ შემწეობის იმედი გვექნება.

სკაპენი – მიბძანდით! მეც ეხლავ გიხლებით. ფრთხილათ კი იყავით! არავისთან რამე წაგცდესთ, თორემ, თუ შემიტყვეს ჩემი ხრიკები, სასიამოვნოთ ველარ დამირჩება საქმე.

## გამოსვლა მეორე

ზერთ გამოგვიყენეთ ასეთი სტრუქტურა:

ზერთ გამოგვიყენეთ ასეთი სტრუქტურა:

ზერთ გამოგვიყენეთ ასეთი სტრუქტურა:

ზერთ გამოგვიყენეთ ასეთი სტრუქტურა:

## სკაპენის ცულლუტობა

შეიძლება. უნდა გამოგიტყვდეთ, ახლა რომ შინ ბრძანდებოდეთ, ათასჯერ უფრო დამშვიდებული მექნებოდა გული.

ჟ ე რ ო ნ ტ ი – რა მემართება?

ს კ ა პ ე ნ ი – ახლა, სწორეთ ამ წამში, აჲ, გამწარებული გეძებენ აქეთ-იქით მოსაკლავათ...

ჟ ე რ ო ნ ტ ი – მე?

ს კ ა პ ე ნ ი – დიახ.

ჟ ე რ ო ნ ტ ი – ვინ დამეძებს?

ს კ ა პ ე ნ ი – ოქტავმა რომ შეირთო, იმ ქალის ძმა. მისი დის ქორწინების მოშლის მიზეზი იმას ის ჰერინია, რომ თქვენ გინდათ, მის შვილს თქვენი ქალი შერთოთ და გამწარებულს უნდა, რომ თავის გულის ჯავრი თქვენზედ ამოიყაროს! „ამ ჩემს გაუპატიურებას არ შევარჩენ, მანცდამაინც უნდა მოვჰელაო“, – იძახის თქვენზედ... მეგობრებიც თავისავით რეტიანები ჰყოლია; მისი არ იყოს, ისინიც აქეთ-იქით დაგეძებენ; მე თვითონ ჩემის თვალითა ვნახე სალ-დათები, გამვლელ-გამომვლელებს თქვენზედა ჰყითხავდნენ და ახლა ირგვლივ შემოერტყენ თქვენ სახლს, ასე რომ, საძრავი ღონე აღარა გაქვთ. ველარც იქით წაბრძანდებით და ველარც აქეთ. ტყვილა ნუ გაქანდებით, თორემ გიგდებენ ხელში.

ჟ ე რ ო ნ ტ ი – ახა, ღმერთო! ახა, ღმერთო! რა უნდა ვქნა? რაღა მეშვეობა?

ს კ ა პ ე ნ ი – მეც ვერა მომიფიქრებია-რა, შენი ჭირიმე! ეს მართალი საქმეა, რომ მეც თავიდან ფეხებამდე ვიწვი შიშით, სულ მაკანკალებს. მოითმინეთ..

(გაჰყურებს და ვითომ ვიღაც კიდეც დაინახა შორს).

ჟ ე რ ო ნ ტ ი – ვა!

ს კ ა პ ე ნ ი – არა, არა! არავინ არის, ნუ გეშინიან!

ჟ ე რ ო ნ ტ ი – ვერაფერს მოიგონებ, რომ მიშველო?

ს კ ა პ ე ნ ი – შეიძლება, რომ მოახერხოს კაცმა, მაგრამ, ვაითუ მისი გულისათვის ძალივით გამგუდონ!

ჟ ე რ ო ნ ტ ი – ახ, ჩემო სკაპენ! დამიმტკიცე ერთგულება. ღვთის გულისათვის, ნუ მიმატოვებ.

ს კ ა პ ე ნ ი – წეტავი რას მიბრძანებთ, შენი ჭირიმე! ისე მებრალებით, რომ აღარ შემიძლია თქვენს მტერს ხელგულდაკრეფილი შევჩერებოდე.

ჟ ე რ ო ნ ტ ი – აბა, თუ ღმერთი გნამს, და მერე მე ვიცი შენი ჰატივისცემა; ცოტა როგორც კი დაძველდება, ამ ტანისამოსს მაშინვე შენ გაჩუქებ.

## სკაპენის ცულლუტობა

ს კ ა პ ე ნ ი – მოითმინეთ. ერთი რამ მოვიგონე... ამ ტომარაში უნდა ჩაძვრეთ.

ჟ ე რ ო ნ ტ ი – ვაიმე! (ვიღაცას შენიშნავს).

ს კ ა პ ე ნ ი – არაფერია, ნუ გეშინიანთ! მე მოგახსენებთ, რომ ამ ტომარაში ჩაძველი და გაუნძრეველად განაბეთ სული; მე ზურგზედ მოგიყიდებთ, ვითამ ტვირთი ხართ რამე, და ისე მიგიყვანთ სახლში, რომ შიგ შუაგულ მტრებში გავივლი. მერე იქიდან თვითონ ჩვენვე გამოუსიოთ იმათ დაიარალებული კაცები! ხომ მიხვდით?

ჟ ე რ ო ნ ტ ი – რა გვონია? ეგ ძალიან კარგი იქნება?

ს კ ა პ ე ნ ი – უკეთესი აღარ შეიძლება, თვითონ ნახავთ! (თავისთვის) დამაცადე, შე დაწყევლილო ბებერო, და შენ გაყურებიებ შენ სეირს.

ჟ ე რ ო ნ ტ ი – რას ამბობ?

ს კ ა პ ე ნ ი – მე მოგახსენებთ, რომ სულ ერთიანათ ხელში ვიგდებთ ამ ჩვენ მტრებსა-თქო. აბა, ჩაძვერით და იცოდეთ კი, რომ იქიდან თავი არ ამოყოთ, არც გეინძრეთ, რაც უნდა დაგემართოსთ, თორემ...

ჟ ე რ ო ნ ტ ი – ფიქრი ნუ გაქვს, ჩემს კისერზე იყოს!

ს კ ა პ ე ნ ი – დაიმალეთ კარგათ. აი, აგერ მოდის ერთი ავაზაკი (ხმას იცვლის). „ეს რასა ჰეგავს! ნუთუ ვერ მოველა ჟერონტი? ვინ გაბედავს, რომ დამიმალოს და არ მაჩვენოს მისი თავი? მიწა რომ გახვრიტოს და ქვესკნელში ჩაძვრეს, იქიდანც კი ამოვიყვან ყურის „წიაქ-წიაქით“. (ჟერონტს, თავის ხმით) თავი არ ამოყოთ! (ხმას იცვლის) „ეს ვინა სდგას იქ ტომარამოკიდებული?“ რა გნებავსთ, ჩემო ბატონო? „ერთ იქროს გაჩუქებ, თუ მასნავლი, სად შემიძლიან რომ ჟერონტი ვნახო?“ თქვენ ჟერონტს ეძებთ? „დიახ, იმ ღვთის რისხვას!“ მერე რათ გნებავსთ? „რათა მნებავს?“ დიახ, ნება მიბომეთ, გკითხოთ. „მინდა, რომ ამ ჯონით დავბეგვო“. თუ უკაცრავათ არ ვიქნები, მოგახსენებ, რომ ჟერონტი მაგრე ალა-ალა გასალახავი კაცი არ გახლავსთ. „ვინა? ის საძაგელი? ის პირუტყვი ჟერონტი?“ დიახ. უ. ჟერონტი არც პირუტყვი გახლავსთ და არც საძაგელი და გირჩევთ, რომ ცოტა ზდილობით ილაპარაკოთ იმაზედ! „როგორ ჰპედავ მის გამოსარჩლებას, შე საძაგელო, შენა!“ მე ვესარჩლები, როგორც კეთილსა და პატიოსანს კაცს. „მაშ შენ, გეტყობა, მისი მეგობართაგანი ხარ?“ დიახ, მეგობართაგანი გახლავარ. „კარგი დაგემართოს! სწორეთ მისი მეგობარი ხარ?“ გეუბნებით, რომ ვართქო! „მაშ, თუ მაგრეა, მომიცადე. შენ სეირს გიჩვენებ, ეს შენ, შე ძალო, შენ! ესეც კიდევ შენ!“ (ურტყამს ქერის ტომარას, ისე ჰყვირის,

## სკაპენის ცულლუტობა

თოთქო იმას ურტყამდენ) ვაი! ვაი! ბატონო, შენი ჭირიმე, მაპატივეთ! ვაიმე, ვაიმე! მოვკვდი, ჩემო ხელმწიფე!.. ვაი, მოვკვდი, დედაჩემო! ჰოიმე! (სხვისი ხმით) „ახლა კარგი, ეს ასე გადაეცი ჩემ მაგიერ შენს უერონტის. მშვიდობით“. (თავს უკრავს) ოიშ! ოიშ! მომკლა იმ ღვთის პირისაგან წყეულმა!

ჟ ე რ ო ნ ტ ი – (ამოყოფს თავს ტომრიდან) ოხ, სკაპენო, მეტი აღარ შემიძლიან.

ს კ ა პ ე ნ ი – (ავათმყოფის ხმით) ოპ, ბატონო! დამამახინჯეს! რა საშინლათ მეწვის ზურგის კანი, რომ იცოდეთ! გვერდები დამალენეს... ოპ...

ჟ ე რ ო ნ ტ ი – როგორ!.. სულ მე არ მირტყამდა?

ს კ ა პ ე ნ ი – არა, შენი ჭირიმე, მხოლოდ ჩემ ზურგზედ ტაფა-რიკაობდა.

ჟ ე რ ო ნ ტ ი – რას ამბობ, კაცო! განა მე ვერა ვგრძნობდი? ახლაც მთლად ერთათ გვერდები მიხურს.

ს კ ა პ ე ნ ი – არა-მეტქი, მოგახსენებ!.. შეიძლება, ჯოხის წევრი მოგხვდათ სადმე, თორემ თვითონ ჯოხს კი ჩემს ზურგზედ გაჰქონდა ბრაგაბრუები.

ჟ ე რ ო ნ ტ ი – მაშ, ისე უნდა გამდგარიყავი განზედ, რომ ჩემამდი არ მოენია ჯოხს.

ს კ ა პ ე ნ ი – (ისევ ჩასვამს უერონტს ტომარაში) ფრთხილათ იყავი. აი, კიდევ ვიღაც საეჭვო კაცი მოდის აგერ. (გამოიცვლის ხმას) „დალაბეროს ღმერთმა! მთელი დღე დავრბივარ გაბრაზებულივით და ვერსად ვერ შევხვდი იმ ეშმაკის გავარდნილ უერონტს!“ (თავის ხმით უერონტს) დაიმალეთ! კარგი! (სხვისი ხმით) „ეი! შენ, ძმობილო! ერთი მითხარი, უერონტი ხომ არსად გინახავს?“ არა, შენი ჭირიმე! არ მინახავს!.. „მართალი მითხარი! საჭიროა ჩემთვის. მინდა, რომ ერთი კარგა ლამაზათ შევახურვო ამ ჯოხითა და სამიოდე ეს ხმალიც უშიშვლო გვერდებში“. თქვენი რისხვა არა მქონდეს, არ ვიცოდე, სად იყოს! „მაგ შენ ტომარაში რა ინძრევა ეგა?“ არაფერი, შენი ჭირიმე! რა უნდა ინძრეოდეს?.. „ვიღაცა გყავს დამალული!“ სრულიადაც არა! „მე მინდა, რომ ხმალი შემოვჰქერა მაგ ტომარას“. (თავის მხრით) რას ხვანხვალობ, რომ ხვანხვალობ, შე დალოცვილო!.. (სხვისი ხმით) „მაჩვენე, რა არის მანდ!“ ვერ გიჩვენებთ. „რაო, ვერ მაჩვენებ?“ იქ თქვენი სანახავი არა არის-რა... „მე მსურს!“ მე მაინც ვერ გიჩვენებთ. „ვის უბედავ მაგას, შე წუნკის შვილო?..“ აქ, შენი ჭირიმე, ჩემი საგძალია, სხვა რა უნდა გახლდესთ! „მიჩვენე-მეტქი!“ არ გიჩვენებთ, რას

## სკაპენის ცულლუტობა

ჩამცივებიხართ! „მე შენ ერთს კარგათ შეგზელ და“.. მე მაგისთანა ფაზი-ფუხების არ მეშინია. „თუ არ მიჩვენებ და ესეც შენ“ (ურტყამს ტომარას). მოვკვდი, მოვკვდი, ვაიმე! ვაი, დედაჩემო! ბატონო, შენი ჭირიმე, მაპატივეთ!.. ვაი! ოიშ! .. „ჰე, აცა, აცა, გიამა? მაგრე გინდოდა შენ. ან მშვიდობით, მეორეთ ჭკუა ისწავლე...“

ჟ ე რ ო ნ ტ ი – (თავს ამოყოფს) ოიშ! ოიშ!.. ნეტავი რათ აჯავრებდი ისე? განა ტკბილათ და თავმდაბლათ ვერ შეეხვეწებოდი? შენ სულ გადარიე!.. ოიშ, ვკვდები, დედაჩემო!.. ოიშ...

ს კ ა პ ე ნ ი – ოიშ, მე კიდევაც გავთავდი და...

ჟ ე რ ო ნ ტ ი – დალახვროს ღმერთმა, მაინც რომ არ აცილდა ამ ჩემს ზურგს!

ს კ ა პ ე ნ ი – (მალავს ტომარაში) ფრთხილათ იყავით! აგერ მოდის ერთი ჯარი სალდათებით. (სხვადასხვა ხმით) „ჰე! ჩეარა, უერონტი მონახეთ, დაძებნეთ ყველგან, არაფერთ დაგრჩესთ დაუჩერეკელი, იქით-აქეთ მიიხედ-მოიხედეთ, ახლა სად წავიდეთ, მარჯვნივ? არა, მარცხნივ წავიდეთ, ის აჯობებს. ჰე, აქეთ, აქეთ! არა, ისევ იქით!.. კაცო, აქ მოდით, აი, აგერ არის მისი მოსამსახურე. ეი, შენ, ავაზაკო, სად არის შენი ბატონი? აბა, გვითხარი მალე!“ ახ, თუ ღმერთი გწამს, თავი დამანებეთ! რა გინდათ ჩემგან! „გვითხარ, სად არის შენი ბატონი! მალე!“ ეჭ, თავი დამანებე-თქო, გეუბნებით... (უერონტს ამოუყვია თავი და გაშტერებით მიჩერებია სკაპენს) „თუ ახლავე არ გვიჩვენე, ახლავე სიკვდილზედ მიგაყენებთ!“ რაც გინდათ, ის მიყავით!.. სიკვდილს ვირჩევ და ჩემს ბატონს არ ვუღალატებ... „მაშ, კარგი და, ესეც შენ!“ (მოუქნევს ჯოხს ტომარას და რომ შეხდავს უერონტს, გაიქცევა) ვაამდე!..

ჟ ე რ ო ნ ტ ი – შე შეჩვენებულო, შე ავაზაკო, შენ ცულლუტო, შე კაცის მკვლელო, ეს რა მიყავ?!.

## გამოსვლა მასამა

ზ ე რ ბ ი ნ ე თ ა და ზ ე რ მ ნ ტ ი

ზ ე რ ბ ი ნ ე თ ა – (უერონტის ვერ ხედავს და იცინის) ხა! ხა! ხა! ხა! სეირი თუ გინდა, სწორეთ ეს არის!

ჟ ე რ ო ნ ტ ი – (ვერ ხედავს ზერბინეთას და სკაპენს მიჰყვირის) მოიცადე, მოგაგონებ. სულ ურმით გდევ, შე შეჩვენებულო, შე ღვთის რისხვავ, შენ...

## სკაპენის ცულლუტობა

ზ ე რ ბ ი ნ ე თ ა – (ვერ ხედავს უერონტს) ხა! ხა! ხა! სწორეთ სასაცილო ამბავია! ხა! ხა! რა სულელი ყოფილა ის ბერიკაცი. ღმერთობ ჩემო! ხა! ხა! ხაპ!..

ჟ ე რ ო ნ ტ ი – მე მგონია, რომ აქ სასაცილო არა იყოს-რა!

ზ ე რ ბ ი ნ ე თ ა – რასა ბრძანებთ?

ჟ ე რ ო ნ ტ ი – მე მგონია, რიგი არ იყოს, რომ დამცინით!..

ზ ე რ ბ ი ნ ე თ ა – თქვენ დაგცინით?

ჟ ე რ ო ნ ტ ი – დიახ, მე...

ზ ე რ ბ ი ნ ე თ ა – რა ბრძანებაა, გულშიდაც არ გამივლებია! თქვენ ვინ გეცინისთ?

ჟ ე რ ო ნ ტ ი – პირველი თქვენ. შიგ ცხვირ-პირში მაყრით სიცილს.

ზ ე რ ბ ი ნ ე თ ა – თქვენზედ მე სრულიადაც არ ვიცინი. ეს-ეს არის, ერთი სასაცილო ამბავი მითხრეს და ის მაცინებს. ის ამბავი მეც მეხება ცოტა, მაგრამ მაინც იმაზედ უფრო სასაცილო საქმე ძნელათ მოხერხდება, რომელიც ახლა ერთმა ყმანვილმა კაცმა მამა-მისს უყო, ფული რომ დაეტყუებია. ძნელათ მოხერხდება!

ჟ ე რ ო ნ ტ ი – ფული რომ დაეტყუებია მამისათვის?

ზ ე რ ბ ი ნ ე თ ა – თუ გნებავსთ, მოგიყვებით. მე რასაც კი გავიგონებ, ძალიან მიყვარს, რომ სხვებთანაც ვიტიტინო ხოლმე.

ჟ ე რ ო ნ ტ ი – ჰმ! ჰმ! აბა, ერთი გვიბრძანეთ, რა არის?

ზ ე რ ბ ი ნ ე თ ა – მე მგონია, არავის სავნებელი იქნეს, რომ მოგიყვეთ! აი, რაშიდ არის საქმე! ჯერ უნდა მოგასსენოთ, რომ ეგვიპტელები რომ არიან, ბოშა დედაკაცები, ათასის ღლეტა-ცვეთით რომ ირჩენენ თავს და აქა-იქ დაწანნალობენ, რაღაც უცნაურათ, ბედმა ჩემი თავი იმათ ჩაუგდო ხელში. აქ, ქალაქში რომ მოვედით, ერთმა ყმანვილმა კაცმა მომკრა თვალი და მოვენონე!.. დამინყო არშიყობა, რაღაც იმედი ჰქონდა, მაგრამ არა გამოუვიდა-რა!.. წაუხდა ხრიკები... საქმე კიდევ იმან უფრო გაუძნელა, რომ მე თვითონ სხვის ხელში ვიყავი, ჩემდა თავათ ნება არაფრისა მექინდა. ბოლოს ეგვიპტელებმა, რომ შეატყვეს, იხრუკებაო, სახსარი სთხოვეს ჩემში და ფასიც გადაუჭრეს. ჩვენდა საუბედუროდ, იმას ფული არა ჰქონდა და მამა კი ძალიან ძუნნი ჰყავდა. დალახვროს ღმერთმა, არ იქნა, ვერ მოვიგონე მისი სახელი... მოიცადეთ, თქვენ ვერ დაასახელებთ იმ კაცს, რომელიც აქ სუყველას საშინელ საარაკო ძუნნათ მიაჩნიათ?

ჟ ე რ ო ნ ტ ი – ვერა.

ზ ე რ ბ ი ნ ე თ ა – მისი სახელი... რონტი... ო.. ორონტი... არა! უერონტი. დიახ, სწორეთ ასეა, უერონტი ჰქვიან. რას მოგახსენებ-

## სკაპენის ცულლუტობა

დით? ჰო, დღეს ეგვიპტელები სხვაგან მიემგზავრებოდენ და რომ მე საუკუნოდ არ დაჲჰკარგოდი ჩემ საყვარელს, თავისი მსახური მოიხ-მარა! იმის მსახურს მეც კარგათ ვიცნობ, სკაპენი ჰქვიან! დაუფასე-ბელი კაცი რამე! ყოველი ქების ლირსია.

ჟ ე რ ო ნ ტ ი – (თავისთვის) ჰაი, შე საძაგელო, შენა!..

ზ ე რ ბ ი ნ ე თ ა – ახლა წარმოიდგინეთ, იმ მსახურმა რანაი-რათ გააცურვა ყინვაზედ ის სულელი ბერიკაცი. ხა! ხა! ხა! როცა გამახსენდება ხოლმე, არ შემიძლიან, რომ სიცილი მოვიკავო. იმან მონახა ის კრიუანგი ბებერი ძალლი და უთხრა, რომ მე და შენი შვილი ნავთისაყუდელში ვსეირნობდით, ერთმა დარბაისელმა თათარმა თავის გემზედ მიგვიპატიუა, გაგვიმასპინძლდა და ამასო-ბაში შიგ შუაგულ ზღვაში მიგვაცემია თავიო. ბოლოს მე გადმომსვა ნავზედ, უკანვე გამომისტუმრა და ისე დამაბარა ჩემ ბატონთანო, რომ, თუ ხუთასი ოქრო ახლათ-ახლავე არ გამოგიგზავნია ჩემთ-ვის შენის შვილის სახსრათ, გამოეთხოვე, – ალუირში ამოვაყოფინებ თავსაო. ვერ წარმოიდგინ, თუ რა მოუვიდა იმ ბერიკაცს: ერთის მხრით, შვილის სიყვარული ჰკლავდა და მეორეთი – სიძუნნე. იმ ხუთასი ოქროს გადახდას, ხუთასჯერ რომ ეკრათ გვერდებში ხანჯ-ლის წვერი, ის ერჩია. არ იცოდა, რა უნდა ექნა; ისე იტაჯებოდა, რომ ათას რამეებს იგონებდა შვილის გამოსახსნელათ, ფულის მიცე-მას კი ვერ ჰპედავდა, ვერ ელეოდა. ხა! ხა! ხა!.. ხან ვითომც საჩი-ვარს უპირობდა ზღვაში მცურავ გემს! ხა! ხა! ხა!.. სულ მოსამსახ-ურეს ეხვეწებოდა, სანამ ფულებს მოვაგროვებდეო, ჩემის შვილის მაგიერ შენ დარჩი გემზედ ამანათადო; ვითომ ატყუებდა რაღა. ხა! ხა! ხა! ხა! ხა! ხან ეხვეწებოდა, რომ ხუთას ოქროთ ჩემი ძონძები გაჰყ-იდეო! ხა! ხა! ხა! თვითონ ბიჭიც ძლივს იჭერდა სიცილს ლაპარა-კის დროს. საბრალო ძუნნი თურმე წამდაუნუმ იძახოდა ცრემლის ღვრით: „არა, რა ეშმაკი უნდოდა იმ გემზედ! რა მიარბენინებდა! აჲ, ის შეჩვენებული თათარი!“ და სხ. ბოლოს, ბევრის ცრემლებისა და ვაი-ვაგლახის შემდეგ... მაგრამ რა გემართებათ? თქვენ, მგონია, ეს ამბავი არაფრათ გეპრიანებათ: განა სასაცილო არ არის თქვენთვის ეს ამბავი?..

ზ ე რ ო ნ ტ ი – მე მგონია, რომ ის ყმანვილი კაცი ხასიათგაფუ-ჭებული და საძაგელია და მამამისიც, რომ ეკადრება, ისე დასჯის. იმ შეჩვენებულ ეგვიპტელ ქალს აყურებიებს, როგორ უნდა ოჯახის შვილების... გარყვნა! და შენ ვეღარ დამიძღვები ხელიდამ, შე ღვთის რისხვავ, სკაპენ!.. დღესვე თხასავით ჩამოგკიდებ, ავაზაკო. (მიდის).

## სკაპენის ცულლუტობა

### გამოსვლა მოთხე

ზერ პირეთა და სილიპირს ტრო

სილიბის ტრო – სად დაიკარგეთ? იცით, რომ ახლა, ეს-ეს იყო, თქვენის საყვარლის მამას ემუსაიფებოდით?

ზერ ბინეთა – ბერა, რა ვიცოდი და მე კი სულ თვითო კაკ-ლად მოვუყევი, რაც კი სკაპენმა უყო..

სილიბის ტრო – ახა, ღმერთო! ეგ რა გიქნიათ?

ზერ ბინეთა – რა გაეწყობა. სჩანს, აგრე უნდა მომხდარიყო! მასთანაც, იმან ინაღვლოს, თორემ მე რაო?

სილიბის ტრო – არა, მაინც რა გეხალისებათ, ვისაც კი შეეყრებით, ყველასთან ტიკტიკი? განა არ შეიძლებოდა, ენისთვის კბილები მოგეჭირებიათ?..

ზერ ბინეთა – ერთი არ იქნებოდა? სხვისგან ხომ მაინც შეიტყობდა?

### გამოსვლა მოხატვა

არგანტი – (სცენის იქით) ეი, სილიბისტრო!

სილიბის ტრო – (ზერბინეთას) სახლში წაბრძანდით ახლავე. არ გესმისთ, რომ ჩემი ბატონი მეძახის? (ზერბინეთა მიდის).

### გამოსვლა მევაჟის

არგანტი და სილიპირს ტრო

არგანტი – თურმე მაგისთანა პირობა გქონდათ შეერული ავაზაკებს?! შენ, სკაპენო, და შენ, ჩემო საქებო ვაჟო, შეთქმული იყავი ჩემს გაცარცვაზედ? გინდოდათ, რომ გაგეგიუებიეთ? ა? ისა გგონიათ, რომ შეგარჩენთ ამ ამბავს?

სილიბის ტრო – მე, შენი ჭირიმე, მაგ საქმეში ხელი დამიბანია და კიდეც ფიცით შემიძლია მოგახსენოთ, რომ ფრჩხილის ოდენა ბრალიც არა მაქვს, მაგ საქმეში არც კი გავრეულვარ.

არგანტი – არაფერია, მოიცადე და მე გავარჩევ მაგ საქმეს, გამოვიკვლევ. ის ნუ გგონიათ, რომ თვალები ამიხვით!..

## სკაპენის ცულლუტობა

### გამოსვლა მევაჟი

ზერ მიტი, არგანტი და სილიპირს ტრო

უერონტი – ახ, ბატონო არგანტო! ვერა მხედავთ, რა საძაგელ მდგომარეობაშიდა ვარ?

არგანტი – არც მე გახლავარ უკეთესში, ჩემო ბატონო!..

უერონტი – იმ შეჩვენებულმა სკაპენმა აკი ხუთასი ოქრო გამომტყუუ.

არგანტი – მაგ ავაზაკმა სკაპენმა მეც ორასი ოქრო დამტყუუ.

უერონტი – ეგ კიდევ არაფერი, რომ მარტო ეგ ეკმარებია, მაგრამ მისთანა საქმე მიყო, გამოთქმისა მრცხვენიან, მაგრამ არ შევარჩენ კი...

არგანტი – მეც პასუხს მოვსთხოვ!

უერონტი – ოო! საარაკოთ გადავუხდი!.. სამაგალითოდ!..

სილიბის ტრო – (თავისოფალი) თავს უნდა ვუძველო, თორემ ცუდათ მოვა ჩემი საქმე. თუ ღმერთი შემენია, მოვახერხე როგორმე და ერთი ვქუსლე აქედან...

უერონტი – ეს ამან კიდევ თქვენი ჭირი წაიღოს, ბატონო არგანტო, მაგრამ ჭირი ყოველთვის ჭირს ეკიდება. იმედი მქონდა, დღეს ჩემს ქალს შევხვდებოდი, მაგრამ, ეს-ეს არის, ახლა გავიგე, რომ ის დიდი ხანია, კიდევაც გამოსულა ტარენტიდან და ვათუ ზღვაშიდაც დამეღუბა...

არგანტი – ახა, ღმერთი ჩემო! ნეტავ რათა სტოვებდი ტარენტში? განა არ შეგეძლო, რომ თანა გყოლოდა?

უერონტი – მაგისი ცოტა მიზეზი მქონდა, რომ დამეფარა ჩემი მეორე ცოლის შერთვა. მაგრამ ამას რას ვხედავ, შენა ხარ, ძიძავ?

### გამოსვლა მორვა

არგანტი, ზერ მიტი, ნერი და სილიპირს ტრო

ნერი ნა – (მუხლებზედ ეხვევა უერონტს) ახ, ბატონო პანდოლიერო, როგო...

უერონტი – პანდოლიერს ნუდა მეძახი! უერონტი დამიძახე.. ან მიზეზი აღარა მაქვს, რომ ჩემი ნამდვილი სახელი კიდევ დავფარო!

## სკაპენის ცულლუტობა

ნ ე რ ი ნ ა – ღმერთო, შენს მადლა! თქვენ ვერ წარმოიდგენთ,  
ბატონო, თუ რა გვიყო მაგ სახელების არევ-დარევამ! სულ გზა და  
კვალი აგვირია და ხელი შეგვიშალა თქვენს ძებნაში.

ჟ ე რ ო ნ ტ ი – ჩემი ცოლ-შვილი სად არის?

ნ ე რ ი ნ ა – თქვენი ქალიშვილი აქედან შორს არ გახლავსთ,  
მაგრამ ჯერ შეგვედროთ, რომ ჩემი დანაშაულობა მაპატივოთ:  
იმედი რომ დაგვეკარგა თქვენის პოვნის, თქვენი ქალი ავიყვანე და  
გავათხოვე.

ჟ ე რ ო ნ ტ ი – ჩემი ქალი გაათხოვე?

ნ ე რ ი ნ ა – დიახ, ჩემო ხელმწიფე-ბატონო!

ჟ ე რ ო ნ ტ ი – ვის მიეცი?

ნ ე რ ი ნ ა – ერთის გამოჩენილის კაცის ვაჟს! ოქტავს... არგან-  
ტის შვილი!..

ჟ ე რ ო ნ ტ ი – ღმერთო, დაილოცა შენი სახელი!

ა რ გ ა ნ ტ ი – აბა, მოულოდნელი საქმე ეს არის!

ჟ ე რ ო ნ ტ ი – წაგვიყვანე, მიგვიყვანე იმასთან ეხლავ!

ნ ე რ ი ნ ა – აბა, ბატონო, ამ სახლშიდ შებრძანდით და ის იქნება!

ჟ ე რ ო ნ ტ ი – მაშ, წაგვიძეხი! აბა, მომყევით, ბატონო არგანტო,  
მომყევით..

ს ი ლ ი ბ ი ს ტ რ ო – აბა, საქმეც ამისთანა უნდა, ჰა!.. (არგანტი,  
ჟერონტი და ნერინა მიდიან).

## გამოსვლა მაცხოვე

ს კ ა პ ე ნ ი ლ ა ს ი ლ ი ბ ი ს ტ რ ო

ს კ ა პ ე ნ ი – ახალ ამბავს რას იტყვი, სილიბისტრო?

ს ი ლ ი ბ ი ს ტ რ ო – ახალ ამბავს ბარე ორს გეტყვი: პირველი,  
რომ ოქტავის საქმე კარგათ გაკეთდა: გიაცინტა ქერონტის ქალი  
გამოდგა და ამგვარათ, ორი მამების სურვილი ასრულდა. და მეორეც  
ისა, რომ მარიკა ბერიკაცები გაბრაზებული არიან შენზედ, განსა-  
კუთრებით ქერონტი.

ს კ ა პ ე ნ ი – ეგ არაფერია! დარწმუნდი, რომ იმის რისხვას  
ადვილათ ავიცილებ.

ს ი ლ ი ბ ი ს ტ რ ო – აბა, ძმაო, სიფრთხილე გიჯობს. შვილები  
შეურგებიან თავიანთ მამებს და შენ რიყეზედ მიგაგდებენ.

ს კ ა პ ე ნ ი – შენ ნუ ნაღვლობ! მე იმათ მალე გავაყუჩებ!

## სკაპენის ცულლუტობა

ს ი ლ ი ბ ი ს ტ რ ო – თავს უშველო, სინამ სული კიდევ გიდგას.  
ვერა ჰედავ, აგერ მოდიან!

## გამოსვლა მათა

შ ე რ ი ნ ტ ი ლ ი ბ ი ს ტ რ ო – არ გ ა ნ ტ ი ლ ი ბ ი ს ტ რ ო  
ნ ე რ ი ნ ტ ი ლ ი ბ ი ს ტ რ ო – გ ა ლ ი ბ ი ს ტ რ ო

ჟ ე რ ო ნ ტ ი – მოდი, ჩემო შვილო, მომეხვიე. ჩემი სიხარული  
მაშინ უფრო სრული იქნება, რომ შემეძლოს შენთან ერთად დედაშ-  
ენის ნახვაც.

ა რ გ ა ნ ტ ი – აი, ოქტავიც კარგ დროს მოვიდა.

## გამოსვლა მეთართმაცე

ი გ ი ნ ი ვ ე ლ ი ბ ი ს ტ რ ო

ა რ გ ა ნ ტ ი – ჩქარა, აქ მოდი, შვილო, შენი ქორწილი...

ო ქ ტ ა ვ ი – აბა, მამა-ბატონო! აქ ხვეწნა აღარ გაგივათ. დრო აღარ  
არის, რომ დაგიფაროთ... მეც თქვენთან მოცსულვარ და ეს არის...

ა რ გ ა ნ ტ ი – გამიგონე. ჯერ ხომ არაფერი არ იცი?

ო ქ ტ ა ვ ი – რაც საჭიროა ჩემთვის, კიდეც ვიცი.

ა რ გ ა ნ ტ ი – მე გეუბნები, რომ უერონტის ქალი...

ო ქ ტ ა ვ ი – არ მინდა და არ შევირთავ...

ა რ გ ა ნ ტ ი – როგორ არა, რომ...

ო ქ ტ ა ვ ი – ტყვილათ სიტყვებს ნუ ხარჯავთ, მე გადავსწყვიტე და..

ს ი ლ ი ბ ი ს ტ რ ო – (ოქტავს) გაიგონეთ ერთი და!

ო ქ ტ ა ვ ი – ხმა ჩაინწყვიტე! არაფერს არ გავიგონებ.

ა რ გ ა ნ ტ ი – შენი ცოლ...

ო ქ ტ ა ვ ი – თავს მოვიკლავ და ამ ჩემს გიაცინტას კი არ ვუღა-  
ლატებ. (მიდის მასთან) რაც უნდა მიყოთ, მაინც ეს მეყვარება სიკვ-  
დილამდე და სხვა ცოლს კი არ შევირთავ!

ა რ გ ა ნ ტ ი – და კიდეც მაგას გაძლევენ. რა ცეტი რამ არის  
მართლა!..

გ ი ა ც ი ნ ტ ა – დიახ, ოქტავო. აი, მამაჩემი, მე რომ დავეძებდი.  
ახლა ხელის შემშლელი აღარავინ გვეყოლება.

## სკაპენის ცულლუტობა

ჟ ე რ ო ნ ტ ი – წავიდეთ შინ, შვილებო, იქ უფრო თავისუფლათ ვიმხიარულებთ თქვენს ბედნიერებას.

გ ი ა ც ი ნ ტ ა – (ხელს აშვერს ზერბინეთაზედ) ნება მიბოძეთ, მამა-ბატონო, რომ ამ ჩემ მეგობარს არ გავეყარო. ამას იმდენი საქებური თვისებები აქვს, რომ თქვენც თავს შეგაყვარებსთ, როცა კარგათ გაიცნობთ.

ჟ ე რ ო ნ ტ ი – რაო! შენ გინდა, რომ ის გომბიო, რომელსაც შენი ძმა ეარშიყებოდა და რომელმაც შიგ ცხვირ-პირში სიცილი მომაყარა და ათასი საწყენი რამები მითხრა, ჩემ სახლში შემოუშვა კიდევ?

ზ ე რ ბ ი ნ ე თ ა – ბოდიშს ვიხდი: ჩემს დღეშიდაც ვერ გავტედავდი მაგ ამბავს, რომ მცოდნოდა, თუ ის თქვენ იყავით. მე მხოლოდ ქვეყნის ხმით გიცნობდით და სხვისი ნათქვამით გსჯიდით.

ჟ ე რ ო ნ ტ ი – როგორ თუ ქვეყნის ხმით?

გ ი ა ც ი ნ ტ ა – მამა-ბატონო, იმ მიდრეკილებაში, რომელიც ჩემს ძმასა აქვს ამასთან, ცუდი დასაზრახი არა არის-რა. ამის თავმდები მე ვიქები.

ჟ ე რ ო ნ ტ ი – კარგი დაგემართოს! მეტი აღარ უნდა! ეგება ისიც გინდოდეს, რომ ეგ ვიღაც მაწანწალა, უგვარტომოს შვილი შენ ძმას ცოლათ შევრთო!

## გამოსვლა მეთორეატი

იგინივე და ლ ე ა ნ დ რ ი

ლ ე ა ნ დ რ ი – მამა-ბატონო! ნუ გამინერებით მისთვის, რომ მე ვიღაცა მიყვარს. ვისგან ეს გამოვიყიდე, იმათ მითხრეს, რომ ეს ქალი ამ ქალაქიდამ არისო და დიდი გვარის შვილს ეკუთვნისო! ოთხის წლის ყოფილა, რომ მოუპარავსთ. აი, სამაჯე, რომელიც დაგიმტკიცებსთ ჩემს სიმართლეს და ეგება, თავის დროზედ ამის ნათესავებიც მიგვაგნებიოს.

ა რ გ ა ნ ტ ი – ძლიერო ღმერთო! ეს სამაჯე ჩემი ქალიშვილის არის.

ჟ ე რ ო ნ ტ ი – თქვენი ქალის?

ა რ გ ა ნ ტ ი – დიახ, აი, ეს არის ჩემი ქალი, ვიცანი! ვიცანი! შვილო, ჩემო შვილო!

გ ი ა ც ი ნ ტ ა – ღმერთო, დაილოცა შენი სახელი, ამდენი მოულოდნელი საქმე იქნება?!

## სკაპენის ცულლუტობა

### გამოსვლა მეცამეატი

იგინივე და პ ა რ ლ ი

კ ა რ ლ ი – ბატონებო, საარაკო შემთხვევაა! საარაკო!  
ჟ ე რ ო ნ ტ ი – რა ამბავია, რა მოხდა?

კ ა რ ლ ი – საბრალო სკაპენი!

ჟ ე რ ო ნ ტ ი – მე ის ავაზაკი უნდა ჩამოვალრჩო, თოკზედ ჩამოვჰკებიდო.

კ ა რ ლ ი – ვეღარ, შენი ჭირიმე, ტყუილათ თავს ნუ შეიწუხებთ. თქვენგან ჩამოლრჩობა იმ უბედურის დღის შვილს აღარ ეჭირვება; ერთის სახლის გვერდით, რომელსაც აშენებდენ, გაიარა იმ ცოდვის შვილმა. უეცრად გადმოვარდა ურო, დაეცა თავში და, ისე თქვენს მტერს გაუჭყლიტოს თავი, როგორც იმას გაუჭყლიტა. ასე რომ, ტვინი გარეთ დარჩა და თავის ხრიკი შიგნით. ახლა უნდა, რომ სიკვდილის წინეთ ცოტა რამ მოგახსენოსთ...

ა რ გ ა ნ ტ ი – სად არის?

კ ა რ ლ ი – აი, ბატონო, აგერ მოაქვსთ!

### გამოსვლა მეთორეატი

იგინივე და ს კ ა პ ე ნ ტ ი შემოაქვთ მეკურტნებს.

ს კ ა პ ე ნ ტ ი – (თავშეხვეული) ვაი! ვაი! ბატონო, მხედავთ! ა! აჲ! რა უბედურ მდგომარეობაშიდა ვარ! რა ყოფაშიდ ჩავარდი? ვაი! ვაი! არ მინდოდა მოვმევდარიყავი ისე, რომ შენდობა არ მომეთხოვა თქვენთვის. თუ რამე განეყნინეთ ნებით ან უნებურათ როდისმე.. ვაი! ვაი! ბატონებო! ამ სიკვდილის წინეთ მაპატივეთ ღვთის გულისათვის, შემინდვეთ, საფლავში ნუ ჩამატანთ. ვაი, ვაი! განსაკუთრებით თქვენ გევეღრებით, ბატონო არგანტო, და, ბატონო უერონტო! ვაიმე, ვაი დედავ, ვაი!..

ა რ გ ა ნ ტ ი – ღმერთმა შეგინდოს, მშვიდობითა და განსვენებით განუტევე სული.

ს კ ა პ ე ნ ტ ი – ბატონო, მე მგონია, თქვენ ყველაზედ უფრო მეტი შეგცოდეთ ჯოხით.

ჟ ე რ ო ნ ტ ი – კარგია! ნუღა იგონებ, მეც შემინდვია.

## სკაპენის ცულლუტობა

ს კ ა პ ე ნ ი – არა. ოხ, რა თავხედობა იყო თქვენი ჯოხით გალახვა!  
ჟ ე რ ო ნ ტ ი – კარგი! კარგი! კარგი!

ს კ ა პ ე ნ ი – სინიდისი არ მაძლევს წებას, რომ განსვენებით  
დავლიო სული. სულ ის ჯოხები მეჩვენებიან.

ჟ ე რ ო ნ ტ ი – თუ ღმერთი გწამს, გაჩუმდი!

ს კ ა პ ე ნ ი – ოხ, ის შეჩვენებული ჯოხები, რომლითაც მე თქვენ  
დაგზევეთ.

ჟ ე რ ო ნ ტ ი – კარგი! მიპატივებია და არ გესმის!

ს კ ა პ ე ნ ი – ოხ, რა გულეკეთილი და ლვთისნიერი ბრძანდე-  
ბით, ჩემო ბატონო! სხვა რომ ყოფილიყო, თავის დღეშიდაც არ მაპა-  
ტივებდა იმ ჯოხებს.

ჟ ე რ ო ნ ტ ი – კარგი, კარგი! მიპატივებია და რაღა გინდა მეტი?  
გათავდეს საქმე.

ს კ ა პ ე ნ ი – ოხ, ჩემო ხელმწიფე-ბატონო! ღმერთმა გადა-  
გიხადოსთ. დიდ მადლს შვრებით მაგით. მე ვგრძნობ, რომ ვრჩები.  
მგონია, აღარ მოვკვდე.

ჟ ე რ ო ნ ტ ი – არა, შენ ავაზაკო, მხოლოდ იმ პირობით მიპა-  
ტივებია, რომ ჩაძალლდე.

ს კ ა პ ე ნ ი – ოხ, ღმერთო ჩემო! ოხ... ვაი, ვაი! ისევე ვკვდები,  
მიშველეთ, თავო! თავო!

ა რ გ ა ნ ტ ი – ჩვენის სიხარულის გულისათვის, ბარემც სულ  
აპატივე, უერონტო, და ის იქნება.

ჟ ე რ ო ნ ტ ი – კარგი, აგრე იყოს! ჯანი გავარდეს!

ა რ გ ა ნ ტ ი – ჩვენ ერთად წავიდეთ, ყველანი მხიარულათ  
დავსხდეთ ვახშმათ და ლხინი გავსწიოთ.

ს კ ა პ ე ნ ი – (მეკურტნებს) თქვენ რალას გაჩერებულხართ?  
წამილეთ, მეც უნდა სუფრაზე მოვკვდე.

მირზა ფათალი ახუნდოვი

## ნანის ვეზინი

კომედია ოთხ მოქმედებათ

ფ ა რ დ ა

[1873]

### მომავალი პირი:

სერაბის ხანი.

მირზა-ჰაბიბ – მისი ვეზირი.

ზიპა-ხანუმ – ვეზირის პირველი ცოლი.

შოლე-ხანუმ – მეორე, საყვარელი ცოლი.

ნისა-ხანუმ – შოლე-ხანუმის და, გაუთხოვარი.

ფარი-ხანუმ – ვეზირის დედა.

ჰაჯი-სალახ – ვაჭარი.

თემურ-აღა – ხანის ძმისწული.

რიზა – თემურ-აღას ძიძის შვილი.

ჰაჯი მასუდ – არაბი, ვეზირის მეორე ცოლის საჭურისი.

სელიმ-ბეგ } ხანის მოსამსახურეები.  
ყადირ-ბეგ }

სამად-ბეგ – ფარეშების უფროსი.

### მომავალი პირი:

#### სცენა პირველი

მირზა ჰაბიბის სახლი: ვეზირი ზის პირველი ცოლის ოთახში, მუთაქაზე გადაწოლილია და მის წინ მოწინებით გულხელდაკრეფილი ჰაჯი-სალახი დგას.

#### გამოსვლა პირველი

ვ ე ზ ი რ ი – ჰაჯი-სალახ! გავიგონე, რომ რეშთაში მიდიხარო...  
მართალია?

ჰ ა ჯ ი – მართალი მოგხსენებიათ, ჩემო ბატონო.

ვ ე ზ ი რ ი – კეთილი! ჰაჯი-სალახ, მაშ, მიტომ გიხმე, რომ ერთი საქმე მაქვს მოსანდობი!

ჰ ა ჯ ი – მიბძანე, შენი ჭირიმე! თქვენი ყურმოჭრილი ყმა არ გახლავარ?

ვ ე ზ ი რ ი – ერთი კარგი ძვირფასი ქათიბი უნდა შემიკერვინო რეშთაში. მაგრამ იმისთანა კი უნდა იქნეს, რომ მისი ცალი აღარსად მოიპოვოდეს!.. ზარ-ბაფთი ცისფერი უნდა იყოს და თვითონ ქათიბ-საც ნაკერი არსად ეტყობოდეს, ისე რომ, თითქოს ერთიანათ ჩამოსხ-მულია; ორივე მხრით ოქროს ღილები უნდა ექნეს ჩამოყოლებული, მაგრამ იცი, რა ღილები? მტრედის კვერცხზე თუ არ მეტი, ნაკლები არცერთი არ უნდა იყოს და ორგვლივაც მარგალიტებით უნდა იყოს შემოჭედილი!.. აპა, ეს ასი თუმანი და, თუ არ გეყოს, შენი ფული დაა-მატე და, რომ დაბრუნდები, გაგისწორდები. ხომ მალე დაბრუნდები?

ჰ ა ჯ ი – ბევრი, ბევრი, ერთი თვე დამაგვიანდეს, მაგდენი საქმე მაინცდამაინც არ მაქვს-რა, შენი ჭირიმე. აბრეშუმის საყიდლათ გიახლებით და, რომ მოვრჩები, იქ რაღას დაცუდგები? ნუ გამიწყრე-ბით, შენი ჭირიმე, და უნდა მოგახსენოთ: ზომას რომ აქვე მიბოძებ-დეთ, კარგი იქნება, თორებმ, ვაითუ ის ქათიბი ან მოკლე მოვიდეს, ან გძელი, ან სრული, ან ვიწრო და ჩემი ბრალი აღარ იქნება.

## ხანის ვეზირი

ვ ე ზ ი რ ი – არა უშავს-რა, ალალ-ბედზე შეჰქერონ, მაგრამ კარგი ნახელავი კი უნდა იყოს და, თუ ტანზე ვერ მოუვიდა, არ არგო, ვისიც არის, მერეც გადააკეთებს.

ჰ ა ჯ ი – თუ მაგრეა, ბატონო, უკეთესი არ იქნება, რომ საქათ-იბე, ოქროს ლილები და მარგალიტები აქ მოვიტანით და აქვე შევაკ-ერვინოთ, პირდაპირ მის ტანზე გამოჭრილი, ვისთვისაც გნებავთ?

ვ ე ზ ი რ ი – ეჱ, ახირებული კაცი ხარ! ლაქლაქი რომ გიყვარს, აბა, ეგ არის! აქ რომ მოვატანიო, იცი მერე, რა ალიაქოთი ატყდება?

ჰ ა ჯ ი – მაგისი კი რა მოვახსენოთ, შენი ჭირიმე!

ვ ე ზ ი რ ი – ჰოდა, საქმეც ეგ არის! მე ვიცი, თუ არ გაგაფრთხილე, წაგდება სადმე და მოსვენებას აღარ მომცემენ. იცი, საქმე როგორ არის? ამ ორი თვის შემდეგ ჩვენი ახალ-წელინადია: ნავრუზობა გვექნება და მე მინდა, რომ იმ დღისთვის საჩუქარი მოვუმზადო ჩემ შოლე-ხანუმს. და, აქ რომ ის ქათიბი მისთვის გამოვაწყებინო, მაშინ ზიბა-ხანუმიც ამიტყდება: მეც შემიკერეო და, სწორე გითხრა, მისთვის ხარჯის გაწევა ფულის გადაყრა იქნება! აბა, რაღა ქათიბი მოუხდება ბებრუხას, მაგრამ ვინ დააჯერებს იმ დალოცვილს!.. აიჩემებს, მეც შემიკერეთო და, თუ უარი უთხარით, საყვედურებით გამომაყრუებს... მუდამ წუნუნითა და ჩივილით თავს გამილაყებს!..

ჰ ა ჯ ი – ეგ კარგი, ბატონო, მაგრამ, ვითომ შორიდან მოტანილს რომ ნახავს, მაშინ კი მოისვენებს? რატომ ჩემთვისაც არ მოატანიეთო, – არ იტყვის?

ვ ე ზ ი რ ი – აჸა, ღმერთო, რა ჭირს გადავეკიდე!.. რა ენანასული ყოფილა ეს კაცი!.. კაცო! ადამიანო! შენ რა გინდა?! რა შენი საქმეა ეგეები?! შენ მხოლოთ ის ასრულე, რასაც გიბძანებენ! განა მაგდენ-საც ველარ მოვახერხებ, რომ ზიბა-ხანუმი მოვატყუო როგორმე?!

ვეტყვი, რომ ქათიბი ჩემმა დამ, გიდარხანის ცოლმა, საჩუქრათ გამოუგზავნა შოლე-ხანუმსა-მეთქი და მაშინ რაღა მიზეზი ექნება, რომ მე დამიწყოს საყვედურები? ხომ გაიგე ახლა? მაგრამ, ვაი შენს დღეს, თუ ეს სადმე წაგდენია!..

ჰ ა ჯ ი – აბა, რას ბრძანებ, შენი ჭირიმე?! მე როგორ გავბედავ, რომ თქვენი ოჯახის საიდუმლოება რამ გამოვამჟღავნო?

ვ ე ზ ი რ ი – მაშ, ახლა-კი შეგიძლია წახვიდე. ღმერთმა მშვიდობის მგზავრობა მოგცეს!.. (ჰავი-სალახი სიმდაბლით თავს უკრავს და მიდის).

## ხანის ვეზირი

### გამოსვლა ხორე

(ზიბა-ხანუმი შემოახეთქებს კარებს და შემოვარდება გააფთრებული. ვეზირი შეკრთება)

ზ ი ბ ა-ხ ა ნ უ მ – ჰაი, გიდი!.. ქათიბს აკერვინებ შენი საყვარელი ცოლისთვის? სწორეთ რომ კარგი ქმარი ხარ! არც გემართლება შენი ცოლი საყვედურებს!.. რაო?! რაო?! მერე მე როგორ მიპირობ მოტყუებას?! ჩემმა დამ გამოუგზავნა? მერე და, ვინ გინდა, მაგითი მოატყუო?! განა მე არ ვიცონბ შენს დას? ნამეტანი სიძუნწით ის დოქტორი რომ თაფლს ასხამს, ჭურჭელს გარედან ლოკავს და სხვისთვის ას-ას თუმნიან ქათიბებს გაიმეტებს?! ვიჳ! ვიჳ! ვიჳ!.. თქვენმა მზემ, კარგი მოგონებაა!..

ვ ე ზ ი რ ი – ქალო, რას ამბობ?! ხომ არ გაგიჟებულხარ?! რისი ქათიბი? ვისი საჩუქარი? ხომ არა გეზმანა-რა?!

ზ ი ბ ა-ხ ა ნ უ მ – არა, ბატონო, სიტყვას ბანზე ნუ აგდებ, თავს ნუღა იყატუნებ! გავიგონე ყოლიფერი, შევიტყვე: ჰავი-სალახს რომ ელაპარაკებოდი, მე მაშინ კარებზე ვიყავი წამოყურებული და მესმოდა ყოლიფერი!.. ხა! ხა! ხა!.. მშვიდობაში, ბედნიერებაში მოახმაროს შენს ცოლს ღმერთმა ის ქათიბი!.. მაგრამ თემურ-აღას კი უნდა მიულოცოთ, რომ მისი საყვარელი, ახალ ქათიბში გამოჭ-იმული, მოხდენილათ ჩაიკრავს გულში!..

ვ ე ზ ი რ ი – ჰეი! ჰეი! დედაკაცო! როგორ ბედავ მაგაებს?! ან მე როგორ მარცხვენ და ან ჩემ საყვარელ ცოლს როგორ სწამებ ცილს, შე ურცხვო, შენა!..

ზ ი ბ ა-ხ ა ნ უ მ – შენი შერცხვენა თუ მდომებოდა, ერთ საყვარელს მეც ავიჩენდი სადმე, მაგრამ შენი შემრცხვენიც და ლაფის დამსხმელიც შენი ცოლი, შენი საყვარელი შოლე-ხანუმია, რომ დღე და ღამე გულში ეკვრება თემურ-აღას!.. ვინ მოთვლის, რამდენჯერ ჩემი მოახლე თავზე წასწორებია იმათ?

ვ ე ზ ი რ ი – (გაფითრებული) მიჸეარავ! არც შენ დაგეჯერება და არც შენს მოახლეს!..

ზ ი ბ ა-ხ ა ნ უ მ – მარტო ჩვენ ხომ არ ვამბობთ, მთელმა ქვეყანამ იცის! შენ აგიბა თვალები და მოგაჯადოვა იმ უნამუსომ, თორემ სხვები განა ვერა ხედვენ? თავსა გჭრის ქვეყანაში და წვერ-ულვაშს გირცხვენს!..

ვ ე ზ ი რ ი – შოლე-ხანუმი საიდან იცნობს თემურ-აღას, რომ არსად უნახავს?

## ხანის ვეზირი

ზ ი ბ ა-ხ ა ნ უ მ – შე უბედურო! თვითონ შენ არ გააცანი?  
ვ ე ზ ი რი – მე? რას მიჰქარაგ!! რას მიედ-მოედები! ნუ სჭამ, რაც  
არ გეკადრება!

ზ ი ბ ა-ხ ა ნ უ მ – შენ არ ურჩიე შოლე-ხანუმს, რომ ის მისი დითა,  
მოახლითა და საჭურისით მაღლა, ბანზე ასულიყო და იქიდან ეცქ-  
ირა ჭიდაობისათვის? ხანმა რომ მოჭიდავები გამოიყვანა, იქ მაშინ  
თემურ-ალაც იყო და ისეთი ფალავნობაც გამოიჩინა, რომ ვეღარც  
ერთმა ბეგის შვილმა ვეღარ გაუძლო, სუსველას მოერია! ყმაწვილი  
ქალია, უყურებდა შვენიერ თვალ-ტანად ფალავნს და, რასაკვირვე-  
ლია, გული გადუბრუნდებოდა! შეუყვარდა, მერე იმდენიც ეცადა,  
რომ ხელში ჩაიგდო შვენიერი ახალგაზდა ფალავნანი და უმისოთ  
ვეღარა სუნთქავს. და ვისი ბრალია, თუ არ შენი? ახია შენზე! აკი  
გეუპნებოდი, რომ ბეგერი ხარ და ყმაწვილი ცოლი შენი საქმე აღარ  
არის-მეთქი? რატომ არ დამიჯერე? წადი და ორიკავე!..

ვ ე ზ ი რ ი – (ყურებში თითო იცობს) ოჳ! ოჳ! კარგია, ნუ  
აჭიქინდი, ნუ წაიღე ყურთასმენა!.. შენთვის არა მცალიან: წერილი  
უნდა დავუმზადო ავარის ხანს, მომშორდი, დამეკარგე აქედან!..  
(ზიბა-ხანუმი მიდის, ვეზირი დალონებულია). არა, შოლე-ხანუმი ამას ვერ  
გაბედავდა!.. შეიძლება, რომ თემურ-ალის ვაშკაცობა და ძალ-ლონე  
გაუკვირდა და თავის ტოლებში სადმე აქო, როგორც ახალგაზდამ  
და გულწრფელმა... ამას იმ ბებრუხანა ზიბა-ხანუმმა ყური მოჰ-  
კრა, თავისებურათ გადააკეთა და შურითა და მტრობით უნდა, რომ  
ორმო გაუთხაროს... კი, მაგრამ, რომ მართალი იყოს? ჰეი! ჰეი! რა  
ხუმრობაა! ეჳ, ასეა თუ ისე, მე მაინც უნდა როგორმე დავარწმუნო  
შოლე-ხანუმი, რომ თემურ-ალა არც ისე ღონიერია, როგორც იმასა  
ჰეგონია. ვინც წააქცია, არც ერთი მოჭიდავე არა ყოფილა-მეთქი;  
ბეგის შვილები ბოვშები იყვენ-მეთქი, ვეტყვი. ახლა კი დრო არის,  
რომ ხანს ვიახლო. მის დარიგებას მერეც მოვასწრებ. (წასვლას აპირებს).

## გამოსვლა მასამ

ისე და ზ ი ბ ა-ხ ა ნ უ მ ი შემოდის

ზ ი ბ ა-ხ ა ნ უ მ – რას მიბრძანებთ, რომ მოგიმზადოთ სადილათ  
ან ვახშმათ?

ვ ე ზ ი რ ი – გველის შხამსა და ჯოჯოხეთის ქარ-ცეცხლს! სხვა  
რაღა უნდა მომიმზადო? არ მეყო, რაც ხალველი შემასვი?! მე, მგო-  
ნია, ერთ თვესაც აღარ მომივიდეს მაღა!.. (დადის აღელვებული. უცბათ

## ხანის ვეზირი

ცხრილს დაჰქრავს ფეხს, ცხრილი აირეკლებს და წვიეზე მოხვდება, დაიღ-  
რიალებს) ეს რა ამბავია! რა უნდა აქ ამ ცხრილს?!

ზ ი ბ ა-ხ ა ნ უ მ – (გაკვირვებით) არ ვიცი სწორეთ, ვის მოუტანია!  
ვ ე ზ ი რ ი – ფარეში!

## გამოსვლა მართე

(ფარეში შემოიჭრება და გულხელდაკრეფით თაყვანსა სცემს ვეზირს.  
ზიბა-ხანუმი უცბათ ჩადრით პირს დაიფარებს და კუთხეში მიიმაღება)

ვ ე ზ ი რ ი – (მრისხანეთ) ამას რა უნდა აქ, ჩემ ოთახში?!

ფ ა რ ე შ ი – ბატონო! დღეს დილას ადრე ოთახსა ვევიდი,  
ჩვენი მეჯინიბე, ქერიმი, შემოვიდა, ცხრილი ეჭირა ხელში... ცოტა  
ვილაპარაკეთ და წავიდა... ეტყობა, რომ ცხრილი აქ დარჩენია!..

ვ ე ზ ი რ ი – მაშ, დაუძახეთ მეჯინიბეს! (ფარეში გარბის) არა, ჩემ  
ოთახში რა უნდა მეჯინიბეს?! დღეს უსიამოვნობის მეტი არა მესმის-  
რა!.. ამ დასაქცევ ოთახში შემოვალ თუ არა, ყოველთვის რომ არა  
ამიტყდეს-რა – არ შეიძლება!..

ზ ი ბ ა-ხ ა ნ უ მ – რასაკვირველია, ეგ იმიტომ, რომ ამ ოთახში  
შენი შოლე-ხანუმი არ არის!.. თუ მაგრეა და, რაღათ მოდიხარ, სულ  
იქ დარჩი, მის ოთახში!..

## გამოსვლა მაცუთა

ისინივე, ფ ა რ ე შ ი და მ ე ჯ ი ნ ი პ ე შემოდიან

ვ ე ზ ი რ ი – (მრისხანეთ) ქერიმ! არ იცი, რომ შენი ბინა საჯინი-  
ბოშია? რა ხელი გაქვს, რომ ამ ჩემ ოთახში შემოდიხარ?!

მ ე ჯ ი ნ ი ბ ე – ერთი წამით შემოვედი, შენი ჭირიმე, რომ  
მეკითხა ფარეშისათვის: წაბძანდებოდით სადმე დღეს თუ არა?

ვ ე ზ ი რ ი – კი, მაგრამ, ცხრილი რაღათ დატოვე?

მ ე ჯ ი ნ ი ბ ე – ხელში მეჭირა, ქერის გაცხრილვა მინდოდა და  
აქ დამრჩა, შენი ჭირიმე.

ვ ე ზ ი რ ი – მერე რატომ აღარ მობრუნდი და არ წაიღე?

მ ე ჯ ი ნ ი ბ ე – რა მომაფიქრებინებდა, შენი ჭირიმე, რომ აქ  
დამრჩებოდა!.. მე კი იქ ვეძებდი და იქაურობა დავანგრიე.

## ხანის ვეზირი

ვ ე ზ ი რ ი – ან ფიქრი ვინ მოგცა და ან ჭკუა, შე არამზადავ, შენა!.. ფარეშო! წადი, ახლავე მოურავს დამიძახე და თანაც ჯოხები და ფალაქა წამოიღე. ერთი სამიოდე ბიჭიც მომგვარე. (ფარეში გადის).

მ ე ჯ ი ნ ი ბ ე – (ათრთოლდება და ტირის). შენი ჭირიმე, ბატონო, ხანის თავის მზეს, მაპატივე...

ვ ე ზ ი რ ი – (მრისხანეთ) ჩუმათ, შე ძალლო და ძალლის შეილო!

მ ე ჯ ი ნ ი ბ ე – შენი ჭირიმე, ჩემო ხელმწიფევ! შენი დედ-მამის სულის საოხებლათ, ნუ მომკლავ, მაპატივე!..

ვ ე ზ ი რ ი – გაჩუმდი-მეთქი, შე ვირო და ვირის ჯიშისავ!

## გამოსვლა მეექვსე

ისინვე, მ ო უ რ ა ვ ი, ფ ა რ ე შ ი ჯოხებით და ფალაქით და  
მასთან ს ა მ ი ბ ი ჭ ი შემოდიან

ვ ე ზ ი რ ი – (ფარეშებს) აბა, წამოაქციეთ მოურავი და ჩაუყავით ფეხები ფალაქაში! (ფარეშები ასრულებენ ბრძანებას; ორს ფალაქი უჭირავს და ორს ჯოხი).

ვ ე ზ ი რ ი – დაჰკარით! (სცემენ).

მ ო უ რ ა ვ ი – (ლრიალით) ბატონო!.. შენი ჭირიმე, რას მერჩით?.. რა დამიშავებია?

ვ ე ზ ი რ ი – (მრისხანეთ) ამ ცხრილს რა უნდოდა, შე ვირო, აქ, ჩემ ოთახში!?

მ ო უ რ ა ვ ი – რა ცხრილია, შენი ჭირიმე?

ვ ე ზ ი რ ი – რა ცხრილია? ჯოხები გეტყვიან! მოურთეთ!

მ ო უ რ ა ვ ი – ვამე! ვაიმე! შენი ჭირიმე... შემატყობინეთ, რა დანაშაული მაქვს და მერე, თუ გინდათ, მომკალით!..

ვ ე ზ ი რ ი – შეაჩერეთ! მოურავო! შენი დანაშაულობა ის არის, რომ მოსამსახურებს კარგათ ვერ არიგებ... რატომ არ შეაგონებ თვითეულ მათგანს მათ-მათ მოვალეობას? როგორ ბედავს მეჯინიბე ჩემს ითახში შემოსვლას?! რა უნდა აქ საცერს?! თუკი მე, როგორც ვეზირი, ამოდენა სახანოსა ვმართავ და ვუვლი, შენ როგორ ვერ მოგივლია თავი ჩემი პატარა ოჯახისათვის?

მ ო უ რ ა ვ ი – შე დალოცვილო, მე რა შენი მისატოლებელი ვარ? შენ თავიც დიდი გაქვს და ჭკუაც. მაპატიე, შენი ჭირიმე, ეს ერთი და, დღეიდან ვეცდები...

## ხანის ვეზირი

ვ ე ზ ი რ ი – კარგი, აუშვით! მოურავო, ეს ერთი მიპატიებია და მეორეთ რომ კიდევ ვნახო ჩემ ითახში ცხრილი, ვაი შენი ბრალი, გამოეთხოვე შენს თავს!..

მ ო უ რ ა ვ ი – (ფეხზე დგება) კი, შენი ჭირიმე! კი, ჩემო ხელმწიფევ!

ვ ე ზ ი რ ი – წადი ახლა.

მ ე ჯ ი ნ ი ბ ე – (თავისთვის) მადლობა ღმერთსა, გადავრჩი! (გარბის საჩქაროთ და სხვებიც მიპყვებიან).

ფ ა რ დ ა

## მოქმედება მოორე

### სცენა პირველი

შოლე-ხანუმის ოთახი

### გამოსვლა პირველი

თ ე მ უ რ - დ ა დ ა ნ ი ს ა - ხ ა ნ უ მ ი  
ზეზე დაგანან და აღელვებული ელაპარაკებიან ერთმანეთს.

თ ე მ უ რ – მითხარ, რა ვქნა? ეს რა უცნაური რამ გაუძრახავს ვეზირს? შენ უნდა ხანს მიგათხოვოს და მე კი ამ ჩემი თავით ცოცხალი ვიყო? რაო! რა მინდაო, მანცადამაინც რომ ხანი ამოუჩემებია?!

ნ ი ს ა – ღმერთმა ნუ იცის მისი თავი და ტანი!.. პატივისმოყვარეობა არ ასვენებს.

თ ე მ უ რ – მაგისთვის განა ვეზირობა კი არა კმარა?

ნ ი ს ა – კმარა, მაგრამ ვეზირობა ხომ სამუდამო არ არის? დღეს არის, შეიძლება ხვალ აღარ იქნეს და ამიტომაც უნდა, რომ ხანის მოყვრობით საქმე მარჯვეთ დაიჭიროს.

თ ე მ უ რ – აი, ტუტუცი! ვერა ხედავს, რომ ხანს ჯერ მოყვრობით და ნათესაობით არავინ გაუტანია? მაგრამ, ეჱ, ეს სულ ტყუილი ყბედობაა ჩემი მხრით... უნდა ვეცადოთ, რომ ეგ საქმე როგორმე მოვშალოთ! ნეტაი გამოვტეხოდი და მეთქვა მისთვის, რომ შენ მიყვარხარ!.. შენი ბრალია: დამიშალე და არ მათქმევინე...

## ხანის ვეზირი

ნ ი ს ა – ღმერთი არ გაგიწყრეს, ეგ არა ჰქენა! ხომ იცი, რომ ხანი მიზეზში გიდგია და ვეზირი, გაიგებს თუ არა ჩვენს სიყვარულს, მაშინვე მივა და ჩაგაბეზლებს ხანს, რომ თემური არაფრათ გაგდებს, მეტოქობას გინევს, რაყიფათ გამოდის და საცოლოს გართმევსო! ამას ვეზირი მიტომ იზამს, რომ ხანის გული მოიგოს და მასაც მეტი არა ეჭირვება!.. ხომ იცი, რომ კვალში გიდგება?

თ ე მ უ რ – იმ დალოცვილს ის კი არ ეყოფა, რომ ცხოვრება ჩამომართვა?! ახლა დაღუპვასაც მიპირობს?!

ნ ი ს ა – აბა, არ იცი?.. იმან კარგათ იცის, რომ სანამდი ცოცხალი ხარ, მისი უსამართლობა გულზე მახვილათ გესობა. დღომდი გექალაჩუნება, გემელაკუდავება და, თუ მოგასწრო სადმე, გიჩვენებს შენ სეირს! შენი სიკვდილი მისთვის სიცოცხლე იქნება!..

თ ე მ უ რ – მაგის კი რა მოგახსენო!.. მამა უცხონდა, რაც მე იმან ვერ მომკლას! ერთი, რომ ხალხი ჩემკენ არის, მამიჩემის ერთგულება ჯერ კიდევ არ გადავარდნიათ გულზე და მეორეც ის კიდევ, რომ არც მე გახლავარ ლაჩარი! ჩემი ხორცი იმას ყელზე დაადგება, ვერ მოინელებს! ეჱ, რას ამბობ? განა ლირს მაგაზე ფიქრი და ლაპარაკი! შენ ეს მითხარი: ეგ ვეზირი რათ გადამკიდებია?

ნ ი ს ა – ნავეზირალის შვილი, ნირზა-ლატიფი, რომ მდივნად აიყვანე შენთან – მიტომ. იმასა ჰგონია, რომ, თუ ვინიცობაა, ბედი დაგიბრუნდა და ისევ ხანობა ჩაიგდე ხელში როგორმე, მას გააგდებ და ვეზირობას შენს მდივანს მისცემ. აი, ამიტომ ცდილობს ვეზირი, რომ ის საბრალო ყმანვილი როგორმე პირშავათ გამოიყვანოს ხანთან და ამ ქვეყნიდან გააგდოს!..

თ ე მ უ რ – ვერ მოახერხებს!.. ვერ შეიძლებს!.. ჰაი, ჰაი, როგორ მიხდის მამიჩემის ამაგს!.. მართალი ხარ, შენი რჩევა დამიჯდა! ვეზირთან საქმის დაჭერა არ ლირებულა... შოლე-ხანუმ სად არის? მინდა მოველაპარაკო...

ნ ი ს ა – დედის ოთახშია.

თ ე მ უ რ – ვერ გამოიხმობ?

ნ ი ს ა – დედა შინ არ არის, თუ გინდა, იქ წავიდეთ.

თ ე მ უ რ – კაი დაგემართოს!.. (მიდიან და მერე ზიბა-ხანუმ შემოდის).

ზ ი ბ ა-ხ ა ნ უ მ – ჰაი, შე ურცხვო, შენა! ვის ეკადრება შენგან შეურაცხყოფა!.. ვეზირი რომ გასათუთებს, განა მიტომ შეიქენი თავ-გასული?! (აქეთ-იქით იხედება და რომ ვერავის ხედავს) ა, სად წასულა ის უნამუსო, ის ფრახი! აი, დაიქცეს ეს ოჯახი და ამოვარდეს ვეზირი, რომ აქამდი მიმიყვანა!.. (აპირობს დაბრუნებას. მაგრამ კაცის ხმა მოეს-

## ხანის ვეზირი

მის და შეკრთება) ვაიმე! ვაშკაცის ხმაა!.. აგერ, სადაც არის, კარს შემოაღებს! რაღა ვენა?! როგორლა გავიდე და საით, რომ არ მომას-ნორს?! (გარბი-გამორბის აქეთ-იქით და ბოლოს ფარდას ეფარება. თემურ-ალა და შოლე-ხანუმი შემოდიან).

თ ე მ უ რ – ოჳ, როგორ მალე დაბრუნდა დედაშენი აბანოდან! უმისოთ შეგვეძლო შენს ოთახში დავრჩენილყავით და გველაპარა-კნა... აქ ვეზირი ხომ არ მოვა?

შ ო ლ ე-ხ ა ნ უ მ – ხათრი ნუ გაქვა! დღეს ის ჩემთან ვერ შემოვა.

თ ე მ უ რ – რატომ?

შ ო ლ ე – დღეს რიგი ზიბა-ხანუმს ერგო და, აქ რომ შემოვიდეს, სიცოცხლე დაუმნარდება.

თ ე მ უ რ – კი, მაგრამ ვინ იცის, რა შემთხვევა ეწვიოს?

შ ო ლ ე – შენ ნუ გეშინიან, თავდარიგი დაჭერილი მაქვა! ნისა-ხანუმ მეთვალყურედ დავაყენე და, თუ დაინახა, შეგვატყყობინებს. განა გეშინია?

თ ე მ უ რ – შიშით არავისი მეშინია, მაგრამ მაინც არ მინდა, რომ მნახოს ვეზირმა და ხანს დამაბეზლოს.

ნ ი ს ა - ხ ა ნ უ მ – (შემოიჭრება) ვაიმე!.. ჩქარა! ჩქარა თავს უშვე-ლეთ! ვეზირი მობდანდება!..

შ ო ლ ე – (გაიხედავს კარებში) მართლა რომ მოდის და ახლოსაც არის!.. თემურ, შენ ველარ გაასწრობ კარებში, წინ შეეფეთები!..

თ ე მ უ რ – მაშ, რა ქნა? ხომ არავინ შეატყყობია, რომ აქა ვარ? გულს გავუპობ ხანჯალით, რომ ვინმემ გამცეს!..

შ ო ლ ე – აბა, რა დროს ეგ არის! ჯერ მაგ ფარდას ამოეფარე და მერე როგორმე მე გავიტყუებ ვეზირს აქედან... (თემური ეფარება).

## გამოსვლა მეორე

ვ ე ზ ი რ ი და ჰ ა ჯ ი - მ ა ს უ დ ი შემოდიან

ვ ე ზ ი რ ი – რასა იქ, ჩემო შოლე-ხანუმ? როგორ გუნებაზე ხარ?

შ ო ლ ე – მადლობა ღმერთს! ღვთისა და შენი წყალობით მხია-რულათა ვარ და ნურც შენ მოგიშალოს ყოვლის შემძლებელმა მხია-რულება... მაგრამ რატომ მაგრე მოქმუხვნილხარ?

ვ ე ზ ი რ ი – ისეთი მოულოდნელი რამ შემემთხვა, რომ სულ ამრივ-დამრია!.. ჰავა-მასუდ, წადი, ყავა გააკეთე და მომართვი! (ჰავა თავს დაუკრავს და გადის).

შოლე - აბა, მითხარი, რა მოგივიდა? რა დაგემართა? მაგრამ არა, არა! არ მინდა, რომ თავი შეგაწყინო, ეგება გძელი ამბავია!..

ვეზირი - მაგდენადაც არაფერი. აი, რა მოხდა: დღეს მე და რამდენიმე ბეგი ბატონ ხანს ვახლდით. ვიღაცამ ჩამოაგდო ლაპარაკი თემურ-ალას ლონეზე და ყველამ ერთხმათ გამეორა, რომ იმისთანა ფალავანი ახლა მთელ სახანოში არ მოიპოება, ხანიც ამ აზრის იყო, მაგრამ მე კი შორს დავიჭირე და მოვახსენე: ეგება, მაგას მიტომ ბრძანებთ, რომ იმ დღეს იმან იმდენი მოჭიდავე გალახა-მეთქი და ისინი ხომ არცერთი ფალავნები არ ყოფილან, ახალგაზდა ბავშვები იყვენ-მეთქი! ხანმა არ დაიჯერა და მაშინ, რასაკვირველია, მე მოვახსენე: ვაი დედასა, რომ მე არ შემფერის ღლაბუცობა, თორემ მის სეირს გაყურებიერი-მეთქი! ხანმა რომ ამ სიტყვებს ყური მოჰკრა, - ხომ იცი, რომ სეირი უყვარს, - ალარ მომეშვა: თუ გიყვარდე, აბა დაეჭიდეო. მეც, რალა გზა მენდა, ვტაცე ხელი, მაგრამ მისთანა შენს მტერს, იმას საქმე მოუვიდა!.. ერთბაშათ მოვსხლიტე დედამინას, ავიყვანე ჰაერში, გადავატრიალე და ერთი მისთანა ვდრიკე მინაზე, რომ სული განაბა!

შოლე - (ლიმილით) ოხ, ღმერთო ჩემო, რა გიქნია ეგა? რომ მოგეყლა, მერე? არ გეპრალებოდა? დედამისი მაინც ალარ შეგეცოდა?

ვეზირი - მერე მეც ბევრი ვიწუხე, მაგრამ რაღა დროსი იყო!.. იმ უბედურმა სული ველარ მოიბრუნა...

შოლე - უი, დამიდგა თვალი! ეგება, ახლა იქ აგდია!..

ვეზირი - არა, აქამდი წაიღებდენ ფარეშები და დედასთან მიიტანდენ. (თემურ-ალა გაიცინებს, ვეზირი შეკრთება, მივა და ფარდას ახდის, იქ თემური და ზიბა-ხანუმი დაუხვდება და გამტერდება. შოლე-ხანუმსაც გაუკვირდება ზიბა-ხანუმის აქ ყოფნა).

ვეზირი - ღმერთო ძლიერო, ამას რას ვხედავ!.. (მოუბრუნდება თემურს) აქ შენ ვინ მოგიყვანა?! რა გინდა?! (თემური წასვლას აპირებს, მაგრამ ვეზირი ხელსა სტაცებს) არა, სად მიდიხარ, რომ მიდიხარ? არ მეტყვი, აქ რა გინდოდა?!

თემური - (ხელს გააშვებიებს) გამიშვი!

ვეზირი - (ორივე ხელებით ეჭიდება) რას ჰქვიან გაგიშვა? (თემური, მოთმინებიდან გამოსული, ერთ ხელს კისერში მოჰკიდებს, მეორეს ფეხში წაავლებს, დაარტყამს დედამინაზე და თვითონ გადის სახლიდან).

ვეზირი - (მივარდება ზიბა-ხანუმს) შე ღვთისაგან წყეულო, რა გინდოდათ მანდ და რას აკეთებდი?!

ზობა - რა უნდა გაგვეკეთებია? ჰაი, შე უბედურო, გამოიღვიე და გამოახილე თვალები, რომ ვერასა ხედავ!

ვეზირი - ფიქ! როგორ თუ ვერასა ვხედავ?! მაშ, რა არის ეს? ვგონებ, შენ გინდა, რომ თვალები ამიხვიო, მაგრამ გვიანდა არის... დაგიჭირე, ქალბატონო, და ან მე გაჩვენებ შენ სეირს!..

ზობა - აი, დაგიდგა ეგ თვალები, რომ ხედავ და ვერას გებულობ!.. არა, შე გამოყრუებულო, მე რას მერჩი?!

ვეზირი - როგორ თუ რას გერჩი? რა გინდოდა უცხო კაცთან?! მალულობის თამაშობდით? ჰმ... კარგი ადგილი გიშოვნიათ ფარდას იქით... არა, შე უნამუსო, რა უნდოდა იმ უცხო კაცს აქა?..

ზობა - ეგ შოლე-ხანუმს უნდა ჰკითხო: რა უნდოდა უცხო კაცს მის ოთახში?

ვეზირი - რას მიედ-მოედები, შე ბებერო კატავ, შენა! შენი არამზადობა შენვე უკეთ არ იცი? ამან რა უნდა თქვას? სთქვი, რა უნდოდა აქ?..

ზობა - მაშ, კარგი, გეტყვი: წელან ჩემმა მოახლეობ შემომჩივლა: შოლე-ხანუმმა გამლანდლაო. მეც ველარ მოვითმინე და შემოვეჭერი ოთახში, რომ გამელანდა, მაგრამ ოთახში კი არავინ დამხვდა. ერთიც ვნახოთ, გარედან ხმა შემომესმა... შოლეს ვიღაც უცხო კაცი მოჰყავდა და ელაპარაკებოდა. მე რომ ველარ მოვასწარი წასვლა, აქ მივიმაღე. ერთი, რომ იმ კაცს მოვერიდე და მეორეც ისა, რომ გამეგო, თუ რას ეტყოდა იმ უცხო კაცს შენი საყვარელი ცოლი. სწორეთ იმ დროს შენი ფოსტლების შლაპა-შლუპის ხმა გაიგონა იმ კაცმა და ისიც აქ შემოძრა დასამალავათ.

ვეზირი - თუ მაგრე იყო, რატომ მაშინვე არ დაიყვირე და არ გამოვარდი?

ზობა - რაღას გამოვიდოდი, რომ ცალი ხელით ვეჭირე და მეორე პირზე მომაფარა!

ვეზირი - (ფიქრის შემდეგ) შოლე-ხანუმ! მართალი მითხარი: ეგ ქურდი, ავაზაკი შენთან იყო თუ არა?

ზობა - შენი გამოყრუებული ცოლი რომ თუთიყუშების ჯიშისაა, განა არ იცი? ეგ სულ მაგრე ყბედობს და რას ამბობს, თვითონაც არ იცის, თორემ მე რა ვიცი, ვინ ოხერია ის კაცი და ან ჩემთან რა უნდოდა?

ვეზირი - როგორ თუ არ იცი? განა თემურ-ალას ვერ იცნობ?

ზობა - ვინ თემურ-ალა? თემურ-ალა შენ არ წააქციე და ცოცხალ-მკვდარი მიუტანეს დედამისს ფარეშებმა? ის აქ როგორლა მოვიდოდა?

## ხანის ვეზირი

ვ ე ზ ი რ ი – შენ ეი, დედაკაცო, ნუ ცბიერობ! მითხარი, შენთან იყო თუ არა? შენთან მოვიდა?

შ ო ლ ე – ჩემთან რომ მოსულიყო, ჩემთანაც იქნებოდა და ერთად გვნახავდი. ზიბა-ხანუმმა იცოდა, რომ მე ჩემი დედით და დით აბანოში უნდა წავსულიყავ. მაგასაც უფიქრია, რომ სახლი მარტო იქნება, ხელს აღარავინ შეგვიშლისო და საყვარელი აქ მოუყვანია... თავის ოთახში ხომ ვერ შეიყვანდა, რადგანაც იცოდა, დღეს შენ უნდა რიგით მაგასთან ყოფილიყავ. მაგრამ მაგის საუბედუროთ, აბანო ველარ ვიშოვეთ და ადრე დავბრუნდით სახლში. ეგ საწყალიც სადღა წავიდოდა? მოემწყვდა სახლში და თავის საყვარლით კი მიმაღლან!..

ზ ი ბ ა – ჰაი, შე აშარო და უნამუსო, რატომ ეგ ენა არ დაგიდუნდება, რომ მაგრე მოხერხებულად სტყუი!.. გინდა, რომ შენი დანაშაულობა მე გადმომაბრალო? ჰაი! ჰაი! რატომ მინა არ გამისკდება, რომ ეს მესმის ამ უნამუსოსაგან?!

შ ო ლ ე – თვითონ აშარო და უნამუსოვ! გაგისკდეს მართლა დედამინა და თან ჩაგიტანოს!.. მთელი სერაბი გიცნობს, რაცა ხარ! მაგითი გინდა, რომ თავი გაიმართლო? განა შენ ქმარს თვალები არა აქვს: მე მომასწრო უცხო კაცთან, თუ შენ? ეს კარგია!.. ესენი აქ იმაღლებოდენ და ჩემი ბრალია!..

ზ ი ბ ა – უიმე! უიმე!.. რალათ მინდა თავი ცოცხალი! (ვეზირს) რატომ არ ჩაამტვრევ ცხვირ-პირს, რომ შენთან მაგაებს მეუბნება ეგ ურცხვი და ცილსა მწამებს?

ვ ე ზ ი რ ი – (ზიბას) გაჩუმდი, შე ასო-ასოთ ასაჭრელო! კიდევ ხმას იღებ? ჯერ შენთვის არა მცალიან! უნდა შენი საყვარელი ხანს დავაბეზღო და მერე კი ვიცი, რასაც გიზამ, შენ სეირს გაყურებიებ! შენ სიცოცხლეში რომ სიცრუე და ეშმაკობა ვერ მოიშალე!

ზ ი ბ ა – მე ვარ ცრუ და შენ კი სიმართლის მოყვარე? კაცო, შენ არ ტრაპახობდი, რომ თემურ-ალა დასცი და უსულოთ აგდიაო?

ვ ე ზ ი რ ი – (გარისხებული) დაიკარგე, შე მოღალატევ, შენ!.. (მიდის) ღმერთო ძლიერო! რომელ ერთს უნდა დაუჯეროს კაცმა?.. ასე შეუპოვრათ ერთიმეორეს პირში უდგიან!.. მოდი და გაარჩიე მტყუან-მართალი!..

## ხანის ვეზირი

### გამოსვლა ხესახვა

ისინიც, ჰ ა ვ ი-მ ა ს უ დ ს ყავა მოაქვს

ჰ ა ვ ი-მ ა ს უ დ – ბატონო, ინებეთ ყავა!

ვ ე ზ ი რ ი – (ხელსა ჰკრავს) ჯანაბას შენ და შენი ყავაც! რალა ყავისა მცხელა, ხანს უნდა ვიახლო. (ჰაჯი-მასუდი ჩოხას იწმენდს და გადის, ვეზირი მიჰყვირის) წამომასხი წითელი ქურქი და ლურჯი ცხენი შემიკაზმეთ, გესმის!

ჰ ა ვ ი – მესმის, ბატონო! ახლავე! (გადის და ვეზირიც მიჰყვება).

შ ო ლ ე – (მარტო) მადლობა ღმერთს, კარგათ არ გამოვიძვრინე თავი!.. ღმერთმა უშველოს ზიბა-ხანუმს, რომ უნებურათ ჭირს გადამარჩინა. წავიდე ერთი და ჩემს დას ვუამბო ყოლიფერი.

ფ ა რ დ ა

### მოქმედება ხესახვა

სცენა წარმოადგენს ზღვის პირათ ხანის სასახლეს. ჰაივანი დაბალია, სულ ერთი საჯენიც არ იქნება. ტახტზე ზის ხანი, სერაბელი ბეგები გვერდში უდგანან. თავზე სელიმ-ბეგი ადგია და ხელში დიდი კეტი უჭირავს, მისი თანამდებობის ნიშნათ. კარებთან დგას სამად-ბეგი, ფარეშთუბუცესი, იქვე შორიახლოს არიან მსახურთუბუცესი აზიზ-ალა და ორი ახალგაზდა მსახური. დაბლა, ჰაივნის წინ მთხოვნელები იცდიან. კარის იქით ფარეშები არიან თავმოყრილი, ზოგი ნევს და ზოგი ზეზეა.

ს ა ნ ი – დღეს კარგი ტაროსია... მთხოვნელებს რომ გავისტუმრებ, მინდა წავით გავისეირნო ზღვაზე. აზიზ-ალა! უბრძანე, რომ წავი დამიმზადონ.

ა ზ ი ზ – ბატონი ბრძანდებით.

ს ა ნ ი – სელიმ-ბეგ! უბრძანე, წარმოადგინონ მთხოვნელები.

ს ე ლ ი მ-ბ ე გ – ყადირ-ბეგ! აბა, წარმოადგინე! (ყადირ-ბეგს შემოჰყავს ორი მთხოვნელთაგანი. ხანს თაყვანსა სცემენ).

ჰ ი რ ვ ე ლ ი მ ო მ ჩ ი ვ ა რ ი – ბატონო ხანო! თქვენს თავს შემოვევლე და თქვენის ჭირის სანაცვლოც ვიყო! სათხოვარი მაქვს.

## ხანის ვეზირი

ს ა ნ ი – რასა მთხოვ?

მ ო მ ჩ ი ვ ა რ ი – დღეს ცხენი გამექცა, წყალზე რომ მიმყავდა. ეს კაცი (უთითებს შეორეზე) პირდაპირ მოდიოდა, შევყვირე: ღვთის გულისათვის, ცხენი დამიბრუნე როგორმე-მეთქი. ამანაც უცბათ წამოავლო ქვას ხელი, ესროლა ჩემ ცხენს და მარჯვენა თვალი წამოაგდებია. დაშავებული ცხენი ვის რალათ უნდა? ვეხვენები, გადამიხადე-მეთქი და ეს კი აყალ-მაყალს მიწევს.

ს ა ნ ი – მართალია?

მ ო პ ა ს უ ს ე – თქვენ თავს შემოვევლე, მართალია, მაგრამ მე რა ბრალი მაქს, უცაბედი საქმე მოხდა. მე ხომ არ მდომებია?

ს ა ნ ი – რას მიჰქარავ! უცაბედათ ქვის ალება და გასროლა განა შეიძლება?! გყავს ცხენი თუ არა?

მ ო პ ა ს უ ს ე – გახლავსთ.

ს ა ნ ი – (პირველს) მაშ, წადი და ახლა შენ გამოთხარე ცალი თვალი მაგის ცხენს და ბარი-ბარში გამოხვალო. სამად-ბეგ! გააყოლე ამათ ერთი ფარგები, რომ ჩემი განჩინება უთუოდ მოაყვაინოს სისრულეში. (გააყენებენ განზე) სელიმ-ბეგ! ახლა სხვებს დაუძახონ.

ს ე ლ ი მ-ბ ე გ – ყადირ-ბეგ! სხვებიც შემოვიდენ. (შემოჰყავთ კიდევ ორი).

ს ა ნ ი – ოხ, რა ძნელია ხანობა!.. ნეტავ თუ კიდევ რამე იყოს ამაზე უძნელესი?!.. ყველა მარტო თავის ოჯახზე, ცოლ-შვილზე ზრუნავს და მე კი ათასს ვინმეებზე უნდა ვიზრუნონ და მოსვენება არა მქონდეს!.. რალაი კი ხანათ დაგმჯდარვარ, მას უკან სულ ასე ვარჩევ თხოვნასა და საჩივარს!.. დაუკმაყოფილებელი არავინ გამიშვია...

ს ე ლ ი მ-ბ ე გ – ნაცვლათ მთელი ქვენის ლოცვა-კურთხევა წინ გიძლვისთ! თუ არ თქვენი ეგ მართლმსაჯულობა და მზრუნველობა, სხვა რა გააბედნიერებდა და ააყვავებდა მთელ თქვენს სახანოს? (მთხოვნელები თაყვანსა სცემენ).

მ ო მ ჩ ი ვ ა რ ი – ბატონო ხანო, თქვენს თავს შემოვევლე!.. აქლემი გამიხდა ავათ, მიმასწავლეს ამასთან (ხელს აშვერს შეორეზე) პირუტყვების ექიმიაო; მეც გავბრიყვდი, ერთი თუმანი ხელფასი მივეცი. იმან ნახა თუ არა ჩემი აქლემი, მაშინვე სისხლი გაართვა და ისე დანრიტა სისხლით, რომ ჩემმა აქლემმა ფეხები გაფშიკა... ძალისძალათ მოჰკლა!.. ვეუბნები: კაცო, მაჰმადიანო, რა ღვთის რისხვა რამ ყოფილხარ?! თუ არა შეგეძლო-რა, ამ ჩემ საქონელს ხელს რათა ჰერიდებდი, რათა ჰერიდებდი? და თუ მოკალი, ფულს მაინც რალათ მახდევინებ-მეთქი? ეს კი პირაქეთ მამადლის, რომ მე სისხლი

## ხანის ვეზირი

არ გამომეშვა, უარესიც მოგივიდოდა, და სიკვდილზე უარესი რაღა მოუვიდოდა, შენი ჭირიმე? სამართალს ვითხოვ, ჩემო ხელმწიფევ!

ს ა ნ ი – (მეორე მოპასუხეს) ექიმო, შენ რომ სისხლი არ გამოგეშვა აქლემისათვის, უარესი ვითომ რაღა მოუვიდოდა?

მ ო პ ა ს უ ს ე – ბატონო ხანო, თქვენს თავს შემოვევლე!.. მაგის აქლემის მორჩენა შეუძლებელი იყო, უკურნებელი რამ სჭირდა. სისხლგაულებლათ ბევრი-ბევრი ეცოცხლა ექვსი დღე, მეტს ვეღარ გაატანდა; პატრონი უბრალო ხარჯისა და შრომის მეტს მოვლით რას გამორჩებოდა? მე კი ერთხამათ ორივეს გადავარჩინე.

ს ა ნ ი – მაშ, შენი აზრით, ამისგან შენ საჩუქარიც გერგება კიდევ?

მ ო პ ა ს უ ს ე – მერგება, შენი ჭირიმე, თუ თავის ღმერთს შეხედავს!

ს ა ნ ი – (მიუბრუნდება ბეგებს) არ ვიცი, ღმერთმანი, როგორ უნდა გადავჭრა სამართალი! ჯერ მე ამისთანა დახლართული საქმე არ შემხვედრია!..

ე რ თ ი ბ ე გ თ ა გ ა ნ ი – დიდებულო ხანო, შენი კვნესამე! ექიმები საზოგადოთ სასარგებლო არიან ქვეყნისათვის. ამ ექიმსაც მე კარგათ ვიცნობ: ყოვლად ღირსი კაცია და ტყუილს არ იტყვის. უბრძანეთ მომჩივარს, რომ შრომის ფასი რამ მისცეს.

ს ა ნ ი – თუ იცნობ, მაშ, მაგრე იყოს! მომჩივარო, წადი და მაგ ექიმს ერთი ჩოხა ჩააცვი, ერგება და რას ერჩი!.. სამად-ბეგ! ერთი ფარეშიც იმათ დაასწარი, რომ ჩემი განჩინება აასრულონ. (მიღიან. ამ დროს შემოიჭრება გააფთრებული ვეზირი და ხანის წინ დებს საწერელს).

ვ ე ზ ი რ ი – შენი ჭირიც წამილია!.. დრო არის, რომ ვეზირობი-დან გადავდგე!.. შენი წყალობა ჩემს თავზე გადუვალია... ახლა ჩემზე უფრო ღირსეულს უბოძეთ ვეზირობა. მე უნდა დავაგდო ეს ჩვენი მხარე, გავშორდე აქაურობას და ყარიბათ ვინანნალო უცხოეთში სადმე...

ს ა ნ ი – (გაოცებული) ვეზირო, რა დაგმართნია?! რა მდგომარეობაში ხარ? ეს რას ნიშნავს?

ვ ე ზ ი რ ი – ჩემო ხელმწიფევ! თქვენი მართლმსაჯულობის ხმა მთელ ქვეყანაში გავარდნილია; შენი შიშით სხვისას ვერაფერს ხელ-საც ვერავინ ახლებს; უკანასკნელ მონასაც შენი წყალობით ვერავინ შეურაცხჲოფს და მე კი შენმა ძმისწულმა, თემურ-ალამ, რომელიც შენს სამართალ-რისხვას ჩალათაც არ აგდებს, ოჯახი შემირცხვინა... შემომივარდა დღისით, საჯაროთ, სახლში, ჩემი ცოლის სანახავათ!..

ს ა ნ ი – (მრისხანებით) რას ამბობ, ვეზირო?! თემურ მაგას როგორ გაბედავდა?!

## ხანის ვეზირი

ვ ე ზ ი რ ი – შენი პურ-მარილი ყელზე დამადგეს, თუ ვტყუოდე! ჩემი თვალითა ვნახე თემურ ჩემ ჰარემში... მივასწარი, მინდოდა დამეჭირა, მაგრამ გამასწრო.

ს ა ნ ი – სამად-ბეგ! წადი და ახლათ-ახლავე თემური მომგვარე! მიზეზს კი ნუ ეტყვი. (სამად თავს უკრავს და მიდის). ვეზირო, დამშვიდლი! ნახავ, თუ როგორ გადავახდევინებ და რანაირათ დავსჯი იმ საძაგელს, რომ მთელი ქვეყნისათვის სამაგალითო იქნეს!..

ვ ე ზ ი რ ი – თავს შემოგვევლე!.. დიდებული ხალიფები სამართლის გულისათვის თავის საკუთარ შვილებსაც არ ჰითოგავდნენ, როცა კი გაიგებდენ, რომ იმათ რომელიმე ქვეშევრდომის ოჯახს შეურაცყოფა მიაყენეს და ნამუსი ახადეს. ამგვარივე დანაშაულისათვის მაჰმუდ-სულთანმა ერთ თავის მახლობელს თავის ხელით გააგდებია თავი. და მიტომაც, მათი სახელი ქვეყნათ დაუკინებია და ერთი საუკუნიდან მეორეში გადადის გადიდებულათ!..

ს ა ნ ი – ვეზირო, ეხლავ გიჩვენებ, რომ იმათ არც მე ჩამოუვარდები! (შემოჰყავს თემური ფარეშთუცუცეს). პირველი ცოტა მედიდურათ და მეორე მდაბლათ თავს უკრავენ ხანს). რამდენჯერ მიბძანებია, რომ შენ ჩემთან ხანვლით არ შემოხვიდე ხოლმე?

თ ე მ უ რ-ა ღ ა – და სად გახლავსთ ხანჯალი?

ს ა ნ ი – თითქოს თვალი მოვჰყარი! რა გინდოდა ვეზირის ჰარემში? (თემური თავს ჩაღუნავს და ხმას არ ილებს) გინდა, რომ შენისთანა სალახანას გულისათვის მე ქვეყანაში თავი გავიკიცხო და სახელი გავიტეხო?! არ მინდა, რომ მყავდეს შენისთანა ძმისნული! თოკი! (შემოცვიდებიან ფარეშები, ქიშმირის შალები უჭირავსთ ხელში). გადააფარეთ თავზე შალი, წააქციეთ და დააღრჩეთ! (ფარეშები შეიშმუშნებიან).

ბ ე გ ე ბ ი – თქვენი ჭირიმე! ნუ ინებებთ მაგას!.. აპატივეთ ეს ერთი... ჯერ ყმანვილია!

ს ა ნ ი – არა, ვფიცავ მამა-პაპის საფლავს, რომ არ ვაპატივებ! (ფარეშებს) წააქციეთ! (ფარეშები მიუახლოვდებიან).

ბ ე გ ე ბ ი – ხანო, გევედრებით... შეიბრალეთ! დედისერთაა!

ს ა ნ ი – არ შეიძლება! არა და არა! (მიუბრუნდება ფარეშებს) არ გესმით, თქვენ ძალლის შვილებო, რომ გიბძანებთ?! წააქციეთ და დაახრჩეთ. (ფარეშები მიუახლოვდებიან შალებით, თემური უკან დაიხევს, უცბათ გამოილებს კალთის ქვეშიდან დამპაჩას და მიაშვერს ფარეშებს. ისინი დაფრთხებიან და გაიფანტებიან აქეთ-იქით. თემური მშვიდობიანათ მიდის).

ს ა ნ ი – (მიაყვირებს) დაიჭირეთ! ნუ გაუშვებთ!! (ყველანი გარბი-გამორბიან, მაგრამ გამოკიდებას კი ვერავინ ბედავს). (ხანი მრისხანეთ) არც

## ხანის ვეზირი

ერთი ჩემი წყალობის ლირსი არა ხართ! რათ გაუშვით ეგ საძაგელი? (ხმას არ იღებენ). სამად-ბეგ! (მოუახლოვდება) ახლათ-ახლავე წაიყვანეთან ორმოცდათი ჩაფარი, მონახე, სადაც იყოს, დაიჭირე და სასახლეში მომგვარე!..

ს ა მ ა დ-ბ ე გ – ბატონი ბრძანდებით! (მიდის).

ს ა ნ ი – სანამდი არ მოვაკვლევინებ, ეს მხარე არ დამშვიდდება!... (ბეგებს) წადით, დამეკარგეთ აქედან! (მიდიან) აზიზ-ალა! (მოუახლოვდება) წავი მზათ არის?

ა ზ ი ზ-ა ღ ა – მზათ გახლავსთ, ჩემო ხელმწიფევ!

ს ა ნ ი – (წამოდგება ზეზე და მიუბრუნდება ვეზირს) წადი და დამშვიდდი! შენ მაგიერათ მე გადავუხდი! ეს ბეჭედიც წაიღე და მიუტანე ნისა-ხანუმს ნიშნათ. დროა, რომ შენც ქორწილის სამზადისს შეუდგე. ერთ კვირაზე უნდა უთუოდ გათავდეს.

ვ ე ზ ი რ ი – მზათ გახლავარ, ავასრულო თქვენი სურვილი, ჩემო ხელმწიფევ! (თაყვანსა სცემს და მიდის, ხანიც ეპირება წასვლას).

ფ ა რ დ ა

## მოქმედება მეოთხე

### სცენა პირველი

შოლე-ხანუმის ოთახი

### გამოსვლა პირველი

შ ო ღ ე-ა ნ უ მ და მისი და ნ ი ს ა-ხ ა ნ უ მ და დაფიქრებული სხედან

ნ ი ს ა-ხ ა ნ უ მ – არ ვიცი, რა ამბავია, რომ ჰაჯი-მასუდი ჯერ კიდევ არ დაბრუნებულა!.. გული როგორდაც ცუდათ მეუბნება!..

შ ო ღ ე – რათა? ცუდათ რათ უნდა გეუბნებოდეს? განა დარნ-მუნებული არა ხარ, რომ თემურ-ალას ხანი ცუდს ვერას გაუბედავს?

ნ ი ს ა – ეგ კი, მაგრამ, რომ გაგვაშოროს ერთმანეთს? ეს ხომ სიკვდილზედაც უარესი იქნება!..

## ხანის ვეზირი

### გამოსვლა მეორე

ისინიც და ჰა ჯ ი-მ ა ს უ დ

შ ო ლ ე – ჰაჯი-მასუდ! ერთი გვითხარი, რა მოხდა?

ჰ ა ჯ ი – ვა! მეტი რაღა უნდა მომხდარიყო, რომ ვეზირის დაბეზ-ლებული თემური ხანმა დაიბარა და ფარეშებს უბრძანა, რომ დაე-ლრჩოთ, მაგრამ იმან დამბაჩას გაიკრა ხელი, ფარეშები მიფანტ-მოფანტა და გავიდა სასახლიდან. ხანმა ორმოცდათი ჩაფარი გამოუყენა, რომ დაიჭირონ და ხელფეხშეკრული მიჰვარონ. დაფიცე-ბულია, რომ უსიკვდილოთ არ გადაარჩინონ. (ნისა-ხანუმი შეიცოდებს და დაიკივლებს. ამ დროს კარს შემოალებს თემურ-აღაც).

შ ო ლ ე – ვაი, ვერა ხედავთ?! ღმერთო ჩემო, როგორ გაბედე აქ შემოსვლა? ლომის გული ხომ არ ჩაგიყლაპავს? ნუთუ არ გეშინია და შენს სიცოცხლეს არად აგდებ?

თ ე მ უ რ-ა ლ ა – (ლიმლით) რა ვენა, რისა უნდა მეშინოდეს!

შ ო ლ ე – როგორ თუ რისა? ხანს შენი მოკვლა უნდა და მისი ბრძანებით ყველგან დაგეძებენ და შენ კი ისე მოდიხარ აქ, ვითომც არაფერი ამბავიაო!.. თითქოს ბუზის აფრენასაც არავინ გიპირებ-დეს!.. ჰაჯი-მასუდ! გადი ერთი, დაათვალიერე, აქ არავინ მოდიოდეს. (ჰაჯი-მასუდი მიდის).

თ ე მ უ რ – შენ გგონია, რომ სიკვდილის შიში ხელს ამალებიებს ნისა-ხანუმის ნახვაზე გინდ ერთი დღით? ვერა!.. ჩემი სიცოცხლე მთლად იმას ეკუთვნის და მასთანაც, არც უსაქმურათ მოვსულ-ვარ: ამაღამვე მინდა, რომ მოვიტაცო ნისა-ხანუმი და მოვაშორო ამ ქალაქს. აქ მაგის დატოვება აღარ შეიძლება. შენი ქმარიც ურიგოთ მექცევა!..

შ ო ლ ე – ვიცი და მეც თანახმა ვარ მაგისი, მაგრამ შენ მაინც არ უნდა მოსულიყავ. განა არ იცი, რომ ზიბა-ხანუმს მზევრავები ჰყავს აქეთ-იქით დაყენებული, რომ როგორმე შენ მოგკლან და მეც სახელი გამიტეხონ? გირჩევ, რომ ახლავე ნახვიდე აქედან და ღამე კი ცხენებით უცბათ მოგვადგე კარზე. მაშინ ჩვენც მზათ ვიქნებით და გადმოგცემთ ნისა-ხანუმს.

თ ე მ უ რ – ნისა-ხანუმ! შენ რაღას იტყვი? თანახმა ხარ?

ნ ი ს ა – მეტი რა გზაა?

ჰ ა ჯ ი – (შემოჰყოფს კარებში თავს) ვაი, დავილუპეთ, ვეზირი მობრძანდება!..

## ხანის ვეზირი

შ ო ლ ე და ნ ი ს ა (გაფითოდებიან) – აჲა, ღმერთო!.. ვაი დედასა!.. თემურ-აღა, ღვთის გულისათვის, დაიმალე!.. ფარდას ამოეფარე... სანამ ჩვენც მოვიგონებთ რასმე, რომ ან ის მტარვალი გავიტყუოთ როგორმე აქედან და ან შენ გაგაპაროთ...

თ ე მ უ რ – არაფრის გულისათვის არ დავიმალები! მოვიდეს და მნახოს.

შ ო ლ ე და ნ ი ს ა – (დაიჩოქებენ მის წინ, მუხლზე ეხვევიან და ეხვეწებიან) ღვთის გულისათვის, თავს ნუ იფუჭებ! თუ შენი დედ-მამის საფლავი გრნამს, მოეფარე ფარდას!

თ ე მ უ რ – არა-მეთქი!

ჰ ა ჯ ი-მ ა ს უ დ – (კიდევ შემოჰყოფს თავს კარებში) ახა, ღმერთო! რას შვრებით! ბატონი მოდის, მოახლოვდა!

შ ო ლ ე და ნ ი ს ა – შენი ჭირიც წაგვილია, მაგრამ ჩვენ რაღათ გვიმეტებ? ახლაც რომ კიდევ აქ გნახოს, ხომ დავილუპებით!..

თ ე მ უ რ – რა გაეწყობა!.. თქვენი გულისთვის ყველაფერი უნდა ვიკისრო. (იმალება ფარდის უკან. ვეზირიც შემოდის).

ვ ე ზ ი რ ი – კარგია, რომ ორივეს ერთადა გხედავთ... ერთ ძალიან დიდ საქმეზე უნდა მოგელაპარაკოთ. გამიგონე, შოლე-ხანუმ! შენს დას რომ ხანი შეირთავს, ხომ იცი მერე, თუ რა პატივი და დიდება მოგენიჭება და როგორ ამაღლდები სხვა ქალებზე? შენც უნდა შენი პატივი შეიგნო და ისე დაიჭირო თავი, რომ არავის ათქმევინო: ხანის ცოლისდა ვიღაც ვიგინდარა გარეშე კაცებს იცნობსო.

შ ო ლ ე – (გულგრილათ) მიბრძანეთ ერთი, ვინ უცხოებს ვიცნობ?

ვ ე ზ ი რ ი – აი, თუ გინდა, თემურ-აღას, შენ ოთახში რომ მოვას-ნარი.

შ ო ლ ე – ნუ დაივინყებ, რომ შენ ცოლთან ერთად, ფარდას უკან!..

ვ ე ზ ი რ ი – ეგ მართალია! შენზე ეჭვი არა მაქვს!.. შეიძლება, რომ მართლა ზიბა-ხანუმიც იყოს დამნაშავე, მაგრამ შენ კი მაინც შენდა თავათ ფრთხილათ უნდა იყო, რომ არავინ აალაპარაკო, თორემ, ხომ იცი, ხანი, რომელიც დღეს ნისა-ხანუმისათვის გაგი-ჟებულია, ადვილათ აიყრის გულს შენს დაზედაც. ჯერ კი გატაცე-ბულია და კიდეც დამავალა, რომ ქორნილი დავაჩქაროთ. ამ ერთ კვირაში უნდა გათავდეს და საცოლეს ბეჭედიც გამოუგზავნა. აჲა, ნისა-ხანუმ! ნამოიცვი თითზე. (ხელში უდებს ბეჭედს).

ნ ი ს ა-ხ ა ნ უ მ – ნაძრახი დის პატრონი ხანის ცოლობის ღირსი არ არის! სხვა მოუძებნე ხანს, უფრო შესაფერი და ბეჭედიც იმას გადაეცი... (დააგდებს ბეჭედს და მიდის).

ვ ე ზ ი რ ი – (მიაძახებს) ქალო, განა მე ეჭვიანობა მალაპარაკებს? ვერ გაგიგია ჩემი სიტყვა! მე მხოლოთ დარიგებას ვაძლევდი ცოლს.

შ ო ლ ე – ეგ დარიგება შენი ცოლი ზიბა-ხანუმისათვის შეინახე.

ვ ე ზ ი რ ი – ეგ ხომ ეგრე იქნება... იმას ხვალ მოველაპარაკები.

შ ო ლ ე – ხვალ რალა არის?.. წადი ეხლავე და მოელაპარაკე!

ვ ე ზ ი რ ი – რა საჩქაროა? მის მოტრფიალე თემურ-ალას სასჯელი გადაუწყვიტეს. თუ ჩაიგდეს ხელში, მოჰკვლენ და, თუ არა, უნდა აქედან დაიკარგოს, ამაზე ლაპარაკიც ალარ ღირს, გათავებული საქმეა. უკეთესია, რომ ჩვენ ახლა ქორწილის სამზადისს შევუდგეთ.

შ ო ლ ე – ეგ ჩემი საქმე არ არის! წადი დედიშენის ოთახში და იქ ელაპარაკე...

ვ ე ზ ი რ ი – არა, შენ წადი და აქ მომგვარე.. მაგრამ აი, თვითონაც მობძანდება. (შემოძიან ფარი-ხანუმ და ნისა-ხანუმ) ოომ! დედი, სწორეთ დროზე შემოხვედი... დაბძანდი.

ფ ა რ ი-ხ ა ნ უ მ – ჰა, ვეზირო, შენი ჭირი კი შემეყაროს, ეს მესამე დღეა, დაგეძებ და ხელში ვერ ჩამიგდიხარ, რომ მოგელაპარაკო.

ვ ე ზ ი რ ი – დაბძანდი, დაბძანდი! რა ამბავია?

ფ ა რ ი-ხ ა ნ უ მ – უი, შენ კი გენაცვალე, რალა დროს დაჯდომაა!.. რომ დავჯდე, სადა გცალია დიდხანს სამუსაიფოთ, ათასი საქმე გაქვს!.. ხელათ გეტყვი და გავათავებ, არ მოგაცდენ.

ვ ე ზ ი რ ი – მართლა, დედი, ერთი წამი მოცალება არ მქონია ამ დღეებში! აბა, რა გინდოდა, გეთაყვა?

ფ ა რ ი-ხ ა ნ უ მ – სულ უბრალო რამ, შენი ჭირი შემეყაროს! ყურბანა მკითხავთან ვიყავი, შენთვის შევალოცვინე და ლოცვა, დაწერილი, თან წამოვილე, რომ ღმერთმა ამ შოლე-ხანუმის ხელში ერთი კარგი ვაჟი მოგცეს. თუ ბეჯითად გინდათ, რომ შელოცვამ გაჭრას, თქვენი მხრით ხელი შეუწყვეთო: ღარიბებს პური დაურიგეთ, ვეზირის შეიდი თავის წონაო. ახლა საჭიროა, შევიტყო მხოლოთ შენი თავის სიმძიმე, შვილო, და ნულა დავაგვიანებთ მაგ საქმეს, გადასა-დები არ არის!

ვ ე ზ ი რ ი – დედი, რა ახირებული ხარ!.. თავი ჯერ ისევ კისერზე მაბია, შენ კი წონა გინდა გაიგო?

ფ ა რ ი-ხ ა ნ უ მ – ადვილია, შენი ჭირიმე! მკითხავმა მასწავლა: თავზე ერთი ჭურჭელი რამ ჩამოაცვი ისე, რომ ყელამდე დაფაროს, მერე ის კასრი აავსეთ პურით და ის იქნება მისი თავის ერთი წონაო. ნისა-ხანუმ, წადი, შვილო, მომიტანე კასრი და ქილა! (ნისა-ხანუმი გარბის და შემოაქვს საყველე კასრი).

ვ ე ზ ი რ ი – ეგრე იყოს, დედა!.. ნეტავი კი ღმერთი იმედს აუს-რულებდეს ჩემ შოლე-ხანუმს და, რაც გინდა, მიყავით.

ფ ა რ ი-ხ ა ნ უ მ – (ქუდს მოხდის ვეზირს და ნისას უბრძანებს) აბა, შვილო, ჩამოაცვი თავზე! (ნისა აცვამს, მაგრამ მარტო წარბებამდე ჩამოდის. ნისა ძალას ატანს და ვეზირი ყვირის).

ვ ე ზ ი რ ი – ეი! ეი! რას მიშვრები!.. ცხვირი მომტეხეთ... (მოავ-ლებს ორივე ხელებს და ძირს დააგდებს ქილას).

ფ ა რ ი-ხ ა ნ უ მ – (ნისას) უფრო დიდი მონახე, შვილო! (ნისას შემოაქვს უფრო მოზდილი).

ვ ე ზ ი რ ი – არ შეიძლება, დედი, ეგ საქმე სამერმისოთ გადავდვათ და ჯერ უფრო საჭირო საქმეზე ვილაპარაკოთ?

ფ ა რ ი-ხ ა ნ უ მ – (წუნუნებს) ნუ! ნუ! შვილო! ერთი წამის საქმეა, რალა გადასადება? ჩვენ შენი გულისათვის ჩავდივართ ამ საქმეს და შენ კი უარზე დგეხარ. ღმერთმა ნუ მომკლას ისე.. რომ შოლე-ხანუმის ხელში შვილისშვილი არა ვნახო!.. ჩამოაცვი, შვილო, თავზე. (ჩამოაცმევენ მხრებამდი დიდ კასრს. ფარი-ხანუმი ანიშნებს შოლე-ხანუმს, ისიც ახდის ფარდას და თემურ-ალა ჩუმათ გავა სახლიდან).

ვ ე ზ ი რ ი – მორჩა? გათავდა? აბა, ახლა მაინც შევუდგეთ საქმეს, მოვილაპარაკოთ... დაბძანდი, დედი!

ფ ა რ ი-ხ ა ნ უ მ – დიალ, შვილო! (ჯდება. გარეთ ალიაქოთი ატყდება: შემოიქრება სახლში თემურ-ალა, ხელში დამბაჩით. ვეზირი რომ დაინახავს, აცახცახდება).

თ ე მ უ რ – შე უმაღურო და გაუტანელო! მაგრე მიხდი მამიჩემის სიკეთეს, რომ სასიკვდილოთ დამდევენ?! მაშ, ჯერ შენ უნდა გაგისტუმრო საიქიოს წინდანინ! (მიაშვერს დამბაჩის. შოლე ფეხებზე მოეხვევა).

შ ო ლ ე-ხ ა ნ უ მ – ღვთის გულისათვის, შეიბრალე, ნუ მოჰკლავ! გევედრები... (თემური ხელს ჩამოუშვებს, კარებზე მოადგება სამად-ბეგ ჩაფრებით).

თ ე მ უ რ – (თამამად) სამად-ბეგ! რისთვის მოსულხარ?

ს ა მ ა დ-ბ ე გ – ალა!.. ჩვენ ყველა მამითქვენის წამსახური გახლავართ და როგორ გაგიბედავთ, რომ ცუდი რამ გკადროთ, მაგრამ რა ვენა, რომ ხანი გვიბრძანებს, მომგვარეოთ!..

თ ე მ უ რ – ცოცხალი არ დაგნებდებით! თავი კი შეგიძლიათ მიუტანოთ, მაგრამ ძვირათ კი დაგიჯდებათ!.. აბა, სინჯეთ ფეხის გადმოდგმა!.. (მიაშვერს დამბაჩის).

ს ა მ ა დ-ბ ე გ – ალა, რას აპირობთ? ამ დამბაჩით ერთის მეტს ხომ ვერ მოჰკლავთ და ორმოცდაათი კიდევ სხვა დარჩება, ყველას

ხომ ვერ გასწყვეტ? მაგას ნუ ნებულობთ, მით უფრო, რომ ხანმა სიტყვა მოგვცა, არ დავსჯიო.

თ ე მ უ რ – არა მჯერა! როდის იყო, რომ ხანი თავის სიტყვას ასრულებდა? მე მაინც ჩემსას ვერ მოვიშლი. (ამ დროს კიდევ ატყდება ხმაურობა გარეთ: სახლში შემოცვივდებიან სელიმ-ბეგი, ეგმექ-ალასი და რიზა, თემურის ძიძისშვილი).

ს ე ლ ი მ-ბ ე გ ი – შეჩერდი, სამად-ბეგ! გაუმარჯოს თემურ-ალას! ბიძათქვენი გადაიცვალა!.. დღეს ერთად დავდიოდით ნავით ზღვაში, უცბათ ნავი გადაბრუნდა და ისიც ზღვამ ჩაჰელაპა. ახლა ხალხი სასახლეს მოატყდა და თხოულობს, რომ თქვენ აბძანდეთ ბიძათქვენის ტახტზე! წამობდანდით სასახლეში.

თ ე მ უ რ – მართალს ამბობ, რიზა?

რ ი ზ ა – თქვენი ჭირი წამილია, ტყუილს როგორ გაგიბედავთ!..

ვ ე ზ ი რ ი და ს ა მ ა დ-ბ ე გ ი – (დაიჩოქებენ) ალა! ნუ შეგვრისხ-ავთ, შეგვიბრალეთ!..

თ ე მ უ რ – სამად-ბეგ! შენ ადექი და კარში გადი. (მიღის). ახლა კი შემიძლია გამოგიტყდე (ვეზირს), თუ რათ მოვდიოდი შენს სახლში: ნისა-ხანუმი მიყვარს და შერთვა მინდოდა, მაგრამ შენ შენი ანგარიშები გქონდა, რომ ხანისთვის მიგეცა. ჩემი სურვილი უნდა დამეფარა და შენ კი ცუდი ეჭვები აიღე ჩემზე. ღმერთი სამართლიანია: რაც უფრო მდევნილი და მახეს მიგებდი, ისე ისიც უფრო ძლიერათ მფარავდა და აი, ხომ ხედავ, ახლა როგორ ამამალლა? ახლა რაღას უნდა მოე-ლოდე ჩემგან სამაგიეროს? როგორ უნდა გადაგიხადო? მიპატივებია ყველაფერი! შენი ხასიათის კაცი ვეზირათ ვერ გამოდგება, მაგრამ ხარჯი და პატივი კი ყოველთვის ვეზირისა გექნება ჩემ ხელში. ახლა შეუდექი ქორწილის მზადებას.. ამ ერთ კვირაზე უნდა დავქორწინდე ნისა-ხანუმზე. ჯერ კი მშვიდობით, დედი, ფარი-ხანუმ, და შენც, ჩემო დაო, შოლე-ხანუმ!.. მიმელიან.

ფ ა რ ი-ხ ა ნ უ მ და შ ო ლ ე-ხ ა ნ უ მ – ღმერთმა ნუ მოგიშალოს ბედნიერება, ალა! (თემურ გადის, სხვები მისდევენ, ვეზირი გაშტერებულია. გარეთ ხმაურობაა: „გაუმარჯოს თემურ-ხანს!“).

ფ ა რ დ ა

[1897]

## ალექსანდრე სუმბათაშვილი



სუთმოქმედებიანი დრამა-ლეგენდა

**მოძრავი:**

**სულეიმან-ხანი** – არაბთ სარდალი და შაპის მოადგილე საქართველოში.

**ზეინაბი** – მისი უფროსი ცოლი, საქართველოს მეფის თემურაზის ქვრივი, 40 წ.

**რუქაია** – სულეიმანის მონა-მხევალი, 25 წ.

**ისახარ** – ზეინაბის გამდელი, გლახა ანანიას ცოლი.

**ოთარ-ბეგი** – ქართლის გამგებელი, გამდგარი ქართველი, 50 წ.  
გაიანე – მისი ქალი, 18 წ.

**გლახა ანანია** – გლეხი კაცი, 70 წ.

**ერეკლე** – მისი ნაშვილები, 22 წ.

**დათო** – მისი შვილი, 25 წ.

**ყარა-იუსუბ** – ტფილისის გამგებელი.

**საპა-ბერი** – 50 წ.

**ალ-რაზაყ** – აბაში, სულეიმანის საჭურისთუხუცესი.

**ბესო** – ოთარ-ბეგის შინაყმა, 45 წ.

**მაკო** – გაიანეს გამდელი.

**იბნ-საად** – დარაჯთა თავი, არაბი.

**გიგა** – დარაჯის კაცი, ქართველი.

**ორბელიანი** } ქართველ აჯანყებულთა მეთაურები.

**სუმბათი** } ქართველ აჯანყებულთა მეთაურები.  
სულეიმანის მცველები, ქართველი ჯარისკაცები, სულეიმანის  
მონა-მხევალნი, გლეხკაცები და ოთარ-ბეგის მსახურნი.

1 და 2 მოქმედების შუა 5 დღეა გასული. 2 და 3 – დღე და ღამე. 3-4 – ხუთი დღე და 5 სწარმოებს ერთ ღამეს.

**მოძრავი 1**

სულეიმანის სასახლის აივანი ტფილის-ციხეში, მოთავსებული მტკვრის პირად. უკანა ფარდულზე გამოსახულია მდინარის გალმა მხარე მეტეხის კლდე-ღრეულით, სადაც საყდარია აგებული. ტერასას მტკვრისაგან ჰყოფს მარმარილოს ფერადი სვეტები, კამარაშეკრულ თაღებით, ერთმანეთზე გადაბმული. ზედ არაბული წარწერებია მოკენჭულ-თვლიანები. ყოველგან სურო და ვარდის ბუჩქებია. მარცხნივ და მარჯვნივ კედლები, ოქროთი მოვარაყებულ-მოკაჭკებული. კარები ფერად-ფერადად მოჭახრა-მოჭახრაკებული. შუა სცენაში ოთხუთხიანი აუზია. ოთხივე კუთხით ლომ-ქანდაკებია, მათი პირიდან სუნნელოვანი შადრევანი გადმოსჩეფს და ავსებს აუზს. მარცხნივ ფართო ტახტია, ხალიჩებ-მუთაქებით მორთული. გაზაფხულის პირია. მზე ჩადის და მთვარეც ამოსვლას ეპირება. სულეიმან-ხანი პირხმელი, მაღალი ტანის მოხუცია, შავგვრემანი, შავ-ხუჭუჭ-წვერა, ოდნად ჭალარაშერთული. გძელი სამეფო სამოსელი აცვა. მაღალი, ბრილიანტის ფრთით შემკული დოლბანდი ჰეურაგს თავზე. ოქროთი გაჭედილი ხმალი, თილისმებით აჩურჩხლული და ყურანის ლექსებით აჭრელებული, მუხლზე უდგეს. განიერ ტახტზე ზის, შადრევანის მახლობლად – უკან უდგანან თავიდან ფეხებამდი შეიარაღებული დოლბანდიანი მცველები აქეთ-იქით. მარცხნივ ხოვა ალ-რაზაყი დგას, პირ-მსუქანი მსხვილი აბაში, წვრილ-მოძრავთვალებიანი. მარჯვნივ – ყარა-იუსუბი, ხმელ-ხმელი, ტანდაბალი და თხელწვერა. სულეიმანის წინ სდგას ოთარ-ბეგი, გორის ერისთავი, ახოვანი, სპარსულად ჩატრული, წვერ-მოპარსული. გრძელი და სქელი ჭალარა ულვაშები ჩამოძურდვია. წარბები სქელი აქვს, სახე ვაშკაცური, გაშლილი და ზოგჯერ მხიარული. შუბლიდან დაყოლებულ, შუა ლოყამდე, ნახმლევი აზის. უიარაღოა. მტკვრის ხმაურობა ყრუდ მოისმის. დარბაისლები ყველა გულხელდა-კრეფილი, თავდახრით დედამინას დაპყურებენ. სულეიმან-ხანი მრისხანე, მაგრამ მოქანცულის და მომაკვდავისფრად გაყვითლებულ სახით უძრავად მაღლა შეჰყურებს და ფირუზის კრიალოსანს ათამაშებს. ხანგრძლივი სიჩუმეა. დარბაისლები სულგაკმენდილი არიან.

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი – დიდ არს ალლაპი!

ს ა მ ი ვ ე დ ა რ ბ ა ი ს ლ ე ბ ი – დიდ ა---რს! (სიჩუმე).

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი – ფადიშაპი საყვედურს მითვლის, მე, გურჯისტანის მბრძანებელს. ჯერ კი შორიდან ყრუდ მოისმის მისის მრისხანების გრგვინვა. ყველა მისი ფეხთა მტევრი ვართ.

დ ა რ ბ ა ი ს ლ ე ბ ი – დაპჰაროს ქვეყნიერება მისმა ჩრდილმა.

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი – იმერეთის უკეთური მეფე, ახალციხის ფაშის მუქარით აგულიანებული, მოციქულს მოციქულზე აგზავნის ქართლში, გულს უკეთებს იმ საქრისტიანოს უწმინდურ ძალებს და ჩვენზე ასისანებს.

ო თ ა რ-ბ ე გი – ო! მათი სისხლითაც მოუკლავსთ წყურვილი მელა-ტურებს.

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი – შორსმხედველი ვარ და ყურმახვილიც. (თვალს მიაშტერებს ოთარ-ბეგს) გორის ერისთავო! ჩემო ქართლის ბურჯო! შენი სიტყვები ყურს ატკბობენ, გული კი ლალატის გამძრახველია!..

ო თ ა რ-ბ ე გ ი – შენი სიმართლის ჭირიმც წამილია, ჩემო ბატონო! შენი რისხვა მეხია ჩემთვის მოწმენდილ ტკბილ ტაროსში, წმინდა ჩემი გული შენის სიმართლის წინაშე.

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი – როცა შენ ხელი აიღე სიბნელეზე და ისლამის ნათელი ინამე, მაშინ მეც დავივიწყე შენი თავებდობა და შეუპოვარი ბრძოლა ჩემ უძლეველ ჯართან. დაგიახლოვე და მოგანდვე შენ, ჩემის უფლებით შეჭურვილ მონას, მთელი ქართლის ბატონობა.

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი – მახვილო წინასწარმეტყველისავ! მაგ მოწყალებისათვის მეც დავაქციო ის ტაძრები, სადაც ადრე ვლოცვილობდოთ. მამა-პაპის სამარხს თავზე დავანგრიე კამარამეკარული თაღები და დღეს მათ გავერანებულ საფლავებზე მგლებს გააქვსთ ღმული. შემიტრალებია ან გარეშე და ან ჩემიანი ვინმე? შენ არ მგზავნიდი მათზე ცეცხლითა და მახვილით? თუ არ ჩემგან, მაშ, ვისგან და ვისის ხელით ითხევა ურწმუნო ქრისტიანების სისხლი და აგერ თვრამეტი წელიწადია, წითლად იღებება მტკვარი და არაგვი? და იმ სისხლში განა ცოტა ურევია ჩემი ძმებისა და მახლობელ-

მოყვრების სისხლიც? ქვა ქვაზე აღარ დამიტოვებია, ისე გავანა-დგურე ოცდასამი ტაძარი... მიწასთან გავასწორე თერთმეტი მონასტერი და ჯვარზედ გაკრულ მღვდლებისა და ბერების უწმინდური გვამი მდინარეს გავატანე კასპიის ზღვისაკენ და ეს ყოველიფერი ჩავიდინე ირანის სადიდებლად. მე, ჩამომავლობით ქართველმა, გავქელე საქართველო ისე, როგორც შვილი იმეტებს გასაქელავად თავისს გარყვნილ დედას და შეკრულ-შებოჭვილი... დამონებული ფეხევეშ დაგიგდე. და თუ ესეც არ კმარა, რაღა გაეწყობა? შენი ჭირი წამილია! დამსაჯე, ძლიერო მეფევ! (ჟმხობა ძირს).

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი – (ყურს უგდებდა და თვალს ზეცას აშტერებდა) კახეთის ერისთავი უფრო ერთგულია შენზე. იმან ცოცხლად ჩაცფლა მიწაში ყელამდი თორმეტი შეჩერებული ერევნელი და შვიდ პაპანება დღის განმავლობაში კოლო-ბუზებს აჭმევდა მათ თავს, სანამ არ გამოტყდენ. გულ-კურდლელაებმა ველარ აიტანეს ტანჯვა და გასთქვეს ერევნის სარდალი. ის არის, მე რომ მღუპავს ისპაჲანში. ძლევნის ძლევნზე უგზავნის ფადიშაპს და თანაც საჩივრებს აყოლებს! როგორ უნდა ვიმართლო თავი?

ო თ ა რ-ბ ე გ ი – (წამოდგება) მახვილის ძლიერებით... დიდებულო მეფევ!

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი – მარტო ერთი მახვილი არ შეადგენს მფლობელთა ძალას. ლომი, სანამდი კამარას შეჲკრავდეს და თავზე დაასკუბდებოდეს მისს მსხვერპლს, ჯერ ნელ-ნელა ეპარება. მის ნახტომს თან, უეჭველად, სიკვდილიც უნდა ახლდეს... დააძინე მტერი და ისე გახლიჩე.

ო თ ა რ-ბ ე გ ი – თვით სოლომონის სიბრძნეც კი მტვრადაც არ გამოჩენდება ჩვენის ბრძანებლის სიბრძნესთან.

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი – ერევნის სარდალი ფადიშაპის მაღალ ტახტს ოქრო და ვერცხლს უფენს ფიანდაზად. სანაქებო ბრინჯას, ხორბალს და ხილეულობას აქლების საპალნებით უგზავნის და ყარაბაღულ ბედაურებს, ჯან-ლონით სავსე მონებთან და მზეთუნახავ მხევლებთან ერთად შეჲკეშებს ხოლმე. თვითონაც ფეხევეშ უვარდება და თანაც გურჯისტანზე კბილებს აკრაჭუნებს. ჰმ! სად ის იყო მშიშარა ძალი მაშინ, როცა მე ამ ოცის წლის წინად შავი ჭირივით მუსრი გავავლე საქართველოს? იმან დაუმორჩილა ირანს ქართლ-კახეთის თავადობა? და აზნაურები კი გლეხებთან ერთად მწევარ-მეძებრების საკვებად გახადა? ვინ დააბნელა გურჯისტანის

ბრწყინვალე მზე, თუ არ მე? და ან ვინ ამოგლიჯა უკანასკნელ ქართლის მეფეს მთრთოლვარე გული, თუ არ მევე? (იღება კარები სასახლის. კარებთან ზეინაბი დგას, აღმოსავლეთელთ გემოვნებაზე ძვირფას სამკაულებით მორთულ-მოკაზმული).

ყ ა რ ა-ი უ ს უ ბ - ვის შეუძლია გაუმაგრდეს უძლეველს?

ა ლ-რ ა ზ ი - შენა ხარ ნამგალი ალლაპისა!..

ო თ ა რ-ბ ე გ ი - თვალებიც დაუდგებათ თქვენ მტრებს!..

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი - (თავს ჩაჰკიდებს) და, აპა, დიდება კაცისა! მე აქა ვზივარ ჩემთვის ტახტზე და მტრებს აღარ აგონდებათ ჩემი ძალა და სცდილობენ, რომ შემსალტონ როგორმე.

ო თ ა რ-ბ ე გ ი - გამომცადე ერთგულებაში, დიდო მეფევ! ავამხედრებ მთელ ქართლს, მივადგები ახალციხეს, იმერეთის მეფესა და ახალციხის ფაშას ერთმანეთზე გადავაბამ, ხურჯინივით გადავკიდებ ვირზე, მოვიყვან და შენ კარის წინ დავაგდებ. ოლონდ მიბრძანე, ერევანს დავეცემი და ერევნის სარდლის თავს თხის ტყავში გამოხვეულს მოგართმევ.

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი - (თვალში თვალგაყრით) მოვა დრო, როცა სახის აგხსნი და მოგიტოვებ! ჯერ კი ადრეა! ფადიშაპის ბრძანებით გაგორდება სარდლის თავი! ყარა-იუსუბ!

ყ ა რ ა-ი უ ს უ ბ - (დაემხობა) მიბრძანე, ძლიერო!

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი - დაამზადე საქემრდომო წერილი ფადიშაპის მისართმევად. შენ თვითონ წაიღებ და თან ძლვენსაც მიართმევ. ოთარ-ბეგ! დღესვე შუალამემდი ქართლისაკენ უნდა გასწიო და თერთმეტ დღეში უნდა გამოგზავნო ერთი საპალნე ოქრო, სამი საპალნე ვერცხლი და ოორმეტიც ცხენი, მაგრამ იცოდე, რომ პირველი ბედაური თოვლივით თეთრი უნდა იყოს და უკანასკნელი შავი, როგორც ღამის წყვდიადი და თვითეულ მათგანს კი ძარღვები უნდა უჩანდეს ხორცასა და კანშუა.

ო თ ა რ-ბ ე გ ი - (თაყვანისცემით) ყოლიფერი იქნება ცხრა დღეში...

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი - აარჩიე ღამაზი ქალიშვილები ფადიშაპისთვის საფეხქაშოდ. მე თვითონ შევამონებ და გერჩია, არ გაჩენილიყავ, თუ... მოიცა! ყური მოვკარ... ქალი გყავს შენა?

ო თ ა რ-ბ ე გ ი - (მღელვარებას იკავებს და ცდილობს, ხუმრობაში გაატაროს) ორმოცზედაც მეტი, ჩემო ხელმწიფევ! წყალობითა მაპ-მადისათა, რომელმაც ერთცოლიანობა აგვაშორა, კურთხეულიმც

იყოს სახელი მისი!.. უკეთესებს წარმოუდგენ თქვენთ თვალთა შარავანდედს.

ზ ე ი ნ ა ბ ი - (გააღებს კარებს და ჩადრს მოიხდის) გაიანეს გამოგზავნაც ნუ დაგავიწყდება!

ო თ ა რ-ბ ე გ ი (შეერთება, უკან იხევს, და, რომ ჩააფუჩეჩოს თავისი უხერხული მდგომარეობა, თავს უკრავს მძიმედ. ზეინაბი მიუახლოვდება ტახტს, დაიხრება, მუხლზე ჰკოცნის სულემანს და მერე გვერდში ამოუჯდება. ბებერი ისახარიც იმავე კარებიდან გამოიდის და ჩერდება სვეტებთან კუთხე-სილრმეში. ყარა-იუსუბი და ალ-რაზაყი თავს უხრიან ზეინაბს).

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი - ვინ ახსენე, ზეინაბ?

ზ ე ი ნ ა ბ ი - საქართველოს მზეო! დიდი ხანია, წავიდა ის წყეული დრო, როცა ჩემ თვალებს ჯერ შენ არ ენახე და ჩემი გულიც შენ ფეხქვეშ არ იყო ფიანდაზად დაფუნილი. ახლა შენა ხარ ჩემი სამშობლოც, სარწმუნოებაც და პატრონიც. მაგრამ როცა ჯერ კიდევ შენი არ ვიყავ - წყეულიმც იყოს თვით სახსენებელიც კი იმ შავუკულმართ დროების, და ქმრად მყავდა ის საზიზღარი მხდალი, შენის ხელით სულამოხდილი გურჯისტანის უღირსი მეფე, - მაშინ მე კარგად ვიცნობდი ჩევნ გაიძვერა ხალხს! ტყვილად კი არ გთხოვდი ამდენს ხანს იმათ სისხლს და გირჩევდი მათ გასრესას. მხოლოდ შიშს, რისვასა და შიშს შეუძლია გაასწოროს მათი მრუდე და გაუტანელი გული.

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი - (მკაცრად) ოთარ-ბეგ, რას ნიშნავს დედოფლის სიტყვა?

ო თ ა რ-ბ ე გ ი - რა მოგახსენოთ, ბატონო?!. არა მგონია, რომ დედოფლითავის მორჩილ მონაზე მრისხანებდეს.

ზ ე ი ნ ა ბ ი - შერისხვის ღირსია ლომი და არა მელა! ჩემო ბატონო! ამას ჯერ კიდევ ვერ მოუხერხებია შენი მოტყუება და ვერც არავინ სხვა მოგატყუებს, სანამ მე პირში სული მიდგას. მორსა ვარ თუ ახლოს, ყველგან ვიცი, თუ ვის რა უდევს გულში და რას გიპირებენ. შენ თავს არავის მოვატყუებიებ! მთელი შენი რაზმიც ვერ დაგიფარავს ისე, როგორც ჩემი სიყვარული. ოთარ-ბეგ! სადა გყავს შენი ქალი, პირველი ცოლის ხელში რომ მოგეცა, იმ მუხრან-ბატონის ქალის ხელში, რომლის აგულიანებითაც შენ ისე დიდხანს ეურჩებოდი და ებრძოდი ჩვენს უძლეველ ხმალს ახალაქალაქის მთა-გორებში? დიახ, მარიამის ხელში! (თვალს თვალში უყრის) ქრისტიან

მარიამის ხელში!.. ის კი... ის, შენს ციხე-დარბაზს რომ იცავდა, მაშინ დაიღუპა ჩვენის მბრძანებელის ხელით. შენ კი იმ დროს ქუთაისში იმერეთის მეფის ასულს დასდევდი და მის ქურდ მამას დახმარებას სთხოვდი უძლეველ სულეიმანის საწინააღმდეგოდ! სადა გყავს ის ქალი? გაიანე? აბა, სთქვი, მოკვდა-თქო!..

ო თ ა რ-ბ ე გ ი - (მთრთოლვარე ხელშის ტანისამოსის კალთებს ავლებს გაფითრებული და თვალებგაგანიერებული ხმის ამოღებას ველარ ახერხებს).

ზ ე ი ნ ა ბ ი - (თვალს არ აშორებს) გაშრი, გაფითრდი, საზიზ-ლარო მელავ! ის ქალი ცოცხალია, საქართველოს მნათობო! ამასა ჰყავს მიმაღული ახალციხის მიყურებულ უტეხს ტყეებში. ზამბახივით თურმე გაფურჩქვნილია და ესეც საიდუმლოდ გულს იტკბობს ხოლმე მისი ქალის ნახვით. ჰმ! ეს რომ შვენიერების მოტრფიალე არ იყოს, განა ასე ადვილად გაქელავდა იმას, რაც კი სწამდა? ჰარამხანაც დიდი აქვს, მაგრამ მისი ქალი გაიანე კი იქ არა ჰყავს და არც სხვა ვინმე, მისი შესადარი. ოთარ-ბეგ! სხვა ქალები ყველა შენ მოგახმაროს ღმერთმა და ის ერთადერთი კი წარმოუდგინე, გაიანე, მეფეს. (დაცინვით მიჩერებია ოთარ-ბეგს, რომელიც გაფითრებულ-გაქვავებულია. ყარა-იუსტი, ალ-რაზაყი მხეცსავით აკიაფებულ თვალს არ აშორებენ. სულეიმანი ცალის თვალით შეპურებს და ისე სდგას, თითქოს ვეფხიაო და თავზე დაცემას უპირებსო. ხანგრძლივი სიჩუმეა. ყველა თავ-თავისათვის რაღაცაზე ჰყიქრობს).

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ბ ა ნ ი - ოთარ-ბეგ, რას იტყვი?

ო თ ა რ - ბ ე გ ი - (თავშემაგრებით, ვითომდა არაფერი ამბავიაო, გულუპრყვილოდ) თუ მაგის მეტი არა არის-რა ჩემი დამნაშაობა, კიდევ მადლობა უფალს! გაიანეს მე შენთვის ვამზადებდი, შენთ ფერსთა საფიანდაზოდ, როგორც საუკეთესო ძლვენს.

ზ ე ი ნ ა ბ ი - (შეკრთხება. უნებლიერ-გაოცებით) როგორ?.. შენ?.. (მოვა გონს) ან აქამდი რაღას უცდიდი?

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ბ ა ნ ი - რამდენი წლისაა?

ო თ ა რ- ბ ე გ ი - თექვსმეტის!

ზ ე ი ნ ა ბ ი - თვრამეტის.

ო თ ა რ-ბ ე გი - (შეშფოთდება) შეიძლება ეგრეც იყოს, დედო-ფალო! მე ჩემი ხნოვანებისაც აღარა გამეგება-რა და სად შემეძლო, დამეხსომა გოგოს წლოვანება? ყოველ შემთხვევაში, შესახედავად ისეთი ბავშვია, რომ მეშინოდა თქვენი რისხვის, ძლიერო მეფევ! ვაი-თუ ჯერ კიდევ საკადრისი არ გამოდგეს-მეთქი.

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ბ ა ნ ი - (თავის ქნევით) ფლიდი ხარ, ქართველო! ო თ ა რ-ბ ე გ ი - ძლიერო გულთამშილვო! რას გახდება ჩემი ფლიდობა თქვენს სიბრძნესთან? მართალია, პირველ ხანებში, სანამ ბინდი მქონდა გადაკრული თვალებზე, მე შენ გეურჩებოდი... მაგრამ მერე მაინც ხომ მე ყველა გურჯისტანის თავადებზე უმაღ მივმართე შენს მაღალ ბჭეს და თავი უქუდოდ დავდევ საჯალათო კუნძზე. მე არ მოგვარეთ მუხრან-ბატონი, მთავარი ციცი, ურჩი სუმბათი და ბევრი კიდევ სხვებიც, მაგარ მთების ბატონ-პატრონები? სამი დღის განმავლობაში მშიერ-მწყურვალი ვეგდეთ შენის კარის წინ და მორჩილებით ველოდით სიკვდილს. შენ შეგვინყალე და მეც შენის ბრძანებით მივიღე ძლევამოსილი ისლამი. მას უკან აგერ ოცმა წელინადმა გაიარა. მოიგონე, მახვილო ალახისაო, ჩემზედ უფრო ერთგულად თუ ვინმე გმისახურებია? მუხრან-ბატონი იმერეთს გაი-ქცა, ციცი გარდაიცვალა და ვერაგი სუმბათი კი შეურიგდა მოღა-ლატე ორბელიანს. იალღუჯის მთებში დახეტიალობს და იქიდან შენს ერთგულ ყმებს ვეფხვივით თავს ესხმება... იმათვე მირბიან ის ქრისტიანები, რომელთაც თურმე საპირფეროდ მიუღიათ ისლამი ჩემის შიშითა და ხათრით! იმათვე შეაფარეს თავი ჩემის ხელიდან დახნეულმა მღვდლებმა და ბერებმა და ნუთუ ახლა დავიწყებდი შენს წინაშე ცბიერობას, მაშინ, როდესაც ჩემი სულიც, ხორციც და გულიც ძლიერ ფერხთა წინ გაგიფინე?

ზ ე ი ნ ა ბ ი - მონამ უნდა ჩამოსთვალოს თავისი ნამსახური მბრძანებლის წინაშე? რა ხარ შენ, მეფის ფეხთა მტვერო? რა არის შენი ძალა ჩვენის არაბისა და ყიზილბაშების ჯართან? ეგებო გგონია, რომ ჯერ კიდევ ქართველ მეფის ჩამომავალს ემსახურები? იმ ნაშთ-ნატამალს, თქვენის ურჩიობის შიშით ზარდაცემული რომ ცახცახცებდა, და თუ ტახტზე კიდევ იყო ტიკინივით დასკუპებული, მხოლოდ მიტომ, რომ დიდებულებს ერთმანეთის გატანა არ ჰქონდათ: ამილახორს ორბელიანის შიშინდა, ორბელიანს სუმბათის და სუმბათ კიდევ ციცის. თქვენ თქვენის მხეცურის კბილებით სწინენიდით და აქეთ-იქ სწევდით მეფის სუფრას. მეფე სულეიმანმა მიგფანტ-მოგფანტათ ერთის სულის შებერვით. მისი მახვილის ზრი-ალი ცხვრებსავით გაყრევინებდათ თავებს და, ვისაც კიდევ შეგ-რჩენიათ, უფრთხილდით!.. მოწყალეა მეფე სულეიმანი. იმას რომ ჩემთვის დაეჯერებია, აქამდი უბრალო მეგუთნებად გადააქცევდა თავადაზნაურობას და მეთაური არაბები შოლტით ახვნევინებდენ მიწას. და შენ კი, ჰარამხანისათვის სინიდისის გამყიდველო, იმას

## ლალატი

იცვენებოდი, რომ ლვინის სმის ნება მოეცათ შენთვის. არ იცოდი, რომელი რომლისათვის გემჯობინებია: ჰარამხანა ლვინისათვის, თუ ლვინო ჰარამხანისათვის? სალქახავი ძალივით ერთიც გამოგვტყუე და მეორეც! რიღათი მოგაქვს თავი? იმითი, რომ ლოთი და გარევნილი ჰეოხავ უძლეველის ფეხთა წინაშე, ოლონდ კი სიცოცხლე და ჰატივი არ მომხეადოს! ჰმ! კაი დარაჯი კია ისლამის ის, ვინც ლვინით გალეშილია!...

ო თ ა რ-ბ ე გ ი – (სცდილობს, ხუმრობაში ჩაატაროს) მოვხუცდი, დედოფალო! ლვინო მიფიცხებს თავს და ხელს ღონეს უმატებს ისლამის სადიდებლად. მე ასე მაქვს გამოზომილი, რამდენსაც ლვინოს დავლევ, იმდენს ერთიორად უფრო მეტს დავლევრი ხოლმე უწმინდურთა სისხლს. იქნება, ამ სისხლმა ჩემკენ გადმოხაროს მაჰმადის სასწორი. პატივი და დიდება მისს სახელს!

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი – იცინი, ოთარ-ბეგ?

ო თ ა რ-ბ ე გ ი – ვიცინი, ბატონო! მხოლოდ ძალლები და ბოროტი სულები არ იცინიან, თორემ ვისაც გული წმინდა აქვს, ის ლიმილით უმხიარულებს გულს მისს უფალს. ან კი რა მაქვს მოსაწყენი. ჩვენი ბედის ვარსკვლავი ცაში იჭედება და ველარავინ შესცვლის. თუ მიწერია, რომ მსხვერპლი გავხდე ან შენი რისხვისა და ან დედოფლის, ლიმილით მივეგებები სიკვდილს, მიტომ, რომ ჩემი სვინდისი წმინდაა თქვენ წინაშე (გაბედულად შეჰჰურებს ორივეს. სიჩუმეა).

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი – (წამოდგება) შეასრულე ჩემი ბრძანება! (თვალებს აბრიალებს) ნაეშმაკევი კი არა იყოს-რა... ყარა-იუსუბ! დღეს კიდევ მომესმა ზარის ხმა... მომბეზრდა. ნადი და გადაეცი ჩემი ბრძანება საქართველოს კათალიკოსს, რომ აღარ ვაძლევ ნებას ზარების რეკისას, არც სიონში, არც ანჩისხატში და აღარც სხვა-გან სადმე მთელს ქალაქში. დეე, ისე ილოცონ, მათთვის ესეც დიდი მოწყალება იქნება.

ყ ა რ ა-ი უ ს უ ბ – პირობის ხელშეერულებას წარმოგვიდგენენ, ხელმწიფეო, ხვალ მათი აღდგომაა.

ს უ ლ ე ი მ ა ნ – წინასწარმეტყველმა ბრძანა: ისლამი არღვევს ხელშეერულობას და სცვლის გულისთქმათა. გადაეცი, რომ, თუ კიდევ გამიგონია ზარის ხმა, მათ ზარებს ზარბაზნებად გადავადნობინებ, საყ-დრებს კი თავლებად გადავაკეთებინებ, ისე, როგორც მეტების ტაძარი ტყვია-ნამლის სალაროდ გადავაკეთებინე (ყარა-იუსუბ მიდის).

ო თ ა რ-ბ ე გ ი – გადადება რაღა საჭიროა, დიდებულო მეფევ! ნება მიბოძეთ, რომ მე ჩემის ჩაფრებით მოგიგროვოთ ყველა ზარები ტფილისის ციხეში.

## ლალატი

ზ ე ი ნ ა ბ ი – ტფილისის ზარებისათვის ნუ სწუხარ, ოთარ-ბეგ! უშენოთაც გავარიგებთ, რაცა გვსურს... ან იქნება, ჯერ კიდევ ისევ ყურთასმენას გინუხებენ ის ზარები და გულში აღარ აძინებენ იმას, რისაც გულიდან გადაგდებასა სცდილობ.

ო თ ა რ-ბ ე გ ი – (ფერი ეცვლება. თავის ქნევით) არა, ჩემო ხელმ-ნიფევ! რაც იყო, იყო!.. მორჩა, გათავდა და მისი გალვიძება... მისი გამობრუნება კვნესა-ვედრებამაც ვერ შესძლო, არათუ რაღაც სპილენძის წკრიალმა!

ს უ ლ ე ი მ ა ნ – მიახელ, ალ-რაზაყ! (მიდის. ალ-რაზაყი და კარის-კაცები მიჰყვებიან).

3

ზ ე ი ნ ა ბ ი – მოიცა, ოთარ-ბეგ! ორბელიანის ნადიმზე ხომ არ მიგეჩქარება? ამბობენ, ის მისის ყაჩალებით ახლო-მახლოს დათარეშობს.

ო თ ა რ-ბ ე გ ი – მე მოღალატეების გახსენებაც კი მეჯავრება, არათუ მათზე ვიფიქრო.

ზ ე ი ნ ა ბ ი – შენ თავზე რომ ჰაფიქროდ?

ო თ ა რ-ბ ე გ ი – მე მოღალატე არ გახლავარ... რითი დაგიმტ-კიცო, რომ ერთგული ვარ?

ზ ე ი ნ ა ბ ი – ვისი?

ო თ ა რ-ბ ე გ ი – ჩემი მბრძანებლისა და შენი!

ზ ე ი ნ ა ბ ი – ისევ ორივესი?

ო თ ა რ-ბ ე გ ი – (ვერ მიმხვდარა, რაც ჰეითხეს) მეფე და დედოფალი ჩემთვის გაუყრელია. და მიტომაც ვაგვიანებდი, მიმერთმისა გაიანე მეფე სულეიმანისთვის, რომ შენთვის კეთილი მსურდა, დედოფალო! ჩვენ, მოხუცებულებს, სული წაგვაძლევს ხოლმე ყმანვილ-ქალების სილამაზეზე... მაგრამ შენ თვითონ მოგენება გაიანეს გახსენება და მე ნუღა დამდებ ბრალს.

ზ ე ი ნ ა ბ ი – მაშ, შენ ჩემთვის ზრუნავდი? გმადლობ, ჩემო ნაერთგულარო. მე კი მეგონა, თუ წინანდელი თავადური მედიდუ-რობის რიხი გალაბარაკებდა. გაიანე ხომ ერთადერთი შვილია შენი?

ო თ ა რ-ბ ე გ ი – არა, დედოფალო!

ზ ე ი ნ ა ბ ი – ვიცი! მაგაზე არ გეკითხები! მუხრან-ბატონის ასულის, მარიამისაგან ხომ მაგის მეტი არა დაგრჩენია-რა, მხოლოდ ეგ ერთია?

ო თ ა რ-ბ ე გ ი – (ხმის კანკალით) ერთადერთი!  
ზ ე ი ნ ა ბ ი – მითხარი რამე იმაზე: ლამაზია? მაღალი ტანის?  
ო თ ა რ-ბ ე გ ი – მაღალია, წარმოსადეგი!  
ზ ე ი ნ ა ბ ი – მეც მახსოვს მისი თვალები.  
ო თ ა რ-ბ ე გ ი – თვალები, ჰო... არა, თვალები არ უვარგა,  
დედოფალო!

ზ ე ი ნ ა ბ ი – სტყუი! (ოთარ-ბეგი თავს ჩაღუნავს) გაიანეს დედას  
მისთანა თვალები ჰქონდა, რომ მის მსგავსს ვეღარავის გამონახავ  
შენს პარამხანაში.

ო თ ა რ-ბ ე გ ი – მამა რა დამფასებელია თავისი ქალის, დედო-  
ფალო? ხასიათი კი გამბედავი აქვს (ძლივს ახერხებს თქმას), ამაყია...  
ნადირობა უყვარს და, როცა გამოუდგება ხოლმე ნადირს, ქარივით  
მიაქროლებს ურა-ცხენებს. მეშინა, ვაითუ არ მოეწონოს მეფეთ-  
მეფეს მისთანა ხასიათების მექონი!..

ზ ე ი ნ ა ბ ი – (თვალს არ აშორებს) მეფეთ-მეფე მოათვინიერებს!  
დაურბილებს ხასიათი! სიზმარივით მახსოვს, ამ იცის წლის წინეთ  
ჩემმა მეუღლე-მეფე თემურაზმა გიჩვენა შენ ჩემი პატარა ვაჟი და  
გითხრა: ოთარ, სასძლო გამიზარდე ამისთვისო. ვინ იცის, შენთვის  
ეგება ახლა ის აჯობებდა, რომ პატარა საქართველოს მემკვიდრი-  
სათვის მიგეცა შენი ქალი ცოლად, ვიდრე ჰარამხანაში გაგეგზავნა  
ქვეყნის მპყრობლისათვის?

ო თ ა რ-ბ ე გ ი – (ცრემლები ერევა და თითქოს ევედრება, შემიბრა-  
ლეო) ჩვენ ყველა ალაპის მონა ვართ და მისი ფეხთა მტკერი.

ზ ე ი ნ ა ბ ი – აი, ჭეშმარიტი სიტყვა-პასუხი თავისუფალი  
ქართველის!

ო თ ა რ-ბ ე გ ი – დედოფალო, შენ მე მცდი... მაგრამ თუ შენთვის  
ძვირფასია სახსენებელი შენის მოკლულის შვილის...

ზ ე ი ნ ა ბ ი – (ცივად) ჩემზე უკეთესი შენ რითა ხარ? მის ნაცვ-  
ლად, რომ მეფობდეს ჩემი შვილი, რად უნდა იდვას ცივ საფლავში და  
შენი ქალი კი თავისუფლად დაპეროდეს აქეთ-იქით და სამშობლოს  
ჰაერს ისუნთქავდეს? მე დავივინებ ჩემი ვაჟი და შენც მალე დაგავი-  
წყდება შენი ქალი. და ეს შენთვის უფრო საადვილოც იქნება. სახლი  
აგივსია ცოლებით, ხასებით, მხევლებით და, ამასთან, კიდევ სხვაც  
არა გაკლია-რა: არც ღვინო, არც ლხინი და არც პატივი და დიდება.  
ახლა კიდევ მამა გახდები ფადიშაპის ხასია და სხვა რაღა უნდა მართ-  
ლმორწმუნე ქართველს? და, თუ შენმა ქალმა იმდენიც შეიძლო, რომ  
სისხლი გაუთბო ფადიშაპს და მისი გული მოიგო, მაშინ ვინდა გაბე-

დავს, ხელი დაგაწის? ნუ ხარ ბედის უმადური, ოთარ-ბეგ!. ჩქარა!  
ნულა აგვიანებ!. ჩამოიყვანე შენი ქალი! შენ გვეხმარებოდი, რომ  
ქრისტიანი ერი ფეხევეშ ჩაგვეგდო და ახლა ჩვენც უნდა სამაგიერო  
გადაგიხადოთ. შენ ქალსაც ბედს შევყრით. ჩემი შვილი კი სამარეშია  
და მე დამავიწყდა. გორში რამდენი ჯარი გყავს?

ო თ ა რ-ბ ე გ ი – ხუთი ათასი ცხენოსანი.

ზ ე ი ნ ა ბ ი – ქართველი ბევრი ურევია?

ო თ ა რ-ბ ე გ ი – უბრალო ჯარისკაცებად სულ ქართველები  
არიან. არაბ-სპარსელები მხოლოდ უფროსობენ.

ზ ე ი ნ ა ბ ი – შეგიძლია თავდებობა, რომ ისინი მართლა და  
ერთგული არიან?

ო თ ა რ-ბ ე გ ი – თავს დავდებ! მეტი რაღა გზა აქვსთ? სად უნდა  
წავიდნენ?

ზ ე ი ნ ა ბ ი – იმერეთს.

ო თ ა რ-ბ ე გ ი – იქ ახალციხის ფაშა ბატონობს და თათრები  
რითა სჯვობიან სპარსელებს? (გონის მოდის) ე. ი. მე მინდა ვსთქვა,  
ქართველებისათვის – ქრისტიან მონებისათვის? დაამხოს ალაპმა  
ფადიშას ფეხევეშ ყველა შეჩვენებულ სუნნებთან ერთად.

ზ ე ი ნ ა ბ ი – (სიხარულს იკავებს) კარგად ვერ იკატუნებ თავს,  
მამაცო ოთარ-ბეგ! მაგრამ კარგად კი მლიქვნებობ და ეგ არის, რომ  
გშველის! წადი! მშვიდობით, ოთარ-ბეგ, არ დაგივიწყებ. სვი ღვინო,  
ეალერსე შენს ცოლებს და ჩვენც ძაღლივით ერთგულად გვემსახ-  
ურე, მეტს რაღას ეძებ, ოთარ-ბეგ?

ო თ ა რ-ბ ე გ ი – ღმერთმა დღეგრძელობა ნუ მოგიშალოს, ჩემო  
ხელმწიფევ! (მიდის თავჩაღუნული).

ზ ე ი ნ ა ბ ი – (ისახარს) ისახარ, ეს ის უშიშარი ოთარია, მეფე  
თემურაზის მარჯვენა ხელი რომ იყო? საქართველოს ლომი?

ი ს ა ხ ა რ – (ხმა ყრუსამარისებური). სახის გამომეტყველება დალვრე-  
მილი და ჩაფიქრებული) სანამ ბედაური აქლემის საპალნით დატვირ-  
თულია, ჭენების თავი ალარა აქვს. მოაშორე ის სამარცხვინო ტვირთი  
და შენს ნებაზე დაიწყებს კუნტრუშს.

ზ ე ი ნ ა ბ ი – თვითონ... თავის ხელით, უარის უთქმელად იძლ-  
ევა თავის ქალს... თვითონვე გვირჩევს ზარების ჩამოხსნას იმ ძველ  
ტაძრებისას, სადაც ის მოუნათლავთ და სადაც დაუგვირგვინებიათ.

მე შეურაცხყოფას ვაყენებდი, ის კი ჩემ წინ ფეხთამტვერს ლოკავდა; როგორც წუპაკი მეძებარი, მათრახით აცახცახებული, ისე წემუტუნებდა, კუდა აქიცინებდა და იკლაკნებოდა... და ეს ის ოთარია? როგორლა უნდა მოახერხოს თანამოღვანება „მისი“? რაღა ბურჯად გამოდგება?.. გასცემს, ისახარ, გაჰყიდის „მას“.

ი ს ა ხ ა რ – (თავის ქნევით) არა! თუ იკისრა და გაჰყვა, აღარ უღალატებს.

ზ ე ი ნ ა ბ ი – გარყვნილების, ლოთობისა და განდიდების წყურვილის მეტი ყოლიფერი გაქარწყლებულია მაგაში. მონობამ სიყვარულს გადააჩვია. ნუთუ მთელი საქართველოც მაგისთანაა?

ი ს ა ხ ა რ – გაიგონე, დედოფალო, რომ სულეიმანმა ბრძანა, საიდაბადში მეჩეთი აეგოთ? მოზღვავდა ხალხი, კალატოზები ამოსწყვიტა და დამზადებული მასალა წყალში გადაყარა. ციხიდან სპარსელებმა მოშველებაც ვედარ მოასწრეს, რომ ყველაფერი გათავდა და ხალხიც მიიფანტ-მოიფანტა. ახლა ის წყეულები დაძრნიან ქალაქში, იქერენ ბრალიანსა და უბრალოს და ყარა-იუსუბთან მოათრევენ გასასამართლებლად. მდიდრები თავს იხსნიან იმ გაუმაძღარ ძალისაგან და ღარიბებს კი სჯიან, თუ რჯული არ გამოიცვალეს.

ზ ე ი ნ ა ბ ი – (თვალების ბრიალით) ვინ არის ეგ ხალხი?

ი ს ა ხ ა რ – ახლო-მახლოს მცხოვრები სოფლელები, მწყემსები, ხელოსანი-სომხობა, მებალეები, ამქრის ხალხი... ვინ იცის, ერთი სიტყვით, ხალხი...

ზ ე ი ნ ა ბ ი – (გულდათუთქვით) ისახარ! მეტი აღარ შემიძლია, ვიცადო! შეატყობინე ანანიას, რომ გორში ჩამომგვაროს „ის“ ოთარი-სას. უნდა ვნახო ჩემი სისხლ-ხორცი, ჩემი იმედი, მხედარი ღვთისა, ხსნა საქართველოსა.

ი ს ა ხ ა რ – დროა! დრო!

ზ ე ი ნ ა ბ ი – ოცი წელინადია, ოცი, ისახარ, როგორ ფართხალობდა და ტიროდა... არ უნდოდა მიკარებოდა ანანიას იმ წყეულ ღამეს. მოვიგლიჯე გულ-მკერდიდან და ოცის წლის განმავლობაში ვეღარ ვტედავდი, რომ თვალი მომეკრა მისთვის. ოჳ, ამ მხეცს რომ გაეგო მისი რამ... დროა, დრო, ისახარ! აცნობე ანანიას, რომ ჩამოგვგვაროს ჩვენი შვილები ოთარისას. მეც იქ ვიქნები და, თუ ძალუმ ითარის გულში ყოლიფერი არ გამქრალა, დაეცემა მის ფეხთა წინ და გამოიღვიძებს ერთგული მეომარი ღვთისა, სამშობლოსა და ახალგაზრდა მეფის გულისათვის.

ი ს ა ხ ა რ – ჩუმად! გრგვინვა-ქუხილის მოახლოების წინეთ ლრმა მყუდროებაა ხოლმე. რაც უფრო მოახლოებულია საქმის დრო, მით უფრო ნაკლები უნდა სიტყვა. (მაღლა აიხედავს) მთვარე კაშკაშებს, მეტებს ღრუბელი გადმოეფარა და ქარიც ჩადგა. ჰედავ, რა მყუდროებაა? ამაღამ უნდა ელვა-ქუხილი ასტყდეს.

ზ ე ი ნ ა ბ ი – ჩქარა მაინც დადგეს ეგ ღვთის რისხვა ღამე – მისის ქუხილითა და ელვა-ჭექით. (კარები იღება. გამოჩნდება სულეიმან-ხანი. ისახარი ისევ მიდის სცენის სიღრმისკენ. ზეინაბს მთვარის შუქი ადგია).

5

ს უ ლ ე ი მ ა ნ ი – შენა ხარ, ზეინაბ?

ზ ე ი ნ ა ბ ი – მე ვარ, ჩემო ბატონო!

ს უ ლ ე ი მ ა ნ ი – ჰაერი ტყვიასავით ჩამოწვა. ოთარ-ბეგი ნავიდა?

ზ ე ი ნ ა ბ ი – წავიდა, ბატონო!

ს უ ლ ე ი მ ა ნ ი – (დაეშვება ტახტზე, ზეინაბი მის წინ დგას, ისახარი კუთხეშია) ზეინაბ! მისი აღარა მჯერა-რა. შენი რჩევა დამიჯდა. აღ-რაზაყს ბრძანება მივეცი, რომ ცხენები მოგიმზადონ და ამაღაც. ზეინაბ! უნდა კვალდაკვალ გაჰყვე ღამოიცვალეს. ასი თვალი გამოიბი, ასი ყური აისხი. ყველაფერს დაუკვირდი... შეიტყვე...

ზ ე ი ნ ა ბ ი – შევიტყობ. მე და ვერ შევიტყო? სანამ თვალები დაინახავდენ და ყურები გაიგონებდენ, გული უმაღ მიგრძნობს.

ს უ ლ ე ი მ ა ნ ი – ღამდამობით ჩემი საწილის ირგვლივ თითქოს რაღაც ხმები მიმოქრიანო და, ვარსკვლავებსაც რომ შევყურებ, თითქოს ქრებიანო.

ზ ე ი ნ ა ბ ი – (გაფაციცებით ყურს უგდებს) ვარსკვლავები ქრებიანო? ჩემთვის კი თანდათან კაშკაშობენ... მე შენს სულს ჩემს გულში ვატარებ და არა მაშინებს-რა. ფიქრი ნუ გაქვს!

ს უ ლ ე ი მ ა ნ ი – მიკეც ითარ-ბეგს და, როგორც კი მოჰკრა ყური, რომ ის საქმეს იქერს იალღუჯის მეანბოხებთან, ან იმერეთის მეფესთან, ან ახალციხის ფაშასთან და ან ერევნის ხანთან, მაშინ-ათვე უბანე: სული ამოხადონ და მისი თავი აქ გამომიგზავნეთ.

ზ ე ი ნ ა ბ ი – (ძლივს ჰაერავს სიხარულს) მე მეტს ბედნიერებას არ დავეძებ, მხოლოდ შენ კი გემსახურო, როგორც ახლოს და ისე შორიდანაც, ჩემო სულის ხელმწიფევ! და ჩემი ჯილდოც მხოლოდ შენი ალერსიანი შემოხედვაა, შენი ღიმილი და შენი მოსვენება.

ს უ ლ ე ი მ ა ნ ი – ვინც დედაკაცს ენდობა, ის თვითონვე სჭრის იმ ტოტს, რომელზედაც ზის, მაგრამ შენ კი გენდობი... მიტომ რომ, თუ მე დავიღუპე, მაშინ შენც დალუპული იქნები.

ზ ე ი ნ ა ბ ი – ჩემო სულის ხელმიწიფევ! უშენოთ ჩემი სიცოცხლე ჩემთვის რაღასი მაქნისია?

ს უ ლ ე ი მ ა ნ ი – შენი სილამაზე ახლა შემოდგომის მშვენიერებაა... ვეღარ დაგიფარავს! შენ სძულხარ გურჯისტანს და მიტომ გენდობი.

ზ ე ი ნ ა ბ ი – იმიტომ კი არ გიფრთხილდები, რომ ჩემი თავის შიში მქონდეს. შენ რომ ტფილისს შემოადექი სოლანლულის ბრძოლის შემდეგ, მე შემეძლო გავქცეულიყავ იმერეთს, სამეგრელოს, გურიას და თვით მოსკოვის მეფისაგან მქონდა ალთქმული შემწეობა, მაგრამ გული ავსილი მქონდა შენ შესახებ სხვადასხვა ხმებით და ოცნებად მყავდი გადაქცეული. ცხადად თუ სიზმარში, სულ შენ გხედავდი. მუხლმოყრილმა შენი ცხენის ნინ მოგანოდე გასაღები. მეუფების შარავანდედი და შუქი სიკვდილისა ამკობდენ და აგვირგვინებდენ შენს თავს. ჩემკენ რომ გადმოიხარე, გულში ელვამ დამიარა. შენ ნინ დგას ლომი უდაბნოსიო – რაღაც ხმა ჩამჩურჩულებდა: ყოველივე დაიმონა მაგან და შენი გული როგორლა გაუმაგრდება! და მეც შემოგწირე შენ ჩემი რჯული, გულისთქმა, სიცოცხლე, სული და ხორცი. შენის სასთუმლის ნინ თავდახრილი ლამღამობით გითვალყურებდი. ვსცდილობდი, შენი რისხვა მიმექცია მათ შესამუსრავად, ვინც ოდესმე მზრდიდენ, მილოლიავებდენ და მუხლს მიყრიდენ. მე, თვით მეფის ასული და მეფის მეუღლე, შენ მონასავით გემსაზურებოდი და შენც მიცნობ, მე ეს შიშით არ მომდიოდა. სიკვდილის არაოდეს არ მშინებია, მედილური სისხლი ჰპრუნავს ჩემს ძარღვებში. ეს შენც შემატყვე და მიტომაც, როცა ვნებათა ღელვა დაგიცხრა და გაგულგრილდი ჩემზე, შენს სამსჯავროში თანამოაზრედ გამიხადე, გამიზიარე ტახტი და გვერდით მომისვი. მაგრამ რა არის ჩემთვის უფლება? (იჭვიანობით აგზზნებული) მე ყოლიფერს ავიტანდი... დავსთმობდი, ოღონდ კი ისევ ძველებურად გიყვარდე, მმალავდე ისე, რომ სხვისი თვალი არ მეკარებოდეს და იჭვიანობით მტანჯავდე, საჭურისების ხელში ჩაგდებულს. ან, იქნება, აღარა ვშევნი? და შენის ხარჭების ოდენა ნეტარებასაც ვეღარ განოდებ? (მორჩილად) მაგრამ ეს შენი ნება იყო, დაგემორჩილე. მე თვითონ ვსცდილობდი და ხელს გინყობდი, რომ ვნებათა უინი მოგეკლა ხოლმე და გარს გაზვევდი სამოთხის ქალებს, ქვეყნიურ მზეთუნახავებს, რომ მხოლოდ შენ

კი დამტკბარიყავ... მოსვენებით ყოფილიყავ და მე... მე კი.... ოჟ, ყოველი ლამე შენის ნეტარებისა ჩემთვის მომაკვდავის ნალველ-შხამი იყო. თქვენ, მამაკაცები, მხოლოდ განცხრომას ეძებთ, და რა იცით, სიყვარული რა არის?

ს უ ლ ე ი მ ა ნ ი – შენ კიდევ კარგი ხარ, როცა გაჯავრდები ხოლმე.

ზ ე ი ნ ა ბ ი – არა, კარგი ვარ კიდევ იმიტომ, რომ შენ მიყვარხარ და მინდა გემონ! ფიანდაზად გეფინო ფეხქვეშ და შენი სული დავი-საკუთრო (ეკვრება).

ს უ ლ ე ი მ ა ნ ი – გუშინდელი მონის ზღაპრები მიამა. შემომგვარე დღესაცა.

ზ ე ი ნ ა ბ ი – სამეგრელოს მთავრის მონაძლვნი რუქაია?

ს უ ლ ე ი მ ა ნ ი – არ მახსოვეს მათი სახელები! სიომ დაპეროლა. მოიტანე ფანდური, ეგებო შენმა ნაზმა დაკვრამ და მისმა ზღაპრებმა ძილი მომგვაროს. დიდი ხანია, რაც ძილი აღარ მეკიდება.

ზ ე ი ნ ა ბ ი – (ხელზე ჰკოცნის) მივდივარ, ჩემო ბატონო! (მიდის. ისახარი გაჰყვება. მეორე კარებში შემოდის ყარა-იუსუბი).

## 6

ყ ა რ ა-ი უ ს უ ბ – ხელმწიფეო, კათალიკოსმა გზირები გაუგზავნა სასულიერო წინდებას, რომ ზარების რეკა აღარ გაბედონ.

ს უ ლ ე ი მ ა ნ ი – დარაჯები თავ-თავის ადგილას არიან?

ყ ა რ ა-ი უ ს უ ბ – თავ-თავისაზე... ბატონო მეფევ!

ს უ ლ ე ი მ ა ნ ი – ცხენოსნები ქალაქს გარშემო უვლიან?

ყ ა რ ა-ი უ ს უ ბ – გარშემო, დიდებულ! ჭისკარი დაკეტილია და მეტებიდანაც ზარბაზნები მიმიზნებული გადაჰყურებენ ქალაქსა და მის მიდამო გორაკებს.

ს უ ლ ე ი მ ა ნ ი – კიდევ შეიპყარით ვინმე მეჩეთის დამნგრევთა-განი?

ყ ა რ ა-ი უ ს უ ბ – ოცდაშვიდი კაცი წიბნიბით ჩამოვჰკიდე ციხის გალავანზე ალლაპის სადიდებლად! ორმოცდაათს თავი გავაგდებინე და ტანი სანებვეზე დავაყრევინე... ოცდათექვსმეტიც, ეს-ეს არის, ახლა მოიყვანეს.

ს უ ლ ე ი მ ა ნ ი – მოედაზე დასაჯე დილას ადრე. და ხალხსაც გამოუცხადე ჩემი ბრძანება, რომ ყველამ სიგრძე-სიგანით წყრდა-ნახევარი თლილი ქვა ზურგით მოიტანოს და დააწყოს იმ ადგილას, სადაც მეჩეთია დანგრეული... შვიდი დღის ვადა მიეცი.

## ლალატი

ყ ა რ ა-ი უ ს უ ბ – დიდება თქვენს მართლმსაჯულებას!

ს უ ლ ე ი მ ა ნ ი – ოთარ-ბეგი წავიდა?

ყ ა რ ა-ი უ ს უ ბ – ეს-ეს არის, გავიდა ქალაქიდან და ალაყაფის კარებიც დაიკეტა.

ს უ ლ ე ი მ ა ნ ი – სამ დღეს უკან დედოფალიც უნდა დავადევნო კვალდაკვალ, იუსუბ! რადაც ლალატის სუნი სდგას ჰაერში. (ყარ-იუსუბი შეერთება და ფითრდება) ალ-რაზაყსაც თან გავატან დედო-ფალს.

ყ ა რ ა-ი უ ს უ ბ – ალ-რაზაყი ერთგულია, მაგრამ ცოტა მოი-სულელებს. დედოფალი კი ჭკვიანია, ღმერთმა დღეგრძელობა ნუ მოუშალოს!

ს უ ლ ე ი მ ა ნ ი – მაგითი რა გინდა სთქვა?

ყ ა რ ა-ი უ ს უ ბ – დედოფალი ამოიკითხავს, რაც კი რამ უძევს გულში ოთარ-ბეგს და მიხვდება, მის გარშემო რაც ამბავია.

ს უ ლ ე ი მ ა ნ ი – მერე რაო?

ყ ა რ ა-ი უ ს უ ბ – შორსმძვრეტელო ღვთაებავ! მაგისთანა საქ-მეზე თქვენს ადგილას საყვარელ ცოლს გავგზავნიდი, მაგრამ დამხ-მარედ კი ერთსა და ერთს იმ მონათაგანს გავაყოლებდი, რომელიც სცდილობს, რომ თვითონ გახდეს საყვარლად. წყაროო სიბრძნისაო! ოქროს ქვის საშუალებით შეამონებენ ხოლმე და ქალს კი ქალითვე.

ს უ ლ ე ი მ ა ნ ი – (თვალს არ აშორებს იუსუბს) წადი, შენი რჩევა კარგია!..

ყ ა რ ა-ი უ ს უ ბ – (ემთხვევა მიწას) იმრავალკეცოს ჩრდილმან შენმან, ძეო დესტონისავ! (მოდის ზეინაპი და მოჰყავს რუქაია. ისახარიც მათ მოსდევს უკან).

7

ზ ე ი ნ ა ბ ი – გამოიარე, შენი ბედნიერების ღამეც დადგა, რუქაი!

რ უ ქ ა ი ა – ხელმწიფე მრისხანეა და სასტკიი... მეშინია!

ზ ე ი ნ ა ბ ი – (მიიყვანს მხართეძოს წამონალილ სულეიმანთან) მუხლი მოიდრიკე ხელმწიფის წინაშე, ლამაზო, და უამბე ზღაპარი. (სულეიმანს) მოაფინე შენი შარავანდედის სხივი, მეფეთა მპეყრობელო! კოკობი ვარდი ელის მას, რომ სუნნელოვანი გაიფურჩენოს. (მიდის ბუნდოვან ტერასისაკენ და სვეტთან დაჯდება. ისახარი თარს მანოდებს, თვითონაც იქვე ჩამოჯდება სვეტის საფეხურზე და მუხლებს ხელებით

## ლალატი

იჭერს. სულეიმანი პირბადეს ახდის რუქაიას და თმას უფურჩქინის: რუქაია მის ფეხქვეშ არის გაფრთხილი, გაფითრებულია და ხმა უკანკალებს, თვა-ლები კი უციმიტებენ).

ს უ ლ ე ი მ ა ნ ი – სად დაბადებულხარ?

რ უ ქ ა ი ა – რა მოგახსენოთ, ბატონო! მახსოვს კი, რომ ბალლი მომიყვანეს სამეგრელოში, ზღვა გამომაცურვეს... მერე მთებში ვიზ-დებოდი, ზღვის პირად.

ს უ ლ ე ი მ ა ნ ი – ზღაპრები ვინ გასწავლა?

რ უ ქ ა ი ა – დედაბრებმა. ცეკვა-სიმღერაც მათგან ვისწავლე. მე ყოლიფერი ვიცი, რომ გაამო, ჩემი ხელმწიფევ! თუ მიბრძანებ, მოგი-ყვებით ზღვათა მეფის და გურიელის ქალის სიყვარულის ამბავს.

ს უ ლ ე ი მ ა ნ ი – მითხარი!

ზ ე ი ნ ა ბ ი – (უკრავს ნაზად ფანდურზე ვნებით აღსავსე ხმას).

რ უ ქ ა ი ა – გურიის მთავარს ჰყავდა ერთი ქალი, ისეთი მზე-თუნახავი, რომ შედარებით მის სითეთრესთან მაღალი მთის წვერვა-ლის თოვლიც კი ლურჯისფრად ეჩვენებოდა კაცს. იმის შავ თმებთან ყორანიც კი ნაცარა იყო და მის ტუჩების ფერთან ბრონეულის ყვავილსაც კი სიყვითლის ფერი გადაჰკრავდა ხოლმე. ეკალ-ნარზე რომ დაიხრებოდა, ზედ ია-ვარდსა ჰეთენდა. ზაფხულში რომ ზღვაში საბანებლად ჩადიოდა, ზღვის ტალღებს მუშკ-ამბრის სუნნელე-ბით აბრუებდა. მამამისმა ასი სამთვალა და ასიც ცალთვალა მეთ-ვალყურე მიუჩინა, რომ თვალი ვერავის მოეკრა მისთვის. მხოლოდ მარტო-მარტო ნიავი უგრილებდა მხურვალე ლოყებს. ერთხელ გას-ნია ამ ნიავმა ყაფ-დალის მწვერვალისკენ და მზეთუნახავის მშვე-ნიერების ამბავი მიუტანა ქართა მეფეს, იმ ძლიერ ქარს, ხომალდებს რომ პლუპავს, და გულში აუგზნა სიყვარულის სახმილი. შეაფრთქი-ალა მეფე-ქარმა შავი ფრთები და გადაეშვა ზღვისაკენ და იმ ღამეს აღარც ერთ გემს აღარ მოუწევია კიდემდი. ასწლოვან მუხისა და ნაძვის ხეებით ამოთხარა თვალები მეთვალყურეებს... შიგ ქვა და ქვიშა ჩაჰკარა. მზეთუნახავის სახლს სახურავი გადაგლიჯა, მიაშუქა მძინარს თავისი ფრთების ელვარება და თვითონაც გაინაპა. მეფის ქალს ეძინა უცნაურ ფრინველების (ბუმბულით) გატენილ ლეიბზე. (თანდათან უფრო გამბედავად ეგზებ-ეალერსება სულეიმანს) შავი თმა ტევრად გადაფენიდა მზეთუნახავის მარგალიტ გვამს. მისი სუნთქვა სუნნელოვან ბალახების ფშვინვა იყო. ერთი ამოიოხრა უცნაურად მშვენიერმა მეფე-ქარმა, გადააფრიალ-გადმოაფრიალა აქეთ-იქით თმები და გამოჩნდა... დაინახა მეფე-ქარმა... (გაისმის სიფრთხილით

ჩამოკრული ზარის ხმა, სულეიმანი წამოიწევს, ცალ ხელზე დაბჯენილი, რუქაია შეშინებული ეკვრის სულეიმანს. სულეიმანს სახეზე მრისხანება ეხატება.

ს უ ლ ე ი მ ა ნ ი – (საზარელის ხმით) ყარა-იუსუბ! (ყარა-იუსუბ შემოიჭრება, შიშით ცოცხალ-მკვდარი) ეს რა ამბავია?

8

ყ ა რ ა-ი უ ს უ ბ – დიდებულო ხელმწიფევ! მხოლოდ ერთხელ ჩამოჰკრა! კათალიკოსმა ყველას შეუთვალა თქვენი ბძანება. ალპათ ვეღარ მოასწრეს, რომ ერთი ვისმესთვის გადაეცათ. ხვალ მათი ალდგომაა!..

ს უ ლ ე ი მ ა ნ ი – (დაშვიდდება) დილის ნამაზის დროს მომართვით კათალიკოსის თავი, ისე წითლად შეღებული, როგორც მათი ალდგომის კვერცხია ხოლმე, ალყურანში სწრია – ისე მოეპყარ მტერს, რომ ის მოყვრობა შემდეგში სხვებისთვისაც სამაგალითოდ დარჩესო. წადი! (წამოწვება და მიიზიდავს რუქაიას) განაგრძე, რუქაია...

ი ს ა ხ ა რ – (ნელი ხმით ზეინაბს) ეს მეოცე ალდგომაა ამისთანა.

ზ ე ი ნ ა ბ ი – (დაუკრავს) უკანასკნელია.

რ უ ქ ა ი ა – (განაგრძობს ზღაპარს) დაინახა ლამაზმა მეფე-ქარმა და... (ფარდა ეშვება).

## მოქადაგა მეორე

ოთარ-ბეგის ბალი გორის ახლოს, მტკვრის მარცხენა ნაპირას. სცენის სიღრმის ნაწილი უჭირავს კოშკის კუთხეს ფართო აივნით ბალის მხრივ. აივანზე დაბლიდან ოთხსაფეხურიანი კიბე ამოდის. აივანს თაღებთან სვეტები უდგას. კედლებთან რეინის კარებია დატანებული და ფანჯრები რეინის გრეხილებით დაცხრილული. სცენის სიღრმეში, აივანზე, სულ იასამნისა და ვარდის ბუჩქებია. შორით, წყალგაღმა მოსჩანს ახალციხის ტყიანი მთები. მარჯვენი ხეივანია, ვაზების ტალანი, შორს მიდის და მერე მარჯვენით უხვევეს. შემოსავალთან დიდი, ფულურ კაკლის ხეა. მის ძირში განიერი ტახტი დგას, ხალიჩაგადაფარუბული მუთაქებით. მზე იწურება, საღამოს 6 საათია. ოთარ-ბეგი გამოდის სახლიდან დაღონებული. უკან მოჰყვება ბესო, მისი მსახური, შეუპოვარისა და ეშმაკურის სახით.

ო თ ა რ-ბ ე გ ი – (გაიღლ-გამოივლის გულმოსულად, დაფიქრებული, ბესო არხეინად სდგას და შეჩერებია) ეგ რაა, რომ ქუდი გხურავს, შე ძალლის შვილო?! თავი მოგბეზრდა?

ბ ე ს ო – (იგლეჯს ქუდი) გზა და კვალი დამებნა, ბატონო! როცა სპარსელი ხარ, მაშინ ლმერთმა ნუ ქნას, რომ ქუდი მოვიხადო და, როცა ქართველი, ლმერთმა დამიფაროს, რომ დავიხურო!

ო თ ა რ-ბ ე გ ი – ღვინო მომართვი... (ტახტზე ჯდება) გზა და კვალი დამებნაო! ჰმ! მე კი არ დამებნა თუ?!.. (ბესოს მოაქვს გრძელყელიანი კულით ღვინო, ოთარ-ბეგი დიდხანს არაკრაკებს და, რომ გამოსცლის, სულამობერვით გადასცემს).

ბ ე ს ო – მოგახსენებენ, ცისკრის წინ კათალიკოსი მოჰკლესო!

ო თ ა რ-ბ ე გ ი – მოჰკლეს... ნაბრძანები იყო, რომ არ დაერეკათ. კათალიკოსმა განკარგულება მოახდინა, რომ ყველასათვის გადაეცათ ეს ბრძანება და თავის მორჩილს კი, კარის დაკონს, არა უთხრა-რა, დაავიწყდა და იმანაც ერთხელ ჩამოჰკრა ზარს... კათალიკოსი თვითონ ავარდა სამრეკლოზე და ჩამოათრია მორჩილი, მაგრამ რაღა დროს, გაჩნდნენ ჩაფრები და...

ბ ე ს ო – მაშ, ერთხელ ჩამოკრა მარტო?

ო თ ა რ-ბ ე გ ი – ერთხელ!

ბ ე ს ო – მაგისთვის მოკლეს?

ო თ ა რ-ბ ე გ ი – (სცდილობს, სახე მოიმრისხანოს) მაშ, როგორ გნებავდა?

ბ ე ს ო – (თავს ჩაჰკიდებს) არა, მე იმაზე მოგახსენებთ, რომ რაღაი კი უნდა მოეკლათ, ბარემ ყველა ზარების რეკა აეტეხა ერთად და ის იქნებოდა...

ო თ ა რ-ბ ე გ ი – (ვითომ გაჯავრებით) მე შენ შამფურზე აგაგებ ცოცხლად და ნაკვერცხალზე შეგნვამ გოჭივით. გუდაში ჩაგსვამ, ძალლსა და კატას თან ჩაგაყოლებ და ისე გადაგისვრი წყალში.

ბ ე ს ო – შე დალოცვილო, ან ერთი უნდა იყოს და ან მეორე: ან უნდა ცეცხლში დამწვათ და ან წყალში დამახრიროთ, მაგრამ თქვენ უკეთ იცით... როგორც გენებოსთ.

ო თ ა რ-ბ ე გ ი – ღვინო! (დიდხანს მიეყურჭება).

ბ ე ს ო – მოგახსენებენ, ბატონო, რომ თქვენს ბოქაულებს ძალიან გაუჭირდებათ ერთი საპალნე ოქროსი და სამი საპალნე ვერცხლის მოგროვებაო. საყდრები, დიდი ხანია, გაძარცულია და აღარა დარჩენილა-რაო...

ო თ ა რ-ბ ე გ ი – სურამელი ურიები... იმათ ცოტა ოქრო და ვერცხლი აქვსთ?

## ლალატი

ბ ე ს ო – სამი რჯულისათვის მაინც არ იკმარებს.

ო თ ა რ-ბ ე გ ი – (მოილუშება) რას პბოდავ, შე სულელო!

ბ ე ს ო – კი არა ვპბოდავ, მართალს მოგახსენებ, ჩემო ბატონო! გნებავს, თითებზე ჩამოგითვლი. (თითებს აგდებს) ჯერ ჩვენ ვცარცვავდით, სანამ არ გავთათრდით – ეს ერთი. თათრები ადრე ცარცვავდენ – ეს ორი, სპარსულები ახლა ჰელენენ – ესეც სამი და ოქრო ხომ კიტრი არ არის, რომ ყოველ გაზაფხულზე ამოვიდეს ხოლმე.

ო თ ა რ-ბ ე გ ი – ხუმრობა დროზე უნდა. მათრახები ხომ არ მოგინდა?

ბ ე ს ო – ღმერთმა დაღუპოს, ვისაც უნდოდეს... მე მხოლოდ ისე მოგახსენებთ, ჩემის მოკლე ჭკუით. ადრე ჩვენ იმათ მიტომ არ ვზოგავდით, რომ ჩვენი ქრისტე აწვალეს, ახლა ხომ ჩვენც უარესი ჩავიდინეთ და მაშ, რალას ვერჩით ურიებს?

ო თ ა რ-ბ ე გ ი – ბესო!

ბ ე ს ო – (გამბედავად) ჩვენ, თუ გინდა, კიდევ ვსთქვათ, მაგრამ ამ ყიზილბაშებს რალა უნდათ? ჯერ იმათიც აწვალონ ვინმე ურიებმა და მერე გადაახდევიონ ყიზილბაშებმაც.

ო თ ა რ-ბ ე გ ი – ვის გადაახდევიონ, შე ძალო, შენ?

ბ ე ს ო – თუ გინდა, იმ ღვიციან სულეიმანს...

ო თ ა რ-ბ ე გ ი – (შეშინდება და ტუჩზე ხელს აფარებს) გაჩუმდი, შე წყეულო! (აქეთ-იქით იხედება) არა, მე შენ თუ არ ჩამოგახრჩვე, არ შეიძლება!

ბ ე ს ო – ახლა კიდევ ექვსი ლამაზი ქალიშვილიო... მართალია, ერთ დროს ჩვენშიაც იყვენ ხოლმე ლამაზი ქალწულები, მაგრამ დიდხანს არ რჩებოდენ გაუთხოვარი და, რაღაც კი მე და შენ ისლამის ნათელი მივიღეთ და ყიზილბაშები გავიმეგობრეთ ქართლ-კახეთში და საქართველოს გურჯისტანს ვეძახით, ერთის მეტს ქალწულს აღარსად შევხედრივარ... ვნახე მხოლოდ ერთი და ისიც ბრუციანი ორი შვილის დედა.

ო თ ა რ-ბ ე გ ი – (იცინის) ბესო, ცუდათ ხარ ატროებული და ბოლოს ხეირი არ დაგეყრება!

ბ ე ს ო – ვინც პატიოსნად ირჯება, იმას ხეირი მაინც არ დაეყრება, ჩემო ბატონო! (ხეიგნიდან სირბილით გამორბის გაიანე და ხარხარებს. ძალიან ლამაზია, ტანადი, მხიარული. ტანისამოსი აზიური აცვია. პირი მოუბურავი აქვს. თავმოსახვევი, ჩიქილასავით წმინდა კისეია, ისე აქვს გაკეთებული, რომ ფრიალობს).

გ ა ი ა ნ ე – ვერ მომაგნებ, მაიკო, ვერა! (ხითხითებს) მამა... (გაქა-

## ლალატი

ნებული მივარდება ოთარ-ბეგს, მოეხვევა და ჰეოცნის იმ დროს, როცა ის, ის-ის იყო, ღვინის დალევას აპირებდა).

ო თ ა რ-ბ ე გ ი – შენ საიდან გაჩნდი? (ბესოს) გასწი აქედან... (ბესო მიდის).

გ ა ი ა ნ ე – მამაჩემო, მაიკო გადაირია. ჩამცივებია, პირბადე გაიკეთეო, თითქო ახალციხელი თათრის ქალი ვიყო. ვიღაც ერთი გაბერილი მაიმახი, ხმაწრიპინა დაუყენებია ჩემ კარებზე, მინდოდა, ბალში გავსულიყავ და არ გამიშვა, გაპარჭყა ხელები და რაღაც ბურტყული დამიწყო, ალბათ, სპარსულათ თუ მელაპარაკებოდა... სასაცინო რამ იყო. მინდოდა, ხელი მეკრა და გადამეფურცუყებია, მაგრამ, რომ შევხედე მოჯდანულ სახეს, სიცილი ამიტყდა, სული ვეღარ მოვიბრუნე, ფართხალი დავიწყე. რომ მაგონდება, ახლაც კიდევ მეც... მეცინება. (ხარხარებს).

ო თ ა რ-ბ ე გ ი – (ცდილობს, რომ სახე მოიღუშოს) როგორ არა გრცხვენია, გაიანე! პატარა კი აღარა ხარ... თითქო ბავშვი იყო!

გ ა ი ა ნ ე – არა, შენ ის უნდა გენახა. (აჯავრებს მის მიხერა-მოხვრასა და ლაპარაკა) აბა-ლა-ბა-ლა-ბალაო, ლოყები უცახცახებენ, თვალები თითქო ჭუჭრუტანაში ჩაძრომიაო. (თვალებს ჭუჭავს) აბა-ლა-ბალა-ბალაო!.. ოჲ, ქრისტე ღმერთო! (ხარხარებს და მერე უცბათ შეჩერდება მრისხანედ). მე სანამდი სიცილს გავათავებდი, იმან კარებიც კი მომიკეტა. წარმოიდგინე, მამაჩემო, მე გავუჯავრდი, დავიწყე ყვირილი და კარების რახუნი, მაგრამ ვინ გამცა ხმა... ერთი დამენახა იმ დროს და მე ვასწავლიდი, როგორც უნდოდა კარების დაკეტვა გაიანეს წინ, თავადის ქალის წინ. (თავმომწონედ შეიხრის წარბებს და მრისხანებით იხედება აქეთ-იქით, ოთარ-ბეგი შეჰყურებს გულის ტკი-ვილით და აღტაცებით) ისე გავჯავრდი... იმდენი ვიჯავრე, რომ კიდეც დამძინებოდა და სიზმარიც ვნახე: ვითომ ვზივარ ცხენზე იქ, ჩევნისა, შინდას, და მივაქროლებ ჩვეულებრივად, მინდა დავენიო გაქცეული ირემს... ისიც ჩამორჩა ნელ-ნელა, აგერ, საცა არის, დავენევი, ახლოს-ლაა. ამ დროს უცბად ჩემი ცხენის წინ ეშმაკათ გაჩნდება, ამოყოფს თავს ის შეჩერებული გაბერილი ბალა-ბალა, ცხენს დამიფრთხობს, განზე გამიხტება. მეც შევჰკრთები. რომ გამომეღვიძა და ვიძახი: გელაშ! ჰეკა მაგას! ნუ გაუშვებ-მეთქი. გელაში ჩემი საყვარელი მწევარია, ხომ გახსოვს, შავი რომ არი... შენც რომ ისე მოგწონდა... ჳო, მოვიხედე და აღარც გელაშია და აღარც ირემი – ბებერი მაიკო კი მიჯდა გვერდით. ამოვიფურებითე თვალები და მაინც ვერა გავიგე-რა. მაიკო კი აჭიჭინდა: (აჯავრებს) შვილო, შენ მალე დედოფალი გახდები. დღეიდან პირბადით უნდა იარო. მამაშენმა ბრძანა, რომ აღარ

იობინო. შინ უნდა იჯდე, წყნარად იარო. შენ უნდაო... მეც უგდე ყური, უგდე და, რომ მომწყინდა, ერთი ვისკუპე და შევხტი ფანჯარაზე. გადავიხედე, მაღრამ იქვე, ფანჯარასთან, კაკლის ხეა შტოებგაშლილი. მაიკომ ერთი დაყვირებაც ველარ მოასწრო, რომ გადავხტი გამოშვერილ შტოზე. ჩავცოცდი ნელ-ნელა ხეზე, ხეივნიდან ხეიგანში ამოვჭყავი თავი, ჩირგვიდან ჩირგვში გავძვერ-გამოვძვერი კურდლელივით, რაც მწევარს უბნევს ხოლმე გზა და კვალს და შენთან კი გავჩნდი. (ეხვევა) შენ უბრძანე, რომ არსად გამიშვან? შენ? არა მჯერა!.. მაიკო რათ ამბობს, რომ დედოფალი გახდებიო. რანაირად? მალე გავდედოფლდები? მართალია, რომ შენ მეფეზედაც უფრო დიდი ხარ? რა არის, რომ ხმას არ იღებ?.. გაჩუმებული ხარ...

ო თ ა რ-ბ ე გ ი - შენ დედოფალი იქნები, გაიანე! ძლიერი... მთელი ქვეყნის მპრძანებელი.

გ ა ი ა ნ ე - რა კარგი იქნება!

ო თ ა რ-ბ ე გ ი - რასაკვირველია! მაგრამ მე კი უნდა დამიჯერო, გაიანე... ახლა შენ ქალი ხარ დამწიფებული და არა პატარა პიჭი. ან კი თავი უნდა დაანებო ცხენის ჭენებას... მონადირე ჩერქეზი ხომ არა ხარ?

გ ა ი ა ნ ე - მაშ, რაღათ მინდა დედოფლობა, თუ კი ვერ ვინადირებ?

ო თ ა რ-ბ ე გ ი - შენ ჯერ უჭკუო ხარ, გაიანე! რათაო, რომ მკითხავ? (უცბად აღრიალდება) მამა ვარ შენი, თუ არა? ვინ გასწავლა ეგ, რომ ჩემ ერთ სიტყვაზე ასს შემომიბრუნებ და მომახლი ხოლმე. არა, მამა ვარ, თუ არა? (გაიანე შემინებული უკან დაიხევს და გაოცებული შეჰქურებს მამას. ოთარ-ბეგი თანდათან უკლებს ხმას და ბოლოს, თითქოს ქვითინს იყავებს) მაიკომ ხომ გადმოგცა ჩემი, რომ სულ შინ იჯდე და პირმოპურული იყო და, შენ კი ფენჯერში... რაო, ჩიტი ხომ არა ხარ, რომ ტოტებზე დაფრიალობ?

გ ა ი ა ნ ე - ჩიტი არა ვარ, მაგრამ თავი რომ დავიმწყვდიო, არ შემიძლია. ეს პირბადე... რომ ველარ ვსუნთქავდე... ეგა?.. ეგა? აი, შენი პირბადე! (ფხრებს).

ო თ ა რ-ბ ე გ ი - (გაოცებული მუხლებზე ირტყამს ხელებს) აი, შე... როგორ ბედავ მაგას?

გ ა ი ა ნ ე - მკვდარი ხომ არ ვარ? პირზე მკვდრებს გადააფარებენ ხოლმე.

ო თ ა რ-ბ ე გ ი - (ცდილობს, მრისხანე მეტყველება მისცეს სახეს, მაგრამ უნებლიერის აღტაცებით შეჰქურებს) მე შენ ხელ-ფეხს შეგიკრავ და ისე ჩაგიძახებ სარდაფში თაგვებ-ვირთხებთან.

გ ა ი ა ნ ე - რათაო? არ ჯობია, რომ მომკლა!.. (ერთმანეთს შეჰქურებენ).

ო თ ა რ-ბ ე გ ი - (დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ) კარგია! კმარა! ნუ ჯიუტობ. აქ მოდი! გამიგონე!

გ ა ი ა ნ ე - (არ ეკარება) ბრძანე...

ო თ ა რ-ბ ე გ ი - აი, გაიანე, შენ მეყითხებოდი, მართალია თუ არა, რომ შენ აქ მეფეზედაც დიდი ხარო? მეფეზე უდიდესი რათ ვიქენები, მაგრამ თავადებში კი ყველაზედ უფრო ძლიერი ვარ და რატომ? მიტომ, რომ ყოველთვის ჭკუიანი ვყოფილვარ და ჩემ საქმეებსაც კარგათ წავძლოლივარ და... ხომ მხედავ, რა ყოფაში ვარ? პაპაშენი მუხრან-ბატონი არ გახსოვს? სად არის ახლა ის ბერიკაცი? იმერეთში ცხოვრობს სამოწყალოთ. გულბაათ ციცი სადლა? სიკვდილით დასაჯეს. ორბელიანი და სუმბათი? უსახლეკარით საავზაკოთ ხეტიალობენ მთებში. სხვები? ზოგი გაღატაკდა, ზოგი სამსახურში შევიდა და შიშით კანკალობს, რომ თავი არ გამაგდებინონო. ვსთქვათ, ხანდახან მეც კი... მაგრამ ეს რა შენი საქმეა... მაგიერათ, თუ გული მომივიდა, მე შემიძლია, ყველა დავსაჯო სიკვდილით, ზოგი წყალში გადავყარო, ზოგი მაღლა ჩამოვაკიდ და ჩამოვახრჩო და ეს შენ ცოტა გგონია? დიახ, მე ყველაფერი შემიძლია, იმიტომ, რომ მეფესაც უყვარვარ და დედოფლოსაც. აი, დედოფალი... იმასთან უნდა წაგიყვანო! ის სხვებთან ყოველთვის პირდაფარულია, იმიტომ, რომ ქალისათვის დიდი სირცხვილია სახის გამოჩენა!

გ ა ი ა ნ ე - რათ უნდა იყოს სირცხვილი? ჩვენ უფრო ლამაზები არა ვართ თქვენზედ? და თუკი თქვენ არა გრცხვენიათ? ზოგიერთ კაცებს ისეთი სახე გაქვთ, ქრისტეს მადლმა, რომ...

ო თ ა რ-ბ ე გ ი - რა არი, რომ დაგიუინია ქრისტე და ქრისტეო, ყველას ერთი ღმერთი ჰყავს, შენცა და სხვებსაც... ალაპი! სთქვი: ალლაპ!!

გ ა ი ა ნ ე - (წყენით) რაო? თათრის ქალი ხო არა ვარ?

ო თ ა რ-ბ ე გ ი - (ლრიალით) აპა, ბერი ხარ, რომ მაგაზედ დაინწყო სჯა? მე როგორც გიბძანებ, ისე უნდა ილოცო.

გ ა ი ა ნ ე - არა, ჩემო ბატონო, მაგას კი ვერ ვიზამ. ღმერთი ყველაზედ უდიდესია: მამაზედაც კი! აპა, მაიკოს ჰერთე. ძალიან მიყვარხარ, მამაჩემო, შენ მე ცხენი მაჩუქე, მწევარ-მეძებრები, ეს ძვირფასი კაბაც შენი წყალობაა, ეს ყელსაბამიც... ყოლიფერი, მაგრამ ღვთისა კი მაიკომ უკეთ იცის შენზედ.

ო თ ა რ-ბ ე გ ი - (ყვირის) როგორ თუ უკეთ? ვინ იცის ჩემზედ უკეთ?

## ლალატი

გ ა ი ა ნ ე – (მტკუცედ) ვინა და მაიკომ. სულ იმას მეუბნება, კაცების საქმე ომიაო. აი, მამაშენი სახელოვანი სარდალიაო, იმას სად სცალიან ლოცვისთვისო და ჩვენ, ქალები კი, ჩვენთვინაც ვლოცულობთ და იმათთვისაცო. აი, საბა ბერი, წმინდა კაცია, თუმცა მონადირეც კია, ერთი უბრალო ძალლი ჰყავს, სულ უბრალო, მაგრამ ელევასავით სწრაფი კია.

ო თ ა რ-ბ ე გ ი – როგორ გაიცანი შენ ეგ საბა? საიდან?

გ ა ი ა ნ ე – ყველგან დადის... ადრე თავის საყდარიც კი ჰქონია, ღმერთმანი! მაგრამ გადაუწვევამთ და ახლა ის საწყალი უსახლკაროთ დახეტიალობს. ის ამბობს, რომ, სადაც უფალი ჩვენი იესო ქრისტე თვალს მოავლებს, იქ ეკლესია გაჩნდება, მაგრამ ჩვენ კი ვერა ვხედავთ, რადგანაც ცოდვილები ვართო. ახლა ჩვენ ისეთი დრო დაგვიდგა, რომ უნდა ვევედროთ ღმერთის, რომ ხშირათ გადმოხედოს ხოლმე საქართველოს, თვარა ჩვენებმა დაივიწყეს ღმერთი და სპარსელებს მიჰყიდეს ზოგმა შიშით, ზოგმა ფულის გულისათვისო... და შენ როგორ აძლევ ამის ნებას? საბა სადაც კი შეჩერდება, მაშინ-ათვე ამოილებს წიგნს, გადააფარებს ხელსახოცს ქვას ან ჯირკს, მოჰყება ხოლმე ლოცვას. მაგრამ ძალიან გულადი კი არის. ერთხელ გზა დამებნა, ჩამოვრჩი ჩემ ბაზიერებს, შემეფეთა ნინ გარეული ტანი საშინელი, უშველებელი, პირიდან სულ დორბლსა ჰყოდა. დამიფთხა ცხენი, შედგა ყალყზედ და გადამიძახა... ახლა კი იღუპები, გაიანე-მეთქი, გავივლე გუნებაში. მაგრამ გაჩნდა უცბათ საბა და ჩასცხო ეშვს სწორედ ამ ადგილას (გულზედ უჩვენებს). იმანაც ამოიღო ქვეშ, მაგრამ ამასობაში მეც ნამოვხტი და მივეშველე საბას. საბა ხშირათ ამოდის ჩვენთანაც – შინდას. შენი კი ძალიან ეშინია, თუმცა მე უთხ-არი, რომ შენ ისე გიყვარს ყვირილი, თვარა რჩოლით კი არავის ერჩი.

ო თ ა რ-ბ ე გ ი – ჩუმათ! (მიდი-მოდის აღელვებული) გამიგონე, გაიანე! ეგ ნადირობა და ბერ-სალოსების ამბავი ყველა უნდა გათ-ავდეს. ზეგ თბილისში მიმყევხარ, და მეფე-დედოფალს თუ მოეწონე, ირანში გაგისტუმრებენ მეფეთ-მეფესთან, თვით ფადიშაპთან. ის ცოლათ აგიყვანს და დედოფალი გახდები ირანისა და საქართველოსი და თანაც მამაშენის ქალბატონი იქნები.

გ ა ი ა ნ ე – (ყურაცქვეტილი) ირანის დედოფალი! ფადიშას ცოლი! სად არის ირანი? ვინ არის ფადიშა? არა, არ მინდა, მე არ მინდა.

ო თ ა რ-ბ ე გ ი – (აჩქარებით) ოქროს სარაიში იცხოვრებ. ხავერდ-აბრეშუმებში გამოხვეული იძინებ. მოახლეები ასობით შენ ფეხთნინ გაეფრთხობიან, შენი ბრძანების მომლოდინე. მარგალიტის შადრე-

## ლალატი

ვანები იჩუხჩუხებენ შენ ბაღში, ჩემო გულო, ჩემო თეთრო ვარდო! მ ა ი კ ო – (სცენის იქით ხეივნიდან) გაიანე, ჩემო გვრიტო! გაიანე, სადა ხარ?

გ ა ი ა ნ ე – (შეკრთება) ვაი, მაიკო! ნუ ეტყვი, რომ მნახე! (გარბის. ოთარ-ბეგი გაოცებული დარჩება).

ო თ ა რ-ბ ე გ ი – ყველას ეშინია ჩემი, მარტო ამას არ ეშინია! ეჭ, უმჯობესი იქნებოდა ჩემთვის... (ხეივნიდან შემოიჭრება გულამოვარდ-ნილი მოხუცი მაიკო, შავი კაბა აცვია, ტანმორჩილია და საკმაოთ სრული, თეთრი ჩადრი ასხია).

## 3

მ ა ი კ ო – გაიანე, გაიანე!.. უი! დიდი ბატონი! (ოთარ-ბეგს უნდა, რომ ისარგებლოს ამ შემთხვევით, თავისი აღშფოთება დაფაროს და მიტომაც განგება აღრიალდება).

ო თ ა რ-ბ ე გ ი – ეგ არის ყმანვილი ქალის შენი მოვლა და ყურისგდება, დედაბერო? როგორ გაბედე, რომ გამოგიშვია!

მ ა ი კ ო – დალოცვილო, ფრთები ხომ არ მასხია, რომ გამოვ-ფრინდე და დავენიო! ველარ აიტანა გალიაში დამწყვდევა ჩემმა გვრიტუნიამ – გამოფრინდა და ფრთები სწრაფად გაშალა. იმას კი ვენაცვალე, ჩემ გვრიტუნიას, ჩემ ვარდის კოკობს. (ტირის).

ო თ ა რ-ბ ე გ ი – გამოუდექ, აი, აქეთკენ გაირბინა და, თუ კიდევ გამოგიშვია... მე შენ...

მ ა ი კ ო – (ლრიალით) ჩემო წმინდა წყლის ზურმუხტო! გაიანე, სადა ხარ? გაიანე! (მიდის და დიდხანს ისმის მისი ხმა) გაიანე!..

ო თ ა რ-ბ ე გ ი – არა! ამას უნდა ბოლო მოუღო! ბესო! (შემოდის ბესო).

## 4

ო თ ა რ-ბ ე გ ი – ჯერ კიდევ არაფერი ამბავია სურამიდან?

ბ ე ს ო – ჩაფარი ჩამოიჭრა, საპალნები მოდისო! მიკვირს და გამკვირვებია. მართალი ნათქვამია, თუ ხელი მარჯვეთ მოუჭირა კაცმა, ღვინოს გამოსწურავს ქვისაგანო. ანანურიდანაც კიდევ სამი ცხენი ჩამოიყვანეს. ან კი საიდან გამოატყვრინეს ამისთანა ბედაუ-რები! ქალები კი ჯერ არა სჩანან! აკი მოგახსენეთ, ბატონო, რომ საქალეთი ამოვარდნილია-მეთქი.

## ლალატი

ო თ ა რ-ბ ე გ ი – სულერთია! უთხარი, რომ ჩარდახიანი ურმები გამართონ და ცხენები და დარაჯებიც მზათ იყონ! ალიონზე ტფილის უნდა წავიდეთ. სად არიან ცხენები? ვარგიან?

ბ ე ს ო – (თვალებს ხუჭავს აღტაცებით) ფასი არ დაედებათ!

ო თ ა რ-ბ ე გ ი – (მხიარულად) ვის უშოვნია? ჩაფრებს?

ბ ე ს ო – არა, ბატონი!.. ჩვენებმა, ექვსმა კაცმა მოყვანა: ერთი მოხუცებულია, ცალთვალა, სხვები კი ახალგაზრდები. მოხუცი იხვეწება, რომ ის ინახულოთ, მაგრამ ცხენები კი არ ნახოთ ჯერ, სანამ არ შეისვენებენ და მეც ცალკე თავლაში დავაბმეინე, თვალი არ ჰკრანო, ეშინიათ. სამი ცხენებთან დარჩენ. მოხუცი და ორი ახალგაზრდა კი შენს ბრძანებას უცდიან.

ო თ ა რ-ბ ე გ ი – (ბესო გადის. ოთარ-ბეგი ჩაფიქრებული ოხრავს და ნელ-ნელა აბიჯებს აიგანზედ) ოჳ! ოჳ! ოჳ! (სცენის სიღრმიდან შემოდიან ბესო, გლახა ანანია და ამათ მოსდევენ ერეკლე და დათო).

5

(გლახა ანანია, ცალის თვალით ბრმა. მოკლე ჭაღარაშერეული წვერები აქვს და დიდი ულვაშები. თმა ირგვლივ შემოკრეჭილი, ყურებთან კი კიკი-ნებსავით დატოვებული. ერეკლე, 22 წლის ახალგაზრდა, ქერა, ნაზი; დათო შავგვრემანი; მომცრო, პატარა წვერი აქვს).

ა ნ ა ნ ი ა – (ქუდს იხდის, გაჩერდება).

ო თ ა რ-ბ ე გ ი – გამარჯობა შენი!

ა ნ ა ნ ი ა – (თავს უხრის) ღმერთმა გამარჯვება ნუ მოგიშალოს, ჩემო ბატონო!

ბ ე ს ო – ქუდი, ქუდი დაიხურე, ბრუტიანო ძალლო! თქვენ ხომ ზრდილობას ვერ გასწავლისთ კაცი, თქვენ ბრიყვებო! (მიდის).

ა ნ ა ნ ი ა – (უკმეხად) ჰმ! აბა, ერთი ჩვენ ბატონ განსვენებულ მამასთან გაგებედნა ქუდმოუხდელად ლაპარაკი და მაშინ გიჩვენებდა სეირსა!

ო თ ა რ-ბ ე გ ი – კაცო, ვინა ხარ და სადაური?

ა ნ ა ნ ი ა – ანანურელი, ჩემო დიდო ბატონო! სოფლის მამასახლისი! მეტსახელად გლახას მეძახიან. შენმა გამოგზავნილმა კაცმა თქვენი ბრძანება გადმოგვცა, სამი დღის განმავლობაში სამი ბეჭაური ცხენი და სამი გასათხოვარი ქალი იშოვეთ და მოგვართვიო. ცხენები კი მისთანები მოგართვით, რომ უკეთესი აღარ მოხერხდება,

## ლალატი

მაგრამ გასათხოვარი ქალები კი, რაც ვარგოდენ, შარშან წაიყვანეს ტფილისში და დანარჩენი უვარგისებიც შენმა ჩაფრებმა დაიტაცეს... დაირიგეს.

ო თ ა რ-ბ ე გ ი – (წარბეჭს შეიქმუხნავს მრისხანედ) რაებსა ყბედობ, ბებერო!

ა ნ ა ნ ი ა – შენს გზირებსა ჰყითხე, ჩემო დიდო ბატონო! მე რა!.. მთელ ჩვენ მხარეში რიგიანი გოგო აღარსად დარჩენილა. მინდოდა, შვილები დამექორწილებია და სარძლო ვერ გამოვნახე, ასე დარჩენ უცოლოდ. ახლა ესენიც თქვენთვის მომირთმევია, იმსახურეთ თქვენს ნებაზე. ერთ დროს მეც მამაშენს ვემსახურებოდი და ახლა ესენი გამომიზდია თქვენთვის... ამათაც გემსახურონ წრფელად, მთელის მათის ღონით და სიმამაცით. (თავს იხრის).

ო თ ა რ-ბ ე გ ი – (სიამოვნებით გადავლებს თვალს ყმაწვილებს) რა გქვიან შენ, უფროსო?

დ ა თ ო – (ქუდს იხდის) დათო, ბატონო!

ო თ ა რ-ბ ე გ ი – შენ... დაიცა... ბერიკაცო, ეს შენი შვილია?

ა ნ ა ნ ი ა – (ცალთვალ უმზერს ოთარს) შვილი გახლავთ, ჩემო ხელმწიფევ!

ო თ ა რ – ღვიძლი? (თვალს არ აშორებს).

ბ ე ს ო – ღვიძლი!

ო თ ა რ – შეუძლებელია!

ბ ე ს ო – შეუძლებელია!

ა ნ ა ნ ი ა – (იღმება) ჩემ დედაბერს გამოჰკითხეთ, ჩემო ბატონო! თქვენ ეგება გამოგიტყდეს რაშიმე... მე კი მარწმუნებს, რომ ჩემია და..

ო თ ა რ – რა გქვია შენ, ბავშვო?

ე რ ე კ ლ ე – ერეკლე, ბატონო!

ო თ ა რ-ბ ე გ ი – რამდენი წლისა ხარ?

ე რ ე კ ლ ე – ოცდამეორეში გადავდექი, ბატონო!

ო თ ა რ-ბ ე გ ი – (ანანიას) ქრისტიანი ხარ, მოხუცო?

ა ნ ა ნ ი ა – მამიშენის ხელშივე მომნათლეს, ჩემო ხელმწიფე!

ო თ ა რ-ბ ე გ ი – ჰმ! გიცნობთ, რა შვილებიც ხართ ანანურელები! ქურდულად რომ ინახავთ მღვდლებს... იმ მართლმორწმუნეთა მტრებს... ბალდებიც ქრისტიანები არიან?

დ ა თ ო და ე რ ე კ ლ ე – ქრისტიანები გახლავართ, ბატონო!

ო თ ა რ-ბ ე გ ი – მერე და, არ იცით, რომ რა სარწმუნოებისაც ბატონია, იმასვე უნდა ადგენ ყმებიც? შენი ბებერი სულისათვის

სულერთია... არაფერი ეშველება და, ან კი რა ეშმაკად უნდა დიდ წინასწარმეტყველს, რომ შენისთანა ოხრებით გაავსოს სამოთხე... თქვენ კი, ბიჭებო, ხვალვე მიიღებთ მაპმადიანობას!

ე რ ე კ ლ ე – ვერა, ბატონო!

დ ა თ ო – შეუძლებელია! დედამ ფიცი ჩამოგვართვა, რომ რჯული არ გამოვიცავალოთ, ეგ არ მოხერხდება!..

ო თ ა რ-ბ ე გ ი – ასიოდე მათრახი რომ მოგხვდებათ, მაშინ მიხ-ვდებით, რომ შეიძლება.

ე რ ე კ ლ ე და დ ა თ ო – ეგ თქვენი ნებაა, მაგრამ ჩვენი მხრივ შეუძლებელია!

ა ნ ა ნ ი ა – ჩუმად, თქვე საძაგლებო! როგორ ბედავთ დიდი ბატონის სურვილის წინააღმდეგობას? მაგან უკეთ არ იცის, რომელი უკეთესია? თუკი მაგან უკუაგდო მამა-პაპის, წინაპრების სული და მისი ქვეყნის სარწმუნოება, არა სჩანს, რომ სინიდისს უმხილებია... (გულში იცემს მუშტებს) სინიდისი! თქვენ გესმით, სულელებო, რა არის სინიდისი? დიდო ბატონო, მეც თვით ახლავე გამოვიცვლიდი რჯულს – რაღასი მაქნისია! მხოლოდ საზარალოა: გადასახადი ერთიორად გვაწევს: გვცემენ ძალებსავით და, არა თუ პატივისცემას, გაკითხ-ვასაც ნურავისაგან ელი... გესმით, თქვე სულელებო! რჯულს გამოვ-იცვლიდი, მაგრამ ერთი რამ მანუხებს: განსვენებულ მამაშენს რაღა პირით უნდა შევხვდე იმა სოფელს? თვალში არ მომაფურთხებდა და არ მეტყოდა: ანანია, ვაი, რომ ცალი თვალი სპარსელებმა, ჩემ-თან გვერდით რომ იბრძოდი, მაშინ წამოგაგდებიეს, თვარა ახლა შიგ სახეში მოგაფურთხებდიო, სირცხვილი არ არის შენთვის, რომ შენ ყიზილბაშებთან ერთად სამოთხეში შეექცევი და მე აქ ჯოჯოხეთში ვიტანჯები. ეს რომ მითხრას, მაშინ სამოთხეც დამტნარდება და ან კი რაღათ მენდომება სამოთხე, თუ განსვენებულ მამაშენს...

ო თ ა რ-ბ ე გ ი – (სირცხვილით და გულბრაზობით გაჭარხალებული) რას ჩაცივებიხარ მამაჩემს, შე ბრუტიანო ჩურჩუტო!

ა ნ ა ნ ი ა – რად არ ჩავაცივდე, რომ მთელი ჩემი სიცოცხლე იმას-თან გამიტარებია... მაშინ სხვა მართლმორწმუნენი გვაწვენ კისერზე, ახალციხელები, და ისინიც ალაპსა და მაპმადს ალიარებდენ, მაგრამ ვგონებ, სპარსელებისას კი არა, სულ სხვას. მაშინ მამაშენმა მია-ტოვა სახლი, კარი, სახნავ-სათესი, სერები, ჯოგები, ერთი სიტყ-ვით, ყველაფერი, გამოიხმო მთელი მისი საყმო, შეგვყარა ერთად და უდაბურ ტყეში ამოგვაყოფია თავი, აი, იმ მთებში, აგერ რომ ლურჯათ მოსჩანა! იქ, გაიგებდა თუ არა, თათრის ჯარს ესე და

ეს სოფელი აუკლიაო, შეუტევდა შევარდენივით, გადაუჭრიდა გზას და მუსრს ადენდა. ტყვეებს გაანთავისუფლებდა, მტრებს თავებს დააყრევინებდა და ნადავლს თავის პატრონებს უბრუნებდა.

ო თ ა რ-ბ ე გ ი – მერე და, რატომ მე კი არ მახსოვხარ?

ა ნ ა ნ ი ა – როგორლა უნდა გაგახსენდეს, ჩემი ბატონო! ბევრი საზრუნველი რამ გავიჩნდა და თან მეც დავბერდი, გამოვიცალე... თვარა შენგან შორს არ ვყოფილვარ, სულეიმანმა რომ თბილისს მახ-ლობლად დაგვამარცხა.

ო თ ა რ-ბ ე გ ი – (დააკვირდება) მოიცა! მოიცა! თითქოს მეც-ნობი... მერე სადღა იყავ, როცა მე...

ა ნ ა ნ ი ა – (სიტყვას აწყვეტინებს) როცა შენ კიდევ ისევ ჩვენთ-ვის იყავ თავგამოდებული და ეპრძოდი იმ წყე... დღევანდელ ჩვენ ბატონებს? ამან ხომ დიდხანს ვერ გასტანა, მარტო ორ წელიწადს... მე კი დაჭრილი ვეგდე, ჩემო ბატონო, ფეხი არ მიმთელდებოდა, და სხვა საქმეც გვერდნა კიდევ მაშინ, დიდი საქმე... და შენ რომ იმერ-ეთში გადაბძანდი და შენი განსვენებული მეუღლე ციხეში ჩაიკეტა და გამაგრდა, მაშინ კი, როგორც იქნა, მივღოლდი მის მეომრებთან და ჩემის თვალით ვნახე, როცა ციხის აღების შემდეგ ძლევამოსილმა სულეიმანმა აჟკუნა უმწერ დედაკაცი! ეჱ! ვნახე, რომ აღარაფრის მაქნისი ვიყავ, ვერავის რამეს ვრგებდი და გამოვცილდი იმ ძალ-ლებს... უჱ! რას ვამბობ?! ახალ ბატონებს.. და წავედი... ჩემ საქ-მებს შეუდექი.

ო თ ა რ-ბ ე გ ი – გეყოფა! ყბედი ყოფილხარ, ბებერო!

ა ნ ა ნ ი ა – ცხოვრება გავათავე, ბატონო, და სიკვდილს მაინც არ მივყევარ, საქმე გამოლეული მაქვს და ვყბედობ. თქვენ კი, ლაწირაკებო, ბატონის ურჩობა არ გაბედოთ! მას ორი რჯული აქვს გამოცვლილი და თქვენზე უკეთ იცის, თუ რომელიც სჯობია.

ო თ ა რ-ბ ე გ ი – ხმა გაიკმიდე... ხვალ ვნახავთ... მიმილიხართ სამსახურში, მაგრამ თავი კი უნდა ისახელოთ ბრძოლაში.

დ ა თ ო – მე, ბატონო, ნაცადი გახლავარ, თუ მამის ბრძანება არა მქონდა, ჩვენ ცხენებს შენ ვერ ნახავდი! თუ გინდა, ოცი ჩაფარიც გამოგებზავნა. (მამა შეუბლევრს, ის კი ლაპარაკის კილოს გამოსცვლის) არ ვიცოდი, დიდო ბატონო, თუ შენი კაცები იყვნენ, მე მეგონა, ისევ ისე სპარსელები თბილისიდან... შენ კი მე და ჩემი ძმა მარჯვეთ და ერთგულათ უნდა გემსახუროთ, გულმკერდით უნდა ჩამოგეფაროთ ხოლმე. ასე გვაქვს მამისაგან ნაბრძანები (თავს უხრის).

ო თ ა რ-ბ ე გ ი – (სიამოვნებით შესცეკრის ახალგაზრდებს) და მეც შვილებივით მეყვარებით.

ე რ ე კ ლ ე – მაგრამ, ბატონო... (შეკრთება და ენა ჩაუვარდება).  
ო თ ა რ-ბ ე გი – (შეკრთება იმის ხმაზე და თავისთვის ამბობს). პირ-

წავარდნილი თეიმურაზია. (ხმამაღლა) რა უნდა გეთქვა, ერეკლე?

ე რ ე კ ლ ე – (ნაზი ხმით) მხოლოდ ჩვენების დასარტვათ კი ნურსად გაგვგზავნი! ჩვენ გვინდა, რომ მარტო შენ გემსახუროთ.

ა ნ ა ნ ი ა – (ერეკლეს) ხმა ჩაიწყვიტე, ლანირაკო! აი, დიდო ბატონო, წადი და მოარჯულე ესენი, მაგათი თავი აღარა მაქვს. ასჯერ მითქვამს ამათთვის: ისწავლეთ, სულელებო, დიდი ბატონის ოთარისაგან, თუ როგორ უნდა ახლანდელ დროში ცხოვრება. იმან ჩვენი ბატონების, სულეიმანისა და ფადიშაპის გულისათვის ბიძამის ნიკოლოზს შემოერტყა გარს და მოკლა ომში, ორი ბიძაშვილი სატუ-სალოში ლამის ამოახრჩოს, სიმამრს იმერეთში ამოუყვია თავი...

ო თ ა რ-ბ ე გ ი – (შეკრთება, მრისხანეთ) კარგია, კმარა, კმარა!

ა ნ ა ნ ი ა – (განაგრძობს) ეგ რა არის-მეთქი, ბიძები, სიმამრი, ბიძაშვილები... მთელ საქართველოში ბავშვები ხმას ჩაიწყვეტენ ხოლმე, დედები რომ ეტყვიან, ოთარ-ბეგი მოდისო. აი, ამას ქვიან ვაჟკაცობა. მისი ერთი სახელი გულებსა ხეთქავს და ამისათვის ვეუბნები ჩემ შვილებს, ფადიშაპიც და სულეიმანიც ეფერებიან და უფლებაც დიდი მიანიჭეს. აბა, მის მეტი სხვა თავადიშვილები სად არიან? დაიღუპენ, მხეცებივით ცხოვრობენ ტყეებში. გაჭრილან, როგორც მონები და რათა? იმიტომ, რომ ვერ მოუხერხებიათ დროზე თქვან: ლიპ-ილლაპ-ილ-ალლა და სცემონ იმას, ან მოკლან ის, ვიზე-დაც მეფე უბრძანებს. ასწავლე, ჭკუა ასწავლე ამათ, დიდო ბატონო! ჩვენ სუყველა შენი მონა ვართ.

ო თ ა რ-ბ ე გ ი – (შეკრთება, თითქო ყბაში სცემენო და ერთბაშათ ალრიალდება) შენ, ჰეი, ბებერო მელავ, ზლაპრებით და ქალაქუნობით რომ მატყუებ! გამოიყვანე ცხენები და თუ იმათში ერთიც უვარგისი გამოდგა, ტყავს გაგაძრობ და თოქალთოს გავაკეთებიებ მისთვის. (მიდის).

6

ა ნ ა ნ ი ა – (სიჩქარითა და ჩურჩულით) აბა, მიიხედ-მოიხედეთ, შვილებო! დაისწავლეთ ყველა შესავალ-გასავალი, ვინ იცის, ეგება დაგვჭირდეს... დათო, შენ აქეთ გამოიარე, იმან არ შეგნიშნოს. ერეკლე, შენ გარშემოუარე სახლს. (მიდის).

ე რ ე კ ლ ე – დათო, გული მეუბნება, რომ რაღაც უნდა მოხდეს.

დ ა თ ო – (უზრუნველათ) აი, ჩემი ხელი და ჩემი ხმალიც, ნურაფრის გეშინია, ძმაო! ჩვენ ორს ერთად ვინ მოგვერევა?

ე რ ე კ ლ ე – შიშით კი არ მეშინია, მაგრამ საზარელი სიზმარი კი ვნახე. მეზმანა, რომ, ვითომ წმინდა გიორგიმ გული გამიხვრიტა მისი შუბით.

დ ა თ ო – (აწყვეტინებს სიტყვას) ეჲ, რა უნდა წმინდა გიორგის შენთან? ისა სჯობია, ჯერ სანამ არავინ მოსჩანს, სახლს შემოუ-როთ. სიზმრების ახსნა კი დედაბერს მიანდე. მე იმათი ახსნის არა ვიცი-რა! წადი!

ე რ ე კ ლ ე – მალე კი მოდი. (გაჰყვება ანანიას, დათო მარჯვნივ მიდის. წინ გაიანე შეეფეთება).

8

გ ა ი ა ნ ე – (უცბად შეჩერდება. დაუწყებს ყურებას დათოს) ვინ ხარ შენ?

დ ა თ ო – (გარეტიანებული, გაოცებული, ხარბის გულისთქმით უყურებს და უხმოდ შეჰყურებს აღტაცებული).

გ ა ი ა ნ ე – (რომელსაც ძალიან მოენონება ვაჟი) მუნჯი ხარ?

დ ა თ ო – მე ოთარ-ბეგის მეომარი ვარ! შენ კი ვიღა ხარ, ქალო?

გ ა ი ა ნ ე – მე ოთარ-ბეგის ქალიშვილი ვარ! შენ რა გქვიან?

დ ა თ ო – დათო, შენ?

გ ა ი ა ნ ე – გაიანე. (სიჩუმე ჩამოვარდება, შეჰყურებენ ერთმანეთს). მერე აქ რა გინდა? მამას ჯარი გორში ჰყავს.

დ ა თ ო – მე ცხენები ჩამოვიყვანე ფადიშაპისათვის მამიშენის ბრძანებით.

გ ა ი ა ნ ე – (შეკრთება) ფადიშაპისათვის? მერე ვინ არის ეგ ფადიშაპი?

დ ა თ ო – რა ვიცი!

გ ა ი ა ნ ე – არავინ იცის. მეფე არის?

დ ა თ ო – (შეჰყურებს) მე კი არ ვიცი და...

გ ა ი ა ნ ე – მაშ, არც ის იცი, სად არის ირანი?

დ ა თ ო – არა! ვიცი, რომ იქიდან მოვიდნენ სპარსელები, დაიპყრეს ჩვენი ქვეყანა და იმ დღიდან მამაშენი სულეიმან მეფეს ემსახურება ისე, როგორც ჩვენ, ყველა.

## ლალატი

გ ა ი ა ნ ე – მერე და, მეფე სულეიმანიც სპარსელია? ირანიდან არი?

დ ა თ ო – ალბათ მანგრე იქნება! იქითკენ ოქროს, ვერცხლს, ცხენებს და ქალიშვილებს აგზავნიან. ჩვენ გვართმევენ და იქაურებს უგზავნიან.

გ ა ი ა ნ ე – ვინ გართმევს?

დ ა თ ო – მამაშენი.

გ ა ი ა ნ ე – (უცბათ შეჩერდება და გამოურკვევლათ შეჰყურებს დათოს. სიჩქმე ჩამოვარდება). საიდანა ხარ?

დ ა თ ო – ანანურიდან.

გ ა ი ა ნ ე – სად არის ანანური?

დ ა თ ო – მთაში!

გ ა ი ა ნ ე – მონადირე ხარ?

დ ა თ ო – ჯერჯერობით თერთმეტი ვეფხი მომიკლავს.

გ ა ი ა ნ ე – (მონინებით) ოჳო. მეც მასწავლე, როგორ უნდა მათი მოკვლა.

დ ა თ ო – შენ ქალი ხარ, ვეფხს ვერ მოერევი!

გ ა ი ა ნ ე – განა მაგრე ღონიერია?

დ ა თ ო – ხბოს იტაცებს. როგორ ცეცხლივით აგნთებია თვალები! შენ რომ მიბრაზო, ორ ვეფხს შევებმი ერთ და იმავე დროს. მამაშენსაც ისე ვემსახურები, რომ წვეთ სისხლს არ დავინანებ ერთ შენ შემოხედვაში.

გ ა ი ა ნ ე – (მოწყენილათ) მე მალე უნდა მოვშორდე აქაურობას, მამას მივყავარ დედოფალთან, მერე... (გაჩუმდება)

დ ა თ ო – (გაფითორებული სულს ძლივს იძრუნებს) წახვალ?

გ ა ი ა ნ ე – ირანში. (მოიწყენს) მამას უნდა, რომ მე ირანის დედოფლად გავხდე და ამიტომ საჭიროა, რომ ნადირობაზედაც ხელი ავიღო, პირიც დავიფარო და ფადიშაპმა ცოლათ შემირთოს.

დ ა თ ო – (შეჰყვირებს და თმაში იტაცებს ხელებს) როგორ შენც? ირანში? დედოფლათა? პირს დაგიხურავენ? მერე და, მამაშენიც, მამაშენიც თვითონ, თავის ნებით? მე კი მაგისთანა დედოფლობას მტერსაც არ ურჩევდი.

გ ა ი ა ნ ე – რა თქვი?

დ ა თ ო – გაიანე! გაიანე! იქ მონათ მიჰყავთ ხოლმე და არა სამეფოთ. ართმევენ ძალადობით დედას შვილს, ქმარს ცოლს, საქმროს საცოლოს. შენც გატყუებენ, გაიანე! შენა გყიდიან ისე, როგორც გაყიდეს საქართველო და როგორც გაყიდეს ქრისტე!

## ლალატი

გ ა ი ა ნ ე – (თავზარდაცემული) ვინა? ვინ?

დ ა თ ო – პირველმა – მამაშენმა.

გ ა ი ა ნ ე – (საღელვებით, გააფრთხებული და ფერწასული) საქართველო? ქრისტე... მამაჩემმა... გაჰყიდა... მამაჩემმა?

დ ა თ ო – დიახ, მამაშენმა. ამას მთელი ქვეყანა ლაპარაკობს. აბა, ჰერთ საბა-ბერს, ის ყველგან დადის. მამაშენმა მოთოვა ხალხი სხვადასხვა ხრიკებით. ერთი სიტყვა რომ დასცდეს მამაშენს, ერთი რომ გვიბრძანოს, კედელივით გარს შემოვეხვევით, ჩვენ დღეს ბევრი ვართ ახალგაზრდები და ღონიერი. ჯერ კიდევ არ გავყიდულვართ მონებათ ირანში, ისე, როგორც შენა გყიდის მამაშენი, ჩემო მშვენიერებავ, ღვთის ანგელოზო, ჩემო სულის სინათლე!

გ ა ი ა ნ ე – (არეულათ) მოიცა! რას ამბობ! მე... მე...

დ ა თ ო – (უფრო მეტის გულისთქმით) როგორც ნაპერწკალმა წამალი, ისე ამინთე მეც შენ გული; თუ აქამდი ვაგვიანებდი, ან ალარ ვაგვიანებ. შენა ხარ მხოლოთ ის, რისაც დაფარვა და ვისიც შველა მე მინდა. შენა ხარ ჩემი სამშობლოც, ღმერთიც და თავისუფლებაც. ვერ შემაშინებს მამიშენის ჯარი და ვერც მისი მბრძანებელი, საქართველოს ღვთის რისხვა. გამოგვეჯ ხელიდამ იმ დარაჯებს, შენთვის რომ დაუყენებიათ და, თუ წაგიყვანეს, მე, როგორც ვეფხი, საიდუმლოთ დავედევნები შენს ქარავანს. მე ბევრი მევორები მყავს. მე იმათ უფროსათ გაუხდები. დეე, დაიძრას პატარა ყინული მთის წვერზე, წამოვიდეს, კოტრიალით დაეშვას თავდაღმართში და გაიზარდოს დიდ შევათ... ის წალევავს, რაც კი დაუხდება წინ, ტყე იქნება თუ სოფელი, ჩვენც ისე ყოლიფერს წავლეკავთ, ოლონდ კი გაგათავისუფლოთ, ჩემო სულის ცისკრის ვარსკვლავო! (მივარდება და აკოცებს).

(მაიკოს ხმა ისმის) – გაიანე, გაიანე.

გ ა ი ა ნ ე – (მოსხლტება უეცრათ) მომშორდი!

დ ა თ ო – ნუ გეშინიან, არაფერია. (გაიქცევა. ჩანჩალით შემოდის დაღალული მაიკო).

9

მ ა ი კ ო – აი, სად ყოფილხარ!.. შენ, როგორც გატყობ, სული უნდა ამომხადო! (დაქანცული დაეშვება ძირს და მაგრათ ხელს წაავლებს გაიანეს) ერთი საათია, რაც მოვრბივარ, გიყვირი, გეძებ... ო, ღვთისმშობელო, სული ვეღარ მომითქვამს.

გ ა ი ა ნ ე – (მიიხედ-მოიხედა, რომ გონიერ მოსულიყო, თითქო ახლა გაიზარდა და დაქალდა) უკაცრავათ, გამდელო, ადექი, წავიდეთ. საცა გინდა, წამიყვანე... მე მეტს აღარ ვირბენ. მეც დავიღალე.

მ ა ი კ ო – (ხვენეშით) ამ საათშივე, მაგრამ ჩქარა კი აღარ შემიძლიან, ჰო, ვაი, დედაჩემ!

გ ა ი ა ნ ე – ერთი მითხარი (დაფიქრებული, თითქო არავის უყურე-ბსო) მამაჩემი... ქრისტიანია?

მ ა ი კ ო – (ზარდაცემული) შენ რა საქმე გაქვს, ჩემო თეთრო იასამან!

გ ა ი ა ნ ე – (ხელს მოუჭერს) მიპასუხე!

მ ა ი კ ო – (ზარდაცემული, სულ სხვანაირ კილოთი) ადრე ქრისტიანი იყო.

გ ა ი ა ნ ე – ახლა?

მ ა ი კ ო – ახლა აღარ არის!

გ ა ი ა ნ ე – (ხმის დაშვებით) მართალია... ყოლიფერი მართალია... და დედაჩემიც... მოჰკლეს... ვინ?

მ ა ი კ ო – ღვთის გულისათვის, ჩუმათ სთქვი, ყმანვილო!

გ ა ი ა ნ ე – (მრისხანეთ) ვინ მოჰკლა?

მ ა ი კ ო – (ჩურჩულით) მეფე სულეიმანმა.

გ ა ი ა ნ ე – და მერე იმას ემსახურება მამაჩემი?

მ ა ი კ ო – რა გემართება, ჩემო ჩიტუნიავ! დიახ, დიახ! ჩვენ ყველა მონები ვართ.

გ ა ი ა ნ ე – ჩვენ მონები ვართ და მამაჩემი იმას ემსახურება?

მ ა ი კ ო – (ევედრება ცახცახით) გაჩუმდი, გაჩუმდი, შვილო!

გ ა ი ა ნ ე – (უფრო და უფრო აღლვებით) მე რატომ მამასთან არა ვცხოვრობდი?

მ ა ი კ ო – მე არა ვიცი-რა. შენ დამლუპამ, შენ სწორეთ დამლუპამ.

გ ა ი ა ნ ე – რათა?

მ ა ი კ ო – ეშინოდა, რომ ჰარამხანში შეეყვანე!

გ ა ი ა ნ ე – სადა?

მ ა ი კ ო – ჰარამხანში! იმას ეხლა ბევრი ახალი ცოლები ჰყავს, ქალიშვილები და ვაჟებიც! სარწმუნოება ნებას აძლევს. ზოგი ამბობს, რომ შეუძლია, ოთხი ცოლი იყოლიოსო და ზოგიც ასზე მეტს ამბობს. მამაშენს ასი ჰყავს თუ არა, არ ვიცი, მაგრამ ამბობენ, რომ ხან ბევრი ჰყავს და ხან ცოტაო. ყველა ერთათ ცხოვრობენ. და თუ რომელიმე მათგანი არ მოეწონა, მაშინვე გაეყრება და გააგდებს. მაგრამ ჩვენი ბატონი კეთილია და ჯერ არავინ გაუგდია. თუ ვინმემ

გააჯვავრა, მაშინ თავისი მეომარს მიათხოვებს, ან მეგობარს გაუგზავნის საჩუქრადო. ისე კი თავისი დღეში არ გააგდებს უპატრონოთ.

გ ა ი ა ნ ე – ჩემს გარდა სხვა შვილებიც ჰყავს?

მ ა ი კ ო – როგორ არა! სიყვარულით კი მარტო შენ უყვარხარ! ან კი როგორ უნდა შეიყვაროს ისინი, ბევრი არიან.

გ ა ი ა ნ ე – ირანი სად არის?

მ ა ი კ ო – შორს.

გ ა ი ა ნ ე – ვინ არის იქ მეფეთ?

მ ა ი კ ო – ფადიშაპი! ის მეფეთ მეფეა.

გ ა ი ა ნ ე – იმას იმდენი ცოლი ჰყავს, როგორც მამაჩემს?

მ ა ი კ ო – უუუ! მეტიც. მთელი ქვეყნიდან რაც კი ულამაზესია, სულ იმას უგზავნიან.

გ ა ი ა ნ ე – (იტაცებს თმაში ხელს. დიდხანს გაჩუმებულია, რალასაც ფიქრობს და სახეზე ტანჯვა ეხატება) წავიდეთ. (მისდევს მაიკოს, მაიკო ეჩურჩულება): მაგრამ ნურავის კი ნუ ეტყვი, შვილო, ჩუმათ იყავი, არ წაგცდეს, რომ მე... (ამ დროს შემოდის ოთარ-ბეგი მარცხნივ და გლახაც შემოყვება).

10

ო თ ა რ-ბ ე გ ი – (კმაყოფილება ეტყობა) კარგი ცხენები არიან, კარგი, ჩემ მაგიერ უთხარი შენ სოფლელებს, რომ გამითავისუფლებია და აღარ ვამუშავებ ანანურის ციხეზე.

ა ნ ა ნ ი ა – ღმერთმა თქვენი მოწყალება ნუ მოგვაკლოს, ბატონი. მაგრამ რათ ირჯებით?.. ისინი სიამოვნებით მუშაობენ. ასე ამბობენ, რომ ამ ციხეს სპარსელები ხომ არ წაიღებენ, ჩვენ არ დაგვრჩებაო?

ო თ ა რ-ბ ე გ ი – (უცებ მოტრიალდება მოულოდნელობისაგან და თვალგაშტერებით უყურებს გლახას) ყური დამიგდე, გლახა, საიდან გაქვს ეგ გამბედაობა? შენა გვირნია, ვერ მიგიხვდი, რომ პირში დამ-ცინი, როცა მამაჩემის იგონებ? (სახე უწითლდება შეჩერებულ მრისხანებით) მე მიყვარს ხუმრობა მხოლოდ ჩემის ბესოსი და სხვა ხუმრები კი მანჭავენ სახეს, მაგრამ სიცილის გამო კი არა, ცეცხლითა და მათრახითა. მე მიყვარს გამბედაობა მაშინ, როცა ჩემს მტრებს ებრძვიან და ჩემთან კი გამბედაობა არავის გამოადგება, მე იმათ ფერს ვაცვლევინებ მხოლოდ.

ა ნ ა ნ ი ა – (შეუპოვარის კილოთი) მაშ, რალას აგვიანებ. ჩემო ბატონო, სიკვდილი შენ ხელთ ყოფილა, მაგრამ მე და ის დიდი ხნის

მეგობრები ვართ და ბევრჯელ გაგვიმართავს ერთმანეთისათვის თვალი. მართალია, ის არ გაწითლებულა, მაგრამ არც მე გავყვითლებულვარ. ჩვენ-ჩვენ ფერზე დავრჩენილვართ.

ო თ ა რ-ბ ე გ ი - (ნაავლებს მხრებში ხელს) ბერი კაცო, მე მესმის შენი გულის პასუხი, განა მიტომ მთხოვე, მიმეღო მე შენი შვილები სამსახურში, რომ ლალატით ჩამცენ ზურგში ხანჯალი?

ა ნ ა ნ ი ა - არა, რატომ გავიწყდება, ბატონი, რომ ზურგში სპარსელები სცემენ და ჩვენ კი გულში. (ოთარი შეუშვებს ხელებს) ლმერთმა, როგორც ძველმა, ისე ახალმა, ბევრი ჩემი შვილებისთანა ერთგული ყმა მოგცეს, მხედართმთავარო და მხედართმთავრიშვილო! აგრე კი არა. როცა შენი თავიდან მოშორება მოუნდებათ სპარსელებს, შენ ჩვეულებისამებრ დაუძახე ერეკლეს და დათოს, ძვირათ დაუსვამენ სპარსელებს თავის ბატონის თავს.

ო თ ა რ-ბ ე გ ი - ახლა კი გადამირჩი, მაგრამ მაგისთანა სიტყვებს თავი დაანებე. (ხმას დაამდაბლებს) ახლა მაგის ლაპარაკის დრო აღარ არის! ჩვენი ძალა გასრუესილია. სად შეგვიძლია ჩვენ, ლოთებს, ლრიალებს და მოქეიფებს, სად შეგვიძლიან სულეიმანთან, რკინის კაცთან, ბრძოლა? აბა, თუ ერთხელ როდისმე ღიმილს გაუვლია მის ულვაშებში! მისი შეხედულება მახვილი და ცივია, როგორც მისივე სული. არასოდეს ლვინის წვეთს არ გაუგრილებია მისი ტუჩები, იმან დაუმონა ფადიშაპს სინდი და ჯიბალი, შეიჭრა დიდ მარილიან უდაბნოში და შესვა ინდუსის წყალი. ის შეჰყურებს მხოლოდ ცას, თითქოს ხედავს, რომ წინასწარმეტყველი იქიდან გზას უჩივენებს. ჰე, დაანებე, ბერიკაცო, ობროდობას თავი და უდავიდარაბოთ საუკუნო დალიე.

ა ნ ა ნ ი ა - მადლობა უფალს, შენ კიდევ გებრალება ქრისტიანის სული. მართალია ხალხი, რომ არა სჯერა შენი ბოროტმოქმედობა. იცის, რომ გულით იმაებს არ ჩადიხარ და ქედს უხრის შენ სახელს. დიდო ბატონი, მათქმევინე, თუ რას ითმენს და როგორ იტანჯება თქვენი ქვეყანა. ნება მიბოძე, გავალვიო შენს გულში სიბრალულის ცეცხლი, ჯერ კიდევ სანამ არ ჩამქრალა...

ო თ ა რ-ბ ე გ ი - შებრალებაზე ნურაფერს მელაპარაკები, შენ იმას უკანასკნელათ ხედავ ჩემში. (მრისხანეთ) წადი, ჯერ კიდევ სანამდი შებრალების ნაცვლათ, მრისხანება არ გაგიზვიადებია ჩემში. აი, ამ წუთას, შენზე წინ, შემომჩერებოდენ და შებრალებას მთხოვდენ ერთი წყვილი იმისთანა თვალები, შენ მიმქრალ თვალების ნაცვლად... მომშორდი ჩქარა! (შემოიჭრება ბესო, შიშისაგან თრთის).

ბ ე ს ო - დიდო ბატონი, დედოფალი ამალით მობრძანდება, კვალდაკვალ მომყვება.

ო თ ა რ-ბ ე გ ი - ხომ არ გაგიუდი? (გამოჩენდებიან დათო და ერევლე).

ბ ე ს ო - არა, ბატონი! აი, ისინიც (დაიჩოქებს. შემოდიან: ზეინაბი, რუქაა, იმას მოჰყვება ალ-რაზაყი, რამოდენიმე მოახლეები და მეომრები ჩაჩქანებით, რომლებზედაც დოლბანდი აქვთ მოხვეული, ხმალამოლებული არიან. ქალებს თვალების მეტი ყველაფერი დაფარული აქვთ. ოთარ-ბეგი მუხლებს მოიყრის, ანანიაც მიპაძავს).

ზ ე ი ნ ა ბ ი - (არ იხდის ჩადრს) კარგი მცველები გყოლია, ოთარ-ბეგ! არც კი შეგატყობინეს ჩემი მოსვლა. მაგრამ როდესაც მოლალატესთან მიდიხარ, ისე უნდა მიასწრო, რომ ვერც კი გაგიგოს. ბრძანება გავეცი, რომ შენი მხედრები, ვინც კი გზაში შეგვხვდებოდა, ყველა დაეჭირათ. რატომ შენ ჯართან არა ხარ? რას აკეთებ აქ, ქალაქს გარეთ, სააგარაკო სახლში? როგორ მიანებე თავი შენ ჰარამხანას?

ო თ ა რ-ბ ე გ ი - დედოფალო, შენ ბრძანებას ვასრულებ და მეფეს საჩუქარს უმზადებ. ხებლ, გათენდება თუ არა, მინდოდა, თქენ მაღალ კარს ვხლებოდი თბილისში ქალით, ოქროთი, ვერცხლით და ცხენებით. ამაზე ბრძანებაც გავეცი, ჰკითხეთ ჩემს მსახურებს.

ზ ე ი ნ ა ბ ი - მგზავრობამ დამლალა და მინდა, ლამე შენს სახლში გავათიო.

ო თ ა რ-ბ ე გ ი - კედლები გაგანიერდებიან, სახლის სახურავი ღრუბლებამდი აიწეს, დიდო მბრძანებელო. აბა ჰე, მოსამსახურებო, მოამზადეთ მეჯლისი, დამიძახეთ მოახლეებს, საქართველოს მთვარე მოივანებს თავის ყმისას. (უნდა წავიდეს).

ზ ე ი ნ ა ბ ი - შეჩერდი, ლხინი საჭირო არ არის! მხევლებიც მახლავან. ალ-რაზაყ, მეთვალყურეები დააყენე ყოველ კარებზე. მე ამ ოთახებს დავიჭირ. (მიაშვერს თითს. ალ-რაზაყი თაყვანსა სცემს და წავა. დედოფალი ზეინაბი შეაჩერდება ანანიას, იცნობს და გულზე ივლებს ხელს და ნელის ხმით დაიკივლებს).

რ უ ქ ა ი ა - რა მოგივიდა, ქალბატონო?

ზ ე ი ნ ა ბ ი - არაფერი, შვილო! გზაში დავიღალე და გულში გამკრა. (ოთარ-ბეგს) ვინ არის ეს კაცი?

ო თ ა რ-ბ ე გ ი - სოფლის მამასახლისი ანანურიდან, ჩემო ხელმიფიფევ! სამი ცხენი საჩუქრათ მოჰყვარა თქვენს ძლიერებას.

## ლალატი

ა ნ ა ნ ი ა – ცხენები ყველა კარგია, დიდო დედოფალო, მაგრამ ერთი მათგანი ფასდაუდებელია!

ზ ე ი ნ ა ბ ი – (შემკრთალის ხმით) ყოვლის შემძლებელი... ომში გამოსადეგი ცხენია?

ა ნ ა ნ ი ა – მის ძარღვებში ჩვიდმეტი მუხლის მეფური სისხლი სჩქეფს.

ზ ე ი ნ ა ბ ი – კარგათ იცნობ?

ა ნ ა ნ ი ა – მე გავზარდე და შვილზე უფრო მიყვარდა.

ო თ ა რ-ბ ე გ ი – მე მგონია, დედოფალო, რომ წმინდა არაბული მოდგმისა არი. ფადიშაპი კმაყოფილი დარჩება.

ზ ე ი ნ ა ბ ი – ფადიშაპი კმაყოფილი დარჩება.

ა ნ ა ნ ი ა – არ ვიცი, მოენონება თუ არა ფადიშას, მაგრამ ამაში კი ერთი წვეთი სისხლიც არ ურევია არც არაბული და არც სპარსული. იმაში საკუთარი ჩვენებური სისხლი სდულის. (მოტრიალდება და ანიშნებს შვილებს, რომ იმასთან მივიდნენ) ჩემმა შვილებმა ჩემზე უკეთ იციან იმ ცხენების ამბავი. (ჟრეკლე და დათო მივლენ. რუქაია თვალს შეატანს ერეკლეს და თითქოს უცაბედათ დააგდებს ჩადრს. ერეკლე შეხედავს და აღტაცებაში მოდის).

ზ ე ი ნ ა ბ ი – (თანდათან ყვითლდება, ლელავს და თვალს არ აშორებს ერეკლეს).

ა ნ ა ნ ი ა – ერთმა მათგანმა კიდეც გახედნა ეს ცხენი.

ზ ე ი ნ ა ბ ი – (ხმის შეწყვეტით) რომელმა?

ა ნ ა ნ ი ა – რომელსაც შენ უყურებ.

ფ ა რ დ ა

## მოქმედება მესამე

ისევ ის დეკორაცია. ღამეა. მთვარე კლებაშია. ცა მოღრუბლულია. შემოდის ერეკლე და იმასთან ერთად შემოიპარება დათოც. ყველა დაბალის კილოთი ლაპარაკობს, აჩქარებით და აღელვებით.

## 1 სცენა

დ ა თ ო – (მხარზე ხელს დაადებს) აქ შენ რას აკეთებ?

ე რ ე კ ლ ე – (მობრუნდება შემკრთალი) ჰო, ეს შენ ხარ, დათო?

## ლალატი

დ ა თ ო – ჰო, მე. ვის უცდი?

ე რ ე კ ლ ე – ნადი აქედან! შენი საქმე არ არის!

დ ა თ ო – (დაჟინებით) მიპასუხე, ვის მოელი-მეთქი?

ე რ ე კ ლ ე – (აენთება) შენ როგორ შეგიძლიან, რომ მითვალყურო?

დ ა თ ო – როგორ, ჩემგანა დასაფარავი რამე გაქცს? ადრე არა ყოფილა ეს!

ე რ ე კ ლ ე – ქალს მოველი.

დ ა თ ო – (აენთება) გაიანეს?

ე რ ე კ ლ ე – არ ვიცი, რას ეძახიან, მომშორდი!

დ ა თ ო – (უფრო და უფრო ხურდება) გამიგონე, ძმაო, შენ რომ წახვიდე, ის აჯობებს. მე შევხვდი იმას პირველად და კიდევაც ვაკოცე. მე იმას არავის არ დაუთმობ, სანამ ცოცხალი ვარ, გესმის?

ე რ ე კ ლ ე – (ისიც აენთება) ტყუილს ამბობ, როგორ აკოცებდი, რომ დედოფალს არ შორდება? იმას უყარაულებენ. დედოფალს რომ გული შეუწუხდა, ძლივძლიობით წამჩურწულა, რომ აქ მოვსულიყავი. როცა ყველა დაიძინებსო, და კიდეც წაიყვანეს. (ხანჯალზე მოვლებს ხელს) მაშ, როგორლა შეგეძლო მისი კოცნა? სთქვი!

დ ა თ ო – (მიხვდება, რომ შემცდარია) შეუშვი ხელი ხანჯალს. ალბათ სხვისთვის მიკოცნია (იცინის). სეირი თუ გინდა, ეს არის, ერეკლე! კინალამ ერთმანეთი დავჩეხეთ. გაიანე რომ ყოფილიყო, ერთი და ერთი კაინად გავხდებოდით.

ე რ ე კ ლ ე – (მოხუშულია და არ სჯერა) სხვა ვინ იქნებოდა? აქ არავინ ყოფილა მის მეტი, დედოფლის და ჩადრში გამოხვეულ დედა-ბრის მეტი.

დ ა თ ო – მართალს მღერიან: „შენ ხარ ჩემი თვალის ჩინიო“... ყველას თავისი თვალის ჩინი ჰყავს და სხვისას ვეღარა ხედავს. თუ არ გინდებვარ, წავალ, მაგრამ თავს კი მოუფრთხილდი, ერეკლე! სპარსელებს ხუმრობა არ უყვართ. შავი ქაჯები, არაბები, უარესიც არიან. სულ ხახვივით დაგჭრიან. თუ შამოგიტევენ, დამიშტვინე და მოგეშველები, ახლოს ვიქნები.

ე რ ე კ ლ ე – არა, მოიცადე! ჯერ ის მითხარი, ვის აკოცე? აქ მის მეტი არავინ ყოფილა.

დ ა თ ო – (იცინის) არც დედოფალი?

ე რ ე კ ლ ე – დედოფალს რას დავეცებ? მიპასუხე, დათო!

დ ა თ ო – მაიცა ერთი! ძმები ვართ თუ არა?

ე რ ე კ ლ ე – ძმები ვიყავით, სინამდინ არ მომატყუე.

დ ა თ ო – ყური დამიგდე! ოთარ-ბეგს ქალიშვილი ჰყავს, გაინარ. დედოფალი იმის წასაყვანად მობრძანდა, სპარსეთში მიჰყავს ფადოშპანან საჩუქრად. მაგრამ ვერ წაიყვნებენ, ჩემო ერეკლე! შენ რომ ის გენახა! არა, ვერ წაიყვანებენ. მე იმას აქ შევხვდი. ჯეირანივით გამომიხტა ბუჩქებიდან და შემომაჩერდა, თითქოს გაქვავდაო... და მე კი... არა, ჩემო ძმაო, სიკვდილიც და სიცოცხლეც მე ახლა მისთვის მინდა.

ე რ ე კ ლ ე – (ჯერ კიდევ ეჭვიანათ) მაშ, ის არ დგომია დედოფალს გვერდით?

დ ა თ ო – და არც განგებ გადაუგდია ჩადრი, რომ შენ დაგაბრმავოს! (სიცილით მოეხვევა) ვფიცავ წმინდა გიორგის, რომ არა! იმასაც და სხვა ქალებსაც დაუთმობ და შენ კი უკეთეს. გაიანე იქითკენ გაიქცა, და მე წყლის პირას, ტყეში შევნიშნე მაღალი კოშკი, ისიც სწორეთ იქ არის. შენიშვნა ვერ მოვასნარი, და როდესაც გამოვუდექი, შენ შემოგეცეთე. და მეგონა, რომ... იცი, რა გითხრა, ძმაო, ლმერთმა დაგვიფარა შენცა და მეც. კურთხეულ იყოს დედოფლის მობრძანება მისის მოახლეებით.

ე რ ე კ ლ ე – გამიგონე, დათო! ახლა შენ ჩემი დარდიც უნდა გესმოდეს. იმან რომ მითხრას: „დააგდე მამა, დედა, პატიოსნება, სარწმუნოება, სამშობლოო“, – მე მაშინვე ყველას დავთმობ.

დ ა თ ო – (უზრუნველად) არა, ჩემი მაგას ვერ მეტყვის, რომ კიდეც მითხრას, მე თვითონვე ურჩევდი, რომ ჩემი გულისათვის თავისი რჯული დაეტოვებია და სამშობლოცა. არა, არა, მაგას რას ამბობ? გახსოვს გზაში მამის სიტყვა, აქეთ რომ მოვდიოდით: შვილებო, სალხინოდ კი არ მივდივართო – წინ დიდი საქმე მიგველისო. რას უნდა ნიშნავდეს ეს, ერეკლე?

ე რ ე კ ლ ე – (ფერერს შეჰყურებს) რა ძნელია ლოდინი! სალამოს დამენახვა იქიდამ და რაღაც მანიშნა. მოდი, კენჭს ვესვრი.

დ ა თ ო – არა, ბდლვირი შეაყარე. (ფიქრებგატაცებული) დრო არის, რომ ეს შეურაცყოფა თავიდან ავიცდინოთ. ჩვენ კაცები კი არა, თათრების პირუტყვები ვართ! საიდუმლოდ ვლოცულობთ მიყრუებულ ადგილებში, ჩვენი საყდრები დაქცეულია. გვტაცებენ, რაც კი გაგვაჩნია: საქონელს, პურს და ყოველგვარ ჭირნახულს. გვტაცებენ დებსა და საცოლეებს და ჩვენ თვალწინ ჰყიდიან და შეურაცყოფენ ბაზარში. ეს უბედურობა ისე მადგა ყელზე, რომ ჭამა და სმაც მეჯავრება. რაღას ვუცდით? რაღას ვუცდით, ერეკლე!

ე რ ე კ ლ ე – (ყურს არ უგდებს) დიახ, ამდენ ცდას სიკვდილი სჯობია. შევაყრი ქვიშას.

დ ა თ ო – მცველებს გამოალვიძებ. (ის ისევ თავისასა ამბობს) როცა თვალებში შევხედე, გული გამიმაგრდა, გავიზარდე, ძალ-ლონე მომე-მატა. თითქო მთის წაკადული გადამემთხვიაო. ოჟ, რო იცოდე, რა ლონეზე ვარ, ერეკლე! მისი ხმა ისე ჩამნივის ყურში, თითქოს საო-მარი ბუკის ხმა იყოს. მისმა ხმამ მაგულისხმა, რომ დრო დადგაო. იჩხუბე ღვთისათვის, სამშობლოსათვის, თავისუფლებისა და ჩემთ-ვისო.

ე რ ე კ ლ ე – სსუ... მოდის. (მარჯვნივ ფეხის ხმა და ლაპარაკი ისმის, ორივე ყურს უგდებენ).

დ ა თ ო – (ჩურჩულით) კაცების ხმაა... მივიმალოთ... (იმალებიან).

## 2

გამოდიან ბესო, ანანია და საბა. საბა მაღალი ტანისაა, გამხდარი, მხია-რული, ხალისიანის სახისა და გრძელის თმით. იმასაც გლახასავით აცვია, მაგრამ ფერი კი უფრო სასტიკია, ტანისამოსიც დახულია. თავშიშველია. ხელში გაუთლელი ჯოხი უჭირავს. ხანჯალი არტყია.

ბ ე ს ო – (ჩურჩულით) ჩუმათ, მამაო! აქ მოიცადე, ერთი ვნახავ, უშიშრად როგორ გავიაროთ გვირაბში. იქ ჩვენები მიცდიან. ერთი კვირაა, რაც არ გაუხსნილებიათ, შენ ლოცვა-კურთხევას ელიან. (მიიპარება და სახლს მოეფარება).

ა ნ ა ნ ი ა – (შემოჰყავს საბა ხეივნის ჩრდილში) საიდან სადაო, მამაო საბაო?

ს ა ბ ა – (ვაჟეაცურის ხმით) ხან ვლოცულობთ და ხან ვიბრძვით, ჩემო შვილო! ხალხს ვალვიძებთ.

ა ნ ა ნ ი ა – ანანურის შემდეგ სად იყავი?

ს ა ბ ა – მთელი კახეთი მოვიარე. ოჟ, რა ძნელი სამყოფია იქ. მხოლოდ სამჯერ მოვასნარი ლოცვა და ისიც სარდაფებში, და რვა-ჯერ კი მოგერებას მოვუნდით. უჩხუბრად არც ერთხელ არ გვილოცნია.

ა ნ ა ნ ი ა – ხევსურეთში იყავი?

ს ა ბ ა – გულადი ხალხია. იქ ცოტა დავისვენე. ხევსურებისა და ფშაველებისაგან შევადგინე რაზმი სულ თავგამეტებულ ბიჭების და გავეკანე ყაზბეგისკენ. ავილეთ ციხე და გერგეტის წმინდა ტაძარი. მოვასნარით სამი დღის მარხულობა. ზედ ხარება დღეს, ხალხი რომ მოემზადა საზიარებლად, შემოგვერტყა გარს გუდაურის ჯარი.

მარტო მე დავლიე წმინდა ზიარება, რაც იყო, რომ არ ჩავარდნოდა ხელში უწმინდურებს შესაბლალავად... ერთი ხელით ჯვარი ავიღე და მეორეთი კი დაძველებული ხმალი. ჩვენები სულ ცოტა დარჩა, მაგრამ მაინც გავარღვიეთ მტერი და გავიფანტეთ ოსეთისკენ. ბორჯომის ხეობაში ამოყვავი თავი. სულერთია, სადაც უნდა იყო, ყველან ხორცში ჩადის და გამოდის სული. კიდეც უნდა შეხვდე, კიდეც უნდა გააცილო. იქიდან ტივზე დამსვეს და წამომიყვანეს კეთილმა მეტივეებმა. წყალში მივეგებეთ ალდგომას და გავიხსნილეთ. გუშინ კი ღვიმევში ვილოცეთ, ღვთის ციხესთან. ჰე, ჩემო შვილო, ანანია, აღარა დავრჩით-რა, აღარა! ბევრი ჩვენგანი ანამეს. მე კი არ მაღირსა ღმერთმა ჯერჯერობით წმინდა მოწამეობა.

ა ნ ა ნ ი ა – გაიგონე, კათალიკოსი მოჰკულეს!

ს ა ბ ა – გავიგონე! ვაი რომ გავიგონე! წამებულია, წამებული. იმასა კლავდენენ, და მე კი ცოდვილი, სხვებთან ერთად ტივზე ვმხიარულობდი, მაგრამ ესეც კა: ყველა რომ წამებულიყო, ჯვარს ვიღა გამოესარჩეობოდა! ვაი რომ, ცოდვილი ვარ, ცოდვილი ვარ, შვილო, და მორჩილება არა მაქვს. სისხლი უფრო ღონიერია ჩემზე, აბობო-ქრდება სულ და ვეღარ შეაჩერებ! ეჱ, ეჱ, ეჱ!

ა ნ ა ნ ი ა – (მწუხარებით) დავავინყდით უფალს!

ს ა ბ ა – (სასტიკად) არ დავინყებია უფალს თავისი დედის საუფლისწულო! სწამს უფალს ძალი თავის ქვეშემდრომთა. სიგრძე-სიგანით მოვიარე ჩვენი ქვეყანა. ზღვიდამ ზღვამდე, სტამბოლიდან ინდოეთამდე და ჩინეთიდამ არაბეთამდე – ყველგან ისლამი ბობოქრობს. მდოგვის მარცვალივით პატარა ჩვენი ქვეყანა მთელს ქმნილებაში, მაგრამ ღმერთია მასთან. დიახ, ღმერთია, გეუბნები, და კიდეც შეინახავს თავის წმინდა ჯვარსა. ჩვენ იმას, როგორც იქნება, სისხლში გავატარებთ და ძალი უფლისა მეოს გვეყოს უკუნითი უკუნისამდე!

ა ნ ა ნ ი ა – (მძიმედ ამოიხვნეშებს) ეჱ, ღმერთო ჩემო! მოვესწრებით? მალე იქნება?..

ს ა ბ ა – მალე წამოიზარდნენ იმათი შვილები, ვინც ამ ოცი წლის წინეთ თან გადაჰყვენ ჩვენი ქვეყნის თავისუფლებას. იმათიც, ვინც გაჰყიდა, მაგრამ მათი დედები კი აკვანს რომ ურნევდნენ, უმღერდნენ ლექსებს სამშობლოზე და პირჯვარსა სახავდნენ. გეუბნები შენ, ძველი მხედარი, რომ მეომრები გაიზარდნენ. მე ისინი ათასობით მინახავს და იმათი სიტყვაც გამიგონია. ღმერთმა აკურთხოს იმათი მშობლები. წინამძღვალი ეჭირვებათ მხოლოდ!

ა ნ ა ნ ი ა – (ჩურჩულით საბას) წინამძღვალი არის! აბა, ჩემი ალსარებაც გაიგონე, მამაო! მხოლოდ სამმა იცოდა ეს საიდუმლო. ოცი წელიწადი საფლავით გაჩუმებული ვიყავი, მაგრამ ახლა კი მეცა ვხედავ, რომ დრო მოვიდა. წადი! და გადაეცი ეს საიდუმლო ჩვენ მეომრებს, საქართველოს შვილებს. დეე, ამ საიდუმლომ აუღელვოს მათ გული ამ დიდი ღვაწლისთვის. ყური დამიგდე, ბატონიშვილი გიორგი ცოცხალია.

ს ა ბ ა – ანანია, ტყუილი რა საჭიროა! უტყუილოთაც, უცრუ-სახელოთაც შესაძლებელია ჩვენი გამოხსნა.

ა ნ ა ნ ი ა – (მრისხანედ) ღმერთს შეხედე, მამაო! მე არა ვსტყუ.

ს ა ბ ა – მეფე თემურაზის შვილი სულეიმანის ცხენმა გასრისა, ანანია, როგორ თუ ცოცხალია? ჩემის თვალით რომ არ მენახოს, კიდევ ჰო!

ა ნ ა ნ ი ა – (თავს ჩალუნავს) არა, მამაო! ვინც ფეხქვეშ შეუგორეს ცხენს, ის აღარ არის, ის იყო ჩემი შვილი. ილოცე მისთვის. (ჩამოვარდება სიჩუმე). საბა შეჰყურებს მაღლა ცას ტუჩების ცმაცურით, თვალები ცრემლებით ევსება. ანანია ღრმა ფიქრებშია წასული) ჩემთვისაც ილოცე, მამაო! ჩემი ცოდვაა, მე თითონ მოვინდომე.

ს ა ბ ა – (მედიდურად) შემინდვია და მიმიტევებია შენთვის! სად არის ჭაბუკი?

ა ნ ა ნ ი ა – დედოფალი გიჩვენებს.

ს ა ბ ა – ჩვენი მდევნელი?

ა ნ ა ნ ი ა – არა! ჩვენი მხსნელი!

ს ა ბ ა – დამტკიცება... გაქვს საბუთები?

ა ნ ა ნ ი ა – მაქვს, მამაო!

ს ა ბ ა – სად გაიზარდა ბატონიშვილი?

ა ნ ა ნ ი ა – ჩემსა. (შემოდის ბესო).

### 3

ბ ე ს ო – ჩვენებმა, მამაო, ჩემსას შეიყარეს თავი, ერთ მიყრუებულ მიწურში, სადაც ხარების მეტს არას ვდენიდით.

ს ა ბ ა – რა ვუყოთ, ქრისტეც ბაგაში დაიბადა. საითკენ უნდა წამოვიდე?

ბ ე ს ო – აქეთკენ, მე მომყევი... ჩუმად.. შეჩვენებულ საჭურისს, ვგონებ, არა სძინავს. მე მომყევი... ისე გაგატარებ, რომ ვერც ჩემი ბატონი და ვერც სულეიმანი სულსაც ვერ იცემენ. (სამივე მიდიან).

დ ა თ ო – (საფრიდამ გამოდის, ალელვებული და ფერმიხდილი) გაი-  
გონე, რა სთქვა მამამა?

ე რ ე კ ლ ე – პო, მაგრამ ვერაფერი გავიგე კი, რომელი უფლისწუ-  
ლიაო ცოცხალი?

დ ა თ ო – ვერც მე მივხვდი. ვინ იზრდებოდა მამასთან შენ და  
ჩემს მეტი?

ე რ ე კ ლ ე -- (იცინის) ჩვენ ორში ვინ არის ბატონიშვილი?

დ ა თ ო – შენ კიდეც გეცინება? (რუქაია თეთრჩადრმოხვეული  
გამოჩიდება ხეებს შუა).

ე რ ე კ ლ ე – (შეკრთება და ყოლიფერი დაავიწყდება) ტანისამოსს  
მოვკარ თვალი ჩირგვებში. (მიექანება რუქაიასკენ).

დ ა თ ო – (დაფიქრებული და თავჩამოკიდებული მიმალება ხეივანში).

4

რ უ ქ ა ი ა – (ჟცბად მიიჭრება, მოავლებს კისერზე ხელებს და დიდხ-  
ანს კოცნის) შენთან თუ მნახეს, მომკვლენ. რა გქვიან სახელი?

ე რ ე კ ლ ე – ერეკლე.

რ უ ქ ა ი ა – ვინ ხარ? საიდან?

ე რ ე კ ლ ე – მე მხედარი ვარ მთებიდან.

რ უ ქ ა ი ა – ჩემი ძმები კი მეზღვაურები არიან. იმათი ყველას  
ეშინიან. მეც იმათ გამყიდეს.

ე რ ე კ ლ ე – (აღტყინებული) შენ მიგყიდეს? ვის? არა, შენ საუ-  
კუნოდ ჩემი ხარ. ჩემსავით არავინ შეგიყვარებს! ალერსით ცეცხლს  
მოგიყიდებ. მე... (ჰკოცნის).

რ უ ქ ა ი ა – (გამოუძრება ხელიდამ და განზე ყურს უგდებს) სსუ...

ე რ ე კ ლ ე – (ცეცხლმოკიდებული მოხვევია და არ უშვებს) ჩემთან  
რიღასი გეშინიან? ვინ გამომგლეჯს შენ თავს ხელიდამ? საუკუნოდ  
ჩემი ხარ!

რ უ ქ ა ი ა – (მწუხარედ და ვნებით სავსე) მე მხოლოდ შენი ვარ  
ამ ერთს წუთში, ჩემო სულის სინათლევ! მკოცნე, სანამ შენ ხელში  
ვარ. დაგინახე თუ არა, ყოლიფერი დამავიწყდა ქვეყანაზე. ოღონდ  
კი ერთი მოგეკრა გულზე, შენი სუნთქვით ვისუნთქო და გავძლე  
მხოლოდ ერთ წამს... ერთ წუთს და მერე, გინდ ხელახლა მონებაში  
ჩავარდე, გინდ მოვკვდე, სულერთია. (გულზე მიადებს თავს).

ე რ ე კ ლ ე – (ჰკოცნის) რად ამბობ სიკვდილზედა? ვინ შეეხება  
შენს თავს, როდესაც ჩემ გულზე ხარ მოკრული?

რ უ ქ ა ი ა – (ცნებათა ლელვით შემოხევევა გარს, როგორც გველი)  
პო, ახლა რომ შორს ვიყო, შორს, იქ, სადაც მიცხოვრია, სადაც  
გავზრდილვარ, სამეგრელოს ზღვის ახლოს. ახლა რომ იქ მე და შენ  
ვიჯდეთ მარტო ერთათ ფილუქაში და ვქიანობდეთ ერთად მარტო...  
ყურს უგდებდეთ ზღვის ლელვას და შევყურებდეთ ხან ცის ვარსკვ-  
ლავებს, ხან შენი თვალების ვარსკვლავებივით ციმციმის და ვუნო-  
სავდეთ სუნელებას კიდეზე აპიბინებულ ყვავილებისას ერთად შენ  
სუნთქვასთან, – მაშინ გიმღერებდი სასიყვარულო სიმღერებს და ისე  
დავდნებოდი შენში, როგორც ღრუბლები... მზის სხივებში...

ე რ ე კ ლ ე – (ჭუუს კარგავს ვნებამორეული) გინდა გავიქცეთ? აქ,  
ეზოში, ცხენები მიცდიან, ქარზე და ელვაზედაც უფრო უსწრაფესი,  
ჩემი მეგობრები უდგიან. ჩვენც გავწევთ გრიგალივით და მთელი  
მეფის ჯარიც ვეღარ მოგვეწევა. (უნდა წასვლა).

რ უ ქ ა ი ა – (არ უშვებს) არა! ირგვლივ მეთვალყურები დგანან...  
და აქ ყოველი წამი... (ყურს მიუგდებს) როცა შესაძლებელი იქნება  
გაქცევა, მე თითონ გეტყვი. გამიგონე, იცი, ვინა ვარ?

ე რ ე კ ლ ე – ის ვიცი, რომ მე შენი მონა ვარ და შენ ჩემი დედო-  
ფალი!

რ უ ქ ა ი ა – (ვერაგულ მედიდურობის ხმით) მაშ, მიცნობ? დიახ, მე  
რუქაია ვარ – სულეიმანის უსაყვარლესი მონა. დედოფალი დაბერდა  
და მოეწყინა მეფეს. ოჳ, მე ეს კარგათ შემინიშნავს და ვიცი, რომ  
დედოფლობაც არ ამცდება. მე ეს გაყიდვის დროს ერთმა ბებერმა  
მიწინასწარმეტყველა. ჯერ ვტიროდი, მაგრამ, როცა გავიგე, რომ  
დედოფლათ გავხდებოდი, მაშინვე შევწყვიტე ტირილი. როგორც  
მომიტაცებ და მომაშორებ საქართველოს მეფის უფლებას, ისე  
გამოგვიდგებიან, როგორც წადირს და თუ წაგვავლეს ხელი... ოჳ,  
შენ არ იცნობ სულეიმან მეფეს.

ე რ ე კ ლ ე – მაშ, სულეიმანის ხასა ხარ?

რ უ ქ ა ი ა – (ამპარტავნებით) დიალ! მე გავდედოფლდები, როდე-  
საც ის მოაკვლევინებს დედოფალს. (საიდუმლო ჩურჩულით) ეს მალე  
იქნება. მეფემ მომანდო, რომ თვალყური ვადევნო დედოფალს.  
მისი აღარა სწამს-რა, – ოჳ, თორემ ღალატის კი არ ეშინია! ჩვენ  
მეფეზე ადრე რომ თქვენს დედოფლათ არ ყოფილიყო, აქამდე თავის  
შინაყმათაგანს ვისმეს აჩუქებდა. აი, ასე აფასებს მის შვენიერებას!  
ეხლაც, დავბრუნდებით თუ არა, ერთი სიტყვა რომ უთხრა მეფეს,  
თავს გააგდებიძეს. არა, შენ არ იცი, თუ რა არის სულეიმანი, სისხლი  
უყვარს. ერთხელ თორმეტი კაცი დასაჯა სიკვდილით ჩემ ფანჯრის

წინ. და ყოველთვის, როცა მოკვეთილი თავი ძირს გაგორდებოდა და სისხლი ჩქეფით წამოვიდოდა, დავინახე, ასე იზამდა ხოლმე. (იქმუ-ვხნება).

ე რ ე კ ლ ე – (ეჭვიანობით აღვისილი) მაშ, თუ სხვისი ხასა და მონა ხარ, მე რაღათ მეძახდი? რად გამოუპარწყინდი ჩემ თვალებს უძლეველ მშვინიერებად? არა, მე შენს თავს არავის გაუზიარებ! გესმის? ჩემი უნდა იყო, მხოლოდ ჩემი!

რ უ ქ ა ი ა – რა სულელი ბავშვი ხარ! ნუთუ სულ აღარ გინდებვარ? განა მიყვარს მე მეფე? მხოლოდ შენ მიყვარხარ, შენი გულისათვის არ დავერიდე სიკვდილს.

ე რ ე კ ლ ე – (ხმა უთოთოლავს მწუხარებით და გულისთქმით) რუქაია!

რ უ ქ ა ი ა – სუ! (ჰკოცნის ტუჩებში) ნუ იჭვიანობ, ის მოხუცია და შენ კი ყმანვილი. ვინც შენ გნახავს, განა ის შეუყვარდება? მაგრამ მეფეა... ის მახვილივით მრისხანეა და სიკვდილივით საშიშარი. იცი, რომ იმას ერთი და იგივე ხმა აქვს, როგორც სიყვარულის, ისე მრისხანების და ალერსის გამოსათქმელად. როცა იყურება, თითქო ქვასა ხვრიტავს მისი შემოხედვა. აი, მე ახლაც ისე მგონია, რომ თბილისიდამ გვიყურებს და თვალით გაუხვრეტია ტყეები, მთები, კედლები და კლდეები... (კანკალებს და ეკერის ერეკლეს. ერეკლე უნებუ-რად შეჰქრთება, აქეთ-იქთ მიიხედ-მოიხედავს. რუქაია ილიმება) ჰედავ, შენც ცახცახებ... მაშ, სადა უნდა გავიქცეთ?

ე რ ე კ ლ ე – (თმაში ხელს წაივლებს) ჭკუა დამაკარგვინე, არ ვიცი, რა მემართება. ჩემთვის საჭიროა მხოლოდ, რომ შენა გხედავდე, შენით ვსუნთქავდე...

რ უ ქ ა ი ა – (ისიც აღტყინებული) მეც... მეც მხოლოდ შენ მინდ-ებხარ... (ალ-რაზაყი გამოჩნდება ჩრდილში და ყურს უგდებს) ოჱ, რა ლამეები დაგვიდგება, სწორუპოვარო! სიბნელეში, როგორც გველი დავსცურავ. ჩემი ბიჯი ბუმბულზე უფრო უმსუბუქესია. მძინარ ძალლს ისე გადავაბიჯებ და გადმოვაბიჯებ, რომ ვერას გაიგებს-რა... ჩემ ნებაზე იარე და ისეთ ბედს მოგანიჭებ, რომ ჯერ ადამიანს არ ჰქონდეს... (უცბად შესწყვეტს საუბარს. შემკრთალი ნელის ყვირილით მიიხედავს იქითკენ, სადაც ალ-რაზაყი იმალება) ვიღაც არის. (ერეკლე გაექანება იქითკენ და სტაცებს ალ-რაზაყს).

ა ლ-რ ა ზ ა ყ – (უნდა დაიყვიროს) აქე... (ერეკლე ცალ ხელს ტუჩზე მიაფარებს, ცალსაც ყელში წაუჭერს).

რ უ ქ ა ი ა – (მიირბენს და იცნობს ალ-რაზაყს) მოჰკალი, მოჰკალ... ე რ ე კ ლ ე – გაჩუქებ სიცოცხლეს, თუ შემომფიცავ...

რ უ ქ ა ი ა – მოჰკალ! საჭურისია! ძალლია! შემომფიცვით კი შემოგზიცავს, მაგრამ მაინც დაგვლუპავს შენცა და მეც.. მოჰკალ და!

ე რ ე კ ლ ე – (ამოიღებს ხანჯალს, დაუქნევს და შეჩერდება) რუქაია, შემომცეკრის.

რ უ ქ ა ი ა – მხდალო, დაჰკარ რაღა!

ე რ ე კ ლ ე – (ჩასცემს ხანჯალს გულში. საჭურისი ისე დაეცემა, რომ კვნესასაც ველარ მოასწრებს. გაფითრებული) მოვკალი.

რ უ ქ ა ი ა – (დაიღუნება და თვალებში შეჩერდებია) ახლა ველარაფერს ველარ იტყვის. (ვნებამორეული დიდხანს კოცნის ერეკლეს სიჩქარით) ჩემ-გან ელოდე ამბავს. ახლო-მახლოს კი იყავ, ახლა გაიქეცი. (გაძვრება უჩინრად ჩრდილში. მეორე მხრიდან დათო შემოდის).

დ ა თ ო – ოთარ-ბეგი მეთვალყურეებით სახლს გარშემო უვლის. აჱ, ეს რა ამბავია!

ე რ ე კ ლ ე – (თითქმის უგრძნობლად) საჭურისი! მე მოვკალი. იმ ქალმა მიბრძანა.

დ ა თ ო – შენ ყველას დაგვლუპავ. გავიქცეთ, თავი მოვიმძინ-აროთ.. (გაიტაცებს ერეკლეს. ოთარ-ბეგი შემოდის სამხედროდ ალჭურ-ვილი. უკან დარაჯები მოსდევენ).

ო თ ა რ-ბ ე გ ი – (ერთს დარაჯთაგანს) დარაჯები გამოსცვალეთ. მე კი მთელი ლამე ფეხზე ვიდგომები.

ე რ თ ი დ ა რ ა ჯ თ ა გ ა ნ ი – დახედეთ, ბატონო... აქ ვიღაც კაცი აგდია... მოუკლავთ! (ოთარ-ბეგი და დარაჯები მივლენ. ხმაურობაა) „ალ-რაზაყი“.

ო თ ა რ-ბ ე გ ი – სწორედ ალ-რაზაყია! წყალი მალე!

ე რ თ ი დ ა რ ა ჯ თ ა გ ა ნ ი – აღარ სუნთქავს!

ს ა ე რ თ ო ლ ა პ ა რ ა კ ი – ვიღაცას ხანჯალი ჩაუცია გულში... აქ ლალატია... ბალში უნდა მოვძებნოთ. მოგვეხმარეთ, ვინა ხართ... (მეორე სართულიდამ ფანჯარაში გამოჩნდება დედოფალი ზეინაბი).

ზეინაბი – (ბრძანების კილოთი) ვინ არის, რომ მყუდროებას მიშფოთებს? (მიბრუნდება და ხმას მისცემს) ალ-რაზაყ! ჩადი ქვეით! ოთარ-ბეგსაც დაუძახე და დარაჯებსაც.

ოთარ-ბეგი – (ქვეიდან) ოთარ-ბეგი აქ არის, ჩემო ხელმწიფეო, ის შენ ძილს უფრთხილდება. თვალდაუხურავად უვლის სახლს ირგვლივ დარაჯებით.

ზეინაბი – (მრისხანედ) ალ-რაზაყ!

ოთარ-ბეგი – (ათრთოლებული ხმით) ალ-რაზაყი მოუკლავთ, დედოფალო. ეს-ეს არის, ახლა წავანყდით მის გვამს... აი, აგერ! დარაჯების ხმაურობამ თუ გამოგაღვიძათ.

ზეინაბი – (ზარდაცემული) მოუკლავსთო! ვის?

ოთარ-ბეგი – არ ვიცით, დედოფალო (მოცვინდებიან დარაჯები და მსახურები ოთარ-ბეგისა, იმათში ურევია ბესო, ანანია, დათო და ერეკლე. საზოგადო ალელვება).

ზეინაბი – (შორდება ფანჯარას) ალ-რაზაყი მოუკლავთ! (მიიმაღება).

ოთარ-ბეგი – (მრისხანედ, გარშემოხვეულ ხალხს) ეი, თქვენ, მსახურებო, ჩემი სახლში მოუკლავთ ჩემი ბრძანებლისაგან ჩემთან გამოგზავნილი მისი დიდებულთაგანი... და ვინ შეურაცყო ჩემი სახლი? (სიჩუმე ჩამოვარდა).

რამდენიმე დარაჯი – ეს ქრისტიანების საქმეა, ჩვენც საფრთხეში ვართ. აბა, იარაღს გავიკრათ ხელი. დაუშინოთ მაგ წყეულ ძალებს. (იარაღს მოავლებენ ხელს, შეუტევენ ერთმანეთს).

ბესო და რამო დენიმე ოთარ-ბეგი ს მ ს ა ხ ურ ე ბი – ჩვენ მოკლულს ვერც კი ვიცნობდით... ჩვენ ჩვენის ბატონის ერთგული ვართ... ეგება, თქვენ თითონ გძულდათ და მოკალით, რომ ჩვენ გადაგვაპრალოთ... აქ ლალატია. (იშიშვლებენ ხმალ-ხანჯლებს, ფანჯრებში შეშინებული ქალები გამოჩნდებიან. ჩხუბი მწვავდება, ქალები კივიან).

დარაჯები – სულ უნდა ამოვაგდოთ ეს არაწმინდათა ბუდე... ლა-ილლა ილ-ალლა! დაჲკა, დაჲკა!

ოთარ-ბეგი – ვინ ხართ ქრისტიანები? ვინ ხართ მამაცი, მოგვეშველეთ! ოთარ-ბეგის მსახურებს ჰკლავენ!

ზოგიერთი წილი წულებო!

სხვები – აი, თქვენ წულებო. (ყველივე ეს სნარმოებს სისწრაფით. ხმალ-ხანჯლები ელავენ, ხალხი ყოველ მხრიდან თავს იყრის).

ოთარ-ბეგი – (ჭექა-რისხვით) ჩააგეთ ხმლები, თქვენ ძალებო! (ყველანი დაჩუმდებიან) წუთუ მეფე სულემანის სარდალი აღარ მოგივათ ქართლის ჯარს? განა ერთი ჩემი სიტყვა არ კმარა, რომ მტყუანის და მართლის თავი გაგორდეს? ჩააგეთ ქარქაშში თქვენ თქვენი მახვილი, მე გიბრძანებთ! (ყველანი აგებენ მახვილს და მხოლოდ მრისხანედ შეჰყურებენ ერთმანეთს). ხალხო და ჯამაათნო! დღეს შემირცხვა ჭალარა! გარედან ვერავინ შემოგვეპარებოდა. მკვლელი ან ჩემი მსახური იქნება, ან ვინმე დარაჯათაგანი.. (ხმაურობა) დაწყნარდით და გამიგონეთ. (მაშვერს თითს პირველ დარაჯს, არას) იბნ-საად, მთელი ღამე არ მომშორებია. იბნ-საად! აი, ჩემი ბეჭედი, გაექანე გორისაკენ და ეხლავე მომგვარე აქ რაზმი, შემდგარი ხუთასი მეომრისაგან (იბნ-საადი უცბად გასწევს). ეხლა კი მკვლელი მოვძებნოთ. თუ ჯარის მოსვლამდე ვერ მიგვიგნია, ყველა, ვინც აქა დგახართ, ვინც ამ სახლში სცხოვრობთ ან დედოფალს მოჰყოლიხართ, მზის ამოსვლამდე სულლუკმა-ლუკმათ იქცევით. (საზოგადო მღელვარება: „მე ბატონს ვახლდი... მე ცხენებს უდევი... მე დარაჯად ვიყავი... ლმერთმა დასწეულოს მკვლელი... გამოტყდით... ყველა რად უნდა დავიღუპოთ“... ხმაურობა ძლიერდება).

დათო – (წავა სცენის სილრმისკენ ხმაურობის დროს, შესდგება მაღალ ღობეზე და, ხელით მარგილზე დაბჯენილი, იძახის) ხალხო და ჯამაათნო... (ყველანი მიბრუნდებიან მისკენ). საჭურისმა წინდანინ გასწია მაჰმადისკენ, მოსახსენებლად, რომ მძვინვარე მგელი სულეიმანიც მალე ესტუმრება. მე გავგზავნე ის მოციქულად, მე, დათო გლახამ და, თუ გულს გერჩით, დამიჭირეთ. (სასწრაფოდ გადახტება ღობიდან და გაძერება). ყველანი საშინელის ყიჯინით გამოუდგებიან).

სმენი – ცხენზე შეჯდა... არიქა, გამოუდექით... (ოოფები გავარდება).

დათო სმა – თქვენ დაბმულებს თუ მოარტყამთ, ძალებო, თვარა... (საშინელი ყვირილია).

სმენი – ჩემარა, ცხენები! სამი მისდევს... გაასწრო... (შორეული თოფის ხმა). ქერიმი ცხენიდან გადმოვარდა, მოკვლა იმ შეჩვენებულმა... ის სამიც ჩამორჩა... ვეღარ მოეწევიან...

ოთარ-ბეგი – (ბრაზმორეული) ას ოქროდ დამიფასებია მაგის თავი! ათი კაცი შეჯდეს ცხენზე და გამოუდგეს. (ათი კაცი გაიქცევა).

ის ანანიას და ერეკლეს შეხედავს). დაიჭირეთ ეს ორი. (ჯარისკაცები და მსახურები მიცვინდებიან და იჭერენ ანანიას და ერეკლეს). ამათ უნდა გამცენ პასუხი! გაახურეთ რკინა! გვამი წამოიღეთ და ეგენიც წამომგვარეთ. (კოშკის კარებში გამოჩნდება ზეინაბი, დაჰყორდნობია მოხუცს მხევალსა და რუქაიას, რომელიც ზედ ეკვრის დედოფალს).

10

ზეინაბი – ოთარ-ბეგ! რა ამბავია? (ყველანი დაჩუმდებიან).

ოთარ-ბეგი – (თავდახრით) ლალატი შემოიპარა, ჩემო ხელმნიფერი! სამი გველი შემოსრიალდა ჩემ სახლში და შხამისარა შეასო ჩემს სტუმარს და მეგობარს. ოღონდ კი ისინი გამასამართლებინე და მერე, რაც გინდა, ის მოყავი. ერთი გამექცა, მაგრამ ორი კი ხელში მყავს. მე მალე დავბრუნდები, დედოფალო! აბა, წამომგვარეთ ეგენი.

ზეინაბი – მოიცადე! მე თვითონ გამოვკითხავ. (ერეკლეს და ანანიას იცნობს და გაყიდოლება). ესენი არიან მკვლელები?

ოთარ-ბეგი – მაგისი შვილია, დედოფალო! ამ ლანირაკის ძმა.

ზეინაბი – (დედოფალი ჩუმად ჩამოდის კიბეზე. დედოფალსა და შეკრულებს შუა სდგას სიბრაზისაგან აკანკალებული ოთარ-ბეგი. ოთხ კაცს უჭირავს ანანია და ერეკლე. მათ უკან ათი-თორმეტი ჯარისკაცი სდგას. ზეინაბს უკან რუქაია. ექვსიოდე კაცს აუღია გვამი ალ-რაზაყისა და ცალკე ჯგუფად სდგანან. ფანჯრებში შეშინებული ქალები იხედებიან) რისთვის მოგიკლავთ?

ანანია – (ყურისგდებით) დიდებულო დედოფალო! ჩვენ ბრალი არა გვაქვს, არც მე და არც ამ ჩემ შვილს არა გვცოლია, თუ რა განძრახვა ჰქონდა იმ ავაზაკს! ჩემდა საუბედუროდ გამოვზარდე მე ის. (ყურს უგდებს).

ზეინაბი – (დიდის სიყვარულით შესცეკრის ერეკლეს, მაგრამ სასტიკის კილოთი კი მიმართავს) შენ, ბალლო, როგორ გაბედე მაგისთანა უცნაურ საქმეში გარევა?

ერეკლე – (მიჩერებია რუქაიას, რომელიც თავის ქნევით ანიშნებს, ნუ გამოტყდებიო). მე არაფერი არ ვიცოდი, დედოფალო!

ანანია – ჩვენ ერთად გვეძინა ცხენებთან. აბა, ჰკითხეთ ყველას, ვინც კი საჯინიბოში იყო... უცბად კიუინა მოგვესმა... სირბილის ხმა... ჩვენც წამოვსცვინდით... ვეკითხები ყველას, დათო ხომ არ გინასავს-თქო...

ოთარ-ბეგი – (ბრაზმორული) სტყუი, ბებერო ქოფაკო... მე შენ გიცნობ.

ზეინაბი – (ოთარ-ბეგს) ვინ ჰქონდავს დამნაშავეების გამოკითხვას დედოფალთან ერთად?

ოთარ-ბეგი – შემინდვეთ, მბრძანებელო!

ზეინაბი – გვამი სახლში შეიტანეთ! (მიაქვსთ გვამი ხალხს და დარაჯებს) თქვენ თქვენი ალაგი მოსძებნეთ. (ყველანი მიდიან ოთხს გარდა, რომელთაც ანანია და ერეკლე უჭირავთ). შენც დაიძინე, ჩემო ლამაზო, ახლა ძილს ვეღარავინ დაგიფროთხობს.

რუქა აია – (არ უნდა წასვლა). უშენოდ მეშინიან, ქალბატონო!

ზეინაბი – წადი, ჩემო პატარავ! ეს ლამის ნოტიოვება და აყალ-მაყალი ავნებენ შენს სილამაზეს და, რომ ალარ შეგეშინდეს, კარზე დარაჯებს დაგიყენებ, წადი.

რუქა აია – (გაბოროტებით შეპხედავს დედოფალს) ვასრულებ შენს ნებას, ქალბატონო! (ერეკლეს ახლო რომ გაივლის, შეჩერდება და ნაზის ხმით და განსაკუთრებულის მნიშვნელობის მიცემით ეუბნება დედოფალს) ეხლავე ინებებ მაგათ დასჯას, დედოფალო?

ზეინაბი – (გაოცებული, მედიდურად) შენ რაში გეპრიანება ჩემი განჩინება?

რუქა აია – (თავმოკატუნებით) იქნება, თვით მეფე-ბატონმა მოინდომოს, დედოფალო, ჩვენების ჩამორთმევა... მაპატივეთ, რომ ჩემი სულელური სიტყვა მოგახსენეთ. (ჰერცონის ხელზედ და მიდის. შეხედავს ერეკლეს).

11

ზეინაბი – (ოთარ-ბეგს ელაპარაკება, ერეკლეს კი მიჩერებია) რუქა აია მართალს ამბობს! (ძალისძალადობით) შეუყარეთ მაგათ ბორკილი და, ვაი თქვენი ბრალი, თუ თავიდან ერთი ლერი თმა ჩამოვარდნიათ! წაიყვანეთ! (ანანია და ერეკლე მიცყავთ. დედოფალი გააყოლებს იმათ თვალს და დაქანცული დაშვება ტახტს, რომელიც ხეს ქვეშ დგას).

ოთარ-ბეგი – (მას მიაშურებს) დიდებულო დედოფალო, მაპატივე! თუმცა თქვენი ძველი მოსამსახურე ვარ, მაგრამ მაინც ვერ მოვახერხე, რომ მშვიდობა დამეცვა. (ხმა უკანკალებს) სასჯელი დავიმსახურე და პირად შენდობასაც არ ვითხოვ.

ზეინაბი – და ნურც ელი, ოთარ-ბეგ!

ოთარ-ბეგი – დიდებულო დედოფალო! ყოვლის შემძლებელო დედოფალო! (დაუჩოქებს) შემდა რისხვამ დამღუპა, მაგრამ

დე, მხოლოდ ჩემმა სისხლმა მოგიკლას მრისხანების წყურვილი. ჩემი ქალი კი შეიბრალე, დიდებულო ხელმწიფევ, რად გინდა მისი დალუპვა?

ზე ი ნაბი – ჰმ! მაშ, ეგრე ძალიან გიყვარს?

ოთარ-ბეგ! მუხლებზე ხოხავს) ოპ, დედოფალო! რო იმას ყურს დაუგდებდე... მე სულის გამყიდველი ვარ, გარყენილი, ჩემი ღმერთის დამვიწყებელი... იმაში კი ჩემი სიყმანვილეა, დიდებულო ბატონო. დიდი ხანია, არ მენახა და დღეს კი ვნახე... დიდებულო დედოფალო! ყოვლის შემძლებელო ბატონო! ყოლიფერი, რაც კი გამაჩინდა, შენ და მეფეს დაგითმეთ. შენი და მისი დიდებისათვის ყოლიფერი დავივიწყე, ყოლიფერი თქვენ შემოგწირეთ... მოღალატე არა ვარ, დიდებულო დედოფალო... არა ვარ მოღალატე... დე, მე დამამხოს შენძა რისხვამ, და ის კი გაანთავისუფლე, ნუ დაღუპავ უმანკო სულს... დამამხვე მხოლოდ მე. (გულამომჯდარი კოცნის დედოფლის ტანისამოსს).

ზე ი ნაბი – (მხიარულად, მაგრამ არ იმჩნევს მხიარულობას) ოთარ-ბეგ! შენ რომ მოკვდე, ვიღა ეყოლება იმას დამფარველი? როგორ გადარჩება იმათ ხელს, დღეს რომ მთელ საქართველოში, როგორც მგელი ფარებში, ისე დანანწალებენ?

ოთარ-ბეგი – ერთი სანდო შინაყმა მყავს და ის გადაიყვანს იმერებში.

ზე ი ნაბი – შენ არ მითხარი ამ დღეებში, რომ თურქები რითა სჯობიან სპარსელებს და არაბებსო? არა, ოთარ-ბეგ, იმას აღარსად აღარა აქვს თავშესაფარი, აღარსად! აღარავინ არის თავისუფალი! აღარსად არის ერთი გოვა თავისუფალი მინა, კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე დაწყებული. ყველგან სისხლია და ძალმომრეობა. ყველგან ფეხს აჭერს გულზე ისლამი დამონებულებს, ყველგან სიკვდილია, სიღარიბე, ტყვეობა, მონაობა და ტანჯვა... დიახ, მხოლოდ მარტოკა მონაობა, როგორც უკუნი.

ოთარ-ბეგი – (გაშტერებულია მისი ახალი კილოთი) დიდებულო დედოფალო!

ზე ი ნაბი – სად არის დედოფალი? ვის ეძახი დედოფალს, ოთარ!

ოთარ-ბეგი – შენ, დედოფალო ზეინაბ!

ზე ი ნაბი – მე ვიცნობდი თამარ დედოფალს და მე კი ახლა მონა ვარ და არა დედოფალი. მე მაგრონდება ახალგაზრდა თამარი, დიადი, პირახდილი, მომლიმარი და ბრწყინვალე თანამეგზაური მეფე

თეიმურაზისა. ვიყავი სიხარული მთელი ხალხის, თავისუფალ ღვთის ხალხის. ჩემს ირგვლივ შემოკრბებოდენ ხოლმე თავისუფლათ ქალიშვილები, ცოლები, თავადები და აზნაურები მთელის საქართველოსი. ზეიდან კურთხეული ცა დაგვყურებდა, წმინდა ზარების რეკა მიგვიძლოდა, მცენარეები და გაპონიერებული მიდამო სუნნელებას გვიკმევდა და ისე მივდიოდით დღეობაზე. გზაში თავისუფლად შეგვიერთდებოდნენ ხოლმე სხვებიც და მათ წინ მიუძღვდა თავისუფლად მეფე-დედოფალი, თავისუფლათ, სალოცავად თავისუფალ ეკლესიებში. სახალხო სიმღერების გაისმიდა გუგუნი საყდრის გალავნებში და მოილხნდა მეფე თავისუფალ ხალხთან ერთათ, ცა ქუდათ აღარავის მიაჩნდა და დედამინა ქალამნად. ჭერად ცის კამარა ჰქონდა, კედლებად შეფოთვლილი მთები, იატაკად შეზურმუხტებული ბორცვები და სინშინდეთ მიგვაჩიდა მამა-პაპათა ტაძრები. მაშინ თავისუფალი ქართველი თავისუფალ სიყვარულს ეძებდა თავისუფალ ქართველ ქალში. ყოველი დედა უშიშრად იკრავდა შვილს გულში. უშიშრად მისდევდა სახნისა მხვნელი, უშიშრად მწყესიდა მწყემსი და ყველას თავისუფლად შეეძლო თავისი ვენახის მოკრეფა და ნაყოფის შეგროვება. და უფალი თვისის წმინდანებით ერთად უღიმოდა საქართველოს და აკურთხებდა ქვეყანას, რომელზედაც კალთა ჰქონდა დაბერტყილი და აკურთხებდა იმ ერთადერთ ხალხს, რომელიც კიდე ემსახურებოდა ჯვარს მთელ აღმოსავლეთში – და ახლა კი...

ოთარ-ბეგი – ჩემო ხელმწიფევ!

ზე ი ნაბი – აი, ახლა ჩვენ ორი შევყურებთ ერთმანეთს, ოთარ! ჩემი თვალები დიდი ხანია გადაეჩვია ტირილს, მაგრამ სამაგიეროდ ისწავლა პირმოთხობა, მოტყუება და უძილობა ნამეტანი ფიქრისა და აშფოთებისაგან. და შენ კი – შენ, დიდებულო მებრძოლო და თეომურაზის მეგობარო, რა ხარ ახლა და ვინ – შენი სრულის უფლებით და ძალით? მონა, სხვა არაფერი, ძალი ხარ სულეიმანის ხელში; ძალი გამოსადევი, რომ ნადირი დაუჭირო ხოლმე. იცახვახო მის მათრაძევშ და ირბინო მის ცხენის ფეხებთან და ყოველივე ამისათვის გტაცებენ საყვარელ ქალიშვილს და უგზავნიან უცხო მხარეს ერთ-ორი ღამის ქეიფის მოსაკვლელად, ვიღაც ჩვენი სამშობლოს ღვთის რისხვას. შენც სიკვდილი მოგელის, მისთვის, რომ საზიდარი საჭურისა სხვებმა მოჰკლეს შენ სახლში... და საქართველო კი, ოთარ, საქართველო? მიმოხედე, რა მდგომარეობაშია, ყველგან მონაობა და მონაობაა, უსინათლო, როგორც უკუნეთი ღამე.

ოთარ-ბეგი – (თავისი წაივლებს ხელს) დედოფალი! დედოფალი!

ზე ი ნაბი – მე კი... იცი, ვისი შებორკილება ვბრძანე ახლა? იცი, ვინ უნდა მიგვარო ბორკილებურილი სულეიმანს? იცი, ვინ უნდა მოჰკლან ტანჯვით და წვალებითა ჩემ თვალწინ? ოთარ, იცი-მეთქი ვინ? ვინა და ჩემი შვილი!

ოთარ-ბეგი – (გაოცებული) როგორ... დედოფალო... შენი შვილი?

ზე ი ნაბი – იცი წელიწადია, რაც არ მენახა ის. სხვის ხელში გაიზარდა, სხვისი თვალები შეჰყურებდენ მის ზდასა და ვაჟკაცობას. სხვების ყურებს ესმოდა იმისი ხმა; მე კი იცი წლის განმავლობაში ნება არა მქონდა, რომ ერთი მაინც შემეხედა მისთვის! დღეს პირველად ვნახე, მაგრამ ვერ გავპედე, რომ გულში მიმეკრა და ჩემი ცრემლებით გამებანა. პირველი ჩემი სიტყვა იყო მსჯავრი და პირველი ალერსი – ბორკილი!

ოთარ-ბეგი – კი მაგრამ, როგორ გადარჩა, თამარ? მთელი ქვეყანა ხედავდა, რომ დაიღუპა.

ზე ი ნაბი – გაიხსენე ომის შემდეგ ის ლამე, როდესაც თეიმურაზი მოჰკლეს და საქართველო დაამხვეს. დაჭრილი, ცოტალა ჯარით მოიჭერი შენ ჩემთან, ოთარ, მცხეთის ციხეში, რომ გეამბნა ქმარის სიკვდილი და საქართველოს დალუპვა და მაშინვე დაეცი ჩემ ფეხწინ გულშემოყრილი და მომაკვდავი... სისხლად იწურებოდი. (მიათითებს ოთარ-ბეგის ჭრილობას სახეზე).

ოთარ-ბეგი – ოო, საშინელი... დამღუპვი დღე იყო!

ზე ი ნაბი – მე თავზე გადექი, ოთარ, და ბავშვი გულზე ვიკრავდი. ჩევნი ჯარის ნაშთი ციხის კედლებზე ჩხებობდენ და ერთიმეორის მიყოლით ძირს ვარდებოდენ. სულეიმანის ჯარი კი კალიასავით მიდამოებსა და წყლის პირებს ჰეთავავდენ და ბოლო არ უჩანდათ. ტფილის გუზგუზი გაპქონდა და კედლები ირყეოდენ ოხვრა-კვნესისაგან. ღამე დღესავით განათებული იყო, წყლები წითლად შეღებილი. ჩევნი უკანასკნელი მეომარიც კი იღუპებოდა და მტრის კი გამარჯვების ხმა და კიუინა ისმოდა. უკანასკნელ სიმაგრეს სამი კაცი იცავდა: მე, გულზე მისუტებული პატარა ჩემი შვილი და შენ – მომაკვდავი მხედარი, ჩემი ფეხის წინ დაგდებული (ორივ ჩუმათ არიან) ოჳ, მე ყოველი წამი იმ ღამის მახსოვს... გულზე დამედალენ... შენ მოიბრუნე სული და თვალებში შემომხედე, გახსოვს, ოთარ?

ოთარ-ბეგი – (ძალიან აღელვებული) თამარ!.. მე წამოვდექი ზეზე ხმაამოულებლად და რეტდასხმული კედელ-კედელ ბლუჭვით წავედი, რომ შენთვის მოვმაკვდარიყავი. – შემდეგ რა დამემართა,

აღარ მახსოვს! დიდმა ხანმა გაიარა ჩემ მობრუნებამდი და, ღმერთია მონამე, მერეც ვიბრძოდი შენი გულისთვის, იმ დრომდე, სანამ ხმა არ გავარდა, რომ შენ... შენ... თამარ...

ზე ი ნაბი – სანამ ზეინაბ დედოფლად, სულეიმანის საყვარელ ცოლად არ გადავიქეცი, განა? სანამ არ გაუორგულდი ჩვენს ღმერთსა და გავხდი ჩევნი ქვეყნის მტარვლად?

ოთარ-ბეგი – მეც შენ კვალს შეუდექი!..

ზე ი ნაბი – (ხელს წაავლებს) მაშ, აღარ გადასცდე, ოთარ, ჩემ კვალს ბოლომდე. მერე რა იყო შემდეგ, იცი? მაშ, ყური დამიგდე და ისე გამსაჯე! გამხეცებული სპარსელები რომ მოაწყდენ ჩვენს უკანასკნელ სიმაგრეს, ვნახე, რომ ანანია გლახა ებლაუჭებოდა წყალზე გაკეთებულ კედლებს და ფრთხილად, კატასავით შემოძვრა ჩემს სარკმელში. ხელში პატარა ბავშვი ეჭირა. იმ დღეს დიდი საქმე მოხდა, ოთარ, დიდი! იმან გამინათლა სიცოცხლე და მასწავლა, თუ როგორ უნდა ცხოვრება.

ოთარ-ბეგი – რა საქმე, დედოფალო?

ზე ი ნაბი – (მოგონებად გადაქცეული) გლახამ მითხრა, სპარსელები შენს შვილს ეძებენო. მომეცი ისო. მე შენ იმას დაგიბრუნებ მამინ, როცა დრო მოვაო და ახლა კი მის მაგიერ ჩემი ეს შვილი მოვდესო. წაიყვანა ჩემი შვილი და გაძვრა სარკმელში. ურდო რომ შემოიჭრა და შემომესია გარს, მე მაშინ მისი შვილი მეჭირა ხელში. გამომათრიეს იმიანად. მოღალატე თავადებმა მომრთეს სამეფო ტანისა-მოსით, მომცეს ხელში ოქროს ხონჩა, ზედ აღებული ციხის კლიტე დასდვეს, გამათრიეს ჭიშკარს გარეთ, მტვერში... შეჰყურეს, შეჰკოჭეს საბრალო ბავშვი და დამიდვეს ფეხწინ. სულეიმანმა, ძლევამოსილობით გალაღებულმა, მოაგელვა ცხენი, დახედა ბავშვს და ზედ შემოაყენა ცხენი... ცხენმაც გულში ჩაპკრა ფეხი და დაიწივლა ბავშვმა. ოჳ, ის უკანასკნელი დაწივლება. (სახეს იფარავს ხელებით).

ოთარ-ბეგი – (შეძრუნებით) მონამეო ღვთისაო!..

ზე ი ნაბი – (მოგონებაში გადასული) ისახარი მემსახურებოდა. ერთ დღეს დაიბადენ ჩვენი შვილები და მამამ გამოგლიჯა დედას შვილი და მომიყვანა მე. ერეკლე ერქვა და ახლა მიტომაც ჩემი გიორგი ატარებს მის სახელს. რომ მტერს ეჭვი არ აელო, ისახარი ჩემთან დარჩა, მიატოვა სახლიც, კარიც, ქმარიც და უკანასკნელი შვილიც. ანანიას დამ იკისრა მის მაგიერობა... მთელი წლის განმავლობაში არა ვიცოდი-რა ჩემი შვილის შესახებ. მხოლოდ ერთი წლის შემდეგ მაცნო ჩემმა ერთგულმა მსახურმა, რომ გიორგი ცოცხალიაო!

ოთარ! აი, ამ დღიდან იწყება დღეები ჩემი სირცხვილის, ცოდვისა და შეურაცხყოფის... მივიღე იმათი შეჩვენებული სარწმუნოებაც. რომ მისი გული მომექო, თვითონაც იმისთანა გავხდი, ვითხოვდი სისხლს და დაჩავრას. ჩემი სახელი უფრო ზარდამცემი იყო ჩემი სამშობლოსათვის, ვიდრე მისი მტარვალის. მე ლამაზი ვიყავი, ჩემი სილამაზეც სათამაშოთ გავუხადე. პატივი, ამპარტავნება, სიყვარული და მეფური მედიდურობაც ტალახში ამოვათრიე ვიღაც არაბეთიგან მოსულის, ვიღაც მანანნალას ფეხთან. მივეჩვიე მოტყუებას – სახით, ხმით, ვნებით და ყოველი ჩემის არსებით. მიღიოდნენ წელიწადები... იღუპებოდენ ნათესავები, მეგობრები და ერთგული მოხუცი მსახურები. მივეჩვიე და ალარავინ მებრალებოდა. სიბრალულიც, სიყვარულიც და სინიდისის ქენჯნაც ყველა ერთად ამომიშრა გულიდან... მე ალარავინ მიყვარს – არც ნათესავები, არც მეგობრები და არც ჩემი თავი... ასე გაშინჯე, შვილიც კი არა! მიყვარს მხოლოდ ჩემი ხალხი, დატანჯული, დარიბი ხალხი. მე იმას მსხვერპლად შევწირე ჩემი მეფური და ქალური პატივი, გულის სიმართლე და ხსნა ჩემი უკვდავი სულისა. სხვა რაღა უნდა შემენირა კიდევ?

ო თ ა რ-ბ ე გ ი – თამარ! ნუთუ შემთხვევა არა გქონდა, რომ მისი გული გაგეგმირა?

ზ ე ი ნ ა ბ ი – ოთარ! ღირდა კი მაგვარ შურისძიებად, რაც დავკარგე? მაგრე მხოლოდ მეც ადრე ვფიქრობდი... ვინ მოსთვლის, ჩემის ალერსით მთვრალს, უიარალოდ რამდენჯერ დაუძინია ჩემ გულ-მეკრდზე! ერთი ხელის გაშვერის მეტი არა მჭირდებოდა-რა, რომ იმ ძალს ჩემი შურისძიების წყურვილი მოეკლა თავის მომაკვდავის პრანქვა-გრეხით! მაგრამ ნუთუ მე შური უნდა მეგო, მარტი შური, საქართველოს დედოფალს, დედას კანონიერის მეფი-სას და ასულს შეურაცყოფილ და დატანჯულ სამშობლოისას? რას შემძენდა მისი სიკვდილი? განა მონიშას გადაგვარჩენდა? განა ცოტა ჰყავს შაჲს სასახლის კარზე გამოზდილები, იმაზე უფრო მხეცები და უსაშინელესები? არა, მე შურისათვის არ მიცდია. მე იმ დღეს ველოდი, როცა აუჩუხჩუხდება მრისხანება ხალხს და მწარე ნაკადულად გადმოიდენს! როცა ყოველ მონაში გაიღვიძებს ადამიანი! აი, ამ ხალხს ნაუძლება ჩემი შვილი. და იმას გარშემოეხვევიან თავისუფალი მეომრები. და მაშინ მეც ფეხთით დაუდებდი მის მსჯავრი ჩემს ცოდვებსა და ჩემს შერცხვენასაც. სასტიკი იქნებოდა მისი მსჯავრი და სიტყვა მისი დედის შესახებ. მაგრამ იმავე სასტიკობით დაემზობოდა ძლიერი ისლამი წმინდა ჯვარის წინ...

ო თ ა რ-ბ ე გ ი – დედოფალო! წმინდაო დედოფალო!

ზ ე ი ნ ა ბ ი – ამბობენ, რომ ქვეყანაზე ბედნიერება არ არისო. არა, ყოფლა, ოთარ! ეგ ცრემლები შენ სახეზე – ბედნიერებას მანი-ჭებენ. ეგ შენი შეხედულება, სასტიკი და ნათელი – ბედს მიქადიან. თუკი შენ, უფლებით ამაღლებულს, არ დაგვიწყებია შენი სამშობლო, მაშინ როგორდა დაიგინებენ ისანი, ვისაც შეურაცყოფის და შიშის მეტი არა გამოუცდიათ-რა. (გამოჩნდება საბა).

ო თ ა რ-ბ ე გ ი – თამარ! თამარ!

ზ ე ი ნ ა ბ ი – ოთარ! აამაღლე შენი ძლიერი ხმალი, ამას მე და ჩემი შვილი კი არა გთხოვთ და არც შენი ქალი, შენ მოგინოდებს ქვეყნიერად ჩვენი ხალხი და მაღლით, ზეცით შეურაცყოფილი და გმობილი ღმერთი. გიხმობს ზეციდან სულეიმანის გასრესილი ყრმა, ის გულია საქართველოსი, წმინდა სისხლად დანურული.

ო თ ა რ-ბ ე გ ი – წამიყვანე! მიმითითე, ჩემო დედოფალო! შეჩვენება ჩემ საზიზღარ გულს, სირცხვილი ჩემს ჭაღარით მოსილს თავს, გარყენილების და სიმდიდრის გულისათვის სამშობლოს და ღვთის გამყიდველს! არ ვითხოვ შენდობას, არც შენგან და არც ღვთისაგან... მე ის არ მერგება... არა აქვს სინანული ჩემისთანა უარისყოფებს და მოღალატეს. მაგრამ ისინი კი, ვინც ამგვარ კაცად გამხადეს, მე პასუხს მაგებენ! და რას მიბრძანებ?

ზ ე ი ნ ა ბ ი – შენი რაზმის ქართველი მეომრები მოგყვებიან თუ არა?

ს ა ბ ა – (წინ წამოდგამს ბიჯს) მიჰყვებიან! და მასთან მთელი საქართველოც.

ო თ ა რ-ბ ე გ ი – (ხმალს მოავლებს ხელს) ვინა ხარ შენ?

ს ა ბ ა – ღვთის მსახური, საბა-სალოსი.

ზ ე ი ნ ა ბ ი – წმინდაო მამაო, ღვთის გამოგზავნილი ხარ!

ს ა ბ ა – ღვთის! ქრისტე აღსდგა! (ეამბორება ზეინაბს და ოთარს).

ფ ა რ დ ა

## მოქმედება მოთხე

ძველის დუქნის ნანგრევები ტფილისის ახლო. მარცხნივ კედელია, სიპის ქვით უბრალოდ ნაშენი, ჭერი მინგრეულ-მონგრეულია, კედელზედ ამოსულია ბუჩქები და ბალა-ბულახი. მარჯვნივ დაქანებული ფერდობია, ტყით

## ლალატი

მოსილი. ხეებშუა მოსჩანს ჩამავალი მზე. ხანდისხან ქუხილი მოისმის და ელავს.

ანარია და ერეკლე ხელ-ფეხში ბორკილებგაყრილები წვანან დუქ-ნის ნაგრევში. ათი ქართულად ჩაცმული, თოფ-იარალით ხელში, დარა-ჯათ დგანან და თვალყურს ადევნებენ ტუსალებს. მათ შორის გიგაა. ბესო კედლიდან ჩამონგრეულ ერთ-ერთ ქვაზე ზის დუქნის კარებწინ, მუხლებზე უდევს პატარა ტიკჭორა და პირდაპირ მასრიდანა სვამს. წინ გაშლილი აქვს ბალახზედ ლურჯი ხელსახოცი და ზედ ლავაშები, ყველი, ხახვი და წითლად შელებილი კვერცხები.

ბ ე ს ო – (მღერის):

ლოთებო, ნეტავი ჩვენა,  
ჰარიარალე,  
დღეს მოგვეცა შვება-ლხენა,  
თარი-არალე!  
ნოემ რა ერთხელ ინება,  
ჰარი-არალე,  
ყურძნის წვენის გემოვნება,  
თარი-არალე!

გ ი გ ა – (მოხუცი. დადის. თეთრის წვერით) გაჩუმდი, ღრიალა! რას ღრიალებ მაგ შენ ღვთის საწყენ სიმღერას?

ბ ე ს ო – (შეზარხოშებული) სიმღერა თავისთავად მოდის, რაღაი კი ჯაში წვერშეღებილი მახინჯები ხაკლედ დარჩენ! ეი! (მღერის):  
თვითონ ნუზუას მიუჯდა,  
ჰარი-არალე,

წყალი პირუტყვს დაანება,  
თარი-არალე.

პირუტყვები და ჩვენი ირანელი ბატონები და ყოველგვარი სალახ-ანები, მეხი კი დავაყარე იმათ იმ მოპარსულ თავზე (სვამს).

ა ნ ა ნ ი ა – (შემფოთებით უცქერის ერეკლეს) დაეცი სულით, ჩემო შვილი? ტუსალობა გქენჯნის?

ე რ ე კ ლ ე – (გაფითრებული, სახემოქანცული, თვალები უბრიალებს, თითქო აცივებ-აცხელებდეს) გული გადამილია ტყვეობამ, მამაჩემო! იპ, რა მეჭირვება თავისუფლება! დათომ დაგვლუპა!

ა ნ ა ნ ი ა – წმინდა გიორგი იყოს მისი მფარველი! სისხლი აუთა-მაძდა. ვაჟაცობამ დააბრმავა და ყოლიფერი დაავიწყდა. (ჩუმად) მაგრამ ახლოს არის! ამბავი მომივიდა: გუშინ სალამოს ერთმა მეთ-

## ლალატი

ვალყურეთაგანმა წამჩურჩულა... ის ჩვენ გაგვანთავისუფლებს, დამიჯერე, რომ გაგვანთავისუფლებს.

ე რ ე კ ლ ე – როდისლა! ტფილისს მიუახლოვდით, ეს უკანასკნელი სადგურილაა.

ა ნ ა ნ ი ა – სახრჩობელაზე რომ მიჰყავდეთ და კისერზე ხმალს გაჭერდნენ, მაშინაც არ უნდა დაჲკარგო იმედი! სანამდინ სუნთქავ, იმედი არ უნდა დაჲკარგო!

ე რ ე კ ლ ე – ოპ, რა ძნელია ამ ღროს ბორკილშეყრილი! ამ ღროს უნახაობა, არაფერი არ უნდა ვიცოდე... ახლოს კი ვიყო... აქ... მხოლოდ ბორკილები მიშლიან...

ა ნ ა ნ ი ა – რას ამბობ, ერეკლე?

ე რ ე კ ლ ე – არა, დღეს უნდა ეს გავტეხო, ან თავი გავიტეხო. აღარ შემიძლია... არა, ერთი მხოლოდ შევებდო, ერთი კიდევ დავინ-ახო და მერე თუნდ მოვკვდე... მოვკვდე. (ქვაზე დაემხობა).

ბ ე ს ო – (სულ ღილინებს) აბა, თქვენ, მეთვალყურებო და ტუსალებო! მე აქ თავისუფლადა ვარ, ვისურვებ, რომ ჩემსავით მოილინოთ. სულერთია, ყველას ჩამოახრჩობენ; ზოგს ხვალ და ზოგს – ჰარასკევს. მაში, რატო არა სვამთ? გამხიარულდით! (წამოდგება და გაემართება ტორტმანით დუქნისაკენ, ტიკჭორით ხელში. გიგა ხმაამოუღებლივ უმიზნებს) შენ, ეი, არ მესროლო, გაჭალარავებულო სულელო! (აღტაცებაში მოდის და იქნევს აქეთ-იქით ტიკჭორას) არა, რო უმიზნებ – ვის უმიზნებ? ა? იცი, ვინა ვარ? თითონ დიდმა ბატონმა ასჯერ მოინდომა ჩემი ჩამოხრჩობა, დაწვა და წყალში დახრჩობა, მაგრამ ერთხელაც ვერ მოახერხა და შენ კი მიმიზნებ? მე შენთან ღვინო მომაქს და შენ მიმიზნებ?

გ ი გ ა – ნუ მოდიხარ ტუსალებთან!

ბ ე ს ო – (ცხარობს, მაგრამ ადგილიდამ აღარ იძვრის) დამაცადე ხვალამდი და მე შენ გიჩვენებ, როგორ უნდა დამიზნება! ჩემმა ბატონმა ნება მიიღო ღვინის დალევისა, მაშასადამე, მეც ნება მაქვს, დავლიო ღვინო. ჩემს ბატონს ასი ცოლი ჰყავს, მე ეგება მეტიცა მყავდეს, მაგრამ ერთათ კი არა... სხვადასხვა ღროს და სხვადასხვა ადგილას... ერთად როგორლაც მოუხერხებელია... და ძვირათაც ჯდება. შენ კი მიმიზნებ!

ა ნ ა ნ ი ა – (გიგას) ჩემო ძმაო, ხახა მიშრება. ნება მიეცი, ცოტა ღვინო მომაწოდოს.

გ ი გ ა – (დიდმიშვნელოვანებით, თავის ქნევით ანიშნებს ბესოს) შენ, ეი, ლოთო, ცოტა მოაწრუპვე მოხუცს და დაიკარგე აქედან.

ბ ე ს ო – აპა, შეგეშინდა? ანგრე ვიცი მე... თვარა, მიმიზნებ  
რაღა... (მივა მოხუცთან და უვსებს ყანწს, უცბად გამოფხიზლდება და  
მღერის):

ტყე და ველით ჩვენი ჯარი,

ჰარი-არალე

მოისწრაფვის ვით ფუტკარი,

თარი-არალე.

დალიე და დალოცე ბესო.

ა ნ ა ნ ი ა – (ერეკლეს) აპა, პირი გაისველე შენც, შვილო!

ე რ ე კ ლ ე – (არ შეხედავს და უკანვე წაალებინებს ხმაამოულებლივ  
ყანწს).

ბ ე ს ო –

სამხრეთით ორბელიანი,

ჰარი-არალე.

სოღანლულით მოდის სუმბათი,

თარი-არალე.

ასე არ სჯობს, შე თხის წვერავ, შენა! და შენ კი მიმიზნებ!

ზღვას იქიდან მოსკოველი,

ჰარი-არალე,

მეფე მზაა მოსახმარათ,

თარი-არალე.

(დარაჯები და ანანია გაფაციცებით უგდებენ ყურს სიმღერის სიტყვებს.  
სცდილობენ კი, ერთმანეთს არ მიახვედრონ).

ა ნ ა ნ ი ა – (დაცლილ ყანწს აძლევს) ასე გაახაროს უფალმა შენი  
სულიც განკითხვის დღეს, ჩემო ძმაო!

გ ი გ ა – (მარცხნივ მიიხედავს) წაშავდი მალე! დედოფალი და  
ოთარ-ბეგი აქეთ მობრძანდებიან.

ბ ე ს ო – (სწრაფად განზე გახტება და სანოვაგეს ხელსახოცში ჰყრის)  
ნუ გეშინიათ, მეგობრებო. ნურავის შეგეშინდებათ. მე თქვენ ყველას  
გაგამართლებთ... (ლილინებს):

ნოემ რა ერთხელ ინება,

ჰარი-არალე,

ღვინის წვენის გემოვნება,

თარი-არალე. (მოეფარება დუქანს).

(შემოდიან მარჯვნივ: ზეინაბი, ოთარ-ბეგი და ორი ქართველი დარაჯი).

ო თ ა რ-ბ ე გ ი – (დარაჯებს) გიგავ! დარაჯები შემოარტყით  
ნანგრევებს და არავინ შემოუშვათ! დედოფალმა ჩვენება უნდა ჩამო-  
ართვას დამნაშავეებს. (გიგა და სხვები მოშორებით დადგებიან ირგვლივ,  
დუქნისაკენ ზურგშემობრუნებული. ზეინაბი და ოთარ-ბეგი შედიან დუქა-  
ნში. ანანია და ერეკლე წამოდგებიან. ბორკილების ჩხრიალი).

ზ ე ი ნ ა ბ ი – (შეჰყურებს მწუხარებით და ღრმა სიყვარულით ერეკლეს)  
რანაირად გამოცვლილხარ, საბრალო ბავშვო! ძლიერ განუხებს  
ბორკილი?

ე რ ე კ ლ ე – არა, დედოფალო! ბორკილი კი არა, უსამართლობა  
მანუხებს. რისთვის დაგვადევი ბორკილი და მიგყავართ სატანჯვე-  
ლად და სასიკვდილოთ? ჩვენ წრფელად მოვრეუეთ თქვენ საჩუქრად  
უკეთესი ცხენები, მთელი ჩვენი სიმდიდრე... და დახე, რა მოხდა?  
ჩვენ რა ვიცით? ჩემი ძმა ახლო ბალახის მოსატანად წავიდა ცხენები-  
სთვის. უცბად მოგვესმა ყვირილი... ჩემი ძმის ხმა და ჩვენც წაგვავ-  
ლეს ხელი.

ზ ე ი ნ ა ბ ი – (ოთარ-ბეგს ნელის ხმით) შეხედე! რანაირის მეფურის  
სიდიადით აბრიალებს თვალებს! (ვითომდა მრისხანედ შვილს) როგორ  
ჰპედავ მანგრე კადნიერად ლაპარაკს დედოფალთან, შებორკილო  
მონავ!

ე რ ე კ ლ ე – (აშფოთებით) მე მონა არა ვარ! მართალს ვამბობ,  
რათ გვიყრია ბორკილები? მე უნდა თავისუფალი ვიყო. სულერთია,  
მაინც ვერ მიმიყვანთ ცოცხალს საპატიმრომდე, ჯალათამდე... დარა-  
ჯებს დავერევი. დეე, ამჟუნონ... უთუოდ თავისუფალი უნდა ვიყო...

ზ ე ი ნ ა ბ ი – გეშინია წამებისა და სასჯელის? ნუთუ ვერ მიეჩივი  
სიკვდილს და წამებას, ასე იზრდებოდი?

ე რ ე კ ლ ე – (მეტად აღელვებით) მე არაფრის არ მეშინია...  
მხოლოდ მინდა, რომ თავისუფალი ვიყო.

ზ ე ი ნ ა ბ ი – (თვალცრემლიანი, თავშეუკავებლად) და იქნები კიდეც,  
შვილო... ოპ, ღმერთმა აკურთხოს ეგ შენი მამაცობა და გამბედაობა  
და მარტო შენი კი არა, ვინც შენთან ერთად შებორკილი იყო, ყველა.

ე რ ე კ ლ ე – (გაფითრებით, სიხარულითა, აღელვებით) არ მეხუმ-  
რები, დედოფალო? მაშ, როდისლა? როდის? ახლავე?

ზ ე ი ნ ა ბ ი – ამ წამსვე, ჩემო შეუპოვარო შევარდენო, ახლავე,  
ჩემო იმედო, ამპარტავნებავ, ჩემო ბედნიერებავ! (მოეხვევა ქვითინით)  
ოთარ, ხომ ხედავ! ვისი სისხლი მიენთხა ლოყებზე? ვისმა ცეცხლმა  
აუნთო თვალები?

ო თ ა რ-ბ ე გ ი – (ალელვებით) ვხედავ! ვხედავ, დედოფალო, და თავსაც დავსდებ მაგის გულისათვის!

ე რ ე კ ლ ე – მამა! რას ნიშნავს ეს ყოლიფერი?

ა ნ ა ნ ი ა – მეც შენთვის მოვპკვდები, ჩემო სულიერო შვილო!

ზ ე ი ნ ა ბ ი – გული ვეღარ აიტანს, ოთარ! ოცი წელიწადი უცადო და ყოლიფერი ერთ ლამეს კი აგიხდეს? ოცის წლის თვალთმაქცობის შემდეგ ერთად უნდა აეხადოს პირბადე ყოველგვარ საიდუმლოს... ოცის წლის ტანჯვის შემდეგ ეს გამოუთქმელი ბეჭნიერებაა... ანანია, გაკურთხოს უფალმა ისე, როგორც ახლა მე შენ გლოცავ! (ბარბაცობს და ქვაზე დაეჭვება. სიჩუმე ჩამოვარდება) კმარა, თუ ამ ერთ ლამეს არ გათავდა ყოლიფერი, მაშ, ალარა გათავებულა-რა. გამიგონეთ სამი-ვებ, რაც მინდა: აი, ბორკილის გასაღები (აძლევს გასაღებს).

ე რ ე კ ლ ე – (წაავლებს ხელს გასაღებს, ბორკილის შეხსნა უნდა და სული ყელში ებჯინება სიხარულით) ოჰ, დედოფალო...

ზ ე ი ნ ა ბ ი – უბეში ჩაიდევი ეს, უგნურო ბალლო, და გამიგონე. მე და ოთარმა აქეთ-იქით გავგზავნ-გამოვგზავნეთ სპარსელები, მაგრამ კიდევ დაგვრჩენ ზოგიერთები და, ერთმა მათგანმაც რომ გაი-გოს თქვენი გაქცევა, დაიღუპება ყოლიფერი.

ე რ ე კ ლ ე – (გაოცებით) როგორ? უნდა გავიქცეთ განა?

ზ ე ი ნ ა ბ ი – მაღლე თვითონ გახდები მბრძანებელი, ჭაბუკო, მაგრამ ჯერ კი უნდა მორჩილება ისნავლო. როცა ავიყრებით, დარაჯნი ისევ ისე ძველებურად შემოგერტყმევათ გარს. ეს ორი (მიუთითებს მათ მოყოლებზე) დაიჭერს თქვენს ადგილს, თქვენ სადმე მიიმაღეთ. ბორკილები წაიძვრეთ და ჯარის წასვლამდე დაიცადეთ. როცა ჯარი მიეფარება, თქვენ ჩადით მდინარის პირად. იქ ტივი მოგელისთ თხრილთან. მეტივეებს უთხარით: საბა-ბერი-თქო და წყალ-წყალ ერთ საათში ამოჰყოფთ თავს ტფილისში.

ე რ ე კ ლ ე – მართლა, ტფილისში... და ყველა იქ დაგვიხვდება, ვინც შენ გახლავს?

ზ ე ი ნ ა ბ ი – ვინ ყველა, ერეკლე?

ე რ ე კ ლ ე – (ალელვებით შესცეკრის თვალებში) მტერიც და მოყვარეც?

ზ ე ი ნ ა ბ ი – ყველა, ჩემო შვილო... მზე ჩასვლას აპირებს. ჩვენც ორ საათს იქით შევალთ ციხეში, ოთარ, უკანასკნელად კიდევ გეკითხები: ჩვენი ჯარის მაგივრად შენ აგებ პასუხს?

ო თ ა რ-ბ ე გ ი – ვენდობი, როგორც ჩემ თავს, დედოფალო!

ზ ე ი ნ ა ბ ი – ახლა კი, ერეკლე, შენთვის გადმომიცია – შენ ხელშია ბედი წმინდა რჯულის, საქართველოსი და საკუთრად შენიც. გული გიწევს დიად საქმისკენ?

ე რ ე კ ლ ე – (გაუგებრად, ალელვებული) მიბრძანე, დედოფალო!..

ზ ე ი ნ ა ბ ი – დიახ, სანამ მე ვარ შენი დედოფალი, მაგრამ ხვალ, ხვალ... (იჭერს ალელვებას) ეჭ, მაშ, იცოდე შენ ყველა, რაც მე და ჩვენმა წინამძღოლმა. სულეიმანის ბუნაგის გარშემო, ხეებსა და კლდეების ნაპრალებში, ტყე და ბუჩქნარებში, ყველგან ჩასაფრებული არიან ქართველები. დიდი ხანია ვამზადებდი ამას ყოლიფერს და კიდეც მოვამზადე. რგოლივით შემორტყმიან ირგვლივ ტფილისს და თვალს არ აშორებენ სულეიმანის ბუნაგს. ურიცხვია ჩვენების რიცხვი და უზომო – მათი მრისხანების ალმური. ტფილისში, მეტების კლდის ძირას, ერთიც არავინ მოხუჭავს თვალს ამაღამ, ვისაც კი იარაღის აღება შეუძლია. სამი ღლე იქნება მას აქეთ, რაც შენმა შვილმა დათომ შეჰკრიბა სამი ათასი მეომარი ახალგაზრდა – ანანურიდან, დუშეთი-დან და წილკნიდან. ახლა ერთი სამაღაც მეტი იქნება, საცალფეხო გზით და ბილიკებით მოადგენ ტფილისს. ზოგმა მწყემსობა მოიგონა, ზოგი ცხადად მოდის და ზოგიც ფარულად... სამხრეთით მოაწვენ ტფილისს ღამ-ღამე სიარულით უჩინრად ორბელიანის და სუმბათის ჯარები. ჯერ კი ღრეუბში და ნაპრალებში იმაღებიან. იმავ ღროს, დასავლეთით მოდიან ბორჯომის ხეობიდან, ახალციხის მთებიდან და მოკლულ ციცის სამთავროდან. სულეიმანის მოთარეშეები ყოველ-ღლე იქტერენ ხალხს, მაგრამ რა გამოვა... ხალხი მაინც მოდის და მოდის წვიმასავით და მუმლივით ეხვევა ტფილისს.

ა ნ ა ნ ი ა – დამწიფდა მათ გულში მრისხანება.

ო თ ა რ-ბ ე გ ი – შეიძრა მუხრანი, თიანეთიდან მოდიან და, როგორც ისმის, კახეთიც მოეშურება.

ე რ ე კ ლ ე – მაშ, რაღას ვუცდით? ახლავე მივცვინდეთ და ქვას ქვაზედაც ნუღა დავტორებთ ტფილისის ციხისას.

ზ ე ი ნ ა ბ ი – ო, ჩემო არზივო, რა მაღლე გაშალე ფრთები!.. აგრე არ იქნება! ჩვენი ჯარი უიარაღოა: ერთი სანჯალი ძლივს მოდის სამზე. ერთი თოფი ასზე. ერთი სროლა ტყვია-წამალი კი ათ კაცზე... ციხეში კი... შენ არ გინახავს ის კედლები, ის ზარბაზნები, ის ბრინჯის გორები და ორმოებში პურის ხვავი. შენ არ იცი, რა აუარებელი ტყვია-წამალია დამზადებული შეუვალ მეტებში. სად შეგვიძლია, ალყა შემოვარტყათ უიარაღოთ, როგორ ავიღებთ იერიშით? ვერც ისე... შიმშილით... ვერც წყალს გადაუგდებთ, მტკვარი კედლებთან

ჩაუდის. ერთი მოუფიქრებელი ნაბიჯი და დავიღუპებით! ვინ იცის, რამდენი ათის წლით გაისრისება ჩვენი სამშობლო! არა, გველი უნდა ხვრელშივე გაისრისოს!

ა ნ ა ნ ი ა – კი, მაგრამ როგორ მოვახერხოთ, დედოფალო?

ზ ე ი ნ ა ბ ი – სულეიმანს არ ეშინია გასრესილისა და იარა-ლაყრილი ხალხის. იმას აშინებს მხოლოდ ფადიშას რისხეა, ერევნის სარდლის დაბეზღება და თვით ირანში მტრობა და მოშურნობა. მე გავართობ იმას ლაპარაკით. მოვუყვები, თუ რა ახალი ამბავი, ან საჩუქრად რა უნდა მოვუმზადოთ ფადიშას. და იმ დროს კი ოთარი თვითეულ დარაჯს, თვითეულ კარებს ჩვენ კაცებს მიუჩენს. ჩვენივე კაცები შემოერტყმიან სულეიმანის სასახლეს და დაიჭერენ ყველა შესავალ-გასავალს. ამგვარად, მე და ოთარის ხელში გვეჭირება გვე-ლის ხვრელები და შენ კი, ერეკლე, ჩემო შვილო, ამოგლეჯ იმას შხამ-ისარს. ანანია! ერთხელ შენ გადაარჩინე სიკვდილს ერეკლე და შენვე წაუძღვები წინ ამ დიად დამესაც. ამის მეტით ვერაფრით დაგ-აჯილდოებ ჯერჯერობით, ჩემო ერთგულო მსახურო!..

ა ნ ა ნ ი ა – (სიხარულით, შემკრთალი) მიბრძანე, დედოფალო!..  
ზ ე ი ნ ა ბ ი – იმავე გზით, რა გზითაც მაშინ წაიყვანე ბავშვი, შეიყვან მეტებში ძლიერ მეომარს.

ა ნ ა ნ ი ა – ბატონი ბრძანდები, დედოფალო!

ზ ე ი ნ ა ბ ი – მაგისმა მარჯვენამ უნდა ააფეთქოს ის ტყვია-ნამლის საწყობი! მაგან უნდა გაუნათლოს ცეცხლის სვეტით გზა ჩვენ ჯარს, მაგან უნდა აუნთოს თავისუფლების ლამპარი ტანჯულ ქვეყანას.

ო თ ა რ-ბ ე გ ი და ა ნ ა ნ ი ა – აგრე! სწორეთ აგრე, დედოფალო!

ზ ე ი ნ ა ბ ი – (უღრმესის თანაგრძელებით) ჩემო შვილო, ღმერთმა ის შემინიროს სინანულათ, რაც ამაღამ შენი გულისათვის გადამხდება. თვით შეუბრალებელ სიკვდილს გამოსტაცებს დედა შვილს, ავათმყო-ფობით დაქანცულს და ნუთუ მე არ შემიძლიან, რომ გამოვითხოვო შენთვის ძალი და ძლევამოსილობა. დედაშენმა შენი გულისათვის გასწირა პატიოსნება და უკვდავი სული. შენთვის შეიწირა მსხვერპ-ლად უმანკო ბალლი. უფალი დაგადგამს გვირგვინს და ამოგანოდე-ბიებს ხმალს თვისის ჯვარის დასაცველად და შენც დაიმსახურე ის გვირგვინი, გამოისყიდე უმანკო სისხლი და გაამართლე დედაშენი უფლის სამსჯავროს წინ.

ე რ ე კ ლ ე – (გაოცებული და გაშტერებული) მოიცა... დედოფალო... მამავ... მაგას ვის ეუბნები? ვინა ვარ მე?

ზ ე ი ნ ა ბ ი – (დაიჩიქებს) შენა ხარ მეფე და ჩემი შვილი! ეს ბორკილი დღეს შენი სამეფო სამოსელია და, როდესაც გვირგვინი დაიწყებს ბრწყინვალებას შენს თავზე, მაშინ მაგისგან გავაკეთებიებ სასინანულო ჯაჭვს, დავიდებ კისერზე და მოვყვები ლოცვას უსუს-ტრად და დაუბოლოვებლად შენთვის. (წამოდგება) ხვალ აღარ იტყვის თავისუფალი ხალხი, რომ რათ არის ეს ჭაბუკი ჩვენს მეფეთო! სამ-შობლოს ძლიერი მხსნელი ღვთის ანგელოზივით ავა მამაპაპის ტახ-ტზე და დიდება შენის ნამოქმედარის იქნება შენი პორფირი. ხვალ დაგლოცავ მეფეთ ისე, როგორც დღეს გაძლევ კურთხევას საპრ-ძოლველათ. (ლოცავს).

ე რ ე კ ლ ე – (აღტაცებაში მოსული) მე შენი შვილი ვარ? მე საქართველოს მეფე ვარ? დედოფალო, დედავ! რაც გიბრძანებია, ყველაფერს ავასრულებ. მომაშორეთ მაღე ეს ბორკილი! ეს მე სულს მიხუთავს!

ო თ ა რ-ბ ე გ ი – (მუხლს მოყრის) მაპატივე, ხელმწიფეო, რაც შენ ნინაშე შემიცოდებია. მე იმას ამაღამ გამოვისყიდი.

ა ნ ა ნ ი ა – (იჩიქებს) იყავ ხალხის მამად, ისე როგორც ხალხი იყო შენ მამად, ხელმწიფეო! დაიფარე ისე, როგორც ჩემმა შვილმა დაგიფარა შენ იმ სასტიკ ჟამს.

ე რ ე კ ლ ე – (ათრთოლებულის ხმით) ოხ, მომაშორეთ საჩქაროთ ეს ბორკილები! დედაჩემო, ბძანე, რომ გაუდგეთ გზას... მეფე და ბორკილით? ოხ, მაღე, მაღე!

ო თ ა რ-ბ ე გ ი – (დგება) ახლავე, ჩემო ხელმწიფევ!

ე რ ე კ ლ ე – მე ხელმწიფე ვარ... მე?.. ღმერთო, ნუ გამაგიუებ!

ზ ე ი ნ ა ბ ი – (უნებურათ შემკრთალი) ანანიავ, დღესეც ისე გებარებოდეს ეს, როგორც ამ ოც წელინადში გებარა.

ა ნ ა ნ ი ა – გადაგირჩენ, დედოფალო! მერწმუნე, რომ გადაგირჩენ!

ზ ე ი ნ ა ბ ი – (ცრემლებს იწმენდს) წავიდეთ, ოთარ! მშვიდობით, ჩემო შვილო! მშვიდობით ჩემო სისხლო და ხორცო. უფალი არ გას-წირავს თავის მსახურს. (მიდის).

3

ო თ ა რ-ბ ე გ ი – მეთვალყურეებო! ირგვლივ შემოეხვიერ ტუსალებს. გიგა! (გიგა და მცველები შემოეხვევიან გარს) შენ გაუწევ უფროსობას! ხალხო, გაუფრთხილდით ამათ, ნუ დაივიწყებთ ჩემ ბრძანებას! აბა, ჰე, მივდივართ! (მიდის სცენას იქით, სანამდის მცველები

შემოქმედვეოდნენ ხელ-ახლად ერეკლეს და ანანიას) შესხედით ცხენზე, ეს გზა უკანასკნელილაა. (ღრუბლები მეტად ორევა. ლამდება. გრგვინვისა და ქუჩილის ხმა თანდათან ძლიერდება. სცენის იქით ხმაურობა მიმავალი ჯარის. სცენაზე წამდაუწუმ გარბი-გამორბიან ნაბდით და ჩოხით ჯარის-კაცები. იმათში გამოერევა რუქაია გძელის ნაბდით და ბაშლიყით, რომელიც პირს უფარავს).

ს მ ე ბ ი ს ც ე ნ ი ს ი ქ ი თ – აბა, ჰე, ამხედრდით! დარაჯებო, ბარგს გაჰყევით. დედოფალს ცხენი მოართვით. ქალების ურმებს შემოერტყით.

ო თ ა რ ი ს ხ მ ა – იბნ-საად, ბიჭები წაიყვანე და შენ წინ წაუქეხი, გზა დაათვალიერე. (ხმები აირევა, ისმის ცხენების ფეხის თქრიალი, მეურმების ყვირილი და იარაღის ხმა).

ს ც ე ნ ი ს ს ი ლ რ მ ე შ ი:

1-ლ ი ხ მ ა – ამაღამ ავდარს ვერ გადურჩებით!

მე-2 ხ მ ა – სად არის ჩემი ავშარა?

მე-3 ხ მ ა – სოსიკო, ცხენი დამიჭირე, წყალი მინდა თან წამოვილო!

მე-4 ხ მ ა – მოხსენი თოფრა ჩქარა, შე ძალლიშვილო. (ბესო გამოივლის სცენაზე მარცხნიდან მარჯვინ და შეეფეთება რუქაიას. ამ დროსვე დარაჯებს გამოჰყავთ ტყვები).

4

ბ ე ს ო – (ტიკორითა და გამოკრულ ხელსახოცით შეეფეთება რუქაიას) ეი, ძმინდლო! ხომ არ გაგიგონია, ოთარ-ბეგს არ უხსენებივარ?

რ უ ქ ა ი ა – (საჩქაროდ მიაშურებს დუქანს) არა.

ო თ ა რ-ბ ე გ ი – (ხმა) სადა ხარ, ბესო! ეი, ბესო! (ისმის ძახილი: ბესო).

ბ ე ს ო – (გარბის) აქ გახლავარ, დიდო ბატონო, აქ არის ბესო. დაგეძებ ყველგან. (რუქაია გაჰყება დარაჯებს და მათში შეერევა).

გ ი გ ა – (სასტიკის ხმით) იქით, ვიღაცები ხართ! ხომ ხედავ, ტყვები მიმყავს. (ხმალს იქნევს და კალოს აკეთებს) ჩამოდექით! (დაიჭექებს საშინლათ, ლამდება. სცენის იქით ოთარ-ბეგის ხმა: გიგავ! ყვირილი სცენის იქიდან: არ გესმის, გიგა, ბატონი გიბრძანებს).

გ ი გ ა – აქ გახლავარ, ბატონო!

ო თ ა რ-ბ ე გ ი ს ხ მ ა – გაუფრთხილდი ტყვებს. ლამდება, ხომ ხედავ! (შორიდამ ისმის მეხისა და ხალხის ხმა არეული, სცენაზე მხოლოდ დარაჯების ჯგუფია და მათთან რუქაია).

გ ი გ ა – ჩემ კისერზედ იყოს, ბატონო! (რუქაია შეიჭრება და იმალება მიტოვებულ დუქანში. ხმაურიბა ნელ-ნელა მიწყდება).

გ ი გ ა – (ჩუმად) ბორკილები მოიშორეთ?

ა ნ ა ნ ი ა – (ჩუმათვე) მოვიშორეთ.

გ ი გ ა – (ჩუმათვე) მიმალეთ ჩირგვებში! მიწექით! უკანასკნელი რაზმით გაივლის. ჩქარა! წმინდა გიორგიმ მოგიმართოსა ხელი! (ხმა-მალლა) შემოეხვიერ ტყვებს და შეერიერ რაზმში. (მიჰყავს დარაჯნი. სცენა თითქო ცარიელდება. დუქანში მარცხნივ მიმალება რუქაია. მარჯვნივ ბუჩქებში მიწოლილი იმალებიან გლახა და ერეკლე. შორიდან უფრო და უფრო სუსტად მოისმის ხმა მიმავალი ჯარისა. ლამდება, შორს მეხი გავარდება).

5

დ ა თ ო – (გამოდის ბუჩქებიდან და მიდის მიმალულ მამასთან და ძმასთან) მამაჩემო...

გ ლ ა ხ ა – (სიჩქარით) დათო ხარ?

ე რ ე კ ლ ე – (ისიც აჩქარებით) ჩემო ძმაო!.. (ამ დროს რუქაია აპირობს გამოსვლას, მაგრამ დაინახავს კაცებს და შემერთალი ისევ იმალება).

დ ა თ ო – (სიჩქარით) ბელაში შეუნიშნავათ მივეკედლე რაზმს, ისინიც თითო-თითო მოვიდენ და შემოეხვიერ ციხეს.

გ ლ ა ხ ა – რამდენი არიან?

დ ა თ ო – ვინ დათვლის! ყველა მოდის. ყოლიფერს თავს ანებებენ და მოდიან. მარტო ჩვენი ადგილებიდან რამდენიმე ათასი გამოვიდა... ოთარიც ჩვენსკენ არის. ძალიან საქმე იქნება, ძალიანი! (გახარებული იცინის ნელა).

ე რ ე კ ლ ე – შეხვალ ციხეში?

დ ა თ ო – დედოფლის ჯართან ერთად... ვეღარ მომითმენია, გულში ცეცხლი მეკიდება. მინდა, რომ მეც ახლო ვიყო. ჩვენები შეს-ცვინდებიან, ააფეთქებენ მეტებს. არ იცით, ვინ ააფეთქებს?

ე რ ე კ ლ ე – მე და მამა!

დ ა თ ო – (სიხარით) მეც წამიყვანეთ.

ა ნ ა ნ ი ა – (გულმოსული) წაეთერი იქით, სანამ კიდევ გიდგას სული! შენ ისეც კინალამ დაგვლუპე, შე თავხელალებულო! რა გინდა, რას დაძვრები აქ?

დ ა თ ო – საქმე მაქვს, მამაჩემო, ციხეშიაც კი გამიჩნდება საქმე. ჯერ სინამდინ არ წასულა – უნდა გავერიო ჯარში. შევხვდებით ერთმანეთს სეირის დროს.

ა ნ ა ნ ი ა – ბატონიშვილო, აი, ასაფეთქებელი პატრუქი. ერთი მაგისთანა მეცა მაქვს, გიგამ ბატონის მაგიერათ გადმომცა. ჩაიდევი უბეში. კვესაბედი ხომ გაქვს?

ე რ ე კ ლ ე – ყოველთვის ქამარზე მეიდია!

ა ნ ა ნ ი ა – (ჩუმად) სსუ... ჩუმათ ილაპარაკეთ. ხმაურობა მიწყდა. შეიძლება ვინმე ჩამორჩენილი იყვეს.

ე რ ე კ ლ ე – წავიდეთ ტივისკენ!

ა ნ ა ნ ი ა – ჯერ ადრეა. უნდა ღამე გაუდგეთ გზას, რომ კიდევ-ბიდან არავინ დაგვინახოს. ჩვენ თბილისამდინ ერთს საათის მეტს არ მოუნდებით, და ჯარს კი ორი საათიც დაჭირდება. საჭიროა, რომ იმან ჩაგვასწროს, ტივზე ხალხი იქნება. ყური დამიგდე, სანამ მარტო ორი ვართ.

ე რ ე კ ლ ე – ყურს გიგდებ!

ა ნ ა ნ ი ა – ტივიდან მეტების შორი-ახლოს გადავიდეთ და ცურვით მივიდეთ კლდის ძირამდე. წყალი ჩქარია იმ ადგილას, მაგრამ მე და შენ ადიდებული მტკვარიც გაგვიცურავს. პატრუქი და კვეს-აბედი ქუდში შეინახე, რომ არ დასველდეს.

ე რ ე კ ლ ე – კარგი! ბატონი ხარ.

ა ნ ა ნ ი ა – კლდე-კლდე ავიდეთ ხვრელამდე, რომელიც ბუჩქნარით არის დაფარული. ბევრი ჩვენგანი მოხუცებულთაგანი ალარავინ დარჩენილა, რომ ის გზა იცოდეს. ის ხვრელი მეტების ტაძარში გადის, აი, ამ გზით გამოგიყვანე შენ, როცა სულეიმანი თბილისში შემოვიდა და შენს სიკვდილს ეძებდა. ამაღამაც იმავე გზით მივდივრთ მე და შენ, მისდა საუბედუროთ!

ე რ ე კ ლ ე – იმასაც ხელიდამ გამოვგლეჯ!

ა ნ ა ნ ი ა – (გაოცებით) ვის?

ე რ ე კ ლ ე – (გონებას მოეგება) ვისა? დედაჩემს.

ა ნ ა ნ ი ა – ეგრე, ბატონიშვილო, დედაც და მთელი ხალხიც. დორც არის! დაიტანჯა ხალხი, საბოლოოდ დაიტანჯა. ყური დამიგდე! პატრუქს რომ ცეცხლს გაუჩენ, უკანვე გამოიქეცი, მეც დაგენევი. ჩემზე ნურც კი იფიქრებ. (შინჯავს პატრუქს) ნახევარ საათს ვერ დაიწვის და ჩვენ ისიც გვეყოფა, რომ დაუძვრეთ განსაცდელს. პირდაპირ გადავსჭრათ მდინარე, ჩვენ წყალი ცოტას წაგვიღებს და ჩვენც ქვეით შევწვდებით ჩვენებს – სუმბათის და ორბელინის ჯარს, იმათ-თან ერთათ შევიჭრებით ციხეში, როგორც კი იფეთქებს ბურჯი.

ე რ ე კ ლ ე – მზის ამოსვლამდე მე ის ხელში მეჭირება, მამაჩემო. მგონია, ვგიუდები. ბედნიერებით გული მისკდება. ერთი ეს მითხარი, მეფე.. მეფეს, ვინც უნდა, იმას შეირთავს?

ა ნ ა ნ ი ა – (იცინის) ეჲ, ბატონიშვილო, რა სამწუხაროა, რომ ერეკლე აღარა ხარ! აბა, რა დროს ცოლის შერთვაა ახლა? მოიცადე დილამდი. მაგრამ ეს სულ სისხლის ბრალია. განსვენებული მამაშენიც... მაგრამ, ეჲ! მოკვდა კი, როგორც გმირი, და უკანასკნელ ჯან-ლონის გამოლევამდი იბრძოდა. მაგრამ, იცი, რას გეტყვი: დედოფალი გიმზადებს ცოლს, მშვენიერება რამ არის.

ე რ ე კ ლ ე – (ხელს წაავლებს) ვის?

ა ნ ა ნ ი ა – გაიანეს, ოთარ-ბეგის ქალს. ეჲ, რაღა ბევრი უნდა? დღეს როგორც ჩვენი, ისე სხვის სისხლი შევსვათ და მერე, როგორც ღვთის ნება იქნება, ღვინოსაც გადავკრავთ სამეფო ქორწილში. ნუთუ ეს ღვთის მოწყალება არ მოგვევლინოს! და ამდენი ტანჯვის შემდეგ თავისუფლად ველარ ამოვისუნთქოთ? ნუთუ შენს ქორწილში მე ველარ დავუვლი მამაპაპურად?

ე რ ე კ ლ ე – (თავზარდაცემული) შენ ამბობ გაიანესო? ოთარ-ბეგის ქალს?

ა ნ ა ნ ი ა – (ნარბებს შეიკრავს) უკაცრავად, ბატონიშვილო, ახლა ამაების ლაპარაკის დრო აღარ არის. მე წავალ, არემარეს დავათვალიერებ, გზაში არავინ იყოს ჩამორჩენილი. შენ კი აქ მომიცადე და მიდარაჯე. სტვენა რომ გაიგონო, წყლის პირად ჩამოდი. ეს მისი ნიშანი იქნება, რომ დრო არის და გზაც თავისუფალია. (ქურდულად, ჩუმად მიიპარება მარცხნივ).

ე რ ე კ ლ ე – (სდგას ხის ქვეშ, დუქნის ახლო და რაღაცას ბუტბუტებს) არა. შეუძლებელია... ოთარ-ბეგის ქალიო... გაიანე... დათო ამბობდა...

რ უ ქ ა ი ა – (ჩუმად) ერეკლე!

ე რ ე კ ლ ე – (შემკრთალი) ეს ვინ არის? (გული ულონდება)

რ უ ქ ა ი ა – ერეკლე! მე ვარ, მე, რუქაია!

ე რ ე კ ლ ე – (თავშეკავებულის სასიხარულო შეკივლებით გაქანდება დუქნისაკენ, შემოახვევს ხელებს რუქაიას, ჩასცერის თვალებში და სმამოუღებლივ, თითქო უცებ მუხლთ მოეკვეთაო, დაეცემა ქალის ფეხ-ქვეშ, გრძნობადაკარგული).

რ უ ქ ა ი ა – გონს მოეგე, ერეკლე, მე ვარ, რუქაია ვარ! (ჰეროუნის. ისიც აცახცახებული დააჭყეტს თვალებს).

ე რ ე კ ლ ე – არა, სიზმარი არ არის... არა, არ მაბოდებს. ეს შენ ხარ აქ, შენ...ჩემთან.. რომ იცოდე, რა გადამხდა ამ ხუთი დღის გან-მავლობაში. და ახლა კი შენა გხედავ. ეს შენი ხელებია.. შენი სახე.... ეს შენი კეთილსუნნელებაა. ეს შენ ხარ... შენ... (დაუკოცნის სახეს, ხელებსა და მუხლს).

რ უ ქ ა ი ა – (ლონიერად გამოუსხლტება ხელიდან და მედიდურად თავზე ადებს ხელს) მაცა, ახლა ყოველი წამი ძვირად მიღირს. აბა, ჯერ ეს კოცნა მიიღე ჩემგან (ეშით ვნებული კოცნის ხანგრძლივად. მერე უცბად მოსხლტება და ჩააჩერდება თვალებში) ეხლა კი ჩემი ხარ! შენი სულ მე შევისუნთქე!

ე რ ე კ ლ ე – (სიხარულით გადარეული შესცეკრის თვალებში) დიახ, ეს შენა ხარ... შენ...

რ უ ქ ა ი ა – მე მინდა, რომ შენ ყოველთვის ჩემი იყო და ასეც იქნება. მეფე სულეიმანის წინააღმდეგ შეთქმულებაა, ვერც ერთი შიკრიკის გაგზავნა ვერ მოვახერხე. მე თვითონ ტყვეთა ვყავდი ამ დღეებში. ალ-რაზაყის სიკვდილი რომ არ დაგვჭირებოდა, მე იმას გავგზავნიდი და იმის პირით შევატყობინებდი, მაგრამ არ შეიძლებოდა მისი უსიკვდილობა, მაშინ მე უნდა მოვეკალით.

ე რ ე კ ლ ე – ახლა ნულარაფრის ნუ გეშინია. შენ იცი, ვის უყვარხარ? შენ სულეიმანს ამ გამხმარ თიხასავით გავსრეს. (სრესავს ფეხით ტალახს).

რ უ ქ ა ი ა – შენ? (იცინის ისე, თითქო განგებ გული უნდა გაუსიოს ადამიანსაო) შენ იმაზე კოცნა უკეთ იცი, მაგრამ ადამიანის გასრე-საში კი ის გჯობია. არა, ის კი არ უნდა გავსრისოთ, უნდა იმას-თან მივიჭრეთ ორივე ერთად. მე ყოლიფერი გავიგე, იმათ უნდათ ქალაქში შევიდნენ და მოღალატებს ჭიშკარი გაუდონ. მაგრამ მე იმათ მივასწრებ – მე ირემივით გავრბივარ, ისინი კი ბარგი-ბარხანით მიჩანალებენ... იმათ არ შეუძლიანთ, რომ გზას გადაუხვიონ... და ჩემთვის კი საკმაოა, რომ ეს მთა პირდაპირ გადავსჭრა.

ე რ ე კ ლ ე – რუქაია, მოიცა, შენ არა იცი-რა. ვინ გაგიშვებს, რომ ჩვენები არიან იქ ჩასაფრებული?

რ უ ქ ა ი ა – მართლა? არც „საბა მეუდაბნოე“? (იცინის) ეპ, დედო-ფალო ზეინაბ, შენ ეშმაკი ხარ, მაგრამ მე უეშმაკესი ვარ. მოგატყუე. მოგებარე და ყოლიფერი გავიგე, რასაც იმ წყეულ დედაბერს ეუბნე-ბოდი. გავიგონე კარგად, რასაც მოღალატე ოთარ-ბეგი ეუბნებოდა

მანანწალა საბას. ისინი ორივე ჩემ ხელში არიან. ქალაქამდინ გამაც-ილეს, რომ მითამ და მზეს არ დაეკრა ჩემთვის, პატივისცემის ნიშ-ნად კარს დარაჯი შემომახვიეს, რომ არავინ მომეყიდა. (იცინის) და აი, ხედავ ამ ნაბადს და ყაბალას ერთ ჩემ მცველთაგანისას? ციხეში რომ შევლენ, მაშინ მომისაკლისებენ და მეც იქ დაუხვდები იმათ! უნდათ შესვლა და კიდეც შევლენ, მაგრამ აკუნული კი იქნებიან ყველანი, დედოფალიც კი... ჰო, დედოფალს განსხვავებული პატივით მოექცევიან; ფეხს დავადგამ თვალებში, რომ ჩემ ფეხებეშ ამოხდეს სული, მაგრამ რა გემართება?

ე რ ე კ ლ ე – (გაფითრებული, გაგიშებულივით უცქერის რუქაიას) არა, რუქაია, შენ არ იცი...

რ უ ქ ა ი ა – რა არ ვიცი? მე ის ვიცი, რომ შენ გნახე თავისუ-ფალი. მე შემეძლო, პირდაპირ გავქცეულიყავი, მაგრამ შენ გელ-ოდი... გესმის? მაშინ გაგანთავისუფლებდი, მაგრამ ასე სჯობია... მე ძალიან გულით მინდოდა შენი დანახვა... და ახლა კი, ორივე ერთად მივიჭრებით მეფესთან. მე მოვახსენებ, რომ შენ გამაპარე მე, მაგრამ მოღალატებმა დაგიჭირეს მეფის ერთგულებისათვის და ამ ერთ-გულებას შენ საქმითაც დაუმტკიცებ. ის შენ დაგასაჩუქრება, მეც გავდედოფლდები, მეყვარები და აგამაღლებ. აბა, გავიქცეთ. იმათ შეუ გზაც არ ექნებათ გავლილი, რომ ჩვენ მისული ვიქნებით. დროც ახლა არის! (მედგება დუქნის თავზე და შორს გადაიხედავს) ჯარი ახლა დაეშვა თავდაღმართს... ჰო, მე ისე ვხედავ, როგორც კატა, და არ გამომეპარება, ბალახი თუ როგორ იზრდება. (იცინის ჩვეულებრივის სიცილით) მიბრძანდით, მიბრძანდით... მეც იქ დაგიხვდებით... (გაექა-ნება, მოეხვევა კისერზე ერეკლეს) ო, რა ბედნიერი ვიქნებით. აი, კიდევ საწინდარი შენ (კოცნის და ხარხარებს), იმათაც რუქაია მიჰყავს თავის გუნებაში! ავადმყოფი რუქაია. ხა!.. ხა!.. ხა!.. დაპატიმრებული. ცხა-დია, დედოფალი ალაყაფის კარებთან ახდის ურემს ფარდას და იტყ-ვის (აჯავრებს დედოფალს): ახლა ხომ უკეთა ხარ, ჩემო ლამაზო? ჰო, ნეტა ერთი მაშინ შემახედა, ცარიელი გალია დაუხვდება და სხვა არაფერი. მაგრამ ნულარ დავიგვიანებთ, გავფრინდეთ ჩიტებივით. კარგად ვიცი, რომელი ბილიკი საით მიდის!.. გავფრინდეთ ბედის საძებრად... გახსოვდეს: საბა-ბერი! ხა!.. ხა!.. ხა!.. (უნდა გაიტაცოს) გეშინიან, რომ წამოხვიდე?

ე რ ე კ ლ ე – მოიცა, რუქაია! არ შეიძლება, არ შეიძლება...

რ უ ქ ა ი ა – (გაოცებით) რა არ შეიძლება?

ე რ ე კ ლ ე – შენ არ იცი, მე ვინა ვარ და რა უნდა მოვიმოქმ-დო!.. შენ არ იცი, ვის ღუპავ. ის ხომ დედა ჩემი, რუქაია!

რ უ ქ ა ი ა – რაო? გაბოდებს!

ე რ ე კ ლ ე – (სალელვებული) არა, რუქაია, მაგ მეფე სულეიმანმა მამაჩემი მოკლა... ჩემი სიკვდილიც უნდოდა, მაგრამ მე გლახამ გადამარჩინა, აი, იმ ბერიკაცმა... მამაჩემი მეფე იყო... თვითონ დედოფალი, თვითონ ოთარ-ბეგი და ის ბერიკაცი – აი, ამ საათში ჩემ წინ მუხლმოყრილი იდგენ... ყოლიფერი მზად არის... რუქაია... ყოლიფერი... მე დღეს მეტეხის ტყვია-წამლის საწყობი უნდა ავაფეთქო... ჩემი მხლებლები შემოცვინდებიან დაქცეულ ციხეში და შენი მფლობელიც მაშინ დაილუპება თავისის ჯარით. მე ავალ ჩემ სამკიდრო ტახტზე და შენც ჩემ გვერდით იქნები.

რ უ ქ ა ი ა – (თვალებში მიჩერებია) შენ სწორედ გაგიუდი!

ე რ ე კ ლ ე – არა, ჩემო სულის სიცოცხლევ! არა, ჩემო მნათობო! პირველი შენ მომაგონდი, როცა მე შევიტყვე, ვინც ვიყავი. იმათ უნდათ, რომ ოთარ-ბეგის ქალი შემრთონ...

რ უ ქ ა ი ა – (უნებურად აღმოხდება გულიდან ხმა ეჭვიანობისა და მძულვარებისა) ოჳ!

ე რ ე კ ლ ე – მაგრამ ვის შეუძლიან უბრძანოს მეფეს? მხოლოდ შენთვის იბრწყინებს გვირგვინი ჩემს თავზე! შენი ფეხთა მტვერი იქნება მთელი ჩემი სამეფო ჩემთან ერთად.

რ უ ქ ა ი ა – მოიცა!.. მოიცა!.. (რაღასაც იგონებს წარბებშექმუხვინით) შენ ბალლი... მეფე? შენ მეფე იქნები? დედოფალი ზეინაბი კი შენი ხელმძღვანელი?.. და მე... (დაიწყებს სარხარს).

ე რ ე კ ლ ე – ნუ იცინი, რუქაია! მე ბალლი ალარა ვარ, არ იცი, რა ძალ-ღონის პატრონი ვარ!

რ უ ქ ა ი ა – (სიჩქარით) გატყუებენ! როგორც ბავშვი, გაგაცურვეს! შენა ხარ მეფე? მერე და მეფეს აგზავნიან სასიკვდილოდ? შენა ხარ მისი შვილი? განა დედა მთელი კვირის განმავლობაში ბორკილით დაიჭერს შვილს? განა დედა გაიმეტებს შვილს, რომ დაღუპოს, ისიც ციხის ნანგრევებთან?

ე რ ე კ ლ ე – (ლელავს, არ იცის, ვის დაუჯეროს) არა!.. არა!.. ანანიაც ჩემთან მოდის, იმას მე ვუყვარვარ...

რ უ ქ ა ი ა – და შენ არა სთქვი, რომ მისი შვილი არა ვყოფლი-ვარო. მაში, რაღად შეგიბრალებს? მისი მკვიდრი შვილი გაიქცა და მის მაგივრად შენ გტაცეს ხელი.

ე რ ე კ ლ ე – კი, მაგრამ იმან თავის თავზე მიიღო ჩემი მკვლ-ელობა...

რ უ ქ ა ი ა – და გაიქცა. შენ კი დაგიჭირეს. ეხლაც შენი მამობილი მიგაგზავნის, რომ ლუქმა-ლუქმად დაკუნული ჰაერში იქნე ატაცე-ბული და ის კი გაიქცევა. აი, რისთვის გზრდიდენ და გინახავდნენ. ვის უნდებხარ! ვის უყვარხარ? მხოლოდ მე ვარ ერთადერთი. (უცბად ჰკოცნის) მოიცა, მოიცა, მაში, ის შენა ხარ? შენზე ელაპარაკებოდა ოთარ-ბეგი დედოფალის?

ე რ ე კ ლ ე – (გონებადაბნეული) რას?

რ უ ქ ა ი ა – იმას მხოლოდ, რაც ეხლა მესმის. მოიცა, ერთი კარგად მოვიგონო... (იგონებს) „ის ნაბიჭვარი მეტესს დაანგრევსო“...

ე რ ე კ ლ ე – (შემკრთალი) ნაბიჭვარიო?..

რ უ ქ ა ი ა – დიახ, დიახ... და მე კი ეს ნაბიჭვარი ყველა მეფეებს მირჩევნია. მე შენ არ გაგიმეტებ და იმათ კი ყველას დავლუპავ, შენ მაგირად შურს ვიძიებ, ჩემო საყვარელო, ჩემო გულო! ჩემო სიცოცხლევ! (ჰკოცნის, იცინის ჩვეულებრივის სიცილით) მერე და, მართლა მეფეც რომ იყო... დედოფალი ზეინაბი დამითმობდა შენს თავს მე, ერთ მონათაგანს? მომნამლავდა. მაგრამ ესენი ხომ ყოლიფერი ტყუილია, იმას, დიდი ხანია, რაც ოთარ-ბეგი უყვარს და გამეფე-ბასაც უპირებს. ვიცი ყოლიფერი და კარგადაც მესმის. მე იმათ სიტყვა-პასუხს ყური მოვკარი, მაგრამ შენ თავს ვერ წამართმევენ... ვერ დაგლუპენ, სანამ ცოცხალი ვარ... მე გიშველი, მე გადაგარჩენ... შენა ხარ ჩემთვის ჩემი სამეფოცა და მთელი ქვეყანა.

ე რ ე კ ლ ე – (თვალებში უყურებს) მომატყუეს მე იმ წყეულ-შეჩვენებულებმა. (მორიდან ისმის სტენის ხმა).

რ უ ქ ა ი ა – ეს რაღა ამბავია?

ე რ ე კ ლ ე – გლახა მეძახის...

რ უ ქ ა ი ა – საითკენ?

ე რ ე კ ლ ე – ტივებისაკენ.

რ უ ქ ა ი ა – (ხელს მოხვევს) დაე, გიძახოს. შენ ხომ ჩემთან წამოხ-ვალ?

ე რ ე კ ლ ე – რუქაია, უკანასკნელად გეკითხები... მეფიცები, რომ გიყვარვარ?

რ უ ქ ა ი ა – თუ არ მყვარებოდი, არც გადაგარჩენდი. (ჰკოცნის ხელმეორედ. სტენის ხმა ისმის). ისტვინე! უშენოდაც გავიგნებთ გზას.

(ხელიხლჩაკიდებული გაირბენენ სტენის სიღრმისაკენ).

## მოქმედება მეცნიერების მიზანისთვის

მდიდრულად მორთული საწოლი ოთახი სულეიმანის სასახლეში. სცენის სილრმეში დოლაბივით კარაპანია, რომელსაც ფერადის შუშების კედელი აქვს და გაპყავს კაცი აიგანზედ, ანუ ტერასაზედ, მავრიტანულ გემოვნების სვეტებით შემკულზედ. წყალგაღმა მოსჩანს მეტების კლდე, ციხის კედელი ბურჯებითა და სათოფურებით; აგრეთვე მეტების ტაძარი, სწორედ ისე, როგორც პიველს მოქმედებაში. კედლებზე გაკურულია ხალები, კამარები-ანი ჭერი მოხატულია. კედლებს დატანებული აქვს უკარი ღრმა განჯინები და თითო განჯინაში თითო მაღალყელანი ჭურჭელი სდგას. ჭერიდან ჩამოკიდებულია ჯაჭვებით სასინთლო ლაბირენტი. კედლებთან მიდგმულია რბილი ტახტები, დაგებული ხალიჩებითა და ბალიშებით. ხალიჩებსა და ბალიშებზედ გადაფარებულია ოქრომკედითა და აბრეშუმის ძაფით ნაკერი ქსოვილები. მარცხნივ კედელთან სდგას დიდი სამეფო ტახტი და ზემოდ, კედელზე, დამაგრებულია იარაღი – დამბაჩები, ხმლები, შუბ-ნაჯახები და გრძელტარა შუბები. მარცხნივ და მარჯვნივ კარები, შუას გარდა, სცენის პირველ პლანზე. ოთახის შუაგულში აუზია ფერადის მარმარილოს. ღამეა. ხშირ-ხშირად ელავს. ხანდახან ყრუდ მოისმის ძლიერი ჭექა-ქუხილი.

1

სულეიმან-ხანი მხართებოზეა წამოწოლილი. ყარა-იუსუბი მოწინებით დგას მის წინ. სცენის სილრმეში მოსჩანს ისახარი.

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი – ქალაქის მახლობლად ბევრი დაიჭირა დღეს ჩემმა ჯარმა?

ყ ა რ ა-ი უ ს უ ბ ი – ორმოცდაათი, ქვეყნის მშვენებავ! ოთარ-ბეგის შიკრიკაც უკანასკნელ სადგურიდან ცნობა მოგვიტანა, რომ ერისთავს ირმოცდაათი ტყვევ მოჰყავსო.

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი – რათი იყვნენ შეიარაღებული დაჭერილები?

ყ ა რ ა-ი უ ს უ ბ ი – უფრო კომბლებით, ცულით, წალდით და ნამგლებით. ზოგიერთებს კი ხმალ-ხანჯალიც ჰქონდათ. მხოლოდ ოთხი იყო თოფიანი.

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი – მერე მაგითი მოდიან ჩემზე?.. მაინც რას ამბობენ, რისთვის ვიყრით თაესაო?

ყ ა რ ა-ი უ ს უ ბ ი – ზოგი საოჯახო საქმეს იგონებს, ზოგი სავაჭროს, სამეფოთა დამპყრობელო! მხოლოდ ერთმა ველარ აიტანა ტანჯვა და ყვირილით გვემუქრებოდა... (იცინის).

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი – რაო?

ყ ა რ ა-ი უ ს უ ბ ი – სისულელე, მძლეველთა-მძლეველო! ტიტი-ნობდა, რომ ჯვარი გასრესს ყველას, ვინც იმაზე მიდისო. მოახლოვე-ბულია დვთის რისხვაო... აიგსო საწყაულიო... ამისთანებს ხშირად ყვირიან სიკვდილის წინედ. (გავარდება მეხი).

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი – დედოფალი იუწყება, რომ: ორბელიანი და სუმბათი მოსკოვის მეფესთან გაიქცნენ, შემწეობის სათხოვნელათო.

ყ ა რ ა-ი უ ს უ ბ ი – შორს დაურჩებათ მოსკოვის მეფე, უძლეველო!

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი – კავკასიის იქით, ჩრდილოდ კერძო სცხოვრობს გოგი და მაგოგიო, – სწერია ყურანში, მაგრამ ჯერ კიდევ შორს არის ისლამის დამხობა.

ი ს ა ხ ა რ ი – (აივნიდან) უკვე ისმის... შორიდან კი...

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი – შენ რას ამბობ, ისახარ?

ი ს ა ხ ა რ ი – ცხენის ფეხის ხმა მესმის შორიდან. დედოფალი გვიახლოვდება.

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი – ყარა-იუსუბ, დედოფალი მწერს, რომ რამდენჯერმე დაეცნენ თავზე ხარჯის ამკრებლებსო და ალ-რაზაყის მკვლელებიც გამოიძიების დროს პირში დამცინან გამბედავათაო.

ყ ა რ ა-ი უ ს უ ბ ი – დედოფალი იტყობინება მაგას? მაშ, მე გად-მომცეს ისინი, მბრძანებელო! (თვალებს მოიქცევს) ერთი ესეც მიბრძანეთ, რუქიასაგან არაფერი მოგსვლიათ?

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი – ინჯება, რომ დედოფალს ოთარ-ბეგის ქალის სილამაზის ეშინიაო. ოთარ-ბეგი ეხვეწებოდა დედოფალს, შეეტყობიერია ჩემთვის, რომ მისი ქალი ფალიშაპის ერთ შეხედვადაც არა ღირს. რუქია მატყობინებს, რომ დედოფალი იმ ქალს გააფუ-ჭებსო. (დაცინვით) ქალია და ფიქრობს, რომ ქვეყანაზე მისი სილამაზის მეტი აღარაფერია.

ყ ა რ ა-ი უ ს უ ბ ი – დიდება შენს მიმხდურობას, სიბრძნის თვალი.

ი ს ა ხ ა რ ი – დიდება შენს შორსმჭვრეტელობას!

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი – ორბელიანის ბრძოს წინააღმდეგ გაგ-ზავნილი დაბრუნდა?

ყ ა რ ა-ი უ ს უ ბ ი – ჯერ არა, ურწმუნოთა ქარ-ცეცხლო!

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი – მე კი მესამე დღესვე უბრძანე დაბრუნდება და დღეს კი მეხუთეა!

ყ ა რ ა-ი უ ს უ ბ ი – სწორედ მეხუთეა, სიმართლის მფარველო, ავდარმა გზები გააფუჭეს და მდინარეები აღელვდენ...

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი – მშიშარა ძალლო! ამისთანა ავდარში მე ათასის ბედუინით ინდუსი გავცურე და წინ დავითორინე ათასი

სპილო. (დაფიქრდება) ეს კია მართალი, რომ ასე შავად არ მეჩვენებოდა მზე, როცა მას უყურებდი.

ი ს ა ხ ა რ ი – არაფერია, ისევ მალე გაბრწყინდება!

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი – რას ამბობ, ისახარ?

ი ს ა ხ ა რ ი – მე ვამბობ, რომ მზე გაბრწყინდება... როცა ამა-ლამდელი ლამე გადაიკარებს.

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი – ღრუბლები კი არ ფარავენ... ლალატი... (მშვიდობიანად) ყარა-იუსუბ, რასა გწერს ერევნის სარდალი?

ყ ა რ ა-ი უ ს უ ბ ი – (ცოცხალ-მკვდარი სდგას, ხმა ვეღარ ამოულია. მუხლები უცახცახებს).

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი – (არ უყურებს, გულგრილად) რასა გწერს ერევნის სარდალი?

ყ ა რ ა-ი უ ს უ ბ ი – მეტ... მეტოქევ ვარსკვლავისა! არ მიმილია წერილი.

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი – აჲა, მაშ, მიიღე... დიდი ხანია, რომ ამას ელოდი! (აძლევს წერილს. ყარა-იუსუბი ძლივს იღებს კანკალით და და-ცემა მუხლებზე სულეიმანის წინ).

ი ს ა ხ ა რ ი – (თავისთვის) ვირთხები ცეცხლს გაურბიან სახლი-დან. (ხმამალია) მბრძანებელო, ჯალათს დაუძახო?

ყ ა რ ა-ი უ ს უ ბ ი – (ტუჩებს ძლივს ანძრევს) შვენებავ!.. მსოფლიო მნათობო!.. მე არ მიღალატინია... მე მინდოდა მხოლოდ, რომ იმათი გულის ნადები შემეტყო... შემიწყალე!

ს უ ლ ე ი მ ა ნ ი – რათა? (მეხი გაგარდება).

ყ ა რ ა-ი უ ს უ ბ ი – (ფორთხავს მის ფეხქვეშ) შენ გემსახურებოდი... შემიბრალე!

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი – მე გეკითხები – რათა? რა იქნა შენი სიბრძნე, ჩემო იუსუბ, ჩემო ვეზირო? იქ არის, სადაც შენი ერთ-გულება?

ი ს ა ხ ა რ ი – მბრძანებელო, დაუძახო ჯალათებს?

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი – (დაფიქრებული და თავპირჩამობნებული). ჰელირს სიცოცხლე ვედრებად? ყოლიფერი გაივლის. დრო არ არსებობს, არის მხოლოდ საუკუნე. ის, რაც გუშინ იყო, დღეს აღარ არის. ის, რაც ხვალ იქნება, ზეგ ნუღა ელი. აღარ არის ის, რაც გითხარი, როცა ლაპარაკი დავიწყე. რად გინდა სიბრალული? ყოლიფერი გაივ-ლის.

ყ ა რ ა-ი უ ს უ ბ ი – ყოლიფერს გეტყვი, რასაც შენზე ფიქრობენ მტრები... (ფეხზე კოცნის).

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი – (ზიზღით) სთქვი!

ყ ა რ ა-ი უ ს უ ბ ი – (გიურით დაიყვირებს, სიხარულით აღტაცებული) ქვეყნის მპყრობელო, მე იმათ ყოლიფერს გავამხელ. ამ დღეებში მოვა აქ ფადიშაპის ელჩი, შენ უნდა ჩევულებისამებრ მიეგებო ციხის კარებთან და მაშინ უნდათ შენი აკუწვა, ყოვლის შემძლებელო!

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი – მაშ, ადრე მითხარ, ყარა-იუსუბ! (ადგება მშვიდობიანად) წამომყევ! (მიადგება აივნის კარებს და გამოაღებს) ჩემ-თვის საჭირო აღარა ხარ! რაც იცოდი, ყოლიფერი მითხარი. ახლა უნდა ასრულდეს მართლმსაჯულობა. შენ ლალატისთვის სიკვდილი დაიმსახურე, მაგრამ რომ უღალატე იმათ – მისთვის პატივი. ეხლა ალატმა გადასწყვიტოს, ჩვენში ვინ აჯობებს: მე, როდესაც შენ დაიღუპები, თუ შენ, როდესაც გადარჩები? აი, შენი გზა. (ჩახედებს მდინარისკენ).

ყ ა რ ა-ი უ ს უ ბ ი – ყოვლის შემძლებელო! ამ უფსკრულში? ამ წვეტიან ქვებს... ეს ხომ აუცილებელი სიკვდილია, ქვეყნის მპყრობელო!

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი – თუ დაღუპვა გინერია, კიდეც დაიღუპები... (ოუსუბი ეცემა მის ფეხ-წინ) სიტყვა ჩემი – ჩემი ხმალია (ყარა-იუსუბი გადავარდება).

## 2

ი ს ა ხ ა რ ი – ეს მეორე!! შხამიანი ფოთლები ცვივიან.

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი – (ძირს იცქირება) დაიღუპა! ჩემი მტრებიც ასე დაიმხობიან. (ხელს მიაშვერს მეტებს) აბა, წამიყვანონ მე, სანამ მეტები თბილისს დაპყურებს.

ი ს ა ხ ა რ ი – მეტებს გაუფრთხილდი, ყოვლის შემძლებელო! გაუფრთხილდი მეტებს!

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი – (მოტრიალდება და თვალებში შეაჩერდება) რა სთქვი?

ი ს ა ხ ა რ ი – მე ვამბობ, მეტებს გაუფრთხილდი-თქო. მთელი შენი ჯარი იქ არის. მთელი თოფ-იარაღი. გაუფრთხილდი მეტებს. შენ ამბობ, დრო არ არის, მხოლოდ არის საუკუნოო, მაგრამ ჯერ კი მეტებს მოუფრთხილდი.

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი – (ხელს წაავლებს) სთქვი, დედაბერო, თუ იცი რამე.

ი ს ა ხ ა რ ი – (ძალდატანებით იცინის) მბრძანებელო! ჩემი ძვლები დიდი ხანია, საფლავს ელიან და სხეულსაც ტანჯვისა აღარ ეშინიან.

დედამიწაზე გულდასაწყვეტი აღარა მრჩება-რა. მე დიდი ხანია, საფლა-  
ვის ქვასავით ერთადერთილა ვარ და რითი გინდა, რომ შემაშინო?

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი - (მოუჭერს ხელს) რა იცი-მეთქი?

ი ს ა ხ ა რ ი - უძლეველო სულეიმან! ნახევარი ქვეყანა დაგიპურია  
და მე კი ვერ მომერევი. როგორ მოერევი არაფერს? მე არარა ვარ.

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი - (ხელს უშვებს) არარა!

ი ს ა ხ ა რ ი - გახდი არარა ჩემსავით და შენც აღარ შეგეშინდება  
აღარც სიკვდილის, აღარც ტანჯვის და აღარც ფადიშაპის. მე კი  
მეშინოდა, სანამ მქონდა მოსაფრთხილებელი რამ. მყავდა ვაჟიშ-  
ვილები, მეშინოდა იმათი. მყავდა ქალიშვილები და ვიცავდი იმათ  
ნამუსას. მქონდა სახლი და მიყვარდა ჩემი ოჯახი. ჩემი შვილი გამის-  
რისეს...

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი - შენი შვილი?

ი ს ა ხ ა რ ი - დიალ... ამოდენა იყო.

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი - როდის?

ი ს ა ხ ა რ ი - მასუკან დიდი ხანია. ქალიშვილები შეურაცხმიყვეს.  
სახლი დამიქციეს და მაშინ ყოლიფერი გამიმჩატდა, აღარაფერი დამ-  
რჩა-რა და მეც აღარა ვარ-რა. (იცინის) საჭირო აღარ არის აღარც  
მოფრთხილება და აღარც დალატი... მხოლოდ ცდაა საჭირო.

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი - დედაბერო, ნუ ბოდავ ერთი! სთქვი, რა იცი!

ი ს ა ხ ა რ ი - (დაიხრება მისკენ) გასწი მეტეხისკენ! იქ უში-  
შარი ადგილია, შენი ჯარი იქა გყავს და თოფ-იარალიც იქ გაქვს.  
იქ ცოცხლები ვერას დაგაკლებენ და მკვდრები კი... (მიუთითებს შავ  
ღრუბლებისაკენ მეტებზე) ისინი აი, იქ არიან გაფანტული. ისინი მეტებს  
დასტრიალებენ თავზე და სულერთია, იმათ ხომ მაინც ვერ მოერევი.

ს უ ლ ე ი მ ა ნ ი - (უნებურად შეჰქრთება) ბოდავ!..

ი ს ა ხ ა რ ი - იმათ ვეღარ მოერევი, შე საცოდავო უძლეველო  
სულეიმან! და ადამიანს კი გაშორდი, მიიმაღე მეტებში. (შემოდის  
ზეინაბი და ოთარ-ბეგი ჩაფხუტით, რომელსაც დოლბანდი აქვს გარშემო-  
ვეული).

ზ ე ი ნ ა ბ ი - (გაექანება და მუხლებზე მოხვევა სულეიმანს) ძლივ-  
ძლიობით მეღირსა შენი მუხლებზე მოხვევა, ჩემო ბატონო! წყეუ-  
ლომც იყოს ჩვენი გაყრის დღე, ვერც ქარიშხალმა და ვერც წვიმამ  
ვერ დამაკავა...

ო თ ა რ-ბ ე გ ი - (შემოსვლისთანავე იჩოქებს) ყოვლის შემძლე-  
ბელო, ნუ მოგეშალოს გამარჯვება!

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი - (მედიდურად და დამშვიდებით) ფეხ-  
ბედნიერი იყოს შენი დაბრუნება, ზეინაბ. (ზეინაბი ხელზე აკოცებს და  
ნამოდგება) ვინ მოკლა ალ-რაზაბი?

ზ ე ი ნ ა ბ ი - რუქაიმ. კიდეც გაიქცა.

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი - (თვალს შეაჭყეტს ზეინაბს) როდის?

ზ ე ი ნ ა ბ ი - ორის საათის წინედ ვნახე უკანასკნელ დამის  
გასათევზე. ის გველი სამ დღეს იგონებდა ავანტყოფობას, მარტო  
წყალს თხოვილობდა და კვნესოდა. საპატიო დარაჯი გარს ეხვია,  
ბორკილების შეყრა ვერ გავპედე, რადგან შენგან იყო ჩემ მეთვალყ-  
ურედ მოჩენილი. გეგონა, რომ ამას ვერ მიგიხვდებოდი?

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი - მერე და, ათას მხედარს გაექცა? ოთარ-ბეგ!

ო თ ა რ-ბ ე გ ი - შიკრიკები დავადევნე, ისინი დაეწევიან, მპრ-  
დანებელო!

ზ ე ი ნ ა ბ ი - მე უნდა თვალყური მედევნებია მაგის ქალისათ-  
ვის, ბატონო, ოქრო-ვერცხლისათვის, ტყვებისათვის და თვითონ  
რუქაიასათვისაც. ღონე აღარ შემწევდა. დავიქანცე, გზამ და სევდამ  
უშენობით დამდალა... ამ შეყრას ველოდი და სადღა შემეძლო, რომ  
ყური მეგდო საზიზღარი მონისათვის, რომელიც თვითონ მითვალყ-  
ურებდა. გეფიცები, სულეიმან, რომ შენი ბრძანება კანონი არ იყოს  
ჩემთვის, ის გარყვნილი რუქაია ბორკილშეყრილი ახლა შენ წინ  
ეგდებოდა. მე მაინც ციხის კარებთან ერთხელ კიდე მოვიკითხე და  
დავხედე მის ურემს, მაგრამ ცალიერი იყო. ერთი დარაჯთაგანი, ჯერ  
სულ ახალგაზრდა, იქვე იდგა უნაბდოდ და უყაბალახოთ, მაშინვე  
დავაჭერი და, როგორც მის თვალებში, ისე მის სიტყვა-პასუხში,  
ამოვიკითხე, რომ რუქაიასაგან იყო შეცდენილი.

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი - რუქაიმ თავის ხელით მოჰკლა ალ-  
რაზაბი? შენ თვითონ ნახე ეს?

ზ ე ი ნ ა ბ ი - არა, მპრძანებელო! მკვლელი გაიქცა, დავაჭერ-  
ინე მამამისი და... (ხმა უმტყუნებს) ძმა. (სხაპასხუპით) ბორკილშეყ-  
რილი მოგიყვანე ორივე და ბრძანება გავეცი, რომ მეტების ციხეში  
დაემწყვდიათ. მაგრამ ეგება გნებავსთ, რომ ეხლავე გამოვკითხოთ?  
ბრძანებ და მოვაყვანინებ. (უნდა წავიდეს).

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი - მათი დრო არ წავა!

ზ ე ი ნ ა ბ ი - ოჳ, რომ დაგენასა რუქაიას გველური თვალები,  
როცა დამნაშავეები შევიპყარით, რომ გაგეგონა მისი მომხიბლავი  
ხმა ტყუილების ჩმახვის დროს... მე მაშინვე ეჭვმა გამიელვა თავში...

მაგრამ მის თვალებში ამოვიკითხე, რომ ის მეთვალყურედ ჰყავდა მიჩნილი დედოფალ ზეინაბს... (ნაღვლიანი სიცილით) თითქო დედოფალი ზეინაბი სარწმუნო არ იყოს! თითქოს შეხედვა, ამოსუნთქეა, წამნამის მოძრაობა შენი კანონი არ იყო საბრალო ზეინაბისათვის! და ვეღარ შევახე ხელი შენ გარყვნილ რუქაიას და ახლა ხომ ხედავ, ხედავ, ვის მიანდვე ჩემი თავი? ვაი, შეურაცყოფავ! თუკი ისე გჯეროდა მისი ყოლიფერი, რატომ იმასვე ერთადერთს არ მიანდვე...

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი - საჩუქარი მოკრიფეს?

ო თ ა რ-ბ ე გ ი - ყოლიფერი მზად არის, შემძლებელო, ოქრო, ვერცხლი, ცხენები და ქალიშვილები... ყოველივე მოვასნარი მეცხრე დღეზე.

ზ ე ი ნ ა ბ ი - მბრძანებელო, ყველა საჩუქარი საკადრისია უმაღლესი ბჭის, მაგრამ ამის ქალიშვილი კი... ჩემო ხელმწიფევ, ირანის მფლობელი ერთი შეხედვის გულისათვის შენ ფეხთა-მტვრათ გახდის ერევნის სარდალს... დანარჩენ საჩუქრებს ხვალაც გასინჯავ და ქალი კი ეხლა დაათვალიერე. მიბრძანებ, მოვაყვანინო? (სულეიმანი თავს დაუქნევს) ოთარ-ბეგ, მოიყვანე შენი ქალიშვილი, დააყენე ყარაულები და შენც იქ დარჩი. ისახარ, გაჰყევი თან ქალიშვილის მოსაყვანად. (ოთარ-ბეგი და ისახარი მიდიან).

4

ზ ე ი ნ ა ბ ი - (სიჩქარით, ზაფრაატანილი) ეხლა ოთარ-ბეგი სიკვდილამდე გიერთგულებს. სიცოცხლეს ურჩევნია ის ქალი და ჩვენც ახლა გვეჭირვება ერთგული კაცები. საქართველო ლელავს.

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი - ალ-რაზაყი მოჰკლეს. მკვლელი დაუჭირავი დარჩა. რუქაია გაიქცა. საქართველო პლელავს. ყარა-იუსუბი სიკვდილით დაისაჯა.

ზ ე ი ნ ა ბ ი - სიკვდილით დაისაჯა? რათა?

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი - (თვალებში შეხედავს) ლალატისათვის, დედოფალო ზეინაბ!

ზ ე ი ნ ა ბ ი - (ტანჯულის სახით ეხვევა მუხლებზე) რაო? რას მიბრძანებ, ჩემო თვალის ჩინო! რად მიცქერი მანგრე მომაკვდინებელის შეხედულებით. ირგვლივ ლალატს უფრთხი და აღარას მიჯერი შენ მონასაც?.. დიალ, მონას, მონას და მთელს მის სიცოცხლეში მონას. მაგრამ მე ტყვეთ წაყვანილი მონა არა ვარ; არც ოქროთი ნაყიდი და არც წაჩუქარი... მე ვარ მონა შენი სასტიკი შემოხედვის, შენი ლომ-გულობის და რკინის ხელისა... (კილო მისის ლაპარაკისა უნებურად

იცვლება და მძულვარებითა და გულისწყრომით განაგრძობს) რა დაგიტოვებია ჩემთვის შენი თავის მეტი? შენ წამართვი შეილი, სამეფო... სარწმუნოება... (ცვლის კილოს) ერთადერთმა დაიმორჩილე და ამოფხვერი ყოლიფერი და მეც, როგორც მტრედი შევარდენს, გიძვრები ფრთებში და გეკვრი... საით უნდა გაგიფრინდე? ყოლიფერი შენ ბრჭყალებშია... ქენჯნე, ქენჯნე ყველა და ყოლიფერი, მაგრამ მე კი არა... (კიდევ გული ვერ უთმენს) ქენჯნე, სანამდე ეგ ბრჭყალები... (გავარდება მეხი) აჲ!

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი - რა გემართება?

ზ ე ი ნ ა ბ ი - (თავს შეიმაგრებს) შემეშინდა! გული დამელალა ტანჯვითა და შეზე ამდენი ფიქრითა... შევშინდი... ნუ მიყურებ მანგრე.

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი - სიყალებს გატყობ კილოზე!

ზ ე ი ნ ა ბ ი - (გულმოსული) მაშ, მომკალ და მოისვენე... ჩემ სიტყვაში კი ტყუილსა ხედავ და გარყვნილ რუქაის სიტყვა-პასუხში არა? ყარა-იუსუბის მოყიდული ხმა მართალი გეგონა? სულეიმან, მე კი არა, შენი სმენა გატყუებს შენა, შენი თვალები გატყუებენ. ვარსკვლავებს შავად უყურებ და შავი ლრუბელი კი ლამეს გინათებს. მომკალ, მომკალ! სიამოვნებით მივიღებ სიკვდილს, ოლონდ-კი შენ მოისვენე. ან გნამდეს ჩემი და ან მომკალ.

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი - (ცოტა დამშვიდებული, მაგრამ მოღვრე-მით) აქამდი სიკვდილი გვერდში მედგა, ჩემ წინ მიდიოდა და თვალებში შემოხედვას კი ვერ მიბედავდა, ეხლა კი მობრუნდა და პირის სახე მომაქცია. აქამდი ჩემ მტრებს ზურგს აქცევდა, ახლა კი მე მისი თხემი მიბერავს, როგორც ქაფთალის საყინულე. (ზეინაბი ისე უყურებს, თითქოს სიკვდილი შესცეკრის) ჩემი გზა გავლილი მაქვს, ის ისლამივით სასტიკი იყო და ქება-დიდება ანათებდა მას. მაგრამ წინასწარმეტყველი ბრძანებს: ვისიც კვალი ალჭურვილია ალლაჰის ფეხთა მტვერით, ის უფრო შორს იქნება განკითხვის დღეს გენიაზე, ვიდრე ის მანძილი, რომელსაც გაირბენს ფეხმარდი ცხენი ათასი დღის განმავლობაში. (შემოდის ოთარ-ბეგი, იმას შემოჰყება ისახარი და გაიანე პირბადით, მხოლოდ თვალებილა უჩანს).

5

ზ ე ი ნ ა ბ ი - (სიჩქარით მიადგება მათ) ყოვლის შემძლებელო! თავი დაანებე მაგ ფიქრებს. აბა, შემოხედე ამ მშვენიერებას. (ახდის პირბადეს და მიგვრის სულეიმანს. გაიანე გაფითრებულია, მაგრამ მრისხანე. ზეინაბი სიჩქარით შეხედავს ოთარ-ბეგს).

ოთარ-ბეგი – (ჩუმად) ჩვენებმა ციხის კარები დიჭირეს. ორბე-ლიანი გალავანშია.

ზე ინაბა – აბა, ერთი შემოხედე ამ თვალებს, ბატონო... მართალია, ახლა მრისხანებით კრთებიან... ჯერ გარეულია და დამფრთხალი... მაგრამ, როცა ვნება შემოაწვება, დაუსვენებს თვალებს... (ყური გარეთ უჭირავს და ისე განაგრძობს ლაპარაკს, თითქო არც კი ესმის, რას ამბობს) აი, ეს თმა, ეს ქალნულებრივი ტანადობა...

სულეიმან ნაბა – (ალერსით) ფადიშაჲი კმაყოფილი დარჩება.

გაიანე – (წერიალა ხმით) არასოდეს.

სულეიმან ნაბა – (ყურადღებას არ აქცევს) ზეინაბ, შენ მაგას თვითონ მიგრი ფადიშაჲი!

გაიანე – მკვდარს, არა ცოცხალს!

სულეიმან ნაბა – (ისახარს) გააცილე!

ისახარი – (უნდა ხელი მოჰკიდოს) წავიდეთ, ქალო!

გაიანე – ხელს ნუ მახლებ, მიჩვენე, სად არის ჩემი საპყრობილე.

ისახარი – გიჩვენებ. (მიჰყავს გაიანე).

## 6

სულეიმან ნაბა – ოთარ-ბეგ! მე კმაყოფილი ვარ შენი ერთგულების: თვითონ დედოფალი წაიყვანს შენს ქალს ისპაპანში.

ოთარ-ბეგი – შენი მოწყალება უთვალავია ჩემზე და ვეცდები, მეც გადაგიხადო.

სულეიმან ნაბა – შენ ხვალ უნდა გაფანტო ის ბრძო, ტფილისს რომ ეხვევა. წადი, ოთარ-ბეგ. (ოთარ-ბეგი მუხლს მოუდრევს და მერე მიდის მარჯვნოვ).

ზე ინაბა – რა ცუდი ტაროსია, ბატონო! სული მეხუთება, ძალ-ღონებ მისუსტა. ოჲ, რამდენი შავი ფიქრი და დავიდარაბა გადამხდა ამ დღეებში. (სულეიმან მეტებს მიჩერებია) რას უყურებ ამ ბნელ ღამეში?

სულეიმან ნაბა – გეშინოდეს მკვდრების და ცოცხლებს კი მოშორდი, მეტებში შედიო!

ზე ინაბა – (კანკალებს შეძრწუნებული) მეტებში? რათა? რომელ მკვდრებზე ლაპარაკო?

სულეიმან ნაბა – მე არაბეთის უდაბნოში გავიზარდე, სინდი და ჯებალი დავიძყარი, ჰინდუსის წმინდა წყლით გავიბანე. უმალ, სანამ კავკასის მიდამოებში ხმალი ისლამისა შემოვიტანე,

მიეჩვია ჩემი სული ჩურჩულს და აი, რას მეუბნებოდა: სულეიმან, შეიმოსე წვრილთვალა რკინითა, დაიხურე ჩაფხუტი და იშიშვლე ხმალი – მტერი ახლოს არის, მთებს ეფარება, ჩალამ-კალამში იფარება, უდაბნოს მტერები იგლაგნება და, სანამ მეც უბრალო მხედარი ვიყავ, ბურუსში ვხედავდი, მესმოდა გამხმარის ფოთლების შრიალი და მიმინოსავით თავს ვეცემოდი მტრებს. და ახლა კი, ამ ოცი წლის მოსვენებამ სულ დამადუნეს. ვგრძნობ უბედურობის მოახლოებას და არ ვიცი კი, საიდან არის. (მარცხნივ აივნიდან რუქაიას ხმა: „ლალატი, მეფევ, ლალატი!“ სულეიმანი იცნობს რუქაიას ხმას და გასწორდება გველ-ნაკბენით, მივარდება, ხელს სტაცებს ზენაბს).

სულეიმან ნაბა – ჰაი, შე გველო!

ზე ინაბა – გამოჩენილა! აი, აგერ! ჩემი დალუპვა უნდა (რუქაია შემოვარდება).

## 7

რუქაია – (ნაბადნამოსხმული) მოიგლეჯს ყაბალახსა. თმები ჩამოეფინება პირისახეზედ და მხრეზედ) მბრძანებელო! დროზე მოვედი და გადაგარჩინე... დედოფალმა გილალატა!

ზე ინაბა – (მხენობს, რომ დრო მოიგოს) ლალატი შენშია, უსირცხვილო მონავ! ცილისნამებით გინდა, რომ პირადი გარყვნილება დაფარო? სად არი შენი საყვარელი, ვისთან გაიქეცი ერთად?

რუქაია – (გაცოფებით) ჩემი საყვარელი? ჩემთან არის. (გაექანება აივნისაკენ და შემოჰკავს ერეკლე გაჩერებით) აი, ისიც!

ზე ინაბა – (განწირულის სასოწარკვეთილებით სცდილობს, რომ გამოუსხლტეს სულეიმანს ხელიდან, გაექანება შვილისაკენ და საოცარის ამოოხვრით ძირს ეცემა).

რუქაია – (სული ყელში ებჯინება) ეხლა ნუღარაფრის გეშინია, მბრძანებელო! მე უთვალყურე მელას... აქ ძლივს შემოვედი... ციხეს უთვალავი ბრძო ახვევია... ნიშნად „საბა-მეუდაბნოე“ აუღიათ... უამსიტყოდ... (ხმა უღალატებს).

სულეიმან ნაბა – ვინ არის ეს კაცი?.. (მიჩერებია და თანდათან უკან იხევს, თითქო ჩვენებას უფრთხისო) მკვდრები დგებიან!

რუქაია – არა, ეგ შენი ერთგული მოსამსახურეა. მაგან ყველა გასცა, მაგას უნდა აეფეთქებია მეტები, ეგ აიძულეს, მოატყუეს, რომ მეფის შვილია. მაგრამ მე დავაჯერე, რომ გამოქცეულიყო შენთან, მბრძანებელო, ყოლიფერი ეთქვა შენთვის, რისთვისაც შენგან საჩუქარს მიიღებდა...

## ლალატი

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი – (გონს მოვა, წასწვდება სასწრაფოდ ზეინაბს, გააჯავლარებს და წამოაყენებს ზეზე) ეს შენი შვილია?

ზ ე ი ნ ა ბ ი – არა!

რ უ ქ ა ი ა – (ერეკლეს) ხომ გესმის?

ე რ ე კ ლ ე – (გულმოსული) არა, მეფევ, მე ნაბიჭვარი ვარ, მიტომ მზრდიდნენ, რომ მერე დავეძუპეთ... მე მიგდებული ვარ... მე უნდა ზვარაკივით მაგათ ფეხ-წინ სისხლად დავწრეტილიყავ... ჩემს თავზე უნდა დეედგა ფეხი ოთარ-ბეგს და ისე ასულიყო შენ ტახტზე...

რ უ ქ ა ი ა – (გამოგლეჯავს ასაფეთქებელ პატრუქს) დახე, მფლობელო, აი, რა მიანდო შენმა ერთგულმა ზეინაბმა. შენი ბურჯი, ძლიერება – მეტეხი – ჰაერში უნდა აფეთქებულიყო, რომ მე არ მომესწრო და არ გადამერჩინა.

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი – ზეინაბ, მაღლა ვდგევარ! ჩემზე მაღლა მხოლოდ ღმერთია, ლალატი ჩემ ქვემოდ არის. ვინდა გიშველის თქვენ?

ზ ე ი ნ ა ბ ი – მეფე სულეიმან, ან რაღათ მინდა შველა. ხომ ჰედავ, ვინც გამყიდა... რაღათ მინდა გადარჩენა? (ერეკლეს წყნარად და გამოუთქმელის მწუხარებით) დიალ, შენ ჩემი შვილი არა ხარ, ვსტევათ, რომ მე შენი დაღუპვა მინდოდა... მაგრამ შენი სამშობლო? შენი მოძმები?.. წმინდა ჯვარი მაგ შენ შეჩვენებულ გულზე... წუთუ ეს ყველა გასცვალე მაგის უბრალო ალერსმი?.. მის წყალობაში, ვინც შენი ქვეყნის სისხლი დალია?.. იცი, რა ჩაიდინე? არა, უმჯობესია მოკვდე, სანამ გაიგებდე. იცი, რა ქმენ? მზე ამოსვლისთანავე ჩაქრედა და სამარადისო უკუნს მიეცი სამშობლო.

ე რ ე კ ლ ე – რუქაია! გონება მერევა... რუქაია! ეს სიმართლის ხმაა.

რ უ ქ ა ი ა – მე შენ დაგიხსენი, ყოვლის შემძლებელო!

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი – (სტებება ზეინაბის გათახსირებით) ზეინაბ! ეს არის შენი შურისმძიებელი. კარგი არჩევა გცოდნია! (კარგისაკენ) ეი, დარაჯებო! შეიძყარით ოთარ-ბეგი და ახლავე მომგვარეთ, დაჰკარით ნობათი... გასწყვიტეთ დედოფულის ჯვარი. (ხელჩართული ბრძოლაა სცენის უკან. საშინელი წივილ-კივილი ისმის. ჩარაჩეური იარაღისა).

ზ ე ი ნ ა ბ ი – (მიიჭრება ერეკლესთან) გადარჩი უკანასკნელ შეურაცყოფას. წადი იქ, სადაც შენი გულისათვის ჰკვდებიან. იმათ-თან ერთათ მოკვდი. რაღათ გინდა სიცოცხლე? ადამიანები არ გაპატიებენ, მაგრამ ქრისტემ, იმ შენგან გაყიდულმა, რომელმაც ავაზაკა შეუნდო... წადი! მოკვდი!

## ლალატი

ე რ ე კ ლ ე – (განწირულებით შეჰქივლებს) რუქაია!

რ უ ქ ა ი ა – (არც კი უყურებს) მპყრობელო, მე გადაგარჩინე!

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი – (სასტიკად) ზეინაბ! სახუმროდ არ გაუჩენია ღმერთს დედამიწა და ზეცა სათამაშოდ. ჯერ სანამდე მოკვდებოდე, უნდა ყოველივე ისევ ისე ნახო, როგორც გინახავს ამ ოცი წლის წინედ. მე ხელმეორედ შევადგები გულზე ცხენის ფეხებით შენ შვილს, მაგრამ ჯერ ხალხმა გაიგოს, რომ შენი შვილი გამყიდველია ხალხისა და დედის. მეტების სიმაღლიდან დაინახავ, როგორ დაინყებს სისხლი თქრიალს მის ფეხქვეშ. შენ შეგიყრია ჯარი და შენვე დაადებ მოკიდებულ პატრუქს ზარბაზნებს. (ფანჯარა განათდება საშინელის წითელის ალით. მოისმის ყურთნამდები აფეთქების გრიალი. სჩანს, როგორ ადის ჰაერში აფეთქებული ციხის ნანგრევები. სამინელი წივილ-კივილია და თოფ-იარაღის ჩახჩუხი. რუქაია გარბის განწირულის წივილ-კივილით).

ზ ე ი ნ ა ბ ი – ანანიაგ! ღმერთი იყოს შენი შემწე.

ე რ ე კ ლ ე – (მოიჭრება კარებთან) დედაჩემო! ცოცხალს ნუ შემინდობ. მაგრამ მკვდრისათვის კი ილოცე. (გარბის).

## 8

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი – (გაშეშებული შიშითა და ძრწოლითა, ეცემა კედელს, საცა თოფ-იარაღი ჰკიდია და სტაცებს ხელს დამბაჩას და ხმალს) ჩემსკენ, ჩემსკენ, ალლაპის მხედრები! (გაცხარებული ბრძოლა თითოეულ კარებში და აიგანზედ. აივნიდან შემოვარდება ხმალდახმალ დათო და ეცემა მისკენ გაქანებულს სულეიმანს).

დ ა თ ო – მგელო, გამოდი სოროდან რაღა! (გულდაგულ დაუტაკებიან მახვილით ერთმანეთს).

ზ ე ი ნ ა ბ ი – (ავანსცენაზე დაჩინებილი ამ შებრძოლების დროს) დედაო ღვთისა! შენს გამსჭვალულ გულს მივმართავ ლოცვით. მარტო მე მკითხე ცოდვა იმის მაგიერათაც, მე, მხოლოდ ერთადერთს... (დათო ჩაიგდებს ფეხქვეშ სულეიმანს, დააჭერს მუხლს მკერდზე. შემოცვივან: ორბელიანი, ტანმაღალი, მელოტი მოხუცი, სუმბათი, ჭაღარაშერეულის შავი წვერით, სხვა წინამძღოლები და გლეხები. მეუდაბნოე საბა შემოდის და ცალ ხელში კვერთხი უჭირავს და მეორეში – ამოღებული ხმალი. ამ დროს ზარის რეკა ასტყდება. მარჯვნივ შემოვარდება გაიანე და იმას ისახარი მოსდევს).

ყვირილი კარებში – ციხე ხელში ჩავიგდეთ! გარბიან! მიეშველეთ დედოფალს! სულეიმანი სად არის? სიკვდილი სულეიმანს!

გაიანაცია!

დათო – (გაძაგრული ჰყავს სულეიმანი მუხლქვეშა) სარდლებო! ხომ ხედავთ მუხლქვეშა მყავს!

ისახო – გასრისე ისე, როგორც მაგან შენი ძმა გასრისა. გასრისე ისე, როგორც მაგან შენი ქვეყანა გასრისა. (მიუახლოვდება სულეიმანს) ხედავ ახლა მკვდარ ბალდს, უძლეველო სულეიმან, მისი ძმის მუხლი გულზე გეჭირება ისე, როგორც შენი ცხენის ფეხები აჭერდენ მაგის ძმას, უძლეველო სულეიმან! (გამოპგლეჯს ხანჯალს იქვე მდგომ მხედარს) დაე, შენმა სისხლმაც ისე დაიწყოს თქრიალი, როგორც იმისი თქრიალებდა, უძლეველო სულეიმან! (მოუღერებს ხანჯალს ჩასაცემად).

ისაბა – (ხელსა სტაცებს) შეჩერდი! ვის აქვს უფლება თავისი მსჯავრი დასდოს იქ, სადაც თამარ-დედოფალია! ჭაბუკო, აუშვი! ახლა ეგ საშიში აღარ არის! (დათო აუშვებს, ომი წყნარდება. სულეიმანს იჭერენ).

ორბელიანი – (მხარზე ხელს ადებს სულეიმანს) მე, ორბელიანი, ჩამომავლობითი მხედარმთავარი მეფის ჯარისა, ხელს გადებ და გყრი იარაღს.

სუმბათი – (მოჰქმდის დოლბანდს) მე, სუმბათი, რომელსაც ჩამომავლობითი უფლება მქონდა, დამეგვირგვინებია ხოლმე მეფეები, ვგლევ თავიდან დოლბანდს აგაზაკს და მანანნალას და ვადგამ ასე ფეხს. (ფეხს ადგამს დოლბანდს).

ხალხი – დააბრმავეთ, ლუქმა-ლუქმა აქციეთ ონავარი-მხეცი! (სულეიმანი სდგას, ზეცისკენ თვალებაპყრობილი).

ისაბა – (ჩამოეფარება, ხმამაღლა) რას შვრებით, ადამიანებო! მეფე და დედოფალი გადასწყვეტენ მაგის ბედს.

ხალხი – გაასამართლე, დედოფალო! ღმერთმა დიდხანს გვიცოცხლოს გიორგი!

(ოთარ-ბეგს, დაჭრილს და ლონემიხდილს, სხვებთან ერთად შემოაქვს სასიკვდილოთ დაჭრილი ერეკლე).

ოთარ-ბეგი – (ბარბაციო) დედოფალო... შენი შვილი მოკლულია. (ერეკლეს დედოფლის წინ დაასვენებენ. დედოფალი არც კი უყურებს შვილს, სიჩუმე ჩამოვარდება).

ზენაბი – გმადლობ შენ, უფალო!

ერეკლე – შემინდევ... დედავ... (კვდება).

ზენაბი – (დაიხრება ხმაამოუღებლივ მისის გვამის წინაშე, დიდხანს დაჟყურებს. მერე ნელ-ნელა წამოდგება, მიდის სულეიმანთან, მის წინ გაჩერდება და თვალს თვალში გაუყრის).

სულეიმანი – (თავალებული მალლა იყურება) ძლევა შენია, ზეინაბ! უბრძანე, რომ მომკლან!

ზენაბი – შენ უნდა მოგალან? მერე და, შენ კი მომკალ მე, როცა მაჯობე? წვეთ-წვეთათ გამომწვე სული, რჯული და პატიოს-ნება. ოცი წლის განმავლობაში მსრესდი და შეურაცყოფას აყენებდი ჩემ ხალხს და ჩემ ღმერთს და ახლაც, როცა დადგა სანეტარო დრო ძლევისა და სიხარულისა, მე, დედოფალი, კიდე ვიწვი სირცხვილითა და შეურაცყოფით. მხოლოდ ერთადერთი ვარსკვლავილა მინათებდა უკუნს (მოთქმა წასადება). ერთ რამეს ვსთხოვდი ღმერთს ძილგატეხის დროს... შურისმაძიებელი იზრდებოდა უდაბნოში, როგორც გლახაკი, და მე წინედ ვხედავდი იმ საათს, როცა იმის ფეხებეშ დავეცემოდი და ისიც გამასამართლებდა ტყუილის და სირცხვილისათვის. ის იქნებოდა ჩემი სამშობლოს მხსნელი, მეფე მთელი ხალხისა, გამბედავი და წმინდა... და შენ.. შენმა გარყვნილმა ჰარამხანამ... შენმა ისლამმა... დამმონებელმა და შეუბრალებელმა... (ხმა ჩასწყდება) წამართვეს მე უკანასკნელი ნათელი... დამინელეს უკანასკნელი ვარსკვლავი და ყველა ამისათვის მარტო სიკვდილი დაგაჯერო შენ? ხალხო და ჯამაათო, ამდენ ჩემ ტანჯვისათვის მაჩუქეთ ამისი სიცოცხლე. (ხმა დრტვინვისა) ხალხო და ჯამაათო, შური იძიეთ თქვენი დედოფლის გულისთვის, მაგრამ სიკვდილით კი არა, არც ტანჯვით. რა უნდა იყოს სიკვდილი და ტანჯვა მტარვალისათვის. არა! ეგ უძლეველი, ეგ ამპარტავანი ცოცხლად მიუგდეთ დამდაბლებული და ძალმიხდილი თავის უფროსს, უღელდადგმული მიეცით ხელში მტრებს. დე, ნუ

## ლალატი

გაიზიარებს დღეს აქ დახოცილთა დიდებას! დეე, შერცხვენა, მონობა და თავლაფრდასხმა მიეზღოს ნაცვლად ჩემის შერცხვენისა, თქვენის მონობისა და ამის ასე უსახელო სიკვდილის მაგიერ (ანიშნებს შვილის გვამს) დღეს მოკვდა თქვენი მეფე... შვილი ჩემი... ჩემი ძე. (საერთო დროშინვაა).

ს უ ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი – შენი შვილი მოლალატე...

ზ ე ი ნ ა ბ ი – (მედიდურად) ჩუმად, მონავ! ჩამომავლობითი დედოფალი ორ ატყუებს თავის ხალხს. სარდლებო და ხალხო! ეს მკვდარი ახალგაზრდა ჩემი და თქვენი მეფის შვილი იყო – გვილალატა, მართალია, მოტყუებული იყო, მაგრამ მაინც ლალატი იყო მისი ლალატი. მე ვუპრძანე, რომ სიკვდილით გამოეყიდნა თავისი შეცოდება და კიდეც მოკვდა. და, დეე, დმერთმა ორივე ერთათ გაგვიკითხოს. (ჩაიცემს ხანჯალს. საზოგადო ხმა არის და შემდეგ ჩამოვარდება სიჩუმე).

ს ა ბ ა – განისვენეთ მშვიდობით, სიკვდილითა ცოდვის დამთრგუნველო! უფალი მიგელისთ.

ფ ა რ დ ა

1905 წ. 14 აპრილი

ჰენრიკ სენკევიჩი

კიდევ ჟეალ,  
უთალთ?

დრამა 5 მოქმედებად და 7 სურათად

**მოძრავი პირები:**

ნერონ – კეისარი.

კაიუს პეტრონიუს.

მარკუს ვინიციუს – ტრიბუნი და დისწული პეტრონიუსისა.

ხილონ ხილონიდი – ბერძენი.

ფაბიუს – მოხუცი, ქრისტიანობის მქადაგებელი.

გლავკუს – მოხუცი 50 წ. ქრისტიანი.

აბლი პლავტუს – მხედართმთავრად ნამყოფი, ღრმა მოხუცი.

ურსი – ლიგიელი.

ტიგელინი – პრეტორიანელების პრეფექტი.

კროტონ – გლადიატორი.

კონსული – მებლი რეგული.

ტულიოს.

ვესტინოს.

დომიციოს აფრი.

ვიტელოს.

ვატანიოს.

ლუკანი – მგოსანი.

სუბრი ფლავიოს.

სულპიციოს ასპერი.

ათანიოს კვინტიონ } პეტრონიუსის მეგობრები.  
პლავტოს ლატერანი }

ტულა.

პატარა აბლუს.

კაიოს გასტა – ცენტურიონი.

ტევრეზიუს – ზედამხედველი პეტრონიუსის ატრიუმის.

ქალაქის პრეფექტი.

ნაზარიუს ექიმი.

განთავისუფლებული მონა.

ახალგაზრდა.

მოხუცი.

მჭედელი.

ვაჭარი.

მათხოვარი.

მაწანწალა.

პრეტორიანელი.

1-ლი და მე-2 ცენტურიონი.

პომპონია გრეცინა – აბლი პლავტუსის ცოლი.

ლიგია – ახალგაზრდა ქალი, მისგან გასაზდელად აყვანილი.

ევნიკა – ბერძნის ქალი, პეტრონიუსის მონა.

პომპეია.

აქთეია – ნერონის ნასაყვარლევი.

ქრიზოტემიდა.

კალვია კრისპინილლა.

ნიგია.

დედაკაცი.

1-ლი  
მე-2 } ქრისტიანის ქალები.  
მე-3 }

ნერონის დაახლოებულები. სირიელი მოთამაშე ქალები. ხალხი. მცველები.

პრეტორიანელები. ქრისტიანების ქალები და კაცები. ბავშვები. მკითხავები.

მოქმედება სწარმოებს რომში, ქრისტიანების დევნის დროს, ნერონის ხელში.

სურათი მეორე (პირველი მოქმედების) შეიძლება გამოიტოვოს წარმოდგენის დროს.

## ვიდრე ხვალ, უფალო?

### მოქმედება პირველი

#### სურათი პირველი

##### პირები:

ა ბ ლ ი პ ლ ა ვ ტ უ ს.  
პ ი მ პ ი ნ ი ა გ რ ე ც ი ნ ა.  
ა ბ ლ ი – მათი პატარა შვილი.

ლ ი გ ი ა.

უ რ ს ი.

კ ა ი უ ს პ ე ტ რ ი ნ ი უ ს.  
მ ა რ კ უ ს ვ ი ნ ი ც ი უ ს.  
კ ა ი გ ა ს ტ ა.  
პ რ ე ტ ი რ ი ა ნ ე ლ ი.

აბლი პლავტუსისას. ბალი. კვიპაროზის ხეები. მრავლის უმრავლესი ყვავილები; მომეტებული ზამბახია. შუაგულ ბალში შადრევანი ჰაუზით, რომელიც ირგვლივ ზამბახებითაა შემოკრული. ერთგან დგას ბრონზის ირემი, კისერმოლერებული, თითქოს წყლის დალევას აპირებს. მარჯვნივ ჰავანი, ბალში ჩასასვლელ მარმარილოს კიბით. მარცხნივ და შუაგულში მარმარილოს დიდი სკამლოგინები. მოქათქათე მზიანი დღეა. მოქმედების დასასრულს მზეც ჩადის.

#### გამოსვლა პირველი

სცენაზე არიან: ლ ი გ ი ა, პატარა ა ბ ლ ი და მერე უ რ ს ი

ლ ი გ ი ა – (მაღლა აიღებს დიდ ბურთს) აბა, დაიჭი!

ა ბ ლ ი – (გაშლის ხელებს) გადმოაგდე!

ლ ი გ ი ა – (იცინის) რად პარჭყავ მანგრე ხელებს? შუბლში მოგხვდება.

ა ბ ლ ი – აბა, არ გცოდნია ბურთის გადმოგდება.

ლ ი გ ი ა – არა, მე კი ვიცი, მაგრამ შენ არ გცოდნია დაჭერა.

ა ბ ლ ი – თუ არ გცოდნია და ნახავ! გადმოაგდე! რაღას უყურებ? ამდენი ხანია ვუცდი. დავიღალე.

ლ ი გ ი ა – (გადაუგდებს ბურთს) აბა, ე, დაიჭი! (აბლი ვერ დაიჭერს. ბურთი გაგორდება და აბლი მისდევს. ლიგია იცინის) აი, ვერ დაიჭირე! არ იცი დაჭერა... (ურსი შემოდის).

## ვიდრე ხვალ, უფალო?

### გამოსვლა გაორე

უ რ ს ი – (ლიმილით) პატარა აბლი ჯერ მარჯვეთ ვერ იჭერს ბურთს.

ა ბ ლ ი – დიდმა ურსმა კი სულაც არ იცის ბურთაობა...

უ რ ს ი – ურსმა იცის, მაგრამ პატარა აბლი სულ არ ასევენებს და ანვალებს, ურტყამს, ლახავს და ურსიც მალე მოყვება ტირილს ქალივით.

ლ ი გ ი ა – საბრალო ურს! მართლა ტირილს აპირობ? ნუთუ პატარა აბლს არ ებრალები?

ა ბ ლ ი – (მივარდება ურსს) ნუ იტირებ, ჩემო ურსო! შენთან ვიბურთავებ და ნებასაც მოგცემ, რომ მხარზე შემისვა. თუმცა ძალიან მაღლა კი ვიქენები და საშიშია.

უ რ ს ი – ტყუილს ამბობს პატარა აბლი, იმას უყვარს მაღლა ჯდომა და ჩემი ულვაშების წვალება...

ა ბ ლ ი – (ეშმაკურად იღიმება) ჩამოვარდნის მეშინია და ულვაშებში მიტომ გახლებ ხელს.

უ რ ს ი – (ემუქრება ხუმრობით) უჳ, რა ეშმაკი ხარ, აბლი...

ა ბ ლ ი – ეშმაკი კი არა, სალდათი ვარ და მინდა, რომ ცხენზე ჯდომა ვისწავლო.

უ რ ს ი – (შეიგდებს მხარზე) მაშ, შეჯექი და გახედნე ცხენი...

ა ბ ლ ი – გასწი... (ურსი გარბის. ლიგია უკან მიჰყვება) გაჩერდი! ლიგია, მეც გამეზრდება ურისისთანა ულვაშები?

ლ ი გ ი ა – რასაკვირველია, როცა შენც გაიზრდები.

ა ბ ლ ი – რა თქმა უნდა, რომ მე ურსზე უმაღლესი ვიქენები. ახლა კი გასწი. ლიგია, აბა, დაგვეწიე...

ლ ი გ ი ა – ცხენი რომ არა მყავს? (მოეფარებიან სახლს).

(ცოტა ხნის შემდეგ შემოდიან პეტრონიუს და მარკუს).

#### გესამა გამოსვლა

მ ა რ კ უ ს – ქუჩებზე ხალხი ისე გეგებებოდა, როგორც კეისარს.

პ ე ტ რ ი ნ ი უ ს – როგორც არისტოკრატია და ესტეტიკოსს, მე ეგ ხალხი მეზიზღება. აბა, რა ადამიანია ის კაცი, რომელიც მოხალულ ცერცვის სუნითა ჰყარს და „მორუს“ თამაშით ხმა ჩახრინული აქვს. მაგრამ დავანებოთ თავი ამას. შენ ეს მითხარი: რისთვის

## ვიდრე ხვალ, უფალო?

მოვსულვართ ამ ახირებულ ოჯახში, სადაც მეკარეც კი არა სდგას ბალის კარებთან!

მ ა რ კ უ ს – ბატონი ბძანდები. ცხენიდან რომ გადავარდი და ხელი ვიღრძე, მაშინ აქ შევიფარე თავი. რამდენიმე ღლე ამ სახლში ვსცხოვრობდი. პლავტუსმა დიდი სტუმართმოყვარეობა გამინია და მისმა მკურნალმაც გლავკუსმაც ხელი გამისწორა და მომარჩინა.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – და ხელახლა რა გიზიდავს, რომ მოდიხარ? პომპონია ხომ არ შეგყვარებია? მაშინ კი სწორეთ მეცოდები: ახალ-გაზრდა აღარ არის და თანაც მეტისმეტი კეთილმომქმედი. ბრრრ...

მ ა რ კ უ ს – ხა! ხა! ხა! სულაც არა!  
პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – მაშ, ვინ არის?

მ ა რ კ უ ს – ლიგიას ეძახიან, რადგანაც ლიგიელთ ჩამომავ-ლობისაა. რამდენიმე ღლე ვიცხოვრე ამ სახლში და ვერც კი წარ-მომედგინა, რომ აქ ბინადრობდა თვით ღვთაება ახალგაზრდა ქალის სახით. ერთ დილას უცაბედად წავესწარი, რომ ტანს იპანდა ბალის შადრევანქვეშ. გეფიცები იმ ქაფს, რომლიდანაც აფროდიტა გამოვ-იდა, რომ ცისკრის სხივები ტანში უძვრებოდნენ და მეც მეგონა, რომ ამომავალი მზე ისე გაქრებოდა მის შუქში, როგორც ცისკრის ვარსკვლავი ჰქონდა მზისაში.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – მაშ, ეტყობა, რომ ძალიან გამჭირვალი ყოფილა.

მ ა რ კ უ ს – პეტრონიუს! ნუ მეხუმრები, ხუმრობის გუნებაზე არა ვარ.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – კარგი, ბატონო, გავჩუმდები.

მ ა რ კ უ ს – მას უკან კიდევ ორჯერ ვნახე, მისი ხელში ჩაგდების სურვილმა ამიტანა.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – მაშ, იყიდე, თუ მონაა.

მ ა რ კ უ ს – ლიგიელთ მხედართმთავარის ქალია, რომში მძევლად დატოვებული. პომპონია გრეცინას შებრალებია ბავშვი და გამოუზ-დია. ახლა ხომ ხედავ, მისთანა სახლშია გამოზდილი, სადაც ბატონე-ბიდან დაწყებული ქათმებამდინაც კი ყველა ქველმომქმედია. რაღა თქმა უნდა, რომ გრეცინას გაზრდილიც ქველმომქმედი იქნება, და, რაც შეეხება სილამაზეს, პომპეია იმასთან ისე გამოჩნდება, როგორც შემოდგომის ლელვი გისპერიელ ვაშლთან.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – შედარება არ არის უხიაგო! მერე რა გინდა ჩემგან?

მ ა რ კ უ ს – მინდა, რომ ლიგია ხელში ჩავიგდო. მინდა, რომ ამ მკლავებით გულ-მკერდზე მივიპყრა და მისის სუნთქვით ვისუნთქო...

## ვიდრე ხვალ, უფალო?

მინდა, რომ სახლში მყავდეს მანამდე, ვიდრე ჩემი თმა ისე თეთრი არ შეიქმნება, როგორც სარაკითის მთის მწვერვალი ზამთარში.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – რა უნდა გითხრა, ჩემო კარგო მარკუს! თუ გვინია, რომ მე შემიძლია გავაწყო რამე პლავტუსთან, მე მზათ ვარ, მაგის უარს როგორ გეტყვი!

მ ა რ კ უ ს – მე მგონი, რომ შეგიძლიან. ერთი, რომ გავლენა გაქვს მასზე და მეორე კიდევ, მჭერმეტყველი ხარ...

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – სცდები ორივეში...

მ ა რ კ უ ს – მთელი რომი აღტაცებულია შენი ჭკუითა და გემოვნებით და მიტომაც გინოდა: „არბიტერ ელეგანტი“.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – აი, შე პირმოთნევ... (სახლიდან გამოდის პლავ-ტუსი).

## გამოსვლა მეოთხე

პ ლ ა ვ ტ უ ს – ლიგია! აბლო! სადა ხარ?

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ტსა... (თავს უკრავს პლავტუსს).

პ ლ ა ვ ტ უ ს – (გაოცებით) პეტრონიუს... მარკუს...

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – პეტრონიუსი და მარკუსი მონიწებით მოი-კითხავენ აბლი პლავტუსს. ნურა გიკვირს-რა, უძლეველო მხედ-ართმთავარო, მე ნება მივეცი ჩემს თავს, რომ გამოვცხადებული-ყავი მარკუსთან ერთად, რათა მადლი გადაგიხადოთ, როგორც შენ, ისე კეთილშობილ პომპონიასაც, იმ სტუმართმოყვარეობისთვის, რომელიც მიგიძლვნიათ ამ სახლში ჩემი ავადმყოფი დისწულისათვის.

პ ლ ა ვ ტ უ ს – მოხარული ვარ, რომ ძვირფასს სტუმრებსა ვხე-დავ ჩემ სახლში. და, რაც შეეხება მადლობას, მე თქვენგან პირიქით დავალებული ვარ, რომ მადლი გადაგიხადოთ.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ცხადია, ეგ რაღაც დავალება ჩემის მხრით უბრალო რამ უნდა იყოს, რომ არც კი მახსოვს.

პ ლ ა ვ ტ უ ს – მე ძალიან პატივისა ვსცემ და მიყვარს ვესპასიანი და შენ კი იგი სიკვდილს გადაარჩინე. გახსოვს, რომ დაიძინა, როცა კეისარი თავისს ლექსებს კითხულობდა!

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ნეტავ იმას, რომ ის ლექსები არ გაუგონია... მაგრამ ვერ დავიფიცავ, რომ უბედურობაც მოსალოდნელი იყო. ჩვენ ნითელწვერას ცენტურიონი უნდოდა გაუგზავნა ვესპასიანთან, რათა მას თავისი ძარღვები გაეხსნა.

## ვიდრე ხვალ, უფალო?

პ ლ ა ვ ტ უ ს – მაგრამ შენ, პეტრონიუს, საცინლად აიგდე.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – დიახ, მე მოვახსენე, რომ თუკი ორთეოსი მისის სიმღერით მხეცებს აძინებდა, შენ უფრო ძლიერი ყოფილხარ იმაზე, რომ ვესპასიანი დააძინებ-მეთქი.

პ ლ ა ვ ტ უ ს – და მაგით კიდევაც გადაარჩინე სიკვდილს ჩემი მეგობარი. (სახლიდან გამოდის პომპონია).

## გამოსვლა მახუთა

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ჩემი პატივისცემა კეთილშობილ პომპონიას. (მარკუსი თავს უკრავს).

პ ო მ პ ო ნ ი ა – პატივი და დიდება პეტრონიუსს და შენ, მარკუს! რა ბედნიერ შემთხვევას უნდა მივაწერო თქვენი ჩვენსა მობრძანება?

მ ა რ კ უ ს – პეტრონიუსს ჰსურს, მადლი გადაგიხადლოსთ იმ გულითად მზრუნველობისათვის, რომელიც თქვენ ჩემზე გამოიჩინეთ.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ჩემდა წილად, მეტად ძვირათ მაქვს ხოლმე შემთხვევა შენი ნახვისა, კეთილშობილო პომპონია! ვერსად შეგხვდები ხოლმე, ვერც ცირკში და ვერც ამფიტეატრში.

პ ო მ პ ო ნ ი ა – რაღა დროს ჩვენი აქეთ-იქით სიარულია. ჩვენ დავბერდით და თავი მივეცით შინაურ მყუდროებას.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – მართლა რომ ადამიანები მალე ბერდებიან, ისეთნი, რომელნიც სულ სხვანაირად სცხოვრობენ, მაგრამ არიან მისთანებიც, სატურნოს რომ სრულიად ავინყდება... (სცენის იქიდან მოისმის ლიგიას ხარხარი და აბლის ყვირილ-კიუინი) ო, ღმერთებო, რა უდარდელი სიცილია... ჩვენ დროში ამისთანა მხიარული სიცილი იშვიათია.

პ ლ ა ვ ტ უ ს – ეს ჩემი პატარა აბლუსი და ლიგია თამაშობენ ბურთს, და, რაც შეეხება სიცილს, მე გამიგონია, მთელი შენი სიცოცხლე, პეტრონიუს, სულ სიცილია.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – მართლა რომ, სიცოცხლე სასაცილოა და მეც მიტომ ვიცინი, მაგრამ ეს სიცილი კი აქ სულ სხვა კილოთია და სხვანაირი.

მ ა რ კ უ ს – მაგრამ შენ, პეტრონიუს, დღე კი არა, ღამ-ღამობით იცინი ხოლმე... (სცენის გარედან სიცილი და ხმა მოისმის ლიგიასი: „აბლუს! აქეთ! აქეთ! გამომიდექ, დამენიე“. ლიგია უცბათ გამოიჭრება სცენაზე და მარკუსს და პეტრონიუსს რომ დაინახავს, შეჩერდება დარცხვენილი, უკან მოსდევს აბლი და, უცხოებს რომ დაინახავს, შეკრთება და მივა დედასთან).

## ვიდრე ხვალ, უფალო?

### გამოსვლა მახუთა

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – (წამოდგება და ლიგიას მიმართავს ლექსით):

თუ ცის მპყრობელი ღმერთაგანი ხარ, მაშინ გვაგონებ არტემიდასა, თვალ-ტანადობით სწორუპოვარსა, მოცისკროვანე ცის დასთა-დასსა. და თუ ამ ქვეყნის ხარ შენ ასული და შენც მოგელის საფლავი ბნელი, კურთხეულ იყოს შენიანები, დები და ძმები, შემქმნელ-მშობელი. (ლიგია ყურს უგდებს შემკრთალი. მერე კი იმასაც მოუნდება პასუხი). ლ ი გ ი ა – (ჩამოართმევს შაირს და განაგრძობს):

ჰე, მოგზაურო, გეტყობა, რომ ხარ დიდებულ გვარის ჩამომავალი... შენს მიხერა-მოხერას და სიტყვა-პასუხს, რომ დამჩნევია ზრდილობის კვალი. (დარცხვენილი გარბის).

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – (გაოცებული) ეჰე, პომეროსი შეუსწავლია...

პ ლ ა ვ ტ უ ს – ვაჟიშვილის მასწავლებლად შინ ბერძენი გვყავს და ეგეც ყურს უგდებს ხოლმე. კარგი გოგოა და ჩვენც ძალიან შევითვისეთ ორივემ.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – მე, როგორც მშვენიერების თაყვანისმცემელს, შემიძლიან ვსთქვა, რომ მაგის ქანდაკის ქვეშ უნდა მოაწეროს კაცმა: „გაზაფხული.“ ახლა კი მესმის თქვენი შინიდან გამოუსვლელობა, ქალბატონი! ვისაც ამისთანა შვილები ჰყავს, ის, რასაკვირველია, შინ ყოფნას ამჯობინებს პალატინების ყოველგვარ ლხინებს და ცირკებში სანახაობას.

პ ო მ პ ო ნ ი ა – დიახაც.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – თქვენ სახლშივე გაგიმართავთ სულ სხვაგვარი ქვეყნიერება, რომელიც არ ჰყავს იმას, რომელსაც ნერონი ჰულობს.

პ ო მ პ ო ნ ი ა – ქვეყანასა ჰულობს ღმერთი და არა ნერონი!

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ააა! სჩანს, რომ ღმერთები გრწამს, პომპონიავ.

პ ო მ პ ო ნ ი ა – მრწამს ერთი ღმერთი, მართალი, ყოველგან მყოფი და ყოვლის შემძლებელი.

## ვიდრე ხვალ, უფალო?

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ნეტავი შენ, რომ ერთი მაინცა გრწამს და მსხვერპლსა სწირავ! ჩვენი ღმერთები დიდი ხანია, რაც მხოლოდ რიტორიულ ფიგურებად გადაიქცენ. საზოგადოდ, ცხოვრება მოსაწყენია. რა უნდა ქნას კაცმა? სამხედრო სამსახური არ მიყვარს, რადგანაც ბამბის კარავში ფრჩხილები უფუჭდება კაცს და ვარდის ფერსა ჰკარგავს. დავინც ლექსების წერა?.. მეზიზღება მას შემდეგ, რაც ნერონი სწერს. მაგრამ ეჲ, უკაცრავად, გადავჰყევი ლაპარაკსა და მე და მარკუს თქვენს სტუმართმოყვარებას ძალას ვატანთ.

პ ლ ა ვ ტ უ ს – რასა ბრძანებ? ჩვენ დიდათ მოხარულნი ვართ, რომ ამ სიბერის დროს არ დაგვივინებეთ ჩვენს მიყრუებულობაში და მობრძანდით ჩვენსა.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ნუ ირჯებით გაცილებას. ჩვენ ბალის კარებით გავალთ, სადაც პალანქინი გვიცდის წასაყვანად. ღმერთები იყვნენ თქვენი მფარველი. (ეთხოვებიან და მიდიან).

პ ო მ პ ო ნ ი ა – აბა, დროა გაკვეთილები გაიმეოროთ! აბლო, წავიდეთ!

ა ბ ლ ი – არა, დედა, ის აჯობებს, რომ ჩვენთან დარჩე აქ და ღმერთზე მესაუბრო.

პ ლ ა ვ ტ უ ს – (საყვედურით) პომპონია...

პ ო მ პ ო ნ ი ა – (მწუხარედ) ეჲ, ბავშვის გული უფრო მალე ითვისებს დიად მცნებას, ვიდრე სიბრძნე მოხუცი მხედრის, ჩემი ქმრის (გადის).

(ცოტა ხნის შემდეგ კიდევ შემობრუნდებიან მარკუს და პეტრონიუსი).

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ბებრები შეძრენ სოროში; ნუ ჰკარგავ ამ მარჯვე შემთხვევას, ეშურვე, სიყვარულის ღმერთი ხელს გინყობს. ვფიცავ ხარიტას თეთრ კანჭებს, მე მომწონს შენი არჩევანი. ნამდვილი ცისერის ვარსკვლავია, ვარდისფერი თითებით. იცოდე, რომ მე აღტაცებაში არ მოვყავარ შენს ფერმიხდილ სელენას, მაგრამ შენ შეგვეარებია თვით დიანა და ამ სიყვარულისათვის პლავტუსიცა და პომპონიაც მზათ არიან, გაგლიჯონ ისე, როგორც ძალებმა გაგლიჯეს მონადირე აქტეონი.

მ ა რ კ უ ს – მზად ვარ, რომ სული ამოვაძრო ორივე ბებერს, ოლონდ კი ის წავიყვანო როგორმე ჩემს სახლში. ამალამ მთელი ლამე არ დამეძინება. ვუბრძანება, რომელიმე ჩემი მონათაგანი წამოაქციონ და სცემონ, რომ მისის ტანჯვეითა და კვნესით შევიმსუბუქო ჩემი ტანჯვა.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – დამშვიდდი! შენ ისეთი სურვილები გაქვს, თითქმ მეხორცე ვაჭარი იყო და არა ტრიბუნი. შენ აქ დარჩი და მე წავალ, რომ შენთვის გზადაგზა გამოვიგონო რამ.

## ვიდრე ხვალ, უფალო?

მ ა რ კ უ ს – მადლობელი ვარ. ნუ მოგეშალოს ფორტუნის წყალობა. საით უბრძანებ, რომ აქედან წაგიყვანონ?

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ერთ წუთას კეისრისაკენ შეუხვევ და მერე კი ქრიზოტემიდასთან წავალ.

მ ა რ კ უ ს – ნეტავი შენ, ვინც გიყვარს, შენია კიდეც.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – მიყვარს? არა! მე მხოლოდ თავს ვიქცევ და გულს ვაყოლებ იმაზე, თუ როგორ მღალატობს. ერიპა! კარგი აზრი მომდის... გამოვნახე საშუალება: ხვალ შენი ღვთაებრივი ლიგია შენ სახლში იქნება.

მ ა რ კ უ ს – შენ... კეისარზე უძლიერესი ხარ...

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – სასუ! ის არის: აბა, შეამოწმე შენი მჭერმეტყველება. მე მივდივარ. ბედნიერი ხარ, ჩემი ქრიზოტემიდა შედარებით შენ ლიგიასთან ბებერია, ძველია, ისე, როგორც ტროადა (მიდის). (მემოდის ლიგია. რტო უჭირავს ხელში).

ლ ი გ ი ა – მარკუს... შენა ხარ...

მ ა რ კ უ ს – დიახ. მე აქვე დავრჩი, რომ ერთი კიდევ შემომეხედა შენთვის და შენი საოცნებო პირიდან გამეგონა რამე. დაჯექ.

ლ ი გ ი ა – უნდა წავიდე, აბლი და პომპონია მიცდიან... მომიტევეთ...

მ ა რ კ უ ს – ნუ მიდიხარ. ერთი წუთი მაინც მაჩუქე... გეხვეწები. (ხელს ჰყიდებს) ნუ მიხვალ... (მოისამს გვერდით).

ლ ი გ ი ა – არ შემიძლია... მეშინია... გამიშვი...

მ ა რ კ უ ს – გამიგონე! მთელი ჩემი სიყმანვილე ბრძოლის ველზე გავატარე. არ გამომიცდია არც ცხოვრება, არც სიამოვნება და არც სიყვარული. მე ყოველთვის მარწმუნებდნენ, რომ ჩვენი ქვეყნიური ბედნიერება ჩვენგანვეა დამოკიდებული, მაგრამ მე მრნამს, რომ ეს ასე არ არის. მე მგონია, რომ არის სხვა რამ უმაღლესი ბედნიერება, რომელიც ჩვენს ნება-სურვილზე არ დადის და იმ ბედნიერებას გვანიჭებს მხოლოდ სიყვარული. მე ჯერ არ გამომიცდია სიყვარული. ვეძებ კი და ველი იმ ღმერთების მოციქულს, რომელიც მომანიჭებს სიყვარულს და მომაფენს გაუთვალისწინებელ ბედნიერებას.

ლ ი გ ი ა – მარკუს! რად მეუბნები მაგაებს ყველას. მე ჯერ სრულიად არ ვიცი ცხოვრება... და არც არა მესმის-რა შენი. ბედი მე ჩემებურად მესმის: ის არსებობს საზოგადო ძმურ სიყვარულში და მახლობელთა შემწობაში... შენ კი მხოლოდ შენს თავზე ლაპარაკობ.

მ ა რ კ უ ს – მე სხვებს რას დავეძებ! გამიგონე, ლიგია! მე შემიძლია სხვებზე მეტად შეყვარება. სიმდიდრე, სახელი, უფლება ესენი ყველა სიღარიბეა და წარმავალი კვამლი. მდიდარი შეხვდება

## ვიდრე ხვალ, უფალო?

თავის თავზე უფრო მდიდარს, სახელოვანი იპოვის უსახელოვანებს, შემძლებელი – უფრო მეტის შემძლებელს და სხვანი... მაგრამ თვით კეისარს, ანუ რომელიმე ღმრთთაგანს, შეუძლია უფრო ბედნიერი იყოს იმ უბრალო მომაკვდავზე, როცა მის გულ-მკერდზე ჰსუნთქავს ძვირფასი გული და ანუ როცა ის ჰკოცნის საყვარელ ტუჩებს?.. რას გაჩუმებულხარ!

ლ ი გ ი ა – რა უნდა გითხრა? ჩემთან ჯერ მაგრე არავის არ ულაპარაკნია. მე შენს სიტყვებს ყურს ვუგდებ, როგორც შორეულ მუსიკას, სმენას რომ ატკობს. ვსტკბები, მაგრამ იმავე დროს კი გული მეხუთება. სულ რაღაც გამოურკვეველი შიშით. არა, მაგრე ნუ მელაპარაკები... რა საჭიროა?!...

(სიჩუმე ჩამოვარდება. ლიგია რაღაცას ხატავს სილაზე რტოთ).

მ ა რ კ უ ს – შენ ლაპარაკი არ გინდა და პასუხს მიხატავ?

ლ ი გ ი ა – არა!

მ ა რ კ უ ს – ეს რა დაპხატე?

ლ ი გ ი ა – თევზი.

მ ა რ კ უ ს – მაგით ის გინდა მითხრა, რომ შენს ძარღვებში ბრუნავს ცივი სისხლი?

ლ ი გ ი ა – არა.

მ ა რ კ უ ს – ლიგია, მიხვდი, რაც გითხარი?

ლ ი გ ი ა – (ჩურჩულით) არა!

მ ა რ კ უ ს – (აღტაცებით) მიყვარხარ! მიყვარხარ! ზევსი რომ ვიყო, გარს ღრუბელს შემოგახვევდი და დაგფარავდი, ისე, როგორც მან დაპფარა იო. და ან წვიმის წვეთებათ დაგეცემოდი თავზე, ისე, როგორც ის დაეცა დანაიას. მე მინდა, რომ გკოცნიდე მაგ ტუჩებში თავდავიწყებამდე და კოცნის დროს გატკინო ტუჩები, რომ შენი კვნესა მესმოდეს ჩახუტების, მოხვევნის დროს.

ლ ი გ ი ა – (წამოხტება ზეზე) გამოერკვიე! მოეგე ჭკუას. ნუ ჰყარგავ ადამიანობას. ეგ თავის დღეში არ იქნება, გესმის თუ არა, არ იქნება... მშვიდობით! (ჩქარა გავარდება, მაგრამ შეჩერდება კიბეზე და უფრო ხმატებილად) მშვიდობით, მარკუს. (მიდის).

მ ა რ კ უ ს – ხვალვე ჩემი იქნები... მე შენ დაგეპატრონები... (მიდის).

## ვიდრე ხვალ, უფალო?

### გამოსვლა მეშვიდე

(პატარა აბლის ხელმოკიდებული მოჰყავს ლიგია, მათ მიჰყვებიან პომპონია და პლავტუსი).

ა ბ ლ ი – არა! არა! მე, მე ბალში მინდა ყოფნა, წამომყევი, ლიგია.

პ ო მ პ ო ნ ი ა – აბლი! შენ ჯიუტობას ეჩვევი თანდათან.

ლ ი გ ი ა – ნება უბოძე, დედავ, რომ ბალში დარჩეს. დღეს ისეთი თბილი და კარგი სალამოა, რომ...

პ ლ ა ვ ტ უ ს – დეე, ითამაშოს ბავშვმა. ჩვენც დავსხდეთ და ჰერი ჩავყლაპოთ.

პ ო მ პ ო ნ ი ა – რა გაეწყობა. თქვენს თხოვნას ვეღარ წაუვალ.

ა ბ ლ ი – (აუზის პირად შემდგარ ლიგიასთან ერთად ქვებს ჰყრის წყალში და იძახის) ლიგია, დახე, როგორ თამაშობენ თევზები.

პ ლ ა ვ ტ უ ს – მართლა რომ ტფილი სალამოა, რაც იშვიათია აქ. აქ ხომ მისთანა ჰავა არ არის, როგორც სიცოლიაშია, სადაც სალამ-სალამობით გარეთ გამოსული ხალხი სიმღერით ეთხოვება ჩამავალ მზეს. (შემოდის ურსი).

### გამოსვლა მერვე

უ რ ს ი – (აღელვებული) ბატონო!

პ ლ ა ვ ტ უ ს – რა გინდა? რა მოხდა!

უ რ ს ი – ცენტურიონი და ჯარისკაცნი მოსულან კეისრის სახ-ელით.

პ ო მ პ ო ნ ი ა – (დაიკივლებს) პლავტუს, პლავტუს!

ლ ი გ ი ა – (ეკვრის პლავტუს) მამაჩემო!

პ ლ ა ვ ტ უ ს – დამშვიდდით! გული მოიბრუნეთ!

პ ო მ პ ო ნ ი ა – კი, მაგრამ კეისარის მოციქული ხომ სიკვდილის მახარობელია...

ლ ი გ ი ა – მამილო! ცენტურიონის შემოსვლა ხომ უბედურების ნიშანია.

პ ლ ა ვ ტ უ ს – თუ ჩემმა სიკვდილის უამმა მოაწია, ჩვენ კიდევ მოვასწრებთ, რომ ერთმანეთს გამოვეთხოვთ.

(შემოდიან კაიოს გასტა და სალდათები).

## ვიდრე ხვალ, უფალო?

### გამოსვლა გეცხე

კ ა ი ო ს – გამარჯობა, უფროსო! მე მოვედი თქვენთან და მოგიტანეთ კეისრის ბრძანება და თავის დაკვრა.

პ ლ ა ვ ტ უ ს – თავის დაკვრისათვის ვმადლობ კეისარს და ბრძანებას ავასრულებ. გამარჯობა შენც, კაიოს, სთქვი, რაც ნებავთ!

კ ა ი ო ს – კეისარმა შეიტყო, რომ შენ სახლში სცხოვრობს ლიგის მხედართმთავრის ქალი, რომელიც ჩვენთვის მძევლად მოუციათ. ღვთაებრივმა ნერონმა გაკმარა ამდენი ხნის ზრუნვა და ამიერ, რომ აღარ შეგანუხოსთ, ჰსურს, თვითონ გაუწიოს მფარველობა და ამიტომ გიბრძანებთ, რომ იგი ქალი მე გადმომცეთ.

ლ ი გ ი ა – (მივარდება პომპონიას) დედავ! დედავ! მიშველე...

პ ო მ პ ო ნ ი ა – შვილო! შვილო!

პ ლ ა ვ ტ უ ს – უნდა ასრულდეს კეისარის ნება...

პ ო მ პ ო ნ ი ა – პლავტუს! რომ მომკვდარიყო, ერჩია.

ლ ი გ ი ა – (მოსთქამას) დედავ! დედა!..

პ ლ ა ვ ტ უ ს – მოდი ჩემთან, ჩემო შვილო. (მოეხვევა) მშვიდობით. იყავ ბედნიერი და იცოდე შენც, რომ მე და პომპონია კურთხევით მოვისხენიებთ იმ დროს, როცა შენ ჩვენ სახლში შემოდგი ფეხი და მოუჯექი ჩვენ კერას.

ლ ი გ ი ა – მამავ! მე ვერ ავიტან თქვენს მოშორებას. მიშველე როგორმე! დამიტარე, მამილო!

პ ლ ა ვ ტ უ ს – არა მაქვს ღონე, შვილო! (პირზე ხელებს მიიფარებს) მშვიდობით! მშვიდობით!... (დაეშვება სკამზე).

პ ო მ პ ო ნ ი ა – ლიგია! გული გაიმაგრე და ცრემლები შეიშრე! ნუ დაივიწყებ იმ ცნებას, რომელიც დიდმა მოძლვარმა გადმოგვცა, რომ არის ძალი ნერონზე უდიდესი და მოწყალება უფლისა, უძლიერეს ნერონის რისხვისა.

ლ ი გ ი ა – მებრალები, დედაჩემო... მებრალებიან მამა და ძმა. მე ვიცი, რომ წინააღმდეგობა ვერას მიშველის, მაგრამ შენს დარიგებას არასოდეს არ დავივიწყებ. მშვიდობით. (ჯერ პომპონიას ეხვევა და მერე აბლის კოცნის) მშვიდობით, ჩემო საყვარელო ძმაო.

უ რ ს ი – (პომპონიას) ქალბატონო! ნება მიბოძე, რომ გავჰყვე ჩემ ქალბატონს, ვემსახურო ხოლმე და ყური ვუგდო კეისრის სახლში.

პ ო მ პ ო ნ ი ა – შენ მაგის მოსამსახურე ხარ და ვალდებულიცა ხარ, ეახლო. მაგრამ მოგცემენ კი მაგის ნებას...

## ვიდრე ხვალ, უფალო?

უ რ ს ი – მაგისი რა მოგახსენო, ქალბატონო, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ჩემ ხელში რკინა ნაფოტივით ილენება.

კ ა ი ო ს – ვალდებული ვარ, რომ მაგის მსახურებიც წავიყვანო.

უ რ ს ი – მე მოვახერხებ, რომ დაგიფარო, ქალბატონო! უკეთესი კი იქნება, რომ არავინ შემეჩხიროს და ჩემ ხელს არ მოჰყვეს, გინდრენის ჯაჭვით იყოს შემოსილი. რა უნდა გაარიგოს რკინამ... თუ დავსცხე ეს ჩემი მუშტი, ვერაფერი რკინა ვერ გაუძლებს.

ლ ი გ ი ა – დაგავიწყდა. ურს, „არა კაც ჰკლაო?“

უ რ ს ი – ჩემი რა ბრალია, რომ მძიმე ხელი მაქვს.

კ ა ი ო ს – დრო არის...

ლ ი გ ი ა – მშვიდობით! მშვიდობით, ჩემო ძვირფასებო. (ირგვლივ მიმოიხედავს) სახლო... ბალო... ჩემო ყვავილებო... კვიპაროსებო... მშვიდობით.

კ ა ი ო ს – (განკარგულებას აძლევს სალდათებს. ისინიც შემოეხვევიან ლიგიას და ურსს გარს) აბა, გასწით. (მიდიან).

პ ო მ პ ო ნ ი ა – ხელი მოგიმართოს ყოვლად უმაღლესმა.

პ ლ ა ვ ტ უ ს – ახლა კი მიმხვდარი ვარ, რომ პეტრონიუსმა დაგვლუბა. წყეული იყოს ის დღე, როცა პირველად იმან ჩემი სახლისკენ ფეხი გადმოდგა.

პ ო მ პ ო ნ ი ა – (იჩოქებს. შვილს) აბლი! ილოცე, შეავედრე ღმერთს შენი და... (აბლი დაიჩოქებს და ხელებს ააპყრობს მაღლა) ღმერთო, ყოვლისა მპყრობელო, შეიბრალე უმწეო შენი ქმნილება. (აბლი იმეორებს) ყოვლის შემძლებელო შემომქმედო ცისა და ქვეყნისათ, ნუ დალუპავ უმანკოსა და მშვიდობიან ბავშვს. (აბლი იმეორებს ყოველ სიტყვას).

ფარდა ნელ-ნელა ეშვება

## სურათი მეორე

**პირები:**

ნ ე რ ო ნ – კეისარი.  
პ ო მ პ ე ი ა.  
პ ე ტ რ ო ნ ი უ ს.  
მ ა რ კ უ ს ვ ი ნ ი ც ი უ ს.  
ლ ი გ ი ა.  
კ ო ნ ს უ ლ ი მ ე ბ ლ ი რ ე გ უ ლ ი.  
ა ქ თ ე ი ა – ნერონის ნასაყვარლევი.  
ვ ა ტ ა ნ ი ო ს  
ვ ი ტ ე ლ ი ს.  
ქ რ ი ზ ი მ ი დ ა.  
ლ უ კ ა ნ ი – მგოსანი.  
კ ა ლ ვ ი ა კ რ ი ს პ ი ნ ი ლ ლ ა.  
ნ ი გ ი ა.  
ტ უ ლ ი ო ს.  
ვ ე ს ტ ი ნ ი ო ს.  
დ ო მ ი ც ი ო ს ა ფ რ ი.  
უ რ ს ი.  
ტ ი გ ე ლ ი ნ ი – პრეტორიანელების პრეფექტი.

სტუმრები. მოცეკვავე ქალები, მონები, მცველები. პატარა ბიჭები, ამუ-  
რად მოკაზმულები ემსახურებიან სტუმრებს. ლხინი ნერონისას. სვეტებიანი  
ზალა კეისრის სასახლეში. ბზის ხეები, ვარდები და მათ შუა შადრევანი სუნ-  
ნელოვანი წყლით. კერპების ქანდაკება. შუაგულში მაღლობს კეისრისა და  
პომპეიასთვის დიდი ბალდახინი სირიული ფურფურისა, ვერცხლის საფეხ-  
ურებით. სტოლები სხვადასხვა სივრცის, ზედ მრავალგვარი საჭმელები  
და სასმელები ალაგია. ბრილის ჭურჭელი, იტალიისა, საბერძნების და  
აზის. ჭერქვეშ ბადეა გაბმული, საიდანაც მექეფებზე სცვივა ვარდები.  
სხვადასხვა მცენარებს აკმევენ. გარეთ მუსიკას უკვრენ. სხვადასხვა ხმაზე  
იმღერიან. მარჯვნივ პირველ პლანზე კარებია, კეისრის საწოლ ოთახში შეს-  
აყვანი... მახლობლად სხედან ლიგია და აქთეია. მარცხნივ შემოსასვლელი  
კარებია. მონა-მოსამსახურები დგასან და მათ რიცხვში ურსიც ურევია.  
ფარდა რომ აიხდება, გამოჩენდებან მოთამაშე სირიელი ქალები. გახურვე-  
ბული ლხინია. კიურია და სიცილი, ყველანი სცენაზე არიან, პომპეიას მეტი.

კ ო ნ ს უ ლ ი – ეს მოთამაშე ჭაბუკი, სირიელი გოგოები რომ  
გარს ეხვევიან, სწორეთ საუცხოვოა.

ქ რ ი ზ ი მ ი დ ა – სად არის ჭაბუკი! ხა! ხა! ხა! ამოინმინდე  
თვალები, კონსულო! სიმთვრალით ვეღარას ჰედავ! ის ქალწული  
გოგოა. ხა! ხა!

კ ო ნ ს უ ლ ი – (შეაჩერდება ქრიზოტემიდას) არა! შენ ქალწული  
ალარა ხარ. ვფიცავ ჰეკათას, კარგათ ვხედავ! (სიცილია).

ქ რ ი ზ ი მ ი დ ა – ვფიცავ იუპიტერს, რომ შენ კონსული  
კი არა, დაძმარებული ღვინის ძველი ჭურჭელი ხარ! ამას კარგადა  
ვხედავ, ჩემზე უკეთ კიდევ შენი კუჭი გრძნობს. (იცინის).

ლ უ კ ა ნ ი – ფალერნული ღვინო! ჩქარა! ვკვდები წყურვილით.

კ ა ლ ვ ი ა – ისე ბლავი, როგორც ხარი, არენაზე გამოსული!

ტ უ ლ ი მ ს – და, მგონი, პირიც გაიხოო მაგ ღრიალით!

ლ უ კ ა ნ ი – მაშინ შენ შეგეხვენები, რომ გამიკერო! მამაშენი,  
თუ არა ვსცდები, მენაღე იყო და, რასაკვირველია, შენც გასწავლიდა  
თავის ხელობას.

ტ უ ლ ი მ ს – რომაელებო, ლუკანი ამტკიცებს, რომ ამას პირის  
მაგიერ დაგლეჯილი ქალამნები აქვს.

კ ა ლ ვ ი ა – თავის დღეში წყურვილს ვერ მოიკლავს. ღვინო  
ეპარება დახეულ ქალამნებს. წაართვით ლუკანს სასმო, ძვირფასი  
ღვინით სავსე...

ლ ი გ ი ა – აქთეია! მე მეშინია! თითქო ცუდ სიზმარსა ვხედ-  
ვიდე... აქ ისეთი უხერხულობაა... მეშინია...

ა ქ თ ე ი ა – ნუ გეშინია! ბომბონიამ მომწერა, რომ ყური გიგდო...  
ეს სასახლე შესწავლილი მაქვს და დარწმუნებულიც ვარ, რომ შენ აქ  
არა წაგევიდება-რა კეისრის მხრით.

ნ ე რ ო ნ – მომენტინა! ეს ხალხი, მგონია, ძილის მოსაგვრელ  
წამალსა სვამს და არა ღვინოს. საზოგადოდ, რომი მოსაგვრენი  
შეიქმნა. რა მიამებოდა, რომ მინისძვრამ დააქციოს ეს საზიზლარი  
ქალაქი და ან რომელიმე მრისხანე ღმერთმა დედამინასთან გაას-  
წოროს... ო, მაშინ კი გიჩვენებდით, როგორ უნდა იყოს აშენებული  
ჩემი სატახტო ქალაქი...

ტ ი გ ე ლ ი ნ ი – შენ ამბობ, კეისარო, რომ რომელიმე მრისხანე  
ღმერთთაგანმა დააქციოს ქალაქიო? ხომ?

ნ ე რ ო ნ – ჰო! მერე და რაო?

## ვიდრე ხვალ, უფალო?

ტ ი გ ე ლ ი ნ ი – ის რომ, შენც ღვთაება არა ხარ!..

ნ ე რ ო ნ – ეჰ, თქვენ ყველა პატარა კაცუნები ხართ, რომ ჩემი რამ გაიგოთ.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ნაძლევს ვსდებ, რომ, როცა რომს ცუდად იხსენიებ, მაშინ ეგვიპტეზე ჰავიქრობ.

ნ ე რ ო ნ – სწორედ რომ გამოიცანი!

ვ ე ს ტ ი ნ ი ო ს – (ნაძლევს რომ მოჰკრავს ყურს) კეისარი და პეტრონიუსი დანაძლევდნენ? მე ვიჭერ კეისრის ხელზე! ვინ მოდის?

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – კარგი! მე ვუმტკიცებდი კეისარს, რომ შენ, თუმც ცოტა, მაგრამ მაინც გაქვს ჭკუა, ის კი მარწმუნებდა, რომ შენ სრულიად უტვინო ვირი ხარო.

კ ე ი ს ა რ ი – (იცინის) მოჰკრა.

ქ რ ი ზ ო ტ ე მ ი დ ა – (იცინის) ეძინა ნაძლევის დროს და არ გაუგონია, თუ მასზე იყო ლაპარაკი. ეზმანა, რომ დაჭკვიანდა.

კ ა ლ ვ ი ა – მე მჯერა სიზმარი. წუხელ მეზმანა, რომ ვითომ წმინდა მკითხავი ვარ.

(საერთო სიცილია. ნერონი ტაშს უკრავს და მას სხვებიც მიჰყვებიან).

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – მას შემდეგ, რაც შენ სამ ქმარს გაეყარე, სიზ-მარში თუ ელირსებოდი წმინდა მკითხაობას, თორემ ისე ვერა, ჩემთ უწმინდესო კალვია!

კ ა ლ ვ ი ა – კეისარმა რომ ბრძანოს?

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – მაშინ კი დავიჯერებდი, რომ სიზმარი აუხ-დენელიც შეიძლება რომ ახდეს...

მ ა რ კ უ ს – (ჩურჩულით) პეტრონიუს, ის აქ არის!

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ის! ესე იგი, შენი ლიგიელი დედოფალი? ის აქ არის და შენც აქა ხარ... სისულელეა, რომ გვერდში არ უდგეხარ. ხომ იცი, რომ შენ მართებლობის მხრით იმ ლიგიელ მძევლის მზრუნველად დაგნიშნეს და ხვალვე ჩაგაბარებენ იმ ლიგიურ განძს.

მ ა რ კ უ ს – სულითა და გულით გმადლობ...

ნ ი გ ი ა – ა-ა-ა-ა-ი! ლუკას, ხომ არ გაგიუდი? სასმო პირამდე ვერ მიგიტანია და მე მასხამ ღვინოს ხელებზე!

კ ა ტ ა ნ ი ო ს – მაგისი ბრალი არ არის! შენი ხელები არიან მაგის ტუჩებთან.

ვ ი ტ ე ლ ი ო ს – ნიგია! ფრთხილად იყავ! არ გიკბინოს ხელებზე! ლუკანი მგოსანი კი არ არის, მყლაბარია, კაცის მჭამელი... ხა! ხა! ხა!

ნ ე რ ო ნ – ამ ქონის ჭურჭელს რა აცინებს?

## ვიდრე ხვალ, უფალო?

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ადამიანი სიცილით განსხვავდება პირუ-ტყვისაგან, მაგას კი სიცილის მეტი სხვა დამტკიცება არ აქვს, რომ ღორი არ არის. (ყველა იცინის).

კ ო ნ ს უ ლ ი – ქრიზოტემიდა! შენმა თვალებმა შემიპყრეს... შემაზარხოშეს.

ქ რ ი ზ ო ტ ე მ ი დ ა – შენ ჩემმა თვალებმა კი არა, იმ სასასმომ დაგათრო, რომ არ შორდება!

კ ო ნ ს უ ლ ი – არა, სწორეთ შენმა თვალებმა. რომ დაბრუნდე შინ, მეც ჩამისვი შენ საჯდომელში.

ქ რ ი ზ ო ტ ე მ ი დ ა – შენ იქამდი ვერ მიაწევ და ისევ იმას ირჩევ, რომ სუფრის ქვეშ გაგორდე.

მ ა რ კ უ ს – (მიუახლოვდება ლიგიას) ჩემი პატივისცემა ქვეყანაზე ყოველ ქალიშვილზედ და ცის ვარსკვლავებზე უმშვენიერესას.

ლ ი გ ი ა – (აღტაცება. მხიარულად) გამარჯობა, მარკუს!

მ ა რ კ უ ს – ნეტავ იმ თვალებს, რომელნიც შენ გიყურებენ და ნეტავ იმ ყურებს, შენი ხმა რომ ესმით. შენი ხმა უფრო ატყბოსს სასმენელს, ვიდრე სალამურისა და ფანდურის ხმა. მე რომ არჩევანში შევეყვანეთ: ვინ უნდა მჯდარიყო ჩემ გვერდით ამ ლხინში, შენ თუ ვენერა, მე შენ აგირჩევდი. (დაიჭრს ადგილს მის გვერდით).

ლ ი გ ი ა – მაგრე ნუ მიყურებ... მარკუს! მაცეცებ!

მ ა რ კ უ ს – აქ რომ დაგინახე, სიხარულით და ბედის წევით გულმა ტოკვა დამინტყო.

ლ ი გ ი ა – შენ სიხარულზე ამბობ და მე კი ობოლი და უბედური ვარ ამ ხრიალა ბრძოში... შენა ხარ აქ ერთადერთი, რომელსაც ვიც-ნობ მხოლოდ. ო, რა მეჩქარება, რომ შინისკენ დაებრუნდე! წუთუ არ გამათავისუფლებენ. ვისთვის რა საჭირო ვარ აქ? მწუხარებას თან გადაყვები, რომ შენი იმედი არა მქონდეს, კეისართან გამომეს-არჩები. მითხარ, გეთაყვა, რათ მომაშორა პლავტუსის ოჯახს?

მ ა რ კ უ ს – კეისარი ანგარიშს არავის აძლევს თავის მოქმედებაში.

კ ო ნ ს უ ლ ი – (წამოვარდება ზეზე. ხმამაღლა) ვინ ამბობს, რომ რომი იღუპებაო? ტყუილია! კონსული მე ვარ და სხვებზე მეტიც ვიცი, ოცდაათი ლეგიონი იცავს მას... ეგებო ოცდათორმეტიც. (თავს დადებს სუფრაზე და დაეძინება).

ნ ე რ ო ნ – კონსულმა ყველაზე მეტი იცის და ყველაზე მეტსა სვამს. ხა! ხა! ხა! ოცდათორმეტი ლეგიონი გარს ახვევია და მიტომაც ასე უდიერად დაიძინა კეისრის სასახლეში. ქრიზოტემიდას მოაკლდა მჭერმეტყველური მესაუბრე.

## ვიდრე ხვალ, უფალო?

ტ უ ლ ი ო ს – (გადაჯდება ქრიზოტემიდასკენ) მე გამოვენაცვლები იმას. ქ რ ი ზ ო ტ ე მ ი დ ა – იმედი მაქვს, შენს წინა მოადგილესავით ჩქარა არ დაიძინებ.

მ ა რ კ უ ს – ნურაფრის ნუ გეშინია, ლიგია, შენთანა ვარ! დაბრმავება მირჩევნია შენ მოშორებას. მოვკვდები და მარტო კი არ დაგტოვებ. შენ ჩემი სული ხარ და ისეც გაგიფრთხილდები, როგორც ჩემ საკუთარ სულს. გაგიკეთებ ჩემ სახლში სამსხვერპლოს და შემოგნირავ ხოლმე მსხვერპლს, ალოისა და მურისაგან გაკეთებულს და გაზაფხულობითაც სხვადასხვა ყვავილებისაგან შეზავებულს. თუ მართლა გეშინია, გეფიცები, რომ არ დაგტოვებ ამ სასახლეში.

ლ ი გ ი ა – მთელ ჩემი სიცოცხლის განმავლობაში შენი მადლობელი ვიქნები. ყოლიფერი მაშინებს აქ: ეს ხრიალი, სიმღერა, თამაში, სიცილი, კეისრის ერთი შემოხედვა ამაცხცახებს ხოლმე და ვიტანჯები. ბავშვობისას ერთი ეგვიპტელი მონა მომიყვებოდა ხოლმე ამბავს მწვანეთვალებიან გველეშაპზე და სწორეთ იმისთანა თვალი აქვს კეისარსაც. საშიშია!

მ ა რ კ უ ს – და სასაცილოც! მაგრამ შენ ნურასი გეშინია. მე მოგაშორებ კეისრის სასახლეს. არ დაგტოვებ. წაგიყვან და მონასავით გემსახურები, ამიტომ, რომ მიყვარხარ! მიყვარხარ! შენა ხარ ჩემთვის ყოლიფერზე უძვირფასესი ქვეყნიერებაზე.

ლ ი გ ი ა – მანგრე ნუ ლაპარაკობ, მარკუს, მე გთხოვ... ცხელა... ყვავილების სუნელებამ და საკმევლის სუნმა თავბრუ დამახვია! გული მიწუხს!

მ ა რ კ უ ს – (ხელს წაატანს) მიყვარხარ, ჩემო ღვთაებავ!

ლ ი გ ი ა – თავი დამანებებ!

მ ა რ კ უ ს – ო, რა კარგი რამა ხარ, ლიგია... შემიყვარე... (კეისარი უყურებს ლიგიას იაგუნდის სათვალით).

ა ქ თ ე ი ა – ჩუ! კეისარი შემოგჩერებია!

ლ ი გ ი ა – (ძლიერს ძლივობით) უ, რა საშიშია!

ნ ე რ ი ნ – პეტრონიუს, ეს ის მძევალი ქალია, მარკუსს რომ უყვარს?

პ ე ტ რ ი ნ ი უ ს – დიახ, ის გახლავთ!

ნ ე რ ი ნ – რას ეძახიან მაგათ ხალხს?

პ ე ტ რ ი ნ ი უ ს – ლიგიელებს.

ნ ე რ ი ნ – მერე და, ეგ ჰერინია ლამაზი მარკუსს?

პ ე ტ რ ი ნ ი უ ს – დამპალ ჯირკს რომ ქალის ტანისამოსი ჩააცვათ, მარკუსს ისიც კი მოეწონება. მაგრამ შენ სახეზე ვკითხულობ,

## ვიდრე ხვალ, უფალო?

სწორუპოვარო მცოდნევ სილამაზისა, რომ შენს თვალში იმას წესი აეგო. პირის სახე არაფრად არა ლირს, თუ ტანადობაც არ ახლავს. ხალხში ძნელი გამოსაცნობია ქალის ტანადობა, მაგრამ, როგორც ვხედავ, შენ ატყობ, რომ ბაყვები არ უვარგა.

ნ ე რ ი ნ – სწორეთ! ბაყვები არ უვარგა!..

პ ე ტ რ ი ნ ი უ ს – კეისარო! სანამ შენი სტუმრები მთვრალ პირუტყვებად გადაიქცეოდნენ, მოილე მოწყალება და გაგვაგონე შენი ახალი თხზულება.

ყ ვ ე ლ ა – (ერთმანეთს ასწრებენ) მოილე მოწყალება, ღვთაებრივო! გაგვაგონე და დაგვიტყვებ სულ! ნუ მოგვაკლებ მაგ ნეტარებას...

ნ ე რ ი ნ – მე მესმის თქვენი საერთო სურვილი! თქვენ იცით, რომ აპოლონმა დამაჯილდოვა მე და მიბოძა ხმა. მეც როგორ არ ვიმდერებდი, მაგრამ ამ უკანასკნელ დღეებში ხმა წამივიდა და ვაითუ თქვენი სურვილი ველარ გავამართლო.

ტ ი გ ე ლ ი ნ ი კეისარო! გევედრებით, ხელოვნებისა და კაცობრიობის სახელით.

ს მ ე ბ ი – ნუ გაგვირისხდები! შეგვიბრალეთ! მოილეთ მოწყალება, ღვთაებრივო!

ნ ე რ ი ნ – რალა გაეწყობა! თქვენს ხვეწნას ვერ წაუყრუებ და, თუ ველარ ვიმდერე, ისე მაინც წაგიკითხავთ ჩემ პოემას.

ს მ ე ბ ი – გმადლობთ, კეისარო! მადლობელი ვართ!.. რა გულკეთილი ხარ... ხელი მოგიმართოს ღმერთებმა.

ნ ე რ ი ნ – პომპეია მიტომ არ გამოვიდა, რომ ავად არის, მაგრამ ისე არაფერი არ უხდება სამკურნალოდ მის ავადმყოფობას, როგორც ჩემი ლექსები და მიტომ, ტიგელინ, სთხოვე, რომ გამობრძანდეს. (ტიგელინი მარჯვინივ მიდის) ცოტა მოითმინეთ, დედოფალიც გამობრძანდეს. ცოდვაა, რომ ვერ გაიგონოს ეს ლექსები და სიამოვნებას მოაკლდეს.

ლ ი გ ი ა – შემიბრალე, მარკუს! შენმა სიტყვებმა სირცხვილის სიწითლე გამოიწვიეს ჩემ სახეზე. ნუთუ ჩემი ცრემლები გახარებენ შენ?..

მ ა რ კ უ ს – შენ გინდა, რომ დავმუნჯდე და აღტაცებაში არ მოვდიოდე შენით? არ შემიძლია, რომ შენთან ვიყო და აღტაცებას არ ვეძლეოდე! (შემოდის ტიგელინი. დედოფალი მოჰყვება).

ტ ი გ ე ლ ი ნ ი გზა! გზა უტიეთ ავგუსტას...

ს ა ე რ თ მ ბ ა უ რ ი ნ ბ ა – პატივი და დიდება ღვთისნიერს... თაყვანი მშვენიერების ღმერთს... თაყვანი ღვთაებრივ ავგუსტას.

## ვიდრე ხვალ, უფალო?

პ ო მ პ ე ი ა – გამარჯობა ყველას! (დაინახავს ლიგის და გაჩერდება მის წინ. ლიგია შემკრთალი წამოდგება) ვინა ხარ? (ლიგია ხმას არ იღებს) მუნჯია?

ლ ი გ ი ა – შემინდე, ავგუსტა, შეკრთომა. მე პომპონია გრეცი-ნას გაზდილი ვარ და ლიგიელი მხედართმთავრის ქალი, აქ, რომში, მძევლად დატოვებული.

პ ო მ პ ე ი ა – მერე და, რატომ არ მინახვიხარ. შენ ხომ აქა სცხოვრობ, სასახლეში?

ლ ი გ ი ა – მხოლოდ გუშინ მომიყვანეს.

პ ო მ პ ე ი ა – ვისი ბრძანებითა ხარ აქ, ამ ლხინში?

ლ ი გ ი ა – კეისრის ბრძანებით.

პ ო მ პ ე ი ა – კეისარი შენი მწყალობელია? შენ ლამაზი ხარ და ისიც დააფასებს შენს სილამაზეს. გელაპარაკა ჯერ?

ლ ი გ ი ა – არა, დიდებულო ავგუსტა...

პ ო მ პ ე ი ა – რად მოშორდი შენს გამზრდელს? სასახლის ცხოვრება გიზიდავს?

ლ ი გ ი ა – მე აქ ჩემდა უნებურადა ვარ. კეისარმა უბრძანა ცენ-ტურიონს და იმან ძალით ჩამომართვა პლავტუსის ოჯახს.

პ ო მ პ ე ი ა – გინდა, რომ შენვე დაბრუნდე?

ლ ი გ ი ა – ო, რა თქმა უნდა! გევედრები, ავგუსტა, სთხოვო კეისარს, რომ დამაბრუნოს. ამას თუ ინებებ, მთელ ჩემ სიცოცხლეში სულ შენი მლოცველი ვიქნები.

პ ო მ პ ე ი ა – სწორედ რომ შენ აქ მეტი ხარ...

მ ა რ კ უ ს – ღვთაებრივო ავგუსტა! კეისარმა მე დამნიშნა ამის მზრუნველად.

პ ო მ პ ე ი ა – ძალიან კარგი!

ლ ი გ ი ა – არა! არ მინდა, ავგუსტა, შემიწყალე და განმათავი-სუფლე!

პ ო მ პ ე ი ა – შენ ნიმუშასავით მშვენიერი ხარ და უთუოდ ვენ-ერამ შეგქმნა. გინდა აქედან წასვლა? კარგი, ხვალიდანვე მარკუსის მონა-მოახლე გახდები. (მიდის თავის ადგილზე. ლიგია ჩაიკეცება იქვე ტირილით).

ნ ე რ ო ნ – (ხელს ჰერებს და გვერდით მოისვამს პომპეიას) ჩემო სხივმფენო, მიაქციე შენი ყურადღება ლიგიელ მძევალზე. როგორ მოგნონს მარკუსის არჩევანი?

პ ო მ პ ე ი ა – არა უშავს-რა!

ნ ე რ ო ნ – (პეტრონიუსს შეხედავს) თეძოები არ უვარგა: ვინროა

## ვიდრე ხვალ, უფალო?

ფერდებში. შენი აქ ყოფნა დედამიწასთან ასწორებს. (ფანდურს აიღებს, ადგება).

ტ ი გ ე ლ ი ნ ი – სსსუ! ჩუმად!.. (სიჩუმეა).

ნ ე რ ო ნ – (უკრავს ფანდურს და კითხვას ზედ აყოლებს):

ო, სხივმომფენო ლეტისა შვილო,  
შენ მოითმინე, რომ ის ტახტები,  
სუნნელებასა გიკმევდნენ როცა,  
ტროადელთ სისხლით შებდალულიყო.  
შენსკენ აპყრობდნენ მთრთოლვარე ხელებს,  
დედები ჰლვრიდენ ცრემლსა მწარესა  
და მოხუცნიცა კვნესა-გოდებით  
გევედრებიდნენ შვილთ შებრალებას.  
იმათ ვედრებას ქვაც შეისმენდა,  
მაგრამ შენ სალი კლდე გამოდექი,  
სმანთეოს, და არ შეიწყნარე-რა.  
კვნესა-ვაებას ვერ გააქარწყლებს  
ვერც ეს სიმღერა, მკვდარს რომ აღადგენს,  
ვინ სთქვას ის ტანჯვა და ის ვაება,  
კვამლის გაჩენა და გადაბუგვა  
ვინ ჩამოთვალოს? ვინ გაათაოს?  
შენ რას შვრებოდი? სად იყავ მაშინ?  
რატომ არ გვეტყვი, აბა, სმანთეოს.

(საოცარი ტაშის კვრა. საერთო აღტაცება. ქალები ცრემლებს იწმენდენ. კაცები ზოგიერთები იჩოქებენ კეისრის წინ. პომპეია კეისრის ხელს ტუჩე-ბზე მიიკრავს).

ყ ვ ე ლ ა – დიდება დიდ არტისტს! დიდება შენდა, დაუვიწყარო მგოსანო! ო, რა ღვთაებრივი ხმაა!.. ეს ლექსები საუკუნოდ დაგვაგ-ვირგვინებენ, უკვდავო მგოსანო!..

ნ ე რ ო ნ – შენ რას გაჩუმებულხარ, პეტრონიუს? რას იტყვი ამ ნაწყვეტზე?

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – არათრად არა ჰელირს... უნდა დასწვა.  
(დიდი სიჩუმე ჩამოვარდება. ყველანი გაშრენ და ნერონს მიჩერებიან).

ნ ე რ ო ნ – (ხმატებილათ) რას ჰედავ შენ ჩემს ლექსში დასაწუნს?

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ამათ წუ დაუჯერებ! არა გაეგებათ-რა... მე მეკითხები, რატომ არ მოგწონს? არ დაგიფარავ, მართალს გეტყვი:

## ვიდრე ხვალ, უფალო?

ეგ ლექსები დიახ კარგი არიან ვირგილიუსის და პომიროსისათვის და შენთვის კი არა!.. ეგ რომ ლუკანს დაეწერა, გენიოსს დავუძახებდი, მაგრამ შენ, რომელსაც შეგიძლია მისთანა თხზულების დაწერა, რომ ჯერ ქვეყანაზე არავის გაეგონოს, არ შემიძლია, არ გითხრა: უკეთესი დასწრეო!!!

ნ ე რ ო ნ – (სახე გაუბრნებინდება) მართალია, ღმერთებმა მომცეს რამოდენიმე ნიჭი, მაგრამ ამის გარდა, სხვაც რამე კიდევ მეტი მომცეს. კარგი მეგობარი და მცოდნე, რომელმაც პირდაპირ იცის შეუპოვრად სიმართლის თქმა. იცი, ცოტა რად მოისუსტებენ ეს ლექსები? იმიტომ, რომ არ მინახავს, თუ როგორ იწვის ქალაქი.

ტ ი გ ე ლ ი ნ – მიბრძანე, კეისარო, და წაუკიდებ ცეცხლს ანტონიუსს.

ნ ე რ ო ნ – გამოჩურჩუტდი, როგორც გატყობ, ტიგელინ! მე ვხედავ, რომ შენ ვერაფრად აფასებ ჩემს ნიჭს. მერე მე კი შევხედავ რაღაც ხის ხუხულების დაწვას?.. აი, რომ დაინვოდეს მთელი... ჰმ... ღვინო!

პ ო მ პ ე ი ა – ნება მიბოძე, ღვთაებრივო, რომ წავიდე, ცოტა დაღალული ვარ.

ნ ე რ ო ნ – წადი! მოისვენე, ჩემო ოქროსხუჭუჭიანო!

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – იმედი მაქვს, ღვთაებრივი ავგუსტა უარს არ მეტყვის და არ დამიშლის, რომ მისის გაცილებით ვინეტარო. (პომ-პეა თავს უქნევს და მიდის ერთად პეტრონიუსთან).

ლ უ კ ა ნ ი – (გარს ფათალო შემოუხვევია) მე ადამიანი კი არა ვარ, ფავნი ვარ.

ნ ი გ ი ა – შეხედეთ, ლუკანი გაგიუებულია! კეისრის ლექსები რომ გაიგონა, შურით გამწვანდა.

ქ რ ი ზ ო ტ ე მ ი დ ა – ის ღვინით გაუღენთილ ღრუბელს უფრო გავს, ვიდრე ფავნს.

ლ უ კ ა ნ ი – მე ადამიანი არა ვარ... ფავნი ვარ და ტყეში ვცხოვ-რობ. ეხ!.. ხა!.. ხა!..

ქ რ ი ზ ო ტ ე მ ი დ ა – ტულიოს! რად უბერავ სულს და მიბნევ ოქროსფერ პუდრას?

ტ უ ლ ი ო ს – მინდა, რომ შენი თმის ნამდვილი ფერი შევიტყო.

ნ ი გ ი ა – ვატანიოს, დაანებე თავი ღვინოს და მე მაკოცე!

ვ ა ტ ა ნ ი ო ს – მომხიბლავო კუდიანო, სახლში გაგაცილებ!

ნ ი გ ი ა – დიახ! დიახ! მარტობის მეშინია.

ნ ე რ ო ნ – იმხიარულეთ! სვით! იმღერეთ! იცინეთ!

## ვიდრე ხვალ, უფალო?

მ ა რ კ უ ს – ლიგია, ერთი მაკოცნიე! დღეს თუ ხვალ, სულერთია. კმაყოფილი ხარ?.. კეისარმა ჩამოართვა შენი თავი პლავტუსს, რომ მე მაჩუქოს, გესმის? ხვალ სალამოს გამოვგზავნი კაცებს შენ წასაყ-ვანად. გესმის, კეისარი დამპირდა, შენ ჩემი უნდა იქნე! ო, მომეცი შენი ტუჩები... ხვალეს ვეღარ მოუცდი. მაკოცე...

ლ ი გ ი ა – გამიშვი! მაშ, შენა ხარ ჩემი მომტაცებელი ჩემი სახ-ლიდან? აი, შე შეუბრალებელო, ავაზაკო...

მ ა რ კ უ ს – პირველად შადრევანთან გნახე, ის-ის იყო, თენდე-ბოდა. (ლიგია პირზე ხელებს მიიფარებს) შენ გეგონა, რომ არავინ გიყ-ურებდა, მაგრამ მე კი გხედავდი. ო, რა მშვენიერება რამ იყავ მაშინ... აბა, ერთი კოცნა, შენი კოცნა...

ლ ი გ ი ა – მე მძაგხარ! საზიზლარი რამა ხარ.

მ ა რ კ უ ს – ლიგია, მე მაინც მიყვარხარ!

ლ ი გ ი ა – გონებას მოეგე! მთვრალი ხარ, ღვინითა ჰყარხარ. შემიბრალე! თავი დამანებე..... (ჩუმათ) ღმერთო, მიხსენ...

მ ა რ კ უ ს – ნუ მიშორებ... ჩემი ხარ... ჩემი...

უ რ ს ი – (ხელს უჯიკავებს მარკუსს) არა, არ არის შენი! (ლიგია აიყვანა ხელში).

ლ ი გ ი ა – (ჩურჩულით) ურს, ვიდუპები. დამიფარე... წამიყვანე სადმე... წავიდეთ აქედან... (ურსს მიჰყავს ლიგია).

მ ა რ კ უ ს – (უაზროდ იხედება აქეთ-იქით) რა ამბავია? რა მოხდა?

კ ა ლ ვ ი ა – (სიცილით ანოდებს სასასმოს) დალი!

მ ა რ კ უ ს – (გამოცლის და მოშორდება მთვრალი).

ნ ე რ ო ნ – ღვინო! დეე, დაირა დაუკრან...

ლ უ კ ა ნ ი – მე ფავნი ვარ, ტყეში ვცხოვრობ! ეხ.. ხო!.. ხო!.. (პეტრონიუსი შემოდის).

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – სასახლე ბოსელად გადაიქცა. კეისარი სულელი და საშიში ჯამბაზია, რომაელები მთვრალი პირუტყვებია. აქ ჩემი ადგილი არ არის. (მიდის).

ფ ა რ დ ა

**პირები:**

კ ა ი უ ს პ ე ტ რ ო ნ ი უ ს.  
მ ა რ კ უ ს ვ ი ნ ი ც ი უ ს.  
ე ვ ნ ი კ ა – მონა-მოახლე, ბერძნის ქალი.  
ხ ი ლ ო ნ ხ ი ლ ო ნ ი დ ი – (კეფას) ბერძნი.  
ტ ე ვ რ ე ზ ი უ ს – ატრიუმის მეთვალყურე.  
მ ო ნ ა-მ ო ს ა მ ს ა ხ უ რ ე ე ბ ი და მ ო ნ ა-მ ო ა ხ ლ ე ე ბ ი.

პეტრონიუსისას. ტეპიდარიუმი. სცენის შუაგულში: საკმაოდ დიდი ოთხ-კუთხები აუზი, მარმარილოს ქვებით ამოშენებული და წყლით სავსე. აქეთ – სპილენძის ლომი, რომლის პირში წმინდა წყალი გამოდის და ჩადის აუზში. კედლები ვარდისფერ მარმარილოსია. მარცხნივ – კედელი, ჩამოფარებულ თალით. მარჯვნივ – პეტრონიუსის ქანდაკი, ყვავილებით შემკობილი. ჭერი მოზაიკისაა. მარმარილოს სკამლოგინები სხვადასხვა ხელოვნებისაა. სკა-მები კვიპაროსის სისაა. უკან, კედლის მაგიერ – სვეტები მარმარილოსი, მათ შუა – ფარდები ოქროს რგოლებით. სვეტებს იქით ბალი საჩდილო.

**გამოსვლა პირველი**

(პეტრონიუს, ევნიკა, ტევრეზიუს, რამდენიმე მსახური მონები, ქალები და კაცები კუთხეში დგანან. პეტრონიუსი დგას, ევნიკა დაწოქილია და უსწორებს მოსასხამს).

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – როგორი ტაროსია დღეს, ტევრეზიუს?  
ტ ე ვ რ ე ზ ი უ ს – ძალიან კარგი, ბატონო! სიცხეს აგრილებს სიო, ალბანის მთებიდან მონაბერი.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ოქრომჭედელმა გამოგზავნა მანიაკი, ქრიზო-ტემიდასათვის რომ ავასხმევინე?

ტ ე ვ რ ე ზ ი უ ს – გამოგზავნა, ბატონო! სამკაული კოლოფშია...  
ტრიკლინიუმში შევიტანე, რომ თვითონ გენახათ.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ძალიან კარგი! ქრიზოტემიდა დღეს უნდა მოვიდეს და ეს უბრალო რამ შეიყოლებს ცოტა ხანს.

ტ ე ვ რ ე ზ ი უ ს – შენს ბეჭს შენატრიან, ბატონო! ქრიზოტემი-დას ავგუსტას შემდეგ უმშვენიერესად სთვლიან.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – აჲ, მაგის თანახმა არა ვარ, ამიტომ, რომ მე ვიცი კიდევ იმაზედაც ულამაზესი. თუმცა სამკაულები არა აქვს-რა და მონა-მოახლის ტანისამოსით დაიარება.

ტ ე ვ რ ე ზ ი უ ს – ხუმრობთ., ბატონო...  
პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – სულაც არა... ევნიკა, შენ უეჭველად მიმხ-ვდარი ხარ, ვისზედაც ვლაპარაკობ?

ე ვ ნ ი კ ა – (შემკრთალი ძლიერ იღებს ხმას) ვერა, ბატონო.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – მაშ, რატომ გასწითლდი?

ე ვ ნ ი კ ა – მე არ გავნითლებულვარ... არა... უთუოდ სისხლი ამივარდა სახეში, მოსასხამის გასასწორებლად რომ დავიღუნე.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – (თავზე ადებს ხელს) შენ დღეს კარგად გამის-ნორე მოსასხამი. კმაყოფილი ვარ შენი..

ე ვ ნ ი კ ა – (სიხარულით კოცნის ხელზე) ბედნიერი ვარ, ბატონო!

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – (ჯდება) ძალიან ცოტას სჯერდები, რომ ბედ-ნიერი იყო. (ტევრეზიუს და მონებს) წადით!.. ევნიკა, შენ აქ დარჩი. (ყველა მიღის) იცი, ევნიკა, რომ იმ ფონტეოსმა, მონებით რომ ვაჭ-რობს, დღეს შენ თავში სამი საუცხოვო ახალგაზრდა ყმაწვილი ტყვე შემომაძლია.

ე ვ ნ ი კ ა – ვიცი, ბატონო, და მას უკან თვალზე ცრემლებიც არ შემშრობია. შენი სახლის დატოვების აზრიც კი მაძრნუნებს.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ცრემლები ახდენენ თვალებს და შენ კი ცისფერი და უუუნა თვალები გაქვს ზღვასავით. შენ კარგი რამე ხარ და ფონტეოს კი ითად უნდოდა, შენი თავი ჩამოერთმია. უარი ვუთხარი.

ე ვ ნ ი კ ა – ლმერთებს შევბრალებივარ და შემწევიან...

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – დიახ, კარგი ხარ, როგორც სუნელოვანი ყვავილი და მე თვითონ არ ვიცი, თუ აქამდე რატომ არ მოგაქციე ყურადღება.

ე ვ ნ ი კ ა – ბატონო ჩემო...

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ნუ აღელდები... მე სილამაზის თაყვანისმცე-მელი ვარ და აქამდი ვერ შეგნიშნე.

ე ვ ნ ი კ ა – მე... მე იმისთანას არაფერს წარმოვადგენ, რომ კეთილშობილმა პეტრონიუსმა ყურადღება მომაქციოს, უბრალო მონა-მოახლეს, მაშინ, როდესაც ის სტკება უპირველესი მშვე-ნიერების, ქრიზოტემიდას სიყვარულით.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ოპო, მაშ, შენა გგონია, რომ ქრიზოტემიდა ჩრდილსა პფენს ევნიკას სილამაზეს? შემცდარხარ, მაგრამ რომ სცრულბ, სახეზე გატყობ.

ე ვ ნ ი კ ა – ჩემს დღეში სიცრუე არ მითქვამს, ბატონო!

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – მაშ, ამიხსენი, რად დაგცინიან ამხანაგები და დიანას გეძახიან.

## ვიდრე ხვალ, უფალო?

ე ვ ნ ი კ ა – რა მოგახსენო, ბატონო! ეგებ იმიტომ, რომ სამოახ-ლოდან ღამდამობით ბალში არ გავდივარ ხოლმე.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – სადაც, ტევრეზიუსის სიტყვით, ბედნიერი ჩემი მონა-მოსამსახურები ტყუპ-ტყუპად ეძიებენ განმარტოებას. მე არ მეხარბება შენი მარტოობა.

ე ვ ნ ი კ ა – მარტო არც მე ვარ ხოლმე, ბატონო!

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – მაშ, ვინა გყავს გვერდით ბედნიერი? ნუთუ ის ბებერი? ტევრეზიუსმა რომ მითხრა! ამბობენ, რომ ის ყოველდღე დაიარება შენთან.

ე ვ ნ ი კ ა – არა, ჩემო ბატონო! ის მეტად ბებერია და მახინჯი... ის მხოლოდ ექიმია და კუდიანი ჯადო...

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ჯადო... მერე და, რა გაქვს იმასთან საერთო?

ე ვ ნ ი კ ა – მინდოდა განკურნება.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ავადა ხარ?

ე ვ ნ ი კ ა – მე მინდოდა... მე მიყვარს, ბატონო, მაგრამ...

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – მაგრამ პასუხს არ აძლევენ შენ სიყვარულს? რომ?

ე ვ ნ ი კ ა – დიახ!

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – საწყენია... მერე მოხუცმა ვერ მოგარჩინა?

ე ვ ნ ი კ ა – ვერა, ბატონო! მე ისევ ისე ვიტანჯები, როგორც წინეთ.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – რა წამალი მოგცა?

ე ვ ნ ი კ ა – ორი ლერი ძაფი, ვენერას ქამრიდან გამორღვეული და ქერქში ჩადებული. დამარწმუნა, რომ უებარი საშუალება არისო.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – მაგითი ადვილი გამოსაცნობია, რომ ის მკითხავი კი არ არის, ვიღაც დიდი ცუდლუტია.

(სცენის იქით ხმაურობაა, მარკუსის ხმა) გზა მიტიეთ! გამიშვით! (შემოიტრება ალელვებული და სტაცებს ხელს მხრებში პეტრონიუსს. ევრიკა დაიკივლებს).

## გამოსვლა მეორე

მ ა რ კ უ ს – (გაცოფებული) სად არის ის ქალი? რა უყავი?

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – (აუდელვებლად ჩამოალებიებს ხელებს და ერთ ხელში იჭერს) მხოლოდ გამოღვიძების დღროს ვგრძნობ ხოლმე თავს სუსტად და უმისოდ კი ყოველთვის ღონიერი ვარ. ფოლადსავით მაგარი ვარ და მარდი. აბა, შინჯე, თუ გამომისხლტები ხელიდან. ცხადია, რომ გიმნასტიკა და ზრდილობა ორივე შენთვის მჭედელს უსწავლებია.

## ვიდრე ხვალ, უფალო?

მ ა რ კ უ ს – თუმცა ფოლადის ხელები გქონია, მაგრამ მაინც, ვფიცავ ღმერთებს, რომ, თუ ჩემთვის გიღალატნია, დანას გაგირჭობ ყელში.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ფოლადი, როგორც ახლა შენცა ჰედავ, უმაგრესია რკინაზე. მე შენი არ მეშინია, მაგრამ უზრდელობა კი მანუქებს.

მ ა რ კ უ ს – სად არის ლიგია?

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – კეისრისას!

მ ა რ კ უ ს – ის იქ აღარ არის. სადღაც მიმალულა. იმას შენ მოიტაცებდი.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – გეტყობა, ბრმა სიყვარულმა დაგიფანტა გონება. დამშვიდდი, დაჯექ და გამიგონე. მე რომ მდომებოდა იმ ქალიშვილის წაყვანა ჩემთვის, რას მოგერიდებოდი? პირდაპირ ისე, როგორც ახლა თვალებში გიყურებ, გეტყოდი: მარკუს, წამირთმევია შენთვის ლიგია და იმდენ ხანს მეყოლება, სანამ არ მომწყინდება-მეთქი.

მ ა რ კ უ ს – მომიტევე სიფიცხე... აზრები მერევა.. მე მეგონა, თუ შენთვის მოატაცებინე.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – სიფიცხე მიპატივებია, მაგრამ ვაჭრებივით უზრდელობის და ყვირილის პატივება კი ძნელია. მე მაგისთანა რამ არ მიყვარს და შენც, მარკუს, ფრთხილად იყავ... მაგრამ ახლა ამას თავი დავანებოთ... შენ დარწმუნებული ხარ, რომ ლიგია აღარ არის სასახლეში?

მ ა რ კ უ ს – აღარ...

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – საკვირველია, სად გაქრა და ვისთან უნდა მიიმალოს?

მ ა რ კ უ ს – არ ვიცი! ლამის გავგიუდე... ისეთი ბრაზი მერევა, რომ მზათა ვარ, თუ მივაგენი, თმებით მოვათრიო ჩემ სახლამდი, მივაყენო შეურაცყოფა და ისე დავსაჯო, როგორც უკანასკნელი მონა-ქალი. და კიდევაც ავასრულებ ამას. ნახავ, თუ არა...

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – გმადლობ. დასისხლიანებული ხორცის ნახვა რომ მინდოდეს, ყასპებს ჩამოუვლიდი...

მ ა რ კ უ ს – არა! არა!.. მე თვითონ არ მესმის, რასა ვჩმახავ, მე თვითონ ვემუდარებოდი, წამოსულიყო ჩემთან. ვეხვენებოდი, ფრჩხილებს ვიკვენეტდი... თავს კედლებს ვახლიდი და გონებას მაინც ვერ მოვეგე. ლამის გავგიუდე... ოჰ, რა ბედნიერი ვიქნებოდი, რომ ნება მოეცა, მის წინ მომეყარა მუხლები.

## ვიდრე ხვალ, უფალო?

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ო, ყოვლისშემძლებელო ქალღმერთო კიპ-რიდა. შენ მხოლოდ ერთადერთი ხელმწიფებრივი კაცებზედაც და სხვა ღმერთებზედაც.

მ ა რ კ უ ს – არა, ვენერამ უკუმაგდო. პლავტუსის სახლში მქონდა ხოლმე ტკბილი წამები, ახლა კი მწამს, რომ იმასა ვსძულვარ.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ევნიკა! მარკუსს მკურნალი ეჭირვება და შენი გრძნეული ექიმისაგან ვენერას სარტყლიდან გამონარღვევი და შენთვის მოცემული ძაფები იმასაც გაუზიარე.

ე ვ ნ ი კ ა – ტრიბუნს უყვარს და იტანჯება... მე ის მებრალება, ბატონო.

მ ა რ კ უ ს – ჩემი ბრალია. ყოლიფერი ჩემივე ბრალია. მე ის შემეძლო თავისუფლათ ჩამეგდო ხელში მხოლოდ სიყვარულით. ის უნდა ჩემ ოჯახში შემოსულიყო, როგორც ჩემი ცოლი... და ახლა კი ყოლიფერი დავკარგე. ახლა გვიანდა არის. ყოველივე დაილუპა.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ლიგია შენი ცოლი? მარკუს! ერიდე უკი-დურესობას. მიტომ კი არ მოგვყავს ჩვენ ტყვედ ბორკილიანი და გაბანრული ბარბაროსები, რომ მათი ქალები შევირთოთ.

მ ა რ კ უ ს – დიახ, სწორედ ისე უნდა მოვქცეულიყავ. მაგრამ გავგიშდი და როგორც საზიზღარმა მოღალატე გამცემელმა, ძალად მოვიტაცე მამამისის სახლიდან... მოვიტაცე კეთილშობილ ოჯახში აღზდილი და უმანკო, როგორც ზეცა. შენ უნდა გიმადლოდე, რომ კეისრის სასახლეში, იმ გარყვნილების სადგურში, შევიყვანე და მისი უმანკო თვალები უწმინდურ სანახაობით გავაბინიერე! შენ ხარ ჩემი უბედურობის მიზეზი...

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – მე ნურას მაბრალებ. გუშინ შენ მთვრალი იყავი და მე კი ვხედავდი, თუ როგორ ეპყრობოდი იმ ქალს: თითქოს კალატოზი იყავი ალბანის მთებიდან. ნუ იქნები თავგასული და გაიხსენე, რომ კარგ ლვიონის სიყრთხილით სმენ პირის ჩასაგემრი-ელებდლად. ახლა მომისმინე, თუ მე როგორ მოვიქცეოდი შენს ადგილზე: მე ყველაზე უმალ, სანამ დაკარგულს ვიპოვიდი, სხვას მოვძებნიდი, სამაგიეროს. მე შენს სახლში ბევრი ლამაზი გოგოები მინახავს. ნურას მეუბნები... მეც კარგად ვიცი, თუ რა არის სიყვარული: თუ ერთი გიყვარს, მაშინ მეორე ალარ გაგონდება, მართალია. მაგრამ ლამაზ მოახლესთან დროებით მაინც გაერთობი.

მ ა რ კ უ ს – არ შემიძლია.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ეგება, თვალი გაქვს მიჩვეული შენს მოსამ-სახურებზე? აბა, ამას შეხედე! (მიუთითებს ევნიკაზე) თუ გინდა, წაიყვანე, მიჩუქებია.

## ვიდრე ხვალ, უფალო?

ე ვ ნ ი კ ა – (გაყვითლდება) ბატონო...

მ ა რ კ უ ს – არა, არა! მე ლიგიას ვერა დამავიწყებს-რა...

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – კი, მაგრამ შენ, მადლიერო ცხოველო, არც კი შეგიხედნია ამ მშვენიერებისათვის. ევნიკა! წადი იბანე, იცხე სუნ-ნელება, მოირთე-მოიკაზმე და მარკუსისას წადი.

ე ვ ნ ი კ ა – (მუხლებს მოყრის) გებრალებოდე! შემიწყალე, ბატონო! წუ გამგზავნი მარკუსთან... იმის მოსამსახურებში პირველობას მე აქ უკანასკნელობა მირჩევნია.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – (შექმუხვნით) რაო?

ე ვ ნ ი კ ა – ბატონო, უბრძანე, რომ ყოველდღე გამწკეპლონ და შენი სასახლიდან კი წუ გამაგდებ. შენ შემბრალე ხარ და არ მოინ-დომებ შენი მოახლის დაღუპვას. მე არ შემიძლია, რომ ტრიბუნისას ვიცხოვრო... არ მინდა.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – არ შემიძლია!.. არ მინდა!..... ეს რა მეს-მის! ჩემ უურებს არ უჯერი. მონა-მოახლე ჰპედავს ჩემ ურჩიბას? მე ვერ მოვითმენ წინააღმდეგობას და მიტომაც გიპრძანებ, წახვიდე ტევრეზიუსთან და გადასცე ჩემ მაგიერ, რომ ოცდახუთი წკეპლა დაგრას, მაგრამ გააფრთხილე კი, რომ კანი არ წაგიხდინოს.

მ ა რ კ უ ს – წუ გაალახვინებ, გულითა გთხოვ! მე ეგ არაფრად მინდა. გაუგონე ვედრება და დასტოვე შენსავე.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – (ცოტა მოფიქრების შემდეგ) კარგი! აგისრულებ სურვილს. (ევნიკას) დარჩი!

ე ვ ნ ი კ ა – (მხარულად) ოჳ, გმადლობ, ბატონო! შენ მაგით სიცოცხლე მაჩუქე. გმადლობ შენც, ტრიბუნო! ჩემ დღეში არ დავივი-წყებ შენს ქომაგს და, რომ კეთილშობილი მარკუსი დაუჯერებდეს უბრალო მონას, ეგებ კიდეც გამოვდგომოდი რამეში.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – შენ შეგიძლია გამოადგე მარკუსს?

ე ვ ნ ი კ ა – კი, ბატონო! ტრიბუნს სევდა შემოსწოლია, რომ ის ქალი დაკარგვია. მე მგონია, რომ იმას ხილონი მიაგნებს, იმან ყოლიფერი იცის.

მ ა რ კ უ ს – ლიგიას მიპოვნის? ვინ არის ეგ ხილონი?

ე ვ ნ ი კ ა – მკურნალია. ის ახლა სამოახლოშია და თილისმებსა ჰყილიდის მოახლეებზე.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ის, შენი თვალთმაქცი რომ არის?

ე ვ ნ ი კ ა – დიახ, ბატონო!

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – მაშ, კარგი, ჩვენც ვისარგებლებთ მისი შელ-ოცვებით. დაუძახე აქ იმ ბრძენს. (ევნიკა მიდის) ევნიკას სიტყვებიდან

## ვიდრე ხვალ, უფალო?

მე იმას ვგულისმხმობ, რომ ის ვიღაც ხილონი დიდი გაიძვერა უნდა იყოს. მოდი, აბა, ერთი ვნახოთ, მეძებრადაც გამოგვადგება თუ არა? მე მგონია, რომ ის გაიძვერა ჩვენთვის საჭირო იქნება.

მ ა რ კ უ ს – რაღას უნდა გამოველოდეთ მისგან, თუ მართლა გაიძვერაა?

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ჩვენ რას დავეძებთ, მთელი ქვეყანა გაიძვერობაზეა დამყარებული და თვით ცხოვრებაც გაიძვერობაა და თავის მოტყუება. აი, ისიც (შემოდის ხილონი, ძონძებში გამოხვეული).

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ოოოო... სალამი ლვთისნიერ თერეზიტს! როგორ მშვიდობით ბრძანდებიან შენი ბებერები, რომლითაც დაგასაჩუქრა ტროადაში ულისმა და ან თვითონ ის ულისი როგორ ბრძანდება საიქიოს, ელისეს მინდვრებში?

ხ ი ლ ო ნ – კეთილშობილი ბატონი, უბრძენესი მკვდართა შორის, ულისი, უგზავნის უბრძენესს ცოცხალთ შორის პეტრონიუსს მოკითხვას და სთხოვს, რომ ჩემი ბებერები დაფაროს ახალის წამოსასხამით!

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ჰეკატას ვფიცავ, შენი პასუხი ღირს ახალ მოსასხამათ.

ხ ი ლ ო ნ – გმადლობთ, ჩემო ბატონო, მე კიდევაც ვგრძნობ მას ჩემ მხრებზედ და აღტაცებულიც ვარ მისის სიკეთით.

მ ა რ კ უ ს – ხილონ, შეგიძლიან, რომ მიიღო შენ თავზე ერთი დიდმნიშვნელოვანი მონდობილება?

ხ ი ლ ო ნ – მიღებით ყოლიფერს მივიღებ, ჩემო ბატონო, მე მხოლოდ მარტო მიცემა მეჯავრება. მე სუყველაფერი ვიცი. გუშინ კეისრის სასახლიდამ დაიკარგა ახალგაზრდა ქალიშვილი, სახელათ ლიგია. შენ გინდა, რომ მისი მოძებნა მე მომანდო. და ჩემი პასუხი ის არის, რომ „ვიპოვნი!“

მ ა რ კ უ ს – კარგი, მაგრამ რა საშუალებას იხმარ მაგისტვის?

ხ ი ლ ო ნ – საშუალება შენა გაქვს, ბატონო, მე კი – ჭკუა და ნიჭი.

მ ა რ კ უ ს – ნუ დაივიწყებ კი, თუ მომატყუვე ვერცხლისმოყვარებით, მაშინ მე უბრძანებ, რომ ტყავი გაგაძრონ.

ხ ი ლ ო ნ – მე, ბატონო, ფილოსოფოსი ვარ და ფილოსოფოსები არ დასდევენ შეძენას; განსაკუთრებულათ იმისთანა მდიდრულს, როგორსაც შენ მპირდები.

მ ა რ კ უ ს – როდის შეუდგები ძებნას?

ხ ი ლ ო ნ – მე კიდეც დავიწყე და აი, ამ წამში, როცა პასუხს ვაძლევ შენს ზრდილობიან კითხვას, უკვე ვეძებ.

## ვიდრე ხვალ, უფალო?

მ ა რ კ უ ს – დარიგება ხომ არა გეჭირვება-რა?

ხ ი ლ ო ნ – არა, მე მხოლოდ იარაღი მინდა.

მ ა რ კ უ ს – რაგვარი?

ხ ი ლ ო ნ – (ანიშნებს, როგორ სთვლიან ფულებს და თან ოხრავს) რა ვენათ, ახლა მისთანა დროა.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – მაშ, შენც იმ ვირსა გავხარ, რომელიც ოქროს შემწეობით ციხეებს აიღებს ხოლმე.

ხ ი ლ ო ნ – მე მხოლოდ საწყალი ფილოსოფოსი ვარ და ოქრო კი თქვენა გაქვთ. (მარკუსი გადაუგდებს ქისას, ხილონი იჭერს) ეხლა, ჩემო კეთილშობილო ბატონო, შენ რომ ფიქრობ, იმაზედაც მეტი ვიცი. ლიგია გაიქცა სასახლიდან გოლიათი მონის შემწეობით.

მ ა რ კ უ ს – ურსის შემწეობით?

ხ ი ლ ო ნ – დიახ! ეჭვი არ არის, რომ იმ ქალმა თავი შეაფარა ახალ თანამერჯულებს და არა მონებს. მე გაგონილი მაქვს, რომ პომპონიას სახლში თაყვანს სცემენ რაღაც უცხო ღვთაებას. ერთი ეს მიბრძანებ, უკეთილშობილესო ტრიბუნო, შენს უმშვენიერეს ლიგიაზე შარნები ხომ არა გინახავს-რა და ან ხომ არა უხატავს-რა შენთან... რამე ნიშანი?..

მ ა რ კ უ ს – ნიშანი? მოიცა!.. როგორ არა... როგორ არა... თევზასა ჰეხატავდა სილაზე.

ხ ი ლ ო ნ – ა-ა!... თევზს? ო-ო-ო!..

მ ა რ კ უ ს – მერე და, იცი შენ კი, რას ნიშანავს ეს თევზი?

ხ ი ლ ო ნ – თუ არ ვიცოდე, თხის ყველსაც დაუხრჩივარ!... ლიგია ქრისტიანია და ქრისტიანებმაც მოიტაცეს... ა-ა-ა! ახლა კი მივაგენი კვალს. სიტყვას ვიძლევი, რომ ვიპოვი გაქცეულს და შესაფერ ჯილდოსაც დავიმსახურებ. სულგრძელისა და უხვი ტრიბუნისაგან საკმაო საჩუქარს რომ მივიღებ, ერთ ლამაზ მონა-ქალსაც შევიძენ. კეთილშობილი ბეტრონიუსიც უარს არ მეტყვის და დამით-მობს ევნიკას.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ერიპა! ეს კარგია!.. სხვა ყოველგვარ ქველ-მოქმედებასა და სხვადასხვა ნიჭს გარდა ხილონს გემოცა ჰქონია.

ხ ი ლ ო ნ – ლამაზია ის შეჩვენებული, მაგრამ სულელი კია. ამას ნინეთ ორი ძაფი მივყიდე, ჩემი მოსასხამიდან ნაძრობი, ვენერას ქამ-რის მაგიერ.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – შენ რაღას იტყვი, მარკუს, ამ კეთილშობილ ბრძენზე?

## ვიდრე ხვალ, უფალო?

მ ა რ კ უ ს – (მხიარულად) იმას, რომ ლიგიას მიაგნებს და ამასაც დავუმატებ, რომ თუკი სადმე არსებობს არამზადების სამთავრო, ეს იმათ კაროლად გამოდგებოდა... .

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – მართალი ხარ... შენ ახლა შეგიძლია, წახვიდე და მოსძებნო ის ქრისტიანი ქალი. ევნიკას დამიძახე და უბრძანე, რომ შენც ახალი მოსასხამი მოგართვან.

ხ ი ლ ო ნ – ულისი გმადლობთ თერზიტის გულისათვის! წახვამდის, ბატონებო! მე ეხლა მივდივარ სათევზაოთ. მაგრამ ჯერ კი უნდა გავხურდე ღვინით, რომ არ გავცივდე. თევზი წყალში სცხოვრობს და წყალში ძებნა უფრო ძნელია, ვიდრო ხმელეთზე. ცოტა შრომა კი არ ეჭირვება და მიტომაც, როგორც მეთევზე, კიდევ განსაკუთრებულ საჩუქარს ველი. „მშვიდობა თქვენთან არს“, – ასე ეთხოვებიან ხოლმე ერთმანეთს ქრისტიანები. თევზს ანკესით იჭირენ და თევზით კი ქრისტიანებს – პაკს ვობისკუმ! პაკს! პაკს! (მიდის).

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – უფრო დაახლოებით უნდა გავიცნო ეს სტიორუსი და ახლა კი ამ სასტუმროში ვაკმიოთ სუნნელება, რომ ოთახი გავსწმინდოთ. შენ არ წამოხვალ, რომ წახო ქრიზოტემიდასთვის მორთულ-მოკაზმული გარეშემოები?

მ ა რ კ უ ს – არ შემიძლიან, რომ მოვისვენო და ერთ ადგილზე გავჩერდე. ახლავე წავალ მონებთან, ქალაქის კარებთან რომ დგანან, და უთვალყურებ ლიგიასა.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – მე მესმის შენი მოუთმენლობა და აღარ გაკავებ...  
მ ა რ კ უ ს – მშვიდობით! გმადლობ თანაგრძნობისათვის!

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – გისურვებ გამარჯვებას მტრედის დაჭერაში. (მარკუსი მიდის) შეიძლება, რომ მამალმა მტრედმა დედალი დაიჭიროს, მაგრამ, ვაითუ თვითონ გაებას მახეში... აღგზნებულ ჭაბუქს ისე ღრმად შერჭობია ამურის ისარი, რომ ყურადღება არ მიუქცევია ევნიკასთვის. საკვირველია, რათ უნდა ევნიკას ისე გულით ჩემ სახლში დარჩენა? აქაც ამურის ცულლუტობა უნდა იყოს, მაგრამ ვინა ჰყავს არჩეული? საგულისხმოა!.. (შემოდის ევნიკა).

## გამოსვლა მესამე

ე ვ ნ ი კ ა – მე მიბრძანებდით, ბატონო?

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ჰო... საჭიროა, რომ აქ სუნნელება მიაკმიო. მაგრამ ამას მერეც მოესწრები. მითხარი, რა მიზეზია, რომ აქ დარჩენას იხვენები და არ მიჰყვები მარკუს?

## ვიდრე ხვალ, უფალო?

ე ვ ნ ი კ ა – ის, რომ შენს ოჯახში მონობა არ არის. აქ ჩვენი კეთილშობილი ბატონი ყველას ისე უყურებს, როგორც ადამიანს და მიტომაც ადიდებს და თაყვანსა სცემს მის გულეკეთილობას მთელი რომი.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ეტყობათ, რომ კარგად ვერ მიცნობენ, წელან რომ დაგინიშნე წევალის ოცდახუთი დარტყმა, ის ჩემ გულეკეთილობის სასარგებლოდ ბევრს არას ამბობს.

ე ვ ნ ი კ ა – ეგ მე თვითონ დავიმსახურე ჩემის ურჩიობით.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – აბა, თვალებში შემომხედე! მე მთვლიან ადამიანის გულის შემტყობად და დარწმუნებით შემიძლიან ვსთქვა, რომ მხოლოდ ერთადერთ სიყვარულს შეეძლო, გამოეწვია შენი ურჩიობა.

ე ვ ნ ი კ ა – ეგ მართალია, ბატონო!

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ის, ვისაც შენ გული შესწირე, ამ ჩემ სახლში სცხოვრობს?

ე ვ ნ ი კ ა – (ხმადაბლა) დიახ, ბატონო.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ხომ იცი, რომ მე ყოველთვის ვმფარველობდი სიყვარულს! და შენც აუშფოთებლად და უშიშრად შეგიძლია დაასახელო შენი არჩეული.

ე ვ ნ ი კ ა – ოჳ, მაგას ნუ მკითხავ, ბატონო... მეშინა, ხელახლა არ გაგარისხოთ, მაგრამ მე კი უფრო მალე ვიკისრებ, გაჯოხვის დროს სული დავლიო, ვიდრე წავიცდინო მისი სახელი...

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – კარგი, ძალას არ დაგატან... მაგრამ მიკვირს კი, რომ თანაგრძნობა ვერ მოგიპოვია. შენ მანგრე ახალგაზრდა ხარ და ლამაზი... მუდამ მოსამსახურების წრეში ხარ... სადაც ყველა ლამაზია და მათი მშვენიერება თვით ნერონსაც კი ეხარბება.

ე ვ ნ ი კ ა – გრძნობა არ უჯერის გონებას, ის თავისუფალია მონა-ქალებშიაც და იმას არ დასდევს, ჰყავს თანამგრძნობა, თუ არა... ღმერთებმა მარგუნეს მე მოახლეობა-მონობა, მაგრამ გული კი მოსიყვარულე ქალის მომცეს. იყოს მათი ნება, მე არ შემიძლია, შევსცვალო მათი განაჩენი. მეც ვემონები მათ – მიყვარს და ვიტანჯები.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – (ხმაგაკმენდილი შეჩერებია ევნიკას, მერე თვალდალებული სდგას და თავისოვის იმეორებს) „გული თავისუფალი აქვა მონასაცაო!“ (ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ) ამ ბოლო დროს ქრიზოტემიდას თვალის ქუთუთოები როგორდაც ემანჭება! დიახ! შეუბრალებელი დრო თავის კვალსა სტოვებს. ეხ! ეხ! რა მოწყენილობაა. (წამოდგება) უბრძანე, რომ სუნნელი მიაკ-მოაკმიონ ამ სასტუმროში. და შენთვის კი ვისურვებ სიყვარულში თანაგრძნობას,

## ვიდრე ხვალ, უფალო?

რადგანაც ლირსი ხარ. ლამაზი ქალი თავის წონა იქროთა ღირს და თუ შეყვარებულიცაა – დაუფასებელია. (მიდის).

ე ვ ნ ი კ ა – (მარტო) შენ ვერასოდეს ვერ შეიტყობ, ვინც უყვარს ევნიკას. (ლიმილით მიადგება ქანდაკებას) მარმარილოს ქანდაკი პეტრონიუსისა არ ეტყვის ჩემს საიდუმლოს ცოცხალ პეტრონიუსს. (მიიდგამს სკამს, ავა ზედ და ეხვევა ქანდაკებას). მხოლოდ შენ, ცივმა და უსიცოცხლომ, იცი, როგორის მხურვალე კოცნით ეკვრის მონა მისი ბატონის ბაგებას. მაგრამ შენ ვერ გამიღიმებ და ვერც კოცნით მიპასუხებ.....ვერ გაგათბობ ჩემის მოხვევით და ვერ ვიგრძნობ შენს გულის ძგერას... (ჰკოცნის) მიყვარხარ!.. მიყვარხარ! გესმის, მიყვარხარ! (ამ დროს შემოდის პეტრონიუსი კოლოფით ხელში და გაოცებული შეჩერდება).

## გამოსვლა მეოთხე

ჰ ე ტ რ ო ნ ი უ ს – გავიგონე!

ე ვ ნ ი კ ა – (შეშინებული ჩამოხტება ძირს) ვაიმე... ბატონო...

ჰ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ჩემი ქანდაკება, როგორც ახლა შენცა ხედავ, კარგად ვერ ინახავს შენს საიდუმლოს.

ე ვ ნ ი კ ა – (გულამომჯდარი დაიჩოქებს) მაპატიე, ბატონო! ჭკუა დავპკარგე! გონებას ველარ მოვეგე, გევედრები, ნუ გამირისხდები...

ჰ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ადექ... (ტაშს უკრავს) ტევრეზიუს...

ე ვ ნ ი კ ა – ბატონო, უბრძანე მომკლან და შენი სახლიდან კი ნუ გამაგდებ. მე ამას ველარ ავიტან და ძალლივით მოვკვდები შენი სახლის კარებთან. (შემოდის ტევრეზიუსი).

ჰ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ტევრეზიუს! დღეს ველარ მივიღებ ქრიზოტემიდას... გადაეცი, რომ კეისარმა მიხმო.

ტ ე ვ რ ე ზ ი უ ს – (გაოცებული) როგორ, ბატონო?..

ჰ ე ტ რ ო ნ ი უ ს – მე არ მიყვარს განმეორება. გასწი! (ტევრეზიუსი მიდის) შენ აქ მოდი, ევნიკა! ეს ყელსაბელი მე ქრიზოტემიდასთვის მქონდა მომზადებული, მაგრამ თურმე ბრმა ვყოფილვარ: იმას ვეძებდი შორს, ვინც ახლოს მყოლია. დეე, შენი მშვენიერი ყელი ამ მანიაკმა კიდევ უფრო დაამშვენოს. (გადააცვამს ყელსაბამს) ბედიერი ვარ, რომ სიყვარული ვნახე, ამისთანა მოხდენილ გარეგნობაში გამომწყვდეული!

## ვიდრე ხვალ, უფალო?

ე ვ ნ ი კ ა – ბატონო ჩემო, ნუ ეხუმრები ასე საბრალო ჩემ გულს... გამისკედება... მე როგორ გავბედავ, რომ ვიფიქრო... რა ღირსი ვარ! მე ხომ მონა ვარ... მოახლე.

ჰ ე ტ რ ო ნ ი უ ს – არა! მონა კი არა, ამიერიდან შენ იქნები ჩემი ქალბატონი და მბრძანებელი.

ე ვ ნ ი კ ა – არა, ჩემო მფლობელო, ნუ ამბობ მაგრე, ნუ... მე ბედნიერებისაგან გავგიუდები...

ჰ ე ტ რ ო ნ ი უ ს – თვალები ამეხილა! ჩემს მახლობლად ვნახე ფასდაუდებელი ქლნება. ახლა კი იმას ველარავინ გამაშორებს. (ხელს მოჰკიდებს აცახცახებულ ევნიკას). მე ავივსებ სიცოცხლეს ბედნიერებით ისე, როგორც ფიალას საუკეთესო ღვინით, და დავენაფები, სანამ ხელი არ გამიშემდება, ან ტუჩებს ფერი არ მიეხდება... მერე რა მოხდება, არ ვიცი და არც მინდა ვიცოდე..

ე ვ ნ ი კ ა – როცა ფიალას დავსცლით, ჩემო ბატონო, მაშინ მე ხელახლა ავავსებ იმავ სასმისს საწამლავით და ბედნიერი დავსცლი შენს ლოცვა-კურთხევაში.

ჰ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ოპ, ჩემო ევნიკავ... მაპატიე ჩემი სიბრმავე და... გიყვარდე!

ე ვ ნ ი კ ა – ფეხთა მტვერი ვარ შენი... ჩემო მფლობელო, ჩემო სატრფიალო... და ვჰკოცნი ხოლმე შენს ფეხთა კვალს.

ჰ ე ტ რ ო ნ ი უ ს – არა! არა! ჩემს ხვევნაში, ჩემს გულთან... (ჩაიკრავს გულში) ნუ გგონივარ ცივი მარმარილოს ქანდაკი... მეც შენს ხვევნას ხვევნითვე უპასუხებ და კოცნას – კოცნით, ჩემო ღვთაებავ!

ე ვ ნ ი კ ა – (გადაადებს ხელს მხრებზე) ჩემო მბრძანებელო! ჩემო ღვთაებავ! მიყვარხარ...

ჰ ე ტ რ ო ნ ი უ ს – (აუწევს თავს ევნიკას და შეაჩერდება თვალებში. ჩურჩულითა და ხმის გაგრძელებით) მიყვარხარ, ჩემო...

ე ვ ნ ი კ ა – (ვნებამორეული ჰკოცნის პეტრონიუსს) მგონია. ვგიუდები...

ფ ა რ დ ა

პირნი:

გ ლ ა ვ კ უ ს ი - 50 წლის, ქრისტიანი.

ფ ა ბ ი უ ს ი - მოხუცი, ქრისტიანების მქადაგებელი.

მ ა რ კ უ ს ვ ი ნ ი ც ი უ ს.

ხ ი ლ ო ნ ხ ი ლ ო ნ ი დ ი.

უ რ ს ი.

კ რ ო ტ ი ნ ი - გლადიატორი.

ქ რ ი ს ტ ი ა ნ ე ბ ი, ქ ა ლ ე ბ ი დ ა ბ ა ვ შ ვ ე ბ ი.

ქრისტიანებისას. მიყრუებული ქუჩა, ნახევრად დანგრეული სახლები, მოშორებით რომები. მარცხნივ გლავეუსის ძველი ქვითკირის სახლია, რომლის კარებსაც მიყრუებულ ბაღში გაჰყავს. ბაღს ქვითკირის გალავანი ავლია, ალაგ-ალაგ ჩამონგრეულია და ზედ სურო ეხვევა, შუა სცენამდე უწევს. ბაღის კედელი შუა ჰყოფს კედელს და სახლს შემოუვლის. კედელს, რომელიც სცენასა ჰყოფს, ჭიშკარი აქვს], ქუჩისკენ დატანებული. წინ ხე აფარია. ბაღში ქვის სკამლოგინებია. სალამო.

### გამოსვლა პირველი

სცენაზე ბაღში გ ლ ა ვ კ უ ს ი, ლ ი გ ი ა დ ა უ რ ს ი

გ ლ ა ვ კ უ ს - ნუ გეშინია, ლიგია! აქ შენ უშიშარ ადგილას ხარ მიმალული. ეს ქალაქის ნაწილი დიდი ხანია მიყრუებულია. არავინა სდგას და მეც მიტომ ავირჩიე, რომ ღამდამობით აქ თავი მოვიყაროთ ხოლმე. ჯერ არავის დაურღვევა ჩვენი მყუდროება ლოცვის და ბასის დროს. უშიშროთ ვიყრით აქ თავს.

ლ ი გ ი ა - მჯერა, ჩემი მამავ, მაგრამ მაინც რაღაც გამოურკვეველი წინაგრძნობა მაძრნუნებს. მართალია, აქ მე ერთ კვირაზე მეტი გავატარე მშვიდობიანად, ამ კედლებშუა, მაგრამ მაინც ვერ დავმშვიდო.

უ რ ს ი - ქალბატონო, ნუ გეშინია, შენ ჩემთანა ხარ. ურსი ჭკუაზედ ცოტა მწყრალად არის, მაგრამ სამაგიეროდ ღმერთს მისთვის მიუკია იმისთანა ღონე და მძლავრი ხელები, რომ, ვაი მას, ვინც ჩემს ქალბატონზე ცუდათ რამეს ითიქრებს.

ლ ი გ ი ა - გმადლობ, ჩემი ურსო! დიდი ხანი არ არის, რაც შენ შეურაცხყოფას გადამარჩინ. მე უმწე, უფარველო ვარ, ერთადერთი და შენს მეტი მახლობელი არავინ მყავს.

გ ლ ა ვ კ უ ს] - შვილო ჩემო, შენი ნამდვილი და ძლიერი მფარველი ერთი ღმერთია და მახლობლები კი - ჩვენ ყველა, შენი მოძმეული - მისი ალმასრულებელი.

ლ ი გ ი ა - ჩუ! რაღაც ხმა მესმის კედელს იქით, თითქოს ვიღაც ეპარება კარებს.

უ რ ს ი - (უცბათ გამოადებს ჭიშკარს და იყურება ქუჩისკენ). არავინ არის! ქუჩა ცარიელია. (ილიმება) ქალბატონო! ტყუილად იწუხებთ თავს.

ლ ი გ ი ა - მე მეგონა, რომ ის ბებერი, გუშინ რომ შემაშინა, ისევ მოვიდა, ქურდივით გაჩნდა, თითქო მინიდან ამოძვრაო...

უ რ ს ი - და მამინვე გაიქცა, როგორც კი დაგვინახა მე და გლავკუსი.

გ ლ ა ვ კ უ ს] - ვინმე ოხერი ლოთი იქნებოდა... შემთხვევით მოაწყდებოდა აქაურობას.

ლ ი გ ი ა - შენ რაღაც გაფითრდი და შეამტერდი ისე, მამავ!

გ ლ ა ვ კ უ ს] - მე მომეჩვენა... მისმა მოყვანილობამ ერთი ჩემი მოსისარი მტერი მომაგონა. იცი რა, შეილო, ყოველთვის ასე მარტოხელა კი არ ვყოფილვარ. ნეაპოლში ახალგაზრდა ცოლით ვსცხოვრობდი. ჩემი ერთგული ვერონიკა ჭირში და ლხინში ჩემი თანამზიარე იყო... ბედნიერი ვიყავ, მაგრამ იმ ბედნიერებამ დიდხანს ვერ გასტანა. გაგვიჩნდა გველი და სასიკვდილოთ დამშეამა. ვიღაც ბერძენი, კეფასი, რომელიც მე ჩემდა საუბედუროთ შევიყვარე და უკანასკნელ ლუკმას შუა ვუყოფდი ძმურად, შემიჩნდა და დამატოვებია ნეაპოლი, რომ რომში გადმოვსახლებულიყავ. გზაში მოყიდულ კაცისმკვლელებით დამესხა თავზე, მე დამჭრეს, გამძარცვეს და ახალგაზრდა ჩემი ცოლი მეკობრებს მიჰყიდეს... მას აქეთ დიდმა ხანმა გაიარა, ჭრილობა დამიშუმდა, მაგრამ გული კი დღესაც სისხლით მენთება.

ლ ი გ ი ა - შემინდევ, მამავ, რომ ჩემი უგუნური შემოკითხვით ძველი წყლულები აგიშალე...

უ რ ს ი - კაის იზამს ის კეფასი, ვიღაც არის, რომ ურსა არ შევდებოდეს სადმე.

გ ლ ა ვ კ უ ს] - (წამოდგება) წავიდეთ, ლიგია! ჩვენ უნდა მოვემზადოთ მოხუცებულ ფაბიუსის მისალებად, დანიშნულ დროზე ისიც ჩვენ ძმებთან ერთად მოვა: დაგვპირდა, რომ ორი დღით გვესტუმრება.

ლ ი გ ი ა - წავიდეთ, მამავ! (შედიან სახლში).

(ქუჩაში გამოჩნდებიან ხილონი და მისი თანმიმდევრი - მარკუს და კროტონი. სამივე გამოხვეულან შავ მოსასხამში და პირი მოუბურავთ).

## ვიდრე ხვალ, უფალო?

### გამოსვლა მეორე

ხ ი ლ ო ნ ი – (მარკუს) კეთილშობილო ბატონო, აი, ის სახლი, სადაც ქრიტიანები იყრიდა თავს და სადაც ლიგიასაც ნახავთ. მე მხოლოდ როგორდაც არ მიჯდება ჭკუაში ის მხეცის მზგავსი მოსამ-სახურე, ლიგიას რომ ახლავს, სწორეთ დევია ძალ-ლონით.

კ რ ო ტ ო ნ ი – (მარკუს) ჰერკულესი ნუ გამიწყრება, ძალიან კარგათ ჰქმენი, რომ დღეს მომნახე, რადგანაც მე ხვალ მივდივარ ბენევენტოს, სადაც მიმინვიეს საჭიდაოდ ვილაცა სინაკსთან. მისთანა ლონიერი ჯერ არა თუ ნახულა, არც კი გაგონილა მთელ აფრიკაში. დიახ, იმას უნდა მოვერიო და შეგიძლიათ, ბატონო, წარმოიდგინოთ, თუ რანაირად დაიწყებენ ხრამახრუშს მისი ძვლები, ხელებს რომ მოუქერ... იმ გამურულ თავს რომ გაუჭერყ...

მ ა რ კ უ ს – მე მჯერა, რომ ეგ ანგრე იქნება.

ხ ი ლ ო ნ ი – და კარგსაც იზამ! ერთი გაუსრისე იმას სახე, ეგ კარგი მოვიქრებაც არის და საკადრისი საქმეც. ვისაც უნდა, დავ-ენაძლევები, რომ შენ იმას მოუგრეხ კისერს. მაგრამ ჯერ კი ჯან-ლონე მოიკრიბე, ჩემო ჰერკულესო, რომ ღირსეულად დაუხვდე შენს საკადრისს მონინააღმდეგეს.

მ ა რ კ უ ს – მართლაც, ურსი მეტად ლონიერია, თორემ მე არ მივმარ-თავდი კროტონს, უპირველეს ლონიერად ცონბილს მთელს რომში.

კ რ ო ტ ო ნ ი – ყოვლად ღირსო ტრიბუნო, მე მზათა ვარ, რომ ეს ხელი წაგავლო და მოვსწურო ის, ვისაც კი შენ მიბრძანებ.

ხ ი ლ ო ნ ი – მხოლოდ მე კი ნუ...

კ რ ო ტ ო ნ ი – მაგისთანა ლიგიელი შვიდიც არ მეყოფა. და რომ ის ქალი დღეს შენ სახლში იქნება, სიტყვას ვიძლევი.

მ ა რ კ უ ს – ისემც კარგი დაგემართოს! აბა, წავიდეთ ახლა!

ხ ი ლ ო ნ ი – (შემკრთალი) მოიცადეთ. რას აპირობთ, ბატონო... სწორედ ამ დროს იყრიან ხოლმე თავს აქ ქრისტიანები. ყვირილს გაიგონებენ და ქვით ამოგვქოლავენ. მაშინ ამის ღონეც ვეღარას გვიშველის. უნდა მათ წასვლას მოვუცადოთ და მერე შეუდგეთ საქმეს. უამისოდ ჩვენ სამთაგან ერთიც ვეღარ გადავრჩებით.

მ ა რ კ უ ს – მართალს ამბობ, ხილონ! სჯობია, რომ მოვიცადოთ. რომ ხელი როგორმე შეგვეშალოს და დღეს ლიგია ვეღარ ჩავიგდოთ ხელში, მე გავგიუდები.

ხ ი ლ ო ნ ი – ხომ გესმის, კროტონ! მაშინ ჩვენ საჩუქარს უნდა გამოვეთხოვთ და რომიც ერთ უპირველეს ჭკვიანთაგანს დაჲკარგავს.

## ვიდრე ხვალ, უფალო?

კ რ ო ტ ო ნ ი – კარგი, ბატონო, მოვიცდი, მეტი რა გზაა. მაგრამ უბრძანე კი ამ ბებერ ცხვირას, რომ გაჩუმდეს, თორემ დავადევი ხელი ეს-ეს არი...

ხ ი ლ ო ნ ი – საწყალი! აღარ იცის, რა უყოს ხელებს... მაგრამ მე უფრო უსაწყლესი ვარ, აღარ ვიცი, რა ვუყო ფეხებს. ისე დავიღლალე, რომ ორივე მოძრობაზე მაქა! ქრისტიანები კი ახლოს არ არიან.

მ ა რ კ უ ს – მეც დამქანცა ამ შორმა გზამ, ჩამოვჯდეთ! (ჩამო-ჯდებიან დანგრეულ სახლის კიბის საფეხურზე).

ხ ი ლ ო ნ ი – მიუხედავად დაღალვისა, მე შინისკენ დაბრუნებას ვამჯობინებდი და ჩემი ძიების შედეგი კი თქვენთვის მიმინდვია. მე ხომ მაინც არ დაგპირებივართ იმ ქალიშვილის მოტაცებას? და ან ვინ დამაკისრებდა მაგას საწყალს, სიბერით დასაპყარებულს, რომელსაც თავისი სიცოცხლე სულ მეცნიერების ძიებაში, ქელმოქმედებაში გაუტარებია?! რომ თქვენი გაზრახვა ვეღარ მოიყვანოთ სისრულეში, მაშინ რაღა უნდა ვქმნათ. მაგრამ კეთილშობილი ტრიბუნი რომ მე გადმომცემდეს იმ ქისას, ქამარს უკან რომ ჩაიკუჭნა სახლიდან გამოსვლის დროს, მაშინ ჰო, კიდევ და კიდევ, გაჭირვების დროს სახსრად მაინც გამოიყენებდა კაცი.

მ ა რ კ უ ს – აპა და გაჩუმდი. (გადუგდებს ქისას).

ხ ი ლ ო ნ ი – ოჳ, ეს კი სწორედ მამხნევებს. გმადლობთ, იმედი მაქეს, არც კვლავ დაგავინყდებით.

მ ა რ კ უ ს – ფეხების დაღალვას უჩიოდი და ხომ მოასვენე, ახლა ეგ ენაც მოასვენე...

ხ ი ლ ო ნ ი – ყოველ ადამიანზე უჭკვიანესო! მართალს ამბობ, როგორც ყოველთვის. გზაში ფეხები მუშაობდენ და დამეღალენ. ენა კი მოსვენებული იყო! ახლა კი წინააღმდეგად შეცვლილია. მაგრამ აი, ამ ჩემს, იმდენად კეთილშობილს, რამდენათაც ლონიერ, მეგობარ კროტონს რომ ავეყვანე ხელში და აქამდი მოვეყვანე, მაშინ აღარც მე დავიღლებოდი და ესეც თავის კაცთმოყვარეობას დაამტკიცებდა.

კ რ ო ტ ო ნ ი – მუნით გადამხრჩალ ცხვარს უფრო სიამოვნებით მოვიტანდი, ვიდრე შენისთანას. მაგრამ აი, ამ ქისას რომ მომცემდე, ტრიბუნს რომ გამოართვი, მაშინ აქედან დაბრუნებისას წაგიყვანდი.

ხ ი ლ ო ნ ი – ხომ ხედავ, რომ მე უსასყიდლოთ გემსახურები და ეს მუხის თავი კი იმიტომ, რომ ფულები დაგცინცლოს და აღარა დააყენოს-რა შენ საფულეში...

კ რ ო ტ ო ნ ი – (წამოდგება) რაოო?

ხ ი ლ ო ნ ი – სსსუ! მოდიან... ეს უთუოდ ქრისტიანები იკრიბებიან.

## ვიდრე ხვალ, უფალო?

მ ა რ კ უ ს – მივიმალოთ.

ხ ი ლ ი ნ ი – ურიგო არ იქნება. (იმალებიან სახლის ნანგრევებში).

(მუა ქუჩაში გამოჩნდება ორი ქრისტიანი ფანრით ხელში. მიადგებიან ბალის კარებს და ორჯერ დაუკავუნებენ, ნიშანს აძლევენ. ურსი გამოდის სახლიდან და შეუშვებს. ხანდახან ხან – ორ-ორი, ზოგი ქალები და ზოგი ბავშვები, მიადგებიან კარებს იმავე ნიშნეულობით და ურსი უშვებს მათ. ისინიც ერთად იყრიან შიგ თავს. მარკუსი, კროტონი და ხილონი გამო-დიან საფარიდან).

### გამოსვლა მესამ

მ ა რ კ უ ს – მეც მინდა, რომ იქ შევიდე და მალე ვნახო ლიგია.

ხ ი ლ ი ნ ი – ბატონო...

მ ა რ კ უ ს – ჩუმათ! მომყევით მე... (მოიტურავს წამოსასხამს, კროტონი და ხილონი მიპატვენ, ორჯერ დაუკავუნებენ, ნიშანს აძლევენ, შედინ და ხალხში გაერევიან. შემოვლენ კიდევ რამდენიმე ქრისტიანი, იმათ მოჰყვება ფაბიუს. ხალხი მოუბრუნდება და მონიწებით თაყვანს სცემს. სახ-ლიდან გამოდიან გლავეუსი და ლიგია. მონიწებით თაყვანსა სცემენ ფაბი-უსს და ამბიონზე დასმენ).

### გამოსვლა მოოთხე

მ ა რ კ უ ს – (ლიგიას რომ დაინახავს, წამოიძახებს ჩუმად) ის არის!.. (სიჩუმე).

ფ ა ბ ი უ ს – (წამოდგება) საუბრის დაწყებამდი უნდა ქება მიუძ-ლვნათ ყოვლის მპყრობელსა.

(მთვარე აშუქებს გუნდს).

### ქრისტიანთა გუნდი:

მამაო ჩვენო,  
ლოცვა ჩვენი შეისმინე  
და გასწმინდე ჩვენი გული,  
რომ შევიძლოთ ქვეყნად ძმურად  
ერთმანეთის სიყვარული!

## ვიდრე ხვალ, უფალო?

ძეო ღვთისაო,  
ვინც ტანჯულთა გულისათვის  
ჯვარს ეცვი და სისხლი ღვარე,  
გამიახლე სული წრთელი,  
შეგვინყალე, კაცთმოყვარე.

სულო წმინდაო,  
გაგვაშორე მონებისა  
ბორკილსა და განსაცდელსა,  
ნუ აგვალებ, ძალთა-ძალით  
შენანებულთ, მაღლით ხელსა.  
(გალობის შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდება).

ფ ა ბ ი უ ს – (ამბიონზე დგას) შვილებო! ყური უგდეთ მოხუცის სიტყვებს, იგულისხმეთ და მადლი უფლისა იქმნება თქვენზე. ყური დამიგდეთ და დაიხსომეთ: ერიდეთ მედიდურობას, წამეტნობას, შეიყვარეთ უპოვრობა, სიწმინდე და სიმართლე. მოითმინეთ ხოლმე შეურაცხყოფა და დევნა. კეთილმოქმედება და სიმართლე საკუთრათ თქვენთვისგვე უნდა გიყვარდესთ, რადგანაც კეთილმოქმედება არის ღმერთი და, ვისაც ის უყვარს, იმას ღმერთიც უყვარს და მიტომ ღმერთსაც თავს შეაყვარებს... მისი საყვარელი შვილი გახდება...

მ ა რ კ უ ს – (ჩუმად) ბიჭოს, ეს რა სწავლა ყოფილა! სიკვდილის შემდეგ საიქიოს რაღა ცხოვრება უნდა იყოს!..

ყ ვ ე ლ ა – (ჩუმად) განაგრძე, ღვთისნიერო მოხუცო! ჩვენ ყურს გიგდებთ, გვესაუბრე... გვე...

ფ ა ბ ი უ ს – გახსოვდესთ, შვილებო, რომ ჩვენი გამჩენი ყოვე-ლის მოყვარულია და მიტომაც, ვისაც ადამიანი უყვარს, ის ასრუ-ლებს ღვთის მცნებას. მაგრამ ის არ კმარა, რომ შენი ქვეყნის ხალხი გიყვარდეს, იმიტომ, რომ ღმერთკაცმა თავისი სისხლი ყველასათ-ვის დაათხია. არც ის კმარა, რომ მარტო კეთილები გიყვარდეს, ბოროტებიც არ უნდა გძულდესთ, იმიტომ, რომ მხოლოდ სიყვარუ-ლით შეიძლება ბოროტების განწმენდა...

მ ა რ კ უ ს – (ჩუმად) რა სიმშვიდე, სიმდაბლე და მოთმინება იხატება ამ მცნებაში...

ფ ა ბ ი უ ს – დღეს, ჩემო ძმებო, მიტომ მოვედი თქვენთან, რომ მომეხარებია თქვენთვის: პეტრე მოციქული დაბრუნდა რომშივე.

ყ ვ ე ლ ა – (სიხარულით) პეტრე დაბრუნდა! არ მიგვატოვა! ისევ ჩვენთან იქნება! იმის ხმას კიდევ გავიგონებთ! ნეტავი ჩვენ!

## ვიდრე ხვალ, უფალო?

ფ ა ბ ი უ ს – დღეს დილით თან გაიყოლა თავისი ახალგაზრდა მოწაფე ნაზარე და გაუდგა გზას იმ განძრახვით, რომ აღარ დაბრუნებულიყო რომში. მაგრამ, გაშორდა თუ არა ქალაქს და გავიდა მინდვრად, დაინახა, ვიღაც სხივმოსილი ნათლისმფერი კაცი უახლოვდება. გარშემო სიჩუმე იყო... ფეხის ხმაც არ ისმოდა. „ხედავ შენ იმ ბრწყინვალე ნათელსო?“ – შეეკითხა ნაზარეს მოციქული. – „ვერაო“, – მიუგო ნაზარემ. უეცრად პეტრეს კვერთხი გავარდა, გააშვირა წინ ხელები, მუხლი მოიყარა და აღტაცებით წამოიძახა: „ქრისტე! ქრისტეო!“ ჩამოვარდა სიჩუმე. ბოლოს გულამომჯდარმა მოხუცმა ჰკითხა: „ქვო ვადის, დომინე, სად მიხვალ?“ ნაზარეს არა გაუგონა-რა, მაგრამ მოხუცის ყურებს კი მისწვდა ტკბილი ხმა: „თუ შენ სტოვებ ჩემ სახლს, მე თვითონ მოვალ რომს, რომ ხელმეორედ ჯვარს მაცვანო“. მოციქული წამოდგა ზეზე, აიღო კვერთხი და ხმაამოუღებლად დაბრუნდა. გაოცებული ნაზარე დაეკითხა: „ქვო ვადის, დომინე?“ – „რომშიო!“ – უპასუხა პეტრემ და ხელახლა დაუბრუნდა ამ უწმინდურ საბუდარს, რომ სთესოს თესლი კეთილი ამ ქვიან ადგილზე, რომელიც გაანაყოფიერა უფალმა. დამიჯერეთ, ძმებო, დამიჯერეთ, რომ აქ გაიხარებს თესლი კეთილი და უხვად მოიტანს ნაყოფს. მხიარულ იყავით თქვენცა და ვიდოდეთ მშვიდობით...

(ყველანი თავს უკვერე და იშლებიან ნელ-ნელა. იმათ გაჰყვებიან თან: მარკუს, ხილონი და კროტონი და კედლის უკან ქუჩაზე იცდიონ).

გ ლ ა ვ კ უ ს – ლვისინიერო მოხუცო, შემოდი ჩემ სახლში და მოისვენე.

ფ ა ბ ი უ ს – ბატონი ბრძანდები, ჩემო კეთილო გლავკ... (მიდიან).

ლ ი გ ი ა – „ქვო ვადის, დომინე!“ რა საურუანტელო და თანაც სასიამო გასაგონია... რა სიწმინდითა და სიყვარულით გვესაუბრებოდა ის მოხუცი... გულის ფრიალით, სულამოუღებლად უგდებს ყურს და სულსა და გულში რაღაც ნათელი და სიმართლე გენთხევა. ოხ, ურსო, რა კარგია.

უ რ ს ი – ყურს რომ ვუგდებდი, ჩემო ქალბატონო, ცრემლები ღაწვებს მბანდენ.

ლ ი გ ი ა – რა კარგი მთვარიანი ღამეა... სიჩუმე... არსაიდან ხმა, არსით ძახილი... ურსო, მოდი, დავრჩეთ ცოტა აქ.

უ რ ს ი – დავრჩეთ, ქალბატონო. (ჩამოჯდება კიბის საფეხურზე. ლიგია ღრმად ჩაფიქრებული ზის).

მ ა რ კ უ ს – (ქუჩაზე) მოემზადე, კროტონო. ახლა კარგი დროა...

## ვიდრე ხვალ, უფალო?

ხ ი ლ ო ნ ი – გევედრები, ბატონო, სახელითა იუპიტერისათა, აპოლონისათა, ვესტისა, ედიშელისა, იზიდისა, ოხარისისა, მიტრისა, ბაალისა და ყველა აღმოსავლეთის და დასავლეთის ღმერთების სახელით, რომ თქვენ განძრახვაზე ხელი აიღოთ... მეშინია...

მ ა რ კ უ ს – ჩუმათ იყავ და აქ გველოდე! აბა, მომყევი, კროტონ. (შედიან ალაყაფის კარებში. ხილონი კი იმალება ქუჩაზე – ნანგრევებში).

უ რ ს ი – (წინ ეგებება) ვინ გინდათ?

მ ა რ კ უ ს – ვინა და შენ... (კროტონს) დაჲკა! (კროტონი სტაცებს ხელს ურსა. შეეჭიდებიან ერთმანეთს... ლიგია დაიკივლებს და გაიქცევა შინისკენ).

მ ა რ კ უ ს – (იჭერს) ახლა ველარ წამიხვალ, ჩემი ხარ... ჩემი.....

ლ ი გ ი ა – გამიშვი, მხეცო...

მ ა რ კ უ ს – მაგას წულა ჰფიქრობ... ახლა ჩემ ხელში ხარ!

ლ ი გ ი ა – ურსო! ურსო! მიშველე... (ურსი რომ ყვირილს გაიგონებს, გადაზნეუს უკან კროტონს, დასცხებს თავში და გააგორებს მკვდარს, მერე შეუტევს მარკუს მუქარით).

ლ ი გ ი ა – შეჩერდი, ურსო! (ურსი ემორჩილება. სახლიდან გამოდის გლავუსი).

## გამოსვლა მეუთი

გ ლ ა ვ კ უ ს – რა მოხდა? რას ნიშნავს ეს ყვირილი?

უ რ ს ი – იმ კაცს, ეგერ რომ აგდია მინაზე, ჩემი სიკვდილი უნდოდა და ამას კი, შენ წინ რომ დგას, ლიგიას მოტაცება.

გ ლ ა ვ კ უ ს – მარკუს! ეგ შენა ხარ?

მ ა რ კ უ ს – ყოველივეს გეტყვი, მაგრამ ჯერ კი მადლი უნდა შევსწირო ამ ქალს, რომელმაც ამ უზარმაზარი კაცის ხელისაგან გადამარჩინა. (მონინებით ჰკონცის ლიგიას ხელზე).

გ ლ ა ვ კ უ ს – კეთილშობილო ტრიბუნო! შენ შემოსულხარ ამ სახლში, როგორც ავაზაკი, მაგრამ ჩემი კი, როგორც ქრისტიანის, ვალია მიგინვიო შინ მშვიდობით.

მ ა რ კ უ ს – გმადლობ. ვისარგებლებ შენის სულგრძელობით, რომ შენდობა გამოვითხოვო თქვენგან.

გ ლ ა ვ კ უ ს – (კარებში დგას) შემოდი! იყავნ მშვიდობით. (მარკუს შედის, ამას მიჰყვებიან გლავუსი და ლიგია).

უ რ ს ი – (დაფიქრებული დაჩერებია მკვდარს) ჰმ, მოვჲკალი, ხომ ცოდვა ჩავიდინე. მაგრამ მე ხომ მოკვლა არ მინდოდა, ქალბატონს

## ვიდრე ხვალ, უფალო?

ვიფარავდი... და მეორეც... ყველაფერში ეს ჩემი ხელებია დამნაშავე... არ ვიცი, რა უნდა ვუყო... (დაფიქრდება).

### გამოსვლა მეექვსე

ს ი ღ ღ ნ – (გამოიხედავს ნანგრევებიდან) სიჩუმეა... რაღაც ყვირილი გავიგონებ. ახლა კი ყოლითერი მიწყნარებულია. ალბათ კროტონმა გააგორა ის სანყალი ურსი... საპრალო... დღესვე შევევედრები მარკუს, რომ ცოტა რამე მიწყალობოს ცხვირსახოცის საყიდლად, დამჭირდება, ცრემლები მოვიწმინდო ხოლმე, როცა ურსს ვიტირებ.

უ რ ს ი – აპა, მდინარეში გადუძახება... (გამოყოფს თავს ქუჩისკენ. ხილონი რომ დაინახავს, „უი“, „უის“ დაიძახებს და ისევ მიიმალება. ურსი გაიდებს მხრებზე კროტონს და გადაატარებს ქუჩას).

### გამოსვლა მეშვიდე

ს ი ღ ღ ნ – უკვდავო ღმერთებო! ეს ურსია. (ცახცახებს) ცოცხალი დარჩენილა. თუ კროტონს ფერდები მიუნაყა, მარკუსს ხომ უფრო დაბეუჯვდა და დასამარხავად გახდიდა. ღმერთებო, მიშველეთ! გადამარჩინეთ იმ ეშმაკის ხელებისაგან! (შეშინებულია) მოდის! (იმალება).

### გამოსვლა მერვე

უ რ ს ი – (გადაივლის ქუჩას, გაივლის ბალს და შედის სახლში).

ს ი ღ ღ ნ – (გამოდის) ეს კარგია... კროტონი წავიდა, რომ თევზებმა შესჭამონ, მე სადღა წავიდე? რა ვქნა? ამ ღვთის რისხვამ, თუ მარკუსიც მოჰკვდა, მაშინ კი სწორედ ვაი ჩემი ბრალი! ის კაცი პატრიცი იყო და ტრიბუნი და ამ სახლში ვინ შემოიყვანა, თუ არა მე? მაშასადამე, მე გამაძრობენ ტყავს და ერთ უკეთეს ფილოსოფოსთა-განს მყრალი თევზივით დაამარილებენ.

### გამოსვლა მეცხრე

უ რ ს ი – (გამოდის სახლიდან. ხმამალლა) ხილონ, სადა ხარ?

ს ი ღ ღ ნ – (შემკრთალი, მოულოდნელად) აქა ვარ!

## ვიდრე ხვალ, უფალო?

უ რ ს ი – (გამოდის ქუჩაზე) მაშ, წამომყევი!

ს ი ღ ღ ნ – (ცახცახებს გონდაფანტული) მაგრამ მე... მე ხომ არა ვარ? უ რ ს ი – ხომ ხილონი ხარ?

ს ი ღ ღ ნ – ო, უკეთესო ქრისტიანთაგანო! დიახ, მე ხილონი ვარ, მაგრამ აქ ცოტა შეცდომა... მე შენ ვერ გიცნობ.

უ რ ს ი – შენი ბატონი მარკუსი გეძახის! წამოდი! უნდა წაგიყვანო მასთან.

ს ი ღ ღ ნ – (თავისთვის, გახარებით) ცოცხალი ყოფილა! მადლობა ღმერთებს. (გულს მოიბრუნებს) რომ არ ვეახლო?

უ რ ს ი – უნდა წამოხვიდე და კიდევაც წაგიყვან.

ს ი ღ ღ ნ – რასაკვირველია, წამოვალ ჩემი ნებით და ძალით კი ვერავინ წამიყვანდა. მითხარ ერთი, ჩემო ძმაო, რას უპირობო მარკუსს?

უ რ ს ი – რა ვიცი! ჩვენ კი ჩვენი რჯული მოწყალებას გვამცნებს.

ს ი ღ ღ ნ – კარგი ნათქვამია და გახსოვდეს შენც ყოველთვის, თორემ ისე აგაშუშხუნებენ ჯოჯოხეთში, როგორც მწვადს შამურზე.

### გამოსვლა მეათე

მ ა რ კ უ ს – (სახლიდან გამოდის) ხილონ!

უ რ ს ი – წავიდეთ! (შედიან ალაყაფის კარებში).

ს ი ღ ღ ნ – აქ გახლავარ, კეთილშობილო ტრიბუნო.

მ ა რ კ უ ს – უური დამიგდე და გულის ფიცარზე დაიწერე ჩემი სიტყვები: შენ უნდა სთქვა, რომ კროტონი მე დამეცა გასაცარცვავად, მაგრამ შემომაკვდა და მერე მე თავი შევიფარე ამ სტუმართმოყვარე ქრისტიანისას.

ს ი ღ ღ ნ – (თვალებს ააპყრობს ზეცისაკენ) დიახ, ის იმისთანა არამზადა იყო, რომ უარესი არ ნახულა. არ კი გაფრთხილებდი, შედალოცვილო... ვისაც არ ეხერხება, რომ პატიოსნად დარჩეს, ის უთუოდ გაფუჭდება-მეთქი.

(გამოდიან გლავკუსი და ლიგია).

### გამოსვლა მეთერთმაცე

გ ღ ღ კ კ უ ს – (დაინახავს ხილონს და შეშფოთდება) კეფასი?!

ს ი ღ ღ ნ – (ზარდაცემული) გლავკუს!

მ ა რ კ კ უ ს – (გლავკუს) იცნობ ამას?

## ვიდრე ხვალ, უფალო?

გ ლ ა ვ კ უ ს – (მრისხანედ) ამ კაცმა გამცა და უნდოდა, კიდეც მოვეკალ, ცოლი კი სამეძაოდ გამიყიდა.

ხ ი ლ ო ნ – (დაეცემა მუხლისთავებზე) შემიბრალეთ! (მარქუს) ბატონო, მიშველე! მიშველე, შენი ჭირიმე..

მ ა რ კ უ ს – ძალიან კარგს იზამ, ურსო, რომ ამ საძაგელსაც კროტონის კვალს გამოუყენებდე.

ხ ი ლ ო ნ – (თრთის) შენ ღმერთს გაფიცებ! მონად მიყმეთ! ნუ მომკლავთ, შემინდვეთ! გლავკუს, მაპატიე ქრისტეს გულისათვის!

ლ ი გ ი ა – (ვედრებით) მიუტევე!

გ ლ ა ვ კ უ ს – (ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ) უფალმა შეგინდოს, ისე, როგორც მე შენთვის შემინდვია ქრისტეს გულისათვის! მშვიდობით ვიდოდე... (ხილონ წამოდგება რეტდასხმული, არეული, ხან ერთს შეხედავს, ხან მეორეს. მერე თავს უკრავს ყველას და გადის ქუჩაზე. ბალში ჩამოვარდება სალიტანიო სიჩუმე).

ხ ი ლ ო ნ – (ქუჩაზე, აღტაცებით) თავს არ ვუჯერი... არ ვუჯერი ჩემ თვალებსა და ჩემ ყურებს. ცოცხალი ვარ? ცოცხალი! საკვირველია, რატომ არ მომკლეს? „მშვიდობით ვიდოდეო!“ არ მესმის! ვერ გამიგია! (ნელ-ნელა მიდის) ვერა გამიგია-რა...

მ ა რ კ უ ს – გლავკუს, ჯერ სანამ შენს სახლს დავაგდებდე და გავშორდებოდე, გთხოვ, რომ მე და ლიგია მარტო დაგვტოვო ერთად. ახლა მე შემეძლო, რომ ძალით წამეყვანა აქედან ლიგია, მაგრამ მე მოვისმინე თქვენი მოძლვრება და ვერიდები ძალმომრეობას. (ლიგიას) შენ თანახმა ხარ? ნებას მაძლევ?

ლ ი გ ი ა – დიახ.

გ ლ ა ვ კ უ ს – კარგი, დარჩით. ურსო, წავიდეთ! (შედიან სახლში).

მ ა რ კ უ ს – ლიგია! მითხარი, ბედნიერი ხარ?

ლ ი გ ი ა – რა თქმა უნდა! ვისაც ჩვენი რჯული სწამს, ის უბე-დური არაოდეს არ იქნება.

მ ა რ კ უ ს – მე ვერ გამიგია ეგ...

ლ ი გ ი ა – ჩვენთვის არ არსებობს არც განშორება, არც ტანჯვა და არც ავადმყოფობა. ასე გაშინჯე, რომ თვით სიკვდილიც, რომლითაც თქვენთვის ყველაფერი თავდება, ჩვენთვის ახალი ცხოვრებაა, საუკუნო.

მ ა რ კ უ ს – დიახ, შენ მართალი ხარ, ლიგია! შენ უფრო ბედნიერი ხარ ჩემზე ამ ქოხში, სადაც საკუთარი რჯული გაქვს და საკუთარი ღმერთი გყავს. მე კი შენს მეტი არავინა მყავს, და, როცა ჩემთან არა

## ვიდრე ხვალ, უფალო?

ხარ, ღარიბზე, უსახლკაროზე, მანანალაზე უფრო უღარიბესი ვარ. ჩემთვის ყოლიფერი შენა ხარ და მიტომაც დაგეძებდი, რომ უშენობა არ შემიძლია... შენა ხარ ჩემი ერთადერთი ღვთაება... მინდა, ფეხზე მოგეხვიო, შენზე ვილოცო, თაყვანი გცე და მსხვერპლი შეგწირო, იმიტომ, რომ სამგზის ღვთაებრივი ხარ.

ლ ი გ ი ა – ხმა ჩაიწყვიტე, რას ამბობ, შე გადარეულო! გავიწყდება, რომ ქრისტიანი ვარ!

მ ა რ კ უ ს – შემინდე! მაპატიე! მე ახლა ისევ შენთან ვარ და შენც აღარ გამექცევი.

ლ ი გ ი ა – მე შენგან არ გავქცეულვარ!

მ ა რ კ უ ს – მაშ, ვის გაექცეცი და რატომ?

ლ ი გ ი ა – (მორცხვად) შენ თვითონ იცი...

მ ა რ კ უ ს – (შეჰყურებს ლიგიას აღტაცებით) ო, ლიგია! ლიგია! გამიგონე: სიცილიაში მაქვს ცოტაოდენი მინა ნუშნარით, რომელიც ზღვამდი უწევს და გაზაფხულზე ვარდისფრად იშლება. წავიდეთ იქ, მოვშორდეთ ყველას. იქ შეგიტყბობ სიყვარულითა და შევისწავლი შენ სარწმუნოებასაც. თქვენი რჯული ხომ სიყვარულსა და ბედნიერებას არა კრძალავს? მეც შეუდგები შენი ღმერთის სამსახურს და მისთვის თავს გავსწირავ სისხლდათხევით! ჩვენ ორივე ერთად თაყვანსა ვსცემთ, ვემსახურებით მას, სანამ სიცოცხლის სიმი არ გასწყდება.

ლ ი გ ი ა – ოჳ, მარქუს, ახლა კი სწორედ აგეხილა თვალები და შეიგნე, თუ რაშიც არის ნამდვილი ბედნიერება. ახლა აღარც მე დავ-ერიდები შენს შეხვედრას და გასწავლი ხოლმე ერთადერთი ღმრთის ლოცვა-ვედრებას: იგულისხმე და ყური დაუგდე გულისთქმასა, მარქუს! ის გაგიყვანს სწორ გზაზე და შეგაყვარებს ჩვენს რჯულს. ნუთუ არ გინდა, რომ სიცრუის ნაცვლად ქვეყნად სიმართლე არსებობდეს? მძულვარება სიყვარულად შეიცვალოს და ბოროტება სიკეთე-სიმართლედ?

მ ა რ კ უ ს – შენ იქნები ჩემი სულის ჩამდგმელი, ჩემი სული შენ წინ გადაშლილია და მზად არის, მიიღოს შენი სარწმუნოება და შენი ღმერთი. ჯერ კიდევ არ შემიძლია, ყოლიფერს გონებით მივსწვდე, მაგრამ შენგან ვისწავლი, შენ იქნები ჩემი ხელმძღვანელი, ხომ? ჩემთან იქნები, დღეს შენმა თვალებმა გადმომცეს, რომ გიყვარვარ და ადრე კი ამას ვერ ველირსებოდი, გინდ მთელი რომის დიდებაც მომეცა.

## ვიდრე ხვალ, უფალო?

ლ ი გ ი ა – სწორედ, მარკუს, ეს მართალია, წინეთ შენ არ ყოფილხარ ამისთანა. არა გსურდა, გაგეგო ჩემი ვინაობა და ძალით გინდოდა ჩემი ხელში ჩაგდება...

მ ა რ კ უ ს – მე მეგონა, რომ სიყვარული მხოლოდ ცეცხლი იყო სისხლში და ვნებათა ღელვა. მაგრამ ახლა კი ვხედავ, რომ შემცდარი ვყოფილვარ აქამდი. თურმე შესაძლებელი ყოფილა სიყვარული სისხლის ყოველი წვეთით და ყოველი სულთქმით, რომ კაცმა მყუდროებაში ნეტარება მოითავსოს. შენთან ერთად მე შევქმნი ახალ ცხოვრებას, ჩემო ძვირფასო, შენ შემოხვალ ჩემს სახლში და კიდევ დაიჭერ ხელში ჩემი ოჯახის კერას.

ლ ი გ ი ა – და მაშინ მეც გეტყვი: „სადაც შენ, მეც იქ“.

მ ა რ კ უ ს – ლიგია, გეფიცები, რომ არცერთი ქალი ისე პატივცემული და საყვარელი არ ყოფილა, როგორც შენ იქნები ჩემგან პატივნაცემი და შეყვარებული... ჩემო სანეტარო. (მოეხვევა) ჩემო თვალის ჩინო! ჩემო ბედნიერებავ!..

## გამოსვლა მეთორეატე

გ ლ ა ვ კ უ ს – (გამოდის და შეჩერდება რეტდასხმული) ლიგია!.. შენ მაგ კაცს ეხვევი? მოშორდი, გაიქცი, სანამ ბოროტ სულს ბადეში არ გაუპმიხარ და არ დაცემულხარ. იცი, ვინ არის ეგ? მონა და მეგობარი ანტიქრისტესი. სად უნდა წაგიყვანოს, თუ არ სოდომ-გომორში?.. არ გერჩია, რომ მომკვდარიყავ? უმჯობესი იქნებოდა, რომ ეს კედლები დაქცეულიყო და თავზე დაგტეხოდა...

ლ ი გ ი ა – მამავ... მამილო...

## გამოსვლა მეცამეტე

(ამ უკანასკნელ სიტყვებით ლიგია მიიჭრება ფაბიუსთან, რომელიც გლავკუსს გამოჰყვება კარებში. ლიგია გულამომჯდარი დაიჩოქებს მის წინ)

ფ ა ბ ი უ ს – შეჩერდი, ჩემო შვილო! ნუთუ გგონია, რომ ჩვენი ლვთაებრივი მოძღვარი, რომელმაც ნება მისცა მარიამ მაგდალი-ნელს, რომ ფეხებზე მოხვეოდა და მიუტევა ყოველი შეცოდება,

## ვიდრე ხვალ, უფალო?

პირს მიიბრუნებს ამ წმინდა, მინდვრის ყვავილივით ბაგშვისაგან? (ლიგიას) სანამდი ის, ვინც გიყვარს, არ იხილავს ნათელს, ერიდე, რომ არ შეგაცდინოს, მაგრამ ილოცე ხოლმე კი მისათვის.

მ ა რ კ უ ს – მე ვიცი, რაც უშლის ხელს ჩვენ შეკავშირებას, მაგრამ მე ეგ მიყვარს უსაზღვროდ, მინდა, რომ გავიცნო, შევისწავლო და მივიღო თქვენი მოძღვრება. მასნავლეთ, ნუ უარმყოფთ... მე მქონდა გაგებული, რომ თქვენ მოძღვრებაში არ არსებობს არც ცხოვრება, არც ადამიანური სიხარული და არც ბედნიერება. აქ კი სულ სხვა მესმის, მაშ, რაღაა თქვენი მოძღვრება? როგორც ქრისტიანმა, ხელი უნდა ავიღო ლიგიაზე? ეს აღარ მესმის. მაშ, რაღაა თქვენი ჭეშ-მარიტება, რა შემოგაქვსთ კვეყნად?

ფ ა ბ ი უ ს – (უბრალოდ) სიყვარული.

მ ა რ კ უ ს – გევედრებით, ნუ გამაგდებთ, მასნავლეთ!

ფ ა ბ ი უ ს – ჩემო შვილო! მე გინინასნარმეტყველებ, რომ შენ იხილავ ნათელს ჭეშმარიტებისას და წრფელის გულით შეიტკბობ ყოვლის შემძლებელ ღმერთს. (ლიგიას) გაიმეორე: გიყვარს, ლიგია, შენ ეს კაცი?

ლ ი გ ი ა – (წყნარად) დიახ...

ფ ა ბ ი უ ს – (ლიგიას თავზე აკოცებს) მაშ, გიყვარდესთ ერთმანეთი, ვინაიდან არ არის ცოდვა თქვენს უბინო სიყვარულში. (მარკუს) მე, მხცოვანი მონა უფლისა, გაჟურთხებ შენ, ვაკურთხებ შენს სულსა და შენს სიყვარულს სახელითა მაცხოვრისათა.

(მარკუს მუხლებს მოიყრის).

ფ ა რ დ ა

## ვიდრე ხვალ, უფალო?

### მოქმედება მართვა

პირ ები:  
 ნერონ.  
 პომპეია.  
 ტიგელინი.  
 პეტრონიუს.  
 ლუკანუს.  
 პონტულირეგული.  
 დედაკაცი.  
 ჭაბუკი.  
 მოხუცი.  
 პრეტორიანელი.  
 ხილონ ხილონიდი.  
 მარკუს ვინიციუს.  
 ფაბიუს.  
 ლიგი.  
 გლობიკი.  
 მჭედელი.  
 ვაჭარი.  
 გამოგვიყვანეს, სამი მცირენლოვანი შვილი დაგვრჩა და ვინ მიხედავს?  
 ს მ ე ბ ი – ჩვენ სახლობას მოგვაშორეს! ცოლ-შვილი დაგვილახეს!  
 ქალიშვილები მოახლებად წაიყვანეს და ღმერთმა არ შეგვიბრალა.

გლავკუსი.  
 გამოგვიყვანეს, სამი მცირენლოვანი შვილი დაგვრჩა და ვინ მიხედავს?  
 ს მ ე ბ ი – მცირედმორწმუნენო! განა მარტო სააქაო ცხოვრება  
 მოგანიჭათ ღმერთმა? სიკვდილი კი არ მოგელისთ, ახალი სიცოცხლე.

ტანჯვის სანაცვლოდ – საუკუნო ნეტარება, ცრემლის მაგიერ სიხა-

რული და მონობის ნაცვლად – სამეფო სადგური. მე შენ გეტყვი,  
 ქვრივო, რომ შენ ბრმა შვილს აეხილება თვალები და ისე შემო-

გიერთდება საუკუნო ცხოვრებაში. შენ, დედავ, რომელსაც ქალი

გაგიუპატიურეს, გეუბნები, რომ წახავ შენს ქალს, ზამბაზივით გას-

პეტაკებულს. თქვენ, მშობლებო, შვილების დამკარგველებო, თქვენს

შვილებს, მშობლებს მოშორებულნო, თქვენ, შენუხებულებო მახლო-

ბლების ტანჯვით და შიშის ზარით ატანილებო, ვინც კი სიკვდილს

მოელით, ყველა სიკვდილს შემდეგ გამოიღვიძებთ საუკუნო ნეტარ

ცხოვრებისათვის. დევ, ცირკის სილა გაიუღენთოს თქვენის სისხ-

ლით, თხრილები თქვენი გვამებით აივსოს, მაინც გეტყვით, რომ

თქვენ დარჩებით ძლევამოსილები.

ც ე ნ ტ უ რ ი ო ნ ი – შეჩერდით! სალდათებო, თვალყური  
 გეჭიროსთ! მე უნდა ტიგელინსა ვჰკითხო, როგორ დაგაწყოთ და სად

## ვიდრე ხვალ, უფალო?

დაგაყენოთ! (შედის სასახლეში. ქრისტიანებში მწუხარება ჩამოვარ-  
 დება. ქალები ქვითინებენ).

გ ლ ა ვ კ უ ს – რას სტირით? რა გაწუხებსთ?

1-ლ ი დ ე დ ა კ ა ც ი – ქვრივი ვარ, ერთადერთი ობოლი შვილი  
 მყავს და ისიც ბრმა, ვინდა უპატრონებს უჩემოდ?

მე-2 დ ე დ ა კ ა ც ი – ჯალათებმა შეურაცხყოფა მიაყენეს ჩემს  
 ქალს და ღმერთმა არ მოჰკითხა მათ...

მე-3 დ ე დ ა კ ა ც ი – მე და ჩემი ქმარი პრეტორიანელებმა  
 წამოგვიყვანეს, სამი მცირენლოვანი შვილი დაგვრჩა და ვინ მიხე-  
 დავს?

ს მ ე ბ ი – ჩვენ სახლობას მოგვაშორეს! ცოლ-შვილი დაგვილახეს!  
 ქალიშვილები მოახლებად წაიყვანეს და ღმერთმა არ შეგვიბრალა.

გ ლ ა ვ კ უ ს – მცირედმორწმუნენო! განა მარტო სააქაო ცხოვრება  
 მოგანიჭათ ღმერთმა? სიკვდილი კი არ მოგელისთ, ახალი სიცოცხლე.  
 ტანჯვის სანაცვლოდ – საუკუნო ნეტარება, ცრემლის მაგიერ სიხა-  
 რული და მონობის ნაცვლად – სამეფო სადგური. მე შენ გეტყვი,  
 ქვრივო, რომ შენ ბრმა შვილს აეხილება თვალები და ისე შემო-  
 გიერთდება საუკუნო ცხოვრებაში. შენ, დედავ, რომელსაც ქალი  
 გაგიუპატიურეს, გეუბნები, რომ წახავ შენს ქალს, ზამბაზივით გას-  
 პეტაკებულს. თქვენ, მშობლებო, შვილების დამკარგველებო, თქვენს  
 შვილებს, მშობლებს მოშორებულნო, თქვენ, შენუხებულებო მახლო-  
 ბლების ტანჯვით და შიშის ზარით ატანილებო, ვინც კი სიკვდილს  
 მოელით, ყველა სიკვდილს შემდეგ გამოიღვიძებთ საუკუნო ნეტარ

ცხოვრებისათვის. დევ, ცირკის სილა გაიუღენთოს თქვენის სისხ-  
 ლით, თხრილები თქვენი გვამებით აივსოს, მაინც გეტყვით, რომ  
 თქვენ დარჩებით ძლევამოსილები.

ს მ ე ბ ი – იყავნ ნება უფლისა... შეგვინდევი, მამაო! ჩვენ გავმ-

წარდით სულმოკლეობით, დავეცით სულით... შეგვინდე, რომ ეჭვი  
 შეგვეპარა.

(შემოდის ცენტურიონი).

ც ე ნ ტ უ რ ი ო ნ ი – წამომყევით! (მიჰყეპიან).

### გამოსვლა პირველი

ც ე ნ ტ უ რ ი ო ნ ი – შეჩერდით! სალდათებო, თვალყური  
 გეჭიროსთ! მე უნდა ტიგელინსა ვჰკითხო, როგორ დაგაწყოთ და სად

## ვიდრე ხვალ, უფალო?

### გამოსვლა მეორე

(შემოდიან: ნერონ, პომპეია, ტიგელინი, პეტრონიუს, ლუკანი, კონსული და სხვა მხლებლები კეისრისა).

6 ე რ ო 6 – (გადაპყურებს ნანგრევებს) რა საზიზლარია ნანგრევები და, როცა ცეცხლი ედებოდა და იწვოდა, მაშინ კი საუცხოვო იყო. დიდი უბედურებაა! ალი რომ ავარდებოდა ხოლმე, მე მაშინ ჩემთავსაც უსახლკაროდა ვგრძნობდი, უსახლ-მფლობელად უსახლო ქალაქისა.

ტ ი გ ე ლ ი 6 – დიდებულად არის ნაბრძანები.

პ ო მ პ ე ი ა – იმედი მაქეს, რომ ეგ შესანიშნავი ფრაზა არ დაგრჩენია შეუტანლად შენს პოემაში.

6 ე რ ო 6 – არა! ეს მეექვსე ტაეპია. წერა კი ასე იწყება: „ჰოი, შენ, წმინდა ქალაქო, რომელიც იყავ უმტკიცესი იდისა“... მაგრამ ხომ ყველა გაიგონებთ ამ ჩემ ნაწარმოებს, რადგანაც საჯაროდ მინდა ვიმღერო. პეტრონიუს, სთევი, როგორ გეჩვენებოდი იმ დროს, როცა ცეცხლმოდებულ რომს ვუჟითხავდი ჩემს თხზულებას?

პ ე ტ რ ო 6 ი უ ს – შენ იყავ იმ სანახაობის შესაფერი, და ის სანახაობაც შენი ღირსი.

6 ე რ ო 6 – ტიგელინ! ჩემს ბალებში ჯერ არ დაგიგია ქრისტიანებისთვის გალიები?

ტ ი გ ე ლ ი 6 – ასრულებულია შენი ბრძანება! გალიები სავსეა იმ საზიზლარი ცეცხლის წამკიდებლებით და ხალხიც მოუთმენლათ მოელის იმათ დასჯას.

6 ე რ ო 6 – მაშ, ხალხსა სწამს, რომ რომი ქრისტიანებმა დასწვეს? და ლუკანი რაღად ამბობს, რომ ხალხი აღელვებულია და დრტვინავსო?

პ ო მ პ ე ი ა – მე მითხრეს, რომ ხალხში ხმა გავარდა, ვითომც რომისთვის ტიგელინს წაეკიდებიოს ცეცხლი თქვენის ბრძანებით, ღვთაებრივო! სიფრთხილე გმართებსთ, საფრთხე მოგელისთ!..

პ ო ნ ს უ ლ ი – ხალხი უმადურია, ღელავს და გწყევლის შენ! მშიერი ბრბო დაწანწალობს სასახლის ირგვლივ და უკმაყოფილობა თანდათან იზრდება. ხალხი, უსახლკარო და მშიერ-მწყურვალი, მზათ არის, რომ გაგგლიჯოს შენ. ავგუსტა მართალს ბრძანებს, საფრთხე ახლოს არის.

## ვიდრე ხვალ, უფალო?

6 ე რ ო 6 – (შემერთალი) ჰმ! ჰმ! რა უნდა ხალხს? რას თხოულობს? კ ო ნ ს უ ლ ი – შურისძიებას!

6 ე რ ო 6 – (ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ კითხულობს ზეპირად):

„გული მოითხოვს შურისძიებას,  
შურისძიება კი მარტო მსხვერპლსა!“

ეს ლექსი უნდა დავიწერო. ლუკანი ამისთანას ვერას შეთხზავდა. დიას, შურისძიება მსხვერპლს ითხოვს, ტიგელინ! პირველად ვინ მოგცა მიზეზი, რომ ქრისტიანებზე მიგეტანა იჭვი?

ტ ი გ ე ლ ი 6 – საწყალმა ფილოსოფოსმა, რომელიც მუდამ იმ სალახანებში აგდია. ვიღაც ხილონ ხილონიდია.

პ ე ტ რ ო 6 ი უ ს – ხილონი? უჲ! ის ხომ საზიზლარი სალახანა ვინმეა?!

ტ ი გ ე ლ ი 6 – უბედური კაცია, ქრისტიანებისაგან დაჩაგრული, და კარგადაც იცის მათი საძაგლობა. მის ჩვენებით ვიჭერთ ქრისტიანებს, ვამწყვდევთ, ვსვამთ ციხეებში და გალიებში, სანამ ბრძანებას არ გამოსცემთ, ღვთაებრივო!

6 ე რ ო 6 – შენ ამბობ, ტიგელინ: ხალხმა იცის, რომ რომი ქრისტიანებმა დასწვესო?

ტ ი გ ე ლ ი 6 – ხილონს არც თავისი ყელი და არც ფეხები არ დაუზოგავს, რადგანაც მდიდრულ საჩუქარს მოელოდა. (სცენას იქით ხმაურობა თანდათან მატულობს. აქა-იქ მუქარა ისმის და იარაღის ჩახაჩუხი).

6 ე რ ო 6 – (წამოვარდება ზეზე შეშინებული) ეს რა ხმაურობაა? რა მოხდა?

პ ო მ პ ე ი ა – ხალხი ამბოხებულია! ო, ღმერთებო, რა საშიშია!

### გამოსვლა მესამე

ც ე ნ ტ უ რ ი თ 6 ი – (შემოიქრება) კეისარო, ბრბო შემოერტყა სასახლეს, მცველები ამოწყვიტეს და ხალხი ბალებში შემოცვინდა.

6 ე რ ო 6 – მომიტანეთ ჩემი ფანდური!

პ ე ტ რ ო 6 ი უ ს – სჯობია, იარაღი აიღო ხელში! (მოიყრიან თავს ერდოზე. ტიგელინის განკარგულებით პრეტორიანელნი ერდოს წინ დაიჭერენ ადგილს).

## ვიდრე ხვალ, უფალო?

ტ ი გ ე ლ ი ნ – კეისარო! რამდენიმე სიტყვა უბრძანე ხალხს და რამეს დაპირდი.

ნ ე რ ო ნ – (შეშინებული, ვითომ მედიდურად) მე, კეისარი, ბრძოს გამოველაპარაკო? არასოდეს! ეს, ვისაც უნდა, სხვამ ჩაიდინოს ჩემის სახელით...

პ ო მ პ ე ი ა – დიახ! ნუ ჩაიგდებ თავს საფრთხეში!

ნ ე რ ო ნ – ვის უნდა, რომ ხალხს ელაპარაკოს?

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – მე.

ნ ე რ ო ნ – ისემც კარგი დაგემართოს! შენ ყოველთვის ჩემი ერთ-გული იყავ და ახლაც ილაპარაკე. გულუხვად დაპირდი ყოლიფერს. (ხმაურობა თანდათან მატულობს. შემოცვინდება ხალხი, სხვადასხვა იარა-ლებით შეჭურვილი. ზოგს მახვილი უჭირავს, ზოგს წალდი, ზოგს კეტი და სხვ. პრეტორიანელნი წინ ეღობებიან, ეზო გაიჭედა).

ს ა ე რ თ ო ყ ვ ი რ ი ლ ი – აი, სად ყოფილა ეს ამოსაგდები! ეს ცეცხლის წამკიდებელი! ახლა კი ვეღარ წახვალ ჩვენი ხელიდან! დედის მკვლელო! ავაზაკო! სიკვდილი მაგას! მტარვალო!

მ ჭ ე დ ე ლ ი – შე წითელნვერავ, შენა! შენ მაშინ იმღეროდი, როცა ჩვენ ვსტიროდით, ჩვენი კვნესა არ გესმოდა! (ალმართავს იარალ) ხალხო და ჯამაათნო! გავსრისოთ ეს უნასი, ეს ქვემდრომი.

დ ე დ ა კ ა ც ი – (ცეცხლმოდებული) შე დედის მკვლელო! შენ დას-წვი რომი, შენ... ჩვენ ვნახეთ, რომ ტანსაცმელ-გამოცვლილი შენი პრეტორიანელები უინულილებს აგდებდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ ქალაქს. წყეული იყავ, წყეული...

ვ ა ჭ ა რ ი – მხეცი ხარ, მხეცი! შენი ადგილი არენაზეა!

გ ლ ა ხ ა – ჩვენ შიმშილითა ვკვდებით, ცეცხლწამკიდებელო მტარვალო!

ჭ ა ბ უ კ ი – მასხარავ! აქტიორო! დადგა შენი უკანასკნელი წამიც!

ს მ ე ბ ი – პური!.. პური!..

მ ჭ ე დ ე ლ ი – ჩავაგდოთ ტიბროსის მდინარეში ეს ავაზაკი!

დ ე დ ა კ ა ც ი – დაიღუპა რომი! ვაი რომს და ვაი ჩვენ!

მ ო ხ უ ც ი – ჩემი ფულები დამიბრუნე, შე შეჩვენებულო!

ს ა ზ ო გ ა დ ო ხ მ ე ბ ი – შენ დაგვაკელი საჭმელ-სასმელი და სადგური... შენ ამოაგდე რომი! სიკვდილი მაგას! სიკვდილი გადამწველი! ჩაგდეთ ცეცხლში! მასხარა! წითელნვერა!

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – (ხელს მალლა აიღებს და ხმამალლა) მოქალაქენო! ყური დამიგდეთ!

## ვიდრე ხვალ, უფალო?

ს მ ე ბ ი – ჩუმათ! ეს პეტრონიუსია! მოუსმინოთ პეტრონიუსა! ეგ ყოველთვის ხალხის ქომაგი ყოფილა! – რა ყურს უგდებთ? ნერონის მოგზავნილია, – სასუ, ყური დაუგდეთ პეტრონიუსა!..

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – (ჩამოდას მოაჯირიდან და გაერევა ხალხში) რომაელებო! გამიგონეთ!

ს მ ე ბ ი – გაჩუმდით! ნელა! გაიგონეთ!.. ვიცით, ვინც არი პეტრონიუსი... აბა, სთქვი! ჩუმათ! დაჩუმდით! (ხმაურობა დაწყნარდება).

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – მოქალაქენო! ვინც ახლოს დგახართ ჩემთან და გესმისთ ჩემი სიტყვა, ის გადაეცით იმათ, ვინც შორსა სდგას და ყველამ ერთად თავი დაიჭირეთ ადამიანურად და არა მხეცურად.

ს მ ე ბ ი – სთქვი! ყურს გიგდებთ! ჩუმათ! სთქვი!

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ქალაქს ხელახლა გააშენებენ!.. ლუკულისა, კეისრისა და აგრიპინას ბაღის კარები ხვალიდანვე გაღებული იქნება თქვენთვის. ხვალიდანვე დაიწყებენ პურის, ღვინის, ერბოსი და სხვა სანოვაგეთა დარიგებას. იმდენი იქნება, რომ კიდეც მოგეყირჭოს. მერე მოგელისთ ლენი და საჩუქრები. ასე რომ, თქვენ, ამ რომის გადანვის შემდეგ, უფრო მდიდარნი იქნებით, ვიდრე გადაწვამდე...

(ყრუ ხმაურობა, პეტრონიუსის სიტყვას ერთიმეორეს გადასცემენ).

მ თ ვ რ ა ლ ი მ ა ნ წ ა ლ ა – (მივა, მიადგება პეტრონიუსა). სცრული! არა მჯერა! მართალი სთქვი, თორემ კისერს მოგიგრებ...

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – გაინი იქით, მეგობარო, მყრალი ღვინის სუნი გდის.

მ ა ნ ა ნ წ ა ლ ა – სტყუ!

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – მე სიმყრალის ატანა არ შემიძლია! (დაპჰრავს მუშტს და გააგორებს).

ს მ ე ბ ი – ო-ო-ო! მუშტი აბა ამას ჰქვიან... ლონიერი ხელია. ახათ მოუვიდა! ჩვენ კი ყველას გვჯერა პეტრონიუსის სიტყვა. ეგ ჩვენ არ გაგვიყიდის. კიდეც გამოგვექმაგება...

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – მოქალაქენო!.. თქვენ მოგელისთ ჯერ არნახული გასართობები. კეისარი იმისთანა სანახავებს და სასეიროს გაგიმართავსთ, რომ ჯერ არ ყოფილიყოს ქვეყანაზე.

ბ რ ბ ი – (აღტაცებით) პური და ღვინო? სეირი? პეტრონიუსი შეა-სრულებს, რასაც გვპირდება. პური, სეირნობა!.. საჩუქრები!.. სანახავები! (ხმაურობა სასიხარულო ხრიალში გადადის) პური და სეირი!

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – სიტყვას გაძლევთ, ერთიც გექნებათ და მეორეც.

## ვიდრე ხვალ, უფალო?

ხ მ ა უ რ ო ბ ა – ვაშა პეტრონიუსს! გაუმარჯოს პეტრონიუსს!..  
პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – გაუმარჯოს კეისარს!

ს ა ე რ თ ო ხ მ ა – გაუმარჯოს ნერონს! ვაშა კეისარს!

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ძალიან კარგი! „ვაშა“ ხომ შესძახეთ კეისარს, რომელიც თქვენზე ზრუნავს, გაჭმევსთ, გაცმევსთ და ახლა კი, ჩემო საცოდაო ოხერტიალებო, დაიშალენით! მე უნდა კეისარს მოველაპარაკო თქვენი კუჭის გატენის თაობაზე და თვალების დაკ-მაყოფილებაზე სხვადასხვა სანახაობით.

(ბრძოლის შედება, მიდიან, ერთიერთმანეთს ესაუბრებიან).

ხ მ ე ბ ი – ხვალ პურსა და ღვინოს დაარიგებენ! ვაშა პეტრონიუსს! გაგვიღებენ ბალების კარებს. გაგვიმართავენ სეირნობას. – მოგვატყუებენ. ყოლიფერი დაპირებაზე გადივლის! – არა, პეტრონიუსი თავის სიტყვას აასრულებს. ჩვენ დანაკლისს ერთიასად შეასრულებენ და სხვა.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – (ადის მოაჯირზე) პოლუკსსა ვფიცავ, რომ ეს ქვემდრომები ოფლისაგან ჰყარან, კინალა გული შემიწუხდა.

ნ ე რ ო ნ – მე ძალიან შენი სიცოცხლის მეშინოდა, პეტრონიუს!.. მაღლობა ღმერთებს, რომ კარგად გათავდა.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ო, ღმერთებო! რა ცუდი სუნი უდისთ ამ პლებებებს... ამ დაბალ ხალხს...

პ ო მ პ ე ი ა – მაღლობა ღმერთებს... საშიში ალარა არის-რა...

კ ო ნ ს უ ლ ი – არა, ავგუსტა, ხალხი მაშინ დამშვიდდება, როცა ცეცხლის წამკიდებლები დაისჯებიან.

პ ო მ პ ე ი ა – (დადგება ნერონის წინ) გამიგონე, კეისარო! მსხვერპლი, რომელსაც ხალხი თხოულობს, ჩვენ ხელთ არის. ხალხი ქრისტიანებს ენამება და ეზიზლება ქრისტიანები. არასოდეს ჯერ არცერთ მათგანს შენთვის ტაში არ დაუკრავს და არ აუღარებისარ ღვთაებათ. ხალხი შენზე ღელავს, მაგრამ შენ ხომ არ გიბრძანებია ტიგელინისათვის ქალაქის გადაწვა? ხალხი თხოულობს შურისძიებას! დევ, ეძიოს! სისხლი სწყურია და გასართობი? დევ, ნახოს ორივე! შენზე აქვს იჭვი? დევ, გადაიტანოს ქრისტიანებზე...

ნ ე რ ო ნ – (ტრაგიულად) ზევსო და ყველა უკვდავო ღმერთებო! რატომ არ მოდით და არ მოგვეხმარეთ... ამ საბრალო ქალაქია რა შესცოდა იმისთანა იმ ბარბაროსებს, რომ ისე შეუბრალებლად გადაბუგეს...

კ ო მ პ ე ი ა – იმიტომ, რომ მტრები არიან კაცობრიობისა და შენი.

## ვიდრე ხვალ, უფალო?

რ ა მ დ ე ნ ი მ ე ხ მ ა – იყავ სიმართლის მოყვარე, მიეცი სასჯელს დამწველები. თვითონ ღმერთები მოითხოვენ შურისძიებას.

ნ ე რ ო ნ – რა სატანჯველი და სასჯელი დაიმსახურეს იმ საძაგლებმა, რომ ალარ ვიცი? მაგრამ ღმერთები მაგულისხმებენ მე ტარტაროზის შემწეობით და მეც ჩემ საბრალო ხალხს ისეთ სანახავს უზრიენებ, რაც ჯერ არ უნახავს და რასაც არ დაივიწყებს საუკუნოების განმავლობაში.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – (წინ წამოდგება) მაში, ახლა მსხვერპლი მიგნებულია! კეთილი და პატიოსანი! მათი არენაზე მოდენა ადვილია. მაგრამ ცოტა მეც გამიგონეთ. უფლება და ძალა თქვენ ხელთ არის და ნუ იქნებით უსამართლო მაშინ მაინც, როცა სხვა არავინ გიგ-დეპსთ ყურს. ატყუეთ ხალხი, მაგრამ თავს ნუ იტყუებთ. ჩაუგდეთ ხელში ხალხს ქრისტიანები, სტანჯეთ, მიუსაჯეთ, რაც გენებოსთ, მაგრამ იმდენი გამბედაობა კი იქონიეთ, რომ პირდაპირ უთხრათ მათ, რომ იმათ არ დაუწვავთ რომი. ფუ! თქვენ მიწოდებთ მე „არბიტრ ელეგანტს“ და მიტომაც მოგახენებთ, რომ ამ საზიზლარი კომედიის ატანა არ შემიძლია. ფუ! ყველა ეს მომაგონებს მე ქუჩურ სალახანობას, ბალაგანს, სადაც ჯამბაზები გათითხნილ ბრბოს გასართობათ წარმოადგენენ ხან ღმერთებს და ხან მეფეებს, რომ მერე, გათავების შემდეგ, მუავე ღვინოთი პირი ჩაიგემრიელონ. ნერონმა, ქვეყნის მპყრობელმა, ღვთაებამ დასწვა რომი, იმიტომ, რომ ძლიერია ქვეყანაზე, როგორც ზევსი ოლიმპზე. ნერონი პოეტია და იმდენათ უყვარს პოეზია, რომ იმას შესწირა სამშობლო. ნუ უარყოფ შენ სახელს და ნუ ათქმევინებ შთამომავლობას, რომ „ნერონმა დასწვა რომი, მაგრამ, როგორც სულმდაბალმა კეისარმა და როგორც სულმოკლე პოეტმა, გადაფიცა და გადააპრალა უდანაშაულო ხალხს...“ (ჩამოვარდება სიჩუმე).

ტ ი გ ე ლ ი ნ – კეისარო! ნება მიბოძეთ, აქ ალარ დავდგე! შენ დალუპვას გიპირებენ! სულმდაბალ კეისრადა და პოეტათ გსახავენ, რომის ქალაქის დაწვას გნამებენ, მსახიობად გთვლიან. ჩემი ყურთასმენა ამაებს ვერ აიტანს.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – (ხმადაბლა) წავაგე!

კ ო მ პ ე ი ა – ღვთაებრივო! როგორ იტან, რომ მაგისთანა აზრების წარმოთქმას ბედავენ შენ წინაშე?

ტ ი გ ე ლ ი ნ – დასაჯე ეგ თავხედი!

ს მ ე ბ ი – პეტრონიუს გათავებედდა! მაგის საზიზლობა სასჯელს მოითხოვს, კეისარო! დაისაჯოს! (ჩამოშორდებიან).

## ვიდრე ხვალ, უფალო?

ნ ე რ ო ნ – (თვალს არ აშორებს პეტრონიუსა. ბოროტი ღიმილით) თქვენ ყველას გინდათ, რომ დაესაჯო? მაგრამ ეგ ჩემი მეგობარია. მართალია, გული დამიკოდა, მაგრამ, დეე, ყველამ იცოდეს, რომ ეს ჩემი გული თავის მეგობრებს ყველაფერს აპატიებს ხოლმე.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – (ხმადაბლა) წავაგე და დავიღუპე!

ნ ე რ ო ნ – (ნამოდგება) წავიდეთ! მოვაწესროგორ ხალხისათვის გასართობი და სათამაშოები! პეტრონიუსა! მოიპატიუე ჩემი სახელით შენი ნათესავი მარკუსი ამფითეატრში, იქ წახავს თავის ლიგიელ მშვენიერებას. (პეტრონიუსის მეტი ყველა მიდის. ნელ-ნელა ბნელდება. ცის კიდეები წითლდებან ცეცხლისაგან).

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – (მარტო) მგონია, ახლა კი დამიწყო ღალატი ბედმა. (შემოდის მარკუსი).

## გამოსვლა მეოთხე

მ ა რ კ უ ს – პეტრონიუს!

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – მარკუს! მაგრამ რა დაგმართნია? ავათ ხომ არა ხარ?

მ ა რ კ უ ს – არა!

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – მაშ, აქ რა გინდა?

მ ა რ კ უ ს – განა არ იცი? დღეს ლიგია დააპატიმრეს.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ვიცი...

მ ა რ კ უ ს – დავჭკარე ხელახლა. ახლა კი საუკუნოდ დავჭკარე. უნდა კეისარს შევეხვეწო, დამიბრუნოს. ათასი ქრისტიანი სხვაცა ჰყავს ხელში და ის ერთი მე დამიბრუნოს, მაჩუქოს იმ სისხლში, რომელიც მე დამინთხევია სამშობლოს გულისათვის.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – უარს გეტყვის!

მ ა რ კ უ ს – მე თუ მეტყვის, შენ ხომ აღარ გეტყვის? მეგობარი ხარ ხომ მისი?

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – დღეიდან აღარ! და ჩემი საუთარი სიცოცხლეც ძაფზე ჰქიდია. გამიგონე და გული გაიმაგრე: კეისარმა გადასწყვიტა, რომ ქალაქის გადაწვა ქრისტიანებს გადააბრალოს და იმათაც სასტიკი დევნა და ტანჯვა მოელისთ. შენ უნდა ყოველი ღონისძიება იხმარო, წახო ლიგია და დაავერო, რომ ერთად გაიქცეთ. უამისობა არ იქნება.

მ ა რ კ უ ს – (სასონარკვეთილებით) აჲ! არა, ეგ არ მოხერხდება!

## ვიდრე ხვალ, უფალო?

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – მოუხერხებელი უნდა მოხერხდეს.

მ ა რ კ უ ს – კი, მაგრამ სად არის? სად ვნახო?

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – აქ არის ბაღში დამწყვდეული! მომიცადე აქ, დროც ხელს გვიწყობს. ნერონ და მისი თანამოაზრები წასული არიან ვითომდა დიდი საქმის მოსაწესრიგებლად. მე წავალ და ვეცდები, რომ ოქროს გასაღებით საპატიმროს კარები როგორმე გაგილოთ. (მიდის).

მ ა რ კ უ ს – (მარტო) ჩემი ლიგია არენაზე უნდა ვნახო? ამას ვერ ავიტან! სისხლი მიშრება ძარღვებში, სული მიწუხს... გონება მერყევა... არა! ან უნდა ერთად ვიცხოვროთ და ან ერთად მოვჰკვდეთ. (შემოდის ფაბიუსი).

## გამოსვლა მეხუთე

ფ ა ბ ი უ ს – (მხარზე ხელს ადებს) შევილო, რას სწუხარ?

მ ა რ კ უ ს – შენა ხარ, კეთილმორწმუნე მოხუცო? მე, ვკვდები... სიცოცხლე წამართვეს, ტანჯვა გულს მიხეთქს. უშველე რამე იმ ქალს, მამაო, დაიხსენი...

ფ ა ბ ი უ ს – მესმის... შენ წაგართვეს სატროვო? ილოცე მისთვის.

მ ა რ კ უ ს – მამაო, მე ერთი საბრალო მატლი ვარ და შენ კი, რომელმაც შეიგენ ქრისტე, სოხოვე მას, გამოესარჩლე ლიგიას. შენ, მხოლოდ შენ, ერთს, შეგიძლია მისი გამოხსნა.

ფ ა ბ ი უ ს – შევილო ჩემო! მე მხოლოდ ვილოცავ მისთვის. მაგრამ ნუ დაივიწყებ, რომ თვით ყოვლის შემძლებელი ქრისტე განერთხა ჯვარზე და იტანჯა! და აგრეთვე, ნუ დაივიწყებ, რომ ამ ცხოვრების შემდეგ, იქ დაიწყება სხვა, საუკუნო ცხოვრება.

მ ა რ კ უ ს – ვიცი, ვიცი, ეგ გამიგონია. მაგრამ თუ სისხლი აუცილებელია, შეევედრე შენს ქრისტეს, რომ ჩემი მიიღოს სამაგი-ეროდ. მე სალდათი ვარ და მოვითმენ. მისთვის დანიშნული ტანჯვა კი მან გააორკეცოს, გაასამკეცოს და ისე გადამახდევინოს... ის კი დაიხსნას. ის ჯერ კიდევ ბავშვია და ღმერთი კი კეისარზე უძლიერესი. გამოესარჩლე, მოხუცო, უმანქო ბავშვს.

ფ ა ბ ი უ ს – მარკუს! გრწამს თუ არა?

მ ა რ კ უ ს – მრწამს!

ფ ა ბ ი უ ს – გრწამდეს და ილოცე! ილოცე ბოლომდე! ხმალმდებული ჯალათიც რომ დაინახო თავს ადგეს, ლომის ყბაშიც რომ

## ვიდრე ხვალ, უფალო?

დაინახო ჩავარდნილი, მაინც გრწამდეს მაშინაც, რომ ღმერთს შეუძლია გამოხსნა. ახლა კი მე წავალ და ნუგეშსა ვსცემ ჩემ საპრალო მოძმებს. შშვიდობა შენთანა. (მთიდის).

მ ა რ კ უ ს – მე არ ვიცი ლოცვა! არ მისწავლია ის სიტყვები, რომლითაც მოიხმობენ ხოლმე ღმერთს, მაგრამ ისე კი მე შენი ვარ, ყოვლის შემძლებელო ღმერთო! შენი ვარ! და მე მიმიღე მსხვერპლად მის მაგიერად...

### გამოსვლა მეექვსე

(შემოდის ლიგია. თან შემოჰყვებიან პეტრონიუს და პეტრონიანელი. პეტრონიუს ეჩურჩულება სალდათს, რომელიც ჩამოშორდება, გაიწევს კუთხისკენ და იქ დაეყრდნობა შუბზე. პეტრონიუსი ნელ-ნელა გადის).

ლ ი გ ი ა – მარკუს!

მ ა რ კ უ ს – ლიგია! (მივარდება, გულამომჯდარი ეხვევა) ლიგია!

ლ ი გ ი ა – ნუ სტირი, ჩემო საყვარელო! მე ისეთი ბედნიერი ვარ, შენ რომ გხედავ, რომ... მე ვფიქრობდი, თუ უკანასკნელად ცირკის არენაზე დამინახავდი! ნუ ეძლევი სასონარკვეთილებას. მე შენი ვარ და სიკვდილი ვერ დაგვაშორებს! ნუ სწუხარ!

მ ა რ კ უ ს – არა, შენ არ მოკვდები... მე გამოგვლეჯ ჯალათების ხელიდან... ჩვენ უნდა გავიქცეთ.....

ლ ი გ ი ა – როგორ?.. შენ გინდა, რომ მაშინ, როცა ჩემი მოძმები სატანჯველსა და სიკვდილს ეძლევიან, მე სიხარულსა და განცხრო-მას მივეცე? არა, არასოდეს, ნუ მირჩევ მაგისთანას, მარკუს, მე ქრისტიანი ვარ.

მ ა რ კ უ ს – თუ შენ მოკვდები, მეც თან გამოგყვები. მაგრამ, არა! შენ იცოცხელებ, ჩემო ძვირფასო! ღმერთი არ მიგიშვებს სიკვდი-ლამდე... შეგიბრალებს....

ლ ი გ ი ა – მარკუს! ქრისტეს გულისთვის სიკვდილს ეძლევა ათასი სული და რად უნდა განვეშორო საზოგადო ხვედრს? რა ვარ მე, შედარებით იმ მოწამეებთან, ქრისტესთვის რომ თავს სდებენ და მის მცნებას მტკიცედ ალიარებენ? ერთი რაღაც უმნიშვნელო ფიორი იმ გუნდში, რომელიც რჩეული არიან მოწამეებთან ქრისტეს მოძღვრების გულისათვის.

## ვიდრე ხვალ, უფალო?

მ ა რ კ უ ს – შენ ჩემთვის ხარ დანიშნული და არაფრისთვის ქვეყანაზე არ შეგელევი.

ლ ი გ ი ა – დიახაც, ნუ დამთმობ! მე მეზიზლება ის საერთო სასაფლაო, ორმო ამფიტეატრთან, სადაც ყველას ერთად ჩაგვყრიან დატანჯვისა და სიკვდილის შემდეგ. მაგრამ შენ მე წამიღე ცალკე არენიდან და დამმარხე, როგორც შენი მუულლე.

მ ა რ კ უ ს – ნუ მტანჯავ, ლიგია! მაკმარე! ნუ აორკეცებ ჩემ სატანჯველს! მე არ შემიძლია, არ მინდა დავიჯერო, რომ ჩვენ ერთ-მანეთს საუკუნოთ გავშორდეთ...

ლ ი გ ი ა – ნუ იტანჯები, ჩემო კარგო! დამშვიდდი! აბა, დაფიქრდი. აქ კეისარია და იქ კი ყოვლის მპყრობელი, კეთილი და ყოვლად მოწყალე. იქ სიკვდილი აღარ არის! აქ ხომ გიყვარვარ, მარკუს, მაშ, წარმოიდგინე, რა ბედნიერი ვიქწებით იქ. შენც ხომ იქ მოხვალ ჩემ-თან? (კულისებს იქიდან ისმის სალოცავი გალობა ქრისტიანებისა).

მ ა რ კ უ ს – (გულამოსკვნილი) ლიგია! ლიგია! ლიგია!

ლ ი გ ი ა – ნუ სტირი ჩემს გამო და გახსოვდეს, რომ შენც იქ მოხვალ, ჩემთან. შენ ხომ შეიყვარებ სამარადისო ღმერთს და მოთ-მინებით აიტან ჩემ სიკვდილს? მოითმინე, ჩემო ძვირფასო! მაშინ ღმერთი საუკუნოთ შეგვაერთებს ჩვენ. მიყვარსარ და მინდა, შენთან ვიყო განუყრელად. სიტყვა მომეცი ამაზე შენც, მარკუს.

მ ა რ კ უ ს – ვფიცავ შენ წმინდა თავს!

ლ ი გ ი ა – (მხიარულად ჰერცინის ხელზე მარკუსს) გმადლობ. ბედნ-იერი ვარ! მე შენი ცოლი ვარ!

პ რ ე ტ ო რ ი ა ნ ე ლ ი – მოდიან! დროა, წავიდეთ ჩქარა!

ლ ი გ ი ა – (გამოუსხლტება ხელიდან მარკუსს). მშვიდობით, მარკუს! ახალ ცხოვრებამდი... (მირბის და სალდათი მიჰყვება).

მ ა რ კ უ ს – მშვიდობით! მშვიდობით! მაგრამ მე მაინც არა ვკარგავ იმედს, რომ აქვე, ამ ქვეყნად, შევხვდებით კიდევ ერთმა-ნეთს. რატომ ყოვლად მოწყალე ღმერთი არ შეეწევა თავის შვილებს? რატომ ეს შეჩვენებული ქალაქი არ ჩაინგრევა ქვესკნელში და თან არ ჩაიტანს ნერონს, ავგუსტოელებს, პრეტორიანელებს და ყველა უკუ-ღმართებს. ჩვენ ან ერთად ვიცოცხელებთ, ან ერთად მოვკვდებით! (გარბის).

ფ ა რ დ ა

## ვიდრე ხვალ, უფალო?

მოქმედება მიხუთა

სურათი პირველი

პირები:

ნერონი.

პომპეია.

კონსული რეგული.

პეტრონიუს.

მარკუს ვინიციუს.

ტიგელი.

ურსი.

ხილონი ხილონიდი.

ტულიოსი.

ქალაქის პრეფექტი.

გლოვკუსი.

ფაბიუს.

ლიგია.

მკითხავები კეისრის ლოჟაში. ნერონის მხლებლები. ხალხი. ქრისტიანები. პრეტორიანელები.

სანახაობა ამფიტეატრში. ვესტიბიული კეისრის ლოჟის წინ. სცენის პირველ ორ პლანს იჭერს ვესტიბიული, რომლის უკანა კედელს აერთებს თაღი, გადმოდგმული მაღლობზე, სადაც კეისრის ლოჟაა. ლოჟებს იქით არენა, რომელსაც პუბლიკა ვერა ხედავს. ამფიტეატრი სავსეა ხალხით. სვეტები – ყვავილებით შეფუთვნილი. ქანდაკებანი, ლოჟებისაკენ შესავალი კისე, რომელსაც ჩაჰვავს არენაზე. თაღებთან ორი დიდი რგოლები, ლომების პირში დამაგრებული. ნათელი დგას. სანამ ფარდა აიხდებოდეს, ხმაურობა ისმის და ტაშის კვრა. ფარდის ახდის შემდეგ ვესტიბიულში გამოდიან: ნერონი, პომპეია, კონსული რეგულა, ტიგელინი, ხილონი, ტულიოსი, ნერონის ამაღა და მკითხავები და ვესტალკები. იმათ მოჰყვებიან პრეტორიანელები და ჩამოუშვებენ ლოჟის ფარდას.

## გამოსვლა პირველი

კონსული – სანახაობამ გადააჭარბა მოლოდინს. ხალხი აღტაცებაში მოსული გეგებება ტაშის კვრით, ღვთაებრივო!

პომპეია – რომს ამისთანა თავის დღეში არა უნახავს-რა.

## ვიდრე ხვალ, უფალო?

ნერონი, რომ კარგად გამოვაწყვე. ახლა კი, იმედი მაქვს, რომ ხალხი კეისარს აღარას გადააბრალებს.

პომპეია – იმ სცენამ ისეთი ურუანტელი მოგვარა ყველას, რომ ქალებს ზოგიერთებს გული შეუწუხდა.

ნერონ – შენ რას იტყვი, პეტრონიუს?

პეტრონიუს – ძალიან ბევრი მორი და სისხლი იყო.

ნერონ – შენ, მარკუს? რას გაჩუმებულხარ?

მარკუს – მაპატიი, კეისარო, მაგრამ მე ტანში ურუანტელი მივლის, ის მხეცური სცენა რომ მომაგონდება ხოლმე. უმწერ ბრძო, მხეცების ტყავში გამოხვეული, და მათი მგლეჯავი ლომები, ზარსა სცემენ ადამიანს. ხალხი მოდის, ეგებება სიკვდილს, როგორც დასაკლავი ზვარავი, – სანეტარო ლიმილითა და მადლობით თავისი ღმერთის მადიდებელი. ყოველივე ეს იწვევს ღრმა თანაგრძნობას. მე თავი მიბრუოდა და თითქოს სიზმარში ცხედავდი, რომ პატარა ბალებს ლომები ჰელეჩდნენ, სწინვიდნენ უბედურ დედაკაცებს და მოხუცებულებს, გულებს ართმევდნენ, დაავარდობდნენ და აქეთიქით ახლიდნენ დასახიჩრებულ გვამებს და ყვირილით სანსლავდენ. მე მესმოდა, ადამიანის ძვლებს როგორ გაპერინდა ხრამახრუში მხეცების ყბაში და მეც გული მიწუხდებოდა. მართალსა ბრძანებ, ავგუსტა, ამისთანა საზარელი სანახაობა ჯერ რომს არ უნახავს!

ნერონ – არა ხარ კმაყოფილი? მოგეწყინა? ნუ ჩქარობ! ელოდე დასასრულს. ა? შენთვის და პეტრონიუსისათვის მოვამზადე სხვაგვარი სანახაობა და მგონია, რომ ის უფრო გაგართობსთ თქვენ. ტიგელინ! განკარგულება მოახდინე?

ტიგელი – დიახ, ღვთაებრივო!

ნერონ – სად არის ხილონი? რა მოუვიდა?

ხილონ – აქ გახლავარ, ღვთაებრივო, ნაყოფო მზისა და მთვარისავ. ცოტა უქეიფოდ გახვდი იმ უნახავ სანახაობისაგან. მაგრამ არ ვნაღვლობ, შენი შეუდარებელი მღერა დამიბრუნებს სიმრთელეს.

პეტრონ – იუს – სამწუხაოდ, ბოლომდი ვერ გაუძლო სიტყბოებას, ბნედამ მოუარა და ათრთოლდა! შენ ერთ რამეში ხარ შემცდარი, ბრძენთაბრძენო, ღმერთებმა შენ გაგაჩინეს გაიძერად და შენ კი გამცემლად გადაიქცი. ფრთხილად, თორემ ვერ აიტან...

ხილონ – (თვალებს აბრიალებს) ავიტან...

ნერონ – სატანჯავად დანიშნულ ქრისტიანებს დღეს ჩვენ ნახევარსაც ვერ მოვერიეთ.

## ვიდრე ხვალ, უფალო?

პ ი მ პ ე ი ა – არ შეგინიშვნათ, რომ ქრისტიანები სიკვდილის დროს ზეცას შეჩერებიან და უტანჯველად კვდებიან?

ტ უ ლ ი ო ს – იმ ქრისტიანებში რაღაც არის უცნაური ლვთაება, იმათ სიკვდილი ეადვილებათ, რადგან ფიქრობენ, რომ ღმერთი პასუხს მოსთხოვს იმათ მკვლელებს.

ნ ე რ ო ნ – პასუხს მოსთხოვს? ჰმ!.. ჰმ!.. მაგრამ მე ხომ არ ვამზადებ ამ სეირს? ტიგელინი სჩადის.

ტ ი გ ე ლ ი ნ – სწორეთ მე! მე მხოლოდ!

ხ ი ლ ო ნ – (ხმის კანგალით) ნუ იცინი!

ნ ე რ ო ნ – (მიუთითებს ხილონზე) ხა! ხა! ხა! ხედავთ, როგორ გამოიყურება ეს ახილესის ჩამომავალი? (იცინის).

ხ ი ლ ო ნ – რაც გინდათ, ის მიყავით და მე ვეღარ დავესწრები, ვეღარ ვუყურებ ამ სანახაობას!

ნ ე რ ო ნ – მაშ, აგრე? ტიგელინო, თვალყური ადევნე, რომ ეს გაიძვერა ჩემ გვერდით იდგეს ლოუაში. მე მინდა, ვნახო, რა შთაბეჭდილებას მოახდენს ამაზე უინულილები.

ხ ი ლ ო ნ – არ შემიძლია! განმათავისუფლე, სხივმფენო!

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – აპა, არ გეუბნებოდი, ვერ აიტან-მეთქი...

ხ ი ლ ო ნ – (სახე ეცვლება) ავიტან...

ნ ე რ ო ნ – მე მგონია, მრისხანე ღმერთები, ჰურიები, არ გასვენებენ, გდევნიან.

ხ ი ლ ო ნ – ღმერთები კი არა, ღამე მიღგას თვალწინ და მეშინია. არ მეგონა, რომ ასე დამსჯიდნენ.

ტ ი გ ე ლ ი ნ – როგორ? განა ეგენი ცეცხლის წამკიდებლები არ არიან?

ხ ი ლ ო ნ – ტყუილია!

ტ ი გ ე ლ ი ნ – მთელი კაცობრიობის მტერი!

ხ ი ლ ო ნ – ტყუილია!

ტ ი გ ე ლ ი ნ – ნელებსა სწამლავენ...

ხ ი ლ ო ნ – ტყუილია!

ტ ი გ ე ლ ი ნ – ბავშვებსა ჰკვლენ...

ნ ე რ ო ნ – როგორ თუ ტყუილია? თვითონ შენ არ ამბობდი და შენ არ ჩაუყარე ისინი ხელში ტიგელინს?

ხ ი ლ ო ნ – მაშინ გონება დამიპნელდა და ახლა კი სიკვდილი მიახლოვდება. ხანდახან მგონია, რომ კიდევაც მოვკვდი.

ნ ე რ ო ნ – და კიდეც მოკვდები, თუ ენას მაგრე აასაქსაქებ.

## ვიდრე ხვალ, უფალო?

ხ ი ლ ო ნ – ვიცი, ვიცი და ამიტომაც ვჩუმდები, ოზირისო!

პ ი მ პ ე ი ა – მე მგონია, რომ ქრისტიანები სიკვდილის დროს თავის ღმერთსა ხედავენ.

ნ ე რ ო ნ – გამიგონე, ხილონ, შენ ხომ იმათ კარგად იცნობ? გვითხარი, რას ხედვენ?

ხ ი ლ ო ნ – (ხმადაბლა) აღდგომას მკვდრეთით...

(საყვირის ხმა სცენის უკან. ლოუის ფარდის იქიდან შემოდის ქალაქის პრეფექტი).

## გამოსვლა მიორე

პ რ ე ფ ე ქ ტ ი – ქრისტიანები სამარცხვინო სვეტებზე არიან მიკრული. ხალხი მოუთმენლად მოელის სანახაობას.

ნ ე რ ო ნ – (წამოდგება) წავიდეთ! ქრისტიანებმა რაც უნდა დაინახონ სიკვდილის დროს, მე მაინც სანახევროდ შევამცირებ მათ. წავიდეთ, ვნახოთ ცოცხალი ჩირალდნები. არ უნდა იქნეს ეს ურიგო!

ხ ი ლ ო ნ – მე არ შემიძლია!

ტ ი გ ე ლ ი ნ – წამოდი, თორემ შენც არენაში შეგიძახებთ... (ლოუის ფარდა აიხდება და გამოჩნდება ამფიტეატრი. ლოუას იქით მოსჩანან ქრისტიანები, მიკრული სამარცხვინო სვეტებზე. არენაზე ლოუის სიმაღლის გამო მხოლოდ თავები მოსჩანან, ქრისტიანების გვირგვინით შემკული. გლავკუსის თავი პირდაპირ ნერონის ლოუის წინ მოსჩანს. ყველანი მიჰყვებიან ნერონს და დაიჭერენ თავთავის ადგილს).

## გამოსვლა მისახ

ხ ი ლ ო ნ – (დაინახავს გლავკუს და გონებადანეული ბუტბუტებს თავისთვის) გლავკუს! ვეღარ ავიტან. ის... კიდევ ის! შემიბრალეთ, ღმერთებო!

ნ ე რ ო ნ – (მიათითებს გლავკუსზე) ტიგელინ! რად მოგითავსებიათ ის გადარეული და გამოტვინებული ჩემ პირდაპირ? თვალებს არ მაშორებს.

ტ ი გ ე ლ ი ნ – მიბრძანე და ახლავე საუკუნოდ დავახუჭიებ.

გ ლ ა ვ კ უ ს – ძმებო, ილოცეთ! დადგა ჩვენი უკანასკნელი უამი (თავს ჩაქინდრავის).

## ვიდრე ხვალ, უფალო?

ტ ი გ ე ლ ი ნ – (ნერონს) გვიპრძანეთ, რომ ცეცხლი წავუკიდო! ხ ი ლ ო ნ – ნუ! ნუ, კეიისარო! გევედრები, შეიპრალოთ! ნუ იზამ მაგას... შეიპრალე...

ნ ე რ ო ნ – შეხედეთ ამ მუნიანს! როგორ აცახცახდა, თითქო გააცივაო. (საზოგადო სიცილი).

გ ლ ა ვ კ უ ს – (აიღებს თავს და მისჩერებია პირდაპირ ნერონს) ვაი შენ, დედის მკვლელო! (ყველა სულს ნაბავს. სიჩუმეა. ნერონს იაგუნდი გაუვარდება) ვაი შენ, გაუმაძლარო მხეცო, სისხლს რომ ეწაფები! უი შენ, ცოლისა და ძმის მკვლელო! სიკვდილი გეპოტინება და ჯოვოხეთი მოგელის. საშინელებით დალევ სულს და, ყველასაგან შეჩვენებული, დაიღუპები საუკუნოდ.

(საზოგადო აღშფოთება. ხალხი ყრუდ ხმაურობს).

ნ ე რ ო ნ – (ჩახლეჩილი ხმით ტიგელინს) წაუკიდე ცეცხლი.

ტ ი გ ე ლ ი ნ – (პრეტორიანელს) ბრძანება გაეცი, რომ წაუკიდონ ცეცხლი ხორებს... (სალდათი ჩადის ქვევით).

ხ ი ლ ო ნ – მაგას თქვენ ვერ იზამთ. ზეცა მეხს დასცემს ცირკს და ყველას თან ჩაგიტანსთ.

გ ლ ა ვ კ უ ს – (საყვედურით ხილონს) კეფას! კეფას!

ხ ი ლ ო ნ – გლავეუს, ალარ შემიძლია! ნუ მომჩერებიხარ! თვალები დახუჭჭე, თვალები... (უცბად ხმამაღლა) გლავეუს, შემინდვე ქრისტეს გულისთვის, მაპატივე!

გ ლ ა ვ კ უ ს – შემინდვია...

ხ ი ლ ო ნ – (თმებში წაივლებს ხელს და ღმუის მთელი ამფიტეატრის გასაგნათ, ღონემოკლებული) ხალხო! რომაელებო! ვფიცავ ჩემს სიკვდილს, რომ ამდენი მსხვერპლი ტყუილად იღუპება, დაუნაშავებლად. ქალაქი ხომ ამან დააწვევინა! ამან! (მიათითებს ნერონზე).

(კეიისარი წამოვარდება ზეზე. პრეტორიანელი ხელს ჰკიდებს გულშემოყრილ ხილონს. ხალხში არეულობაა).

ნ ე რ ო ნ – (შეშინებული) გაანთავისუფლეთ არენა! შეაჩერეთ წარმოდგენა ხვალამდი...

ტ ი გ ე ლ ი ნ – (გადაჰყვირის მოაჯირზე) ნულა წაუკიდებთ ცეცხლს! (ხალხში ხმაურობა მატულობს და ისმის აქა-იქ მუქარა) მოქალაქეებო! ეს კაცი, კეიისარი რომ შეურაცხყო – მთვრალია. გამოფხიზლდება და საჯაროდ გამოტყდება თავის უსირცხვილო სიცრუუეში. (ხმაურობა ისმის. ცალ-ცალკე ხმები).

## ვიდრე ხვალ, უფალო?

ხ მ ე ბ ი – შენ სტყუი! ნერონმა დააწვევინა რომის ქალაქი! ღმერთები პასუხს მოსთხოვენ უმანკოთა დასჯისთვის! მტარვალი! მასხარა! ცეცხლის წამეკიდებელი! შეჩვენება ნერონს...

(ისმის სტვენა. ნერონი და ამალა საჩქაროდ ჩამოდიან სცენაზე. ხილონი პრეტორიანელებს უჭირავსთ ხელში. არენას ფარდა ეშვება, ხმაურობა თანდათან წყნარდება).

ნ ე რ ო ნ – (ცეცემა სავარძელში) უჲ, რა წამი გადავიტანე! პომპეია! სახეზე ძალიან შევიცვალე?

პ ო მ ბ ე ი ა – მხოლოდ ცოტათი გაფითრდი, ღვთაებრივო, და შენი მშვენიერი სახე კი დამშვიდებულია.

ნ ე რ ო ნ – კეიისარმა არ იცის, რა არის შიში! ის იცნობს მხოლოდ ტანჯვას მისის უბედური ხალხის გულისათვის.

ტ ი გ ე ლ ი ნ – შენს წყლულებას იმათი ტაში განკურნებს.

ნ ე რ ო ნ – არ ემჯობინება, რომ სულ გავშორდე ამფიტიატრს, სანამ დამშვიდებოდნენ?

პ ო მ ბ ე ი ა – დარჩი, ღვთაებრივო, თორემ ხალხს ეგონება, შეშინდაო... სულმდაბლობად და სიფრთხილედ ჩაგითვლის.

ნ ე რ ო ნ – სად არის ის ძალი, მე რომ მიკინა?

ტ ი გ ე ლ ი ნ – აქ გახლავსთ! (ტიგელინის ნიშნებით სალდათები მიიყვანენ ხილონს).

ნ ე რ ო ნ – საზიზლარ! გესმის, ვის დასწამე ცილი? იცი, რა მოგელის მაგისათვის? (ხილონი ხმას არ იღებს).

ტ ი გ ე ლ ი ნ – ხმა ამოიღე, შე ძალო! ენა ჩაგივარდა? მე აგალაპარაკებ! შენ რად იწუხებ თავს, ღვთაებრივო, ამის გამოკითხვაზე? მე გამოვნახავ საშუალებას, რომ ენა ავადგმევინო და ვათქმევინო ხალხის წინ, რომ საზიზლარ ტყუილს იგონებდა... (სალდათებს) წაათრიეთ საწამებლად!

(სცენის უკან საყვირის ხმა. შემოდის ქალაქის პრეფექტი).

ხ ი ლ ო ნ – უხილავო, მრავალმოწყალე ქრისტიანების ღმერთო, ნუ განმაგდებ მე პირისა შენისაგან სიკვდილის უამს. (გაპყავთ).

პ რ ე ფ ე ქ ტ ი – დიდებულო კეიისარო! განკარგულება მოვახდინე, რომ დაურიგონ ხალხს გასაგრილებელი სასმელები, შემწვარი ხორცი, ღვინო, ზეთისხილი და ისე ხილი. არეულობა ცოტა დაწყნარდა, ახლა თუ შენც დაენახვები – ქება-დიდებითა და ტაშის ცემით მოგეგებითან.

## ვიდრე ხვალ, უფალო?

ნ ე რ ო ნ – მჯერა! ხალხს მე ვუყვარვარ! შენ რას იტყვი, პომპეია?

პ ო მ პ ე ი ა – ნუ მოაკლებ ხალხს შენი დანახვის ბედნიერება!

ნ ე რ ო ნ – დიახ, ვერ მოვაკლებ! (წამოდგება და პრეფექტს) ეხლავ გამოაშვებინე სცენაზე ლიგიელი გოლიათი და პრომანიული ჯიხვი. ნახოს ხალხმა ადამიანის შეჭიდება მხეცთან. ამგვარი რამ ჯერ არ ნახულა. (პრეფექტი მიდის).

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – კეისარო! მე მიმხვდარი ვარ, რაშიაც მდგომარეობს ეს სანახაობა. დღემდი არაოდეს არ შემიწუხებიხარ თხოვნით და ახლა კი გევედრები, რომ შეიძრალოთ ის საწყალი ქალი და (მიუთითებს მარკუსზე) შენი ერთგული ჯარისკაცის სიყვარული. შენ თვითონ უბოძე ამას ლიგიას თავი და, რადგანაც შენი ბრძანება ისეთივე შეუცვლელია, როგორც ზევსის ნება, უბრძანე, რომ ის ქალი გადმოსცენ იმას, ვისაც თქვენმა ლვთაებრივმა უფლებამ მიანიჭა.

მ ა რ კ უ ს – (მუხლებს მოიყრის) კეისარო, გევედრები! მთელი ჩემი სიცოცხლე გეკუთვნოდა შენ და ნუ წამართმევ ბედნიერებას. მომეცი ლიგია და სიკვდილამდე შენი მადიდებელი ვიქენები. ნუ დალუპავ იმ უმანკო ქმნილებას. შეიძრალე, კეისარო!

ნ ე რ ო ნ – (ბოროტის ღიმილით) ტყუილად იხვენები... ლიგიას არა უჭირს-რა, ის იქნება მიკრული მხეცის რქებზე. რაღა ეჭვია, რომ ურსი მოერევა იმ საზარელ საშიშროებას. ბევრს ლაპარაკობენ მის უძლეველ ღონეზე.

მ ა რ კ უ ს – კეისარო! არსად იქნება მაგისთანა უცნაური ძალა... მთელი გუნდი პრეტორიანელებისა რომ დაესიონ, მაინც ვერას უზა-მენ იმ საოცრება მხეცს.

პ ო მ პ ე ი ა – პეტრონიუსი მართალს ამბობს. კეისარმა არ უნდა გადათქვას თავისი ბრძანება: ლიგიის მხედარმთავრის ქალი კეისრის ბრძანებით გაჰყავთ არენაზე და ეს აღარ უნდა შეიშალოს!

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – (ხმადაბლა) კიდევ წავაგე.

ნ ე რ ო ნ – (პეტრონიუსს) გესმის?.. (სცენის იქით საყვირის ხმა) გვიცდიან! წავიდეთ! მე ვდებ სანაძლეოდ სამი ათას სესტერციას, რომ მხეცი გაიმარჯვებს... (შედიან ლოჟაში).

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – მარკუს! შენ ძლივს იმაგრებ ფეხებს... წადი შინ! ავათ ხარ!

მ ა რ კ უ ს – არა! არა! აქ დავრჩები! ქრისტე დამიბრუნებს მე ლიგიას. (ნერონი შედის ლოჟაში, ხალხი ეგებება ტაშითა და „ვაშათი“).

## ვიდრე ხვალ, უფალო?

ს მ ე ბ ი – დიდება ნერონს! ქება და დიდება კეისარს! მრავალ-უამიერ ცეზარს! (ფარდა გადაიშლება. ამფიტეატრიდან ისმის სხვადასხვა ხმები): გოლიათი ყოფილა! შეხედეთ, რა გულ-მკერდი აქვს... რა მოყვანილობა! ნეტავი სად იპადებიან ამისთანა დევკაცები! ამბობენ, კროტონი მაგან მოკლაო! ეს არის ის ლიგიელი... რა მშვენიერებაა... რა ძარღვების პატრონი... ვინ გაპედებავს მაგის პირდაპირობას. (სცენაზე საყვირის ხმა. საერთო ხრიალი) ჯიხვი! ჯიხვი!.. რა საოცარია! ვაი უბედური ლიგიელი! მხეცი გახლებს. რქებზე რა აკრავს იმ მხეცს? ქალი! შეხედეთ! შეხედეთ! (ფარდას იქიდან გამორბის მარკუსი, იმას მოსდევს პეტრონიუსი).

### გამოსვლა მეოთხე

მ ა რ კ უ ს – (თმებში წაივლებს ხელს) ლიგია! ლიგია! არ შემიძლია, რომ გიყურო! (დაუცემა ღონებით კიბეზე) ეს ყოლიფერი ადამიანის ძალ-ღონეს აღემატება. პეტრონიუს, მითხარი, მოკვდა?

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – (ფარდას გასწევს და არენისაკენ იყურება) არა, მხოლოდ გულშემოყრილია. მაგრამ ეს რა ამბავია?

მ ა რ კ უ ს – რა?! რა?! სთქვი მალე, ნუ მტანჯავ! დაბლა დავარდა? ჯიხვმა გაგლიჯა?

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – არა, ის ქალი მაგრად არის რქებზე მიკრული, მაგრამ ურსი... ურსი...

მ ა რ კ უ ს – რაო? დაილუპა? სთქვი!

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – რქებში წაავლო ხელი მხეცს. არ ემორ-ჩილება... წარმოუდგენელია, წარმოუდგენელი... შეხედე! შეხედე!..

მ ა რ კ უ ს – არ შემიძლია... ვგიუდები... რად გაჩუმდი? სთქვი! ყოლიფერი სთქვი, რაც დაინახო...

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ჩემს თვალებს არ ვუჯერი... ურსი ერთ-ცახესაც არ უთმობს. შერგო ფეხები სილაში და ნამეტანი ჭიფხ-ვით ზურგი მოეღუნა. მხეცი ვეღარ ინძრევა, გაქვავდენ. გამხნევდი, ჰერქულეს!

მ ა რ კ უ ს – მხოლოდ სარწმუნოება დაიხსნის იმას, ერთადერთი იმედი იმაშია...

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – რა სიჩუმეა! ბუზის ფრენას გაიგონებს კაცი. ყველა გაქვავებულია...

## ვიდრე ხვალ, უფალო?

მ ა რ კ უ ს – „რომ დაინახო ჯალათის მახვილქვეშ ან ლომის ყბაში, მაშინაც გრწამდესო!“ (დაიჩოქებს) მრწამს! უფალო, მოახდინე სასწაული...

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – საბრალოს ღონე ელევა... ოფლი ასქდება. უკანასკნელ ძალ-ღონეს იკრებს... მთლად მოილუნა. ძარღვები გახეთქაზე აქვს... წარმოუდგენელი ღონეა... მაგრამ ცახცახებს. ვაითუ ვეღარ აიტანოს...

მ ა რ კ უ ს – თქვენ კი არა, ღმერთებო, რომელთა სამლოცველოები გადაიბუგა, მხოლოდ შენ, ღმერთო, რომელმაც იტანჯე ჩვენი გულისათვის, ყოვლად მოწყალე ხარ და გესმის ადამიანის ტანჯვა, – გადამირჩინე ჩემი ლიგია, აიყვანე ხელში და გამოიტანე არენიდან. შენ შეგიძლია ეს. შენ ყოლიფერი შეგიძლია. შენ ხომ ყოვლის შემძლებელი ხარ და კეთილი მრწამს... მრავალმოწყალეო, მოახდინე სასწაული.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ვბოდავ... სიზმარში ვარ! მხეცმა თავი ჩაქინდრა... ეს შეუძლებელია! ო, დიახ, სწორეთ! სწორეთ! პირში ენა გამოუვარდა.

მ ა რ კ უ ს – (გიუივით ბუტბუტებს) მრწამს! შენ შეგიძლია... შენ ყოლიფერი ძალგიძს, დამიბრუნე ლიგია!

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ძვლებს ხრამახრუში გააქვს. მხეცი ატორტ-მანდა. ეცემა... მარკუს! გადარჩა ქალი...

(სცენის გარეთ ხრალია. აღტაცებული ხმაურობა და ტაშის კვრა).

ს ა ზ ო გ ა დ ო ს მ ე ბ ი – ჰერკულესია! გმირი! ღმერთია სანახევროდ! შენ ჩვენი ხარ!.. ჩვენ გამოგექომაგებით, დევკაცო! შენდობა მაგას! პატიება!..

## ვიდრე ხვალ, უფალო?

ტორიანელები ვერ აკავებენ ხალხს. ურსი მიუახლოვდება ლოუას, თვალებით ანიშნებს ხან კეისარს და ხან ხალხს. ლიგიაზე მოტევებასა სთხოვს. თან ასწევს ლიგიას. მარკუსი მოიგლეჯა მოსახურავს და გადაათარებს ლიგიას. მერე აუზვერს ხელს ხალხს. ხმაურობა თანდათან წყნარდება).

მ ა რ კ უ ს – ხალხო, რომაელებო! (გადაიღელავს გულს) აი, დახედეთ ამ ჭრილობებს, მე ესენი თქვენი გულისათვის მივიღე. თქვენთვის დავანთხიე სისხლი და ახლა გამომესარჩლეთ, თქვენც გამოექომაგეთ სალდათს და მის საცოლოს.

უ რ ს ი – შეიბრალეთ! აპატიეთ! მე ყოველიფერი ამის გულისათვის ჩავიდინე.

ტ ი გ ე ლ ი ნ – (წასჩურჩულებს კეისარს) ნუ დაუთმობ, კეისარო!

ს მ ე ბ ი კ ი დ ე ვ – შენდობა! პატიება! აპატიე, კეისარო! ხელი აიღე მაღლა! შეიბრალე!.. (ბოლოს და ბოლოს მუქარაზე გადადის) მხეცო! მტარვალო! ცეცხლის წამკიდებელო! დედის მკვლელო! (წერონი მიიხედ-მოიხედავს, დაინახავს ამალას: ყველას აშვერილი აქვს მარჯვენა ხელი, ნიშნად შენდობისა და თვითონაც აიღებს ხელს. ჩამოვარდება სიჩუმე. ურსი დაიჩოქებს, ლიგია ხელში უჭირავს და თვალებს ზეცას მია-პყრობს).

მ ა რ კ უ ს – (მივარდება აღტაცებული ლიგიას) ქრისტემ დამიბრუნა შენი თავი!

ს ა ლ ხ ი – (აღტაცებით) გაუმარჯოს წერონს! ვაშა კეისარს! ვაშა! ვაშა!

ფ ა რ დ ა

## გამოსვლა მახუთა

(ფარდა გადიშლება. კეისარი უქმაყოფილოდ თვალს მოარიდებს ამალას და გადაიყურება პუბლიკისაკენ. ლოუის ხალხიც აღელვებულია და შეჰყურებს კეისარს, მარჯვენა ხელაშვერილი, ნიშნად იმისა, რომ აპატიეო).

ს მ ე ბ ი კ ე ი ს რ ი ს ლ ო ჟ ა შ ი – აპატიე, კეისარო! შეუნდე! აპატიე! ააშვირე ხელი! (ხალხი ორი მხრით შემოცვინდება კიბეზე ვედრებით. ხალხთან ერთად შემოდის არენიდან ურსი, შემოჰყავს ხელში აყვანილი ლიგია, გულშემოყრილი და თხლად ჩატმული. ურსი მოსდევს ხალხი. პრე-

## ვიდრე ხვალ, უფალო?

მოქადაგა მეცნიერება

### სურათი მეორე

პირები:

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს.

ლ ი გ ი ა.

მ ა რ კ უ ს.

ნ ე რ ო ნ.

ტ ი გ ე ლ ი ნ ი ნ.

ე ვ ი კ ა.

ნ ა ზ ა რ ი უ ს ე ქ ი მ ი.

ს უ ბ რ ი ო ს ფ ლ ა ვ ი ო ს } პეტრონიუსის მეგობრები.  
ს უ ლ პ ი ც ი ი ო ს ა ს პ ე რ ი

ა თ ა ნ ი ო ს კ ვ ი ნ ტ ი ო ნ ი.

პ ლ ა ვ ტ ი ს ლ ა ტ ე რ ა ნ ი.

ტ უ ლ ი ო ს ს ე ნ ე ც ი ი ნ ს.

ტ ე ვ რ ე ზ ი უ ს.

გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ უ ლ ი მ ო ნ ე ბ ი დ ა ნ. მ ო ნ ე ბ ი  
და მ ო ა ხ ლ ე ე ბ ი.

(სასატუმრო პეტრონიუსის სახლში. თაღია გადაყოლებული მარჯვნივ,  
ყვავილებით მორთული და გადის სასადილო ოთახში. სალამოა. მთელი ოთახი  
მორთული და გაბრწყინვებულია სხვადასხვა ყვავილებით და სურათებით.  
სვეტები ვენახის ფოთლებით არის შებურვილი. სხვადასხვა ფერის ჩირალდ-  
ნები. მაგიდებზე დგანან ყვავილის კონები. იკვრის მუსიკა, ისმის სიცილ-  
სარხარი და გაცხარებული საუბარი).

### გამოსვლა პირველი

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს, მ ა რ კ უ ს და ლ ი გ ი ა შემოდიან მეორე  
ოთახიდან.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – (თაღში) ძვირფასო მეგობრებო! იმედია, მაპა-  
ტიებთ, რომ ცოტა ხნით უნდა მიგატოვოთ. მარკუს და ლიგია ხვალ  
წამსვლელები არიან და მინდა, რომ გზა დაულოცო!

## ვიდრე ხვალ, უფალო?

მ ა რ კ უ ს – ეგენი მუსიკით და საუბრით გატაცებულნი არიან,  
შენი ალარა ესმით-რა.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ისემც კარგი დაგემართოს! მაშ, ჩვენ არყოფ-  
ნას მათთან ველარ შენიშვნენ. დავჯდეთ და ცოტა ვისაუბროთ  
უკანასკნელად წასვლის წინეთ.

ლ ი გ ი ა – რათაო უკანასკნელად? ჩვენ იმედი გვაქვს, რომ იქ,  
სიცილიაში გვნახავთ.

მ ა რ კ უ ს – ეჲ... მიანებე თავი კეისარს, რამდენიც უნდა, იგი-  
უოს და შენ კი ჩვენთან ერთად წამოდი ხვალ! აქ შენ სიცოცხლეს  
საფრთხეში აგდებ.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ეგ არაფერია! მე ყოველთვის ვიცოდი  
ცხოვრება და სიკვდილსაც მოვახერხებ.

ლ ი გ ი ა – რატომ არ გინდა, რომ წამოხვიდე ჩვენთან, სიცი-  
ლიაში?

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – რატომ?! ერთი, რომ მეზარება, ლიგია!.. მეო-  
რეც ის, რომ მე სხვა მისწრაფება მაქვს. მარკუს, მე მიყვარს წიგნები  
და შენ კი გძულს. მე მივსდევ პოეზიას და შენთვის კი ის მოსაწყენია.  
მე მომწონს სხვადასხვა ხელოვნური ჭურჭლები, ნივთები და შენ კი  
ზედაც არ უყურებ მათ. დასასრულ, მე წელში ქარი მიდგას და შენ  
არა გრძნობ ამას. ერთი სიტყვით, მე თქვენთვის სამძიმო ვიქწებოდი  
და აქ კი მხოლოდ ერთი რამე მანუხებს: ვაითუ მორთული ვაზა იმ  
წვერწითელას ერგოს.

ლ ი გ ი ა – არ გინდა, რომ ჩვენი ბედნიერება გაიზიარო?

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ნურასოდეს და ნურავის ნუ გაუზიარებთ  
ბედნიერებას. ბედნიერება სიყვარულშია, მაგრამ მარტო სიყვარული  
არ კმარა; უნდა გესმოდეს ის...

ლ ი გ ი ა – ბედნიერები ვართ ჩვენ იმ ბედნიერებით, რომელსაც  
ველარავინ ვერ შეგვიშლის. მობრძანდი ჩვენთან და მე იქ გიპოვებ  
მყუდროებას და თანაც დაგხვდება ორი გული, შენი მოყვარული.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ძვირფასო მეგობრებო! სიცილიაში მეპატი-  
ჟებით მე მიტომ, რომ გინდათ დამიმტკიცოთ ძლიერება და კეთილმ-  
ოწყალება თქვენი ღმერთისა. მესმის... შენ, მარკუს, ოლიმპზე შემ-  
დგარი მეუბნები: „აქ მოდი და აქიდან გადაიხედე, ისეთ სანახავებს  
დაინახავ, რაც ჯერ არ გინახავსო!“ მრწამს... მაგრამ უნდა გიპა-  
სუხო: არ შემიძლა, მეგობარო, ფეხები მისუსტდებიან. (შემიდიან  
ტევრეზიუსი და განთავისუფლებული მონა).

## ვიდრე ხვალ, უფალო?

ტ ე ვ რ ე ზ ი უ ს – ბატონი! შენი მეგობრის გამოგზავნილი კაცია შენთან (მიღის).

### გამოსვლა მეორე

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – (განთავისუფლებულ მონას) რაო? რა ამბავი შემოუთვლია ჩემ ახალგაზრდა მეგობარს?

გ ა ნ თ [ა ვ ს უ ფ ლ ე ბ უ ლ ი] მ ო ნ ა – დიდი მონდობილება მაქვს და ნაბრძანებიცა მაქვს, გადმოგცეთ ისე, რომ მოწმე არავინ დაგვესწროს.

ლ ი გ ი ა – (ნამოდგება) ჩვენ სასტუმროში გავალთ შენ მეგობრებთან.

მ ა რ კ უ ს – (ხუმრობით) იმედია, რომ დიდი რამ მონდობილება ჩვენს თავს არ დაგავიწყებს. წავიდეთ, ლიგია! (მიღიან).

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – რაო, მეგობარო, რა საქმეა?

გ ა ნ თ [ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ უ ლ ი] მ ო ნ ა – ჩემმა ბატონმა ბრძანა, რომ გაგაფრთხილოთ: ხვალ ცენტურიონი კეისრის ბრძანებით გადმოგცემს სასიკვდილო ბრძანებას.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – (დამშვიდებით) კარგი. ჩემი უგულითადესი მადლობა გადაეცი შენს ბატონს, რომ შემატყობინა წინდანინ და ისიც მოახსენე, რომ მისის გაბრთხილებით ვისარგებლებ. (მონა მიღის).

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – (მარტო) ჩემზედაც მოდგა რიგი. მე მხოლოდ ევნიკა და ჩემი სმირნული ფიალა მენანება. მაგრამ ევნიკა განთავისუფლებულია და ჩემი ფიალაც მე გამყვება თან.

(სასტუმროდან გამოდის ევნიკა თხელ ვარდისფერ მოსასხამმობურვილი).

### გამოსვლა მესამე

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – მომიახლოვდი, ჩემო ბედნიერებავ! რას მეტყვი, ჩემო ვენერავ?

ე ვ ნ ი კ ა – მომლერლები მოგახსენებენ, ხომ არ ინებებთ, რომ ყური დაუგდოთ მათ, ერთად თქვენის მეგობრებით.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – მოვიდნენ! პითიის ჭალებსა ვფიცავ, რომ, როცა ამ წამოსასხამში გხედავ, მაშინ მე მგონია, თვით აფროდიტა სდგას ჩემს წინ, ცის კიდეებწამოხურული.

## ვიდრე ხვალ, უფალო?

ე ვ ნ ი კ ა – ცოტა არ იყოს, მაკრთობ, ჩემო ხელმწიფევ! მე მაგდენი ქების ღირსი არა ვარ!

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – მოდი, მომეხვიე და ტუჩებში მაკოცნინე. (ევნიკა მიუჯდება) გიყვარვარ?

ე ვ ნ ი კ ა – ამაზე უფრო ზევსიც არ შემიყვარდებოდა. (ჰკოცნის).

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ერთმანეთის განშორება რომ მოგვიხდეს?

ე ვ ნ ი კ ა – (აღშფოთებული) განშორება?

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ნუ შეკრთები! მე ეგება მომიხდეს შორს ნასვლა.

ე ვ ნ ი კ ა – მაშინ მეც თან წამიყვანე.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – კიბრიდას სარტყელსა ვფიცავ, რომ ასე მშვენივრად ჯერ არაოდეს არ მჩვენებიხარ. მე მინდოდა, რომ შენთვის ტანსაბანად ხოჭიჭი გამეცეთებინა, რომ შენ შიგ ძვირფას მარგალიტად გამოჩენილიყავ, მაგრამ ხელი შემიშალეს.

ე ვ ნ ი კ ა – მე ვერ გამოვთქვამ ისე, როგორც შენ, მე მხოლოდ სიყვარული შემიძლია და კიდევაც მიყვარხარ, ჩემო მფლობელო!

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – გახსოვს, ცეცხლის წაკიდების შემდეგ ჩვენ აქ, ამავე ადგილზე ვიჯექით და ყურს უგდებდით აპოლონის მუნასიბს, რომელსაც ამლერებდენ ქნარზე. ჩვენ ის არ გვაშფოთებდა, რომ ირგვლივ ყველაფერი გადამწვარი და დანგრეული იყო, ჩვენს სახლს გარდა და ქარს მიჰქონდა აქეთ-იქით გადამწვარი რომის ქალაქის ფერფლი! ბედნიერი ვიყავით ჩვენ და ვფიქრობდით მხოლოდ სიყვარულზე, რომელმაც გარდაქმნა ჩვენი სიცოცხლე ღვთაებრივ სიზრად.

ე ვ ნ ი კ ა – განა ახლაც ისევ ბედნიერი არა ვართ? ხომ ისევ გიყვარვარ? ხომ? და ქვეყანაზე სხვა ბედნიერება ამის გარდა ალარ არის!

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ევნიკა! გინდა, რომ მიიღო თავისუფლება?

ე ვ ნ ი კ ა – რაში მეჭირვება? კეისრის ცოლობას შენი მონობა-მოახლეობა მირჩევნია.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – იცი, ევნიკა, რომ შენ, დიდი ხანია, მოახლე ალარ ხარ?

ე ვ ნ ი კ ა – მე ყოველთვის შენი მოახლე ვყოფილგარ და იმადაც დავრჩები, ჩემო ხელმწიფევ!

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – რაც საჭირო იყო, ყველაფერი დაამოწმა პრეტორმა. ეს სასახლე, ეს მონები და ყოლიფერი, რაც აქ არის – ტყე, ველი, მინდვრები, ჯოგი და სხვანი, შენ გეკუთვნის დღეიდან...

## ვიდრე ხვალ, უფალო?

ე ვ ნ ი კ ა – (ზეზე წამოვარდება) დღეიდან... რას ჰიშნავს ეს? რად მეუპნები მაგას, ბატონო? (თმებში ხელს წაივლებს) ა-ა-ა! ნუთუ? არა, არა! ეგ შეუძლებელია! (ჩააცერდება ახლოს სახეში პეტრონიუსს და თითქოს ეკითხება).

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – (ცოტა სიჩუმის შემდეგ) დიახ! (სიჩუმე) დიახ, ევნიკა! და მეც მინდა, რომ მხიარულად მივეგებო სიკვდილს.

ე ვ ნ ი კ ა – (დაბალი ხმით) მესმის, ბატონო!..

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – უბრძანე, რომ ექიმს დაუძახონ. (მიადგება სახლის კამარას და გაიძახის) აქ შემოდით, მეგობრებო! აქ უფრო გრილა.

ხ მ ე ბ ი – წავიდეთ! შენ ჩვენ სულ დაგვივიწყე. ჩვენ ღვინით ვიქცევდით თავს! არ მოგვიწყენია! მუსიკითა ვტკბებოდით. აა! პეტრონიუს! ევნიკა!

## გამოსვლა მაოთხე

(შემოდიან: სუბრიოს ფლავიოს, სულპიციოს ასპერი, ათანიოს კვინტიონი, პლავტოს ლატერანი, ტულიოს სენეციოს, მარკუს და ლიგია; იმათ მოსდევენ მონები და ღვინო შემოაქვსთ. ევნიკა ცოტა ხნით წავა და ისევ შემობრუნდება).

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – დასხედით ისე, ვისაც როგორც გეხერხებათ! მუზიკა! ღვინო! (დასხდებიან რიგ-რიგად და ლამაზად. ევნიკა ფეხთით მოუჯდება პეტრონიუსს).

ს უ ბ რ ი ო ს – შენ როგორლაც დღეს მეტად მხიარული ხარ, პეტრონიუს.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ჩემო მეგობრებო! მე დღეს ორგან მიმიპატიუეს, პირველი – რომ ავიდე ოლიმპოს მწვერვალზე და მეორე – რომ ჩავიდე უფსერულში. მე კი უკანასკნელი ავირჩიე.

ა თ ა ნ ი ო ს – რალაც გამოცანებით ლაპარაკობ!

მ ა რ კ უ ს – ეს რას ნიშნავს, პეტრონიუს?

ტ უ ლ ი ო ს – მე გამოვიცან: კეისარმა სულ ახლად დაუბრუნა პეტრონიუსს თავისი კეთილგანწყობილება.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – მართლა რომ ძნელათ გამოიცანი! კეისარმა გამიხსენა.

## ვიდრე ხვალ, უფალო?

### გამოსვლა მაეუთი

(შემოდის ექიმი ნაზარე, ხელში პატარა კოლოფი უჭირავს)

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – (მიათითებს ნაზარეს) აი, ცხოველი გამოცანა!

ყ ვ ე ლ ა – ნაზარე! ექიმი!. ავადა ხარ?

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – არა! მე კარგადა ვარ, მაგრამ ამის შემწეობა კი მაინც მეჭირვება! ჯერ ცოტა შეისვენე! დაჯექ, ნაზარე, და ეს სასასმო გამოსცალე, ჩემი ღვინო არ უნდა იყოს ურიგო... (ნაზარე ჯდება).

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – (აიღებს ფიალს) ჩემო მეგობრებო! ამ ფიალს მე ვსცლი თქვენს სადღეგრძელოდ. ღმერთებმა გაბედნიეროსთ, თქვენ ცის კაბადონზე ნუ გადაატაროს ნისლი და ღრუბელი და, თუ გადაატაროს, ვარდისფრად და სუნელოვნად.

ყ ვ ე ლ ა – გმადლობთ, პეტრონიუს! კარგი სურვილებია და კარგადაც ნათევამი. შენი სადღეგრძელოც იყოს! ღმერთებმა ნუ მოგაკლონ თავისი კეთილგანწყობილება...

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – (აღერსით დაჟურებს ფიალს) აი, ჩემი სმირნის ფიალა! საოცარი ხელოვნური ნაწარმოებია! დეე, ამიერიდან ნურავის ტუჩები ნუ მიეკარებიან და ნურავინ ნუ ნაუქცევს თავს სავსე ღვინით ღმერთების სადღეგრძელოდ. (დაახლის ძირს ფიალს და ლუკმა-ლუკმად დაამტვრევს).

ყ ვ ე ლ ა – რა ჰენი? მაგისთანა ძვირფასი რამ... მაგისი გაფუჭება... ეგ ხომ მთელი შეძლებაა... რა უჭკუობაა, რა მოგვიდა?

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ნუ გიკვირსთ, ჩემო ძვირფასებო! რომ მოილინოთ, ისა სჯობია. სიბერე და დასუსტება სამწუხარო თანამგზავრია ჩვენი უკანასკნელი ცხოვრებისა და მიტომაც მე გაძლევთ თქვენ მაგალითსა და რჩევას: შეიძლება, რომ კაცმა იმათ აღარ მოუცდოს, დაასწროს და ადრე, თავისთავად და თავის ნებით წავიდეს იმ სოფლად...

ლ ი გ ი ა – პეტრონიუს, გონებას მოეგე! რა გაგიზრახავს ეგ?

მ ა რ კ უ ს – შენ ავადა ხარ და აღარ გესმის, რას ამბობ!

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ჩემო უსაყვარლესო მეგობარო! თქვენთვის ჯერ ახლა იწყება ცხოვრების განთიადი. ჩემი მზე კი ჩაესვენა და ჩემი ცხოვრების მწუხრი დგება. ერთი სიტყვით, – კარისსიმე, – მე უნდა მოვკვდე.

ყ ვ ე ლ ა – პეტრონიუს, რას ნიშნავს ეს? ხუმრობ? რა გაიძულებს? სიცოცხლით სავსე ხარ და სიკვდილზე ლაპარაკობ?.. დაანებე თავი

## ვიდრე ხვალ, უფალო?

მაგ სამწუხარო თემას! სახეზე ღიმილი გეხატება და ენა სიკვდილს იძახის. რა ხუმრობაა!..

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – მთელი ჩვენი სიცოცხლე უბრალო ხუმრობაა... მე მინდა, რომ ვიქეიფო, ვსვა ღვინო! მუზიკას ყური ვუგდო და ვუცქირო ამ ღმერთების ნაწარმოებ საკვირველებას, რომელსაც ჩემ გვერდით ხედავთ, და მერე კი საუკუნოდ დავიძინო დაგვირგვინებულმა.

მ ა რ კ უ ს – კმარა, პეტრონიუს, გულს გვიწუხებ... მეგობრებში ხარ, რომელთაც გულწრფელად უყვარხარ და შენი მხრით სასტიკობაა მათი იჭვით აღელვება.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – მე უნდა მოვჰკვდე. ხვალ ცენტურიონი მომიტანს სასიკვდილო განაჩენს, მაგრამ მე გადავწყვიტე, რომ კეისრის განჩინებას დავასწრო. იმას უნდოდა, დამტებარიყო ჩემი დაფრთხობით. მაგრამ, შე სულელო და ბოროტო ტიკინა, ამას ვერ ელირები. შემცდარი ხარ. თუ გონია, რომ სინანულით შემოგხედავ და შენც ჩემ სახეზე შიშს ამოკითხავ... (მიდის კუთხისაერ) ნაზარე! საქმეს შეუდგეთ! აი, ჩემი ხელებიც, ძარღვები გამიხსენი. (საზოგადო აღშფოთებაა, ეხვევიან გარს პეტრონიუსს).

ყ ვ ე ლ ა – ნუ! ნუ! შენ არ უნდა მოკვდე! ნებას არ გაძლევთ! კეისარი შეინყნარებს ჩვენს ვედრებას! ნუ დაგვტოვებ! შენ ხომ რომის სიამაყე და მშვენება ხარ!. შენი სიცოცხლე რომისთვის საჭიროა! შეჩერდი, პეტრონიუს!

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ნაზარე, რას აგვიანებ, მეგობარო, განა არ იცი, რომ მე შეურყეველი ვარ ჩემს გადაწყვეტილებაში?

ლ ი გ ი ა – (თვალცრუმლიანი) პეტრონიუს! პეტრონიუს! ნუ მიგვატოვებ! (მოხები სტირიან).

მ ა რ კ უ ს – ჩემო ძმაო! ჩემო მეგობარო! იცოცხლე, ნუ მოკვდები!

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ახლა კარგია, ჩემო ნაზარე! ვარდისფერი მოსასხამი... (სიჩქარით შემოიბურავს მოსასხამს) მზათ ვარ! (გამოდის ავანსცენაზე) ღმერთებო, რა მწუხარე სახით არიან! და რათა? ეს ჩვენ ხელს ვერ შეგვიშლის, რომ დრო მოლხენით გავატაროთ... ღვინო! თქვენი სადლეგრძელო იყოს! ლიგია, ნუ სტირი! მე მინდა, რომ იმავე ლექსებით გამოგეთხოვო, რომლითაც მოგეგებე, პირველად რომ გნახე, გახსოვს? თუ “ღმერთთაგანი ხარ” და სხვანი. აბა, მიპასუხე, როგორც მაშინ... გთხოვ!

ლ ი გ ი ა – (ხმის კანკალით) “მოგზაურო და სხვანი” (ატირდება).

## ვიდრე ხვალ, უფალო?

### გამოსვლა მაევზე

ტ ე ვ რ ე ზ ი უ ს – (შემოირბენს) კეისარი!..

ყ ვ ე ლ ა – კეისარი! რას ნიშნავს ეს?

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – (გადგება განზე) ნაზარე! შემიკარი ლეკვერთხით ხელები... (ნაზარე ასრულებს ბრძანებას) მე მეშინია, რომ არ დავსუსტდე, მინდა, რომ იმ მასხარას რამდენიმე სიტყვა ვუთხრა.

ს უ ლ პ ი ც ი ო ს – ნერონი ეშმაკობს და უნდა, რომ ახალი შეურაცხყოფით დასტკბეს, მაგრამ იმედია, პეტრონიუს, შენ იმას საკადრისად დაუხვდები.

### გამოსვლა მაევზი

(შემოდის ნერონ, თან შემოჰყვება ტიგელინი. ევნიკა რალაცას ეტყვის ნაზარეს და შედიან ოთახში).

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – დღეგრძელობა კეისარს!

ნ ე რ ო ნ – ა-ა-ა! მეგობრებთან მოილხენ? იმედი მაქვს, მეც მანაცვებ გემოს შენი განთქმული სასმელებისა!

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ადგილი კეისარს!.. (მონებს მოაქვთ ნერონისთვის სავარძელი) მე არ მოველოდი იმ მოწყალებას, რომ გამაბედნიერებდით თქვენის მობრძანებით და, ჩემდა სამწუხაროდ, დავამსხვრიე ჩემი ძვირფასი სმირნის ფიალა... ღვინო მოართვით ღვთაებრივს.

ნ ე რ ო ნ – როგორ? შენ გასტეხე ის შესანიშნავი ფიალა, რომ-ლითაც თავი მოგქონდა? რას ნიშნავს ეს?

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – აღარ მეჭირვება!

ნ ე რ ო ნ – კი, მაგრამ შეგეძლო ჩემთვის მოგერთმია...

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – მე ვერ წარმოვიდგინე, რომ შენ ჩემგან იმას მიიღებდი.

ნ ე რ ო ნ – რატომ არა! განა არ იცი, რა თვალით გიყურებ? განა მე შენ არ გაპატიებდი ხოლმე ნამეტან თავგასულობას? შენ ერთი ჩემი უკეთესი მეგობართაგანი ხარ და ხვალ მიიღებ ჩემი კეთილი განწყობილების ახალ დამტკიცებასაც. ჰკითხე ტიგელინს, თუ არა გჯერა!..

## ვიდრე ხვალ, უფალო?

ს უ ლ პ ი ც ი ო ს – კეისარო! პეტრონიუსმა დაგასწრო: ძარღვები გაიხსნა! შენს კეთილგანწყობილებას აღარ მოუცადა და ახლა შენ ელაპარაკები მომაკვდავს.

ნ ე რ ო ნ – როგორ? შენ კვდები? შეუძლებელია...

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – სწორედ! კვკვდები და აღარ ვუცდი, რომ ცენტურიონმა შენი ბრძანება მომიტანოს. ვიცი, რომ ამით კმაყოფილებას გაკარგვინებს, მაგრამ მაპატიი და უური დამიგდე მოთმინებით (მიადგება პირდაპირ, რომ ვერსად წავიდეს): სიცოცხლე უზარმაზარი სიმდიდრეა, ჩემო მეგობარო, და მეც ვიცოდი, თუ როგორ მესარგებლა ამ სიმდიდრით. მაგრამ ცხოვრებაში არის სხვა რამეც, რომელიც მე ველარ ავიტანე. ნუ გგონია, გამკვირვებოდეს ის, რომ მოჰკალი დედა, ცოლი, ძმა, დასწვი რომი და ამოსწყვიტე ყველა რიგიანი და პატიოსანი კაცი შენს სახელმწიფოში. არა, ჩემო მეგობარო. სიკვდილი ყველას მოელის და შენგან უკეთესიც სხვა არა მოითხოვება-რა.

ნ ე რ ო ნ – უტიფარი!

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – მაგრამ ყურებში თითდაუცავად რომ გავიგონო ხოლმე კიდევ მრავალ წელიწადს შენი სიძლერა, რომ ვუყურო შენს დომენიციურ მუცელს, კონინ ფეხებზე სხვადასხვა პირუეტებს რომ აკეთებენ, უური ვუგდო შენს საკრავს და შენი პოემების წაკითხვას, შენ უნიჭო, უბედურო პოეტო, – ეს კი აღარ შემიძლია და სიკვდილს ვარჩევ!

ნ ე რ ო ნ – (ძლიერ სუნთქვას და ხრინნიანის ხმით) თავხედო! მაგას მე შენ გადაგიხდი!

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ღმერთმა კარგად გამყოფოს, მაგრამ ნუ იძლერი კი, მოკალი, ვინც გინდა და ლექსებს კი ნუ სწერ, მონამლე ყველა, მაგრამ ნუ იცეკვებ, წაუკიდე ხოლმე ცეცხლი, მაგრამ ფანდურზე კი ნუ უკრავ. აი, უკანასკნელი ანდერძი და მეგობრული რჩევა „არბიტრ ლეგანტისა“. (ჩამოშორდება).

ნ ე რ ო ნ – (ზეზე წამოვარდება) პასუხს აგებ მკაცრად მაგ შეურაცყოფისათვის!

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ვაგე კიდევაც ჩემი სიცოცხლით, მაგრამ სამაგიეროდ, უკანასკნელად გავიგონე ცერბერის ყეფა.

ნ ე რ ო ნ – შენი სიკვდილი ხელს ვერ შემიშლის, რომ შური ვაგო...

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – მხოლოდ გადამარჩინე შენს სიძლერასა და ლექსებს, ეს კი საშინელი შურისძიება იქნებოდა ჩემთვის.

## ვიდრე ხვალ, უფალო?

ნ ე რ ო ნ – (ბრაზმოდებული) ტიგელინ! აღწერე და ჩამოართვი ამ საზიზლარს, რაც ქონება აქვს.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – სულ ეგ არის? მეტი არაფერი... ხა! ხა! ხა! ხა!

ნ ე რ ო ნ – წავიდეთ, ტიგელინ! ეს გაუტანელი და უმადური მხოლოდ ზიზლის ღირსია... (მიდიან).

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ახლა კი კმაყოფილი ვარ და მშვიდობიანადაც მივეცემი საუკუნო განსვენებას. შემხსენით ლეკვერთხები... (იგლეჯს). დროა, აბა, თქვენ სვით, იმხიარულეთ და მე წყნარად განვისვენებ თქვენ მხიარულ ურიამულში.

ლ ი გ ი ა – მშვიდობით, ჩემო კეთილშობილო მეგობარო!

მ ა რ კ უ ს – მშვიდობით, პეტრონიუს! შენ უკეთეს ქვეყანაში აპირობ გადასახლებას, ვიდრე სიცილიაა.

ლ ი გ ი ა – გრწამდეს, პეტრონიუს, რომ სიკვდილს შემდეგ უკეთესი ცხოვრებაა.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – რასაკვირველია! მართლა რომ იყოს იმ საძლაც, საიდუმლო სივრცეში, ელისეის მინდვრები დაჩერიოებული, მაშინ ევნიკა მოვიდოდა ხოლმე ჩემთან და ჩვენ ერთად ვისერნებდით ასფოდელოს დაბურვილ მინდვრებზე. მაგრამ სად არის ევნიკა?

(შემოდის ევნიკა ვარდისფერ მოსასხამში მობურვილი).

## გამოსვლა მარვა

ე ვ ნ ი კ ა – აქა ვარ, ჩემო ბატონო!

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – როგორ?.. შენც?.. დახეთ, ამ ვარდისფერ ხელებზე წითელი ვარდი გაშლილა. (ჰკოცნის ხელზე).

ყ ვ ე ლ ა – ევნიკა! ექიმს დაუძახეთ! ჩეარა ექიმი! შენი სიკვდილი ვიღას უნდა?

ე ვ ნ ი კ ა – (ლიმილით პეტრონიუსზე უჩვენებს) აი, ამას! ნუთუ გეგონა, რომ თავს დაგანებებდი? ღმერთებს რომ უკვდავება მოენიჭებინათ ჩემთვის და კეისარს თავისი საბრძანებელი მოეცა ჩემთვის – მაინც უკან გამოგიდგებოდი, ძვირფასო პეტრონიუს.

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – (ლიმილით მიიკრავს გულზე) კარგი, წამომყევი. უკანასკნელი კოცნა, ჩემო ბრუტო!

ე ვ ნ ი კ ა – (დაჩოქილი ჰკოცნის) მიყვარხა! (პეტრონიუსი ევნიკას თავს დაიდებს მუხლებზე) მუზიკა... მე მინდა გავიგონო მელოდია.

## ვიდრე ხვალ, უფალო?

(სცენის გარეთ უკრავს მუზიკა).

ს უ ლ პ ი ც ი ო ს – ეძინებათ! რა კარგი სანახავია! თითქო ორი  
ღვთაებაა ერთად.

ლ ი გ ი ა – (ნელა) უფალო! შეუნდე მათ, ყოვლად მოწყალეო!

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – სასიამო ურუანტელია! მეძინება. (დაიხრება  
ევნიკასკენ) ჩემო ღვთაებავ! შენ კიდეც დაიძინე? იძინე! იძინე!  
ჩვენი ფერფლი ერთად ერთ ქოთანში ჩაჰყარეთ და გვამზე კი ია-ია  
დაგვაფინეთ! მშვიდობით!

მ ა რ კ უ ს – (თავზე ჰკოცნის პეტრონიუსს) მშვიდობით, ჩემო  
კარგო და ძვირფასო მეგობარო!..

პ ე ტ რ ო ნ ი უ ს – ა, ეს შენ ხარ, მარკუს! (ანიშნებს თვალებით  
ლიგიაზე) გიყვარდეს, შეისწავლე სიყვარული და იცოდე... მშვიდო-  
ბით. მეგობრებო, გამოტყდით, რომ ჩვენთან ერთად... (ვერ დაათ-  
ავებს, კვდება).

მ ა რ კ უ ს – (ხმადაბლა) თქვენთან ერთად კვდება მშვენიერება  
და პოეზია.

(მუზიკა უკრავს. ლიგია აყრის პეტრონიუსს და ევნიკას ია-იას).

ფ ა რ დ ა

[1908-1909]

ვარიანტები  
შენიშვნები  
კომენტარები

## ტექსტისთვის

აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური ოცტომეულის მეათე ტომში იპეჭდება მწერლის მიერ სხვადასხვა დროს ნათარგმნი ოთხი პიესა: მოლიერის „სკაპენის ცულლუტობა“ (ჟურნალი „კრებული“, 1873 წლის №8); მირზა ფათალი ახუნდოვის „ხანის ვეზირი“ (ითარგმნა 1897 წელს და გამოქვეყნდა 1898 წელს „აკაკის კრებულში“ (№7); ალექსანდრე სუმბათაძეილის „ლალატი“, რომლის თარგმანს უზის თარიღი: 1905 წლის 14 აპრილი; ჰენრიკ სენკევიჩის რომანის მიხედვით ნ. სობოლჩიკოვ-სამარინის მიერ პიესად გადაკეთებული „ვიდრე ხვალ, უფალო?“, რომელიც 1908-1909 წლებში უნდა იყოს ნათარგმნი.

უცხო ენაზიდან მხატვრული ლიტერატურის ნიმუშების მშობლიურ ენაზე ამეტყველებას აკაკი წერეთელი ერთ-ერთ მთავარ საზრუნავ საგნად, მწერლობისა და ენის განვითარების საშუალებად თვლიდა. მისი მითითებით, შესანიშნავ კლასიკურ თხზულებათა მთარგმნელმა ზედმინ-ევნით უნდა იცოდეს ის ენა, საიდანაც თარგმნის, კარგად უნდა ფლობდეს მშობლიურ ენას და ნიჭითაც დედნის დამწერის თანაბარი უნდა იყოს. სამივე კომპონენტი ერთად არც ისე ხშირად გვხვდება, „ამიტომაც, საზოგადოდ, თარგმანი დედნის ჩრდილია ხოლმე“, – შენიშნავს მწერალი.

აკაკი, როგორც ქართული თეატრის ხელმძღვანელი, რეჟისორი და დრამატურგი, პასუხისმგებლობით ეპყრობოდა თეატრის – „უმაღლესი საშოლო სარბიელის“ – რეპერტუარს, რადგან, მისი აზრით, სცენას ორი ღვაწლი მოეთხოვება: „პირველი, რომ მართლა განმწმენდელი იყოს ჩვენის ცხოვრებისა, ჩვენის ჭკუისა და გულის განმანათლებელი და მწვრთნელი, და მეორე – იყო უნდა იქმნას იმ ადგილად, სადაც ჩვენი ენა ფეხზედ უნდა წამოდგეს მთელის თავისი შეგნებითა და სიმდიდრითა“. ნათარგმნი პიესების სცენაზე წარმოდგენას სხვა ფუნქციაც ჰქონდა: მათი გაცნობა მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის ინტელექტუალურ მონაპოვართა პოპულარიზებას, განსხვავებულ კულტურათა შეხვედრას უწყობდა ხელს.

იოსებ გრიშაშვილის კომენტარით, „აკაკის სიყვარული რეალისტურ პიესებისადმი და განდგომა დეკადენტურ-სიმბოლისტური პიესებიდან“ ჩანს მის სიტყვებში: „პიესები, რასაკვირველია, ბევრი გვაქვს, განსაკუთრებით, ნათარგმნები. ბიონსებმა, მეტერლინკებმა, იბსენებმა და სხვათა სცენა მოიკავეს. მაგრამ მათი ხელოვნური დეკადენტობა დღევანდელ ქართველის გრძნობა-გონებას ბევრს ვერაფერს ეუბნება“ (იხ. ა. წერეთელი. თსკ, ტ. X, გვ. 441).

სათარგმნ თხზულებათა შერჩევისას აკაკის აინტერესებდა როგორც ტექსტის ფაბულა, შინაარსი, რეალური პლანი, რომლითაც ის მკითხველს თუ მაყურებელს აღიარებულ უცხოელ ავტორებს და განსხვავებული კულტურული სივრცის პლასტებს გააცნობდა, ისე ალეგორიული ნარატივი, რომლითაც იმდროინდელი მკაცრი ცენზურის პირობებში მწერალი

თანამედროვეებს მართალ სიტყვას და პროგრესულ იდეებს აზიარებდა. ეს კი თარგმნილი ტექსტების ორმაგი კოდირებით, თხრობისა და დისკურსის დიქტოომიით იყო შესაძლებელი (იხ. მ. კვატაია. აკავის დრამატული თარგმანების ალეგორიული ნარატივი. – ა. წერეთლის დაბადებიდან 170-ე წლისთვისადმი მიძღვნილი ლიტერატურათმცოდნების თანამედროვე პრობლემების IV საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2011, გვ. 175-182).

„დროების“ შეფასებით, აკავის მიერ ნათარგმნი მოლიერის „სკაპენის ცუდლუტობა“ “თითქოს ჩვენი ცხოვრებიდან არის ამოღებული“. „აზერბაიჯანელ მოლიერად“ სახელდებული მირზა ფათალი ახუნდოვის „ხანის ვეზირი“, თვით მთარგმნელის მითითებით, ჩვენი მეზობელი ხალხის რეალობის გაცნობის მიზნით გადმოქართულდა და არა სცენაზე წარმოსადგენად. ალეგორიული ნარატივი განსაკუთრებით ნათლად იკვეთება ალ. სუმბათაშვილის „დალატში“ და ჰ. სენკევიჩის რომანის მიხედვით გადმოკეთებულ დრამაში „ვიდრე ხვალ, უფალო?“

ოთხივე დრამატული პიესის აკავისეული თარგმანები პირველად მწერლის თხზულებათა სრული კრებულის თხუთმეტტომეულის მეათე ტომში იოსებ გრიშაშვილის რედაქტორობით დაიბეჭდა (თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1959).

აკავი წერეთლის მიერ ნათარგმნი დრამატული პიესების ახალი გამოცემა წინა გამოცემისაგან აკადემიური სისრულითა და სიახლეებით განსხვავდება. კანონიკური ტექსტის დადგენისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მთარგმნელის ნებას. ნათარგმნი პიესების ტექსტები ჩვენ შევაჯერეთ ყველა პირველწყაროს, გავითვალისწინეთ მთარგმნელის ბოლო ნება, უპირატესობა მივანიჭეთ იმ ფორმებს, რომლებიც არედაქციაშია წარმოდგენილი.

ძირითად წყაროდ აღებულია ავტოგრაფი ან ნაბეჭდი ტექსტი, რომელიც გამოხატავს ავტორის ბოლო ნებას. კანონიკურ ტექსტში უცვლელად დავტოვეთ ცალკეულ სიტყვათა მთარგმნელისეული დაწერილობა და პარალელურ ფორმები (ახალგაზდა – ახალგაზრდა, ხშირად – ხშირად და სხვ.). ტექსტებში სრულად აღვადგინეთ მთარგმნელისეული ფორმები: მაგალითად, ვითარებითი ბრუნვის ნიშნები, რომლებიც წინა გამოცემაში ზოგჯერ თანამედროვე გრამატიკული ნორმების შესაბამისად იყო შესწორებული. ჩავასწორეთ მხოლოდ ბეჭდვითი, კალმისმიერი ან უნებლივ შეცდომები. თანამედროვე ნორმებით გასწორდა პუნქტუაცია და კომპოზიტები (რამდენიმე გამონაკლისის გარდა), რაც ვარანტებში არ ასახულა. წყაროების მონაცემების გათვალისწინებით აღდგენილია ასევე ტექსტების ზოგიერთი უზუსტონი.

ნათარგმნი პიესები ტომში დალაგებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, ყოველი ტექსტის ბოლოს მითითებულია მისი თარგმნის თარიღი. თუ მთარგმნელისეული თარიღი უცნობია, მაშინ თარგმანს ვათარიღებთ კვლევა-ძების შედეგად, რასაც კვადრატულ ფრჩხილებში ვსვამთ.

ტომის შედგენისას ჩვენ ვეყრდნობოდით ა. წერეთლის სიცოცხლის-დროინდელ გამოცემებს: ჟურნალ „კრებულს“, „აკავის თვიურ კრებულს“, მოლიერის „დრამატიულ თხზულებათა“ 1909 წლის გამოცემას, ა. წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის თხუთმეტტომეულის X ტომს (თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1959), ასევე, ნ. გურგენიძისა და ი. გორგაძის „აკავი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანეს“ (თბილისი: „მეცნიერება“, 1989). გამოვიყენეთ გიორგი ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის, საქართველოს თეატრის, კიონს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის, საქართველოს ეროვნული არქივის ფონდებში დაცული მასალები.

ახალი აკადემიური ოცტომეულის X ტომს ერთვის სამეცნიერო აპარატი, სადაც პირველადაც წარმოდგენილი ტომში შემავალ თხზულებათა პასპორტები, ვარიანტები და კომენტარები. ასევე, პირთა და გეოგრაფიულ სახელთა ანბანური საძიებლები.

პასპორტში მოცემულია ტექსტის სათაური, თხზულების ხელანერი და ნაბეჭდი წყაროები, წარამოების თარგმნის თარიღი და ხელმოწერა. კვადრატულ ფრჩხილებშია ჩასმული კვლევა-ძებით დაგენილი თარიღი.

ვარიანტებში აღნუსხულია ა. წერეთლის ავტოგრაფებისა და მათგან შესრულებული ასლების, ასევე, მწერლის სიცოცხლეში დაბეჭდილი ტექსტების ყოველგვარი სწორება და ტექსტებს შორის სხვაობანი.

ნათარგმნი პიესების ტექსტებს საჭიროების მიხედვით ახლავს ისტორიულ-ლიტერატურული კომენტარები. აქ დახასიათებულია აკავის დრამატული თარგმანების ხელანერი წყაროები, მითითებულია, თუ სად და როდის დაიბეჭდა მათი ტექსტები, მოცემულია ცნობები პიესების ავტორებზე, განმარტებულია ტექსტების ზოგიერთი რეალია.

### მანანა კვატაია

ჩანართზე წარმოდგენილი აკავის სურათის ორიგინალი ინახება გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმის იკონოგრაფიის განყოფილებში, ხოლო ავტოგრაფი პიესისა „ვიდრე ხვალ, უფალო“ დაცულია გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმში, აკავის ფონდში – №17776.

განყოფილებაში „ვარიანტები და შენიშვნები“ პიესების სათაურების შემდეგ დასახელებულია წყაროები, რომელთა მიხედითაც მომზადდა ჩვენი გამოცემის ძირითადი ტექსტი. თითოეულ წყაროს მრგვალ ფრჩხილებში მიხერილი აქვს ლიტერი, რომლითაც ის აღნიშნულია ვარიანტების ჩვენებისას:

T – გორგი ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმის აკაკის ფონდი.

M – საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი.

Z – საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივის საცენტურო კომიტეტის ფონდი.

თსკ – თხზულებათა სრული კრებული.

A – აღნიშნავს ძირითად წყაროს, რომლის მიხედვითაც არის დადგენილი ამ გამოცემაში დაბეჭდილი კანონიკური ტექსტი.

ვარიანტების ჩვენების დროს მიღებული გვაქვს შემდეგი პირობითი ნიშნები:

1. ] – ნაცვლად. მაგ., კარგათ] კარგად B, რაც ნიშნავს, რომ ჩვენს გამოცემაში დაბეჭდილი “კარგათ” სიტყვის ნაცვლად B ვარიანტში არის სიტყვა “კარგად”.
2. + -- ტექსტს ემატება.
3. – არ არის.
4. \* -- გადახაზულია.

ვარიანტული ნაირნაკითხვების ჩვენებისას პირველი ციფრით (მუქი შრიფტი) აღნიშნულია გვერდი, მეორით (ბაცი შრიფტი) – სტრიქონი (ზემოდან). სტრიქონების სათვალავში სათაური და ქვესათაური არ შედის.

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ასლი, Z, № 480, აღნ. 1, საქმე 1178 (B).

ნ ა ბ ე ჭ დ ი: უურნალი “კრებული”, 1873, №8 (C); მოლიერი. დრამატიული თხზულებანი. ტიფლისი: “სორაპანი”, 1909 (A).

ს ა თ ა უ რ ი: სკაპენის ცულლუტობა.

თ ა რ ი ღ ი: [1873 6.]

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: ა. წერეთლის თარგმანი (B); აკ. წერეთელი (AC).

ხელნაწერი ასლი (B) გადაწერილია საცენტურო კომიტეტისათვის და დაცულია საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივის კავკასიის საცენტურო კომიტეტის ფონდში სათაურით: “სკაპენის ცულლუტობა, მოლიერის კომედია 3 მოქმედებად, ა. წერეთლის თარგმანი”. იქვე რუსულ ენაზე მითითებულია: “ეს კომედია, სათაურით “სკაპენის ცულლუტობა”, ნებადართულია კავკასიის მთავარი საცენტურო კომიტეტის მიერ, 1892 წლის 10 ანვარს, თბილისი”.

პიესის პირველი ნაბეჭდი წყარო (C) გამოქვეყნდა სალიტერატურო უურნალ “კრებულის” 1873 წლის მერვე წიგნში (თფილისი: მელიქშვილისა და ამხ. სტამბა). თარგმანს ხელს აწერს ა.კ. წერეთელი. უურნალის ამ ნომერს აქვს ცენტურის ნებართვა: 27 სექტემბერი, 1873, ტიფლისი. პიესის თარგმანს ამ ნებართვის მიხედვით 1873 წლით ვათარილებთ.

პიესის ქართული თარგმანის ძირითად ტექსტად ავილეთ “სკაპენის ცულლუტობის” ის ნაბეჭდი წყარო, რომელიც მოლიერის “დრამატიული თხზულებანის” 1909 წელს გამოქვეყნებულ კრებულშია შეტანილი (A). ის აკაკი წერეთლის სიცოცხლეშია დაბეჭდილი და მთარგმნელის ბოლო ნებას უნდა გამოხატავდეს.

პიესის ტექსტი გამოქვეყნდა 1937 წელს პლ. კეშელაგასა და ირ. ქავუარაძის რედაქციით გამოცემულ მოლიერის “კომედიების კრებულში” (რედაქცია, ნინასატყვაობა და შენიშვნები პლ. კეშელაგასა. ტიფლისი: ფედერაციის გამოცემლობა და სტ.. 1937). ასევე, ა. წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის თხუთმეტტომეტულის მეათე ტომში (თბილისი: “საბჭოთა საქართველი”, 1959).

მოლიერის “სკაპენის ცულლუტობის” აკაკისეული თარგმანი პირველად ქუთასის სცენაზე 1873 წელს ნარმოუდენიათ. ამავე წელს თბილისის სცენის მოყვარენიც აპირებდნენ მის გათამაშებას. “სკაპენის ცულლუტობა” სწორედ ნამდვილ სახალხო კომედიად იქცა ჩვენში. სადაც არ გინდა, იქ არდგენენ მოლიერის ამ მახვილ კომედიას”, - წერდა 1875 წელს “დროება” (№88). 1880 წლის 23 იანვარს კოტე შესხის საბენეფისოდ წარმოდგენილ “სკაპენის ცულლუტობაში” უერონტის როლი თვით აკაკი წერეთელს შეუსრულებია.

**მოლიერი (Molière) (1622-1673)** – ნამდვილი სახელი ჟან-ბატისტ პოკლენი (Jean-Baptiste Poquelin), ფრანგი დრამატურგი და თეატრალური მოღვაწე,

“კომედი ფრანსეზისა” და “მაღალი კომედის” უანრის ფუძემდებელი. მისი პიე-სები ნათლად ასახავს XVII საუკუნის შუა სანების საფრანგეთის რეალობას.

**8. 1** მომქმედი პირები AC] მომქმედი პირი B; **7** არშიყი] აშიყი C; **5** ლეანდრი] ლეანდრო B.

**9. 1** გამოსვლა პირველი] გამ. 1-ლი B; **4** ჩემს] ჩემ C; **5** ახა] ახ B; **6** შეიტყვე] შეიტყე B; **13** სწორეთ] სწორებ B; **15** ტარენტიდან] ტარენტიდამ B; **17** ესენი] ესენი BC; ბიძაჩემისაგან] ბიძაჩემისაგან B; **19** ყველაფერი] ყველისფერი B] ყოლიფერი C; **21** შენ - B; ამბები B] ანბები C; **25** ამოგა-ცალის] ამოგაცალოთ B; პირიდან] პირიდამ BC; **26** მოყევი] მოჰყევი B; **28** დაწვრილებით] დაწვრილებითა BC; ბეჯითადაც] ბეჯითათაც B; ბძანებთ] ბძანდებით B; **30** გაჭირვების] გაჭირების B.

**10. 2** რასმე] რასმეს B; **3** ვუზამ] უზამ BC; **4** ამბავმა] ანბავმა C; მოულოდნელათ] მოულოდნელად BC; **6** მეც -B; **8** ეხლავე] ახლავე C; აქედანვე] აქედამვე C; **9** ამბები] ანბები C; **10** თავმთხლეს+(ელენეს] B; **13-14** მე რომ მაგას დამაჯერებდეს, ვინ ოხერი ჩივა; მაგრამ ვიცი, რომ სულ სხვა იქნება ჩემი საქმე -B; **14** ჩივა] სჩივა C; სხვა] სხვები C; კარგათ -B; **16** ლომის] ყომის B; **17-18** უუმელოთ] უმელოთ B; **18** გადუურჩეთ] გადუურჩეთ; **21** დაგვიანებული] დაგვიანებულის BC; **25** (ცეცხლიდან] ცეცხლიდამ BC; **26** გამოსვლა მეორე] გამოს. 2 B; **28** დაგმართნიან] დაგმართიათ B; რა მოხდა? -B; **29** ნეტა] ნეტაც BC; მაგრე] მანგრე BC; **31** ერთი] ერთის BC; **32** ქვეყ-ანაზე] ქვეყანაზებ D.

**11. 2** ჯერ] ჯერა B; **5** მიპირობენ] მიპირებენ B; **6** დაგემართოსთ] დაგემ-ართოთ B; **8** სხვებ] სხვებრ B; **11** ბძანეთ] ბძანეთ BC; **12** კიდევაც] კიდეც B; **14** დამავალებდი] დამავალებდით B; **18** მეტათ] მეტად C; **19** მელაკუდ-აობის] მელაკუდობისა B; უზრდელები] უზდელები BC; **21-22** გამძვრალ-გამძვრალიყოს] გამძვრალი და გამძვრალი იყოს B; **23** მეტათ კეთილ-შობილ] მეტად კეთილშობილს B; **24** ვსთქვათ] ვთქვათ B; ჩვენ] ჩვენს BC; **25** ერჯერ-ორჯერ] ერთხელ-ორჯელ B; ერთხელორჯერ C; **26** ისე] მაშინ B; **28** მანერიან] მანერინა B; **29** უკითხავთ] უკითხავად BC; კარებამდი] კარე-ბამდის B; ძალაუნებურათ] ძალაუნებურად BC; **31** კარებამდი] კარებამდის B; **32** კიდევაც] კიდეც B; **33** მართლმსაჯულებას] მართმსაჯულებას B; **34** მართლმსაჯულებას] მათ მსაჯულებას B; **37** ამიერიდან] ამიერიდამ B.

**12. 1** გაგანძრიო] გაგამძრიო C; კეთილშობილურ] კეთილშობილ C; **3** ალარ] არ B; **4** ხათრი] ხათრით B; **8** რა] არა+რა B; მიბძანეთ] მიბძანეთ C; გაჭირვება] გაჭირება BC; **7** ნინათ] ნინად B; რამოდენიმეს] რამდენიმეს B] რამდენიმე C; გაემზავრენ] გაემზავრნენ B; **6** როგორ არა] როგორ არ ვიცი B; **11** ბძანებაა] ბძანებაა C; **12** ვერაფრათ] ვერაფრით B; **13** ბევრ] ბევრს BC; **14** ახალგაზდა] ახალგაზდა B; კიდევაც] კიდეც B; **17** კიდეც] კიდევაც BC; **19** ერთი] ერთის BC; **20** გამიბჟუა] გამიბზუა B; **ხან]** სანამ B; **23** ვყურობდი] უყურებდი B; **26** მისი] მისის B; **27** მიყრუებულ] მიყრუებულს BC; ერთი] ერთის BC; ქოხიდან] ქოხიდამ BC; **28** მყოფ] მყოფს BC; **29** ვჰეთხეთ] ვჰეთხეთ B; ამბავია] ანბავია C; **30** მობძანდით] მობძანდით BC; **31** საცოდაობას] საცოდაობას C; **36** დაგვიხვდა] დაგვხვდა C; **37** ახალგაზ-რდა] ახალგაზდა C.

**13. 1-2** ჩემს სიცოცხლეში ჯერ ჩემ] ჯერ ჩემს სიცოცხლეში ჩემს B; **2** მსგავსი] მზგავსი C; **2** უნახავთ] უნახავსთ C; **4** მდგომარეობაში] მდომარეო-

ბაში B; **10** ეხლა] ახლა BC; **ამბავია**] ანბავია BC; **13** ბძანებაა] ბძანებაა BC; **16** გასინჯე] გასინჯე B; მოთქმაც უფრო] მოთქმა უფროც BC; **17** სახეს] სახესა B; **19** ყოფილიყო] ჰყოფილიყო B; **20** ეხუტებოდა+ეკვროდა გულში მომაკვდაცს, რომელსაც დედას ეძახოდა B; **17-19** გასაკვირველი] გასაკვირ-ვალი C; **22** ნათესავური] ნათესაური B; **24** გაგახურვათ] გაგახურათ B; **25** შეგაცოდვათ] შეგეცოდათ B; **27** ბარბაროსი] ბარბარიზი C; **29** ბძანებაა] ბძანებაა B; **31** რამოდენიმე] რამოდენიმე B; **32** გამოვედით] გამოველით B; ვჰეთხებ] ვჰეთხე B; **35** გამოვუტყდი] გამოვუტყდი BC; ჩემი] ჩემის B.

**14. 1** თქმა] თქმაც B; დაძაცადეთ] დაძაცალეთ B; **3** დაცუნცულებდა] დაცუნცულობდა C; **4** საცემლათ] საცემლად C; **9** გამოჩენილი] გამოჩენილის C; გვარისა] გვარის B; არის] არის B; **13** ჩემ] ჩემს BC; ბევრი] ბევრის BC; **13** ამგვარათ] ამგვარად B; მზეთუნახავის] მზითუნახავის B; **15** თურმე BC] თორმე A; **16** დააძატე] დაუმატე B; **17** ჩვენის] ჩვენი B; **18** თვეზე] თვეზედ BC; **18** ბიძა ამისმა] ბიძამისმა B; **21** ამბობენ] ანბობენ C; **24** გაჭირვებულ] გაჭირებულ B; **25** მე+კი C; გავუმართო B; **27** არის] არის B; **28** არ] არა C; **29** გაცოდით] გაცოდით B; **30** გნახოთ] გნახოსთ C; **31** შე] შენ B; **32** გამოყო] გამოყო B; **36** საშუალება] საშუალო BC; **37** რომ] როს C.

**15. 2** უხეიორო] უხეიორო B; **შე]** შენ B; **4** ყინვაზე] ყინულზედ B] ყინვაზედ C; **8** იქედან] იქედამ BC; შემიძლია] შემიძლიაზე B; შემიძლია+(გვაცინდა შედის) B; **9** მშვენიერი და -B; **14** გიპირებს] გიპირებს B; **16** ამბავმა] ანბავმა C; **18** სიყვარულზე] სიყვარულზედ BC; **22** საუკუნოს] საუკუნოც C; **24** შეუ-ძლიანათ B; **25** გულში+სიყვარული -B; **28** მრნამს] მწამს B; **32** გულიდამ C; **34** გაუუძლებ] გაუძლებ B.

**16. 2** დაგავინყოს] დამავინყოს B; **4** და+შენ B; **9** ვერ მოგშორდები! ვერ შეგელევი! გეფიცები -B; **5** აქედანვე] აქედამვე C; **7** ნეაპოლში] ნიაპოლში BC; **8** ჩაიღრჩობოდეს] ჩაიხრჩობოდეს B; **10** კარგი+ალარ -B; **14** რასაკ-ვირველია] რასაკვირელია B; **15** არაოდეს! არაოდეს! არასოდეს, არასოდეს B; **19** რა] არა B; **20** სხვ] სხვა B; **22** მოინდომებდეს] მოიმდომებდეს B; **27** გევედრები] გევედრებით B; **31** მივიღო] მივიღოთ B; **33** ნაბძანდით] ნაბ-ძანდით C; **36** გეყურება] გეყურებათ B; დაიმშვიდე] დაიმშვიდეთ B.

**17. 1** გამოსვლა მეოთხე] გამოს. 4 B; **4** მამათქვენზე] მამათქვენზედ BC; ვაჟუაცურათ და მამაცათ] ვაჟუაცურად და მამაცად B; **5** მეტი გზა ალარ არის] მეტი გზა ალარა არას რა! B; **9** დაუხვდი] შაუხვდი B; **10** დროს] დროსა BC; სიმთალე] სიმთლე C; **11** სიტყვაზე] სიტყვაზედ BC; **12** დავი-ზოგავ] დავზოგავ B; **14** გაგნერთნათ] გაგნერთნათ C; **17** აინეთ] აილეთ B; **18** შეუპოვრათ] შეუპოვრად BC; **19** იერიანათ] იერიშიანათ B; **22** უპა-სუხოთ] უპასუხოდ B; **23** შე] შენ B; **24** ჩემი] ჩემს B] ჩემის C; უშვენის C; ყოფინაში] ყოფიაში C; ჩემი] ჩემის C; **27** ნაყოფი] ნამყოფი C; მემართლებოდით+აა -B; **28** მამიშენის] მამის შენის C; გამოშტერებულხარ BC; ქნა] ჰქნა B.

**18. 3** რასაკვირველია] რასაკვირელია B; მაგრე] მანგრე B; **5** დავი-ლუპე+(გადის) B; **6** გამოსვლა მეხუთე] გამოს. 5. B; **9** გაპეუსლა] გაპეუსლო B; მხდალია] მხთალია C; **13** მომყევი] მამყევი C; **15** გამოსვლა მეექსე] გამოს. 6. B; **18** არგანტი (მარტოა, პეტონია)+ნეტა თუ სხვასაც გაუგონია ვისმეს ამისთანა თავხედობა!.. -B; **20** ყოლიფერი] ყოლის ფერი B; **23** რაიო?] რაო? B; **25** შერთვაზე] შერთვაზედ BC; **27** დაადგენ] დადგენ B; ეგ+სულ B.

**19.** 1 ანდა] უნდა B; 4 ადვილი] ადვილათ BC; 6 იქნება] იქნეს B; 7 თავსლაფ-დასხმულ] თავლაფდასხმულ B; 9 მამწვდა] მომწვდა B; 10 აქა-მდი] აქამდის B; და -B; 17 საქებურათ] საქებურად B; 21 ერთ რიგად B; გვარიანათა] გვარიანადა B; 23 მშვიდობითა] მშვიდობით B; იმგ-ზავრეთ] იმოგზაურეთ B; 24 მშვიდობითა] მშვიდობით B; 25 ჩამცივებიხარ] ჩამცივებიხარ B; 27 ბატონი] ბატ. B; 33 ყოფნაში] ყოფაში C; 35 ჭორავდენ] ჭორავდნენ B.

**20.** 1 ბრძანება] ბრძანდება BC; 6 რასაკვირველია] რასაკვირველია B; 7 ესეც] ეს B; 12 სახუმაროთ] სახუმარათა C; გავინინმარიტებულვარ] გავინინ-მატებულვარ B; 13 ამბავი] ანბავი C; რომ] ხომ AB; 14 კარგა ლაზათიანათ] კარგათ ლაზათიან B; 16 ვერ] ველარ C; 19 ვერ] ვერც B; 20 სინიდისში] სინიდისში B; 21 არ] არა B; 24 უნებურათ] უნებურად B; 28 საშუალობა C; 29 მაგრე] მანგრეა BC; 32 ფილოსოფურად] ფილოსოფიურად B; 36 აი] არც B; გნებავსთ] გნებავს.

**21.** 1 შეუძლიათ] შეუძლიანთ B; შეუძლიათ+რომ B; საქმეში+რომ -B; 3 მისთანა] იმისთანა B; 4 თქვენის] თქვენი B; 8 ხელმწიფე-ბატონი] ხელმ-წიფევ, ბატონო B; 9 გაგქონდათ-ხოლმე -B; საზოგადოებაში+ხოლმე B; 10 ითვლიდენ] ითვლიდნენ B; 12 ხოლმეო] ხოლმე B; 14 მაგას ვერ დავიფიცავ, სწორეთ გეთანხმები -B; 15 დაივინებ] დავინიწყებთ B; 17 ქნას] ჰენას B; 24 გადანერეს] გადასწერეს B; 27 კარგათ] კარგად B; ხელმწიფე] ხელმწიფევ B; 30 მაგრე] მანგრე C; 33 მოგახსენოსთ] მოგახსენოთ B; 37 ნოტარიუსს] ნოტარიუს B.

**22.** 1 მოინდომა] მოიმდომა B; 10 მიზეზებათ] მიზეზებად B; 17 გადანერეს] გადასწერეს B; 20 ბრძანდები] ბრძანდებით C; შვილად] შვილათ B; 22 ბრძანებთ] ბრძანებთ 26 ალიაროს] ალვიაროს B; 30 მაშინ+მე -B.

**23.** 6 გიზამსთ] გიზამთ B; 8 კარგია] კარგი B; 18] კეთილშობილი+კაცი -B; ბრძანდებით] ბრძანდებით B; 21 ჩემ] ჩემს B; შერცხვენილ] შერცხვენილს B; 29 წაბრძანდი] წაბრძანდი B; 21 ჩემ დაკარგულ] ჩემს დაკარგულს B; 29 გადაგუცემდი] გადავცემდი B; 30 გამოსვლა მეშვიდე] გამოს. 7; 32 საქმეე-ბში] საქმეში B.

**24.** 1 აღარ] აღარ C; გვეჭირვება] გვეჭირება B; 3 ჩუმად] ჩუმათ C; ყოლიფერი] ყოლისფერი B; 4 მზათ] მზათა B; 5 სწორა] სწორეთ B; 7 გადაადგი] გადადგი B; 8 თიატრში] თეატრში B; 16 მოქმედება მეორე] მოქმედება 2; 17 გამოსვლა პირველი] გამოსვლა 1-ლი B; 20 ტარენტიდან] ტარენტიდამ BC; ახლათ] ახლა C; 21 ჩემ] ჩემს B; 23 აურდაურია] აურდაუ-რივა B; 25 შეუუდგები] შეუდგებდი BC; 27 ბატონი] ბატ. B; 28 გამოზრდაში] გამოზდაში BC; სიფრთხილე] სიფთხილე C; 29 გახლავს] გახლავსთ BC; 30 რასაკვირველია] რასაკვირელია B; 33 ზრდიან] ზდიან C.

